

საქართველოს კატანტომოცოდნეობის ინსტიტუტი
თბილისის საბაზრო ეკონომიკისა და
სამართლის ინსტიტუტი

ოთარ კაკელაშვილი
თამაზ კვლივიძე

გამომონებუთა დაკავენჯების საუბძვდები

წინამდებარე წიგნში გადმოცემულია გამოგონებათა დაპატენტებასთან — უფლებრივ განმტკიცებასთან დაკავშირებული მოქმედი საკანონმდებლო თეორიული და პრაქტიკული დებულებები და მათი გამოყენების რეკომენდაციები.

წიგნი განათვნილია მკითხველთა იმ წრისათვის, რომელიც ესწრაფვის შეისწავლოს გამოგონებათა დაპატენტებისა და პატენტმცოდნეობის საფუძვლები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და საერთაშორისო საპატენტო სამართლის ძირითადი ნორმები და მათი გამოყენების პრაქტიკა; იგი გამოადგებათ საქმიანობაში ნეწარმეებს, ინჟინრებს, პატენტმცოდნეებს, მეცნიერებს; დაეხმარება მომავალ იუორისტებსა და სამართლისმცოდნეებს შეისწავლონ საპატენტო სისტემისა და საპატენტო სამართლის ის მოთხოვნები, რომელიც მოქმედებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და კერძოდ, საქართველოში

მთავარი რედაქტორები: გურამ ქაშაიაშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
თამაზ შილაკაძე, საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი.

სპეციალური და ტექნიკური რედაქტორი: თემური ფარცვანია

რეცენზენტები: აკაკი დუმბაძე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ომარ ვაშაკიძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ელგუჯა ქვათაძე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

წინასიტყვაობა

როგორც ცნობილია საგარეო ეკონომიკური კავშირების ეფექტი-
ანობა ბევრად არის დამოკიდებული სამრეწველო ექსპორტის ობიექ-
ტში ჩადებული და ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ახალი ტექნიკური გა-
დაწყვიტების სათანადო უფლებრივ დაცვაზე. ასეთი დაცვის თორმას
წარმოადგენს გამოგონების პატენტი. საქართველოში გამოგონების
პატენტით დაცვის შესახებ დებულება ძალაში შევიდა 1992 წლის
მაისდღან.

გამოგონებათა რეალიზაცია საგარეო ბაზარზე შესაძლებელია უფ-
ლებრივი დაცვის გარეშეც, მაგრამ გამოგონებაზე მიღებული პატენ-
ტები საშუალებას იძლევა მათი შემცველი ობიექტი საგარეო ბაზარ-
ზე გაცდობდნენ უფრო ძვირად გაიყიდოს, ამასთან მისთვის საშიში არ
არის სხვადასხვა ფორმისა თუ საწარმოს საქონლის კონკურენცია.
გამოგონებაზე პატენტის დროულად აღება საქართველოში და იმ ქვე-
ყანაში ან ქვეყნებში, სადაც ნავარაუდევია მისი შემცველი ობიექტის
ექსპორტი, გამორიცხავს როგორც ჩვენი, ისე უცხოური საწარმოების
მიერ პატენტით დაცული მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევის მითვისე-
ბა-გადაღების შესაძლებლობას და უსასყიდლოდ გამოყენებას.

ასეა, როცა საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობა განიხილება რო-
გორც კომერციული წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტო-
რი, საწარმოს საქმიანობა და მასთან ერთად გამომგონებლობა ისეთი
სტრატეგიის საფუძველზე უნდა აიგოს და წარიმართოს. რომლის
ფორმირებისთვისაც აუცილებელია სავალდებულოდ იქნეს გათვა-
ლისწინებული საპატენტო-უფლებრივი მაჩვენებლებისადმი პროდუქ-
ციის ხარისხისა და ტექნიკური დონის ის მოთხოვნები, რომლებიც
დამზანსიათებელია კონკრეტული სასაქონლო ბაზრებისათვის. ეს კი
მოითხოვს საქართველოში მოქმედებდეს ისეთი მოთხოვნები გამოგო-
ნების მიმართ, როგორც განვითარებული მრეწველობის ქვეყნებშია.
მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივალწიოთ კონკურენტუნარიანი პრო-
დუქციისა და ტექნოლოგიების შექმნასა და შესაბამისად კომერცი-

ული წარმატების უზრუნველყოფას საზღვარგარეთ. გარდა ამისა, იმ სიახლის საპატენტო მონობოლიზება, რომელიც აბსოლუტურ სიახლეს არ ფლობს და სხვებისათვის მისი გამოშვების (გამოყენების) აკრძალვა, ქვეყნის მეწარმეობის განვითარებას შეაფერხებს, უფრო სწორედ, პატენტების გაცემა ყველა სიახლეზე და მათ შორის ისეთზედაც, რომელსაც რაიმე მეცნიერულ-ტექნიკური ღირებულება არ გააჩნია, მეწარმეთა უკმაყოფილებას გამოიწვევს; საპატენტო მონობოლიზების რიცხვის გაზრდამ შეუძლებელია არ გამოიწვიოს ფაქტობრივი კონკურენციის შეზღუდვა. ეს კი ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე ყოვლად დაუშვებელია. უსათუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ იმ ქვეყნებში, სადაც გამოგონების კრიტერიუმების შემოწმებისადმი მაღალი მოთხოვნები არაა წაყენებული, ხშირად გამოგონება სადავო ხდება და მოითხოვება საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის თეორიისა და პრაქტიკის სათანადო დონე.

გამჭრიცხული არაა, რომ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების პირობებში, გამომგონებელს ხშირად შესაძლებლობა არ ექნება გამოიყენოს პატენტიდან გამომდინარე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი უფლებები (მხედველობაშია გამოგონების ფართოდ გამოყენება) — იგი იძულებული იქნება თავისი გამოგონება გადასცეს სხვას — შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც, რომ არაფერი ვთქვათ მის საწყის და გარდამავალ პერიოდზე, პატენტი შეზღუდული ეკონომიკური რესურსების მქონე პირისათვის ისეთი ღირებულების მატარებელი არ იქნება, როგორც იმ პირისათვის, რომელსაც არალიმიტირებული შესაძლებლობები აქვს.

მართალია, ეს არ ნიშნავს გამომგონების სხვისთვის უსაყიდლოდ გადაცემას, მაგრამ ამგვარი გაყიდვა გამომგონებლისათვის ნაკლებად მომგებიანია. ვიდრე ამ გამოგონების საფუძველზე საკუთარი წარმოების მოწყობის შიდაგად მოგების მიღება, რასაც მოსდევს წარმოებისა და გამოშვებული პროდუქციის ბუდმივი გაფართოება და სრულყოფა, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფაქტორია.

დღევანდელ პირობებში ეს საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და სათანადო ყურადღებას მოითხოვს, რადგან, თუ გვინდა საქართველოს ეკონომიკური სიძლიერეს შევეწყობოთ ხელი, ამ სფეროში ისეთი კანონები უნდა მივიღოთ, რომ გამომგონებელმა შეიძლოს

მიცემით შეძლოს წარმოების მოწყობა. გარდა ამისა, უნდა დადგინდეს მათთვის შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტების ოდენობა. ეს იქნება იმის ერთ-ერთი წინაპირობა, რომ ტექნიკურ შემოქმედებაში ფართოდ ჩაებან ინტელექტუალები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რეალურად ამოქმედდეს ჩვენი ხალხის პოტენციური შესაძლებლობები.

საპატენტო სამართლის ეკონომიკური როლი სწორედ იმითაა განპირობებული, რომ პატენტი ადგენს რა მოპოლიურ უფლებას გამოგონებაში, ქმნის პატენტის მფლობელისათვის დამატებითი ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობას სახელმწიფო უფლებრივი წესით დაცული გამოგონების ბაზაზე, როგორც წარმოებიდან, ისე სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციიდან.

პატენტი გზას უღობავს კონკურენტ საწარმოს, კოოპერატივის, ფირმას თავისუფლად გამოიყენოს დაპატენტებული გამოგონება, უმკვიდრებს ინდივიდუალურ საწარმოს ისეთ უპირატესობებს, როგორცაა წარმოების მცირე თვითღირებულება, საქონლის სიახლე და ხარისხი. ამ უპირატესობათა ხელოვნური გახანგრძლივებით დაპატენტება იძლევა დიდ მოგებათა მიღების, წარმოების რენტაბელობის ამაღლებისა და ამის საფუძველზე საქონელზე მონოპოლიური ფასების დადგენის, პროდუქციის გასაღების ბაზრების გაფართოებისა და მონოპოლიზაციის, მათი გაყოფისა და გაღანაწილების საშუალებას.

ქმნის რა მეწარმისათვის პრივილეგიურებულ პირობებს უახლესი ტექნიკური მიღწევის მონოპოლიურ მდგომარეობაში, პატენტი წარმოადგენს დამატებით მოგების მიღების მნიშვნელოვან საშუალებას, უზრუნველყოფს გამოგონების საფუძველზე დამზადებული პროდუქციის მოქმედ საბაზრო ფასზე იაფად გაყიდვას და ამით იძენს კონკურენტის მნიშვნელობას. პატენტი ამ ფუნქციას მანამდე შეასრულებს, სანამ ტექნიკის განვითარების მსვლელობაში კონკურენტები ვერ მოძებნიან და ფართოდ ვერ გამოიყენებენ ანალოგიურ ან ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტით უფრო სრულყოფილ სხვა გადაწყვეტას.

გამოგონებაზე უფლებათა დაცვის საპატენტო სისტემას ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო ეკონომიკურ შედეგებამდეც მივყავართ: ერთი მხრივ, იგი სტიმულს აძლევს ტექნიკის განვითარებას, რადგან მეწარმეებს აიძულებს მეტი მოგების მიზნით შექმნან ახალი გამოგონებები, აიძვისონ ახალი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები. მეორე

მზრივ, როგორც უკვე ითქვა, საპატენტო სისტემა მონოპოლიის დამკვიდრებით ერთგვარად ამუხრუჭებს კედც დაპატენტებულ გამოგონებათა გამოყენებას, რადგან შეიძლება მოხდეს ისეც, რომ დაპატენტებული გამოგონებები მხოლოდ მაშინ იქნეს გამოყენებული, როცა ისინი ეკონომიკური თვალსაზრისით სასარგებლო იქნება საწარმოსათვის. თუმცა მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების საპატენტო კანონებსა და დებულებებში შემოღებულია გამოგონებათა გამოყენების სავალდებულო პრინციპები, რაც პრაქტიკაში ყოველთვის ვერ ხორციელდება. მაგრამ არ შეიძლება არსებობდეს სხვა ასარი იმის თაობაზე, რომ გამოგონებათა დაპატენტება კონკრეტულ ქვეყანაში ან იმ ქვეყნებში, სადაც სავარაუდოა ისეთი პროდუქციის გატანა, რომელშიც ჩართულია ეს გამოგონებები, ხელსაყრელ პირობებს ქმნის მათი რეალიზაციისათვის და ამის უგულვებელყოფა ჩვენს პირობებში საკითხისადმი არაეკონომიკური და არაპროგრესული მიდგომის ტოლფასია.

იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა გვაქვს, აუცილებელი ხდება გამოგონებათა დაპატენტების რეგულირება და ეს პროცესები (მხედველობაში გვაქვს გამოგონებათა დაპატენტება) როგორც წესი, წინ უსწრებს სასაქონლო ექსპორტს.

რომელიმე ქვეყანაში პატენტის მიღება, ანუ როგორც ჩვეულებრივ ამბობენ ხოლმე, უცხოეთში დაპატენტება, წარმოადგენს წინაპირობას, ბაზას ამ დაპატენტებული გამოგონების გაყიდვისათვის და — რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია — მის გამოყენებაზე სალიცენზიო შეთანხმების დადებისათვის. გარდა ამისა, საზღვარგარეთ დაპატენტება საჭირო ხდება გამოფენებზე და ბაზრობებზე დემონსტრირებულ გამოგონებათა დაცვისათვის.

როგორც უკვე აღინიშნა, გამოგონებებზე პატენტები უზრუნველყოფენ მათ მფლობელებისათვის გამოგონებათა გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას. დაპატენტება ერთადერთი გზაა, რომელიც განამტკიცებს გამოგონებათა მფლობელების მდგომარეობას მსოფლიო ბაზარზე, საშუალებას აძლევს მათ დაიკავონ უფრო ხელსაყრელი კომერციული პოზიციები. როგორც კი მოხდება გამოგონების შესახებ ცნობის გამოქვეყნება, დაუყოვნებლივ გამოიჩნდებიან დაინტერესებული ფირმები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეიძლება გამოი-

ქებნოს პოტენციური მყიდველები, შეიძინეს უფრო ხელსაყრელი პარტნიორები და უზრუნველყოფილ იქნეს სალტენზიო ხელშეკრულების უკეთესი პირობები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გამოგონების დაპატენტება საზღვარგარეთ ეკონომიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ არის, ამიტომ უნდა შეიძინეს ისეთი პატენტუნარიანი ობიექტები (მათში გამოყენებული გამოგონებები), რომელთა უფლებრივი დაცვა საზღვარგარეთ კომერციულ მიზანს ემსახურება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საპატენტო სამუშაოთა წარმატებით გადაწყვეტა, როგორც ამას მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების საპატენტო სისტემის პრაქტიკა ცხადყოფს, საწარმოების, ფირმების, კოოპერატივების, მეწარმეების ინტერესებს უნდა ითვალისწინებდეს, ისინი თვითონ უნდა წარმოათავდნენ ამ მიმართებით სათანადო მუშაობას. თუმცა ჩვენი წარმოება ახლა ისეთ დაბალ დონეზეა, რომ საპატენტო საქმის განვითარების საჭიროება თითქოს არც არსებობს, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა. საპატენტო საქმიანობა სახელმწიფო პოლიტიკის საკითხების რანვის დონეზე უნდა იქნეს აყვანილი, რადგან ძლიერი ეროვნული ეკონომიკის შექმნა მის გარეშე წარმოუდგენელია.

ცნობილია, რომ გამოკვლევათა და დამუშავებათა მეცნიერულ-ტექნიკური დონე განისაზღვრება მათი სიახლითა და პერსპექტიულობით, საპატენტო დაცვითა და საზოგადოებრივი აღიარებით. მართალია საპატენტო სისტემა მხოლოდ გამოყენებულს მეცნიერებაში დანერგილი. მაგრამ ამ სისტემიდან გამომდინარე უპირატესობებს დიდი მნიშვნელობა აქვს ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებისათვისაც, ამის ნათელი მაგალითია ნობელის პრემიები, რომლებიც ალფრედ ნობელის მიერ დინამიტზე შექმნილი პატენტებით მიღებული ფულადი ფონდის ბაზაზე დაარსდა. საჭიროა აგრეთვე გავიხსენოთ, რომ ალბერტ აინშტაინი თავისი სიცოცხლის ყველაზე ნაყოფიერ პერიოდად იხსენიებდა იმ დროს, როცა იგი საარსებო სახსარს შვეიცარიის საპატენტო უწყებაში ექსპერტად მუშაობის დროს მოულობდა.

მიუხედავად საპატენტო საქმის უდიდესი მნიშვნელობისა, ჯერ კიდევ შეფხვდებით აღამიანებს, რომლებიც ამ დარგისადმი თავიანთი პრაქტიკული დამოკიდებულებით ამცირებენ არა მარტო საპატენტო

სისტემის, არამედ პატენტმცოდნის ღირსებებსაც. საპატენტო საქ-
მიანობისადმი ასეთი მიდგომა გამოწვეულია არა მარტო საზოგადო-
ებრივ ღირებულებათა შეუფასებლობით, რომელსაც იცავს საპატენ-
ტო სამართალი, არამედ ამ სისტემის უბრალოდ არცოდნითაც.

ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის ფაკულ-
ტეტებზე პატენტმცოდნეობის საგნის სწავლებას სათანადო ყურად-
ღება უნდა მიექცეს, საპატენტო კულტურის ამაღლება თანამედროვე
პირობებში არა მარტო საჭიროა, არამედ აუცილებელიც. გამომგო-
ნებლობისა და საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის დარგში მოქმე-
დი წესებისა და თეორიების ცოდნა საშუალებას მოგვცემს უფრო
სწორად და ღრმად ჩავწვდეთ საპატენტო-უფლებრივ ურთიერთო-
ბებს, გავითვალისწინოთ და შევაფასოთ გამოგონებათა დაპატენტე-
ბის თავისებურებები და მისი გამოყენების პრაქტიკის ეკონომიკური
მნიშვნელობა.

1. გამოგონებათა დაპატენტების სისტემის დასაბამი და არსი:

საპატენტო-უფლებრივი სისტემის წარმოქმნა და განვითარება; საპატენტო-უფლებრივი თეორიები; საპატენტო-უფლებრივი სისტემები და საპატენტო სამართლის წყაროები; საერთაშორისო შეთანხმებები

კაცობრიობის ისტორია ბუნების ძალთა დამორჩილებასთვის ბრძოლასთან, მატერიალური კულტურის განვითარებასა და წარმოების საშუალებათა შექმნასთანაა დაკავშირებული.

კაცობრიობის განვითარებას ყველა ეტაპისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება უდიდეს აღმოჩენებსა და გამოგონებებს, მიუხედავად იმისა, ერთი ადამიანის გონების ნაყოფს წარმოადგენენ ისინი, თუ შექმნილია კოლექტიური გამოცდილების, საუკუნოთა მანძილზე დაგროვილი ცოდნის შედეგად. უდიდესი გამოგონებების ჯაჭვი, დაწყებული ცეცხლის აღმოჩენითა და გამოყენებით, პირველი იარაღებით (კეტები და შუბები, მშვილდები და ისრები, ქვის ნაჯახები და კვერთხები) და დამთავრებული ორთქლისა და ელექტრონის აღმოჩენით, თან ახლავს არა მარტო ბუნებაზე ზემოქმედების მომხდენ მატერიალურ საშუალებათა განვითარებას, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ევოლუციასაც.

შევნებული საქმიანობის დაწყებასთან ერთად ადამიანს იმთავითვე გაუჩნდა სურვილი შეენარჩუნებინა ის საშუალებები, რითაც სარგებლობდა ბუნებაზე ზემოქმედების დროს. მაგალითად, ჯერ კიდევ კაცობრიობის განვითარების გარიჟრაჟზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა ცეცხლის მოპოვების საიდუმლო: ეგვიპტეში საიდუმლოდ ინახავდნენ სხვადასხვა რელიგიურ სასწაულს, საუკუნეების მანძილზე იღუმალებით იყო მოცული მქისა და მთვარის დაბნელებს წინასწარმეტყველება. ცნობილია, თუ რა სიფრთხილით ფარავდა ვენეციის მთავრობა (XIV—XV სს). კუნძულ მურანოზე ვენეციური მინის წარმო-

ებს. რომელსაც მრავალი ასეთი საუკეთესო ოსტატი შეეწირა. ასევე გაუმყლავნებელი დარჩა ბულოატური და დამასკოს ფოლადის წარმოების საიდუმლო. ძველი ოსტატების მიერ მრავალი სხვადასხვა სახის საღებავებისა და მინანქრის დამზადება, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ სიახლესა და სიკაშკაშეს. წარმოების საიდუმლოდ შენახვა მათ მფლობელებს მართლაც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა და მათი დაცვის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა.

სიტყვა „პატენტი“ წარმოდგება ლათინური სიტყვებისაგან — Literae Patentes, რაც ნიშნავს „წერილის გახსნას“. „დახურული წერილებისაგან“ განსხვავებით წაკითხვა შეიძლებოდა ლუქის ახსნის გარეშე; ისინი განკუთვნილი იყო ყველასათვის, „ვისაც ამ წყალობას უბოძებდნენ“, „წერილობითი პატენტი“ გამოგონებაზე ვაიცემოდა მონარქის მიერ და იგი მრავლარიცხოვანი პრივილეგიების ერთ-ერთი სახე გახლდათ. მას იღებდნენ სხვადასხვა დამსახურებისათვის, მკვალითად, ინგლისში ლონდონის ხიდის შეკეთების და ქორწინების ცერემონიალზე გარკვეული თანამდებობის დაკავებისა და საპატიო ტიტულის მინიჭების დამტკიცების აღსანიშნავად. ყველა ეს „პატენტი“ გაიცემოდა, ერთნაირი წესების დაცვით და „პატენტების რეესტრში“ ქრონოლოგიური რიგით ტარდებოდა. ამჟამად გამოგონებაზე გაცემულ პატენტებს არავითარი საერთო არა აქვს ტრადიციულ პრივილეგიებთან. თვით ტერმინი კი ნიშნავს მხოლოდ გამოგონებისათვის მიღებულ პატენტს. პირველი პრივილეგიები გამოგონებებზე გაიცა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში.

ერთ-ერთი პირველი ასეთი პრივილეგია გაცემულ იქნა 1236 წლის მარტში ინგლისის მეფის ჰენრი III მიერ, ბონაფუსუს დე სანტა კოლუმბის სახელზე. მას ნება ეძლეოდა 15 წლის განმავლობაში დაემზადებინა სხვადასხვა ფერის ტანსაცმელი. ამ ვადის გასვლის შემდეგ ნებისმიერ პიროვნებას შეეძლო მიჰყოლოდა ამ ხელობას.

ცნობილია აგრეთვე 1449 წლის 3 აპრილს ინგლისში ჯონ უიტნამის სახელზე გაცემული პრივილეგია ფერადი მინის დამზადებაზე. მეფემ უფლება მისცა მას 20 წლის მანძილზე დაემზადებინა ფერადი მინები, ყველა სხვას კი ეკრძალებოდა ამის გაკეთება ჯონ უიტნამის ნებართვის გარეშე. ეს ერთადერთი პრივილეგია იყო, რომელიც ინგლისში 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დარჩა.

ამ პერიოდში მრავალი პრივილეგია გაიცა ვენეციაში. სახელდობრ, იქ პირველად დადგინდა კანონები, რომლებიც არეგულირებდა

პრივილეგიების მიღებასა და გამოგონებათა გამოყენებას. უკვე 1297 წელს გამოცა დეკრეტი, რომლითაც ნებისმიერ პირს უნებლად, რომელიც თავისი საიდუმლოს საფუძველზე შექმნიდა ახალ წამალს, მედიცინას და მისი საიდუმლოს საამქროში. საამქროს ყველა წევრს კი ფიცი უნდა დაედო, რომ წარმოების საიდუმლოს გაგებას არ შეეცდებოდა.

1332 წელს ვენეციაში შექმნილი იყო სპეციალური ფონდი, საიდანაც გაიცემოდა ფული იმათ სახელზე, ვისაც წინადადებები შეეპოვნოდა საფუძველი წარმოების სრულყოფისა და გემების მშენებლობის საკითხებზე. ამ ფონდიდან, მაგალითად, ბართოლომეო ვერდემ მიიღო გასაბრუნებელი წისქვილის მშენებლობისათვის.

1421 წლის 19 ივნისს იტალიაში 3 წლით გაოცა პრივილეგია გამოჩენილი ინჟინრისა და არქიტექტორის ფილიპო ბრუნელეჩის სახელზე, რომელიც დიდებული ტაძრის — პალაცო პეტრის და ფლორენციის ცნობილ ნაგებობათა ავტორი იყო. პრივილეგია ეცავდა მდინარე არნოზე და სხვა მდინარეებზე მძიმე ტვირთების ტრანსპორტირების ხერხს, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იყო გადაეტანათ ტვირთები გაცილებით ჩქარა და იაფად, ვიდრე ადრე.

პირველი პრივილეგია, რომელსაც საერთო ჰქონდა თანამედროვე პატენტთან, გაიცა 1444 წლის 21 იანვარს ანტონიუს მარინის სახელზე, მან წინადადება წამოაყენა აშენებინათ 24 წისქვილი ვენეციის სხვადასხვა რაიონში. იგი არ ამტკიცებდა, რომ მის მიერ შემოთავაზებული მოწყობილობა სიახლეს წარმოადგენდა, მაგრამ მოითხოვდა, რომ 20 წლის მანძილზე არავისთვის ნება არ მიეცათ ისეთი წისქვილის აშენებისა, რომელიც წყალზე არ იმუშავებდა. სენატმა დაამტკიცა პეტიცია მას შემდეგ, რაც ჩატარდა აღნიშნული მოწყობილობის გამოცდა. შემდეგში გაცემულ იქნა რამდენიმე მსგავსი პრივილეგია. ამასთან, ისინი გაიცემოდა 20-დან 60 წლის ვადით, ძირითადად წყლის დონის ასაწევი მანქანების, ჰაობის ამოსაშრობი მოწყობილობის შექმნისა და სარწყავი არხების მშენებლობისათვის. საჭიროა აღინიშნოს, რომ მრავალი პრივილეგია გაიცემოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა დამტკიცდებოდა წინადადების სიახლე და სარგებლიანობა; შემოწმება ხდებოდა მოწყობილობის ექსპლოატაციით 6-დან 12 თვის განმავლობაში.

იმ დროის პრივილეგიებს შორის აღსანიშნავია 1594 წლის 15 სექტემბერს გაცემული პაციენტი გალილეო გალილერის სახელზე საირი-

გაციო სისტემაში წყლის დონის ასაწევ და გამანაწილებელ მოწყობილობაზე (გალილეო გალილეი იმ დროს იყო მათემატიკის პროფესორი პადუაში).

ვენეციაში პრივილეგიების გაცემის პრაქტიკა საფუძვლად დაედო რესპუბლიკის სენატის მიერ 1474 წლის 15 მარტს მიღებულ დეკლარაციას. ამ დეკლარაციის თანახმად ახალი მანქანის (რომელიც წინათ ხანელმწიფოს ტერიტორიაზე არ იყო გამოყენებული) გამომგონებელი იღებდა პრივილეგიას, რითაც ყველა სხვას ეკრძალებოდა მსგავსი მანქანების დამზადება 10 წლის მანძილზე. დეკლარაციის დაშლვევი ჯარიმდებოდა 100 ლუკათით, მისი შექმნილი მანქანები კი ნადგურდებოდა.

ამ დეკლარაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადრეული, პერიოდის საპატენტო სისტემის განვითარებისათვის. პირველად ხანელმწიფო მასშტაბით დადგინდა პატენტის გაცემის პირობები, რომელთა შორის ერთ-ერთს წარმოადგენდა სიახლის მოთხოვნა, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა გაცემული პრივილეგიების ხასიათი. უმეტესად ეს იყო პატენტები გამოგონებაზე, რაც დიდ სტიმულს წარმოადგენდა გამომგონებლებისათვის და პროგრესულ როლს ასრულებდა ტექნიკის განვითარებაში. ვენეციის საპატენტო სისტემამ დიდი გავლენა მოახდინა ევროპის ბევრი ქვეყნის საპატენტო სისტემების ფორმირებაზე. ასეთი გავლენა შეიძლება აიხსნას იმით, რომ XV საუკუნის ვენეციას ერთ-ერთი წაყვანი ადგილი ეკავა ევროპაში. მისი სტაბილური სავაჭრო კავშირები ევროპის ქვეყნებთან ხელს უწყობდა ამ ქვეყნებში საპატენტო წესების გატანას.

საქართველოში საგამომგონებლო საქმის განვითარების ისტორია ჯეროვნად არ არის გამოკვლეული. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ხანელგანთქმულ ზაზა ფანასკერტელს (ციციშვილს) 1467 წელს მეფემ კონსტანტინემ წყალობის „სიმტკიცე სიგელი“ უბოძა, როგორც „ჩვენსა აჰოლმყოფელსა მეცადე მომპირნესა“. ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო საშუალებების და წესების, ორიგინალობა არავის ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ეს უფრო წყალობის სიგელი უნდა ყოფილიყო და არა საგამომგონებლო სიგელი.

რუსეთში პირველი პრივილეგიები გაიცა XVIII საუკუნეში პეტრე I მეფობის დროს. ეს წინადადებები ჯერ კიდევ არ იყო დაკავშირებული საგამომგონებლო წინადადებებთან, როგორც რაიმე ახალი ტექნიკური გადაწყვეტა, გაიცემოდა „რუსეთში წიგნებისა და რუ-

ების შემოტანის განსაკუთრებულ უფლებაზე“, „წამლების გაყიდვის უფლებაზე“ და ა. შ. ამასთან, პრივილეგიები გაიცემოდა სიახლის ან სარგებლიანობის გათვალისწინების გარეშე. ერთ-ერთი პირველი პრივილეგია, რომელიც დაკავშირებული იყო საგამომგონებლო წინადადებასთან, დათარიღებულია 1749 წლის 13 დეკემბრით. იგი იცავს სუხანოვის და ბელიაევის უფლებას მათ მიერ გამოგონებული საღებავის დამზადების ხერხების უპირატეს გამოყენებაზე.

1749 წლის 14 დეკემბერს ფერადი მინებისა და სხვა საგალენტური საგნების დამზადებისათვის პრივილეგია გაიცა დიდი რუსი მეცნიერის მიხეილ ლომონოსოვის სახელზე. მხოლოდ მას ეძლეოდა უფლება 30 წლის განმავლობაში ეწარმოებინა ეს საქონელი.

აშშ-ში გამოგონებაზე პატენტების არარეგულარული გაცემა დაიწყო XVII საუკუნეში. პირველად ამერიკის კონტინენტზე პატენტი მიიღო სამუელ უინსლოუმი 1641 წელს მარილის ამოშრობის ხერხზე.

როგორც აღინიშნა, გამოგონებები არსებობდა წინაკაპიტალისტურ ეპოქამდეც, რამდენადაც მათი შექმნა წარმოადგენდა კანონზომიერ პროცესს, რასაც განპირობებდა ადამიანის მისწრაფება ბუნებისაგან მიეღო რაც შეიძლება მეტი მატერიალური სარგებლობა. მაგრამ წინაკაპიტალისტურ პერიოდში გამომგონებლობა იშვიათი მოვლენა იყო, ტექნიკას არ ეკავა თვალსაჩინო ადგილი საწარმოო ძალების სფეროში; სავაჭრო კავშირების სუსტი განვითარება ხელს არ უწყობდა ტექნიკურ სიახლეთა შექმნასა და განვითარებას, ამიტომ იმ დროისათვის გამოგონებათა შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა უფლებრივი რეგულირება აუცილებელ მოთხოვნას არ წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, სპატენტო სისტემის ზოგიერთი ელემენტი წარმოიქმნა კაპიტალიზმამდე, რაც განპირობებული იყო ფეოდალური წყობის წიაღში ახალი, ბურჟუაზიული კლასის დაბადებით. უკვე მაშინ ეს ახლად წარმოქმნილი კლასი ცალკეულ შემთხვევაში ახერხებდა მოეპოვებინა გამოგონებათა ან რაციონალურ წინადადებათა გამოყენების განსაკუთრებული უფლებები. ასეთი უფლებები უმთავრესად ვაჭრებსა და მრეწველებს ეძლეოდათ პრივილეგიების ფორმით მონარქის ე. წ. თავისუფალი ნება-სურვილის საფუძველზე. გამოგონებისათვის ფეოდალური პრივილეგიები, რომლებსაც განვიხილავთ როგორც გამოგონებასა და რაციონალურ წინადადებას, წარმოადგენდა მათი უფლებრივი დაცვის ერთ-ერთ პირველ ფორმას, თანამედროვე პატენტის პირველ სახეს.

კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში ახალი ტექნიკა საკონკურენტო ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალება ხდება. ტექნიკურ სიახლეთა გამოყენება საშუალებას აძლევს საწარმოს შეამციროს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება, გააუმჯობესოს მისი ხარისხი და აშირგაღ, თავის კონკურენტებთან შედარებით, რომლებიც ტექნიკურ მიღწევებს არ ფლობენ, დამატებითი მოგება მიიღოს. თუმცა პირველ გამოყენებლის უპირატესობა მანამდის გრძელდება, სანამ გამოგონება კონკურენტი ფირმების კუთვნილება არ გახდება. ამიტომ მგწარმე ისწრაფვის დაიმკვიდროს გამოგონების გამოყენების მონოპოლიური უფლება, თუნდაც გარკვეული ვადით. ასეთი უფლება გარანტირებულია პატენტით, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს ყველა სხვა პირს გამოგონების გარკვეული ვადის განმავლობაში გამოყენება აუკრძალოს.

ახალი ტექნიკური გადაწყვეტების შექმნა და გამოყენება, საერთო წესის თანახმად, მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს, რომლებიც დაკავშირებულია მათი ანაზღაურების საერთო რისკთან. პატენტი, იურიდიულად უმკვიდრებს რა მის მფლობელს უპირატესობას, რომელსაც იძლევა ახალი ტექნიკური საშუალება, აგრძელებს მის მოქმედებას, შესაძლებელი ხდება დაიფაროს არა მარტო ახალი ტექნიკის შექმნისა და ათვისებისათვის გაწეული ხარჯები, არამედ მიღებულ იქნეს მოგებაც. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები დიდ ყურადღებას უთმობდნენ გამოგონებათა გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა რეგულირებას. თუ გავანალიზებთ ახლო წარსულის მდგომარეობას, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა ქვეყანაში საპატენტო კანონებს აწესრიგებდნენ ბურჟუაზიის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისა და კაპიტალისტური წარმოების წესის დამკვიდრების შემდეგ. იღებდნენ საპატენტო კანონებს, ბურჟუაზიული დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი საფუძვლის სახით, ბურჟუაზია განსაზღვრავდა გამომგონებელთა უფლებებს. ასე მაგალითად, საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ 1789 წელს ავტორთა და გამომგონებელთა უფლებები გააცხადა, როგორც „მოქალაქისა და ადამიანის ხელშეუვალი უფლება“.

აშშ-ის კონსტიტუციამ საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის საპატენტო კანონს, სრული უფლებით აღჭურვა რა კონგრესი „ავტორებისათვის და გამომგონებლებისათვის მიეცა განსაზღვრული ვადით განსაკუთ-

რებული უფლება მათ ნაწარმოებებსა და აღმოჩენებზე“. აწმ-ის პირველი საპატენტო კანონი მიღებული იქნა 1790 წელს

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად საპატენტო კანონების მიღება დაიწყო სხვა ქვეყნებშიც. კერძოდ, საფრანგეთში — 1791 წელს, იტალიაში — 1864 წელს, რუსეთში — 1870 წელს, გერმანიაში — 1877 წელს, შვეციაში — 1884 წელს და ა. შ.

იმ ქვეყნებში, სადაც ადრე განვითარდა კაპიტალიზმი, პირველი საპატენტო კანონები მიიღეს XVII—XVIII საუკუნეებში, ხოლო იქ, სადაც კაპიტალიზმის განვითარება დაყოვნდა, ეს მოხდა XIX საუკუნეში.

ინგლისში 1623 წელს მიიღეს „სტატუსი მონოპოლიების შესახებ“, რომელსაც ხშირად პირველ საპატენტო კანონს უწოდებენ. უდავოდ ეს აქტი წარმოადგენდა ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას. თუმცა „სტატუსი მონოპოლიების შესახებ“ არ აღგენდა პატენტების გაცემის ე. წ. ობლიგატურ პრინციპს, ე. ი. გამოგონებლებს არ აძლევდა უფლებას მოეთხოვათ მონოპოლიის მიცემა, თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა გამოგონება კანონით გათვალისწინებულ ყველა პირობას პასუხობდა. პატენტის გაცემა კვლავინდებურად დამოკიდებული იყო მონარქის ნებაზე, ე. ი. პატენტი ფეოდალური პრივილეგიისაგან არსებითად არ განსხვავდებოდა.

კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასა და სრულყოფასთან ერთად იცვლებოდა ბურჟუაზიული საპატენტო სისტემაც. კერძოდ, საპატენტო სამართლის დამკვიდრების პერიოდში, როცა გამოგონებლობა იშვიათი მოვლენა იყო და მცირე რაოდენობის პატენტები გაიცემოდა, ყველა ქვეყანა მიჰყვებოდა გამოგონებათა და პატენტების ე. წ. განაცხადებით-სისტემას, ე. ი. პატენტის გაცემისათვის გამოგონებაზე განაცხადის მასალების შინაარსი არსებითად არ მოწმდებოდა. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად გაიზარდა გამოგონებათა რიცხვი. მაშასადამე, გაიზარდა საპატენტო განაცხადების რიცხვიც. რამდენადაც გამოგონებაზე განაცხადების შინაარსი არ მოწმდებოდა, პატენტის მიღება შეიძლებოდა ისეთ ტექნიკურ სიახლეებზეც, რომლებსაც რაიმე მეცნიერულ-ტექნიკური ღირებულება არ გააჩნდათ. ამ მდგომარეობამ უკმაყოფილება გამოიწვია მეწარმეთა შორის, რომლებიც შეწუხებული იყვნენ იმით, რომ საპატენტო მონოპოლიებმა რიცხვის გაზრდა ზოგჯერ თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვას იწვევდა. ერთ-ერთი ღონისძიების

სახე, რომელიც მიმართული იყო გაცემული პატენტების შესამცირებლად, გახლდათ „სიახლესე შემოწმების შემოღება“, ე. ი. გამოგონებაზე განაცხადების შემოწმებით სისტემაზე გადასვლა. კაპიტალისტური ქვეყნები ერთიმეორეზე მიყოლებით თანდათანობით იწყებენ ამ სისტემის შემოღებას, კერძოდ, 1836 წელს იგი შეჩილო-აშშ-მა, 1877 წელს — გერმანიამ, 1905 წელს — ინგლისმა და სსკა. უკვე XX საუკუნის დასაწყისში შემოწმებითი სისტემა მოქმედებდა განვითარებული მრეწველობის მქონე უმეტეს ქვეყნებში.

სერიოზული ცვლილებები განიცადა პატენტუნარიანობის ცნებამ. თუ პირველად გამოგონებაზე პატენტები გაიცემოდა სამწიფველო სარგებლობის მქონე ნებისმიერ ახალ ტექნიკურ საშუალებაზე, უკვე XIX საუკუნის შუა წლებისათვის იკრძაბოდა გამოგონებათა კრიტერიუმების უკმარისობა და ბევრ ქვეყანაში, უპირატესად აშშ-ში, შემოიღეს პატენტუნარიანობისადმი კიდევ ერთი მოთხოვნა, ე. წ. საგამომგონებლო შემოქმედების დონე, რომელიც ამჟამად თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანასა და ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში განუყოფელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. რასაკვირველია, დროთა განმავლობაში მისი შინაარსიც იცვლებოდა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებამ თვისებრივად შეცვალა გამოგონებათა შექმნის პროცესი, საგამომგონებლო საქმიანობის ხასიათი. თუ XX საუკუნემდე გამოგონებათა უმეტეს ნაწილს ე. წ. „ინდივიდუალური გამოგონებლები“ „მარტონელა შინაბრეწველები“ ქმნიდნენ, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში არც სპეციალური მოწყობილობები ჰქონდათ და არც სპეციალური განათლება გააჩნდათ, უკვე თანამედროვე გამოგონებათა დამუშავებისათვის საჭირო ხდება ძვირად ღირებული ტექნიკური საშუალებები; ჩვეულებრივ, ერთი გამოგონებლის ძალისხმევა საკმარისი არაა და ახალი ტექნიკური გადაწყვეტები უმთავრესად მთელი კოლექტივის შემოქმედებითი შრომის შედეგად იქმნება. თითქმის ყველა ქვეყანაში გამოგონებათა უმეტესობა იქმნება სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, საწარმოების მიერ, რომლებშიც ავტორები მსახურობენ. ამან განაპირობა ის, რომ თანამედროვე საპატენტო კანონებში შემოღებულია სასამსახურო გამოგონების ცნებისა და სტატუსის განმსაზღვრელი აგრეთვე დამჭირავებელთან გამოგონების ავტორთა ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი ნორმები სპეციალურ კანონებში ცალკეა გამოყოფილი.

ცვლილებები განიცადა საპატენტო კანონმდებლობამ უცხო ქვეყნის გამოგონების განმცხადებელთა უფლებების მიზნითაც. პირველი საპატენტო კანონები ან, საერთოდ, არ იცავდნენ უცხოელ გამოგონებელთა სიახლეებს, ანდა მათთვის შეზღუდვებს აწესებდნენ. ასე მაგალითად, 1836 წელს აშშ-ში პატენტის მიღებისათვის ამერიკელი ისდიდა 30 დოლარს, უცხოელები, გარდა ინგლისელებისა — 300 დოლარს, ხოლო ინგლისელისათვის საგადასახადო ბაჟი შეადგენდა 500 დოლარს. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა სუსტი განვითარების გამო ასეთი მდგომარეობა მეწარმეებს თავდაპირველად აწყობდათ კიდევ. XIX საუკუნის შუა წლებისათვის მდგომარეობა შეიცვალა. პროდუქციის გასაღების ბაზრებისათვის ბრძოლა, სასტიკი კონკურენცია, მონოპოლიების წარმოქმნა კაპიტალის მფლობელებსა და მსხვილ მეწარმეებს აიძულებდა სათანადოდ იზრუნონ საგარეო ბაზრებზე თავისი პროდუქციის გასაღებისათვის. ამ პირობებში სავაჭრო შეზღუდვების არც ერთი სახე არ იძლეოდა ბაზარზე ისე სანდო კონტროლს, როგორც გამოგონების დონეზე წარმოებული პატენტით დაცული პროდუქცია. იცავდნენ რა მსხვილი მეწარმეების ინტერესებს, განვითარებული ქვეყნები ურთიერთუფლებების გარანტიით იწყებდნენ უცხოელებისათვის პატენტების მიღების უფლების მინიჭებას. მოწინავე განვითარებული ქვეყნები ამ გზას მიმართავდნენ საზღვარგარეთ თავიანთი კაპიტალის მფლობელებისა და მსხვილი მეწარმეებისათვის დიდი მოგების უზრუნველყოფის მიზნით, ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილი ქვეყნები კი ეროვნული მრეწველობის განსავითარებლად უცხოური მოწინავე ტექნიკის შემოტანისათვის ზრუნავდნენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რევოლუციური გარდაქმნის პირობებში, საპატენტო სისტემა თავისი განახლების მნიშვნელოვან პროცესს განიცდის. განვითარებული მრეწველობის მქონე უმეტეს ქვეყნებში შემოღებულ იქნა ახალი საპატენტო კანონები ან მოქმედ საპატენტო კანონმდებლობაში მოხდა არსებითი ცვლილებები.

ე. წ. განვითარებადი ქვეყნების საპატენტო კანონმდებლობამაც განიცადა ისეთი ცვლილებები, რომლებიც უფრო ეროვნული. ეკონომიკის განვითარების ინტერესებს მიესადაგებოდა.

საპატენტო სამართლის განახლების პროცესი აქტიურად გრძელდება. 1991 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა ყოფილი სსრ კავში-

რის კანონი გამოგონებებზე, ხოლო 1992 წლის 14 ოქტომბრიდან რუსეთის ფედერაციის საპატენტო კანონი. გამოგონებაზე თავისი საპატენტო კანონები და დებულებები შეიმუშავეს ყოფილ სსრ კავშირში შემაჯალმა და ამჟამად დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა, მათ შორის საქართველომ. ამ შემთხვევაში საპატენტო კანონების შემოღება ძირითადად დაკავშირებული იყო ეკონომიკურ რეფორმებთან, რომლებიც გატარდა ყოფილ სსრ კავშირში შემაჯალ რესპუბლიკებში. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების შემოღებამ და სახელმწიფო წყობის ცვლილებებმა, აგრეთვე მსოფლიოს საპატენტო პრაქტიკამ და დღევანდელი რეალურმა მდგომარეობამ ცხადყო, რომ საწარმოს ან კოოპერატივის ეკონომიკური ინტერესების დაცვას გამოგონების დაცვის მხოლოდ საპატენტო ფორმა უზრუნველყოფს. ჩვენთან ადრე შემოღებული გამოგონების საავტორო მოწმობა ამ ფუნქციას ვერ ასრულებდა, რადგან სხვისი გამოგონების გამომყენებელი პირები სულაც არ იყვნენ ვალდებული აენაზღაურებინათ ის ხარჯები კომპენსაციის გამო, რომლებიც გაწეული იყო მათი დამუშავების პერიოდში (გამოგონების გამოყენებისა და მისი დანერგვის ხელშეწყობისათვის გაწეულ ხარჯებს ვერაფრით შეედრებოდა თუნდაც მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მაქსიმალური გასამრჯელო და პრემია).

საბაზრო ეკონომიკის ურთიერთობების პირობებში მხოლოდ პატენტს შეუძლია უფლებრივად დაიცვას გამოგონება და შესაბამისად ეფექტიანად დაიცვას ის სასაქონლო პროდუქცია, რომელშიც ის არის გამოყენებული. საავტორო მოწმობა კი მხოლოდ არასრულყოფილ რეკლამას უწევდა გამოგონებას, მაგრამ არ იცავდა მასზე უფლებას. ადრე მოქმედი ამ დებულების მიხედვით გამოგონებისათვის საავტორო მოწმობის გაცემის შემთხვევაში გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლება ყოფილ სსრ კავშირსა და მის ხალხს ეკუთვნოდა, ე. ი. სახელმწიფოსა და საზოგადოებას, რომელიც გამოგონებას ისე გამოიყენებდა, როგორც ამას შესაძლებლად მიიჩნევდა; ამრიგად, გამოდიოდა, რომ უფლება ეკუთვნოდა ყველას, მაგრამ კონკრეტულად კი — არავის.

საქართველოში გამოგონებაზე პატენტის გაცემის წესის შემოღებამ დასაბამი მისცა სამრეწველო საკუთრების უფლებრივი დაცვის მნიშვნელობის გაზრდას. მისი მნიშვნელობა კვლავაც გაიზარდება და აუცილებლად დაიკავებს წამყვან ადგილს სამრეწველო პროდუქციის

შექმნისა და რეალიზაციის საქმეში, რომელიც დღევანდლობამ წამოჭრა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენი საპატენტო კანონი გამოგონებაზე დროთა განმავლობაში უფრო სრულყოფილი გახდება, ვინაიდან იგი უნიფიცირებას მოითხოვს იმ ქვეყნების საპატენტო კანონების შესაბამისად, რომლებთანაც ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები გვაქვს დამყარებული; კანონმდებლობის სრულყოფის საჭიროება განპირობებულია იმითაც, რომ საქართველოს სახელმწიფო მართვისა და პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკური სისტემა უნდა პასუხობდეს მსოფლიო სტანდარტებს. არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ათეული წლების მანძილზე ჩვენი ყოფისა და განვითარების ტენდენციებს; კერძოდ, გამოგონების პატენტუნარიანობის მიწართ მოთხოვნები ისეთივე უნდა იყოს, როგორც ეს მოწინავე ქვეყნებშია ანდა იმ ქვეყნებში, რომლებთანაც დამყარებული გვაქვს სამრეწველო პროდუქციით სავაჭრო ურთიერთობა; საქმე უპირველეს ყოვლისა ეხება სიახლის მოთხოვნის კრიტერიუმს.

XX საუკუნის 60-იან წლებში განვითარებულ ქვეყნებში მოზღვავდა გამოგონებათა ნაკადი, ამავე დროს მძაფრი საკონკურენტო ბრძოლა გაჩაღდა საქონლის გასაღების ბაზრებისათვის. ამ პირობებში საპატენტო უწყებათა გამოგონებაზე განაცხადების განხილვის საერთოდ მიღებული სისტემები (განაცხადებითი და შემოწმებითი) უსუსური აღმოჩნდა. საპატენტო უწყებები ვეღარ ახერხებდნენ დროულად გაეცათ იურიდიულად საიმედო პატენტები და, მამასადმე, დაეკმაყოფილებინათ კაპიტალის მფლობელებისა და მსხვილი მეწარმეების მოთხოვნები. აუცილებელი იყო ძირეულად შეცვლილიყო და მოდერნიზება განეცადა გამოგონებაზე განაცხადების განხილვისა და პატენტების გაცემის პროცედურას.

ზოგიერთმა ქვეყანამ გამოსავალი იპოვა გადავადებული ექსპერტიზის სისტემაზე გადასვლით, რამაც საპატენტო უწყებებს საშუალება მისცა განთავისუფლებულიყვნენ უპერსპექტივო საპატენტო განაცხადების განხილვისაგან და ამით საგრძნობლად შეემცირებინათ სამუშაოს მოცულობა.

ამასთან ერთად სხვადასხვა ქვეყნის სამრეწველო და სამეცნიერო წრეებს გამოგონების სიახლის შემოწმებასთან დაკავშირებით აქცენტი გადააქვთ საერთაშორისო კოოპერაციაზე, რაც საპატენტო უწყებათა განტვირთვის პრობლემის გადაწყვეტისა და სრულყოფილად სა-

იმედო პატენტების დროულად გაცემის ერთადერთ რადიკალურ საშუალებად მიაჩნდათ.

საპატენტო კანონმდებლობის შეცვლაზე სერიოზული გავლენა მოახდინა ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების ეკონომიკურმა ინტეგრაციამაც, რომელსაც შედეგად სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო სამართლის ურთიერთ დაახლოება მოჰყვა, ცალკეულ რეგიონებში კი ერთიანი ან უნიფიცირებული კანონმდებლობის შემოღება (ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის ორგანიზაცია და სკანდინავიის ქვეყნები).

გამოგონებაზე გაცემული პატენტი წარმოადგენს ეფექტურ იურიდიულ ინსტრუმენტს, რომელსაც მეწარმე იყენებს მეწარმეთა შორის საკონკურენტო ბრძოლაში სავაჭრო ბაზრებზე გაბატონებული მდგომარეობის მოპოვების, მოგების მიღების მიზნით.

საპატენტო მონოპოლია, როგორც საერთოდ, ყოველგვარი მონოპოლია დამამუხრუჭებელ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე. ახალი ტექნიკური საშუალებების მონოპოლიზაცია გარკვეული დროის მანძილზე აფერხებს მის გავრცელებას, წარმოებაში სწრაფ და ფართოდ დანერგვას. ამასთან ერთად პატენტებით უზრუნველყოფილი ბაზრის მონოპოლიზაციის პერსპექტივა, დამატებითი მოგების მიღება, გამომგონებლობის განვითარების გარკვეულ სტიმულს წარმოადგენს და, მაშასადამე, ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებას.

XVIII საუკუნის ბოლოს, საპატენტო სამართლის საწყის პერიოდში, გაბატონებული იყო ე. წ. ბუნებითი უფლებისა და სამრეწველო საკუთრების თეორიები, რომლებიც საფუძვლად დაედო აშშ-ისა და საფრანგეთის პირველ საპატენტო კანონებს.

ბუნებითი უფლების თეორიის თანხმად, გამომგონებლის უფლება წარმოადგენს აღნიშნისა და მოქალაქის განუყოფელ ბუნებრივ უფლებას, მისი სულიერი შემოქმედების შედეგს. ეს უფლება არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების აღიარებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ სახელმწიფო გარანტიას იძლევა, რომ ხელყოფისაგან მესამე პირთა მხრივ დაიცავს. ამ თეორიის მომხრეთა აზრით პატენტის გაცემა გამომგონებაზე იმას დასტურს წარმოადგენს, რომ გამომგონებელს შემოქმედების აქტივ უზრუნველყოფილი აქვს ბუნებითი უფლება.

სამრეწველო საკუთრების თეორია გამომგონებლის უფლებას, როგორც მისი შემოქმედების პროდუქტს აიგივებს საკუთრების უფ-

ლებასთან, მატერიალურ ნივთთან. ამ თეორიის დამცველები შემდეგნაირად მსჯელობენ: ადამიანი თავისი შრომით ქმნის მატერიალურ სიკეთეს, შრომის შედეგი, როგორც ნივთიერი, ისე სულიერიც, წარმოადგენს მისი შემქმნელი პირის საკუთრებას. გამოგონება აქვეყნად იქმნება მხოლოდ მისი შემქმნელის შრომით და ამიტომაც მას, როგორც მესაკუთრეს, უფლება აქვს თავის გამოგონებას მოექცეს ისე, როგორც მას სურს: გააოქმდოს ან შეინახოს საიდუმლოდ, გამოიყენოს ან უარი თქვას გამოყენებაზე, თუნდაც გაანადგუროს. არავის არა აქვს უფლება გამოიყენოს გამოგონება მისი ავტორის ნებართვის გარეშე ან მოიმოქმედოს რაიმე, რაც ხელს შეუშლის გამომგონებელს გამოგონების გამოყენებისათვის. ასეთივე მოვალეობები აქისრია და უფლებები აქვს ყველა მესამე პირს საკუთრების უფლების ობიექტის მიმართ.

სამრეწველო საკუთრების თეორიამ თვალსაჩინო როლი შეასრულა გასულ საუკუნეში საპატენტო სამართლის ფორმირებასა და განვითარებაში. მას ახლაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც, პატენტის უფლებას დარღვევისათვის სანქციისა და პატენტის მფლობელის უფლებამოსილების განმსაზღვრელ, საპატენტო-უფლებრივი ნორმების თეორიულ საფუძველს და სხვა. ამჟამად გამოგონებაზე გაცემულ პატენტს მიიჩნევენ, როგორც მატერიალური ობიექტების თანაბარ, არამატერიალური ობიექტების ნაირსახეობას. ამ თეორიამ გამოგონებაზე, სამრეწველო ნიმუშზე, სასაქონლო ნიშანზე და ა. შ. უფლებას მისცა დასახელება — „სამრეწველო საკუთრება“, დაამკვიდრა იგი კანონმდებლობაში, პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში.

ე. წ. გერმანული საპატენტო სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა გერმანიაში კოლერის თეორიის სახელწოდებით ცნობილმა იმატერიალურმა (არამატერიალურმა) თეორიამ, რომელმაც ფართო გავრცელება პოვა გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში. ამ თეორიას საფუძვლად უდევს ბუნებითი უფლებისა და სამრეწველო საკუთრების თეორიების ძირითადი დებულებები, ავითარებს და ავსებს მათ. მისი შინაარსი ასეთია: ადამიანი ქმნის რა ამა თუ იმ გამოგონებას, მასში შეაქვს თავისი საკუთარი არსებობის ნაწილი; რის გამოც გარეშე პირთა მიერ ყოველგვარი ხელყოფა გამოგონებისა, განიხილება როგორც პიროვნების პირადი უფლებების ხელყოფა.

საპატენტო სამართლით მინიჭებული უფლებამოსილება წარმოად-

გენს გამომგონებლის მიერ მხოლოდ იმისი ფლობის ფაქტობრივ ასახვას, რაც მან შექმნა. გამოგონებაზე საკუთრება არის ისეთივე ბუნებრივი საკუთრება, როგორც ყველა სხვა დანარჩენი. საგამომგონებლო, საავტორო უფლებები, ისევე როგორც საკუთრების ნებისმიერი უფლება; წარმოადგენს აბსოლუტურ სიდიდეს, რომელსაც გარკვეული განსაკუთრებულობა ახასიათებს.

ამ უფლების ობიექტებს მიეკუთვნება მოხმარების საგნები, რომლებიც შეიძლება გადათმობილ იქნეს. ამასთან ერთად, იმატერიალური თეორია, რაზედაც მისი სახელწოდებაც მიუთითებს, ხაზს უსვამს გამომგონებლის შრომის შედეგის იდეალურ ხასიათს და, აქედან გამომდინარე, მესაკუთრისა და გამომგონებლის უფლებათა განსხვავების შესახებ დასკვნის საშუალებას იძლევა. მესაკუთრის უფლები-საგან განსხვავებით გამომგონებლის უფლება არის ქონებრივი და ჰირადი უფლებების კომბინაცია. გამომგონებლის ქონებრივი უფლების ძირითადი არსი არის — იდეის განსაკუთრებული გამოყენების უფლება, ე. ი. გამომგონებლის პირადი უფლება უპირველეს ყოვლისა გულისხმობს უფლებას ავტორობაზე.

კოლერის იმატერიალური თეორია ერთგვარი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ბუნებითი უფლებისა და სამრეწველო საკუთრების თეორიებთან შედარებით. იგი უფრო სწორად ასახავს გამომგონებლის ქონებრივი და პირადი ელემენტებისაგან შემდგარ უფლებათა ხასიათს, ხაზს უსვამს მისი უფლებამოსილების განსხვავებას მესაკუთრის უფლებამოსილებისაგან და ცალკე ნაწილად გამოყოფს გამოგონებათა შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა რეგულირების სამოქალაქო უფლებრივ ნორმებს.

გამომგონებლის უფლების სპეციფიკურ ხასიათს ხაზს უსვამს ცნობილი ბელგიელი იურისტის პიკარდის მიერ შემუშავებული ინტელექტუალური უფლებათა თეორიაც. ამ თეორიის თანახმად, ლიტერატურის, ხელოვნების საგამომგონებლო შემოქმედების შედეგებზე უფლებები წარმოიქმნება მათი შექმნის თვით ფაქტით და არა იურიდიული ურთიერთობებით. იგი უფლებათა განსაკუთრებული კატეგორიაა, რომელიც არ ექვემდებარება რომის კლასიფიკაციის სახელწოდებით ცნობილ, სავალდებულო და პირად, სამოქალაქო ნივთიერ სამართლებრივ ურთიერთობას. პიკარდის აზრით, საკუთრება გამოგონებაზე, სამრეწველო ნიმუშზე და სასაქონლო ნიშანზე, სასარგებლო მოდელზე, საფირმო დასახელებაზე და ა. შ. შეადგენს განსაკუთ-

რებულ ინტელექტუალურ საკუთრებას და მასზე უფლება არსებითად განსხვავდება ნიეთზე საკუთრების უფლებისაგან. მაგალითად, იგი შეზღუდულია დროში, მაშინ როცა ნიეთის საკუთრებაზე უფლება არის მუდმივი, წარმოიქმნება და წყდება მის შექმნასთან და განადგურებასთან ერთად. საკუთრების უფლება სხვადასხვა ობიექტზე შეიძლება ეკუთვნოდეს დროის ამ თუ იმ მომენტში მხოლოდ ერთ პირს (ან პირთა გარკვეულ წრეს — საერთო საკუთრების შემთხვევაში). ინტელექტუალური პროდუქტის გამოყენებაზე უფლება კი ეკუთვნის პირთა განუსაზღვრელ რიცხვს, რამდენადაც დასაშვებია მისი უსასრულოდ რეპროდუქცირება.

ინტელექტუალური საკუთრების ცნება აქვამად ფართოდ გავრცელდა, რამაც თავისი ასახვა პოვა, კერძოდ, საერთაშორისო ორგანიზაციის დასახელებაში — ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, რომელიც გამომგონებლობის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების სფეროში ავტორობის საკითხებითაა დაკავებული.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ე. წ. პატენტის ხელშეკრულებითს თეორიას, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს საპატენტო-უფლებრივი ინსტიტუტების არსებობაზე.

პატენტის ხელშეკრულებითი თეორია წარმოიქმნა ბუნებითი უფლების თეორიისა და სამრეწველო საკუთრების თეორიის საფუძველზე და ხელი შეუწყო მათს შემდგომ განვითარებას. ეს განსაკუთრებით ეხება ზემოთ განხილულ კოლეჯის იმატერიალურ თეორიას, რომელიც საფუძვლად უდევს პატენტის ხელშეკრულებითს თეორიას. ხელშეკრულებითი თეორიის არსი ასეთია: იდეა წარმოადგენს გამომგონებლის საკუთრებას; თუმცა გამომგონებლისათვის საკმარისი არ არის უბრალოდ ფლობდეს იდეას, მას სჭირდება ჰქონდეს მისი გამოყენების შესაძლებლობა. მაგრამ იდეა არ არის ნიეთი. თუ მას „გავხსნით“, იგი შეიძლება სხვადასხვა პირმა დამოუკიდებლად გამოიყენოს. იმისათვის, რომ გამომგონებელმა თავისი იდეის გამოყენება შეძლოს, ერთპიროვნულად მან უფლება უნდა მიიღოს ყველა სხვა პირს აუკრძალოს ამ იდეით სარგებლობა. ამისათვის იგი საზოგადოებასთან დებს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ვალდებულებას კისრულობს გახსნას თავისი საიდუმლო და სანაცვლოდ იღებს იდეის მონოპოლიური გამოყენების უფლებას. ამრიგად, ხელშეკრულებითი თეორიის თანახმად პატენტი წარმოადგენს თავისებურ

გარეგებას სახელმწიფოს სახით საზოგადოებასა და გამომგონებელს შორის, რომლის მიხედვით გამომგონებელს ეძლევა გამოგონების გარკვეული ვადით გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რისთვისაც იგი ხსნის მის არსს. ეს ხელშეკრულება ორივე მხარისათვის სასარგებლოა. გამოგონების მონოპოლია გამომგონებელს აძლევს დიდ სარგებელს, განსაკუთრებით მაშინ, თუ გამოგონება მნიშვნელოვანია და მომხმარებელთა მხრიდან აქვს მოთხოვნა, რაც საშუალებას იძლევა ანაზღაურდეს გამოგონების შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები და მიღებულ იქნეს მოგება. გამოგონების საიდუმლოდ გამოყენებას თან სდევს მნიშვნელოვანი სირთულეები, რის გამოც მისი განხორციელება ზოგჯერ ტექნიკურად შეუძლებელია. ცხოვრებაში დანერგილ ახალ ცოდნას გარკვეული სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის, ამდინარებს მეცნიერებასა და ატექნიკას და მათი შემდგომი განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. პატენტის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ გამოგონება ხდება საზოგადოებრივი საკუთრება და შეიძლება თავისუფლად იქნეს გამოყენებული. საპატენტო მონოპოლია რომ არა, გამომგონებელი იძულებული გახდებოდა გამოგონება საიდუმლოდ შეენახა. ამით საზოგადოებისათვის ახალი ცოდნის მიღება დაყოვნდებოდა, შეიქმნებოდა იმისი საშიშროება, რომ გამომგონებელი არასოდეს გახსნიდა თავის გამოგონებას და საზოგადოება ახალი ცოდნის მიღების შესაძლებლობას დაკარგავდა.

ხელშეკრულებითი თეორია ასახულია ბევრი ქვეყნის საპატენტო კანონებში. იგი საფუძვლად დაედო საპატენტო აღწერილობაში გამოგონების არსის გახსნისადმი წაყენებული მოთხოვნების მოცულობის განმსაზღვრელ ნორმებს. მართლაც, თუ პატენტი იმისათვის გაიცემა, რომ გამომგონებელი თავის იდეას უზიარებს საზოგადოებას, ამ იდეის აღწერილობა საკმაოდ მკაფიო და სრული უნდა იყოს, რათა მოცემული ცოდნის სფეროში ნებისმიერ სპეციალისტს შეეძლოს გაიგოს და შეაფასოს, აგრეთვე ავტორის ან დამატებითი შემომქმედლობის დახმარების გარეშე განასახიეროს იგი. ხელშეკრულებითი თეორიით აიხსნება ზოგიერთი ქვეყნის ისეთი წესი, რომლის თანახმადაც პატენტის მიღების უფლება აქვს არა გამომგონებელს, არამედ ნებისმიერ პირს, რომელმაც პატენტის მიღებაზე პირველმა შეიტანა განაცხადი საპატენტო უწყებაში.

საპატენტო-უფლებრივი ნორმების შინაარსი თითოეულ ცალკე ქვეყანაში განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული გან-

ვითარების თავისებურებებით, ეროვნული ტრადიციებით. ამასთან ერთად, როგორც უკვე აღინიშნა კაპიტალიზმის საპატენტო სისტემის საძირკველი ჩაყრილი იყო აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პირველ საპატენტო კანონებით, რომლებმაც გარკვეული როლი შეასრულეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო კანონმდებლობის ფორმირებაში. სწორედ მათ განაპირობეს იმ დროისათვის სამი საპატენტო-უფლებრივი სისტემის ჩამოყალიბება—ინგლისურისა, ფრანგულისა და ამერიკულისა. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ინგლისური და ფრანგული უფლებრივი სისტემები. ამერიკული სისტემა კი თითქმის XX საუკუნის შუა წლებამდე სხვა საპატენტო-უფლებრივი სისტემებისაგან რამდენადმე განცალკევებულად ვითარდებოდა და მისი გავლენა ამერიკის კონტინენტის მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო სამართალზე გავრცელდა.

XIX საუკუნის ბოლოს გამოჩნდა კიდევ ერთი სისტემა — გერმანული. 1877 წელს მიღებული პირველი გერმანული საპატენტო კანონი, წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ეტაპს ბურჟუაზიული საპატენტო სამართლის განვითარების გზაზე. გერმანული საპატენტო კანონი შემუშავებული იყო სხვა ქვეყნების საპატენტო კანონმდებლობისა და პრაქტიკის, გამოცდილებისა და მიღწევების გათვალისწინებით და შეესატყვისებოდა ჩასახვის პროცესში მყოფ მსხვილი კაპიტალისტური გაერთიანებების ინტერესებს, სხვებზე უკეთ უზრუნველყოფდა შეწარმეებს გამოგონებათა მისაკუთრებაში და, იქედან გამომდინარე მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფაში. აღსანიშნავია, რომ გერმანულმა საპატენტო სამართალმა საფუძველი ჩაუყარა სხვა კაპიტალისტური ქვეყნების საპატენტო სამართლის მოდელს.

ამჟამად არსებობს შემდეგი ოთხი საპატენტო-უფლებრივი სისტემა — ინგლისური, ფრანგული, ამერიკული და გერმანული. მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი განვითარებული ან განვითარებადი ქვეყანა, რომელსაც ამ უფლებრივი სისტემის თუნდაც ერთი გავლენა მაინც არ გამოეცადოს.

ინგლისური საპატენტო-უფლებრივი სისტემა, გარდა დიდი ბრიტანეთისა, მოქმედებს ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ინდოეთში, ირლანდიაში, ისლანდიაში, ისრაელში, კენიაში, კვიპროსში, ნიგერიაში, პაკისტანში, საბერძნეთში, შრი-ლანკაში და სხვა სახელმწიფოებში, რომლებიც ადრე პოლიტიკურად დიდ ბრიტანეთზე იყვნენ დამოკიდებულნი.

საფრანგეთის საპატენტო-უფლებრივი სისტემა საფუძვლად დაედო საგანმანათლებლო ურთიერთობათა რეგულირებას ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის ორგანიზაციის ქვეყნების კავშირში, ბელგიაში, გვინეაში, ლუქსემბურგში, მაროკოში და სხვა; მნიშვნელოვანია მისი გავლენა ბრაზილიის, იტალიის, კოლუმბიის, ჩილის საპატენტო სამართალზე.

აშშ-ის საპატენტო-უფლებრივი სისტემა, გარდა აშშ-ისა, მოქმედებს — არგენტინაში, კანადაში, მექსიკაში, ფილიპინებზე და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

გერმანულმა საპატენტო-უფლებრივმა სისტემამ ფართო გავრცელება პოვა: ავსტრიაში, დანიაში, იაპონიაში, ნიდერლანდში, ნორვეგიაში, ფინეთში, შვეიცარიაში, შვეციაში.

სახელმწიფოებს, რომლებიც ამა თუ იმ საპატენტო-უფლებრივ სისტემას იყენებენ, საპატენტო სამართლის ძირითადი პრინციპების მხრივ ბევრი რამ აქვთ საერთო; მათთვის ასევე დამახასიათებელია სასამართლოებისა და უწყებების მიერ მოქმედი კანონმდებლობის განვარტებებისა და პრაქტიკული გამოყენების ერთობლიობა. ამასთან ერთად ამა თუ იმ სისტემის გამომყენებელი ქვეყნების საპატენტო სამართალი ერთგვაროვანს არ წარმოადგენს, მათი განსხვავება განისაზღვრება ცალკეული ქვეყნების ისტორიული განვითარების საზოგადოებრივ-ეკონომიკური პირობების სპეციფიკით. სისტემის სათავეში მდგომი ქვეყნის სამართლებრივი გავლენა ამა თუ იმ ქვეყნის საპატენტო-უფლებრივ ურთიერთობათა რეგულირებაზე ერთგვაროვანი არ არის. სახელმწიფოთა ერთმა ნაწილმა არსებითად გადმოიღო სისტემის საფუძვლად დადებული საპატენტო კანონების ტექსტები, მეორემ — მხოლოდ ძირითადი დებულებები. ისეხა, განაცრო და შეცვალა ისინი ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად. ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო სამართალი ჩამოყალიბდა რამდენიმე სამართლებრივი სისტემის ზემოქმედებით. მაგალითად, იტალიის საპატენტო სამართალი ვითარდებოდა საფრანგეთისა და გერმანიის საპატენტო სისტემის გავლენით, ხოლო იაპონიის საპატენტო სამართალზე დიდი ზემოქმედება მოახდინეს გერმანიისა და აშშ-ის საპატენტო-უფლებრივმა სისტემებმა. კანადის საპატენტო სამართალს აქვს ამერიკული სისტემის ძირითადი თვისება. მაგრამ მის განვითარებაზე თავისი კვალა დააჩნია ინგლისურმა სამართალ-

მ.ც. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ბრაზილიის, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის, პერუს და სხვა ქვეყნებში.

არსებითი თავისებურებები აქვს გამოგონებათა შექმნასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს განვითარებად ქვეყნებში.

აზიისა და აფრიკის, ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო უწყებაში პატენტის მისაღებად შეტანილი განაცხადები გამოგონების აღიარებაზე არ მოწმდება, კერძოდ, თუ გამოგონების განაცხადი აკმაყოფილებს ფორმალურ მოთხოვნებს, მასზე გაცივმა პატენტი. ასეთი წესი ხელს უწყობს ნებისმიერ განმცხადებელს ფაქტობრივად დაუბრკოლებლად და უმოკლეს ვადაში მიადწიოს განცხადებული გამოგონების დაცვას, საპატენტო მონოპოლიის მოპოვებას. მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში პატენტით დაცული გამოგონების სავალდებულო განხორციელების წესი არ მოქმედებს, მას ენაცვლება დაპატენტებულ ნაკეთობათა შემოტანა, ე. ი. თუ პატენტი შემოტანილია ქვეყანაში და დადასტურებულია დადგენილი წესით, აუცილებელი არაა მისი განხორციელება, როგორც ეს კანონმდებლობით არის დადგენილი. ასეთი მდგომარეობა ამკარად აფერხებს ეროვნული ეკონომიკისა და უპირველეს ყოვლისა მრეწველობის განვითარებას, ფართო შესაძლებლობებს უქმნის უცხოური პატენტის მფლობელებს საპატენტო მონოპოლიის ბოროტად გამოყენებისათვის.

განვითარებადი ქვეყნების გამოგონებათა დაპატენტების მდგომარეობის სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ამ ქვეყნების მოქალაქეებზე მოქმედი პატენტების მხოლოდ უმცირესი ნაწილი მოდის. ამ ქვეყნებში თითქმის დამთავრებულია ახალი საპატენტო კანონების მიღებისა და უკვე მოქმედის შეცვლისა და შემდგომი სრულყოფის პროცესი, რომლის მიზანია საპატენტო კანონები დაექვემდებაროს ეროვნული ეკონომიკის წარმატებით განვითარების ინტერესებს.

სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო კანონები არაერთგვაროვანია. როგორც წესი, ისინი შეიცავენ საპატენტო საშარტლის ძირითად დებულებებს, მაგრამ საპატენტო-უფლებრივი ურთიერთობების მოცულობა და მოქმედებათა სპექტრი სხვადასხვაგვარია. ზოგიერთი კანონი საკმაოდ დაწვრილებით არეგულირებს გამოგონებათა შექმნასთან, მათზე უფლებების გაფორმებასთან და პრაქტიკულ რეალიზაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ურთიერთობას. მაგალითად, ასეთია აე-

სტრიის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიისა და კოლუმბიის საპატენტო კანონები.

მაგრამ მათგან განსხვავებით არსებობენ ისეთი ქვეყნები, როგორცაა, არგენტინა, ბელგია, ერაყი და სკანდინავიის ოთხივე ქვეყანა, რომელთა საპატენტო კანონები საერთო დებულებებს შეიცავენ და უფრო მნიშვნელოვან საკითხებს არეგულირებენ.

მიუხედავად საპატენტო-უფლებრივ ურთიერთობათა რეგულირების სხვადასხვაობისა, უმეტესი ქვეყნების მოქმედი საპატენტო კანონებით, როგორც აუცილებელი წესი, რეგლამენტირდება შემდეგი საკითხები:

გამოგონებათა პატენტუნარიანობის პირობებში. კანონი აღგენს უფლებით დაცულ გამოგონებათა წრეს, განსაზღვრავს განცხადებულ ობიექტის სიახლის, სამრეწველო გამოყენებადობის სარგებლობის ცნებას. მთელი რიგი ქვეყნების საპატენტო კანონები, მათ შორის აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიისა და საფრანგეთისა, შეიცავენ აგრეთვე საგამომგონებლო შემოქმედების, ან ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტის დონის, ან სიახლის არასიაშკარავის ცნების განსაზღვრას და ა. შ.;

გამოგონებაზე უფლების გაფორმებისას წაყენებულ მოთხოვნათა მოცულობა. (უფლება განაცხადის შეტანაზე, მისი არსის გადმოცემა და ა. შ.);

საპატენტო უწყებაში გამოგონებათა განხილვისა და გამოგონებაზე უფლებათა გაფორმების სტადიაზე წარმოქმნილი დავის გადაწყვეტის წესი;

პატენტის მფლობელის უფლებათა მოცულობა და მოვალეობანი;

პატენტიდან გამომდინარე უფლებათა დარღვევის ცნება და სანქციები მათი დარღვევისათვის.

ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო კანონებში რეგულირდება სხვა ურთიერთობებიც. კერძოდ, ავსტრიის, აშშ-ის, კანადის საპატენტო კანონებში რეგლამენტირებულია საპატენტო უწყებათა საქმიანობა, განსაზღვრულია საპატენტო რწმუნებულთა სტატუსი, მათი უფლებები და მოვალეობანი: იაპონიისა და ბრაზილიაში საპატენტო კანონები არეგულირებენ ისეთ საკითხებს, როგორცაა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქმედობაუნარიანობა, სასამსახურო გამოგონებები, უცხოელთა უფლებები, საპატენტო დავის განსჯადობა, პატენტების

დარღვევაზე დავის გადაწყვეტის პროცედურა, პატენტის ბათილად მიჩნევა და ა. შ.

საპატენტო კანონები საკმაოდ სხვადასხვაგვარია აგრეთვე იურიდიული ტექნიკის, კომპოზიციის გადმოცემის საშუალების და ენის მხრივაც. მთელი რიგი ქვეყნების საპატენტო კანონებში მუხლები განლაგებულია გარკვეული ლოგიკური თანამიმდევრობით: პატენტუნარიანობის პირობები, განაცხადის შინაარსი, განაცხადის ექსპერტიზა, პატენტის გაცემა, პატენტის მფლობელის უფლებები და მოვალეობანი. პატენტის დარღვევა, საპატენტო ლიცენზიები, საგადასახადო ბაჟები. ამ მიმდევრობით არის აგებული აშშ-ის, იაპონიის, სკანდინავიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის საპატენტო კანონები. სამაგეროდ არათანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული, ათვისებისათვის რთულია დიდი ბრიტანეთის, ისლანდიისა და პერუს საპატენტო კანონები. საკმაოდ ორაზროვანი და კაზუსისტური იყო ყოფილი სსრ. კავშირის საპატენტო კანონმდებლობაც, რომელიც ახლო წარსულში მოქმედებდა საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, დებულებაში აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ მითითებული იყო; რომ ავტორს შეიძლება მიეცეს ესა თუ ის შედავათი ან უფლება, ან კიდევ გამოგონების ავტორთან შეიძლება დადებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულება და ა. შ. გამოდიოდა, რომ შეიძლებოდა ავტორს ეს ყველაფერი არ მისცემოდა და არ მინიჭებოდა და ამით არც დებულება დაირღვეოდა და არც რაიმე წესი, ე. ი. ავტორის უფლებები არ შეილახებოდა.

როგორც უკვე ითქვა, სხვადასხვე ქვეყნის საპატენტო კანონმდებლობის დებულებათა სხვადასხვაობა აიხსნება თითოეული ქვეყნის ისტორიული, ეკონომიკური განვითარების, იურიდიული ტრადიციების თავისებურებებით.

ქვეყნების შედარებით მცირე ნაწილს არ გააჩნია სპეციალური საპატენტო კანონები და საგამომგონებლო ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმები - მათ ჩამოყალიბებული და წარმოდგენილი აქვთ, როგორც სხვა ნორმატიული აქტების ნაწილი. ამავე დროს არსებობენ ისეთი ქვეყნები — ცალკეული განვითარებადი ქვეყნები, სადაც საერთოდ, არ მოქმედებს საპატენტო კანონმდებლობა. ასეთ ქვეყანაში ავტორის პრიორიტეტისა და გამოგონების გამოყენებაზე უფლების დამკვიდრება ოფიციალურ გამოცემებში ამ სიახლეთა პუბლიკაციით ხდება. გამოგონებათა შექმნასთან და გამოყენებასთან

დაკავშირებული ურთიერთობები, ზოგიერთ ქვეყანაში საპატენტო კანონებთან ერთად რეგულირდება სხვა საკანონმდებლო აქტებითაც, კერძოდ, გამოიყენება სამოქალაქო სამართლის საერთო ნორმები, მაგალითად, სასაჩრელო ხანდაზმულობისა და საქმეკვიდრეო უფლების შესახებ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ნორმები და სხვა. საპატენტო დავის განხილვის წესი სასამართლოში რეგულირდება სამოქალაქო პროცესუალური სამართლის საერთო ნორმებით სპეციალური დებულებებით, რომლებსაც შეიცავენ. საპატენტო კანონები ან კიდევ სხვა ნორმატიული აქტები.

გამოგონებათა უფლებრივი დაცვა უმთავრესად ხორციელდება ეროვნული საპატენტო კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკის საფუძველზე. თუმცა ამჟამად საერთაშორისო სამეურნეო კავშირების გაფართოებასთან, გამოგონებათა შექმნასთან და გამოყენებასთან, მეცნიერულ-ტექნიკური გამოცდილების გაცვლასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებები ურთიერთობათა უფლებრივი რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა. გამოგონებათა საზღვარგარეთ დაპატენტება ხორციელდება საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, რომლებიც გასული საუკუნიდან ფორმდებოდა და მიმართული იყო გამომგონებელთა უფლებების დასაცავად საზღვარგარეთ. სამრეწველო საკუთრების, კერძოდ, გამოგონებაზე უფლებების დაცვის სფეროში, ძირითად საერთაშორისო შეთანხმებას წარმოადგენს 1883 წელს დადებული სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1884 წლის 7 ივლისს და შემდგომში არაერთხელ შესწორდა. ამჟამად პარიზის კონვენციაში მონაწილეობს 90-ზე მეტი ქვეყანა: სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებს მისი სხვადასხვა რედაქცია. იმისდა მიხედვით, თუ რომელი ტექსტის რატიფიცირება მოახდინა შესაბამისმა ქვეყანამ. ყოფილი სსრ კავშირი პარიზის კონვენციას შეუერთდა 1965 წლის 1 ივლისიდან. რამოდენიმე წელია საქართველოს რესპუბლიკა, ამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმების წევრია.

საერთაშორისო კონვენციით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით მისი მონაწილეებისათვის შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შეღავათები კონვენციური პრიორიტეტის მიხედვით, ე. ი. სწორად გაფორმებული პირველი ეროვნული განაცხადის პირველობის დადგენაზე.

საპატენტო საკითხებზე სწორედ ასეთი სახის შეთანხმების მნიშვნელოვანი აქტია სამრეწველო საკუთრების დაცვაზე პარიზის კონ-

ვენცია. ეს არის გამოგონებების, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების სამართლის საკითხებზე მიღწეული მრავალმხრივი შეთანხმება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პარიზის კონვენციის მე-4 მუხლი, რომელიც ადგენს ე. წ. კონვენციური პრიორიტეტის განსაზღვრის წესს. ამ მუხლის თანახმად, კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყნიდან გამოგონებაზე განმცხადებელს, რომელმაც თავის საპატენტო უწყებაში შეიტანა პირველი სწორად გაფორმებული (ქვეყნის ეროვნული საპატენტო კანონმდებლობის შესაბამისი) განაცხადი გამოგონებაზე პარიზის კონვენციის მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში, ენიჭება განაცხადის შეტანის პრიორიტეტის უფლება იმავე გამოგონებაზე კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყნებში ერთი წლის განმავლობაში.

როგორც ნაწილობრივ ზემოთაც აღინიშნა, კონვენციური პრიორიტეტის გამოყენება შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებიდან, რომლებშიც მონაწილეობს ქვეყანა.

პარიზის კონვენცია წარმოადგენს ღია საერთაშორისო შეთანხმებას. მასში ახალი წევრის გაერთიანება ნიშნაქს მის ყველა პირობაზე თანხმობას, გაერთიანებისას დამატებითი შენიშვნები არ მიიღება. ამ შეთანხმებაში გაერთიანებული ქვეყანა მოვალეა მიიღოს ღონისძიებები კონვენციის ყველა დებულების გამოყენების უზრუნველსაყოფად.

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის ძირითად მიზანს წარმოადგენს დაიცვას უცხოელთა უფლებები სხვა სახელმწიფოებში. იგი არ უარყოფს პატენტის მოქმედების ტერიტორიულ პრინციპს. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შეთანხმების მონაწილე ქვეყანაში გამოგონების დაცვა, აუცილებელია, რომ იქ მიღებულ იქნეს პატენტი. კონვენცია არ ქმნის ერთიან უფლებრივ ნორმებს, იგი ემყარება ეროვნული კანონმდებლობის მოქმედებას.

კონვენციის უფლებრივი რეგულირების ობიექტს წარმოადგენს ე. წ. „სამრეწველო საკუთრება“, რომელიც შეიცავს გამოგონებაზე პატენტების, საყოველთაოდ სასარგებლო მოდელებს, სამრეწველო ნახატებსა და მოდელებს, საფაბრიკო და სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო დასახელებებს, საქონლის შექმნის ან დასახლების აღნიშვნებს, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღ-

კეთას. კონვენციის საწყისი დებულებაა ფორმალური ნაცვალგების პრინციპი, რომლის თანახმადაც კავშირის ქვეყნები უტხოვლ განმცხადებლებს ანიჭებენ ისეთსავე უფლებებს, როგორც მოქმედი კანონმდებლობით მიიჩნეული აქვთ ეროვნულ განმცხადებლებს.

გამოგონებების მიმართ კონვენციის მნიშვნელოვანი რიგობებია: პრიორიტეტის უფლება, საერთაშორისო გამოფენებზე ექსპორტირებულ გამოგონებათა დაცვა, წინასწარსარგებლობის უფლება, დაფინილება გამოგონების გამოყენების ავცილებლობაზე, აგრეთვე სოციალური სხვა დებულება, რომლებიც ცალკეულ საკითხებზე ცალკე პარაგრაფებადაა გადმოცემული.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დღის წესრიგში დადგა სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო სამართლის უნიფიცირების საკითხი. დღევანდის ცალკეულ ქვეყნებს შორის განსხვავებული აზრის გამო საპატენტო დამოკიდებულებათა ერთიანობა მიღწეული არ არის. ამასთანავე ამ მიმართებით გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული. დაიღო ევროპის ქვეყნების მთელი რიგი კონვენციები, რომელთა მიზანია საპატენტო სამართლის ცალკეულ დებულებათა უნიფიცირება.

1947 წელს საფრანგეთმა, ბელგიამ, ნიდერლანდმა და ლუქსემბურგმა ჰააგაში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საერთაშორისო საპატენტო ინსტიტუტის შექმნის შესახებ. მისი ძირითადი დანიშნულებაა ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებიდან დაკვეთით შემოსულ გამოგონებათა სიახლეზე ექსპერტიზის ჩატარება.

1953 წელს ევროპის კავშირში შემავალმა ქვეყნებმა ავსტრიამ, ბელგიამ, ფრანკმა, დანიამ, დიდმა ბრიტანეთმა, თურქეთმა, ისლანდიამ, იტალიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდმა, ნორვეგიამ, საფრანგეთმა, ფინეთმა, შვეიცარიამ, შვედციამ ხელი მოაწერეს ევროპის კონვენციას, რომელიც ეხებოდა საპატენტო განაცხადების წარდგენისას წაყენებულ ფორმალურ მოთხოვნებს. კონვენციის მიზანია „გაამარტივოს და უნიფიცირებული გახადოს სხვადასხვა ეროვნული კანონმდებლობის მიერ საპატენტო განაცხადების მიმართ გათვალისწინებული ფორმალობანი“.

1954 წელს ევროპის კავშირის წევრებმა ხელი მოაწერეს ევროპის კონვენციას საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის შესახებ, რომლის საფუძველზე შემუშავებული იყო გამოგონებაზე პატენტების კლასიფიკაციის ერთიანი სისტემა — საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია (გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია). 1971

წლის მარტში ქ. სტრატსბურგში დადებულ იქნა ახალი შეთანხმება გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ, რომლის წევრების ოდენობა გაცილებით სჭარბობს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ოდენობას.

ამჟამად გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია გამოიყენება არა მარტო კონვენციის ხელმოწერ, არამედ ბევრ სხვა ქვეყანაშიც.

1963 წელს ევროპის საბჭოს წევრთა უმეტესმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს სტრატსბურგის შეთანხმებას საპატენტო სამართლის ზოგიერთი დებულების უნიფიცირების შესახებ. შეთანხმებაში განსაზღვრულია პატენტუნარიანი ობიექტების წრე და გამოგონებათა პატენტუნარიანობის კრიტერიუმები. კონვენცია ძალაში არ შესულა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისმა დებულებებმა დიდი გავლენა მოახდინეს დასავლეთ ევროპის უმეტესი სახელმწიფოების საპატენტო სამართლის ფორმირებაზე.

ევროპის საბჭოს და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ფარგლებში მომზადდა და განხილულ იქნა ევროპული პატენტის რამდენიმე პროექტი. 1973 წლის 5 ოქტომბერს მიუნხენში დასავლეთ ევროპის 14-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა პატენტების გაცემის ევროპული სისტემის შესახებ კონვენციას, რომელიც ითვალისწინებს ევროპის საპატენტო უწყებაში შეტანილი განაცხადის ბაზაზე ერთიანი ევროპული პატენტის გაცემას.

ევროპის ამ საპატენტო კონვენციის წევრები იყვნენ: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, საბერძნეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, შვეცია. განაცხადი გამოგონებაზე შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც მიუნხენში, ისე მის ფილიალში, როგორც ქ. ჰააგაში მოქმედებს. გაცემული ევროპული პატენტი მის მფლობელს ანიჭებს ისეთსავე უფლებებს, როგორც მიცემული აქვს მოლაპარაკების მონაწილე თითოეულ ქვეყანაში გაცემული ეროვნული პატენტის დალით.

საპატენტო სამართლის უნიფიცირების გზაზე შემდეგი ნაბიჯი გადაიდგა 1975 წლის 15 დეკემბერს ლუქსენბურგის კონვენციაზე, სადაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს კონვენციას „გაერთიანების პატენტის“ შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა სახელმწიფოსათ-

ვის ერთიანი საპატენტო სამართლის შექმნას. გაერთიანების პატენტით საერთოა ყველა წევრი სახელმწიფოსათვის. მისი მოქმედება რეგულირდება ლუქსემბურგის და მიუნხენის კონვენციებით, რომლებიც ეხება ყველა ევროპულ პატენტს. ამასთან ერთად გათვალისწინებულია ეროვნული პატენტების მიღების შესაძლებლობაც, რაც ნიშნავს ქვეყნების შინაგანი კანონმდებლობის „თანაარსებობას“ — ეროვნული კანონმდებლობის თანაარსებობას შეთანხმების მონაწილე ქვეყნის კანონმდებლობასთან.

1977 წლის 7 ოქტომბერს მიუნხენის კონვენცია ძალაში შევიდა. 1978 წლის 1 ივნისიდან ევროპის საპატენტო უწყებამ დაიწყო განაცხადების მიღება ევროპულ პატენტებზე. ამ კონვენციაში უდავოდ გავლენა ჰქონდა ევროპისა და მსოფლიოს ბევრი სხვა სახელმწიფოს საპატენტო სამართლის უნიფიცირებაზე.

— ამჟამად ევროპის საპატენტო უწყების წევრები არიან: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია, ლიხტენშტაინი, ნიდერლანდი, საბერძნეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, შვეიცია, კონვენციაზე ხელი მოწერილი აქვთ და 1992 წლის 1 იანვრის მონაცემებით მისი რატიფიცირება არ მოუხდენიათ დანიას, ირლანდიასა და ნორვეგიას.

საჭიროა აღინიშნოს ევროპის საპატენტო უწყების წარმატებები მუშაობაში და მისი პოპულარობა ევროპულ განმცხადებლებს შორის. კერძოდ, თავდაპირველად მისი ორგანიზაციისა და ჩამოყალიბების დროს ვარაუდობდნენ, რომ ერთი წლის განმავლობაში გამოგონებაზე განაცხადების ოდენობა 30.000-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. თუმცა უკვე 1988 წელს 50.000-ზე მეტი განაცხადი იყო შეტანილი, ხოლო 1990 წელს მათმა რიცხვმა 62.778 შეადგინა.

მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისაგან განსხვავებით ევროპის საპატენტო უწყება სრულ სამეურნეო ანგარიშზეა. მისმა შემოსავალმა 1989 წელს, რომელიც ძირითადად საგადასახადო ბაჟებისაგან შედგებოდა, 945,2 მილიონი დასავლეთ გერმანული მარკა შეადგინა. დანახარჯებმა — 896,3 მილიონი მარკა.

ევროპის საპატენტო უწყება აქტიურ საერთაშორისო საქმიანობას ეწევა. მონაწილეობას იღებს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის პროექტებში, რომსრიც შეთანხმებებში სხვადასხვა ქვეყანასთან, აგრეთვე აშშ-სა და იაპონიასთან სამხრეთ შეთანხმებაში. ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს უნივერსალურ-

რი ევროპული პატენტის შესაქმნელად საერთო ბაზრის ყველა ქვეყნისათვის. მოსალოდნელია, რომ ასეთი პატენტი ახლო მომავალში შევა ძალაში.

საპატენტო სამართლის უნიფიცირებისა და ერთიანი პატენტის გაცემის ევროპული იდეა, რომელიც მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე მოქმედებს, განხორციელდა აფრიკაშიც. 1962 წლის 13 სექტემბერს აფრიკის 12-მა სახელმწიფოს (ბენინის სახალხო რესპუბლიკა, გაბონი, ზემო ვოლტა, კამერუნი, კონგო, მავრიტანია, მალაგასის რესპუბლიკა, ნიგერია, სენეგალი, სპილოს ძვლის ნაპირი, ჩადი, ცენტრალური აფრიკის იმპერია ბანგი) ხელი მოაწერა ლიბრევილში აფრიკა-მალაგასის შეთანხმებას. ამ შეთანხმების საფუძველზე ქ. იაუნდაში (კამერუნი) შექმნილი იყო ერთიანი საპატენტო უწყება, რომელიც შეთანხმების მონაწილე ქვეყნებში გასცემს მოქმედ პატენტებს. ეს პატენტები გაიცემა და მოქმედებს შეთანხმებით დადგენილ, ერთიანი ნორმების საფუძველზე. მოგვიანებით კონვენციას შეუერთდნენ აფრიკის სხვა სახელმწიფოებიც. გარდა ამისა, გამოგონებათა დაცვისა და სამრეწველო საკუთრების სხვა სახეების სფეროში რამდენიმე შეთანხმება მოქმედებს სხვა კონტინენტებზეც. ყველა მათი მთავარი მიზანია კეთილსასურველი პირობები შექმნან გამოგონებათა საზღვარგარეთ — შეთანხმების მონაწილე ქვეყნებში — დაპატენტებისათვის. თითოეული შეთანხმების ამ ძირითადი დებულების თანახმად პრიორიტეტის უფლება ისეთივეა, როგორც ეს პარიზის კონვენციითაა დადგენილი. ასეთ შეთანხმებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია პანამერიკული კონვენცია, რომელიც დაიდო 1910 წელს ბუენოს-აირესში. მასში თავდაპირველად მონაწილეობდა 14 ქვეყანა (აშშ, ბოლივია, ბრაზილია, გვატემალა, ჰონდურასი, დომინიკელთა რესპუბლიკა, ეკვადორი, კოსტა-რიკა, კუბა, მექსიკა, ნიკარაგუა, პანამა, პარაგვაი, პაიტი). გარკვეული მნიშვნელობა აქვს 1955 წლის 15 მაისის კანბერის კონვენციას, რომელიც აერთიანებს 8 სახელმწიფოს: ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, დიდ ბრიტანეთს, ინდოეთს, ირლანდიას, კანადას, პაკისტანსა და შრი-ლანკას.

უდიდესი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც სხვადასხვა კონტინენტსა და მრავალ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ რეჟიმს აერთიანებს, გახლავთ მოლაპარაკება საპატენტო კოოპერაციის შესახებ (Patent cooperation Treaty). ამ მოლაპარაკებას ხელი მოაწერეს 1970 წლის 10 ივლისს ვაშინგტონში და მის მთავარ მიზანს.

წარმოადგენდა გამოგონებათა ესპერტიზის ჩამტარებელი ქვეყნების საპატენტო უწყებების სამუშაოთა შემცირების აუცილებლობა. მოლაპარაკებით გათვალისწინებული იყო საპატენტო უწყებების მიერ საპატენტო განცხადების შეტანისა და განხილვის სამუშაოთა კოოპერირება.

მოლაპარაკება ძალაში შევიდა 1978 წლის 24 იანვარს. ესაა სპეციალური საერთაშორისო შეთანხმება პარიზის კონვენციის ფარგლებში სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ და მასში 1991 წლის 1 ივნისისათვის მონაწილეობდა 49 სახელმწიფო. ამ მოლაპარაკების მონაწილე იყო ყოფილი სსრ კავშირი. დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში, ამ შეთანხმების, ისევე როგორც ბევრი სხვა შეთანხმების წევრი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, გახდება საქართველო.

ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის ორგანიზაციის შექმნის შესახებ შეთანხმება დადებულ იქნა 1977 წელს და იგი ძალაში შევიდა 1982 წელს. ამჟამად მისი წევრია აფრიკის კონტინენტის 13 ქვეყანა. გამოგონებაზე განაცხადი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის ორგანიზაციის ცენტრალურ ბიუროში უნდა იქნეს შეტანილი, ითვლება, როგორც ეროვნული განაცხადი შეთანხმების მონაწილე ყველა ქვეყნისათვის.

სამრეწველო საკუთრების დაცვის აფრიკის რეგიონალური ორგანიზაციის შექმნის შესახებ ხელშეკრულება დაიდო 1976 წელს, ძალაში შევიდა 1984 წელს. ამჟამად მასში გაერთიანებულია აფრიკის კონტინენტის 9 სახელმწიფო.

1994 წლის 9 სექტემბერს ქ. მოსკოვში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებმა განიხილეს ევრაზიის საპატენტო კონვენციის პროექტი.

საქართველოს მომავალ გაწევრიანებასთან დაკავშირებით ამ კონვენციაში, საჭიროა აღინიშნოს, ზოგიერთი მომენტი. ევროპ. კონვენცია არ წარმოადგენს საერთაშორისო საპატენტო კანონს. კონვენციაში გაეწევრებინა არ ხსნის საჭიროებას გამოგონებების სხვა ქვეყნებში დაპატენტებაზე, უფრო მეტი, კონვენციის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა მდგომარეობს პრიორიტეტის უფლების მინიჭებაში, თანახმად პარიზის კონვენციისა.

ევრაზიის საპატენტო კონვენციაში მონაწილეობა ხელს უწყობს სამრეწველო ექსპორტის საპატენტო დაცვის უზრუნველყოფას. იმ

ნაკეთობათა ბაზარზე განმტკიცებას, რომლებზეც გაკეთებულია განაცხადები და მიღებულია პატენტები. ასეთი დაცვა შესაძლებლობას არ აძლევს სხვა ქვეყნების საწარმოებსა და ფირმებს არა მარტო აწარმოონ ანალოგიური ნაკეთობები ქვეყანაში, სადაც უზრუნველყოფილია მათი დაცვა, არამედ შეიტანონ იქ ანალოგიური ნაკეთობები. როგორც ითქვა, გარდა იმისა, რომ საზღვარგარეთ დაპატენტებას ეწყობა ხელი — მათი მიზანმიმართულად წარმართვის გზით, გამოირიცხება ამ სამუშაოებზე უსაფუძვლოდ ხარჯების გაღება. საბოლოო ჯამში კი ეს თავის მხრივ გამოიწვევს საქართველოს გამოგონებებზე საპატენტო ლიცენზიებით ვაჭრობის გაფართოებას, რამდენადაც გამოგონების საპატენტო დაცვა წარმოადგენს საპატენტო ლიცენზიის გაყიდვის ერთ-ერთ ძირითად აუცილებელ პირობას.

კონვენციაში გაწვევრიანებით საქართველოში შექმნილი გამოგონებების ევრაზიის საპატენტო კონვენციის მონაწილე ქვეყნებში დაპატენტების პირობები შეიცვალა. არსებული პრაქტიკით გამოგონების დაპატენტებაზე საზღვარგარეთ უარის საფუძველს წარმოადგენს გამოგონებაზე ცნობების გამოქვეყნება, ან პატენტის გაცემა. ახლა, კონვენციური პრიორიტეტის გამოყენებით ასეთი მდგომარეობა პატენტის გაცემისათვის არ იძლევა ამის საფუძველს.

კონვენციაში გაწვევრიანებამდე, საქართველოს თითოეული გამოგონების დაპატენტებაზე საჭირო იყო განაცხადის ერთდროულად შეტანა ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ეს დაპატენტება იყო მიზანშეწონილი. ახლა ეს შეიძლება გაკეთდეს დიფერენცირებულად, ერთწლიანი ვადის საზღვრებში; დაპატენტებისას ძირითადი ყურადღება ეთმობოდა იმას, რომ რაც შეიძლება მალე შეტანილიყო განაცხადი საზღვარგარეთ და უზრუნველყოფილიყო გამოგონების სრული დაცვა. ეს პროცესი თეორიულად უნდა ჩატარებულყო მანამდე, ვიდრე ყველა ამდაგვარი განაცხადები იქნებოდა შეტანილი და ეს ზოგჯერ ხდებოდა პატენტის გაცემამდეც. კონვენციაში გაწვევრიანების შემდეგ კი სემპიმის ცენტრი გადატანილია გამოგონების საზღვარგარეთ დაპატენტებისა და იმ ქვეყნების წრის მიზანშეწონილობის გულდასმით განსაზღვრაზე, სადაც ასეთი დაპატენტება უნდა იყოს განხორციელებული.

კონვენციაში გაწვევრიანების შემდეგ მეტ მნიშვნელობას იძენს ორგანიზაციებში, საწარმოებსა თუ ფირმებში გამოგონებათა თავისდროული გაფორმება. განაცხადი გამოგონებაზე შეტანილ უნდა იქ-

ნეს-დადგენილი წესით დაუყოვნებლივ ცალკეული ტექნიკური ანდა ტექნოლოგიური გადაწყვეტის დამთავრებისთანავე. არ უნდა დაელოდოთ თემის ან დამუშავების მთლიანად დამთავრებას; რაც უფრო ადრე იქნება შეტანილი ჩვენს საპატენტო უწყებაში განაცხადი, მით უფრო მეტი შესაძლებლობაა მიღებულ იქნეს საზღვარგარეთ პატენტი, რამდენადაც ამ კონვენციის ძალით საზღვარგარეთ დაპატენტების პრიორიტეტი განისაზღვრება ჩვენს საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანის თარიღით. ამრიგად გამოგონების დროული გამოვლენა და ჩვენს საპატენტო უწყებაში მასზე განაცხადის შეტანა დაყოვნების გარეშე, ხელს შეუწყობს იმ უპირატესობათა რეალიზაციას, რომელსაც იძლევა ევრაზიის საპატენტო კონვენციით გათვალისწინებული სამრეწველო საკუბთრების, დაცვის პარიზის კონვენციის პრიორიტეტის უფლება.

თუმცა, ყველა ის უპირატესობა, რომელსაც იძლევა ევრაზიის საპატენტო კონვენციაში გაერთიანება შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული მხოლოდ იმ პირობებში, თუ ორგანიზაცია, რომელიც დაკავებულია გამოგონებათა დაპატენტებისათვის ყველა აუცილებელი დოკუმენტების მომზადებით, ყველა გათვალისწინებულ სამუშაოს ჩაატარებს. პრიორიტეტის ვადების საზღვრებში.

ევრაზიის საპატენტო უწყებაში გამოგონებაზე განაცხადის შეტანისა და პატენტის მიღების, კონვენციის მონაწილე ქვეყანაში ან ქვეყნებში მისი ძალაში დატოვების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს ამ დაპატენტების მიზანშეწონილობის განსაზღვრა, რომელიც გამართლებული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა არის გამოგონებათა კომერციული რეალიზაციის წინაპირობა, როცა მას საფუძვლად უდევს განსაზღვრული ეკონომიკური ინტერესები (გამოგონებაზე ლიცენზიის გაყიდვა, მოწყობილობათა ან სხვა ნაყოთობათა სავარაუდო საქსპორტო მიწოდება, საწარმოთა მშენებლობაში ტექნიკური ხელშეწყობის განხორციელება და ა. შ.).

დაპატენტებისათვის სხვა პირობას წარმოადგენს სავარაუდო გამოგონების სიახლეზე ექსპერტიზის ჩატარება. არსებული შეღავათების გამოყენება, რომელსაც იძლევა ევრაზიის საპატენტო კონვენციის წევრობა, შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამდგვარი ექსპერტიზა არა მარტო მკიდრო ვადებში იქნება ჩატარებული, არამედ თანამედროვე მოთხოვნების დონეზეც; გამოგონებათა განაცხადების ექსპერტიზის ხარისხი, იმ შემთხვევაში, იქნეს განსაკუთრებულ მნიშვნელო-

ბას, რამდენადაც თუ უსაფუძვლოდ უარვყავით განაცხადი, მაშინ ვერ დავამკვიდრებთ პატენტიდან გამომდინარე უფლებებს, ხოლო თუ არასწორად დადებითად შევაფასეთ ჩვენი გამოგონების სიახლე, მაშინ კი გაუმართლებელ დანახარჯებთან გვექნება საქმე. ამიტომ ძალზე დიდი როლი შეიძლება შეასრულოს ადგილზე ჩატარებულმა კარგად ორგანიზებულმა წინასწარმა ექსპერტიზამ, თუმცა ჩვენი გამოგონებების წინაშე 1992 წლის მოქმედი დებულებით გამოგონების სიახლისადმი წაყენებული დადგენილი მოთხოვნები ამ მიმართულებით შეიძლება საეჭვოდ მივიჩნიოთ. ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინონ ცალკეულმა ორგანიზაციებმა, საწარმოებმა. ფირმებმა და გამოგონებათა წინასწარ ესპერტიზას სერიოზულად მოეკიდონ, რამდენადაც ეს მათი კომერციული ინტერესებიდან გამომდინარეობს.

კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ცალკეული საწარმოს, ფირმის, კოოპერატივის და პირის უპირველესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საზღვარგარეთ დაპატენტებისას გამოგონებათა შერჩევას დროს, ძირითადი ყურადღება უნდა გაამახვილოს მათს მნიშვნელობაზე, ჯეროვნად დაასაბუთოს ასეთი დაპატენტების მიზანშეწონილობა, მოაწადოს და გააფორმოს ყველა აუცილებელი დოკუმენტი დადგენილი წესებითა და ვადებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უპირატესობანი, რომელსაც იძლევა ევრაზიის საპატენტო კონვენცია და სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციიდან გამომდინარე პრიორიტეტის უფლება, არ იქნება გამოყენებული და მან შესაძლოა უარყოფითი იურიდიული და ეკონომიკური შედეგი გამოიღოს.

ევრაზიის საპატენტო კონვენციის თანახმად მისი შედეგათები, გამოგონებათა დაპატენტების დროს, ვრცელდება ურთიერთცნობის საფუძველზე, კონვენციის მონაწილე ქვეყნებზე. ეს ნიშნავს, რომ უცხოური განაცხადის პრიორიტეტი საქართველოში განსაზღვრული იქნება კონვენციის მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში განაცხადის შეტანის თარიღის მიხედვით.

უფრო მეტი, იმ გამოგონების გამოყენება საქართველოში, რომელზეც ევრაზიის კონვენციური განაცხადითაა გაცემული საქართველოს პატენტი. შესაძლებელი იქნება მხოლოდ უცხოელი პატენტის მქონებლისაგან მასზე საპატენტო ლიცენზიის ყიდვის შემდეგ. ეს ვითარება ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დაუყოვნებლივ შევიტანოთ განაცხადი გამოგონებაზე, რო-

მელიც იქმნება ჩვენს ორგანიზაციებსა და საწარმოებში დამუშავების ცალკეულ სტადიებზე. მაგალითად, როცა კონვენციის მონაწილე რომელიმე ქვეყანაში კეთდება ისეთი დამუშავება, რომელიც ანალოგიურია საქართველოში წარმოებელისა და ორივე მათგანი დამთავრებულია ერთობლივად, მაგრამ უცხოელმა ორგანიზაციამ ან ფირმამ თავის ქვეყანაში შეიტანა განაცხადი უფრო ადრე, ვიდრე ჩვენმა ორგანიზაციამ ან საწარმომ საქართველოში, მაშინ ეს უცხოური ორგანიზაცია ან ფირმა შეძლებს გამოიყენოს უფლება კონვენციურ პრიორიტეტზე საქართველოში და მიიღოს თავის გამოგონებაზე ქართული პატენტი.

ევრაზიის საპატენტო კონვენციის წევრობა ხელმისაწვდომს ხდის ვისარგებლოთ საპატენტო ინფორმაციის იმ მასალებით, რომლებსაც ვამოსცემს ეს ორგანიზაცია რუსულ ენაზე. აპრიგად ეს მიზლინარე საინფორმაციო გამოცემები შეაჯსებს საპატენტო დოკუმენტაციის იმ მდიდარ რეტროსპექტულ მასალებს, რომლებიც დაცული და სისტემატიზებულია გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკურ ბიბლიოთეკაში.

აუცილებლივ უნდა ითქვას და გათვალისწინებულ იქნეს ისიც, რომ ევრაზიის საპატენტო კონვენციის უპირატესობებს უფრო წარმატებით გამოიყენებს და რეალიზებას გაუკეთებს უმთავრესად ის ქვეყნები, რომლებიც შეძლებენ უახლოეს დროში მრეწველობის ამუშავებას და შესაბამისად ექნებათ ტექნიკის მაღალი დონე, სადაც სათანადო ყურადღებას მიაქცევენ საპატენტო-საინფორმაციო საქმიანობის კარგად ორგანიზებას, სადაც მაღალი მოთხოვნებია წაყენებული გამოგონებების, განსაკუთრებით მათი სიხლის მიმართ. ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნები კი, არასახარბიელო მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდნენ. მაგალითად, კონვენცია არ იძლევა ეფექტურ საშუალებებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების ბლოკირებასთან ბრძოლისათვის ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. ამისთანას ხშირად აქვს ადგილი ხოლმე, როცა ხდება გამოგონების დაპატენტება და მათი შეძგომი გამოყენება არ ხორციელდება. სწორედ ამ უკანასკნელს უნდა მიეჭეს განსაკუთრებული ყურადღება ჩვენს პირობებში, რადგან ამდაგვარი ერთგვარი „მონოპოლიზმი“, რასაც ხელს უწყობს პატენტების გაცემის ჩვენში მოქმედი „გაადვილებული პროცედურა“, შესაძლოა არ წაადგეს მრეწველობისა და მეწარმოების განვითარებას.

II. გამოგონება, როგორც უზღებრივი დაცვის ობიექტი:

გამოგონების კრიტერიუმები; გამოგონებათა სახეები; გამოგონების სიახლე; გამოგონების სიახლის გამბათილებელი ინფორმაციის წყაროები; ტერიტორია, რომლის საზღვრებშიც გამოგონების არსის განხილვა აბათილებს მის სიახლეს; დროის მომენტი, რომლითაც განისაზღვრება გამოგონების სიახლე; სამრეწველო გამოყენებადობა-სარგებლიანობა; საგამომგონებლო შემოქმედება (არასიაშკარავე); გამოგონების არასიაშკარავის ცნება; არასიაშკარავის განსაზღვრის პრაქტიკული წესები; გამოგონების სიახლისა და არასიაშკარავის თანაფარდობა; არაარაპატენტუნარიანი გამოგონებები.

საპატენტო სამართლის ობიექტს წარმოადგენს გამოგონება. ნებისმიერი საპატენტო სისტემისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს „გამოგონების“ ცნების განსაზღვრას, რამდენადაც, სახელობრ მისი შინაარსით დგინდება საპატენტო უფლების მოქმედების სფერო.

დადგენილი პატენტუნარიანობის მიმართ თითქმის ყველა ქვეყნის საპატენტო კანონებისათვის განმსაზღვრელი ძირითადად ერთი და იგივე კრიტერიუმია. ესენია: სიახლე, სამრეწველო გამოყენებადობა, სარგებლიანობა, საგამომგონებლო შემოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ მათ სხვადასხვაგვარი სახელწოდება აქვთ და სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ცნებისა და შინაარსის შემცველნი არიან, ისინი მაინც ძირითად კრიტერიუმებადაა მიჩნეული, რომელთა მიხედვითაც ხდება გამოგონების საპატენტო დაცვა; კერძოდ, აშშ-სა და ინგლისში საგამომგონებლო შემოქმედების კრიტერიუმში „არასიაშკარავედ“ იწოდება გერმანიაში — „გამოგონების სიმალლედ“; იაპონიაში მიჩნეულია „ზიადალი დონის იდეის“ გამომხატულებად, შვეიცარიაში — „არსებით განსხვავებებად“. ცალკეულ ქვეყნებში სიახ-

ლის შინაარსისა და კრიტერიუმების მიხედვით გარკვეული განსხვავებები მაინც არსებობს.

ამასთან ერთად კანონით დაწესებულია შეზღუდვები იმ ობიექტების მიმართ, რომლებშიც თავის ასახვას პოვენს გამოგონება. ზოგიერთი ობიექტი, საერთოდ გამოირიცხება დასაპატენტებელთა რიცხვიდან, სხვების მიმართ კი წაყენებულია განსაკუთრებული მოთხოვნები. ზემოთ აღნიშნული მდგომარეობა მაშინ წარმოიქმნება, როცა გამოგონება, მართალია, პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს პასუხობს, მაგრამ მისი ობიექტი არ მიეკუთვნება საპატენტო უფლებით დაცულთა რიცხვს, ე. ი. მასზე პატენტი არ იქნება გაცემულ. სხვადასხვა ქვეყანაში ასევე არ არის ერთნაირი უფლებრივად დაცული ობიექტების წრე.

საგამომგონებლო იდეა ასახვას პოულობს ან ბუნებაში, ადრე, საერთოდ არარსებულ და მხოლოდ გამომგონებლის შემოქმედებითი ფანტაზიის წყალობით წარმოქმნილ მატერიალურ საგანში, ან როგორც ხელოვნურად შექმნილ, ისე აღამიანთა ნება-სურვილის გარეშე მატერიალურ საგნებზე შემოქმედების ხერხში, ე. ი. გამოგონების. ობიექტებს წარმოადგენს ნაკეთობები (პროდუქტები) და მოქმედების ხერხები. ისინი ძირითად კატეგორიებს წარმოადგენენ.

საპატენტო სამართალში, როგორც წესი, უფრო დეტალური კლასიფიკაცია გამოიყენება. ზემოთ დასახელებული კრიტერიუმებიდან გამოიყოფა საგამომგონებლო შემოქმედებაში უფრო გავრცელებული ან უფლებრივ ურთიერთობაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ცალკეული სახეები. ბევრ ქვეყანაში ნივთიერება განიხილება როგორც გამოგონების ობიექტის განსაკუთრებული სახე. აშშ-ში, კანადაში, მექსიკაში, გარდა ნივთიერებისა, ცალკეულ კატეგორიებს შეადგენენ მანქანები.

ამჟამად მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში არსებობს გამოგონების ობიექტების შემდეგი ძირითადი სახეები: ნაკეთობა (პროდუქტი), ნივთიერება, ხერხი, გაუმჯობესება, ცნობილი ნაკეთობის, ნივთიერების, ხერხის ახლებური გამოყენება. ამისდა შესაბამისად მიღებულია გამოგონებების სხვადასხვა სახედ დაყოფაც — გამოგონება ნაკეთობაზე, გამოგონება ნივთიერებაზე, გამოგონება ხერხზე, გამოგონება „ახალი დანიშნულებით გამოყენებაზე“; ზოგიერთ ქვეყანაში გამოგონების ცალკე სახედ გამოიყოფა — ნაკეთობის, ნივთიერების, ხერხის გაუმჯობესება.

გამოგონებათა დაყოფას ობიექტების სახეებად, რომლებშიც გამოგონებლის შემოქმედებითი საქმიანობა აისახება, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. გამოგონებების სხვადასხვა სახისადმი პატენტუნარიანობის მიმართ მოთხოვნები ერთნაირი არაა, სხვადასხვაგვარად დგება გამოგონების აღწერილობა, საპატენტო ფორმულები, სხვადასხვაგვარად ხდება საპატენტო დაცვის მოცულობის, პატენტის დარღვევის განსაზღვრა. მთელ რიგ ქვეყნებში (არგენტინა, აშშ, ევროპის არაბთა რესპუბლიკა, ერაყი, ინდოეთი, ირანი, კანადა, რუსეთი, საქართველო, შვეიცარია და სხვა) პატენტუნარიანი გამოგონებების სახეების ნუსხები ჩართულია საპატენტო კანონებში. ეს ნუსხები სრულიად განსხვავებულია. მაგალითად, აშშ-ის საპატენტო კანონი ადგენს, რომ პატენტი შეიძლება გაიცეს „ნებისმიერ ახალ და სასარგებლო ხერხზე, მანქანაზე ან ნივთიერების შედგენილობაზე, ან მათს ნებისმიერ ახალ და სასარგებლო გაუმჯობესებაზე“. ნიდერლანდის კანონი ასახელებს სამ სახეს: პროდუქტს, ხერხს და მათს გაუმჯობესებას; იტალიის საპატენტო კანონში გამოგონებათა ობიექტების სახით გათვალისწინებულია: ხერხები, მანქანები, ინსტრუმენტები, ჩარხები, აპარატები, პროდუქტები, ნაკეთობები. მეცნიერული პრინციპების გამოყენებითი შედეგები, რუსეთის საპატენტო კანონით გამოგონების ობიექტები შეიძლება იყოს: მოწყობილობა, ხერხი, ნივთიერება, მიკროორგანიზმის შტაბი. მეცნიერთა და ცხოველთა უჯრედების კულტურები, აგრეთვე აღრე ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, შტაბის ახალი დანიშნულებით გამოყენება. საქართველოს დებულებით „გამოგონების შესახებ“ გამოგონების ობიექტებად ითვლება: მოწყობილობა, ხერხი, ნივთიერება, მიკროორგანიზმთა შტაბი, ცხოველთა, მეცნიერთა, ქსოვილთა კულტურა, აგრეთვე მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების და მიკროორგანიზმის შტაბის ახალი დანიშნულებით გამოყენება. ავსტრიის, არგენტინის, გერმანიის, იაპონიის, საფრანგეთის, დანიის, ნორვეგიის, ფინეთის, შვეციის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის საპატენტო კანონები განსაზღვრავენ გამოგონებათა მხოლოდ ძირითად სახეებს (ნაკეთობებსა და ხერხებს), მათ პატენტუნარიანობის კრიტერიუმის მნიშვნელობას არ ანიჭებენ და ამომწურავ ნუსხას არ ადგენენ.

კანონები, იშვიათ გამოჩაყლის გარდა, არ ხსნიან გამოგონებათა ცალკეული სახეების ცნების შინაარსს, ის დგინდება საპატენტო უწყებებისა და სასამართლოების პრაქტიკით.

ნაკეთობის ან პროდუქტის სახით იგულისხმება ნებისმიერი ხელოვნურად შექმნილი საგანი. ესენია სხვადასხვაგვარი მოწყობილობები, კონსტრუქციები, მანქანები, ჩარხები, აგრეგატები, ინსტრუმენტები და ა. შ. ამერიკული პრაქტიკა, მაგალითად, შეიცავს ისეთ სხვადასხვაგვარ ობიექტებს, როგორცაა სამშენებლო კონსტრუქციები (გაცემული იყო პატენტები ვაგონრესტორნის შიგნით სათავსების განლაგებაზე, სახურავის კონსტრუქციებზე, ხიდის თალებზე), საქმიანი ბლანკები, გადაცემის ბილეთები, სარკინიგზო და სახომალდო ზედნადებები, ქიმიური შენაერთების კრისტალთა ახალი ფორმები, სასტამბო შრიფტები. გერმანიაში „პროდუქტების“ კატეგორიად მიიჩნეული იყო რადიომიმღების აწყობის სკალა, სპეციალური დანიშნულების ლაკმუსის ქაღალდი, წიგნის ყუაზე სინათლის სპექტრის გამოსახულება.

„ნაკეთობის“ ცნების შინაარსი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. როგორც ზემოთაღნიშნა, ბევრ ქვეყანაში ჩამოთვლილი კატეგორიებიდან გამოიყოფა ნივთიერებანი, ხოლო ზოგიერთში (აშშ, იტალია, კანადა, ჩილი და სხვა) — მანქანები, მაგალითად, აშშ-სა და კანადაში ნაკეთობად იგულისხმება ნებისმიერი დამზადებული პროდუქტი, მანქანების გამოკლებით, ერთი მხრივ, და ნაკეთობის შედგენილობა, მეორე მხრივ, „მანქანის“ ცნებას აკუთვნებენ ნებისმიერ საგანს, რომლის დახმარებითადაც შეიძლება შესრულდეს სასარგებლო სამუშაო.

ნივთიერებად მიიჩნევა ორი ან მეტი ელემენტისაგან შემდგარი ნებისმიერი ნაერთი, მისი მიღების ხერხისაგან დამოუკიდებლად იქნება ეს ქიმიური თუ მექანიკური, აგრეთვე მათი აირი, თხევადი ან მყარი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად. ობიექტების ამ სახეს, როგორც წესი, აკუთვნებენ ხელოვნურად შექმნილ ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც ბუნებაში არ გვხვდება. ბუნებაში არსებული ნივთიერებები შეიძლება დაპატენტებული იყოს, თუ ისინი პირველად წმინდა სახით იქნებიან მიღებული, მაშინ როცა ეს ნივთიერებები ბუნებაში მხოლოდ ნაერთების ან სხვა ნივთიერებებთან ნარევის სახით არსებობენ — მაგალითად, ადრენალი, აგრეთვე ალმასების მალაქიტის და სხვათა სახით არსებული ნაერთები, რომლებიც ბუნებაში იშვიათად გვხვდება.

იმ ქვეყნებში, სადაც კანონი არ გამოყოფს ნივთიერებებს გამოგონებათა განსაკუთრებულ ნაირსახეობაში, პრაქტიკაში, იურიდიული

თვალსაზრისით კანონით ასეთი გამოყოფა მაინც ხორციელდება, რამდენადაც ამ დარგებს მიკუთვნებული ზოგიერთი გამოგონების ნაირსახეობები (ქიმიური გზით მიღებული ნივთიერებები, სამედიცინო პრეპარატები, კვების პროდუქტები) ექვემდებარება დაპატენტებისა და საპატენტო დაცვის განსაკუთრებულ რეჟიმს.

ხერხი გულისხმობს საგნებზე ან ნივთიერებებზე ზემოქმედებას ან ზემოქმედებათა სერიას, რაც მიმართულია მათი სრულიად ახალ მდგომარეობაში ანდა საგნებად და ნივთიერებებად გარდასაქმნელად. ხერხი ხასიათდება ოპერაციების ან ტექნოლოგიური რეჟიმების განსაკუთრებული თანამიმდევრობით. განასხვავებენ მექანიკურს (მაგალითად, მანქანის აგრეგატით მართვის ხერხს, ენერჯის გარდაქმნისა და გადაცემის ხერხს და ა. შ.), ქიმიურს (შიგამოლეკულური გარდაქმნის კგზით ნივთიერებათა შიღების ხერხს), სამედიცინოს (ავადყოფთა მკურნალობისა და დიაგნოსტიკის ხერხებს), ბიოლოგიურს (მიკროორგანიზმების გამოყვანის ხერხს).

ზოგიერთი ქვეყნის (აშშ, ინდოეთი, კანადა, ნიდერლანდი და სხვა) კანონებში გამოგონების განსაკუთრებულ სახეს ეწოდება გაუმჯობესება. გაუმჯობესება—ესაა ცნობილი ნაკეთობის, ხერხის, ნივთიერების ცვლილება მისი ინდივიდუალური თვისებების შენარჩუნებით, იმ თვისებისა, რომლებიც მოცემულ ობიექტს მატერიალური სამყაროს სხვა ობიექტების მასისაგან გამოყოფენ, გაუმჯობესების შედეგად არც ახალი საგანი იქმნება და არც ტექნიკური პროცესი ვითარდება, არამედ უკვე ცნობილი ობიექტი იღებს ახალ თვისებებს. მაგალითად, ედისონის მიერ გამოგონებული ვარჯარის ნათურა წარმოადგენდა ადრე არარსებული ახალი ობიექტის შექმნას. ფირმა „ჯენერალ ელექტრიკმა“ ედისონის ვარჯარის ნათურის ნერტული აირით შევსების გზით მოახდინა მისი მოდიფიკაცია, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ნათურის ხარისხი და გაზარდა სამსახურის ვადა. აღნიშნული ცვლილება წარმოადგენს გაუმჯობესებას, რამდენადაც იგი ობიექტის არსებით მახასიათებლებს ეხება კი და მნიშვნელოვნადაც აუმჯობესებს მის თვისებებს. მაგრამ ამით მხოლოდ მისთვის — ამ ობიექტისათვის დამახასიათებელ თვისებებს არ უკარგავს.

გაუმჯობესება ყოველთვის მიეკუთვნება ერთ-ერთ დასახელებულ ობიექტს, კერძოდ, ნაკეთობას, ნივთიერებას ან ხერხს, ე. ი. გამოგონების ობიექტს წარმოადგენს ერთ-ერთი ამ სახეობიანი. გამოგონების თვით დასახელება — „გაუმჯობესება“ მხოლოდ იმაზე მეტყვე-

ლებს, რომ საგამომგონებლო იდეის შედგენად ახალი სახე კი არ წარმოიქმნება, არამედ ცნობილი საგნები (ხერხები) იძენენ ახალ თვისებებს.

ბევრ ქვეყანაში (არგენტინა, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა, იტალია, რუსეთი, საფრანგეთი, საქართველო, შვეიცარია) გამოგონებათა განსაკუთრებულ სახეს მიეკუთვნება ისეთი გამოგონებები, რომელთა არსსაც უკვე ცნობილი ნაკეთობის, ხერხის ან ნივთიერების ახალი დანიშნულებით გამოყენება წარმოადგენს. რუსეთის საპატენტო კანონით გამოგონების ობიექტად იგულისხმება აღრე უკვე ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, შტამის ახალი დანიშნულებით გამოყენება; საქართველოს დებულებით „გამოგონების შესახებ“ გამოგონების ობიექტია: მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერებისა და მიკროორგანიზმის შტამის ახალი დანიშნულებით გამოყენება.

ზოგიერთ ქვეყანაში (თურქეთი, მაროკო, სირია, ტუნისი და სხვა) კანონი პატენტუნარიანად მიიჩნევს მხოლოდ ხერხის „ახლებულ გამოყენებას“ და არ გაიცემა პატენტები ნაკეთობის, ნივთიერების „ახლებულ გამოყენებაზე“. აშშ-ში, კანადაში, მექსიკაში ცნობილი მანქანის, ხერხის, ნივთიერების შედგენილობის ან ნაკეთობის „ახალი გამოყენება“, როგორც ასეთი, საერთოდ, არ შეიძლება დაპატენტდეს, რამდენადაც კანონი დასაპატენტებელი ობიექტების ამომწურავ ნუსხვას შეიცავს და მათ შორის არ არის ეს სახე. მაგრამ „ახალი გამოყენება“ აშშ-სა და კანადაში შეიძლება დაპატენტდეს თუ იგი განცხადებულია როგორც ხერხი.

ყველა ქვეყნის საპატენტო სამართლით გამოგონების პატენტუნარიანობის პირობებს შორის პირველ ადგილზე დგას სიახლე; ამასთან, სიახლის მოთხოვნას შეიცავს თვით საპატენტო კანონის ტექსტი. მაგალითად, გერმანიის საპატენტო კანონი ადგენს, რომ „პატენტები გაიცემა ახალ გამოგონებებზე“. თანახმად აშშ-ის საპატენტო კანონმდებლობისა პატენტი შეიძლება გაიცეს მხოლოდ „ახალ... ხერხზე, მანქანაზე, ნაკეთობაზე, ნივთიერების შედგენილობაზე ან მათს ახალ გაუმჯობესებაზე“.

სიახლე დგინდება ცოდნის სხვადასხვა სახის ერთობლიობის, ე. წ. „ტექნიკის დონის“ მიმართ. ამოკანის გადაწყვეტა სიახლედ მიიჩნევა, თუ იგი ტექნიკის დონის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს. სიახლის განსაზღვრა მოცემულია მთელი რიგი ქვეყნების საპატენტო

კანონებში. მაგალითად, საფრანგეთის საპატენტო კანონი ადგენს: „გამოგონება სიახლეს წარმოადგენს, თუ იგი არ შეიცავს არაებულ ტექნიკის დონეს“.

მაშასადამე, იმისათვის რომ დადგინდეს, რას წარმოადგენს სიახლე, აუცილებელია უპირველეს ყოვლისა განისაზღვროს „ტექნიკის დონის“ ცნების შინაარსი.

საფრანგეთის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების საპატენტო კანონებში მოცემულია ტექნიკის დონის საერთო განსაზღვრა. მაგალითად, საფრანგეთის კანონის თანახმად „ტექნიკის მდგომარეობა განისაზღვრება ყოველივე იმით, რაც ცნობილი და საერთოდ ხელმისაწვდომი იყო წერილობითი ან ზეპირი აღწერის, გამოყენების, ან ნებისმიერი სხვა გზით და საშუალებით პატენტზე განაცხადის შეტანამდე“.

საქართველოს დებულებით „გამოგონების შესახებ“ ტექნიკის არსებული დონე გულისხმობს ყოველივე იმას, რაც ცნობილი გახდა ფართო წრისათვის წერილობით ან ზეპირი აღწერის, ან საჯარო გამოყენების, ან სხვა გზით, პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღამდე.

გამოგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ იგი სპეციალისტისათვის აშკარად არ გამოდგინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან“.

რუსეთის საპატენტო კანონით „გამოგონებას მიეცემა უფლებრივი დაცვა, თუ იგი სიახლეს წარმოადგენს. აქვს საგამომგონებლო დონე და სამრეწველოდ გამოყენებადია. გამოგონება სიახლედ ჩაითვლება, თუ იგი ტექნიკის დონის შესახებ მონაცემებიდან არ არის ცნობილი.

ტექნიკის დონის შესახებ მონაცემები მოიცავენ ნებისმიერ ცნობებს, რომლებიც, საერთოდ, ხელმისაწვდომი გახდა მსოფლიოში გამოგონების პრიორიტეტის თარიღამდე.

გამოგონების სიახლის დადგენისას ტექნიკის დონის შესახებ მონაცემებში შედის ადრე შეტანილი გამოლტხოვი განაცხადები გამოგონებებზე და სხვა ავტორთა სასარგებლო მოდელები, აგრეთვე რუსეთის ფედერაციაში დაპატენტებული გამოგონებები და სასარგებლო მოდელები (დადგენილი პრიორიტეტის თარიღიდან).

გამოგონებას სამრეწველოდ გამოყენებადი ეწოდება, თუ იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს მრეწველობაში, სოფლის მეურნე-

ობაში, ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში და სამეურნეო საქმიანობის სხვა დარგებში“.

თუმცა უმეტესი ქვეყნების საპატენტო კანონები ტექნიკის დონის ზოგადი განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა. სიახლე სწორად, იმ მდგომარეობათა ჩამოთვლის გზით დგინდება, რომელთა წყალობით ამოცანის განსახილველი გადაწყვეტა ცნობილი გახდა მოცემული ქვეყნის სამართლებრივი კანონმდებლობის თვალსაზრისით. მაგალითად, ავსტრიის საპატენტო კანონით „გამოგონება“... სიახლედ არ ითვლება, თუ განაცხადის შეტანის თარიღამდე იგი აღწერილი იყო ბეჭდურ პუბლიკაციებში იმ სახით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სპეციალისტის მიერ მისი გამოყენება: ან გამოყენებული და დემონსტრირებული ყოფილიყო გამოფენაზე ავსტრიაში იქნებულ ხელმისაწვდომად, რომ სპეციალისტებს მისი გამოყენების შესაძლებლობა მისცემოდათ. ან იყო პატენტის ან მოცემული კანონის შესაბამისად მოქმედი სსსარგებლო მოდელის მოწმობის საგანი და წარმოადგენდა საზოგადოებრივ მიღწევას“

სხვა ქვეყნების კანონები შეიცავენ იმ მდგომარეობის მეტ ან ნაკლებ დეტალურ ნუსხას რომელიც ამოცანის გადაწყვეტას ცნობილს ხდის. იგი ერთობლიობაში წარმოადგენს ისეთი ტექნიკის დონის დადგენის საფუძველს, რომლის მიმართაც განიხილვრება სიახლე მოცემულ ქვეყანაში.

როგორც ჩანს, ზემოთ განხილულ კანონთა შესაბამისად, ტექნიკის დონე დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე — იგი შეიძლება იყოს მაღალი ან დაბალი, იმდენად მიხედვით, თუ დროის რომელი მომენტისათვის განისაზღვრება აღნიშნული დონე და რომელია ინფორმაციის წყაროები. (პატენტები, სტატიები, გამოყენება და ა. შ.); მხედველობაში მიიღება აგრეთვე ის, თუ რომელ ტერიტორიაზე (ქვეყანაში ან საზღვარგარეთ) გამოქვეყნდა ინფორმაცია.

სხვადასხვა ქვეყნის კანონები ამ საკითხებს ერთნაირად არ წყვეტენ, სწორედ ამიტომ, რომ „ტექნიკის დონისა“ და „სიახლის“ ცნებათა შინაარსის განსაზღვრება ერთმანეთისაგან განსხვავდება.

განვიხილოთ როგორ განისაზღვრება სხვადასხვა უფლებრივი სისტემის ქვეყნებში სიახლის გამბათილებელი ინფორმაციის წყაროს ცნება, რომელი ტერიტორიის მიმართ და დროის რომელი მომენტისათვის დგინდება სიახლე:

ჩვეულებრივ, ინფორმაციის წყაროები, რომელშიც შეიძლება სი-

ახლის განზითლებულ ცნობებს შეიცავდეს, იყოფა ორ ჯგუფად — ბექდურ პუბლიკაციებად და გამოყენებად.

ივერ ქვეყანაში კანონები მითითებული სახეებით კი არ იზღუდება, არამედ მათ იხსენიებენ კიდევ, როგორც გამოგონების არსის გახსნის „ნებისმიერ სხვა საშუალებებს“. ზოგიერთ ქვეყანაში გამოქვეყნებული „ბექდური პუბლიკაციებიდან“ განსაკუთრებულ ჯგუფში გამოიყოფა „პატენტები“, რადგან ისინი უახლესი მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებზე ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენენ, აგრეთვე ფლობენ ზოგიერთ სპეციფიკურ მახასიათებელს.

ნებისმიერი სახით ცნობილი ინფორმაცია გამოგონების შესახებ, იქნება ეს ბექდური პუბლიკაცია, გამოყენება თუ სხვა ასეთი, ხელს უშლის პატენტის გაცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ცნობები გამოგონების შესახებ უნდა იყოს სრული, ხსნიდეს ყველა აუცილებელ ელემენტს, მათს ურთიერთქმედებას და მიღებულ ეფექტს. სრულად ითვლება ისეთი გახსნა, რომელიც მოცემულ დარგში სპეციალისტს საშუალებას აძლევს შეიცნოს გამოგონება და პრაქტიკულად განახორციელოს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში ინფორმაცია არასაკმარისად ითვლება და სიახლეს არ აბათილებს;

2. გამოგონება უნდა იყოს სრულად გახსნილი ინფორმაციის ერთ წყაროში. სხვადასხვა წყაროდან (პატენტები, სტატიები, გამოსვლები და ა. შ.) ცნობილი ელემენტების შეერთება სიახლის განსაზღვრისას არ დაიშვება;

3. ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება ტექნიკის დონე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს პირთა განუსაზღვრელი წრისათვის. გამოგონების მხოლოდ ასეთი გახსნა აბათილებს სიახლეს, რომელსაც პრინციპში შეიძლება გაეცნოს ნებისმიერი პირი.

მეცნიერულ-ტექნიკური ლიტერატურის ზღიდ ოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც ყოველწლიურად ქვეყნდება მთელ მსოფლიოში, განცხადებული ტექნიკური იდეის სიახლის განსაზღვრისას ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბექდური პუბლიკაციები.

ცნება „ბექდური პუბლიკაციები“ იხსნება კანონით, აღმინისტრაციული და სასამართლო პრაქტიკით და მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში მას სხვადასხვა შინაარსი აქვს.

სიტყვა „ბექდურს“ როგორც წესი, მრავალმხრივი მნიშვნელობა

აქვს. ბექდურად მიიჩნევა არა მარტო სტამბური წესით, არამედ ნე-
ბისმიერი სხვა, კერძოდ, ელექტროგრაფიული, ქიმიური, ფოტოგრა-
ფიული და ა. შ. საშუალებით გამოქვეყნებული ინფორმაცია. ბექ-
დურ პუბლიკაციას უთანაბრებენ მიკროფოტოპირებს, კინო და ფო-
ტოფირებს, მაგნიტოფონის ლენტებს, ფირფიტებს.

მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი უმეტეს ქვეყნებში მიიჩნევა „ბექ-
დურ“ ინფორმაციად და აბათილებს სიახლეს; ზოგიერთ ქვეყანაში
ხელით ნაწერი ტექსტები, მხატვრული გამოსახულებანი „ბექდურ“
ინფორმაციად არ მიიჩნევა, მაგალითად, აშშ-ში. გერმანიაში, იაპონია-
ში და სხვა; ზოგიერთ ქვეყანაში კი, მაგალითად, დანიაში, საფრანგეთ-
ში, შვეიცარიაში, შვეციაში და სხვ. მათ „ბექდურ“ ინფორმაციად
მიიჩნევენ.

„პუბლიკაცია“ ფართო შინაარსის შემცველი ცნებაა. ნებისმიერი
არაგასაიდუმლოებული სამუშაო, რომელიც დაბეჭდილია და ხელმი-
საწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, წარმოადგენს
პუბლიკაციას და ხელს უშლის პატენტის გაცემას. სინამდვილეში და-
ბეჭდილ და გავრცელებულ ეგზემპლარების ოდენობას პრაქტიკუ-
ლად არა აქვს მნიშვნელობა. თუნდაც ერთადერთი ეგზემპლარი, რო-
მელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის, სამუშაოს საჯაროდ
ცნობილად ხდის.

სარეკლამო ხასიათის მასალები (ბუკლეტები, კატალოგები, ტექ-
ნიკური პირობები და ა. შ.), როგორც წესი, მიიჩნევა პუბლიკაციებად,
რომლებიც ხელს უშლიან პატენტის გაცემას.

იმისი განსაზღვრისათვის, აბათილებს თუ არა გამოგონების სიახ-
ლეს ბექდური მასალები, გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენს ამ მას-
ალების ხელმისაწვდომობის ფაქტი პირთა განუსაზღვრელი წრი-
ისათვის. მტკიცება იმისა, რომ მას ნამდვილად ვიღაც გაეცნო, არ მო-
ითხოვება.

საიდუმლო მასალები, რომლებიც სპეციალისტისათვის ან სხვა
დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი არაა; სავარაუდო გა-
მოგონების სიახლის გამბათილებელ პუბლიკაციას არ წარმოადგენს.
კერძო შეტყობინებებიც ამ წესის მოქმედებას არ ექვემდებარება, თუ
ესინი ზოგიერთი პირისათვის არის განკუთვნილი.

სავარაუდო გამოგონების პუბლიკაცია სიახლეს იმ მომენტიდან
აბათილებს, როცა იგი ხელმისაწვდომი გახდა საჯაროდ. ჟურნალები,
წიგნები, გაზეთები, კრებულები უპირისპირდება განაცხადს მათი გა-

მოცემის მომენტიდან, სარეკლამო ლიტერატურა — მათი გამოცემის ან კონტრაგენტისათვის გაგზავნის მომენტიდან, დისერტაცია ბიბლიოთეკის კატალოგში შეტანის ან იმ მომენტიდან, როცა იგი შემოვიდა მკითხველისათვის გასაცემად.

პატენტები განცხადებულ გამოგონებას შეიძლება დაუპირისპირდეს იმ მომენტიდან, როცა იგი გამოქვეყნდა. ეს მომენტი ხშირად არ ემთხვევა საპატენტო სიგელში მითითებულ გაცემის თარიღს.

დაპატენტებული გამოგონების საჯაროდ გახსნის მომენტის მიხედვით ყველა ქვეყანა შეიძლება დავით შემდეგ ჩვეულებად:

1. ქვეყნები, რომლებშიც ინფორმაცია გამოგონებათა შესახებ (ანოტაცია ან სრული აღწერილობა) ხელმისაწვდომი ხდება განაცხადის წარდგენის შემდეგ დროის მოკლე პერიოდში, ესენია: პორტუგალია და ლათინური ამერიკის უმეტესი ქვეყნები, მაგალითად, პერუში განაცხადის შეტანის 30 დღის შემდეგ განმცხადებელმა უნდა გამოაქვეყნოს თავისი ხარჯით საპატენტო უწყების ოფიციალურ ბიულეტენში განცხადება შეტანილ განაცხადზე, ხოლო პუბლიკაციის ექვსი დღის შემდეგ ვალდებულია გაზეთ „პერუანოში“ გამოაქვეყნოს გამოგონების აღწერილობის მოკლე ანოტაცია;

2. ქვეყნები, რომლებშიც ინფორმაცია გამოგონებათა შესახებ ხელმისაწვდომი ხდება განაცხადის შეტანის 18 თვის ან კონვენციური პრიორიტეტის თარიღის შემდეგ. ამ ჩვეულებას მიეკუთვნება: ავსტრია, ბრაზილია, გერმანია, დანია, იაპონია, ნიდერლანდი, ნორვეგია, რუსეთი, ფინეთი. არის ზოგიერთი გამონაკლისი, მაგალითად, რუსეთში განმცხადებლის თხოვნით განაცხადის შესახებ ცნობების გამოქვეყნება შეიძლება მოხდეს ამ ვადაზე ადრე;

3. ქვეყნები, რომლებშიც ინფორმაცია გამოგონებათა შესახებ ხელმისაწვდომი ხდება საპატენტო უწყების მიერ გამოგონების პატენტუნარიანობის მიმართ ღაღებთი გადაწყვეტილების (განაცხადის აქცეპტის) გამოტანის შემდეგ. მოცემული წესი მოქმედებს ახალ ზელანდიაში, ინდოეთში, ისლანდიაში, ისრაელში, პაკისტანში, საქართველოში, შრი-ლანკაში და სხვა;

4. ქვეყნები, რომლებშიც ინფორმაცია გამოგონების შესახებ ხელმისაწვდომი ხდება მხოლოდ პატენტის გაცემის შემდეგ. ამ ჩვეულებას მიეკუთვნება არგენტინა, აფრიკა-მალაგასის კავშირი, აშშ, ბელგია, ერაყი, ესპანეთი, თურქეთი, ირანი, კანადა, ნიგერია, საბერძნეთი და სხვა.

იტალიაში გამოგონებაზე განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის თარიღიდან 18 თვის შემდეგ, პუბლიკაციის გარეშე ხდება გამოგონების განხილვაზე გამოტენა (გაწყობა) საყოველთაო გაცნობისათვის.

განსაკუთრებულად წყდება საპატენტო განცხადების დაპირისპირების საკითხი. თითქმის ყველა ქვეყანაში, საზღვარგარეთის საპატენტო უწყებაში განსახილველად უცხოური განაცხადების მასალები ხელს არ უშლიან პატენტის გაცემას, თუ ისინი გამოქვეყნებული არ იყო. მაგრამ წინა ეროვნული განაცხადები, მათ რიცხვში გამოუქვეყნებლებიც, ხელს უშლიან პატენტის გაცემას. პატენტის მიღების უფლება, როგორც წესი, აქვს პირს, ვინც პირველმა შეიტანა საპატენტო განაცხადი. ეს ნორმა მოქმედებს ყველა ქვეყანაში და იგი ერთ გამოგონებაზე რამდენიმე პატენტის გაცემის თავიდან აცილებისკენაა მიმართული.

ქვეყნები, სადაც განაცხადების პუბლიკაცია პატენტის გაცემამდე არსებობს, ადრე შეტანილი განაცხადის მასალები უპირისპირდება სხვა განაცხადებს მათი პუბლიკაციის მომენტიდან, მიუხედავად მასზე გაცემული პატენტის შინაარსისა, ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ, ავსტრიაში საპატენტო უწყებაში განხილვაზე გამოტენილი ე. წ. „გაწყობილი განაცხადები“, ბეჭდური პუბლიკაციის სახით არ განიხილება და ისინი სიახლეს არ აბათილებენ. იქ, სადაც განაცხადის პუბლიკაციას წინ უსწრებს სრული ექსპერტიზა, თავდაპირველი მასალები ხელმისაწვდომი ხდება მათი გამოქვეყნების შემდეგ ან განაცხადის აქტუბრირებული ვარიანტის პუბლიკაციის მომენტიდან.

იმ ქვეყნებში, სადაც განაცხადი, საერთოდ არ ქვეყნდება (მე-4 ჯგუფი) განაცხადის მასალები იხსნება პატენტის გაცემის შემდეგ ნებისმიერი პირისათვის გასაცნობად და ამ დროიდან ისინი სხვა ბეჭდური მასალების თანაბრად აბათილებენ სიახლეს.

გამოთხოვილი განაცხადები, ე. ი. განაცხადები, რომლებზეც განმცხადებელთა მოთხოვნით შეწყვეტილია საქმის წარმოება, აგრეთვე განაცხადები, რომლებზეც პატენტის გაცემაზე უარი იყო ნათქვამი, როგორც წესი, აბათილებენ გამოგონების სიახლეს იმ შემთხვევაში, თუ მათი შინაარსი ხელმისაწვდომი იყო მისი გაცნობის ნებისმიერი მსურველისათვის. საჯარო ხელმისაწვდომობა პუბლიკაციასთან ერთად შეიძლება იყოს რომელიმე პატენტის განაცხადზე მოითხოვისა და ანოტაციის პუბლიკაციის შედეგი. ამ საერთო წესიდან გამონაკლისებიც გვხვდება, მაგალითად, იაპონიაში გამოუქვეყნებელი გაუქ-

მებული განაცხადები შეიძლება დაუპირისპირდეს განცხადებულ გადაწყვეტას.

პატენტებისა და გამოგონებაზე საპატენტო განაცხადების თანაბრად, სიახლის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე პატენტები და გამოქვეყნებული საპატენტო განაცხადები სასარგებლო მოდელების შესახებ.

გამოგონების გამოყენება გულისხმობს ნებისმიერ მის განხორციელებას კომერციულ, საწარმოო, სამეცნიერო-კვლევით, სასწავლო, პირად და სხვა მიზნებით, გამოგონების ან მისი მოდელის ექსპონირებას გამოფენაზე, გამოგონების ობიექტის გაყიდვას და ნებისმიერ წინადადებას გაყიდვის თაობაზე. მაგალითად, იტალიის საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ დამკვეთისათვის გამოგონების საგნის მიყიდვა განაცხადის შეტანის თარიღამდე სიახლის აბათილების ფაქტს წარმოადგენს.

გამოგონების გამოყენება აბათილებს მის სიახლეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხსნის დამთავრებულ, მუქაუნარიან ტექნიკურ გადაწყვეტას. გამოგონებამ უნდა გაიაროს ექსპერიმენტული სტადია, გამოგონებელმა უნდა გაიგოს და შეაფასოს მიღებული შედეგი. ექსპერიმენტი, რომელიც მიყვანილია ბოლომდე და შეწყვეტილია, როგორც უპერსპექტივო, წარმატებით მომუშავე მოწყობილობის სიახლეს არ აბათილებს.

ვითარება, რომელიც ხელს უშლის პატენტის გაცემას, უნდა ხსნიდეს გამოგონების არსს მთლიანად, უნდა მიუთითებდეს როგორ მუშაობს მანქანა, როგორია მისი ძირითადი კვანძები, დეტალები, მათი ურთიერთქმედება, რითი განსხვავდება ცნობილისაგან, უნდა აღნიშნავდეს ოპერაციის პროცესის მიმდევრობას, მის პარამეტრებს და ა. შ. გამოგონების ცალკეული ელემენტების გამოყენება სიახლეს არ აბათილებს მხოლოდ მაშინ თუ იგი არ ხსნის შემადგენელ ელემენტებს შორის მიზეზობრივ კავშირს და მთლიანად გამოგონების იდეის გახსნის საშუალებას არ იძლევა.

მანქანის ან სხვა, მოწყობილობის ღია დემონსტრირება ჩვეულებრივ, არ განიხილება როგორც მისი არსის გამოვლინება, თუ კონსტრუქციული თავისებურებები და მოქმედების პრინციპი არ შეიძლება გაგებულ იქნეს სპეციალური აღწერისა და დამატებითი განმარტებების გარეშე. ასეთია საერთო წესი, თუმცა ვგვხვდება გამონაკლისებიც. აშშ-ის სასამართლო პრაქტიკით დადგენილი იყო, რომ, თუ მანქანა,

მოწყობილობა და ა. შ. საზოგადოებრივ საკუთრებაშია, მაშინ მისი ყველა ნაწილი თუნდაც საჯარო განხილვისაგან დახურული, ცნობილად მიიჩნევა, თუ გამოყენებული ობიექტი და განცხადებული გამოგონება ერთი და იმავე პირის მიერაა შექმნილი.

ხერხის ღია გამოყენებას წარმოადგენს ამ ხერხით დამზადებული პროდუქციის გამოყენება, თუ პროდუქციის ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს მისი დამზადების ხერხი, თუნდაც ანალიზი სინამდვილეში არც ჩატარებულიყო. თუ პროდუქციის გამოკვლევის საფუძველზე რომელიმე საშუალება და პარამეტრი არ შეიძლება განისაზღვროს, საჯარო გამოყენება არ ხდის მას ცნობილ ხერხად.

გამოყონება, გაყიდვა ნივთიერების, რომელიც გამოგონების ობიექტს წარმოადგენს, აბათილებს სიახლეს, თუ მისი შედგენილობა განსაზღვრული იქნება ამ ნივთიერების ანალიზის საფუძველზე; ამასთან, აუცილებელი არაა, რომ იგი სინამდვილეში იწარმოებოდეს.

გამოგონების გამოყენება განაცხადის შეტანამდე ხელს უშლის პატენტის გაცემას, თუ იგი საჯარო ან ხელმისაწვდომი იყო მესამე პირთათვის. სავალდებულო არაა გამოგონების ობიექტის საერთოდ ცნობილობა და ფართოდ გავრცელება. გამოგონების გამოყენებად ითვლება ის შემთხვევა, როცა თუნდაც ერთი პირი იყენებდა გამოგონებას და იგი ვალდებული არ იყოს საიდუმლოდ შეენახა თავისი ცოდნა, მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ პატენტი გაუქმებულად მიიჩნია გამოგონების წინასწარი გამოყენების საფუძველზე, კერძოდ, იმის გამო, რომ გამოგონებელმა თავისი გამოგონების ერთი ნიმუში (კორსეტი), ნაცნობ ქალბატონს აჩუქა. ერთი პირის მიერ გამოგონების ასეთი გამოყენება, რომელიც დაფარული იყო უცხო თვალისაგან, მიჩნეულ იქნა საჯარო გამოყენებად, რამაც ხელი შეუშალა პატენტის გაცემას, რადგან ეს პირი ვალდებული არ იყო გამოგონება საიდუმლოდ შეენახა.

გამოგონების საიდუმლოდ გამოყენება ან მისი დამუშავებისა და დამზადების დროს საქმის მცოდნე სპეციალისტების შეზღუდული წრის მიერ მისი გამოყენება სიახლეს არ აბათილებს.

მთელი რიგი ქვეყნების კანონებით გამოგონების გახსნის ორ ძირითად საშუალებასთან — ბეჭდურ პუბლიკაციასა და გამოყენებასთან ერთად დგინდება რომ „ნებისმიერმა სხვა საშუალებებმა“ შეიძლება გააბათილონ სიახლე. მაგალითად, შვეიციის საპატენტო კანონი განსაზღვრავს: „ყველაფერი, რაც ხელმისაწვდომი იყო წერილო-

ბოთი გახსნის გზით, შეტყობინებები, საჯარო გამოყენება ან სხვა. საშუალება, ცნობილად მიიჩნევა“.

„სხვა საშუალებებს“ შეიძლება მიეკუთვნოს გამოგონების გახსნა ზეპირი შეტყობინების, მოხსენებების, ნახაზების, ჟონფერენციებზე მოხსენების, რადიოთი, ტელევიზიით გამოგონებების შესახებ ცნობების შეტყობინების მიხედვით მეცნიერებისათვის, ექსპერტებისათვის, ინჟინრებისათვის და სხვა პირთათვის, რომლებსაც ესმით გამოგონების არსი და ვალდებული არ არიან არ გააუკაცლონ მიღებული ინფორმაცია. გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, შვეიცარიის და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად გამოგონების ზეპირი გახსნა ხელს უშლის პატენტის მიღებას.

ზოგიერთი ქვეყნის (აშშ, ინდოეთი, ისრაელი, იტალია და სხვა) საპატენტო კანონების გამოგონების „ცნობილობის“ ცნებას ფართო მნიშვნელობას ანიჭებენ და ამასთან ყურადღებას არ აქცევენ მისი წარმოშობის საშუალებებს. ამ ქვეყნებში, სადაც ნებისმიერი პირი ვალდებული არაა საიდუმლოდ შეინახოს გამოგონების არსის ცოდნა, მიუხედავად მის გაგების საშუალებისა, — ეს „ცნობილობა“ ხელს უშლის პატენტის მიღებას.

სხვადასხვა ქვეყანაში კანონები ერთნაირ მნიშვნელობას არ ანიჭებენ გამოგონების გახსნის ადგილს. ამისდა მიხედვით ყველა ქვეყანა შეიძლება დავეყოს სამ ჯგუფად: 1. აბსოლუტური მსოფლიო სიახლის მომთხოვნი ქვეყნები; 2. ადგილობრივი (ეროვნული) სიახლის მომთხოვნი ქვეყნები და 3. შეზღუდული სიახლის მომთხოვნი ქვეყნები.

პირველი ჯგუფის ქვეყნებში გამოგონებას წარედგინება სიახლის უფრო მკაცრი მოთხოვნები. განცხადებული გამოგონების პატენტუნარიანობას აბათილებს მისი არსის გახსნა იმისაგან დამოუკიდებლად, თუ სად მოხდა ის — მოცემულ ქვეყანაში თუ მის საზღვრებს გარეთ. ამასთან, გამოგონების გახსნის საშუალებას არა აქვს მნიშვნელობა — ნებისმიერი პუბლიკაცია, გამოყენება, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში გამხორციელდა, ხელს უშლის პატენტის გაცემას. მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები გამოგონებას უყენებენ აბსოლუტურ მსოფლიო სიახლის მოთხოვნებს, ესენია ძირითადად განვითარებული მრეწველობის ქვეყნები.

ქვეყნების მეორე ჯგუფს გამოგონების წინაშე წაყენებული აქვს ადგილობრივი სიახლის მოთხოვნები. ეს ნიშნავს რომ სიახლეს წინ

უსწრებს პუბლიკაციები, გამოყენება და გამოგენების არსის განს-
ნის სხვა საშუალებები, რომლებიც მოცემული ქვეყნის ტერიტორი-
აზე მოხდა. უცხოური პუბლიკაციები აბათილებენ განცხადებული
გამოგონების სიახლეს მხოლოდ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მათს
შემოსვლის მომენტიდან. თუ პუბლიკაცია მოცემული ქვეყნის ტე-
ტერიტორიაზე არ შემოვა, იგი სიახლეზე ექსპერტიზის დროს
მხედველობაში არ მიიღება. ადგილობრივი სიახლის მოთხოვნები არ-
სებობს საბერძნეთში, აგრეთვე ცენტრალური ამერიკის (ნიკარაგუა,
პანამა) და ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში.

თუმცა ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყა-
ნაში ადგილობრივი სიახლის მოთხოვნები პრაქტიკულად მაღალია და
მსოფლიო სიახლის მოთხოვნებისაგან თითქმის არ განსხვავდება,
რადგან უცხოური მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის წყაროები
ან ქვეყნებში ოპერატიულად და სრული მოცულობით ხვდება. ამი-
ტომ, თუნდაც გამოგონებისადმი ადგილობრივი სიახლის მოთხოვ-
ნის პირობებში ისინი მხედველობაში მიიღება. მაგალითად, ავსტრა-
ლიაში გერმანიიდან, აშშ-დან, საფრანგეთიდან მეცნიერულ-ტექნი-
კური პუბლიკაციები რამდენიმე დღეში და სრული მოცულობით
აღწევს.

ქვეყნების მესამე ჯგუფს შუალედური მდგომარეობა უკავია პირ-
ველსა და მეორე ჯგუფებს შორის. მათ მიეკუთვნებიან ქვეყნები,
რომლებშიც გამოგონების გახსნის საშუალებებს სხვადასხვა მნიშე-
ნელობა ენიჭება. ბეჭდური პუბლიკაციები სიახლეს აბათილებენ,
იმისდა მიუხედავად — ადგილობრივი „წარმოშობის“ არიან ისინი თუ
უცხოურისა. გამოგონებათა გამოყენება კი ხელს უშლის პატენტის
გაცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოხდა ქვეყნის შიგნით:
გამოგონების ღია გამოყენების ფაქტები საზღვარგარეთ სიახლის შე-
ფასებისას მხედველობაში არ მიიღება. ამრიგად, ქვეყნების მოცემულ
ჯგუფში ბეჭდური პუბლიკაციების მიმართ გამოყენებულია მსოფლიო,
ხოლო გამოგონებათა გამოყენების მიმართ — ადგილობრივი სიახლის
მოთხოვნები. ასეთ ქვეყნებს შეზღუდული მსოფლიო სიახლის მო-
თხოვნის მქონე ქვეყნებს უწოდებენ. გამოგონებისადმი ამგვარი მსო-
ფლიო სიახლის მოთხოვნები წაყენებულია აშშ-ში, ვენესუელაში,
იაპონიაში, ინდოეთში, კანადაში, პარაგვაიში, პერუში, სამხრეთ აფ-
რიკის რესპუბლიკაში, ჭურუგვაიში, ფილიპინებში.

გამოგონების სიახლე დგინდება დროის გარკვეული მომენტისათ-

ვის (ჩვეულებრივ, რომელიმე თარიღისათვის), რომელიც გამოგონების არსის გახსნის ყველა ფაქტებს ორ ნაწილად ჰყოფს, ყველაფერი, რაც მოხდა ადრე, სიახლეს წინ უსწრებს და ხელს უშლის პატენტის გაცემას, ხოლო ყველაფერი რაც მოხდა მოგვიანებით, განცხადებული გამოგონების იურიდიულ ბედზე გავლენას არ ახდენს. ამრიგად, ეს თარიღი განსაზღვრავს გამოგონების პირველობას ან პრიორიტეტს. ცნობილია პრიორიტეტის დადგენის რამდენიმე საშუალება — გამოგონების პრიორიტეტის დადგენის უფრო გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს პატენტის გაცემაზე განაცხადის შეტანა. განაცხადის შეტანის დღე საპატენტო უწყებაში წარმოადგენს პრიორიტეტის თარიღს. თუ სხვადასხვა პირის მიერ ერთსა და იმავე გამოგონებაზე რამდენიმე განაცხადია შეტანილი, პატენტის მიღებაზე უფლება აქვს პირველ განმცხადებელს. ერთ დღეს სხვადასხვა ავტორის მიერ, ანალოგიურ გამოგონებაზე, ორი ან მეტი განაცხადის შეტანის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება შეტანის საათები და პრიორიტეტი დგინდება იმ განაცხადის მიხედვით, რომელიც უფრო ადრე იქნა შეტანილი. სხვადასხვა ავტორის მიერ ერთსა და იმავე დღეს შეტანილი ანალოგიური განაცხადების გაერთიანება ნებადართული არაა. ორიგინალურად წყვეტს ამ საკითხს იაპონიის კანონმდებლობა. თუ ერთ დღეს ერთსა და იმავე გამოგონებაზე შეტანილია ორი ან მეტი განაცხადი, მაშინ პატენტის მიღების უფლება ენიჭება მხოლოდ ერთ განმცხადებელს რომელიც ყველა განმცხადებელთან შეთანხმებით განისაზღვრება. თუ განმცხადებლებს შორის შეთანხმება მიღწეული არაა, მაშინ მათ პატენტის გაცემაზე უარს ეუბნებიან.

ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნული განმცხადებლებისათვის გამოგონების პრიორიტეტი შეიძლება დადგინდეს განაცხადის შეტანის თარიღის მიხედვით ადგილობრივ სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებში, რომლებიც შემდეგ განაცხადს საპატენტო უწყებაში აგზავნიან.

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის თანახმად საპატენტო განაცხადის შეტანა შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში განმცხადებელს პრიორიტეტზე უფლებას ანიჭებს კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყანაში, რასაც კონვენციურ პრიორიტეტს უწოდებენ. ეს უფლება მოქმედებს 12 თვის განმავლობაში და ხორციელდება განაცხადის შეტანის გზით. თუ მითითებული ვადის მანძილზე განმცხადებელი ან მისი უფლებამონაცვლე განაცხადს პარი-

ზის კონვენციის მონაწილე რომელიმე სხვა ქვეყანაში შეიტანს, პრიორიტეტი დადგენილი იქნება არა ფაქტობრივი თარიღით, არამედ პირველი განაცხადის შეტანის თარიღით. გამოგონების არსის გასსნის არავითარი მოქმედება პირველი განაცხადის შეტანის შემდეგ ხელს არ უშლის პატენტის გაცემას. ანალოგიურ გამოგონებაზე საპატენტო უწყებაში სხვა პირის მიერ პრიორიტეტის თარიღის შემდეგ შეტანილი განაცხადით გაცემული პატენტი უქმდება.

კონვენციური პრიორიტეტის დადგენისათვის საფუძველს წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად სწორად გაფორმებული განაცხადი. სავალდებულო არაა, რომ გამოგონება განმცხადებლის ქვეყნის კანონებით იყოს პატენტუნარიანი. მაგალითად, იტალიაში არ პატენტდება სამკურნალო პრეპარატები, თუმცა განაცხადი ამ ობიექტებზე, მათი ფორმალური მოთხოვნების შესაბამისობის შემთხვევაში შეიძლება პრიორიტეტის დადგენისათვის საფუძველს წარმოადგენს აშშ-ში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში, სადაც სამკურნალო ნივთიერებები პატენტუნარიანია. მაშასადამე, კონვენციური პრიორიტეტის მინიჭება დამოკიდებული არაა პირვანდელი განაცხადის შემდგომ ბედზე — იქნება იგი განმცხადებლის მიერ უარყოფილი თუ გამოთხოვილი. პირვანდელი განაცხადი შეიძლება შეტანილი იქნეს მხოლოდ გამოგონების პრიორიტეტის დასადგენად.

კონვენციური პრიორიტეტის უფლება ენიჭება არა მარტო პირვანდელი განაცხადის შემტანს, არამედ მის უფლებამონაცვლესაც.

ამავე დროს კონვენცია მოითხოვს განაცხადების ობიექტურ იდენტურობას, ანუ გამოგონების ძირითადი ნიშან-თვისებები ორივე განაცხადში ერთმანეთს ემთხვეოდეს. ცვლილებები დაიშვება მხოლოდ ეკვივალენტურობის ფარგლებში. თუ განაცხადები ერთმანეთს სრულად არ ემთხვევა, დასაშვებია ნაწილობრივი პრიორიტეტის დადგენა ან ერთ განაცხადში რამდენიმე პრიორიტეტის გაერთიანება. მაგალითად, თუ მეორე განაცხადის შინაარსი უფრო ფართოა, ვიდრე პირველისა, ე. ი. თუ განმცხადებელმა სრულყო თავისი გამოგონება და იგი მეორე განაცხადში ჩართო. ზსავს შემთხვევაში პრიორიტეტი შეიძლება დადგენილი იქნეს გამოგონების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც პირველ განაცხადს შეესაბამება და ამ შემთხვევაში საქმე ეკავს ე. წ. ნაწილობრივ პრიორიტეტთან. მაგრამ შესაძლებელია სხვა ვარიანტიც — თუ ეს გაუმჯობესება ასევე განცხადებული იყო, ე. ი. წარმოადგენდა რამდენიმე ქვეყანაში განსაკუთრებული განაცხადის

საგანს, მასზე შეიძლება დადგენილი იქნეს თავისი კონვენციური პრიორიტეტი, ამრიგად, მეორე განაცხადი ემყარება ორ პრიორიტეტს სხვადასხვა თარიღით, ამასთან, აუცილებელია, რომ ორივე განაცხადი შეტანილი იყოს საპრიორიტეტო წლის განმავლობაში.

კონვენციური პრიორიტეტის უფლება მნიშვნელოვნად აადვილებს საზღვარგარეთ გამოგონებათა დაპატენტებას, - რამდენადაც პირვანდელი განაცხადის თარიღის განმტკიცება პარიზის კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყანაში პირველი განაცხადის თარიღის სახით, გამოგონებელს გარკვეულ დროს აძლევს სათანადოდ მოემზადოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოგონების დაპატენტებისათვის. მაშასადამე, კონვენციური პრიორიტეტი უცხოელ განმცხადებელს დიდ უპირატესობას უქმნის, რაც პასუხობს იმ ორგანიზაციების ინტერესებს, რომლებიც გამოგონებათა დასაპატენტებლად საზღვარგარეთ აქტიურ მუშაობას ეწევიან.

პარიზის კონვენციაში მონაწილე მთელ რიგ ქვეყნებში პრიორიტეტის დადგენის საფუძველი შეიძლება იყოს გამოგონების დემონსტრირება, შეთანხმებაში მონაწილე ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე მოწყობილ „ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ საერთაშორისო გამოფენებზე“ ამას უწოდებენ ე. წ. საგამოფენო პრიორიტეტს. გამოფენაზე გამოგონების დემონსტრირების დღე კანონით დადგენილ ვადაში პატენტზე განაცხადის შეტანის შეზღუდვაში განიხილება გამოგონების პრიორიტეტის თარიღის სახით, და ასეთად მიიჩნევა თვით გამოგონების საჯაროდ დემონსტრირება. მისი არსის გამხსნელი არავითარი სხვა შემთხვევები გამოფენის გახსნის შემდეგ სიახლეს არ აბათილებენ.

პარიზის კონვენციის დადგენილება საგამოფენო პრიორიტეტის თაობაზე სავალდებულო ხასიათს არ ატარებს, რადგან მას კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყანა არ ითვალისწინებს, მაგალითად, თუ კონვენციის მონაწილეა 90 ქვეყანა, აქედან დაახლოებით 75 ითვალისწინებს საგამოფენო პრიორიტეტის: „უფლებას“. კონვენცია განაცხადის შეტანისათვის არც ვადას ადგენს და არც მისი რამოთვლას წესს. აღნიშნული საკითხები მთლიანად ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით წყდება. ვადა, რომლის განმავლობაშიც განაცხადი სხვადასხვა ქვეყანაში უნდა იქნეს შეტანილი 3-დან 12 თვემდე მერყეობს. მაგალითად, ავსტრიაში ვადა 3 თვეა, ინდოეთში, ნიდერლანდში, საფრანგეთში, — 6, იტალიაში — 12 თვე.

კონვენციაში ოფიციალური ან ოფიციალურად მიჩნეულ გამოფენის ცნება განსაზღვრული არაა. ის დგინდება იმ ქვეყნის სასამართლო ან აღმინისტრაციული პრაქტიკით, სადაც მოითხოვება დაცვა. ოფიციალურად, ჩვეულებრივ, მიჩნეულია სახელმწიფოს ან მისი ორგანოების მიერ ორგანიზებული გამოფენები; ოფიციალურად ითვლება ის გამოფენებიც, რომლებიც მიჩნეულია ასეთად სახელმწიფოს ან სახელმწიფო ორგანოების მიერ. საერთაშორისო გამოფენის სახით განიხილება ის გამოფენები, რომლებშიც მონაწილეობენ უცხოური ფირმები.

საგამოფენო პრიორიტეტის დასადგენად აუცილებელია იმ დოკუმენტების წარდგენა, რომლებიც გამოფენაზე გამოგონების დემონსტრირების თარიღს და ფაქტს, აგრეთვე დემონსტრირებულ ობიექტთან მათს იდენტურობას ადასტურებენ. ასეთი დოკუმენტები გაიცემა გამოფენის აღმინისტრაციის მიერ.

საგამოფენო პრიორიტეტის უფლების ერთიანი რეგლამენტაციის უქონლობა და ის, რომ ამ საკითხზე შიგნ კანონმდებლობა არ არსებობს, გამოფენაზე დემონსტრირებულ გამოგონებათა დაცვას არამდგრადს ხდის.

გამოფენაზე გამოგონების დემონსტრირებისას და საპატენტო განაცხადის წარდგენის შემთხვევაში წამოიჭრება საკითხი: რომელი თარიღი უნდა განვიხილოთ პრიორიტეტის სახით — პირვანდელი განაცხადის წარდგენის თარიღი თუ გამოფენაზე გამოგონების ჩვენების. პარიზის კონვენციის თანახმად, გამოგონების დემონსტრირება გამოფენაზე კონვენციურ პრიორიტეტს არ ახანგრძლივებს. მაგრამ, თუ გამოფენა წინ უსწრებს პირვანდელ განაცხადს, მაშინ დრო პრიორიტეტის დადგენისათვის შეიძლება საპატენტო უწყების შეხედულებისამებრ, ან პირვანდელი განაცხადის თარიღის, ან გამოფენაზე გამოგონების ჩვენების თარიღის მიხედვით დადგინდეს. თუმცა მან 12 თვეს არ უნდა გადააჭარბოს.

ზოგიერთ ქვეყანაში პრიორიტეტის დადგენის შემთხვევაში განხილულ საშუალებებთან ერთად პრიორიტეტის დადგენის სხვა განსაკუთრებული შემთხვევებიცაა ცნობილი.

აშშ-ში, კანადაში, ფილიპინებში გამოგონების პრიორიტეტი შეიძლება დადგინდეს იქნეს არა მარტო საპატენტო უწყებაში საპატენტო განაცხადის შემოსვლის თარიღით, არამედ გამოგონების შექმნის თარიღითაც. ეს მდგომარეობა გამომდინარეობს აღნიშნულ ქვეყნებ-

ში არსებული ნორმებით, რომელთა შესაბამისად პატენტზე უფლება აქვს „პირველ და ნამდვილ გამომგონებელს“. პრაქტიკულად ეს ნიშნავს რომ :საპატენტო უწყებაში სხვადასხვა ავტორის მიერ ერთსა და იმავე გამოგონებაზე რამდენიმე განაცხადის შეტანის შემთხვევაში პატენტს მიიღებს არა ის განმცხადებელი, რომელმაც ადრე შეიტანა განაცხადი, არამედ ის, რომელიც გამოგონების შექმნის უფრო ადრეულ თარიღს დაამტკიცებს.

პროცედურამ, რომლის დროსაც პირველი გამომგონებელი ვლინდება, მიიღო ე. წ. „ინტერფერენციის ან პრიორიტეტზე დავის“ პროცედურის დასახელება. იგი იწყება საპატენტო უწყების ან ერთ-ერთი განმცხადებლის ინიციატივით.

კანონი ადგენს, რომ პრიორიტეტის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტები: 1. გამომგონებლის ნათელი და მუდმივი იდეის (გამოგონების კონცეფციის) საბოლოო ფორმირების თარიღი. 2. გამოგონების პრაქტიკული განხორციელების თარიღი; 3. იმ პირის სიბეჯითე, რომელმაც პირველმა შექმნა გამოგონების იდეა, მაგრამ ბოლოს იგი სხვამ განახორციელა.

თუ განმცხადებელმა ან პატენტის მფლობელმა პირველმა ჩაიფიქრა და პრაქტიკულად განახორციელა გამოგონება, იგი პირველ გამომგონებლად მიიჩნევა. თუ კი ერთ-ერთმა განმცხადებელმა პირველმა ჩაიფიქრა გამოგონება, მაგრამ ბოლოს იგი სხვამ განახორციელა, მაშინ ის შეიძლება მიჩნეულ იქნეს პირველ გამომგონებლად, თუ დაამტკიცებს, რომ დროთა განმავლობაში მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის გამოავლინა „გონივრული სიბეჯითე“, რომელიც წინ უსწრებდა იმ განმცხადებლის გამოგონების ჩანაფიქრს, რომელმაც პირველმა განახორციელა გამოგონება.

ასაბუთებს რა თავის უფლებას პატენტის მიღებაზე, განმცხადებელს, თავისი პირველობის დადასტურების სახით, შეუძლია მოიყვანოს ფაქტები, რომლებიც მოხდა მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე. აშშ-ის საზღვრებს გარეთ გამოგონების შექმნა და გამოყენება მხედველობაში არ მიიღება.

ამრიგად, უცხოელს თავისი პრიორიტეტის დასამტკიცებლად შეუძლია დაეყრდნოს გამოგონების შემოსვლის თარიღს აშშ-ში: გამოგონების ობიექტის შემოტანას, გამოგონების არსის მკოდნე პირის ჩამოსვლას; გამოგონების გამხსნელი წერილების შემოსვლას.

უცხოელს შეუძლია დააფიქსიროს კონვენციური პრიორიტეტის თარიღი: თუმცა ინტერფერენციის პროცედურაში ამ თარღს, ისევე

როგორც ბევრ პუბლიკაციებს, კონვენციური პრიორიტეტის მოქმედების ვადის შეზღუდულობის გათვალისწინებით არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

მაშასადამე, ინტერფერენციის პროცედურა ამერიკელ გამოგონებელს უცხოელთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს.

ინტერფერენციის პროცედურა კანადაში ამერიკულთან შედარებით გაცილებით უფრო მარტივია და უფრო კეთილგანწყობილიც უცხოელების მიმართ. კანადაში არ დგება საკითხი გამოგონების პრაქტიკულ განხორციელებაზე. უფლება პრიორიტეტზე იმას აქვს, ვინც პირველმა მოახდინა ზეპირი ან წერილობითი ფორმულირება თავისი გამოგონების არსისა, ამასთან იმდენად სრულად და ნათლად, რომ შესაძლებელია მისი პრაქტიკული განხორციელება. გამოგონების შექმნაში პირველობის დასამტკიცებლად მხედველობაში მიიღება ყველა ფაქტი, მიუხედავად იმისა — კანადაში იქნება ეს თუ საზღვარგარეთ.

მთელ რიგ ქვეყნებში არსებობს ე. წ. წინასწარი აღწერილობები და გამაფრთხილებელი პატენტები. ამ ქვეყნებში პრიორიტეტი შეიძლება დადგინდეს საპატენტო უწყებაში განაცხადების წინასწარი აღწერილობის შეტანის გზით, რომელიც წინასწარი საპატენტო განაცხადის ფუნქციას ასრულებს. პრიორიტეტის რეგისტრაციის ეს ხერხი ხელსაყრელია იმ შემთხვევაში, როცა ავტორს გამოგონებაზე მუშაობა დამთავრებული არა აქვს და არ შეუძლია საპატენტო განაცხადის შეტანა, რომელიც სრულად პასუხობს ნორმატიულ მოთხოვნებს. ამასთან ერთად იგი ფრთხილობს, რომ მისი იდეა შეიძლება ნასესხები იყოს-ან ეწინაა დაკარგოს პირველობა სხვა ავტორის მიერ განაცხადის უფრო ადრე შეტანის გამო.

წინასწარმა აღწერილობამ უნდა გახსნას გამოგონების მხოლოდ საერთო არსი, მას არ მოეთხოვება გამოგონების დეტალურად და სრულად ვადაშორება, იდეის განხორციელების კონკრეტული საშუალებების გახსნა; წინასწარ აღწერილობას გამოგონების ფორმულა და ნახაზები შეიძლება არ ახლდეს.

წინასწარი აღწერილობით მინიჭებული პრიორიტეტის უფლების მოქმედების ვადა უმეტეს ქვეყნებში შეადგენს 1 წელს. ბევრ ქვეყანაში დაშვებულია ამ ვადის გაგრძელება.

პრიორიტეტის დადგენა წინასწარი აღწერილობის დახმარებით

გათვალისწინებულია ინგლისისა და ინგლისური საპატენტო სისტემის უმეტეს ქვეყნებსა და კანადაში.

ინგლისური სამართლის მქონე ქვეყნებში წინასწარი აღწერილობა შეიტანება პატენტზე განაცხადთან ერთად. მაგალითად, ინდოეთში სრული აღწერილობა შეტანილი უნდა იქნეს განაცხადის შეტანის შემდეგ 12 თვის, ხოლო ირლანდიაში, პაკისტანში, შრი-ლანკაში — 9 თვის მანძილზე. ინდოეთსა და შრი-ლანკაში დაშვებულია ვადის გაგრძელება 3 თვის, პაკისტანში — 10 თვით. მითითებული ვადების გამოტოვების შემთხვევაში ითვლება, რომ განმცხადებელმა უარი ოქვა განაცხადზე.

კანადაში წინასწარი განაცხადის მოქმედების ვადა 1 წელია. თუ მითითებული პერიოდის მანძილზე ანალოგიურ გამოგონებაზე შეტანილი იქნება განაცხადი სხვა პირის მიერ, საპატენტო უწყება ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს წინასწარი განაცხადია შემტანს, რომელიც თავისი პრიორიტეტის დამკვიდრებისათვის ვალდებულია შეტყობინებიდან 3 თვის მანძილზე შეიტანოს განაცხადი პატენტზე. თუ განაცხადები კოლიზიაში იმყოფება, ცხადდება ინტერფერენციის პროცედურა. წინასწარი განაცხადის გაკემის შემდეგ ერთწლიანი ვადის გასვლისას საპატენტო უწყება თავისუფლდება მისი მფლობელისათვის ანალოგიურ გამოგონებაზე განაცხადის შეტანის შესახებ შეტყობინების მოვალეობისაგან, მაგრამ წინასწარი განაცხადის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრიორიტეტის დადასტურების საშუალებად.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში წინასწარი აღწერილობის საფუძველზე განმცხადებელს მიეცემა პატენტი, რომელიც „გამაფრთხილებელი“ პატენტის სახელწოდებითაა ცნობილი.

პრიორიტეტის დადგენის მეტად თავისებური საშუალება არსებობს ინგლისური სამართლის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში. ესაა პრიორიტეტის გადატანის საშუალება: მაგალითად, ახალ ზელანდიაში. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, ზამბიაში, ინდოეთში და ა. შ. განმცხადებლის თხოვნით პრიორიტეტი შეიძლება გადატანილ იქნეს განაცხადის შეტანის დღიდან უფრო მოგვიანო დროისათვის. ეს დრო შეიძლება განმცხადებელმა მიუთითოს განაცხადის შეტანის მომენტიდან 6 თვის ვადაში.

პრიორიტეტის უფრო მოგვიანო დროისათვის გადატანა განმცხადებელს გარკვეული რისკის წინაშე აყენებს, რამდენადაც იზრდება

იმის საშიშროება, რომ ეს სიახლე ცნობილი გახდება იმ პერიოდისათვის, როცა გამოგონების სიახლე უნდა განისაზღვროს. თუმცა ამ ორგანოებში განაცხადის განხილვის პროცედურის თავისებურებიდან გამომდინარე, ზოგჯერ ეს აუცილებელი ხდება, რომ განაცხადი ძალაში იქნეს დატოვებული, რათა ამით მოგებულ იქნეს დრო მასში სათანადო ცვლილებების ან ექსპერტიზის გადაწყვეტილებაზე საჩივრების შეტანისათვის. პრიორიტეტის გადატანის მიზეზი შეიძლება იყოს აგრეთვე დამატებითი დროის მიღება შემდგომი კონვენციური განაცხადის შეტანისათვის.

სპეციფიკურია პრიორიტეტის დადგენის წესი იტალიაში. აქ პრიორიტეტის დადგენისათვის საფუძველი შეიძლება იყოს ეროვნული სამეცნიერო საზოგადოებებისა და აკადემიის ოფიციალურ გამოცემებში გამოქვეყნებული სხვადასხვა სახის სტატიები, შეტყობინებები. პრიორიტეტი ასეთი პუბლიკაციის ან შეტყობინების საფუძველზე განაცხადებული უნდა იქნეს 12 თვის განმავლობაში.

ბევრ ქვეყანაში მოქმედებს პრიორიტეტის დადგენა შეღავათიან სიახლის მიხედვით, რაც იმას გულისხმობს, რომ გამოგონებელს ან მის უფლებამონაცელეს ეძლევა შეღავათიანი ვადა, რომლის ფარგლებშიც, განაცხადის შეტანამდე გამოგონების არსის გახსნა ხელს არ უშლის პატენტის გაცემას. ეს წესი დიდად სასარგებლოა. ეს ნიშნავს იმის შესაძლებლობას, რომ გამოგონება გამოყენებულ იქნეს ექსპერიმენტული საწარმოო, ზოგჯერ კომერციული მიზნითაც. ბევრად უფრო პუბლიკაციის ან სხვა საშუალებებით გამოგონების გახსნის შესაძლებლობას საფრანგეთში, სკანდინავიის ქვეყნებში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში სიახლის მიხედვით შეღავათი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოგონება გაიხსნა მესამე პირის მიერ, ავტორის ნება-სურვილისათვის გვერდის ავლით. გერმანიაში, იტალიაში, პორტუგალიაში შეღავათიანი ვადა მოქმედებს მხოლოდ საავტორო პუბლიკაციებისა და გამოყენების მიმართ. აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში, კანადაში და სხვა ქვეყნებში კანონი შეღავათიან ვადას ანიჭებს ავტორისათვის, როგორც გამოგონების გახსნის შემთხვევაში, ისე მესამე პირის მიერ საგამომგონებლო იდეის არაკეთილსინდისიერი გახმაურების შემთხვევაშიც.

უმეტეს ქვეყნებში — გერმანია, იაპონია, საფრანგეთი, სკანდინავიის ქვეყნები — შეღავათიანი პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს, თუმცა არსებობს სხვა ვადებიც. მაგალითად, აშშ-ში. ესა-

ნეთში, იტალიაში, პორტუგალიაში შეღავათიანი პერიოდი უტოლდება 1 წელს, კანადაში — 2 წელს.

შეღავათიანი ვადა დგინდება განაცხადის ფაქტობრივად შეტანის თარიღის მიმართ, კონვენციური პრიორიტეტის განცხადება ზეგავლენას არ ახდენს მის გამოთვლაზე. ვადის წინდინარეობა იწყება პირველი პუბლიკაციის თარიღიდან ან პირველი შეტყობინებიდან, ან გამოგონებლის გამოყენების დაწყებიდან.

სხვადასხვა ქვეყანაში ერთნაირად არ წყდება საკითხი გამოგონებლის გახსნის ფორმის მიმართ, რომლებიც ხელს არ უშლიან პატენტის გაცემას. მაგალითად, ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო კანონით სიახლეს არ აბათილებს გარკვეული ვადის ფარგლებში საგამომგონებლო იდეის ნებისმიერი გამოყენება და ნებისმიერი გახმაურება. ინგლისური საპატენტო-უფლებრივი სისტემის მქონე ბევრ ქვეყანაში გამოგონების გახსნის სხვადასხვა საშუალებებისათვის დგინდება სხვადასხვა ვადა. მაგალითად, ახალ ზელანდიაში, ინგლისში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სიახლეს არ აბათილებს გამოგონებზე ავტორის მიერ გამოგონების ხასიათის შესწავლის მიზნით, სამეცნიერო საზოგადოებაში ან მთავარ პუბლიკაციებში 6 თვის მანძილზე ოფიციალური პირებისათვის გამოგონების გახსნა, აგრეთვე განაცხადის შეტანამდე 12 თვის მანძილზე „აუცილებელი ექსპერიმენტული გამოყენება“. თუ გამოგონება არამართლზომიერად იყო გამოქვეყნებული მესამე პირის მიერ, გამოგონებელმა რომ პატენტზე უფლება არ დაიკარგოს, ამ ფაქტის შეტყობინებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა შეიტანოს განაცხადი.

იაპონიაში საგამომგონებლო შეღავათი მოქმედებს გამოგონების გამამკლავებელი ნებისმიერი მოქმედების მიმართ, თუ ის განხორციელებული იყო მესამე პირის მიერ. გამოგონებელს და მის უფლებამონაცვლეს უფლება ეძლევა შეღავათიანი პერიოდის განმავლობაში ჩაატაროს ექსპერიმენტები, პრესაში გამოაქვეყნოს გამოგონება, აგრეთვე მოახდინოს წერილობითი შეტყობინებები საპატენტო უწყების ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ სამეცნიერო საზოგადოებებში. იმისათვის, რომ განმცხადებელმა მინიჭებული უფლება გამოიყენოს, საპატენტო განაცხადის შეტანისას ვალდებულია საპატენტო უწყების ხელმძღვანელის სახელზე შეიტანოს თხოვნა, ხოლო 30 დღის განმავლობაში განაცხადის შეტანის შემდეგ წარადგინოს

განცხადებული გამოგონების ადრე გამჟღავნებულთან იდენტურობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დაბოლოს, ბევრ ქვეყანაში არავითარ შეღავათებს არ ითვალისწინებენ განაცხადის შეტანამდე გამოგონების გახსნის შემთხვევასთან დაკავშირებით; კერძოდ, ეს ქვეყნებია: არგენტინა, ბოლივია, ერაყი, თურქეთი, ირანი, ლიბანი, ლუქსენბურგი, მექსიკა, მოროკო, ნიდერლანდი, პარაგვაი, პერუ, ჰირია, ტუნისი, ურუგვაი, ჩილი, შვეიცარია, შრა-ლანკა, აფრიკა-მალაგასის ქვეყნების კავშირში შემავალი სახელმწიფოები.

ამ ქვეყნებში, აგრეთვე იქ, სადაც კანონი უფლებამოსილი პირის მიერ საგამომგონებლო შეღავათს გამოგონების, მხოლოდ გახსნის შემთხვევაში ითვალისწინებს, გამომგონებლისა და მისი უფლებამონაცვლის ინტერესები, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება დაცული იქნეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევისათვის დადგენილი ნორმებით, როცა მესამე პირი სჩადის არაუფლებამონაცვლობით მოქმედებას.

უმეტეს ქვეყნებში ტექნიკის დონის დადგენის შემთხვევაში ითვალისწინებენ სრულ ინფორმაციას, რაც პრიორიტეტის თარიღამდე, მისი გამოჩენის დროის — ინფორმაციის ხანდაზმულობისაგან. დამოუკიდებლად არსებობდა. მაგალითად, შეიძლება ისე მოხდეს, რომ 1996 წელს ერთი ქვეყნის ფირმის მიერ დაპატენტებული გამოგონება ხერხზე რომელიმე სხვა ქვეყანაში გაუქმდეს იმის გამო, რომ ამა თუ იმ მეცნიერმა ან სპეციალისტმა პატენტის საგანი მოხსენებაში სადმე მესამე ქვეყანაში ჯერ კიდევ 1898 წელს აღწერა; ეს შეტყობინება თავის დროზე პრაქტიკულად არ იყო გამოყენებული, თუმცა იგი საკმარისია იმისათვის, რომ გამოგონება სიახლედ არ იქნეს მიჩნეული.

ამასთან ერთად ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილია, რომ სიახლეს განსაზღვრის შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გამოგონებაზე ინფორმაციის გამოქვეყნების დრო. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში და ინგლისური სამართლის მქონე ზოგიერთ სხვა ქვეყანაში საპატენტო უწყებაში განაცხადის განხილვისას შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპირდეს გაცემული პატენტები და გამოქვეყნებული საპატენტო განაცხადები პრიორიტეტის თარიღით, რომელიც წინ უსწრებს გამოსაკვლევ გამოგონების შეტანის თარიღს არა უმეტეს 50 წლისა. სხვა პუბლიკაციებისა და გამოყენე-

ზული გამოგონებების გათვალისწინება ხდება სიახლის დადგენის შემთხვევაში მათი გამოქვეყნების ვადის ან გამოყენების დაწყების საგან დამოუკიდებლად. ერასუსა და ესპანეთში სიახლის გამაბათილებელი ცნობების ხანდაზმულობა ასევე უტოლდება 50 წელს და მოქმედებს გამოგონების გამოყენების მიმართ, ინდოეთში სიახლეს არ აბათილებენ ამ ქვეყნის ის საპატენტო განაცხადების აღწერილობები. რომლებიც 1912 წლის 1 იანვრამდე იყო გამოქვეყნებული.

ინფორმაციის ხანდაზმულობის ვადების შეზღუდვა ტექნიკის დონის დადგენისას, გერმანიასა და ინგლისში აღიარებული იყო 1978 წლამდე. მაგალითად, ინგლისის 1949 წლის საპატენტო კანონი ითვალისწინებდა განცხადებული გამოგონებისადმი ბოლო 50 წლის მანძილზე გამოქვეყნებული პატენტებისა და სასაპატენტო განცხადების დაპირისპირებას, ხოლო გერმანიის 1967 წლის საპატენტო კანონი — პრიორიტეტის თარიღამდე უკანასკნელი 100 წლის მანძილზე გამოჩენილ ნებისმიერ ინფორმაციას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარება, თანამედროვე მეცნიერული კონტრაქტების არსებობა საშუალებას იძლევა ოპერატიულად იქნეს მიღებული ცნობები ყველა უახლეს ტექნიკურ იდეაზე და დროულად განხორციელდეს ის პრაქტიკაში. ამიტომ ინფორმაციის ხანდაზმულობის ინსტიტუტმა დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და, თუ მოწინავე განვითარებული ქვეყნების მოქმედ საპატენტო კანონებს გაეაანალიზებთ, დაუარწმუნდებით, რომ ისინი არ შეიცავენ ნორმებს ამ ინსტიტუტზე.

ყველა ქვეყანაში გამოგონების პატენტუნარიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს სამრეწველო გამოყენებადობა-სარგებლიანობა. თვით ცნება „სამრეწველო საკუთრება“, რომლის ძირითად სახეს გამოგონებაზე გაცემული პატენტი წარმოადგენს, შეიცავს ამ მოთხოვნას. პატენტების გაცემისა და მოქმედების საკითხების მარეგულირებელი ცალკეული ნორმატიული აქტები შეიცავენ გამოგონების სამრეწველო გამოყენებადობის მოთხოვნებს, მაგალითად, ასეთი ხასიათისაა იტალიაში 1979 წლამდე მოქმედი „საკანონმდებლო დებულებანი სამრეწველო გამოგონების პატენტებზე“.

უმეტეს ქვეყნებში სამრეწველო გამოყენებადობის მოთხოვნებს შეიცავს კანონები. მაგალითად, შვეიცარიის კანონში პატენტის შესახებ აღნიშნულია, რომ „პატენტები გაცივმა მრეწველობაში გამოყენებულ ახალ გამოგონებებზე“.

რუსეთის საპატენტო კანონით გამოგონების პატენტუნარიანობის პირობებში ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად მითითებულია სამრეწველო გამოყენებადობა. საქართველოს დებულებაში „გამოგონების შესახებ“ მითითებულია, რომ „პატენტი გაიცემა გამოგონებაზე, რომელსაც ახასიათებს სიახლე, საგამომგონებლო დონე და სამრეწველო გამოყენებადობა“. როგორც უკვე ითქვა, ანალოგიური დებულებანი შეიძლება ინახოს ბევრ სხვა კანონებშიც. იმ ქვეყნებში (აშშ, კანადა და სხვა), სადაც კანონი პირდაპირ არ მითითებს იმაზე, რომ სამრეწველო გამოყენებადობა გამოგონების პატენტუნარიანობის აუცილებელი პირობაა, საპატენტო სამართლის ნორმები ისეთი სახითაა აგებული, რომ მოცემული მოთხოვნის არსებობას ითვალისწინებს.

უმეტესი ქვეყნების კანონებით განმარტებული არაა „სამრეწველო გამოყენებადობის“ ცნების შინაარსი, ამ საკითხს განსაზღვრავს ადმინისტრაციული ან სასამართლო პრაქტიკა და იგი მათს კომპეტენციაში შედის. პრაქტიკით დადგენილ წესებს, მიუხედავად დეტალებში განსხვავებებისა, აქვს ერთნაირი პრინციპული დებულებანი.

„მრეწველობის“ ცნებას საპატენტო სამართალში გაცილებით ფართო შინაარსი აქვს, ვიდრე ანალოგიურ ეკონომიკურ ცნებას. პატენტუნარიანად მიიჩნევა არა მარტო სამრეწველო წარმოების სფეროს მიკუთვნებული გამოგონებები, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა სფეროს გამოგონებებიც. კერძოდ, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, მედიცინის, მეცნიერების, კულტურის, სპორტის. მაგალითად, პატენტები გაიცემა სხვადასხვა სახის სამედიცინო მოწყობილობებზე, ხელსაწყოებზე; ზოგიერთ ქვეყანაში პატენტები გაიცემა ფარმაცევტულ პრეპარატებზე და მათი მიღების ხერხებზე.

სოფლის მეურნეობის სფეროში უდავოდ პატენტუნარიანად მიიჩნევა სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ბევრ ქვეყანაში დაშვებულია სასუქების, საკვების, ჰერბიციდების, ცხოველთა ვეტერინარული დამუშავების ხერხების დაპატენტება და სხვა. კულტურის სფეროდან გამოგონების მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ელექტრომუსიკალური ინსტრუმენტები, საღებავების შედგენილობები, გრიმბი, საბავშვო სათამაშოები, თამაშებისათვის განკუთვნილი ხელსაწყოები. მაგალითად, აშშ-ში გაცემული იყო პატენტი სათამაშო მაგიდაზე. არსებითად სამრეწველო გამოყენებადობის

მოთხოვნა საპატენტო სამართალში ნიშნავს, რომ ამოცანის გადაწყვეტა უნდა ატარებდეს ტექნიკურ ხასიათს, ე. ი. იყენებდეს მატერიალური სფეროს ობიექტებს და უზრუნველყოფდეს მუდმივი შედეგის მიღებას.

თუ სამრეწველო გამოყენებადობის ნიშან-თვისებებს არ უპასუხებენ საპატენტო სამართლით დაცვას არ ექვემდებარება აღმოჩენები, წმინდა მეცნიერული თეორიები, პრინციპები, კონცეფციები. საპატენტო ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, ხაზს უსვამენ, რომ სამრეწველო გამოყენებადობის ნიშან-თვისება ემსახურება „აღმოჩენისა“ და „გამოგონების“ ცნების გამოიჯვანას. აღმოჩენების პრაქტიკული განხორციელების ხერხები და საშუალებები პატენტუნარიანია.

არ არსებობს პატენტუნარიანი მათემატიკური გარდაქმნების სისტემები, პირობითი აღნიშვნები, კოდები, ანგარიშების ხერხები, მათემატიკური სიმბოლოები. XX საუკუნის შუა წლებამდე ყველა ქვეყნის საპატენტო უწყებები მტკიცედ იდგნენ ამ პოზიციაზე და უარყოფდნენ გამოგონებაზე განაცხადებს, რომელთა შინაარსს წარმოადგენდა აღნიშნული ობიექტები. გამოთვლითი ტექნიკის განვითარებამ, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა სფეროში ელექტრონული გამოთვლითი მანქანების ფართო გამოყენებამ მიგვიყვანა მრეწველობის ახალი დარგის წარმოქმნასთან, რომელიც სპეციალიზებული იყო მხოლოდ ელექტრონული გამოთვლითი მანქანების მათემატიკული უზრუნველყოფის შექმნაზე. წარმოიქმნა მოთხოვნა შემოქმედებითი საქმიანობის ამ ობიექტების — ელექტრონული გამოთვლითი მანქანების ალგორითმებისა და პროგრამების უფლებრივი დაცვის შემოღებისათვის.

განვითარებული მრეწველობის უმეტეს ქვეყნებში ადმინისტრაციული და სასამართლო პრაქტიკა პატენტუნარიანად მიიჩნევს ზოგიერთი სახის ელექტრონული გამოთვლითი მანქანების ახალ ალგორითმებსა და პროგრამებს.

სამრეწველო გამოყენებადობის ნიშან-თვისებებს არ აკმაყოფილებს ის გადაწყვეტები, რომლებიც ადამიანის ზოგიერთი სახის საქმიანობის რეგულირებას, კერძოდ, შრომის ორგანიზაციას, წარმოებას, სწავლების სისტემას და ხერხებს, აღზრდას, საბუნაღატრო აღრიცხვას, შრომის ნაყოფიერების აღრიცხვის ხერხს, ცნობარების, ლექსიკონების, ენციკლოპედიების და ა. შ. შედგენას ემსახურება.

პატენტუნარიანად არ მიიჩნევა ზოგადი აბსტრაქტული იდეები,

ამოცანის უბრალოდ დასმა, უბრალო ცნება. პატენტები გაიცემა მხოლოდ იდენი განმახორციელებელ კონკრეტულ ხერხებზე, საშუალებებზე.

• ბევრი ქვეყნის საპატენტო სამართლის ნორმების შესაბამისად, სამრეწველო გამოყენებადობის მოთხოვნებს არ პასუხობს ადამიანთა და ცხოველთა მკურნალობის ხერხები. მაგალითად, გერმანიაში იყო შემთხვევა, როცა ფედერალურმა სასამართლომ არაპატენტუნარიანად ჩათვალია თმის ცვენის მკურნალობის ხერხი, ხაზი გაუსვა იმას, რომ ჭანმრთელობის შენარჩუნებისა და აღდგენისაკენ მიმართული თერაპიული, ქირურგიული და ა. შ. ყველა ხერხის გამოყენებით ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედება არ ექვემდებარება საპატენტო დაცვას. ასეთივე შემთხვევა იყო კანადაში — კანადის ხაზინის სასამართლომ დაადასტურა საპატენტო უწყების უარი პატენტის გაცემაზე უჯრედების შეერთების ქირურგიულ ხერხთან დაკავშირებით.

ინდოეთში აღნიშნული წესი დადგენილია. საპატენტო კანონით. ზოგიერთ ქვეყანაში ადამიანთა მკურნალობის ხერხების დაპატენტება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნებადართული, თუ ხერხის არსებით ელემენტს წარმოადგენს მატერიალური საშუალებები, მოწყობილობები, აპარატები, ინსტრუმენტები.

პატენტუნარიანად არ მიიჩნევა დიაგნოსტიკის ხერხები. ამასთან ერთად ხერხები და საშუალებანი, რომელთა დანერგვითაც დგინდება ესა თუ ის მონაცემები (სინსხლის, კუჭის წვენის შემადგენლობა და ა. შ.), რომლებიც შემდგომში დიაგნოსტიკაში გამოიყენება — პატენტუნარიანია.

ცალკეულ ქვეყნებში (ესპანეთი, იაპონია და სხვა) პატენტუნარიანად მიიჩნევა ცხოველთა მკურნალობის ხერხები. აშშ-ში პატენტდება როგორც ცხოველთა მკურნალობის ხერხები ისე ადამიანის მკურნალობის ხერხებიც.

სულ რამდენიმე ქვეყანაში (აშშ, გერმანია, იაპონია, ინგლისი, საფრანგეთი) გაიცემა პატენტები ცხოველთა და ფრინველთა ცხოვრების ზემოქმედებასთან დაკავშირებული ხერხების შემუშავებისა და კომერციული მიზნით მათგან მისაღები პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

„გამოგონების შესახებ“ საქართველოს დებულების, თანახმად, მცენარეთა და ცხოველთა ახალი სასელექციო ჯიშების სამართლებრივი დაცვა რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო აქტით.

როგორც უკვე აღინიშნა, სამრეწველო გამოყენებადობა ითვალისწინებს გამოგონების ობიექტის არაერთგზისი დამზადების შესაძლებლობას. საკმარისი არ არის, რომ ამოცანის გადაწყვეტა ატარებდეს ტექნიკურ ხასიათს, პატენტუნარიანად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი გამოგონებები, რომელთა ობიექტები შეიძლება არაერთგზის იყოს გამეორებული. პატენტები არ გაიცემა ტექნიკურ გადაწყვეტებზე, რომლებიც გარკვეულ პირობებთან ან მდგომარეობასთანაა დაკავშირებული, როცა მოსალოდნელია, რომ ისინი ობიექტურად გამეორდნენ კიდევ, მაგრამ ასეთი გამეორება შეიძლება პრაქტიკულად აუცილებელი არ იყოს. მაგალითად, ამა თუ იმ ადგილზე აშენებული ხიდი ან კიდეც, თბილისში მთაწმინდის პლატოზე აგებული ე. წ. ფუნქიკულორი-რესტორანი, შეიძლება განსაკუთრებულ ორიგინალურ და სსსარგებლო ნაგებობას წარმოადგენდეს, მაგრამ იგი არაა საპატენტო სამართლის ობიექტი, რამდენადაც ხიდის ან რესტორნის აგებისათვის სხვა ადგილზე და სხვა ბუნებრივ პირობებში უნდა მოხდეს ახალი გაანგარიშება და შეიქმნას ახალი კონსტრუქცია, ე. ი. იგი არ შეიძლება გადატანილი იქნეს სხვა ადგილზე პრინციპული და ძირეული ცვლილებების გარეშე. აქ არა გვაქვს ობიექტის განმეორებადობის ნიშან-თვისება, რომელიც უმეტეს ქვეყნებში გამოგონებისათვის წაყენებულ ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს. ამასთან ერთად ნაგებობის ცალკეული ელემენტები შეიძლება იყოს და წარმოადგენს კიდევ პატენტუნარიანობის მქონეს, რამდენადაც ისინი შეიძლება ხიდის ან ნაგებობის სხვადასხვა კონსტრუქციაში იქნეს გამოყენებული.

გამოგონების ობიექტის განმეორებადობის მოთხოვნას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გავება აქვს. მაგალითად, იაპონიაში, იტალიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში განმეორებადობა ვიწრო გაგებით იფარგლება. ამ მოთხოვნას პასუხობს ისეთი გამოგონებები, რომლებიც შეიძლება სამრეწველო გზით განხორციელდეს.

როგორც უკვე აღინიშნა, წინადადების გამოგონებად აღიარებისათვის, გარდა დადგენილი მოთხოვნებისა, უნდა არსებობდეს ისეთი ნიშან-თვისება, რომელიც საპატენტო კანონებსა და დებულებებში მითითებული არაა, მაგრამ მისგან გამომდინარეობს. საქმე ეხება გამოგონების განხორციელების არაერთგზისი შესაძლებლობის, კვლავწარმოების, ობიექტის განმეორებადობას. მხედველობაშია ის ობიექტი, რომელშიც რეალიზებულია გამოგონება. ზემოთ მოყვანილი მა-

გალითი მიუთითებს წინადადების მრავალგზის კვლავწარმოების შეუძლებლობაზე, რომელიც ითვალისწინებს რომელიმე უნიკალური, ბუნებრივი და სხვა პირობების გამოყენებას და ამდენად, იმის შეუძლებლობას, რომ ასეთი წინადადება მიეკუთვნოს გამოგონებათა კატეგორიას და მასზე შესაბამისად გაიცეს დამცველი დოკუმენტი — პატენტი.

ამრიგად, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ობიექტის, რომელშიც გამოყენებულია გამოგონება, არაერთგზის კვლავწარმოების შესაძლებლობაზეა აგებული გამოგონებათა დაცვა ყველა ქვეყანაში.

უმეტეს ქვეყნებში განმეორებადობის უნარის უქონლობის გამო პატენტუნარიანად არ მიიჩნევა ცოცხალი ორგანიზმები და მათი კვლავწარმოების ხერხები.

სამეწარმეო საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარებულ ქვეყნებში მცენარეთა თესლების თესვისა და მათი მიღების ხერხებზე დაიწყო უფლებრივი დაცვის შემოღება. ამასთან, მონოპოლიის ფორმები და მათი დადგენის მეთოდები ერთობ სხვადასხვაგვარია. ამჟამად სელექციურ მიღწევათა უფლებრივი დაცვა არსებობს ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში და მათი რეგულირება ხდება საპატენტო სამართლის არა ზოგადი, არამედ სპეციალური კანონმდებლობით, მათ შორის, როგორც უკვე ითქვა, ეს წესი მოქმედებს საქართველოშიც, სადაც გამოგონების ობიექტად ითვლება არა მარტო ცხოველთა, მცენარეთა და ქსოვილთა კულტურა, არამედ მიკროორგანიზმთა შტამი და მისი ახალი დანიშნულებით გამოყენება.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მიკროორგანიზმები და სხვადასხვა ნივთიერების მიღება-დამუშავების მიკრობიოლოგიური ხერხები ფართოდ გამოიყენება მედიცინაში, კვების, მეტალურგიის, ქიმიურ, სამთო-მოპოვებით მრეწველობაში, მაგალითად, ანტიბიოტიკების, ვიტამინების, ღვინის უალკოჰოლო სასმელების, საკონდიტრო ნაწარმის, ნავთობპროდუქტების და ა. შ. მიღებისათვის.

მრეწველობაში მიკრობიოლოგიური ობიექტების ფართო გამოყენებამ ბოლო ათეულ წლებში გამოიწვია საპატენტო მონოპოლიის დადგენის აუცილებლობა ამ მიღწევათა გამოყენებაზე, რაც განხორციელდა კიდევ უმეტესი ქვეყნების საპატენტო ანდა სპეციალური კანონმდებლობით.

საერთოდ, როდესაც საქმე ეხება სამრეწველო გამოყენებადობას,

ზოგიერთ ქვეყანაში — ძირითადად ფრანგული და გერმანული საპატენტო სისტემების მქონე ქვეყნებში — სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმში, ტექნიკური გადაწყვეტისა და განმეორებადობის ნოთხოვნასთან ერთად, გამოგონების სარგებლიანობის მოთხოვნასაც შეიცავს.

ინგლისური¹ და ამერიკული საპატენტო სისტემების მქონე ქვეყნებში, აგრეთვე ზოგიერთ სხვა ქვეყნებშიც გამოგონების სარგებლიანობის მოთხოვნას პატენტუნარიანობის კრიტერიუმის დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, რაც მათი საპატენტო კანონმდებლობითაა დადგენილი.

მართალია, კანონი ჩვეულებრივ, არ ხსნის იმას, თუ რას ნიშნავს გამოგონების სარგებლიანობა, მაგრამ ამ კრიტერიუმის შინაარსი დგინდება სასამართლო ან ადმინისტრაციული პრაქტიკით.

სარგებლიანობის მოთხოვნა ნიშნავს იმას, რომ გამოგონება, რომელიც განხორციელებულია პრაქტიკაში, უნდა იძლეოდეს დადებით ეფექტს, სახელდობრ, იმას, რასაც ითვალისწინებდა მისი შექმნა.

სავალდებულო არაა, რომ გამოგონების განხორციელების შედეგად მიღებული ეფექტი იყოს ახალი, გამოგონება შეიძლება ხსნიდეს ახალ გზას ცნობილი შედეგის მისაღწევად და ამ შემთხვევაშიც იგი სარგებლიანად მიიჩნევა.

გერმანული საპატენტო სამართლის მქონე ქვეყნებში სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმთან ერთად, სასამართლო და ადმინისტრაციული პრაქტიკით გამოიყენება სხვა კრიტერიუმიც — გამოგონების ე. წ. ტექნიკური პროგრესულობა.

ტექნიკური პროგრესულობის თანახმად ახალი იდეა უნდა ამდიდრებდეს ტექნიკას და მან გარკვეული წვლილი უნდა შეიტანოს მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების განვითარებაში. თუმცა აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოგონება ამ შემთხვევაში იმაზე უფრო მნიშვნელოვან მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ეს კრიტერიუმი არ არსებობს. ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტა შეიძლება პატენტუნარიანად იქნეს მიჩნეული, თუნდაც მაშინ, როცა მას ადრე ცნობილთან შედარებით გარკვეული ნაკლოვანებები აქვს.

¹ ინგლისში 1978 წლის 1 ივლისიდან ძალაში შესული საპატენტო კანონი არ ითვალისწინებს გამოგონების სარგებლიანობის კრიტერიუმებს.

ახალ იდეას ტექნიკური თვალსაზრისით პროგრესულად მიიჩნევენ, თუ მისი უპირატესობა ნაყოფიანობებს სჭარბობს.

პროგრესულად არ ითვლება ის იდეები, რომლებიც მიუხედავად სხვა ხასიათის უპირატესობებისა, ტექნიკური თვალსაზრისით ან რეგრესულს წარმოადგენს ან არავითარი წვლილი არ შეაქვს მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების განვითარებაში.

შეიძლება ითქვას, რომ ტექნიკური პროგრესულობის კრიტერიუმი, რომელსაც გერმანული სამართალი ითვალისწინებს, არსებითად არ განსხვავდება სარგებლიანობის, კრიტერიუმისაგან, რომელიც როგორც აღინიშნა, ფრანგული საპატენტო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ხოლო ამერიკულში — პატენტუნარიანობის დამოუკიდებელ კრიტერიუმს. ტექნიკური პროგრესულობა გულისხმობს, რომ სიახლე უნდა ეხებოდეს ტექნიკურ საშუალებებს, რომლებსაც იყენებს იდეა, ამასთან ისინი უნდა იძლეოდნენ პრაქტიკულ სარგებლობას და ამდიდრებდნენ ტექნიკას. ნებისმიერი ახალი, პრაქტიკულად განხორციელებადი ტექნიკური იდეა კი ამდიდრებს ტექნიკას, ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებას.

საგამომგონებლო შემოქმედების (არასიაშკარავის) მოთხოვნა თითქმის ყველა განვითარებული მრეწველობისა და ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაშიც არსებობს. უმეტეს ქვეყნებში ეს მოთხოვნა განმტკიცებულია კანონმდებლობით.

ახლა შევეცადოთ გავცეთ პასუხი იმას, თუ რას წარმოადგენს საგამომგონებლო შემოქმედებებს კრიტერიუმის შინაარსი.

ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეიძლება ძნელი იყოს, რადგან საქმე ეხება ადამიანის შემოქმედებით საქმიანობას, ხოლო შემოქმედებითი პროცესების ბუნების ახსნა სხვადასხვა ფაქტორთან, მათ შორის ფსიქოლოგიურთანაც არის დაკავშირებული და მისი განმარტების იურიდიული ნორმა ჯერჯერობით დადგენილი არაა და, საერთოდ ეს პროცესი სათანადოდ არცაა შესწავლილი. შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ შემოქმედებითი იდეა, ე. ი. პატენტუნარიან გადაწყვეტაში ჩადებული შემოქმედებითი იდეა უნდა შეიცავდეს გარკვეულ ხარისხობრივ მაჩვენებლებს ან დონეს. თუ ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს მაშინ იდეა ატარებს საგამომგონებლოს სახელწოდებას და მისი შედეგი შეიძლება დაპატენტდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტა პატენტუნარიანად არ მიიჩნევა. იმის

გარკვევა, თუ როგორია შემოქმედებითი იდეის ხარისხობრივი მაჩვენებელი ან დონე, რომელიც მოიცავს პრაქტიკაში არსებულ ყველა შემთხვევას, ზოგჯერ შეუძლებელია.

ამა თუ იმ გადაწყვეტის პატენტუნარიანობის დადგენისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ექსპერტის, სასამართლოს სუბიექტური შეფასება. ამოცანის გადაწყვეტაში საგამომგონებლო შემოქმედების უქონლობა ან არსებობა, კონკრეტული მდგომარეობიდან გამომდინარე, თითოეულ შემთხვევაში განსაკუთრებული სახით ვლინდება და ბევრად არის დამოკიდებული პირად შეხედულებებსა და გამოგონების ექსპერტის ჩამტარებული პირების ტექნიკურ და სამართლებრივ ერუდიციაზე.

ამოცანის გადაწყვეტაში საგამომგონებლო შემოქმედების არსებობის განსაზღვრისათვის საპატენტო უწყებები და სასამართლოები სარგებლობენ გამოგონების არასიაშკარავის ცნებით. ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო კანონებში (აშშ, ინგლისი, კანადა, საფრანგეთი და სხვა) საგამომგონებლო შემოქმედების კრიტერიუმები განიხილებოდა უშუალოდ არასიაშკარავის (ან სიაშკარავის) ცნების საშუალებით. მაგალითად, საფრანგეთის საპატენტო კანონი ადგენს, რომ „გამოგონება საგამომგონებლო საქმიანობის მქონედ ითვლება, თუ იგი სპეციალისტისათვის არ წარმოადგენს ტექნიკის მდგომარეობიდან, აშკარად გამომდინარეს“. თუმცა აქვე მითითებულია, რომ თუ ტექნიკის მდგომარეობა შეიცავს ფრანგულ პატენტზე განაცხადს, აგრეთვე ევროპულ და საერთაშორისო განაცხადებს, სადაც საფრანგეთი მითითებულია დაპატენტების ადგილად ისეთივე სახით, როგორითაც სხვა ქვეყნები, რომელთა განაცხადში შეტანის თარიღი წინ უსწრებდა ტექნიკის დონის მდგომარეობის განსაზღვრისათვის განკუთვნილ მასალებს, მაგრამ ისინი გამოქვეყნებული იყო მხოლოდ ამ თარიღით ან მოგვიანოთ — მაშინ ეს დოკუმენტები საგამომგონებლო საქმიანობის შეფასებისათვის მხედველობაში არ მიიღება.

საქართველოს დებულებაში „გამოგონების შესახებ“ ნათქვამია: „გამოგონებას გააჩნია საგამომგონებლო დონე, თუ იგი სპეციალისტისათვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან“.

აშშ-ის საპატენტო კანონი უფრო ფართოდ განსაზღვრავს არასიაშკარავის დახმარებით საგამომგონებლო შემოქმედების საშუალებას, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში იმ ცნებათა შინაარსი, რომელთა

დახმარებითაც განისაზღვრება საგამომგონებლო შემოქმედება, ერთნაირი არ არის, კერძოდ, მხედველობაში მიიღება სიაშქარავე, გადაწყვეტის არსი მთლიანად გამოგონების შექმნის მომენტი, საშუალო სპეციალისტი, ცოდნის დონე და ა. შ.

თუმცა არსებობს ზოგიერთი ზოგადი დებულება. საპატენტო სამართალში „სიაშქარავეს“ ცნების შინაარსი განსხვავდება საერთოდ მიღებულისაგან. ჩვეულებრივ, „სიაშქარავედ“ მიიჩნევა მოვლენები, ობიექტები, გადაწყვეტები, რომლებიც მათი გაგებისათვის ანალიზს, განსჯას არ საჭიროებენ. საპატენტო სამართალში სიაშქარავეს ცნება კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს გააზრების აუცილებლობას, ცდების ჩატარებას, ანალიზს და ა. შ. აშქარად ითვლება ისეთი გადაწყვეტა, რომელთანაც აუცილებლად შეიძლება მივიღეთ ლოგიკური განსჯის, ანალიზის, ცდების გზით. ამასთან ერთად სიაშქარავე არ გულისხმობს სპეციალისტის მიერ ამოცანის გადაწყვეტის ხერხის წინასწარ აბსოლუტურ განჭვრეტას და მიღებული შედეგის წარმატებაში რწმენას.

საგამომგონებლო შემოქმედების განსაზღვრისას განხილული უნდა იქნეს მთლიანად გადაწყვეტის არსი, ე. ი. საკმარისი არ არის, რომ ცალკე აღებული თითოეული ელემენტი წინა გადაწყვეტებიდან იყოს ცნობილი. მაგალითად, თუ გადაწყვეტა ელემენტების კომბინაციაა, მაშინ იგი განიხილება, როგორც რაიმე ერთიანობა და მისი რომელიმე ნაწილის უარყოფა, თითოეული შემადგენელი ელემენტის ცნობილობის საფუძველზე არ დაიშვება. „მთლიანობაში გადაწყვეტის არსის“ გამოსახვას ფართო გაგება აქვს. იგი მოიცავს არა მარტო პრობლემის გადაწყვეტის საშუალებებს, არამედ თვით პრობლემის დასმასა და მის შედეგს. ზოგიერთ ქვეყანაში შეიძლება შეგვხვდეს მაგალითები, როცა სასამართლო არასიაშქარავედ მიიჩნევს ცნობილი ელემენტების კომბინაციას, თუნდაც იგი არავითარ ახალ ეფექტს არ იძლეოდეს და მისი ყველა ელემენტი მათთვის აღრე დამახასიათებელ ცნობილ ფუნქციებს ასრულებდეს. ამ შემთხვევაში კანონი არასიაშქარავედ მიიჩნევს თვით პრობლემის დაყენებას, რომ არასიაშქარა პრობლემა მისი ცნობილი საშუალებების განხორციელებასთან კავშირში პატენტუნარიან გამოგონებას წარმოადგენს.

გადაწყვეტის სიაშქარავე განიხილება იმ მომენტისათვის, როცა იგი იყო შექმნილი. განაცხადის საპატენტო უწყებაში განხილვის პროცესში მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით ზირთულები, ჩვე-

ულეებრივ, არ წამოიჭრება. მართალია, როგორც აღინიშნება ხოლმე სასამართლო გადაწყვეტილებებში, ექსპერტი უნდა მოერიდოს სიაშ-კარავის შეფასებას იმ გახსნის საფუძველზე, რომელიც თვით განმცხადებლის მიერ იყო გაკეთებული, ე. ი. სიაშკარავის განსაზღვრისას არ შეიძლება მხედველობაში მივიღოთ თვით განსახილველი გადაწყვეტა. თუკი დავა პატენტის ნამდვილობასთან დაკავშირებით გამოგონების შექმნის მნიშვნელოვანი დროის გასვლის შემდეგ წარმოიქმნება, მაშინ აქ ხშირია შეცდომები, რამდენადაც ის, რაც გამოგონების შექმნის მომენტში არააშკარა იყო, დავის განხილვის დროს შეიძლება უკვე ჩვეულებრივი, აშკარა იყოს, და პატენტუნარიანობის განმსაზღვრელ პირს გაუჭირდება იმის დადგენა, იყო თუ არა გამოგონება რამდენიმე წლის წინათ აშკარა.

დასაპატენტებელი გამოგონების სიაშკარავე განისაზღვრება ე. წ. „საშუალო სპეციალისტის“ მიმართ. „საშუალო სპეციალისტის“ ცნება გულისხმობს იმ პირს, რომელიც გამოგონების შექმნის მომენტისათვის ფლობს ზოგადი ხელმისაწვდომი ცოდნისა და მუშაობის გამოცდილებას იმ დარგში, რომელსაც გამოგონება მიეკუთვნება. ამასთან, ცოდნის ამ სახეების დონე უნდა იყოს ჩვეულებრივი, საშუალო. იმ პირის აზრს, ვინც არ ფლობს აუცილებელ ცოდნას და გამოცდილებას იმ დარგში, რომელსაც გამოგონება მიეკუთვნება, არასიაშკარავე განსაზღვრისას მნიშვნელობა არა აქვს. მეორე მხრივ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ასევე გამოირჩევა იმ კატეგორიის პირებისაგან, რომლებიც ამ დარგში ჩვეულებრივ ცოდნას ფლობენ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩვენს სინამდვილეში მოთხოვნები საშუალო სპეციალისტის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა და თანამედროვე სპეციალისტი, როგორც წესი, მაღალკვალიფიციურა ინჟინერ-ტექნიკოსი, არა მარტო ამომწურავად ფლობს თავის დარგში ცნობილი ცოდნის მარაგს, არამედ სხვა დარგების ან დარგთაშორისი ცოდნის საკითხებში ერკვევა.

იმის გარკვევა, ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაწყვეტები აშკარაა თუ არააშკარა, დამოუკიდებელია მთელ რიგ კონკრეტულ და სუბიექტურ ფაქტორებზე და სიაშკარავისა და არასიაშკარავის ზუსტი საზღვრების დადგენა ყოველთვის შესაძლებელი არ არის. გარდა ამისა, არასიაშკარავე განისაზღვრება სხვა, უფრო განუსაზღვრელი ცნების — „საშუალო სპეციალისტის“ მიმართ და რამდენადაც ეს ცნება პირობითია, შეიძლება ნათლად წარმოვდგინოთ

მოცემული საკითხის გადაწყვეტისადმი გულდასმითი მიდგომის საპირობების დიდი მნიშვნელობა, რადგანაც საქართველოს დებულებაში „გამოგონების შესახებ“ გამოგონების მიმართ ერთ-ერთი კრიტერიუმი — „საგამომგონებლო დონე“ გულისხმობს, რომ „გამოგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ იგი სპეციალისტისათვის ცხადად (აშკარად) არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან“.

აი, რატომ და არა მართო ამიტომ, საჭიროა არასიაშკარავის განსაზღვრის იმ წესების ცოდნა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში მრავალწლიანი ადმინისტრაციული და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე არის შემუშავებული. ამ წესებმა მიიღო „არასიაშკარავის განსაზღვრის პრაქტიკული წესების“ სახელწოდება. სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებს ძირითადად თითქმის ერთი და იგივე წესები. უფრო დაწვრილებით ისინი დამუშავებულია იმ ქვეყნებში, რომელთა საპატენტო სამართალს ხანგრძლივი, მდიდარი გამოცდილება აქვს და განვითარებული საპატენტო-უფლებრივი მეცნიერება. ეს ქვეყნებია უპირველესად აშშ და გერმანია.

აშშ-ში არასიაშკარავის კრიტერიუმების თანმიმდევრული გამოყენება ჯერ კიდევ 1850 წლიდან დაიწყო. გასული დროის მანძილზე საპატენტო უწყებამ და სასამართლოებმა შეიმუშავეს მთელი რიგი პრაქტიკული წესები, რომლებითაც სარგებლობენ ექსპერტები და მოსამართლეები გამოგონებათა პატენტუნარიანობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას. ამ წესებმა აშშ-ში მიიღო „პოზიტიური“ და „ნეგატიური“ წესების სახელწოდება. პოზიტიური წესები გამოიყენება არასიაშკარავის დადასტურებისათვის, ნეგატიური — უარყოფისათვის. თითოეულ წესს საკმაოდ ვიწრო შინაარსი აქვს და ასახავს საგამომგონებლო საქმიანობის ამა თუ იმ კონკრეტულ ფორმას. ბუნებრივია, რომ ტექნიკური შემოქმედების ყველა სახის ჩამოთვლა, რომლებიც ცხოვრებაში გვხვდება, შეუძლებელია. ამასთან ერთად არავითარი განმაზოგადებელი ფორმულირება, რომელიც სხვადასხვა სიტუაციაში შეიძლება სასარგებლო იყოს, არ არსებობს. ამერიკულმა პოზიტიურმა და ნეგატიურმა წესებმა გავრცელება პოვა მექსიკაში, პერუში და სხვა ქვეყნებში.

გერმანული საპატენტო სამართლისათვის საგამომგონებლო შემოქმედების კრიტერიუმები ცნობილია გასული საუკუნის ბოლოდან. განვლილ პერიოდში იურისტებმა პატენტუნარიანობის განსაზღვრისათვის გამიზნული პრაქტიკული წესების საკუთარი სისტემა შეიმუ-

შავეს. ამ წესებს უფრო ფართო განმაზოგადებელი ხასიათი აქვთ, უფრო სწორად ასახავენ საგამომგონებლო შემოქმედების თავისებურებებს და შეიძლება გამოყენებული იქნენ მის სხვადასხვა სახესთან ერთად. მსგავს წესებს ფართოდ იყენებენ უმეტესი ქვეყნების საპატენტო უწყებები და სასამართლოები.

შემუშავებულ ნაშრომში გადმოცემული დებულებები გერმანულ სისტემას უახლოვდება.

სრულიად ახალი ან ცნობილი ტექნიკური პრობლემის აბსოლუტურად ახალი ხერხით გადაწყვეტა თითქმის ყველა ქვეყანაში გამოგონებად მიიჩნევა. ასეთ გამოგონებებს პიონერულს უწოდებენ, რამდენადაც მათ ტექნიკის ისტორიაში პრეცედენტი არა აქვთ და მეცნიერულ-ტექნიკური აზრის განვითარებაში საეტაპო მნიშვნელობა ენიჭებათ. ასე მაგალითად, პირველი ანტიბიოტიკის — პენიცილინის შექმნა წარმოადგენდა პიონერულ გამოგონებას, რომელმაც დაავადების გარკვეული სახის მკურნალობის ახალი მეთოდი დაამკვიდრა. თავის დროზე პიონერულ გამოგონებებს წარმოადგენდნენ ორთქლის მანქანა, ვარვარის ნათურა, პლასტმასები, რადიო, ტელეხედვა, რადარი, ლაზერი, ატომური რეაქტორი და ა. შ. ეს გამოგონებები ყველა ქვეყანაში უდავოდ მიჩნეული იყო არააშკარად და პატენტუნარიანად.

პიონერული გამოგონება საკმაოდ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. უმეტესი ტექნიკური გადაწყვეტები უკვე არსებული პროტოტიპების ბაზაზე იქმნება და მათს დამატებას ან განვითარებას წარმოადგენს. მათი არასიაშკარავის დადგენისათვის სარგებლობენ ახალი ტექნიკური ეფექტის ცნებით. თუ ცნობილი ელემენტები ახალ პირობებში ახალ ეფექტს იძლევიან და ადრე უცნობ რაიმე ახალ თვისებებს ფლობენ, გამოგონება შეიძლება მიჩნეულ იქნეს პატენტუნარიანად. მისი პატენტუნარიანობის მისაჩნევად, როგორც წესი, საჭიროა, რომ გამოგონების ეფექტი ან თვისება სპეციალისტისათვის „მოულოდნელი“, იყოს, ე. ი. ადრე არსებული ცოდნით მსგავსი ეფექტის მიღწევა შეუძლებელი იყოს.

მეორე მხრივ, თუ ცნობილი ელემენტები ახალ პირობებში ახალ თვისებებს არ ფლობენ, ე. ი. ცნობილი ელემენტების გამოყენებაზე დაფუძნებული ამოცანის გადაწყვეტა ახალ შედეგს არ იძლევა, გამოგონება აშკარად და არაპატენტუნარიანად მიიჩნევა.

ამრიგად, მიღებული შედეგი წარმოადგენს ტექნიკური გადაწყვე-

ტ.ს არასიაშქარავის მნიშვნელოვან მაჩვენებელს: თუ ახალი ეფექტი, საერთოდ არ არსებობს, შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ გამოგონება არაპატენტუნარიანია. ამავ დროს მოცემული მაჩვენებელი ყოველთვის არ იძლევა უფლებას დანამდვილებით დავადგინოთ არასიაშქარავის არსებობა ან უქონლობა. თუ ცნობილ საშუალებათა ახალი შეთავსება ახალ ეფექტს იძლევა, მაშინ გამოგონება შეიძლება იყოს პატენტუნარიანი ან არაპატენტუნარიანი, ე. ი. გამოგონების განსაზღვრა ეფექტის ხასიათზეა დამოკიდებული.

ტექნიკური გადაწყვეტების უმეტესობა წარმოადგენს ცნობილი ელემენტების — ტექნიკური ხერხების, საშუალებების, ნივთიერებების, დეტალების, კვანძების, მოწყობილობების ნაერთს — ერთიან მთლიანობას გარკვეული მიზნის მიღწევისათვის, რაზე შედეგის მისაღებად.

თუ ორი ან მეტი ცნობილი ელემენტის შეერთებისას თითოეული მათგანი ასრულებს ადრე მისთვის არადამახასიათებელ ფუნქციებს, ავლენს რაიმე ახალ თვისებებს ან კიდევ ცნობილი ელემენტების შეერთება ახალ შედეგს იძლევა, (მიღებული შედეგებიდან საუკეთესო შემადგენელ ელემენტებს) — ასეთ ნაერთს ეწოდება კომბინაცია და იგი შეიძლება მიჩნეულ იყოს პატენტუნარიანად.

კომბინაციური გამოგონების შემთხვევაში აუცილებელი არაა მიღებული ეფექტის სიახლე, თვით იგი შეიძლება იყოს ტექნიკაში ცნობილი, მთავარია მისი ხარისხობრივი ხასიათი.

თუ ნაერთის თითოეული ელემენტი აგრძელებს ადრე ცნობილი თავისი ფუნქციის შესრულებას და მისი ზოგადი ეფექტი წარმოადგენს შემადგენელი ეფექტების ჯამს, ასეთი ნაერთი მიიჩნევა აშკარად და მას აგრეგატი ეწოდება.

კომბინაციის ერთი ელემენტის სრულყოფა, რომელიც შეიძლება თავისთავად იყოს პატენტუნარიანი, ან ცნობილი ელემენტების კომბინაციაში, ახალი პატენტუნარიანი ელემენტის ჩართვა არ ხდის აპრიორულ მთლიან კომბინაციას არააშქარას. ძველი ელემენტების შეერთება ახლებთან პატენტუნარიანად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ახალი ელემენტის არსებობა ძირეულად ცვლის ფუნქციებს და ცნობილი ელემენტებისა და ნაერთის ურთიერთობა შედგება მთლიანობაში სპეციალისტის მიერ გაუთვალისწინებელ ახალ შედეგს იძლევა, მაშასადამე, თუ ცნობილი ელემენტების შეერთება ახალ ეფექტს იძლევა, მაშინ ხორციელდება კომბინაცია. და პირიქით,

რომელიც ხარისხობრივ ახალ შედეგს არ იძლევა, ყოველთვის აგრე-
გატად მიიჩნევა.

მსოფლიოს საპატენტო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ბო-
ლო ხანს აგრეგატის ცნება არსებით ცვლილებებს განიცდის. მაგალი-
თად, აშშ-ში XIX საუკუნის ბოლოს იყო შემთხვევა, როცა გაუქმდა
პატენტი, რომელიც გაცემული იყო ფანქარზე, საშლელით ბოლოში.
სასამართლომ დაპატენტებული გამოგონება ჩათვალა ადრე ცნობილი
ელემენტების (ფანქრისა და საშლელის) უბრალო აგრეგატად, რამდე-
ნადაც არ ხდებოდა მათი ურთიერთმოქმედება და შერწყმისას ისინი
ჯამობრივ და არა ხარისხობრივ ახალ ეფექტს იძლეოდნენ. თუმცა
უკვე 70-იანი წლებიდან ზოგიერთ ქვეყანაში აგრეგატის დადგენილი
ცნება ცვლილებას განიცდის. თუ ცნობილი ელემენტების შეთავსება,
ბიუხედავად მათი ჯამობრივი ეფექტისა, მომხმარებელს გარკვეულ
ხელსაყრელ პირობებს უქმნის, ასეთი გადაწყვეტა მთელ რიგ ქვეყ-
ნებში პატენტუნარიანად მიიჩნევა. მაგალითად, 1972 წელს აშშ-ში
გაცემული იყო პატენტი ბავშვის კოვზზე თერმომეტრით, ხოლო
1974 წელს საფრანგეთში — სავარცხელზე სკალით¹.

ცნობილი ობიექტის ახალი გამოყენება შეიძლება იყოს პატენტ-
უნარიანი. ამ შემთხვევაში მას უწოდებენ გამოგონებას „ახლებურ
გამოყენებაზე“. იგი შეიძლება იყოს შედეგი ჩვეულებრივი საინჟინ-
რო საქმიანობისა და ამ შემთხვევაში მას იხსენიებენ, როგორც „გა-
დატანას“.

ობიექტის გამოყენება ახალი დანიშნულებით გამოგონებად მი-
იჩნევა, თუ ობიექტი ავლენს რაიმე ახალ თვისებას, მოულოდნელ
თვისებებს, ასრულებს მისთვის არადაშვასითებულ ფუნქციას, ე. ი.
თუ ახლებური გამოყენება ახალი შედეგის მიღებას იწვევს.

ამავე დროს, როგორც წესი, გამოგონებად არ მიიჩნევა ცნობილი
ობიექტის გამოყენება მონათესავე დარგში, მაგალითად, არაპატენტ-
უნარიანია პნევმატური ტრანსპორტირების ცნობილი ხერხის გამოყე-
ნება თამბაქოს ტრანსპორტირებისათვის.

ამასთან ერთად „ტექნიკისაგან დაშორებულ სფეროში“ ცნობილი
ობიექტის გამოყენება არ წარმოადგენს პატენტუნარიანობის აბსო-
ლუტურ მტკიცებას, ზუსტად ისევე, როგორც მისი გამოყენება ტექ-
ნიკასთან ახლოს მდგომ სფეროში არ წარმოადგენს აბსოლუტურ წი-

¹ იხ. აშშ-ის პატენტი № 3695110 და საფრანგეთის პატენტი № 2194112.

ნააღმდეგობას პატენტის გაცემაზე და შეიძლება იქნეს მიჩნეული არასიაშკარავედ, თუ მისი შედეგი სპეციალისტების მოლოდინს აჭარბებს. მაგალითად, გერმანიაში მოხდა შემთხვევა, როცა გერმანიის იმპერიულმა სასამართლომ 1936 წელს არასიაშკარავედ მიიჩნია თამბაქოს დამუშავების ცნობილი ხერხის გამოყენება თამბაქოს ნედლეულის დამუშავებისათვის, რადგან შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

არასიაშკარავის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვისების ცნობილობას, რომელზეც დაფუძნებულია „ახალი გამოყენება“. თუ ეს თვისება კარგად იყო ცნობილი სპეციალისტებისათვის და მისი გამოყენება ცნობილი ობიექტის არავითარ ახალ მხარეს არ სსნის, გადაწყვეტა არაპატენტუნარიანია. ზოგიერთ ქვეყანაში (ესპანეთი, მექსიკა და სხვა) გამოგონების ახალი დანიშნულებით გამოყენება, საერთოდ, არ ექვემდებარება დაცვას.

ცნობილ ნაკეთობაში, ნივთიერებაში, ხერხში რაიმე ელემენტის სხვა ელემენტებით შეცვლა შეიძლება პატენტუნარიანი იყოს, თუ იგი ახალ ტექნიკურ ეფექტს იძლევა, მაგრამ შეიძლება არაპატენტუნარიანი იყოს, თუ ეს ახალი ეფექტი არ იქნა მიღებული.

ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტის არასიაშკარავის განსაზღვრისათვის, რომელიც ცნობილ ობიექტში რაიმე ელემენტის შეცვლას გულისხმობს, გამოიყენება ეკვივალენტურობის თეორია. აღნიშნული თეორია. სარგებლობს ე. წ. ტექნიკურის ცნებით, ხოლო მთელ რიგ ქვეყნებში საპატენტო-უფლებრივი ეკვივალენტების ცნებითაც.

ეკვივალენტურობა, ფართო გაგებით, ნიშნავს ობიექტების ტოლფასობას გარკვეულ დამოკიდებულებასა და გარკვეულ პირობებში. ტექნიკური ეკვივალენტების ცნება გულისხმობს ისეთ საშუალებებს, რომლებიც წარმოადგენენ ურთიერთშენაცვლებითს და მოცემულ კონკრეტულ პირობებში ერთნაირ ტექნიკურ შედეგს იძლევიან. ორი ტექნიკური საშუალება ეკვივალენტურია განსაზღვრულ დამოკიდებულებაში, მაგრამ ისინი შეიძლება არსებითად განსხვავდებოდნენ კონსტრუქციულად და ფუნქციურად შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა ჯანიშნულება და ა. შ. მაგალითად, შედუღება და მოქლონვა წარმოადგენს ფურცლოვანი ფოლადის შეერთების ეკვივალენტურ საშუალებებს. ამასთან თუ აუცილებელია შეერთების ჰერმეტიკულობის უზრუნველყოფა, მათი შესაძლებლობები არ შეიძლება განხილულ იქნეს ურთიერთშენაცვლების სახით, რამდენადაც მოქლონვა ამ

მხრივ ისეთსავე შედეგს არ იძლევა, რასაც შედუღება. მეორე მხრივ, შედუღება გამოიყენება მხოლოდ გარკვეული ლითონების შესაერთებლად, ხოლო მოქლონვა ვარგისია ნებისმიერისათვის.

ტექნიკური ეკვივალენტური საშუალებები შეიძლება ცნობილი იყოს სპეციალისტებისათვის და შეიძლება განმცხადებლის მონაპოვარიც იყოს. ობიექტში ელემენტის შეცვლა ცნობილი ტექნიკური ეკვივალენტით მიიჩნევა აშკარად, თუნდაც ასეთი შეცვლა სასარგებლო იყოს და მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს იძლეოდეს. მაგალითად, გდრ-ში 1957 წელს საპატენტო უწყებამ უარყო განაცხადი გამოგონებაზე, რომელიც ელექტრონათურების ნახევრადგამტარი ტრიოდებით შეცვლას ეხებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს წინადადება დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლეოდა.

თუ შემცვლელი ელემენტი ან მისი ძველ ელემენტთან ეკვივალენტურობა ცნობილი არაა, ტექნიკური გადაწყვეტა პატენტუნარიანად მიიჩნევა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ავტორის შემოქმედებითი წვლილის პირობა იქნება უზრუნველყოფილი.

თუ ეკვივალენტით შეცვლა ახალ ეფექტს არ იძლევა, გადაწყვეტა არაპატენტუნარიანად მიიჩნევა, თუნდაც შემცვლელი ელემენტი ან მისი ძველ ელემენტთან ეკვივალენტურობა ადრე ცნობილი არ იყოს.

გერმანული საპატენტო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში (ავსტრია, გერმანია, შვეიცარია და სხვა) აღსებობს ეკვივალენტების ორი სახე—ტექნიკური და საპატენტო-უფლებრივი. ტექნიკურ ეკვივალენტებს უწოდებენ ისეთ საშუალებებს, რომელთა ეკვივალენტურობა ფართოდ იყო ცნობილი სპეციალისტებისათვის განსახილველად წინადადების შეტანამდე და, ბუნებრივია, მსგავსი წინადადება პატენტუნარიან გამოგონებად არ მიიჩნევა. საპატენტო-უფლებრივი ეკვივალენტის ცნება გულისხმობს ტექნიკურ საშუალებებს, რომელთა ეკვივალენტურობა ადრე ცნობილი არ იყო. თუმცა ერთი საშუალების შეცვლა სხვით ანალოგიურ შედეგს იძლევა და ამიტომ იგი აშკარად მიიჩნევა და პატენტუნარიან გამოგონებას არ ქმნის. მაგალითად, ფილტრის ცენტრიფუგაზე შეცვლა პულპის გაუწყლოებისათვის გერმანიაში მიჩნეული იყო საპატენტო-უფლებრივ ეკვივალენტად, ე. ი. არაპატენტუნარიან ტექნიკურ გადაწყვეტად. დასახელებული ეკვივალენტების კლასიფიკაცია პირობით ხასიათს ატარებს, რადგანაც გერმანული საპატენტო სამართლით „ტექნიკური“, და „საპატენტო სა-

“მართლებრივი” ეკვივალენტებიც, აშკარად ტექნიკურია იმ გაგებით, რომ ისინი წარმოადგენენ ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც გარკვეულ პირობებში ერთნაირ ტექნიკურ ფუნქციას ასრულებენ და ამიტომ ერთნაირ ნეგატიურ უფლებრივ ეფექტს იძლევიან — არ ქმნიან პატენტუნარიან გამოგონებას.

ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტა რომელიც მთელი რიგი ცნობილი გადაწყვეტებიდან ერთი გადაწყვეტის შერჩევას გულისხმობს, პატენტუნარიან გამოგონებად მიიჩნევა, თუ შერჩევის შედეგს წარმოადგენს ახალი ტექნიკური ეფექტი. ასეთმა გადაწყვეტებმა სელექციური ე. ი. შერჩეული გამოგონებების სახელწოდება მიიღო.

შერჩევის შედეგად არავითარი ახალი ნივთიერება, ხერხი ან ნაკეთობა არ იქმნება, უფრო მეტიც, მაგალითად, შერჩეული ნივთიერება თავისთავად ყოველთვის ცნობილია მთელი რიგი ნივთიერებებიდან ერთ-ერთის წარმოდგენის სახით, რომელსაც გარკვეული თვისებები და დანიშნულება აქვს. სელექციური გამოგონების არასიაშკარავე ვლინდება მოცემულის მსგავს ნივთიერებათა ცნობილ თვისებებისაგან განსხვავებული ახალი მოულოდნელი თვისებებით, რომლებიც საშუალებას იძლევა ან თვისობრივად ახალი ეფექტი მივიღოთ, ან კიდევ ცნობილი ეფექტის მრავალჯერადობის გაზრდას მივალწიოთ.

სელექციური გამოგონება შეიძლება ვუწოდოთ ცნობილი ნაერთის კომპონენტების გარკვეული თანამიმდევრობით შერჩევას, თუ მოცემული შერჩევა საშუალებას იძლევა მივიღოთ ახალი თვისებების მქონე ნივთიერება. მაგალითად, დიდი ხნის მანძილზე ცნობილი იყო შენადნობი, რომელშიც შედიოდა ალუმინი, სპილენძი და მანგანუმი. შენადნობი ანტიმაგნიტური იყო. კომპონენტების გარკვეული თანაფარდობის შედეგად მიღებულ იქნა ახალი შენადნობი, ე. წ. ჰეისლერის შენადნობი, რომელიც ფლობს დამაგნიტების უნარს, ე. ი. იძენს ახალ თვისებას.

სელექციური გამოგონებები წარმოადგენს ქიმიის დარგში გამოგონებათა ფრიალ გავრცელებულ კატეგორიას (საღებავები, კატალიზატორები, შენადნობები და სხვა) და ყველაზე ხშირად ისინი ნივთიერების ობიექტები არიან. პრინციპში შესაძლებელია გადაწყვეტის პატენტუნარიანობა, რომელიც ერთნაირი ტიპის ცნობილი მრავალრიცხოვანი ნაკეთობებიდან და ხერხებიდან ერთი ნაკეთობის ან ხერხის შერჩევას გულისხმობს.

ობიექტში ელემენტების თანაფარდობის ცვალებადობა, მაგალი-

თად, ფორმების, ზომების, პროპორციების, ნივთიერებათა ინგრედიენტების თანაფარდობა გამოგონებად კი არ ითვლება, არამედ განიხილება ჩვეულებრივ. როგორც უბრალო დაპროექტების შედეგი. მაგრამ, თუ ნაკეთობის ფორმის, ზომების, პროპორციების შეცვლა მოქმედების ხერხის შეცვლას იწვევს, ცვლის მის ფუნქციას და ახალ მოულოდნელ შედეგს იძლევა, ამგვარი ცვლილება შეიძლება პატენტის საგანი იყოს. მაგალითად, აშშ-ის საპატენტო უწყებამ პატენტუნარიანად მიიჩნია განსაკუთრებული ფორმის კარტოფილის ღრაჭუნა ნაჭრებზე განაცხადი, რამდენადაც ეს უკანასკნელი პროდუქტს ახალ სპეციფიკურ თვისებებს ანიჭებდა, კერძოდ, ცვლიდა ქონის, სითხის გარკვეულ შემცველობას.

ცნობილი ობიექტიდან ერთი ან რამდენიმე ელემენტის გამოორიცხვა არაპატენტუნარიანია თუ ამასთან ამოვარდნილია ის ფუნქცია. რომლებსაც გამორიცხული ელემენტები ასრულებდნენ.

მაგრამ, თუ ელემენტის გამორიცხვისას ობიექტი ინარჩუნებს ყველა აღრეულ ფუნქციას, წინადადება პატენტუნარიანად მიიჩნევა, კერძოდ, 1965 წელს ავსტრიის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხერხი, რომელიც ცნობილი ოპერაციის გამორიცხვას ნიშნავს, შეიძლება მიჩნეული იქნეს პატენტუნარიან გამოგონებად, თუ გამოორიცხვა უზრუნველყოფს ახალ ეფექტს, მაგალითად, იმ ფაქტის წარმოჩენას, რომ გამორიცხულ ელემენტს არსებითი მნიშვნელობა არ აქონდა.

ობიექტის რომელიმე პარამეტრის მნიშვნელობის შეცვლა ან, როგორც აშბობენ ხოლმე, ხარისხის შეცვლა, ჩვეულებრივ, გამოგონების სახით არ განიხილება. არ წარმოადგენს, როგორც წესი, პატენტუნარიან ნივთიერებას, რომელიც განსხვავდება ცნობილისაგან მხოლოდ გაწმენდის ხარისხით.

მაგრამ, თუ რომელიმე პარამეტრის ცვლილება იწვევს თვისებრივ, მისი ფუნქციის, დანიშნულების და ა. შ. შეცვლას, ე. ი. ახალ საარგებლო ეფექტს იძლევა, ასეთი ცვლილება შეიძლება მიჩნეული იქნეს პატენტუნარიანად. მაგალითად, აშშ-ში გაცემული იყო პატენტი გაზონსაკრებზე, რომელიც ცნობილისაგან განსხვავდებოდა დანების დახრის კუთხით. იმასთან დაკავშირებით, რომ დახრის კუთხე დანების თვითგაღესვას უზრუნველყოფდა; ამავე დროს — ადრე გამოყენებული კუთხის შემთხვევაში თვითგაღესვის ეფექტი არ იყო. უბრალო გადაადგილება ან ობიექტის ელემენტების კინემატიკური რევერსი-

რება. აგრეთვე მისი ზომების შემცირება, პორტატიულობაში, ტრანსპორტბელურობაში გადასვლა, პატენტუნარიან გამოგონებას არ წარმოადგენს. მაგრამ, თუ გადაადგილების გზით ობიექტის ნაწილების ახალი ურთიერთქმედება მიიღწევა ან კონსტრუქციული ცვლილებები ამსუბუქებს მის წონას, ამცირებს დამზადების შრომატევადობას, ღირებულებას წინანდელი ფუნქციებისა და თვისებების შენარჩუნებით, ე. ი. ახალი სასარგებლო ეფექტი მიიღება. ასეთი გადაწყვეტა შეიძლება პატენტუნარიანად იქნეს მიჩნეული.

სხვა ძალზე მნიშვნელოვანი ნიშან-თვისება, რომელიც გადაწყვეტის არასიაშკარავის დადგენისათვის გამოიყენება, მისი სარგებლიანობაა. სარგებლიანობის მაღალი დონე ყველა ქვეყანაში განიხილება, როგორც საგამომგონებლო შემოქმედების არსებობის მტკიცება ამოცანის გადაწყვეტაში.

ობიექტის სარგებლიანობა კლინდება სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, ნაკეთობის ბაზარზე სწრაფი და ფართო გავრცელებით, იმავე ფუნქციის შემსრულებელი ადრე არსებული ნაკეთობის ბაზრიდან გამოძევებით, ობიექტის საწარმოებლად მიღებით, წარმოდგენილი გადაწყვეტის დანმარებით ხანგრძლივი და, საერთოდ, აღიარებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით, მეცნიერებისა და ტექნიკის რომელიმე დარგში ჩამორჩენის დაძლევათ და ა. შ. ყველა ეს ფორმა გამოიყენება, როგორც გადაწყვეტის არასიაშკარავის მაჩვენებელი.

ფრიად გავრცელებულ არასიაშკარავის დამამტკიცებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს ნაკეთობის კომერციული წარმატება, რომელშიც ხორცშესხმულია ამოცანის გადაწყვეტა.

კომერციული წარმატება განიხილება გადაწყვეტის არასიაშკარავის ერთ-ერთი მტკიცების სახით, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში იგი არის ობიექტის შინაგან ტექნიკურ ღირსებათა შედეგი. თუმცა ახალი ობიექტის გავრცელება ბაზარზე, მისი პოპულარობა მომხმარებელთა შორის, ყოველთვის არ არის დამოკიდებული მასში ჩადებული იდეის ორიგინალურობასა და უპირატესობაზე; მაგრამ ხშირად იგი დამოკიდებულია მთელ რიგ გარე ფაქტორებზეც, მაგალითად, ობიექტის საწარმოებლად მრეწველობის მზადყოფნაზე, ბაზრის უნარზე, რომ მიიღოს ახალი საქონელი, საქონლის რეკლამაზე, მის გაფორმებაზე, პატენტის მფლობელის საქმიან აქტიურობაზე და რეპუტაციაზე, მოდის გავლენაზე და ა. შ. ამიტომ დადგენილია, რომ დიდი კომერციული წარმატება არ შეიძლება თავისთავად არასიაშკარავის მტკიცება

იყოს იმ შემთხვევებში, როცა საგამომგონებლო შემოქმედებას აშკარად არა აქვს ადგილი. ომამდელი გერმანიის იმპერიის სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „თუ გამოგონების საგნის კომერციული წარმატება წარმოადგენს მოდის შედეგს, მაშინ ეს ჯერ კიდევ არ ამტკიცებს საგამომგონებლო შემოქმედების დონის არსებობას“.

თუმცა კომერციული წარმატების უქონლობა და სარგებლიანობის უმნიშვნელო დონე, თანახმად ბევრ ქვეყანაში ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკისა, არ შეიძლება არსებობდეს, როგორც საფუძველი არასიაშკარავის უარყოფისათვის და გამოგონების პატენტუნარიანობის განსაზღვრაზე ზეგავლენას არ უნდა ახდენდეს.

გამოგონების არასიაშკარავის სხვა მტკიცებას წარმოადგენს სპეციალისტებს შორის ტექნიკური სიახლის ფართო გავრცელება. ახალი ნაკეთობის, ხერხის სწრაფი და ფართო გავრცელება ხშირად, მოცემულ გადაწყვეტაში წარმოადგენს საერთოდ ცნობილი ხანგრძლივი მოთხოვნილების შედეგს. როგორც წესი, ყველა ქვეყანაში ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტა, რომლის დახმარებითაც ფართოდ ცნობილი და დიდი ხნის მანძილზე არსებული მოთხოვნილება კმაყოფილდება, არააშკარად მიიჩნევა.

პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევა, როცა აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა: „თუ ხერხი ან მოწყობილობა აკმაყოფილებს ხანგრძლივ საერთოდ აღიარებულ მოთხოვნილებას, ჩვენ უპირველესად საქმე გვაქვს გამოგონებასთან, ვიდრე საშუალო სპეციალისტის უბრალო ოსტატობის შედეგთან, რადგან საშუალო სპეციალისტის ოსტატობის ჩვეულებრივი ამოქმედება ხდება საერთოდ ცნობილი მოთხოვნილებით“.

მეორე მხრივ, ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რომელიც მცირე-დროის მანძილზე იგრძნობოდა, საგამომგონებლო შემოქმედების უქონლობის მტკიცების სახით უნდა განიხილებოდეს. მაგალითად, გფრ-ის საპატენტო სასამართლომ 1963 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებაში მიუთითა: „საგამომგონებლო შემოქმედების დონე არ არსებობს, თუ მოთხოვნილება განაცხადის შეტანამდე ცოტა ხნით ადრე წარმოიქმნა“.

ამოცანის გადაწყვეტაში საგამომგონებლო შემოქმედების უქველ მტკიცებათა არსებობის სახით განიხილება ისეთი ფაქტები, როგორიცაა სპეციალისტების მიერ ამავე პრობლემების გადაწყვეტის

წარუმატებელი ცდების არაერთგზის არსებობა; ახალი გადაწყვეტით გამოწვეული მნიშვნელოვანი ტექნიკური სირთულეებისა და იმ დარგში მომუშავე სპეციალისტებს შორის, რომელსაც გამოგონება მიეკუთვნება, გავრცელებულ ტექნიკურ ცრურწმენათა გადალახვა. მაგალითად, 1930 წელს გერმანიაში ხანგრძლივი დავის შემდეგ დაპატენტებული იყო შიგაწვის ძრავა ტემპერატურის გადამწოდი. თავის გადაწყვეტილებაში იმპერიის სასამართლომ განაცხადა, რომ „ავტომობილისათვის ტემპერატურის მაჩვენებლის“ დამუშავებამ შორს გაუსწრო დროს და წინადადებას დიდხანს უარყოფდნენ სპეციალისტების წინასწარაკვიატებული რწმენისა და ტექნიკური კონსერვატიზმის გამო.

ამასთან ერთად, ტექნიკური ცრურწმენის გადალახვა ნაკეთობის, ხერხის-და ა. შ. ეკონომიკურ უპირატესობათა საზიანოდ, როგორც წესი, არ მოწმობს ამოცანის გადაწყვეტაში საგამომგონებლო შემოქმედების არსებობას.

ის გარემოება, რომ ბევრმა სპეციალისტმა გვერდი აუარა დასმული ამოცანის გადაწყვეტას, თუნდაც ამ ამოცანის ინტერესებიდან გამომდინარე, და ამას მოითხოვდა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონის გათვალისწინება, ეს ფაქტი არასიაშქარავის უდავო მტკიცებას წარმოადგენს.

გამოგონების არასიაშქარავის შეფასებაზე მისი შექმნის საშუალებამ გავლენა არ უნდა მოახდინოს. ეს წესი გათვალისწინებულია აშშ-ის კანონებში ან დადასტურებულია ისეთი სახელმწიფოების სასამართლო პრაქტიკით, როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი, სკანდინავიის ქვეყნები.

არასიაშქარავის შეფასებაზე გავლენას არ ახდენს განსახილველი ამოცანის გადაწყვეტის სიმარტივე. ამ წესს ყველა ქვეყნის სასამართლოები იყენებენ. ამასთან ერთად, ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტის სირთულე თავისთავად არ წარმოადგენს საგამომგონებლო შემოქმედების არსებობის მტკიცებას.

ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია წესი, რომლის თანახმადაც ექსპერტების, მოსამართლეების დაეკვება არასიაშქარავის მიმართ განმცხადებლის ან კიდევ პატენტის მფლობელის სასარგებლოდ უნდა განიმარტოს. ეს წესი, მაგალითად, პირდაპირ გამომდინარეობს დიდი ბრიტანეთის საპატენტო კანონიდან.

სიახლე და საგამომგონებლო შემოქმედების დონე (არასიაშქარა-

ვე) წარმოდგენს პატენტუნარიანი გამოგონების განუყოფელ და ურთიერთდაკავშირებულ ნიშან-თვისებებს.

ტექნიკური გადაწყვეტის სიახლის კვალიფიკაცია ემყარება ობიექტურად არსებულ ფაქტებს. სავარაუდო გამოგონების შედარება ხდება არსებულ გადაწყვეტებთან, ამასთან მას შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ ერთი წყარო. სიახლის მოთხოვნა შესრულებულად ითვლება, თუ მიგნებული არაა ის გადაწყვეტა, რომელიც ისეთივე ნიშან-თვისებებს ფლობს, როგორსაც განსახილველი. ცნობილისაგან სულ უმნიშვნელო განსხვავებაც კი იმის უფლებას იძლევა, რომ გადაწყვეტა დაკვალიფიცირდეს როგორც ახალი.

გამოგონების სიაშკარავის შეფასებისას ხელმძღვანელობენ თვით სიახლის თვისებრივი შინაარსით. წარმოდგენილი ამოცანას გადაწყვეტის ობიექტურად არსებული განსხვავებები პატენტუნარიანად მიიჩნევა, თუ ისინი გამოგონებლის შემოქმედებითი მუშაობის შედეგს წარმოდგენენ და არა უბრალო საინჟინრო დამუშავებას.

სიახლეზე ექსპერტიზა, ჩვეულებრივ, წინ უსწრებს არასიაშკარავებზე ექსპერტიზას. თუ გამოიკვია, რომ გადაწყვეტა ცნობილისაგან განსხვავდება, ე. ი. ფლობს სიახლეს, ექსპერტის ან მოსამართლის წინაშე დგება სხვა ამოცანა — განსაზღვროს არის თუ არა ეს სიახლე, ეს განსხვავება ცნობილი ტექნიკის დონესა და განსახილველ გადაწყვეტას შორის არააშკარა. თუ სიახლე არ არის, ბუნებრივია, არც წარმოდგენილი გადაწყვეტის არასიაშკარავის შემოწმება იქნება საჭირო.

მეშასადაამე, ყოველი სიახლე არ იძლევა იმის უფლებას, რომ განცხადებულ გადაწყვეტა პატენტუნარიანად იქნეს მიჩნეული, ასეთად მხოლოდ ის სიახლე უნდა იქნეს მიჩნეული, რომელიც ფლობს სხვაგვარ თვისებას — არასიაშკარავეს; ამრიგად, იგი ისეთი სიახლე უნდა იყოს, რომელიც წარმოდგენს გამოგონებლის შემოქმედებითი საქმიანობის — საგამომგონებლო შემოქმედების შედეგს. ამიტომ არასიაშკარავე გამოგონების სიახლის დამკვალიფიცირებლის სახით განიხილება და, აქედან გამომდინარე, ზოგიერთ საპატენტო კანონებში საგამომგონებლო შემოქმედების მოთხოვნა ჩადებულია გამოგონებისადმი წაყენებული ე. წ. კრიტერიუმის — „არსებითი განსხვავების“ ან „შივა სიახლის“ ცნებაში.

პრაქტიკაში არცთუ ისე ხშირად გვხვდება შემთხვევები, როცა გამოგონება სრულად არის გახსნილი ერთ წყაროში. განაცხადის უარ-

ყოფის უფრო გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს გამოგონების არასიაშქარავის უქონლობა.

არასიაშქარავის განსაზღვრისას განსახილველი ამოცანის გადაწყვეტას უპირისპირდება არა ერთი წყარო, როგორც სიახლის დადგენის შემთხვევაში, არამედ კომბინაცია, რამდენიმე წყაროდან ამოკრებილი „მოზაიკა“, ე. წ. პროტოტიპის ნაკრები. თუ განსახილველი წინადადება და მასთან ყველაზე ახლოს მდგომი პროტოტიპი, რომელსაც გენერალურ ან მთავარ წყაროს უწოდებენ, ერთმანეთისაგან განსხვავდება, იგი შეიძლება სხვა წყაროდან ცნობილი გადაწყვეტებით შეივსოს. ექსპერტმა უნდა განსაზღვროს წარმოადგენს თუ არა სხვადასხვა წყაროს ასეთი ნაერთი აშქარას სპეციალისტისათვის, რომელიც მოცემულ დარგში ცოდნის საშუალო დონეს მაინც ფლობს.

თუ ექსპერტს პროტოტიპთან უფრო ახლოს მდგომ და განსახილველ გადაწყვეტას შორის განსხვავების შესავსებად, წყაროების მიგნება არ შეუძლია იგი თვით განსხვავების სიაშქარავეს არკვევს სხვა მასალების გამოყენების გარეშე.

ყველა ქვეყანაში არსებობს გამოგონებები, რომლებიც საპატენტო სამართლის მოქმედების სფეროდან გამორიცხულია თუნდა იმის გამო, რომ ისინი პატენტუნარიანობის წინაშე კანონით დადგენილ ყველა კრიტერიუმს პასუხობენ. არაპატენტუნარიანი გამოგონებების წრე. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. ე. წ. განვითარებად ქვეყნებში (ბრაზილია, ინდოეთი, მექსიკა და სხვა) კანონები, როგორც წესი, შეიცავენ გამოგონებათა გრძელ ნუსხას, რომლებზეც პატენტები არ გაიცემა. განვითარებულ სახელმწიფოებში გამოგონებათა დაცვის წრე კი, ჩვეულებრივ, უფრო ფართოა.

უმეტეს ქვეყნებში კანონები პირდაპირ მიუთითებენ რომელი გამოგონებებია გამორიცხული საპატენტო სამართლის სფეროდან. აშშ-ის საპატენტო კანონი არ შეიცავს დადგენილებას მოცემულ საკითხებზე, ხოლო არგენტინისა და კანადის საპატენტო კანონებში შეტანილია დაუცველი ობიექტების არასრული ნუსხა. ამ ქვეყნებში პატენტუნარიან გამოგონებათა წრე განისაზღვრება სასამართლოებისა და საპატენტო უწყებათა მიერ შემუშავებული წესების საფუძველზე.

არაპატენტუნარიან გამოგონებათა ნუსხაში ყველა ქვეყანაში პირველ ადგილზე დგას ის გამოგონებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონს, კეთილ. ზნეს, საჯაროდ მიღებულ წესს, მორალს, რელი-

გიურ კულტებს. მაგალითად, გერმანიის საპატენტო კანონი ადგენს: „გამოგონებები, რომელთა გამოყენება ეწინააღმდეგება კანონს ან მორალს, გამოირიცხება პატენტის ობიექტების რიცხვიდან“. მსგავს დადგენილებებს შეიცავს უმეტესი ქვეყნების კანონები; აშშ-ში, კანდაში ეს ნორმა დადგენილია პრაქტიკით.

საქართველოს დებულებით „გამოგონების შესახებ“ „პატენტი არ გაიცემა გამოგონებაზე, რომლის გამოქვეყნებამ ან გამოყენებამ შეიძლება არაპოზიტიური, ამორალური და ანტისაზოგადოებრივი ქმედობა გამოიწვიოს ან წაახალისოს იგი“.

რუსეთის საპატენტო კანონში არაპატენტუნარიან გამოგონებათა ნუსხაში ერთ-ერთი ეხება ზემოთაღნიშნულს, კერძოდ, არაპატენტუნარიანია „წინადადებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ ინტერესებს, ჭეშმანურობისა და მორალის პრინციპებს“.

ისეთი ცნებათა შინაარსი, როგორცაა „კეთილი ზნე“, „საჯაროდ მიღებული წესი“, „მორალი“, „რელიგიური კულტი“ — დგინდება საპატენტო უწყებებისა და სასამართლოების მიერ. მიცემული კატეგორია ჩვეულებრივ, აერთიანებს გამოგონებებს, რომელთა გამოყენება ემუქრება ადამიანთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ან შეცდომაში შეყავს საზოგადოება ბოროტ მიდრეკილებათა განვითარების ხელის შეწყობაში. მაგალითად, ასეთებს მიეკუთვნება მოწყობილობა „სპირტიანი სასმელების გამოყენების აღძვრისათვის“, „აზარტული თამაშებისათვის“ და ა. შ. ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა სასამართლომ არაპატენტუნარიანად მიიჩნია ქურდის მოსაკლავად გამიზნული ფეთქებადი სეიფკარადა, როგორც სისხლის სამართლისა და მორალის ნორმების საწინააღმდეგო. არაპატენტუნარიანად მიიჩნევა გამოგონებები, რომლებიც სპეციალურადაა განკუთვნილი იმ მოქმედებათა განსახორციელებლად, რომლებიც არღვევენ კანონს, საჯაროდ მიღებულ წესს, მორალს. ასეთად უმეტეს ქვეყნებში მიიჩნევა მოწყობილობა წამებისათვის, ბინის გატეხვისათვის, აზარტული თამაშები. იმ ქვეყნებში, სადაც ფეხმძიმობის ხელოვნური შეწყვეტა აკრძალულია, არ პატენტდება ფეხმძიმობის საწინააღმდეგო და მისი შეწყვეტისათვის განკუთვნილი იძულებითი საშუალებები.

არ პატენტდება გამოგონებები, რომლებიც მართალია, ეთიკური და სასარგებლო მოქმედებისათვისაა განკუთვნილი, მაგრამ თავისი შესასრულებელი აუცილებელი მოქმედებით მავნე ეფექტი მოაქვთ.

მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა იტალიის საპატენტო უწყებამ ანაპატენტუნარიანად მიიჩნია ავტომანქანის გატაცების საწინააღმდეგო მოწყობილობა, რომელიც ცრემლსადენი ძილისმომგვრელ აირზე მუშაობდა. როგორც კი მანქანის გამტაცებელი საქვს მიუჯდებოდა, მას შეიძლება მართვის უნარი დაეკარგა და ზიანი მიეყენებინა ქუჩაში გამვლელებისათვის.

მთელ რიგ ქვეყნებში არ პატენტდება ქიმიური ნივთიერებანი. ამავე დროს მათი მიღების ხერხები ყველგან პატენტუნარიანად მიიჩნევა: თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე მრავალ ქვეყანაში მიღებული საპატენტო კანონები დებულებებს ქიმიურ ნივთიერებათა დაპატენტების შეზღუდვაზე არ შეიცავენ. ეს ქვეყნებია გერმანია, დანია, იაპონია, ნორვეგია, რუსეთი, საფრანგეთი, საქართველო, ფინეთი, შვეცია და სხვა. ამჟამად უმეტეს ქვეყნებში, რომლებსაც განვითარებული ქიმიური მრეწველობა აქვთ, პატენტები ქიმიურ ნივთიერებებზე გაიცემა. ინდოეთის საპატენტო კანონმა კი პატენტუნარიან გამოგონებათა რიცხვიდან გამოორიცხა ქიმიური ნივთიერებები.

ქიმიურ ნივთიერებათა პატენტუნარიანად მიჩნევის ტენდენცია, ერთ იმსრივ, განპირობებულია ქიმიური მეცნიერების სფეროში მიღწევებით. მეორე მხრივ, ამის მიზეზია სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო სამართლის უნიფიცირებისადმი მოთხოვნილებების გაზრდა. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ სტრასბურგის კონფერენცია საპატენტო სამართლის ზოგიერთი დებულების უნიფიცირების შესახებ, პატენტუნარიანთა რიცხვში ქიმიურ ნივთიერებებსაც შეიცავს.

იმ ქვეყნებში, სადაც პირდაპირი ფორმით არ არის შემოღებული ქიმიურ ნივთიერებათა დაცვა, არსებობს ე. წ. „არპირდაპირი დაცვა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ნივთიერების მიღების ხერხზე გაცემული პატენტი, თავის მოქმედებას ავრცელებს ისეთ ნივთიერებაზეც, რომელიც ამ ხერხით დამზადდა — პატენტის მფლობელს შეუძლია აკრძალოს ქვეყანაში არა მარტო მისი გამოყენება, არამედ საზღვარგარეთიდან დაპატენტებული ხერხით დამზადებული ნივთიერების შენოტანაც.

უმეტეს სახელმწიფოებში, სადაც დაცული არაა ქიმიური ნივთიერებები, პატენტის საგანი შეიძლება იყოს შენადნობები, თუმცა მათი მიღებისას მიმდინარეობს არა მარტო ფიზიკური, არამედ ქიმიური პროცესებიც.

როგორც წესი, არ პატენტდება ნივთიერება, რომელიც მიღებულია შიგაბირთვული გარდაქმნების გზით. მაგალითად, ბრაზილიის სამრეწველო საკუთრების კოდექსი შეიცავს წესს, რომლის თანახმადაც არაპატენტუნარიანად მიიჩნევა ნივთიერებები, მასალები, ნარევიები, ელემენტები ან ნებისმიერი ნაირსახეობის, ფიზიკური და ქიმიური თვისებების მქონე პროდუქტები, თუ ისინი მიღებულია შიგაბირთვული გარდაქმნების მეშვეობით, აგრეთვე მათი წარმოების საშუალებათა სრულყოფით.

აშშ-ში პატენტები გაიცემა შიგაბირთვული რეაქციის პროდუქტებზე. მაგალითად, ასეთი პატენტები გაიცემა ხელოვნურად მიღებულ 95-ე, 96-ე ელემენტებზე (ამერიკიუმზე და კიურიზე) და მათ იზოტოპებზე.

ზოგიერთ ქვეყანაში პატენტუნარიანად არ მიიჩნევა საკვები, გემოს ნივთიერებანი და სამკურნალო პრეპარატები. ბრაზილიასა და მექსიკაში არ პატენტდება აგრეთვე ამ ნივთიერებათა მიღების ხერხებიც¹. რტალიაში, თურქეთში არაპატენტუნარიანია მედიკამენტები და მათი მიღების ხერხები.

საპატენტო დაცვის უქონლობა საკვებ, გემოს ნივთიერებებზე, სამედიცინო პრეპარატებზე ზემოთ აღნიშნულსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც აიხსნება ჰუმანური მოსაზრებით, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებს სურვილი არა აქვთ მონოპოლია დააწესონ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ობიექტებზე. ამასთან ერთად კონსტრუქციული გამოგონებები კვების მრეწველობის დარგში, სამედიცინო ინსტრუმენტები, ხელსაწყოები და ა. შ. წარმოადგენს დაცვისუნარიანს, თუმცა მათი მონოპოლიზაცია ასევე არ შეესატყვიება მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებს, ვინაიდან ეს იწვევს კვების პროდუქტების, მკურნალობის ხერხების, დაავადების პროფილაქტიკის გაძვირებას.

საკიროა ხაზი გაესვას იმას, რომ ცნებებში „საკვები პროდუქტები“, „გემოს ნივთიერებანი“, „სამკურნალო პრეპარატები“ ჩადებულია სხვადასხვა შინაარსი. ამიტომ თუნდაც იმ ქვეყნებში, სადაც ერთნაირი საერთო წესებია, საპატენტო სამართლის მოქმედების სფერო, ამ ცნებათა გადმოცემისა და მათდამი დამოკიდებულების

¹ მექსიკაში ამ ნივთიერებათა მიღების ხერხების დაცვა ხდება გამოგონებაზე გაცემული მოწოდებით.

მხრივ პრაქტიკულად შეიძლება მაინც სხვადასხვა იყოს. მაგალითად, ვენესუელაში, კოლუმბიაში, შვეიცარიასა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში საკვები პროდუქტების კატეგორიას მიეკუთვნება საკვები და ცხოველთა კვების სხვა საშუალებები. მაგალითად, ვენესუელის კანონი სამრეწველო საკუთრებაზე აღგენს, რომ „არაპატენტუნარიანია... ჩვენები და ადამიანების და ცხოველებისათვის განკუთვნილი კვების პროდუქტები“.

იტალიაში არაპატენტუნარიანია სამკურნალწამლო ნივთიერებანი და ადამიანთა მკურნალობისათვის განკუთვნილი სხვა მედიკამენტები, მაშინ, როცა იქ, როგორც წესი, დაცულია ვეტერინარული პრეპარატები. ბრაზილიაში, ინდოეთში, კოლუმბიაში პატენტები არ გაიცემა ადამიანებსა და ცხოველებზე თერაპევტული ზემოქმედების უნარის მქონე ნებისმიერ საშუალებებზე, აგრეთვე ქიმიურ-ბიოლოგიურ პრეპარატებზე, რომლებიც მცენარეებზე ზემოქმედებისათვისაა განკუთვნილი.

ერთობ ფართო შინაარსია ჩადებული ცნებაში „მედიკამენტები და წამლები“. სამკურნალწამლო ნივთიერების სახით უმეტეს ქვეყნებში გულსხმობენ არა მარტო თერაპევტული ზემოქმედების მომხდენ პრეპარატებს, არამედ იმ ნივთიერებებსაც, რომლებიც პროფილაქტიკურ-დიაგნოსტიკური მიზნით გამოიყენება. კოსმეტიკური საშუალებები, ხერხები, როგორც წესი, პატენტუნარიანია. მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა ავსტრალიის უმაღლესმა სასამართლომ 1973 წელს პატენტუნარიანად მიიჩნია თმის ძირების გამაგრებისა და ელასტიკურობის გაუმჯობესების ხერხი ქიმიური პრეპარატების გამოყენების გზით. თუ კოსმეტიკური საშუალება ერთდროულად სამკურნალო ზემოქმედებასაც ახდენს, მაშინ პატენტის გაცემაზე შეიძლება უარი ითქვას.

ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო პრაქტიკაში დაშვებულია პატენტების გაცემა სამკურნალწამლო პრეპარატებსა და მოწყობილობებზე, თუ ისინი ორგანიზმში არ შეჰყავთ და ადამიანის ტანს კი არ ეხებიან, არამედ მასზე გარეგან ზემოქმედებას ახდენენ.

ბევრ ქვეყანაში, ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში, საკვები, გემოს, სამკურნალწამლო ნივთიერებანი და მათი მიღების ხერხები დაცულია. თუმცა პატენტების გაცემა ასეთ გამოგონებებზე განსაკუთრებულ წესებს ექვემდებარება. ჩვეულებრივ, საპატენტო უწყებები მოითხოვენ ჯანმრთლობის დაცვის ორგანოს დასკვნას იმასთან

დაკავშირებით, რომ განცხადებული საკვები პროდუქციის ან სამედიცინო პრეპარატის გამოყენებას ადამიანთა ჯანმრთელობისათვის უარყოფითი შედეგები არ ექნება. დიდ მოთხოვნებს უყენებენ ასეთი ობიექტის საპატენტო განაცხადის მასალებში სარგებლიანობის გახსნას. გარდა ამისა, ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულია იძულებითი ლიცენზიების გაცემა პატენტებზე, რომლებიც იცავენ საკვებ პროდუქტებს, საგემოვნო ნივთიერებებს და მედიკამენტებს. ინდოეთში, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში მედიკამენტების მიღების ხერხებზე პატენტები გაიცემა გაცილებით მოკლე ვადით.

თუმცა ეს ღონისძიებები იმისათვისაა განკუთვნილი, რომ ადამიანთა ჯანმრთელობისათვის საზიანო პროდუქტებზე პატენტების გაცემაზე და პირველ აუცილებელ ობიექტებზე მონოპოლიური უფლებების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა გამოირიცხოს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში ამან დიდი ეფექტი ვერ გამოიღო. რადგანაც საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა კონკურენტი ფირმების მხრიდან არაკეთილსინდისიერი მოქმედებების გამო გარანტირებული არ არის.

ყველა ქვეყანაში არ პატენტდება გამოგონებები, რომლებიც სამხედრო მრეწველობას მიეკუთვნება. მაგალითად, ინგლისის კანონი პატენტების შესახებ ადგენს, რომ გამოგონებებზე, რომლებსაც ქვეყნის თავდაცვის მნიშვნელობა აქვთ, პატენტები არ გაიცემა. ანალოგიური ნორმები მოქმედებს სხვა ქვეყნებშიც.

საპატენტო სამართლის მოქმედების სფეროდან, როგორც წესი, გამოირიცხებულია ის გამოგონებებიც, რომლებიც ატომური ენერჯის წარმოებას უკავშირდება. 1954 წლის კანონი ატომური ენერჯის შესახებ აშშ-ში ადგენს, რომ გამოგონებებზე, რომელთა ერთადერთ დანიშნულებას ატომური იარაღის წარმოებისათვის, სპეციალური რადიაციული მასალების ან ატომური ენერჯის გამოყენება წარმოადგენს, პატენტები არ გაიცემა. მაგრამ, რამდენადაც პრაქტიკაში, ჩვეულებრივ, ძნელია ზღვარის გავლება ატომური ენერჯის მშვიდობიანი და სამხედრო მიზნით გამოყენებას შორის, როგორც წესი, არ პატენტდება ყველა ის გამოგონება, რომლებიც შემოქმედებითი საქმიანობის ამ სფეროს მიეკუთვნება.

III. გამოგონებათა დაპატენტების გაფორმება:

საპატენტო განაცხადის შეტანა საპატენტო უწყებაში;
საპატენტო განაცხადის შინაარსი და მისი გაფორმება;
საპატენტო განაცხადების ექსპერტიზა; პატენტების გაცემა;
პატენტში შესწორების შეტანა.

გამოგონებაზე პატენტები გაიცემა სპეციალური სახელმწიფო ორგანოს — საპატენტო უწყების მიერ, რომელსაც როგორც წესი, განვითარებული ქვეყნების სინამდვილეში სახელმწიფო მართვის ორგანებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი მდგომარეობა უკავია. ამ ვითარებით აიხსნება ის დიდი როლი, რომელსაც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ ცხოვრებაში ასრულებს საპატენტო ურთიერთობები.

უმეტესი ქვეყნების საპატენტო უწყებები ექვემდებარებიან ისეთ სამინისტროების — მართის ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სახელმწიფოს ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, მაშასადამე, საპატენტო პოლიტიკის განხორციელებისათვისაც. აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში საპატენტო უწყება ექვემდებარება ვაჭრობის სამინისტროს. გერმანიაში — იუსტიციის სამინისტროს, საფრანგეთში მოქმედებს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებით მრეწველობის სამინისტროსთან. ავსტრიაში — დამოუკიდებელი განყოფილების უფლებით ვაჭრობისა და მრეწველობის ფედერალურ სამინისტროსთან, საქართველოში — მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტს და ა. შ.

საპატენტო უწყებათა სტრუქტურა, კომპეტენცია, საქმიანობის წესი ქვეყნების ერთ ნაწილში რეგულირდება საპატენტო კანონებით, სხვა ქვეყნებში კი სპეციალური კანონებით, აგრეთვე ადმინისტრაციული აქტებით.

საპატენტო უწყების კომპეტენციაში შედის გამოგონებებზე პატენტების გაცემა, სასარგებლო მედლების, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია, სამრეწველო საკუთრების უფ-

ლებათა დათმობაზე შეთანხმებათა რეგისტრაცია, მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა სამრეწველო საკუთრების სფეროში, საპატენტო ინფორმაცია, საჩივრების განხილვა და სხვა საკითხები.

მაგალითისათვის მოკლედ შევეხოთ აშშ-ის საპატენტო უწყების სტრუქტურას და მუშაობის ზოგიერთ საკითხს:

აშშ-ის საპატენტო უწყება არის ავტორიტეტული სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც დამოუკიდებელი სამმართველოს უფლებით შედის აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროში. მას სამთავრობო ორგანოების სისტემაში ფრიალ პრესტიჟული მდგომარეობა უკავია. მართალია საპატენტო უწყება ვაჭრობის სამინისტროს ექვემდებარება, მაგრამ მისი კომისარი (ბიუროს უფროსი), კომისარის მოადგილე, კონსერის ორი თანაშემწე და მთავარი ექსპერტები ინიშნება აშშ-ის პრეზიდენტის მიერ სენატთან შეთანხმების ისეთივე წესით, როგორც ინიშნებიან სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები, კერძოდ, მინისტრები. საპატენტო ბიუროს ასეთი მდგომარეობა აშშ-ის სახელმწიფო ორგანოების სისტემაში მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმ როლით, რომელსაც ასრულებს საპატენტო ურთიერთობები საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში. გარდა ამისა, აშშ-ის თვით საპატენტო კანონი გამოგონებათა დაცვისა და გამოყენების ზემოქმედების გზით ხელს უწყობს მრეწველობის განვითარებას.

აშშ-ის საპატენტო უწყებაში 10-ზე მეტი განყოფილებაა, მათ შორის საპატენტო ექსპერტიზის, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების, ინფორმაციის, ადმინისტრაციული და სხვა. საპატენტო უწყებას აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა.

საპატენტო უწყებაში შემოსული განაცხადების ექსპერტიზა ხორციელდება სპეციალური ინსტრუქციით. ინსტრუქცია შეიცავს პატენტებზე კანონის ზოგიერთ დებულებას, საპატენტო საქმეებზე ოფიციალურ წესებს, კომისარის მითითებებს პატენტებზე, ტერმინების განმარტებებს და სხვა მასალებს.

ექსპერტი არა მარტო კვალიფიციური იურისტი, არამედ იგი პატენტებს ჩვეულებრივ, 2—3 ენაზე კითხულობს.

აშშ-ის საპატენტო ბიუროში დიდი ყურადღება ეთმობა იურიდიულ მუშაობას. საპატენტო კანონი შეიცავს სპეციალურ მითითებებს იმაზე, რომ ექსპერტი უნდა იყოს არა მარტო ტექნიკის მცოდნე, არამედ სამართლისაც.

საპატენტო ბიუროს მუშაობის ორგანიზაციაზე მსჯელობისას სა-

ჭირა აღინიშნოს ისიც, რომ ფირმები და კომპანიები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ საკუთარი საპატენტო განყოფილებების ორგანიზაციების მიმართ, აღსანიშნავია რომ აშშ-ში არის საპატენტო ადვოკატებისა და რწმუნებულთა უდიდესი არმია, რომლის საქმიანობა მნიშვნელოვნად უმსუბუქებს მუშაობას აშშ-ის საპატენტო ბიუროს. განაცხადის შეტანა და ყველა სახის საპროცედურო ოპერაციები, რომელთაც ახორციელებს აშშ-ის საპატენტო უწყება, დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ ნებისმიერი ფირმა განაცხადის შეტანისთანავე ესწრაფვის შეადგინოს საგანაცხადო მასალები რაც შეიძლება კვალიფიციურად, რომ არ მოუხდეს ამ მასალების შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯის გაწევა; ეს კი ბუნებრივია, მხოლოდ ადვილებს ექსპერტიზის ჩატარებას.

აშშ-ში ყველა გამოგონება, რომლებიც მოსამსახურეთა მიერ არის შექმნილი მუშაობის დროს, იმ კომპანიებს მიეკუთვნება, სადაც ისინი მუშაობენ. ფირმები ახორციელებენ ამ გამოგონებათა დაპატენტებას აშშ-ში და საზღვარგარეთ, რითაც გიგანტურ შემოსავალს იღებენ მათი რეალიზაციით. თავის მხრივ, სხვადასხვა ქვეყნის ფირმების მფლობელები ცდილობენ გამოგონებები დააპატენტონ არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ აშშ-შიც. ამრიგად, აშშ-ის საპატენტო დოკუმენტაცია კაპიტალისტური სამყაროს ტექნიკურ სიახლეთა თავისებურ ჯამს წარმოადგენს. გამოგონებათა დაპატენტებისა და რეალიზაციის ოპერაციათა განხორციელებისათვის ფირმებს აქვთ საპატენტო მუშაკთა, საპატენტო ადვოკატთა, საპატენტო საკითხებზე მომუშავე შუამავლებისა და მთელი რიგი საშუამავლო ფირმებიც კი.

აშშ-ის სავაჭრო-სამრეწველო კომპანიების დაახლოებით მესამედს ჰყავს საპატენტო საკითხების სპეციალისტები, რომლებიც ზოგჯერ იურიდიულ განყოფილებაში შედიან. უფრო ხშირად კი მუშაობენ უშუალოდ კომპანიის საკონსტრუქტორო განყოფილებაში. ზოგიერთ კომპანიაში ორგანიზებულია დამოუკიდებელი საპატენტო განყოფილებები. თუ ფირმაში ერთ ან ორ მუშაკს ევალება პატენტებზე მუშაობა, მაშინ ისინი ჩვეულებრივ, იურიდიული განყოფილების შემადგენლობაში შედიან.

საპატენტო საკითხების სპეციალისტი, როგორც წესი, ფლობს იურისტისა და ინჟინრის სპეციალობებს. მიღებულია, რომ საპატენტო მუშაკს, მიუხედავად იმისა, დამოუკიდებელი მდგომარეობა უკავია თუ არა, შედის იურიდიულ განყოფილებაში და მას მჭიდრო კავშირი

უნდა ჰქონდეს საკონსტრუქტორის და ახალი ტექნიკის დამმუშავე-
ბელ და დამწერგავ სხვა მუშაკებთან, მაგრამ ამავე დროს დამოუკიდებ-
ელი უნდა იყოს იმ პირებთან ურთიერთობაში, რომლებიც უშუ-
ალოდ არიან პასუხისმგებელი გამოგონებათა დამუშავებაზე. ეს იმი-
ტომ ხდება, რომ თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი არასასურ-
ველი გავლენა პატენტმცოდნეთა გადაწყვეტილებებზე.

აშშ-ში გამოგონებათა დაპატენტება საზღვარგარეთ ძირითადად
მონოპოლიების, ტრესტების, კომპანიების ინტერესების დაცვისათვის
ტარდება.

ისევე როგორც მსოფლიოს სხვა უმეტესი ქვეყნებისათვის,
აშშ-ისათვისაც დაპატენტება ერთდერთი გზაა, რომელიც განამტკი-
ცებს გამოგონებათა მფლობელების მდგომარეობას მსოფლიო ბაზარ-
ზე და საშუალებას აძლევს მათ დაიკავონ უფრო ხელსაყრელი კო-
მერციული პოზიციები. ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნების
მსგავსად, აშშ-იც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური განვითარე-
ბის დონეზე შესრულებული სამრეწველო პროდუქციის ამა თუ იმ
ქვეყანაში გატანისას, როგორც წესი, ამ პროდუქციაში გამოყენებულ
სიახლეთა დაპატენტებას ახდენს საზღვარგარეთ. ამით ყველა სხვას
გარკვეული ვადით ეკრძალება იმ სიახლეთა გამოყენება, რომლებიც
დაცულია უფლებრივად. ეს კი, თავის მხრივ, აშშ-ის პროდუქციის
განსაღებისათვის კარგ პირობებს ქმნის.

აშშ-ში მოქმედებს გამოგონებათა საზღვარგარეთ დაპატენტების
შემდეგი წესი.

ნებისმიერ პირს შეუძლია მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა შეტა-
ნილი აშშ-ში განაცხადი გამოგონებაზე, საპატენტო უწყებას მიმარ-
თოს თხოვნით ნება დართონ გამოგონების საზღვარგარეთ დაპატენ-
ტებაზე. თუ აშშ-ში შეტანილია განაცხადი, პატენტზე ნებართვის მი-
ღების ან არმიღების შემთხვევაში, 6 თვის მანძილზე საზღვარგარეთ
დაპატენტების აკრძალვაზე შეტყობინებიდან, განმცხადებელს შეუძ-
ლია შეიტანოს განაცხადი ამ გამოგონების დაპატენტებაზე საზღვარ-
გარეთ. უარი დაპატენტებაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს აშშ-ის
სახელმწიფო დეპარტამენტში. საზღვარგარეთ დაპატენტებაზე გადა-
წყვეტილების მიღების შემდეგ ფირმები აფორმებენ საგანაცხადო
მასალებს და შეაქვთ ისინი საზღვარგარეთ საპატენტო წარმომადგენ-
ლების მეშვეობით. საზღვარგარეთ გასაკუთვნი დოკუმენტები ხელმო-
წერით უნდა ღებამწიფოს სახელმწიფო მდივანმა ან მისმა მოადგილემ.

გამოგონებათა დაპატენტება საზღვარგარეთ მკიდროდ არის დაკავშირებული საპატენტო ლიცენზიის გაყიდვასთან. როგორც ცნობილია, გაყიდვა და ლიცენზიების გაცვლა ამჟამად ფართოდაა გავრცელებული საერთაშორისო ვაჭრობაში. აშშ-ს გაცილებით მეტი გამოგონება გააქვს საზღვარგარეთ, ვიდრე შემოაქვს.

ქვეყნის შიგნით გამოგონებათა რეალიზაციის პრაქტიკაში გვხვდება როგორც სალიცენზიო მოლაპარაკებები, ასევე მოლაპარაკებები პატენტის სრულ გადაცემაზე. ყველა შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან იმის თაობაზე, რომ პატენტის მქონე პირი (გამოგონების მფლობელი) იღებს გარკვეული სახის რეგულარულ გადასახადებს, რომელთა ოდენობა დამოკიდებულია გამოგონების საგნის მოცულობასა და რეალიზაციის წარმატებაზე.

საზღვარგარეთ დაპატენტება მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღდება, თუ საპატენტო ლიცენზიის გაყიდვის საკითხი ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილია, რადგან დაპატენტება დაკავშირებულია გარკვეული სახსრების გაღებასთან და რაკი მისი მიზანი კომერციულია, იგი დაკავშირებულია გარკვეულ მოგებასთან და არა წაგებასთან. ყურადღებას იმსახურებს საპატენტო ბიბლიოთეკის მუშაობის ერთი საინტერესო მხარე. ბიბლიოთეკას აქვს ე. წ. „იმედის გაცრუების“ დარბაზი, სადაც ნებისმიერ პირს, რომელიც პატენტის მიღებაზე ადგენს განაცხადს, შეუძლია გაეცნოს ადრე გაცემულ პატენტებს და, ასე ვთქვათ, წინასწარი წესით შეამოწმოს თავისი იდეის სიახლე. ბუნებრივია, რომ განმცხადებელი განაცხადს არ შეიტანს იმ წინადადებაზე, რომელიც სიახლის მიხედვით აშკარად არაპატენტუნარიანია. ამიტომ ასეთი შემოწმება მნიშვნელოვანწილად ათავისუფლებს ექსპერტებს ზედმეტი მუშაობისაგან განაცხადებზე, რომლებიც გამოგონებებს არ შეიცავენ. გარდა ამისა, ამით თვით სპეციალისტია დაცული განაცხადის შეტანასთან დაკავშირებული ზედმეტი ხარჯების გაწვევისაგან.

განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში, სადაც საპატენტო განაცხადების ექსპორტიზა ტარდება საპატენტო უწყებები ასობით და ათასობით ადამიანს აერთიანებენ. ყველა ქვეყანაში საპატენტო უწყებებს აქვთ ბიბლიოთეკები, რომლებშიც იკრიბება ეროვნული და უცხოური მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაცია, აგრეთვე სამრეწველო საკუთრების სფეროში უფლებრივი ხასიათის ლიტერატურა; ეროვნული და უცხოური პატენტების აღწერილობები, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაცია, აგრეთვე სამრეწველო საკუთრების სფე-

როში უფლებრივი ხასიათის ლიტერატურა; ეროვნული და უცხოური პატენტების აღწერილობები, მეცნიერულ-ტექნიკური წიგნები და პერიოდული გამოცემები, საკანონმდებლო აქტები და სამრეწველო საკუთრების სფეროში ჩატარებული კვლევითი სამუშაოები. ბიბლიოთეკებით სარგებლობა შეუძლიათ არა მარტო საპატენტო უწყების თანამშრომლებს, არამედ ნებისმიერ ადამიანს.

საპატენტო უწყება გამოსცემს ბიულეტენს, რომელშიც იბეჭდება მონაცემები გამოგონებებზე შეტანილი განაცხადების გაცემული პატენტების, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების შესახებ, ბოლო დროის ცვლილებები საპატენტო კანონმდებლობაში, საპატენტო უწყების საქმიანობასთან დაკავშირებული წესების ცვლილებები, შეტყობინებები საპატენტო. უფლებათა გადაცემის თაობაზე, წინადადებები ლიცენზიების გაყიდვაზე, სასამართლო გადაწყვეტილებათა ანგარიშები და ინფორმაცია გამოგონებების, სასარგებლო მოდელების, სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნების შესახებ.

საპატენტო უწყების ბიულეტენი წარმოადგენს მოცემულ ქვეყანაში დაპატენტებულ უახლეს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებზე საპატენტო ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს.

აშშ-ში გამოდის საპატენტო უწყების ბიულეტენი სახელწოდებით „აშშ-ის საპატენტო უწყების ოფიციალური ბიულეტენი“, საფრანგეთში „სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი“, გერმანიაში — „საპატენტო ბიულეტენი“; ინგლისში საპატენტო უწყება გამოსცემს ორ ჟურნალს: „პატენტების ოფიციალური ბიულეტენი“ და „სასაქონლო ნიშნების ბიულეტენი“.

ოფიციალურ ბიულეტენებთან ერთად საპატენტო უწყებები ბეჭდავენ სხვა გამოცემებსაც. ზოგიერთ ქვეყანაში იბეჭდება საპატენტო აღწერილობებიც. ეს ძირითადად ის ქვეყნებია, სადაც ყოველწლიურად გაიცემა 10.000-ზე მეტი პატენტი. გარდა ამისა, საპატენტო უწყებები გამოსცემენ სხვადასხვა სახის სტატისტიკურ კრებულებს, პატენტების საძიებლებს, განმცხადებლების სიებს ანდა დასახელებებს, კლასიფიკატორებს, საინსტრუქციო მასალებს, სხვადასხვა ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის მიმოხილვებს, საპატენტო უწყების, სასამართლოების გადაწყვეტილებათა ანგარიშებს და სხვა მასალებს. მაგალითად, ასეთია „აშშ-ის საპატენტო უწყების გაცემული პატენტების საძიებელი“, რომელიც შეიცავს აშშ-ის პატენტებზე სხვადასხვა ხასიათის ცნობებს, კერძოდ, პატენტის მფლობელთა და გამო-

მგონებელთა სიას, პატენტების ნომრების მითითებით; გაცემული პატენტების საძიებელს; პატენტის იმ მფლობელთა სიას, რომლებმაც უარი თქვეს თავიანთ უფლებებზე და ა. შ. საპატენტო უწყების სააპელაციო პალატისა და სასამართლო გადაწყვეტილებები ქვეყნდება სპეციალურ პერიოდულ გამოცემებში და სხვა.

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად წყდება საკითხი იმის თაობაზე, თუ ვის აქვს საპატენტო განაცხადის შეტანის უფლება, და მაშასადამე, პატენტის მიღებისაც. არსებობს პატენტის განცხადებით გაცემისა და საგამომგონებლო სისტემები.

ამ ე. წ. პატენტის განცხადებით გაცემის სისტემის მქონე ქვეყნებში პატენტი ეძლევა პირველ განმცხადებელს, მიუხედავად იმისა, არის იგი გამომგონებელი თუ არა. თუ სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო კანონებს გადავხედავთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ იქ, სადაც საპატენტო უწყება განცხადებული სიახლის პატენტუნარიანობის შესახებ შემოწმებას არ ატარებს, განაცხადის შეტანაზე უფლება აქვს პირველ განმცხადებელს. თუმცა აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში განმცხადებლის მხრივ არაკეთილსინდისიერი მოქმედების შემთხვევაში ნამდვილ გამომგონებელს შეუძლია განაცხადოს ან პატენტის გაუქმება და მისთვის შესაბამისი უფლების მინიჭება მოითხოვოს. ამასთან, შესაგებლის შეტანის უფლება აქვს მხოლოდ დაზარალებულს — გამომგონებელს ან მის უფლებამონაცვლეს.

პატენტის განცხადებით გაცემის სისტემა არ ზღუდავს სხვის მიერ შექმნილ გამოგონებათა მითვისებას და მასზე საპატენტო მონოპოლიის მოპოვებას. გასულ საუკუნეში გამომგონებელს უფლება არ ჰქონია თავისი სატელი მიეთითებინა პატენტში. გამომგონებელთა საბჭოებისა და სამეცნიერო საზოგადოებების, პროფესიული კავშირების თავგამოდებული ბრძოლის შედეგად ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა ამ სისტემაზე, ხოლო იქ, სადაც იგი უცვლელი დარჩა, ავტორმა მიიღო უფლება მისი ავტორობის მითითებაზე. ეს უფლება განმტკიცებულია პარიზის კონვენციის ერთ-ერთ მუხლში, რომელშიც ნათქვამია — „გამომგონებელს უფლება აქვს ასეთად დასახელებული იყოს პატენტში“.

ამჟამად უმეტეს სახელმწიფოებში მოქმედებს პატენტების გაცემის საგამომგონებლო სისტემა, რომლის თანახმად განაცხადის შეტანისა და პატენტის მიღების უფლება აქვს გამომგონებელს ან პირს,

რომელმაც მიიღო ეს უფლება გამომგონებლისაგან კანონით დადგენილი წესით. მოცემულ სისტემას მისდევს ინგლისური, გერმანული, ამერიკული საპატენტო სისტემების მქონე ქვეყნები.

ინგლისური და ამერიკული საპატენტო სისტემების მქონე ქვეყნებში კანონმდებლობით დადგენილია, რომ პატენტის მიღების უფლება აქვს „პირველ და ჭეშმარიტ გამომგონებელს“. ე. ი. განმცხადებელი უნდა იყოს არა მარტო გამომგონებელი, არამედ პირველიც. თუმცა პირველი გამომგონებლისათვის პატენტის გაცემის იდეა პრაქტიკულ განხორციელებამდე დაყვანილია მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში (აშშ, კანადა, ფილიპინები). დანარჩენ ქვეყნებში საპატენტო უწყებები თვითონ არ კისრულობენ გაარკვიონ გამოგონებაზე განაცხადის რამდენიმე შემტანს შორის პირველი გამომგონებელი. საკმარისია, რომ განმცხადებელი იყოს გამომგონებელი ან კანონიერ საფუძველზე მისი უფლებამონაცვლე. საერთოდ კი, უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველი განმცხადებელი, როგორც წესი, პირველი გამომგონებელია.

საქართველოს დებულებაში „გამომგონების შესახებ“ აღნიშნულია: „განაცხადი პატენტის მიღებაზე „საქპატენტში“ შეაქვს ავტორს, ან მის უფლებამონაცვლეს, ან მის წარმომადგენელს (საპატენტო რწმუნებულს)... გამოგონების ავტორს შეუძლია პატენტის მიღების უფლება დაუთმოს სხვა პირს...“, აგრეთვე — „პატენტის მიღების უფლება, ისევე როგორც გაცემული პატენტი, გადადის მემკვიდრეობით“.

რუსეთის საპატენტო კანონით პატენტი ეძლევა: გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის ავტორს (ავტორებს); ფიზიკურ ანდა იურიდიულ პირებს (მათი შეთანხმების შემთხვევაში), რომლებიც ავტორის (ავტორების) ან მისი (მათი) უფლებამოსილის მიერ გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციის მომენტამდე საპატენტო უწყებაში შეტანილ განაცხადებაშია მითითებული; სამუშაოს მიმცემს, თუ მუშაკის მიერ გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში შექმნილია თავისი სამსახურებრივი მოვალეობის ან სამუშაოს მიმცემისაგან მიღებული კონკრეტული დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, თუ მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არაა სხვა რამ.

გერმანული საპატენტო სისტემის მქონე ქვეყნებში (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია, ჩაჰონია, შვეიცია და სხვა), კანონი გამომგონე-

ბელს უმკვიდრებს უფლებას პატენტის მიღებაზე, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა იგი გამოგონების პირველ შემქმნელს.

საგამომგონებლო სისტემის მქონე ქვეყნების საპატენტო უწყებები, როგორც წესი, ადგენენ განმცხადებლის პიროვნებას. როგორც უკვე ითქვა, უნდა ვივარაუდოთ და იგულისხმება, რომ განმცხადებელი არის გამომგონებელი, თუ ის ასეთად წარმოადგენს თავის თავს. თუ განმცხადებელი გამომგონებელი არაა, საჭიროა დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა განაცხადის შეტანის განმცხადებლის უფლების შესახებ, რომელსაც ეწოდება გადაცემის აქტი; მისი შედგენა ხდება მიღებული ფორმით, ხელს აწერს გამომგონებელი და უფლებამონაცვლე და დასტურდება ნოტარიულ დაწესებულებაში. საპატენტო განაცხადი უქმდება, თუ აღმოჩნდა, რომ განმცხადებელი არც გამომგონებელია და არც მისი კანონიერი მემკვიდრე. შესაგებელი (საჩივარი, პროტესტი) შეიძლება შეიტანოს მხოლოდ იმ დაინტერესებულმა პირმა, ვისი უფლებებიც დარღვეულია.

ამრიგად, საგამომგონებლო სისტემის ქვეყნებში დეკლარირებულია გამომგონებლის უფლება პატენტის მიღებაზე. გამოგონების განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს, ხოლო მისი ათვისება, როგორც წესი, დაკავშირებულია უფრო მეტ კაპიტალდამანდებასთან, რომლის გაღება მხოლოდ მსხვილ საწარმოებს ძალუძთ. ამიტომ გამომგონებელი უფრო მეტად იძულებულია გაყიდოს ან თავისი გამოგონება, ან კიდევ თავისი საგამომგონებლო შრომა. ამჟამად უმეტესი გამომგონებლები მსახურობენ კერძო ან სახელმწიფო საწარმოებში. ზოგიერთ ქვეყანაში მათი ურთიერთობა ამ იურიდიულ ორგანიზაციებთან რეგულირდება სპეციალური კანონებით (გერმანია, შვეცია, დანია და სხვა), ზოგიერთ ქვეყანაში კი — საპატენტო კანონებით (ავსტრია, იაპონია, იტალია, კანადა, ნიდერლანდი), ზოგში — სასამართლო პრაქტიკით. (აშშ, არგენტინა და სხვა).

✓ მოსამსახურეთა ყველა გამოგონება იყოფა ორ კატეგორიად — სასამსახურო და თავისუფალ გამოგონებად. სასამსახუროს მიეკუთვნება შრომითი ხელშეკრულების განმავლობაში მისი სახსრების, მოწყობილობების, ფინანსების, აგრეთვე წარმოების გამოცდილების გამოყენებით შექმნილი გამოგონებები. გამოგონებების სასამსახუროდ მიჩნევისათვის ამ ნიშან-თვისებათაგან ერთის არსებობაც საკმარისია. თავისუფალ გამოგონებად ითვლება ისეთი, რომელიც შექმნილია არა-

სამუშაო საათებში, საკუთარი სახსრებით და საწარმოში მუშაობის დროს შექენილი ცოდნისა და გამოცდილების გარეშე.

სასამსახურო გამოგონებაზე უფლება, როგორც წესი, სრულად ეკუთვნის მეწარმეს, მაგალითად, გერმანიაში უფლება მას ენიჭება კანონის ან საწარმოს შრომის განაწესის საფუძველზე და საწარმოს არ მოეთხოვება ავტორთან დადოს სპეციალური ხელშეკრულება პატენტზე უფლების გადათმობის შესახებ. სასამსახუროში ჩადგომისთანავე დაქირავებული პირი ვალდებულია იღებს ყველა გამოგონება, რომელსაც თავისი საქმიანობის დროს შექმნის, გადასცეს მეწარმეს. იმ ქვეყნებში კი (აშშ, ინგლისი), სადაც განაცხადის შეტანის უფლება ფორმალურად აქვს გამოგონებელს, შემუშავებულია ტიპობრივი ხელშეკრულებები, რომლებშიც გათვალისწინებულია დაქირავებული მუშაკის მოვალეობა, რომ საწარმოში მუშაობის პროცესში მის მიერ შექმნილ ყველა გამოგონებაზე უფლებები გადასცეს საწარმოს.

ბევრ ქვეყანაში მეწარმეებს უფლება აქვთ იმ გამოგონებებზეც, რომლებიც მოსამსახურებმა გარკვეული დროის მანძილზე შექმნეს, შრომითი ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც. მაგალითად იტალიასა და ავსტრიაში გამოგონებები, რომლებზეც განაცხადი შეტანილი იყო შრომითი ხელშეკრულების მოქმედების დამთავრების შემდეგ 1 წლის განმავლობაში, განიხილება, როგორც სასამსახურო. გერმანიაში მოსამსახურეთა გამოგონებების შესახებ კანონის თანახმად, თუ გამოგონებელმა მის მიერ სამსახურის დატოვების შემდეგ მალე შექმნა გამოგონება, მან უნდა დაამტკიცოს რა გარემოებებმა მისცა მას შესაძლებლობა საწარმოს გარეშე გამოგონების შესაქმნელად. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გამოგონება მიჩნეული იქნება, როგორც სასამსახურო.

ამრიგად, საგამომგონებლო სისტემის მქონე ქვეყნებშიც პატენტის მიღების უფლება და ამ აქტთან დაკავშირებული ქონებრივი სარგებელი უმეტეს შემთხვევაში, ეკუთვნის არა ნამდვილ გამომგონებელს, არამედ წარმოებასა და გამოგონების დანერგვაში კაპიტალის დამბანდებელ მეწარმეს.

თითქმის ყველა ქვეყანაში საპატენტო განაცხადის შეტანილი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ისე იურიდიულიც. საგამომგონებლო სისტემის ქვეყნებში იურიდიული პირი შეიძლება გამოდიოდეს გამომგონებლის უფლებამონაცვლის სახით, გამომგონებელთა

გვარები მითითებული უნდა იყოს განაცხადში და იქვე წარმოდგენილ უნდა იქნეს გადათმობის აქტი.

განაცხადი შეიძლება ერთდროულად შეიტანოს და პატენტი მიიღოს რამდენიმე პირმა (ფიზიკურმა ან იურიდიულმა). თითოეულ პირს მოცემულ შემთხვევაში გამოგონების გამოყენებისა და გამგებლობის მიმართ ერთნაირი უფლება აქვს.

მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში უცხოელებს მინიჭებული აქვთ განაცხადის შეტანის უფლება. მისი განხორციელებისათვის საფუძველს წარმოადგენს: სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ საერთაშორისო, რეგიონალური შეთანხმებები, ორმხრივი მოლაპარაკებები ურთიერთცნობის საფუძველზე ან ასეთი პირობების გარეშე, კანონმდებლის მიერ ადგილობრივი მოქალაქეების თანაბრად ერთნაირი უფლებების მიცემა, საცხოვრებელი ადგილის დაფიქსირება ან დაპატენტების ქვეყნის ტერიტორიაზე სამრეწველო, კომერციული საქმიანობის განხორციელება და ბოლოს, საზღვარგარეთ მოქმედი პატენტის მფლობელობა.

ყველაზე მეტად გავრცელებული საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება უცხოური დაპატენტება — ეს არის ქვეყანაგანმცხადებლის ან ქვეყნის, სადაც გამოგონება პატენტდება, მონაწილეობა, სამრეწველო საკუთრების დაცვის საკითხებზე საერთაშორისო ან რეგიონალურ მოლაპარაკებაში. მაგალითად, 1883 წლის პარიზის კონვენცია ადგენს, რომ კავშირის ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ კავშირის ყველა სხვა ქვეყანაში იმავე უპირობოობით, რომელიც მინიჭებული აქვთ სწავთარ მოქალაქეებს. კავშირის ქვეყნების მოქალაქეებს უთანაბრებენ იმ ქვეყნების მოქალაქეებსაც, რომლებიც არ არიან პარიზის კონვენციის მონაწილენი, მაგრამ კავშირის მონაწილე ერთ-ერთ ქვეყნის ტერიტორიაზე აქვთ საცხოვრებელი, ან სამრეწველო, ან კიდევ სავაჭრო საწარმო. ანალოგიური წესები უდევს საფუძვლად ბევრ რეგიონალურ და ორმხრივ შეთანხმებას სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში.

თითოეული ამ საფუძველთაგანი საზღვარგარეთ დაპატენტებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ცალკე, ისე სხვა საფუძველებთან ერთად.

უმეტეს ქვეყნებში უცხოელ მოქალაქეებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად შეიტანონ განაცხადი და განახორციელონ საპატენტო უწყების საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა მოქმედე-

ბანი. მათთვის კანონი ადგენს წარმომადგენლობის აუცილებლობას, რომელიც ხორციელდება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები პირის მიერ, სადაც პატენტდება გამოგონება. წარმომადგენლების სახით ჩვეულებრივ, არსებობენ ხოლმე სპეციალიზებული ფირმები, ე. წ. საპატენტო რწმუნებულები ან საპატენტო აგენტები.

იმ ქვეყნებში, სადაც უცხოელი განმცხადებლები უფლებრივად გათანაბრებული არიან საკუთარ მოქალაქეებთან, საპატენტო უფლებათა გაფორმება შესაძლებელია მესამე პირთა მომსახურების გამოყენების გარეშეც. მაგრამ პრაქტიკაში უცხოელები და ბევრი ადგილობრივი მოქალაქეც, ძირითადად მარტოხელა-გამომგონებლები და წვრილი ფირმები, რომლებსაც საკუთარი საპატენტო სამსახურები არ გააჩნიათ, საპატენტო რწმუნებულთა სამსახურს მიმართავენ ხოლმე, რამდენადაც გამოგონების აღწერილობის შედგენა და სხვა საგანაცხადო მასალების მომზადება, საპატენტო უწყებასთან მიმოწერა მოითხოვს დასპეციალებას, საპატენტო კანონმდებლობისა და დაპატენტების პროცედურის ყველა წვრილმანის ცოდნას. საპატენტო რწმუნებულთა ფირმები შედგება კვალიფიციური პატენტმცოდნეებისაგან, რომლებსაც აქვთ იურიდიული, ტექნიკური განათლება და საპატენტო მუშაობის გამოცდილება. საპატენტო რწმუნებულთა სახით სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ სპეციალური აქტებით ან საპატენტო კანონმდებლობით დადგენილ და საპატენტო უწყებაში რეგისტრირებულ განსაკუთრებულ მოთხოვნებს. საპატენტო რწმუნებულები განმცხადებელს ეხმარებიან გამოგონების აღწერილობის და საპატენტო ფორმულის შედგენაში, მისი თხოვნით ატარებენ გამოგონების სიახლის წინასწარ შემოწმებას, აფორმებენ განაცხადის მასალებს (თარგმნიან, ბეჭდავენ, ამზადებენ ნახაზებს და სხვა), შეაქვთ განაცხადი საპატენტო უწყებაში და იცავენ განმცხადებლების ინტერესებს გამოგონებათა დაპატენტების პროცესში, აგრეთვე პატენტების გაცემის შემდეგაც. გარდა ამისა, საპატენტო რწმუნებული შეიძლება იყოს განმცხადებლის ინტერესების დამცველიც სასამართლოში. იგი თავისი სამსახურისათვის კლიენტისაგან იღებს საბაჟო გადასახადს, რომლის ოდენობა დამოკიდებულია ფირმის ავტორიტეტულობაზე, მუშაობის ხასიათსა და შესრულებული სამუშაოს მოცულობაზე.

პატენტის გაცემაზე სწორად შედგენილ და გაფორმებულ განაცხადს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საპატენტო უწყებაში მის-

სწრაფად გასვლისათვის, ისე გამოგონების საპატენტო უფლების მოკულობის სწორი დადგენისათვის.

საპატენტო განაცხადი შეიცავს იმ ქვეყნის, სადაც პატენტდება გამოგონება, კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკით გააირობებული მოთხოვნების შესაბამისად შედგენილ მთელ რიგ დოკუმენტებს. ეს დოკუმენტებია: განცხადება პატენტის გაცემაზე (საკუთრივ განაცხადი); საპატენტო აღწერილობა; გამოგონების მოკლე ანოტაცია ან რეფერატი; კონვენციური ან საგამოფენო პრიორიტეტის დადასტურება და პირველი საპატენტო განაცხადის, რომლის საფუძველზეც მოითხოვება კონვენციური პრიორიტეტი, ასლი; საპატენტო რწმუნებულის მინდობილობა საქმის წარმოების უფლებაზე; გადაცემის აქტი. 'განაცხადს უნდა დაერთოს ქვითარი ბაჟის გადახდის შესახებ ან საბაჟო მარკა. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში დოკუმენტების შედგენა, კონვენციური პრიორიტეტის უფლების დადასტურების ცნობისა და პირველი განაცხადის ასლის გამოკლებით, ხდება იმ ქვეყნის სახელმწიფო ენაზე, სადაც გამოგონება პატენტდება. გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი ქვეყანა, სადაც განაცხადების ძირითადი მასალების წარდგენა ხდება იმ ქვეყნის ენაზეც, რომელთანაც დაპატენტებულ ქვეყანას ამასთან დაკავშირებით დადებული აქვს ორმხრივი ხელშეკრულება, მაგალითად რუსეთის საპატენტო კანონი ითვალისწინებს ფრანგულს, ხოლო საფრანგეთის საპატენტო უწყებაში შეიძლება მასალების წარმოდგენა რუსულ ენაზეც.

განაცხადის ძირითადი დოკუმენტები — განცხადება პატენტის გაცემის შესახებ და საპატენტო აღწერილობა ისეთი დოკუმენტებია, რომელთა წარდგენა საპატენტო უწყებაში აუცილებელია განაცხადის შეტანის ფაქტის დადგენისა და პრიორიტეტის დამკვიდრებისათვის. სხვა დოკუმენტების წარდგენა ყველა ქვეყანაში სავალდებულო არაა და, გარდა ამისა, ისინი შეიძლება მოგვიანებით იქნეს წარდგენილი განაცხადის განხილვის პროცესის დროს. საპატენტო განაცხადის მასალები შეიძლება შეივსოს დროის ამა თუ იმ მონაკვეთში და იმ ქვეყანაში დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სადაც გამოგონება პატენტდება.

განცხადება პატენტის მისაღებად იწერება საპატენტო უწყების ხელმძღვანელის სახელზე და შეიცავს თხოვნას პატენტის გაცემის შესახებ. იგი სრულდება სპეციალურ ბლანკზე და მასში შეტანილია შემდეგი მონაცემები:

1. განმცხადებლის ვინაობა საცხოვრებელი ადგილი (ადგილსამყოფელი). თუ განმცხადებელი საპატენტო რწმუნებულს მიმართავს სამსახურის გასაწევად, მაშინ საჭიროა მისი გვარის მითითება და საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურის მისამართის ოფიციალური დასახელება, აგრეთვე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების მოცულობა;

2. გამოგონებლის ვინაობა და მისი საცხოვრებელი ადგილი (პატენტების გაცემის საგამომგონებლო სისტემის ქვეყნებში). გამოგონებლის ვინაობის სწორი მითითება ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, არგენტინა, ინგლისი, კანადა და ჰხვა) წარმოადგენს აუცილებელ მოთხოვნას, რომლის დაუცველობა გამოიწვევს განაცხადის უარყოფას ან პატენტის გამკემ ქვეყანაში გამოგონებაზე უფლების გაუქმებას;

3. გამოგონების დასახელება;

4. გამოგონების უფლებრივი დაცვის ფორმა და ვადის ხანგრძლივობა (უფლებრივი დაცვის სხვადასხვა ფორმის ან პატენტების სხვადასხვა მოქმედების ვადების მქონე ქვეყნებში);

5. ძირითადი პატენტის ნომერი ან განაცხადის სარეგისტრაციო ინდექსი ძირითადად პატენტზე (თუ დამატებითი პატენტი მოითხოვება);

6. საპატენტო უწყებასთან მიმოწერის უფლების მქონე პირი (განაცხადში რამდენიმე განმცხადებლის ან რამდენიმე რწმუნებულის არსებობის შემთხვევაში);

7. ქვეყნის დასახელება, სადაც პირველი განაცხადი იყო შეტანილი, შეტანის თარიღი; განაცხადის ნომერი, აგრეთვე პატენტის გაცემის დღე და მოქმედების ვადა (კონვენციური პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში).

გამოგონებაზე პატენტის მისაღებად განაცხადება ზოგიერთ ქვეყანაში შეიტანება ერთ, ზოგიერთ ქვეყანაში კი ორ ეგზემპლარად. მასხელს აწერს განმცხადებელი ან საპატენტო რწმუნებული. მასში აღინიშნება საპატენტო განაცხადის შეტანის საათი, დღე, თვე და წელი.

საპატენტო აღწერილობა წარმოადგენს გამოგონების ტექნიკური არსის გადმოცემას და მას მნიშვნელოვანი საინფორმაციო და უფლებრივი დანიშნულება აქვს. მსოფლიოს ყველა ქვეყანას დადგენილი აქვს მისი შინაარსისა და გადმოცემისაღმე გარკვეული ფორმის მკაცრი მოთხოვნები, რომელთა დაუცველობა დაუშვებელია. მიუხედავად

იმისა, რომ ეს მოთხოვნები ყველგან ერთნაირი არ არის, თითქმის ყველა ქვეყანაში საპატენტო უწყების ძირითადი მოთხოვნა აღწერილობისადმი შემდეგ წესს უნდა აკმაყოფილებდეს: აღწერილობა გამოგონებას იმდენად ნათლად და სრულად უნდა ხსნიდეს, რომ ამ დარგის ნებისმიერ სპეციალისტს შეეძლოს დამატებითი შემოქმედებითი ძალისხმევით გარეშე მისი პრაქტიკაში განხორციელება. ეს წესი როგორც უკვე აღინიშნა, ემყარება ე. წ. პატენტის ხელშეკრულების თეორიას, რის თანახმადაც საპატენტო მონოპოლია ენიჭება განმცხადებელს იმ წვლილის სანაცვლოდ, რომელიც მას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში შეაქვს, უხსნის რა საზოგადოებას ახალ ტექნიკურ იდეას; ამასთან ერთად, იდეის გახსნა უნდა იყოს სრული, ნათელი, მკაფიო, აზოროზროვანი; რაიმე არსებითი დეტალის დაფარვის გარეშე. თუმცა პრაქტიკაში, მსხვილი სამრეწველო ფირმები, რომლებიც ფაქტობრივად განმცხადებელთა უმრავლესობას წარმოადგენენ, ცდილობენ არ გახსნან აღწერილობაში გამოგონების არსის ყველა დეტალი, დაფარონ არსებითი წვრილმანები, რომელთა ცოდნის გარეშე გამოგონება, საერთოდ არ შეიძლება იყოს შესრულებული, ან კიდევ მისი განხორციელების შემთხვევაში არ იძლევა მოსალოდნელ ეფექტს. ამ მიზანს ისინი ხშირად აღწევენ კიდევ, ამასთან ეს სრულდება იმდენად კვალიფიციურად, რომ ექსპერტიზას არ შეუძლია აღმოაჩინოს უკმარი მონაცემები და იგი იღებს გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის თაობაზე. განსაკუთრებით ადვილად ხერხდება გამოგონებაში ისეთი დეტალების შენიღბვა, რომლებიც მიეკუთვნება წარმოების მეთოდებს, სადაც ამა თუ იმ პარამეტრის, რაზმის თანამიმდევრობის არაზუსტი მითითების გამოვლენა დროის მოკლე პერიოდში ვერ ხერხდება და ამასთან ერთად მათი მნიშვნელობა გამოგონების ეფექტიანობისათვის საკმაოდ დიდია.

აღწერილობის სწორი შედგენაზე დამოკიდებულია საპატენტო უწყებაში განაცხადის განხილვის ხანგრძლივობა და, რაც მთავარია, — მიღებული პატენტის სიძვირობა. აღწერილობის არსრულად გადმოცემა, გაურკვევლობა, თუნდაც უმნიშვნელო შეცდომების დაშვება შეიძლება განაცხადის უარყოფის მოტივი გახდეს. ექსპერტი ითხოვს აღწერილობის შესწორებას და დამატებითი ცნობების წარდგენას. მაგრამ ყველა მონაცემის მიღება და თავდაპირველად განაცხადში ჩართვა არ შეიძლება. გარდა ამისა, როგორც წესი, ზოგიერთ ქვეყანაში არ დაიშვება განაცხადში ისეთი მონაცემების შეტანა, რომ-

ლებიც. საერთოდ, არ იყო თავდაპირველად წარდგენილ განაცხადში, მაგალითად, თუ საქმე განაცხადში ცვლილების სახით „მასალების ახალი ნიშან-თვისებების“ შეტანას ეხება. ასეთი მასალები შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ ახალი განაცხადის შეტანის გზით ახალი პრიორიტეტით, რასაკვირველია, თუ მათ შეუძლიათ შეადგინონ განაცხადის საგანი და ისინი თავისთავად პატენტუნარიანი იქნებიან. ხშირად აღრინდელი განაცხადის გაუქმება და ახლის შეტანა ხდება არასაკმარისი მონაცემების ჩათვლით და მის ყველაზე ადრეულ პრიორიტეტს წარმოადგენს უკმარისი ცნობების შეტანის თარიღი.

იმ ქვეყნებში, სადაც განაცხადის მასალები არსებითად მათი შინაარსის მიხედვით არ მოწმდება, პატენტი შეიძლება გაიცეს დეფექტური აღწერილობით და იგი დაინტერესებული პირების მიერ ადვილად შეიძლება დაჯის საგნად იქცეს.

საპატენტო აღწერილობა წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც დგინდება პატენტის მფლობელის უფლებათა საზღვრები და ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს გამოგონების უფლებრივი საზღვრების დადგენის სიზუსტე. თუ აღწერილობაში გახსნილი გამოგონება უკვე ისაა, რაც სინამდვილეში შექმნა გამომგონებელმა. პატენტი ვერ უზრუნველყოფს იმის სრულ დაცვას, რაც აღწერილობის ფარგლებს მიღმა დარჩა და უკანასკნელი შეიძლება თავისუფლად იქნეს გამოყენებული ნებისმიერი პირის მიერ. თუკი ეს პირიქით მოხდა, მაშინ გამომგონებელი აღწერილობაში პრეტენზიას აცხადებს უფრო მეტზე, ვიდრე სინამდვილეში იყო შექმნილი და განაცხადი გამოგონებაზე შეიძლება უარყოფილ იქნეს. ხოლო პატენტი — გაუქმებული გამომგონების სიახლის უქონლობის გამო.

ყველა ქვეყანაში არსებობს ე. წ. „გამომგონების ერთიანობის“ მოთხოვნა. ის იმას ნიშნავს, რომ თითოეულ საპატენტო განაცხადში გახსნილი უნდა იქნეს მხოლოდ ერთი გამოგონება. თუ აღწერილობაში არის ორი ან მეტი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი გამოგონება, ექსპერტიზა, ჩვეულებრივ, ათხოვს ხოლმე განაცხადის გაყოფას — ერთი გამოგონება შეადგინს პირველი განაცხადის საგანს, ხოლო სხვა დანარჩენებზე შეიძლება დადგინდეს ვადებში შეტანილ იქნეს დამოუკიდებელი განაცხადები. ამ შემთხვევაში ახალი განაცხადების პრიორიტეტი დგინდება პირველი განაცხადის შეტანის თარიღით. ერთ განაცხადში დასაშვებია ერთდროულად რამდენიმე სახის

გამოგონების გახსნა, მაგალითად, ნაკეთობის მიღების ხერხი და თვით ამ ნაკეთობის განხორციელების ხერხი და მოწმობილობა, მისი მოქმედების პრინციპი და ხერხი; თუ ეს გამოგონებები ერთიმეორესთან ისეთი სახითაა დაკავშირებული, რომ ისინი არ შეიძლება ერთმეორის გარეშე იქნეს მიღებული ან გამოყენებული. მაგალითად, თუ პოცემული ხერხით შეიძლება მივიღოთ მხოლოდ მოცემული ნივთიერება და, პირიქით, მოცემული ნივთიერება შეიძლება მივიღოთ მხოლოდ მოცემული ხერხით, მაშინ ეს ორი გამოგონება ერთიმეორესთან საგამომგონებლო ერთიანობით დაკავშირებულად მიიჩნევა და შეიძლება ერთ საპატენტო აღწერილობაში, ე. ი. ერთ განაცხადში იქნეს გახსნილი.

საპატენტო აღწერილობა რამდენიმე სხვადასხვა ნაწილისაგან შედგება. ესენია: საკუთრივ აღწერილობის დასახელება, თვით აღწერილობა, ნახაზები ან ქიმიური ფორმულები, თუ ამას გამოგონების ხასიათი მოითხოვს და გამოგონების ფორმულა (საგანი).

დასახელება ზუსტად და მოკლედ უნდა განსაზღვრავდეს გამოგონების საგანს, სრულად შეესატყვისებოდეს მის მოცულობას. მან უნდა ასახოს გამოგონების საგნის გვარობითი ცნება, საერთოდ მიღებული ან დარგობრივი ტექნიკური ტერმინოლოგიის შესაბამისად, მაგალითად, „ფარი გვირაბების გაყვანისათვის“ თუ სპეციალური ტერმინი არ არსებობს, დასახელება შეიძლება გადმოიცეს აღწერილობით, მაგალითად, „საშარდე ბუშტში ქვების დამშლელი მოწყობილობა“. „საგნის დასახელება მოცემული უნდა იყოს მხოლოდ რიცხვში — „სარეცხი საშუალება“, „ფერიტის მასალა“: უმეტეს ქვეყნებში (გამონაკლისს წარმოადგენენ აშშ, არგენტინა, კანადა და სხვა) გამოგონების დასახელება სიტყვისაიტყვით უნდა ემთხვეოდეს გამოგონების დასახელებას, რომლითაც იწყება საპატენტო ფორმულა.

დაუშვებელია დასახელებაში ჩაირთოს საკუთარი სახელები, სიტყვების შეერთება, რომლებიც სასაქონლო ნიშნებს, პირობით აღნიშვნებს, გამონაგონებს, სიმბოლურ გამოსახულებებს ემთხვევა.

გამოგონების დასახელების სიზუსტის მოთხოვნა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გამოგონების სწორი კლასიფიკაციის აუცილებლობას, რაზედაც დიდად არის დამოკიდებული ექსპერტიზის ეფექტიანობა.

ზოგიერთ ქვეყანაში გამოგონების საკუთრივ აღწერილობას წინ უძღვის პრეამბულა, რომელშიც მითითებულია განაცხადის შეტანის

თარიღი, განმცხადებლის ვინაობა, მისი საცხოვრებელი ადგილი (ადგილსამყოფელი); თუ განცხადებულთა კონვენციური პრიორიტეტი — მითითებული უნდა იქნეს პირველი ქვეყანა, სადაც შეტანილია განაცხადი და სარეგისტრაციო ნომერი.

გამოგონების საკუთრივ აღწერილობაში ასახული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები: ტექნიკის დარგი, რომელსაც მიეკუთვნება გამოგონება; ამ დარგის განვითარების დონე, რომელიც წინ უსწრებდა გამოგონების შექმნას (პრიორიტეტის თარიღს); ცნობილი ტექნიკური გადაწყვეტების (პროტოტიპის) ნაკლოვანებანი; გამოგონებლის მიერ შექმნილი გამოგონების ან გადაწყვეტილი ტექნიკური ამოცანის მიზანი; მოცემული ამოცანის ტექნიკური ან ტექნოლოგიური გადაწყვეტის საშუალებანი, ე. ი. გამოგონების არსის მოკლე გადმოცემა; ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატესობა, რომელიც მიიღება გამოგონების გამოყენებისას; ნახაზების ნუსხა; გამოგონების დეტალური აღწერა.

აშშ-ის, აგრეთვე ამერიკული და ინგლისური საპატენტო სამართლის სისტემების მქონე ზოგიერთი სხვა ქვეყნის გამოგონების აღწერილობაში შეიტანება ე. წ. „გამფართოებელი განყოფილება“. ამ ნაწილს მხოლოდ უფლებრივი მნიშვნელობა აქვს და გამოგონების ფართო განმარტებას იძლევა. მასში აღინიშნება, რომ გამოგონება აღწერილობაში გახსნილი მისი განხორციელების კონკრეტული ფორმით კი არ იზღუდება, არამედ ამოცანის ყველა ეკვივალენტურ გადაწყვეტას მოიცავს.

კანონი გამოგონების აღწერილობისადმი ყველა ქვეყანაში ერთნაირ მოთხოვნებს არ აყენებს. მართალია ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები ნებისმიერი ქვეყნის საპატენტო უწყებაში შეტანილი გამოგონების აღწერილობაში უნდა იყოს ასახული, მაგრამ მათი გახსნის მოცულობა და ზასიათი ყოველთვის ერთნაირი არაა და ადმინისტრაციულ აქტებში დადგენილი წესებით განისაზღვრება. მაგალითად, გამოგონების გახსნის მოცულობის მიმართ ყველაზე უფრო მაღალი მოთხოვნა წაყენებულია აშშ-ში, სადაც საპატენტო კანონი ადგენს, რომ აღწერილობაში არა მარტო „სრულად, ნათლად და ზუსტად“ უნდა იყოს გახსნილი გამოგონების არსი, არამედ უნდა გადმოიცეს კიდევ „ავტორისათვის ცნობილი მისი რეალიზაციის ყველაზე საუკეთესო ხერხი“. ანალოგიური მოთხოვნებია წაყენებული აღწერილობაში არსის გახსნის, გამოგონების საუკეთესოდ განხორციელების ავტორის მიერ მიგნებული ხერხის მიმართ ავსტრალიის, ინგლისის,

ინდოეთის, კანადის და სხვა ინგლისური და ამერიკული საპატენტო სამართლის სისტემების მქონე ქვეყნების საპატენტო კანონებში, აგრეთვე ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში. გერმანული და ფრანგული. საპატენტო სამართლის სისტემების მქონე ქვეყნებში გამოგონების გახსნის მოცულობის მოთხოვნა აღწერილობაში არცთუ იმდენად მკაცრადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ იგი მაინც საკმაოდ დაწვრილებით უნდა იქნეს გადმოცემული, რათა სპეციალისტმა შეძლოს მკაფიოდ გაიაზროს გამოგონების არსი და პრაქტიკულად განახორციელოს იგი ყოველგვარი დამატებითი მასალების, ცდებისა და შემოქმედებითი დამუშავების გარეშე.

გამოგონების აღწერილობას, თუ მისი არსის გაგებისათვის ეს აუცილებელია, დაერთვება ნახაზები. ნახაზებზე უნდა აისახოს აღწერილობაში გახსნილი გამოგონების ყველა დეტალი, კვანძი, ვარიანტი და მასში არ უნდა იქნეს წარმოდგენილი ისეთი რამ, რაც აღწერილობაში მოცემული არაა. ნახაზების ზომები ისეთი უნდა იყოს, რომ ყველა დეტალი და კვანძი კაფიოდ ჩანდეს ფოტოასლებზე, რომლებსაც ამზადებენ სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო უწყებები. ყველა ქვეყანაში ერთნაირი მოთხოვნა არაა წარდგენილი ნახაზების ზომების, ქალაქის, აღნიშვნათა დატანის წესისა და ხასიათის და ა. შ. ამ დადგენილი მოთხოვნებიდან რომელიმე ჯათგანის შეუსრულებლობის გამო პატენტის მიძიებელს შეიძლება პატენტის გაცემაზე უარი ეთქვას.

ნახაზების გარდა, საპატენტო აღწერილობაში შეიძლება ჩაირთოს სქემები, დიაგრამები, ტექნოლოგიური პროცესის ამსახველი რუკები და სხვა ილუსტრაციები, თუ ისინი გამოგონების არსის გახსნისათვის აუცილებელია.

საპატენტო აღწერილობა, საერთო წესის მიხედვით მთავრდება ე. წ. საპატენტო ფორმულით (გამოგონებას ფორმულით, საპატენტო პრეტენზიებით, პატენტის საგნით), რომელიც გამოგონების ტექნიკური არსის მოკლედ გადმოცემას ემსახურება და საპატენტო მონოპოლიის საზღვრებს ადგენს. საპატენტო ფორმულა წარმოადგენს აღწერილობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რამდენადაც, სწორედ მისი მეშვეობით განისაზღვრება პატენტის მფლობელის უფლებათა მოცულობა და დგინდება პატენტის დარღვევის ფაქტი. უმეტეს ქვეყნებში პატენტის უფლებათა დარღვევის გამო, დავის წამოჭრის შემთხვევაში, გამოგონების საკუთრივ აღწერილობა ან საერთოდ არ მი-

იღება მხედველობაში, ან კიდევ საპატენტო ფორმულაში ნახმარი მხოლოდ ზოგიერთი ტერმინის გამოთქმის მნიშვნელობის გარკვევისათვის გამოიყენება. ამიტომ თითქმის ყველა ქვეყანაში საპატენტო ფორმულის შედგენა ერთობ მკაცრ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

საპატენტო ფორმულაში გადმოცემული უნდა იყოს გამოგონების ყველა აუცილებელი ნიშან-თვისება. თუ რომელიმე მათგანი გამოტოვებულია, პატენტი გამოგონების არასრულად გახსნის, გამოგონების აღწერილობის ფორმულასთან შეუსატყვისობის (თუ ამ ნიშან-თვისებებში ასახვა კბოვა აღწერილობაში) ან კიდევ განცხადებული გადაწყვეტის არაეფექტიანობის, განუხორციელებლობის გამო შეიძლება ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული. სხვა მხრივ, გამოგონების ფორმულაში გამოგონების იდეის განხორციელებისათვის მეორეხარისხოვან, არასავალდებულო ნიშან-თვისებების ჩართვა, ზღუდავს პატენტის მფლობელის უფლებათა მოცულობას და მას პატენტის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას. მაშასადამე, ფორმულაში ჩართული თითოეული ნიშან-თვისება აუცილებელი უნდა იყოს, ხოლო ყველა მათგანი ერთად გამოგონების სწორი დახასიათებისათვის — საკმარისი.

საპატენტო პრეტენზიების შედგენისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფორმულირების სიზუსტეს. ტერმინების სწორ გამოყენებას, ცალკეული ელემენტების ურთიერთკავშირის მკაფიოდ გამოხატვას. არ დაიშვება გაურკვეველი გამოთქმების, ორაზროვანი ფორმულირების გამოყენება. გამოგონების არსი და საპატენტო მონოპოლიის საზღვრები მარტო გამოგონების. ფორმულის საფუძველზე უნდა იყოს გასაგები. ამიტომაც უმეტეს ქვეყნებში დაუშვებელია მასში აღწერილობაზე, ნახაზზე საერთო მითითებების დართვა, მაგალითად: „როგორც გახსნილია აღწერილობაში“, ან კიდევ — „როგორც ნაჩვენებია ნახაზზე“. გერმანული საპატენტო უფლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში მხოლოდ იმ აღნიშვნათა მითითებაა დასაშვები, რომლებიც ნახაზების პოზიციებზეა ნაჩვენები.

გამოგონების ფორმულა არ უნდა იძლეოდეს გამოყენებული ელემენტების ან საბოლოო ანგარიშით მიღებული შედეგის რაიმე შეფასებებს. ამიტომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ დაიშვება გამოგონების მიზნების მითითება გამოგონების ფორმულაში, რამდენადაც მათ უფლებრივ მნიშვნელობა არა აქვთ. მათი ფორმულაში მოქცევა

კი ზედმეტად ტვირთავს მას, აძნელებს გამოგონების არსისა და მოცულობის გაგებას.

საპატენტო ფორმულა, ჩვეულებრივ, შედგება რამდენიმე პუნქტისაგან ან პოზიციისაგან, რაც საშუალებას იძლევა უფრო სწორად და მკაფიოდ დახასიათდეს გამოგონება. ასეთ ფორმულას მრავალრგოლიანი ეწოდება. საპატენტო ფორმულის პუნქტების ოდენობა დამოკიდებულია გამოგონების თავისებურებაზე, უპირველესად მის სირთულეზე; არსებობს როგორც კონსტრუქციული, ისე ტექნოლოგიური სირთულე. მათი ოდენობა შეიძლება იყოს 5-დან 15-მდეც, ხოლო ზოგჯერ საგამომგონებლო იდეის სრული გახსნისათვის ერთი პუნქტიც საკმარისია. საპატენტო უწყებები, როგორც წესი, არ ზღუდავენ საპატენტო ფორმულის პუნქტების რიცხვს, თუმცა ცალკეულ ქვეყნებში — აშშ, კანადა, საფრანგეთი, შვეიცარია — დადგენილია ზღვარი, რომლის გადამეტება იწვევს დამატებითი ბაჟის გადახდას.

საპატენტო ფორმულის შედგენა მოითხოვს დიდ ოსტატობას, გამოგონების არსის მკაფიოდ გაგებას და ყველა ხერხის იურიდიული ტექნიკის წვრილმანების დაუფლებას. საპატენტო ფორმულის რედაქცია ისეთი უნდა იყოს, რომ მან მოიცვას გამოგონების ყველა განსახორციელებელი ვარიანტი და ნებისმიერი დავის წამოჭრის შემთხვევისათვის ზუსტად დაადგინოს მონობოლიის საზღვრები.

აფრიკა-მალაგასის კავშირის ქვეყნებში აღწერილობა მთავრდება არა გამოგონების ფორმულით, არამედ ე. წ. საპატენტო რეზიუმეთი, რომელიც აღწერილობაში მოცემული მასალების საფუძველზე დასკვნის სახით შედგენილი, გამოგონების არსის მოკლედ გადმოცემას წარმოადგენს და მას დამოუკიდებელი უფლებრივი მნიშვნელობა არა აქვს.

სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო უწყება ერთნაირ მოთხოვნებს არ უყენებს საპატენტო ფორმულის ფორმასა და შინაარსს. არსებობს საპატენტო ფორმულის გადმოცემის შემდეგი ძირითადი სისტემები: გერმანული, რომელიც მიღებულია გერმანული საპატენტო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში; ამერიკული, რომელიც მიღებულია კანადაში და ლათინურ ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში; ინგლისური, რომელიც მოქმედებს ინგლისური საპატენტო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში. ცალკეულ ქვეყნებში დასაშვებია ნებისმიერი სისტემით გადმოცემული საპატენტო ფორმულის საპატენტო განაცხად-

ში ჩართვა და შეტანა, კერძოდ, ასეთი წესი მოქმედებს ბელგიაში, ესპანეთში, იტალიაში, კანადაში, პორტუგალიაში და სხვა.

გერმანულ საპატენტო ფორმულას უწოდებენ ლოგიკურს, რამდენადაც იგი ფორმალური ლოგიკის კანონების მიხედვით არის აგებული და არსებითად საგამომგონებლო იდეის გვარეობითი და სახეობრივი განსხვავებებით განსაზღვრას წარმოადგენს. გვარეობით ცნებას გამოხატავს გამოგონების დასახელება, რომლითაც იწყება საპატენტო ფორმულა; იგი ზუსტად უნდა ემთხვეოდეს პატენტის გაცემაზე განაცხადში და საპატენტო აღწერილობაში მითითებულ დასახელებას. შემდეგ საჭიროა ჩამოითვალოს როგორც ცნობილი, ისე ახალი სახეობრივი განსხვავებები, რომლებსაც გამოგონების ნიშნებს უწოდებენ.

გერმანული საპატენტო ფორმულის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ გამოგონების ცნობილი უახლოესი პროტოტიპის აღმწერი ნიშან-თვისებები თავსდება ფორმულის ტექსტის პირველ ნაწილში, რომელსაც შემომსაზღვრელს (შეზღუდვითს) უწოდებენ, ხოლო ავტორის მიერ შექმნილი სიახლე ერთიანდება სხვაში, ე. წ. განმასხვავებელ ნიშნებში. შეზღუდვითი და განმასხვავებელი ნაწილი ერთიმეორისაგან გამოყოფილია სიტყვებით „განსხვავებულია“, ან კიდევ „ხასიათდება იმით, რომ“, მაგალითად, „ფოტოკამერა საკეტითა და ობიექტივით, განსხვავდება იმით, რომ ერთი ამ ელემენტთანგანი გასართით უერთდება კამერას და შეუძლია შეუერთდეს სხვა ელემენტებს“.

მრავალრგოლიანი ფორმულის შემთხვევაში გამოგონების ყველა აუცილებელი ნიშან-თვისება გადმოცემული უნდა იქნეს პირველ პუნქტში, რომელსაც მთავარს უწოდებენ და იგი შინაარსით ყველაზე ფართოს წარმოადგენს; შემდგომ პუნქტებში, რომლებსაც დამატებითებს, ანუ დამოკიდებულებას უწოდებენ, გადმოიცემა გამოგონების ვარიანტები და მოცემულია მათი ტექნიკური კონკრეტიზაცია. დამატებითი პუნქტი უნდა შეიცავდეს მთავარი პუნქტის ყველა ნიშან-თვისებას, ე. ი. მასში შეიძლება მითითებული იქნეს მხოლოდ ისეთი განსხვავებები, რომლებიც პირველ პუნქტში გადმოცემული ძირითადი განმასხვავებელი ნიშნების გარეშე ვერ განხორციელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში დამატებით პუნქტში გახსნილი იქნება სხვაგვარი გამოგონება, რომელიც პირველ პუნქტში განცხადებული გამოგონების ნიშან-თვისებითს ერთიანობას არ ფლობს. დამატებითი პუნქტის დამოკიდებულება მთავრისაგან, რედაქციული თვალსაზრისით,

გამოიხატება იმით, რომ ის შეიცავს მითითებას მთავარ პუნქტზე, მაგალითად, „2. მოწყობილობა 1-ლი პუნქტის მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ...“. დამატებითი პუნქტები შეიძლება შეიცავდეს მითითებას მთავარ და წინა დამატებითზეც, მაგალითად, „4. მოწყობილობა 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ...“.

დამოუკიდებელი უფლებრივი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ პირველ პუნქტს. მხოლოდ დამატებით პუნქტებში გახსნილი ნიშან-თვისებების გამოყენება არ არღვევს პატენტს, თუ არ შევეხებით მთავარ პუნქტში გადმოცემულ ნიშან-თვისებებს.

ერთმანეთთან ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული ორი გამოგონების დაპატენტების შემთხვევაში. (მაგალითად, ხერხი და მოწყობილობა, ნივთიერება და ხერხი და ა. შ.), ერთი აირჩევა მთავრის სახით და მოთავსდება პირველ პუნქტში, მეორე შეადგენს ე. წ. პარალელური პუნქტის საგანს, რომელიც, მართალია მთავარზე მითითებას („4. მოწყობილობა ხერხის განხორციელებისათვის 1—3 პუნქტების მიხედვით...“) შეიცავს, მაგრამ წარმოადგენს დამოუკიდებელს და დამოუკიდებელი უფლებრივი მნიშვნელობა აქვს. თითოეული პარალელური პუნქტი შეიძლება შეიცავდეს აუცილებელი ოდენობის დამატებით პუნქტებს, რომლებსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ.

გერმანული საპატენტო სამართლის სისტემის მქონე უმეტეს ქვეყნებში საპატენტო პრეტენზიების ტექნიკური აზრისა და გამოგონებაზე უფლებათა მოცულობის გარკვევისათვის შეიძლება გამოვიყენოთ საპატენტო აღწერილობა. თუმცა ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ აღწერილობაში გახსნილია გამოგონების ნიშნები, რომლებიც, მართალია, ფორმულაში განმტკიცებული არ არის, მაგრამ მათი არსებობა პირდაპირ იქიდან გამომდინარეობს.

ამერიკული საპატენტო ფორმულა გერმანულთან შედარებით, შეიცავს არსებით თავისებურებებს, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განიხილვრება იმით, -რომ აშშ-ში პატენტის მფლობელის მონოპოლიური უფლებების მოცულობა დგინდება გამოგონების ფორმულის მიხედვით. არც აღწერილობა და არც ნახაზები მხედველობაში არ მიიღება.

ამასთან დაკავშირებით აშშ-ის ადმინისტრაციულ და სასამართლო პრაქტიკაში გამომუშავებულია მკაცრი მოთხოვნები საპატენტო ფორ-

მულის შედგენისა და რედაქციის მიმართ და საპატენტო უწყება მოთხოვნს მათს მკაცრ დაცვას.

ამერიკული საპატენტო ფორმულის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ გამოგონების ყველა ნიშან-თვისება მასში ერთიმეორის მიყოლებითაა გადმოცემული, როგორც ეს მოსახერხებელია მისი გახსნისათვის, განსაკუთრებულ ნაწილში ახალი ნიშან-თვისებების გამოყოფის გარეშე. სიახლე განისაზღვრება მთლიანად, თითოეული პუნქტის ანალიზის გზით.

ამერიკული ფორმულის მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ თითოეული პუნქტი წარმოადგენს დამოუკიდებელ საპატენტო ფორმულას, რომელშიც გადმოცემულია გამოგონების ერთი ვარიანტთაგანი; ესაა თავისებური პატენტი პატენტში. ამერიკული საპატენტო ფორმულის ნებისმიერ პუნქტში გადმოცემული ნიშნების შესაძენ პირთა მიერ გამოყენება წარმოადგენს პატენტის მფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევას. მეორე მხრივ, რომელიმე პუნქტის ძალადაკარგულად მიიჩნევა, მათ შორის პირველისაც, სხვა პუნქტების გაუქმებას არ იწვევს. გამოგონების თითოეული ვარიანტი ცალკე პუნქტში ამომწურავად უნდა გადმოიციეს. იმისათვის, რომ ამერიკულ ფორმულაში ავტორისათვის ყველა ცნობილი ვარიანტი გადმოიციეს, გაცილებით მეტი პუნქტებია საჭირო, ვიდრე გერმანული სისტემის მიხედვით. ამერიკული ფორმულა უფრო დაწვრილებითი და გაშლილია, თითოეული პუნქტი იწყება იმ ნიშან-თვისებების გამოვლინებით, რომლებიც წინა პუნქტში უკვე იყო გადმოცემული და მას ერთი ან რამდენიმე უკვე მითითებული ახალი ელემენტი ან კომბინაცია ემატება. გამოგონება რომ უფრო სრულად იქნეს დაცული; აუცილებელია ფორმულაში ჩამოითვალოს მისი ყველა არსებითი ვარიანტი. ამიტომ ამერიკული საპატენტო ფორმულა მოცულობის მიხედვით რამდენიმეჯერ აღარბებს გერმანულს. არის მაგალითები, როცა აშშ-ში გაცემულ პატენტების საპატენტო ფორმულები ათეულ და ასეულ პუნქტებს შეიცავს.

მრავალრგოლიანი ფორმულის პირველი პუნქტი, ჩვეულებრივ, წარმოადგენს მთავარს, საერთოს, შინაარსით უფრო ფართოს, ვიდრე მომდევნო პუნქტები, რომლებსაც დამხმარე ან დამოკიდებული ეწოდება. დამხმარე პუნქტები შეიცავენ მითითებებს მთავარ ან ნებისმიერ წინა სხვა პუნქტზე. თუმცა თითოეულ ასეთ პუნქტს მასში გახსნილი გამოგონების მოდიფიკაციის დაცვისათვის სრულიად დამო-

უკიდებელი უფლებრივი მნიშვნელობა აქვს. ექსპერტიზის მიერ მთავარი პუნქტის ფართოდ ფორმულირების უარყოფას, დამოკიდებული პუნქტის უარყოფა მოსდრეს. ამისათვის მთავარი ფუნქციისაგან მხოლოდ მითითების მოცილებაა საჭირო.

დასაშვებია ერთ საპატენტო ფორმულაში ფუნქციურად ერთი-ერთდაკავშირებული რამდენიმე სხვადასხვა გამოგონების გახსნა. ესენია: ხერხი და მოწყობილობა მისი განხორციელებისათვის; ან კიდევ ხერხი და ნავეთობა და ა. შ. ამ შემთხვევაში მთავარი პუნქტების ოდენობა უნდა შეესატყვისებოდეს გამოგონებათა რიცხვს. თითოეულ მთავარს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე დამოკიდებული პუნქტი. ასეთმა ფორმულამ მიიღო „ჰიბრიდულის“ სახელწოდება და საკმაოდ არაა გავრცელებული აშშ-ის საპატენტო პრაქტიკაში, თუმცა საპატენტო უწყების ექსპერტები მას უხალისოდ იღებენ. ჩვეულებრივ, ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მასში ჩართულ გამოგონებებს არა აქვთ აუცილებელი ურთიერთკავშირი, ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნენ ერთმეორისაგან დამოუკიდებლად და, მაშასადამე, მათზე შეტანილი უნდა იყოს დამოუკიდებელი განაცხადები.

ამერიკის საპატენტო უწყება საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს უყენებს გამოგონების ფორმულის პუნქტების გადმოცემის ხასიათს. გამოგონების ელემენტები უნდა გადმოიცეს პირდაპირი ჩამოთვლით, უნდა ჩანდეს მათი ურთიერთკავშირი. გამოგონების ყველა ნიშანთვისება ისაზღვრება მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად. არ დაიშვება ალტერნატიული გამოთქმები, კერძოდ: „ერთი ან მეტი მკავა ან მათი მარილი“, „რკინა ან ფოლადი“ და ა. შ. ამავე დროს საპატენტო კანონი უფლებას იძლევა გადმოიცეს კომბინაციური სახის გამოგონება. თუმცა ეს წესი არ შეიძლება გავიგოთ, როგორც, საერთოდ, ფუნქციური ნიშან-თვისებისაგან შედგენილი, გამოგონების საგნის დაპატენტების დაშვებად აშშ-ში. პირიქით, დეტალის, კვანძის, ნივთიერების და ა. შ. ფუნქციის მითითება ამერიკულ საპატენტო ფორმულაში ნებადართული არაა. აღნიშნული გამოჩაყლისი ეხება მხოლოდ კომბინაციურ გამოგონებებს და განისაზღვრება მათი სპეციფიკით: კომბინაციების ციხსლე წარმოადგენს ცნობილი ელემენტების ახალ ფუნქციას, მათს ახალ შეხამებას.

ლიტერატურაში ამერიკულმა საპატენტო ფორმულამ რამდენიმე სხვადასხვა დასახელება მიიღო, რომლებიც ასე თუ ისე ასახავენ მის სპეციფიკას. კომბინაციურს უწოდებენ მას იმიტომ, რომ მთავარი

პუნქტის მომდევნო პუნქტები გამოხატავენ იმავე ელემენტების სხვადასხვა ვარიანტს, რომელთაგან შედგება მთავარი პუნქტიც, მაგრამ ერთ ან რამდენიმე დამატებით ელემენტთან კომბინაციაში. მას უწოდებენ „ფუნქციურს“, რადგან თითოეული პუნქტი მთავარ პუნქტში გახსნილ მოქმედ, გამოგონების მაფუნქციონირებელ ვარიაციას გადმოსცემს. ე. წ. „განლაგებითი“ დასახელება ნიშნავს, რომ განმცხადებელი „განლაგებს“, ანაწილებს გამოგონების ყველა ნიშან-თვისებას სხვადასხვა პუნქტის მიხედვით, რომელთა ოდენობა დამოკიდებულია დასაბატენტებელი გამოგონების სირთულეზე და მნიშვნელოვანწილად ფორმულის სწორად შედგენის ცოდნაზე. გამოგონების ფორმულის შედგენის ამერიკულ სისტემას გერმანულსაგან — ცენტრალურისაგან განსხვავებით პერიფერიულსაც უწოდებენ. მასში ყველა პუნქტს აქვს დამოუკიდებელი უფლებრივი მნიშვნელობა, ე. ი. უფლებრივ დატვირთვას ასრულებს არა მარტო პირველი პუნქტი, როგორც ეს გერმანულ ფორმულაშია, არამედ იგი ყველა პუნქტზე ნაწილდება.

საპატენტო ფორმულა ახალ ნივთიერებაზე, აგრეთვე ფორმულა ნივთიერების მიღების ხერხზე შეიძლება გადმოიცეს ე. წ. მარკუშის სისტემის მიხედვით. ასეთი ფორმულის თავისებურება ისაა, რომ კონკრეტული ნივთიერებების ჩამოთვლის ან ერთი რომელიმე კონკრეტული ნივთიერების მითითების მაგივრად უნდა დასახელდეს გარკვეული თვისების მქონე ნივთიერებათა მთელი ჯგუფი, რომლის გამოყენებაზეც იგება მოცემული გამოგონება. ეს ჯგუფი ხშირად საერთოდ აღიარებულს არ წარმოადგენს და მას ცნობილი დასახელება არა აქვს, მაგრამ მისი წევრები მოცემულ პირობებში ეკვივალენტებს წარმოადგენენ.

მარკუშის სისტემით ხერხზე ფორმულის გადმოცემის შემთხვევაში ნებადართულია, რომ არ დაზუსტდეს დასაბატენტებელ ხერხში შემავალი კონკრეტული რეჟიმები და ოპერაციები.

ამრიგად, მარკუშის სისტემით შედგენილი გამოგონების ფორმულა, მიეკუთვნება არა კონკრეტულ პროდუქტს, არამედ იგი მონობოლიურ უფლებას ანიჭებს პროდუქტების მთელ სერიას, ნივთიერებებს, რომლებიც ერთი და იმავე ქიმიური ფორმულით, ერთი და იმავე ძირითადი თვისებებით ხასიათდებიან, ე. ი. შეიძლება ერთი პატენტით დავიცვათ ნივთიერებებსა და ხერხების მთელი ჯგუფი. მაგალითად, ფორმულაში იმის მითითება, რომ მოცემულ გამოგონებაში გამოიყენება „გაუწყლოებული კომპონენტები“ ან „აბსორბციის

რეაგენტები“ ნებისმიერი კომპონენტის, რომელსაც მათთან სტრუქტურული ან ფუნქციური მსგავსება აქვს პატენტის მოქმედების ქვეშ მოქცევას ნიშნავს.

ფორმულა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარკუშის სისტემით მოწყობილობის დახასიათებისათვის.

ამერიკული საპატენტო პრაქტიკით განსაზღვრულ შემთხვევებში დაშვებულია ფორმულის პუნქტების გადმოცემა გამოგონების სიახლის გამოყოფით, ე. წ. ჯეპსონის ფორმულის მიხედვით. ამ ფორმულაში გამოყენება ნებადართულია, თუ, ჯერ ერთი, პატენტდება გამოგონება-მოწყობილობა (მანქანა, აპარატი და ა. შ.) და მეორე, თუ განცხადებული ობიექტის სიახლე გულისხმობს არა ახალი კვანძების, დეტალებისა და სხვა კონსტრუქციული ელემენტების არსებობას, არამედ განსაკუთრებულ, ფუნქციური მნიშვნელობის მქონე მათს განლაგებას. ჯეპსონის ფორმულის მიხედვით გამოგონების ცნობილი ნიშან-თვისებები მიეთითება ტრადიციული ამერიკული რედაქციის პუნქტის პირველ ნაწილში. სავარაუდო გამოგონების სიახლის შემცველი პუნქტის მეორე ნაწილი იწყება სიტყვებით „კომბინაციაში...-თან“, „ხასიათდება იმით, რომ...“.

თავისი სტრუქტურით „ჯეპსონის ფორმულა“ ძალიან ახლოს არის ბევრ ევროპის სახელმწიფოში მიღებულ საპატენტო ფორმულებთან, რომლებიც შეზღუდული და განმასხვავებელი ნაწილების არსებობით ხასიათდება.

ინგლისურ საპატენტო ფორმულას მსგავსება აქვს, როგორც გერმანულთან, ისე ამერიკულთან. როგორც გერმანულ საპატენტო ფორმულაში, აქაც პირველი პუნქტი წარმოადგენს მთავარს, შინაარსით უფრო ფართოს და ადგენს საპატენტო დაცვის მოცულობას. დანარჩენი პუნქტები ექვემდებარება და დამოკიდებულია მასზე. ეს დამოკიდებულება რედაქციულად გამოიხატება მითითებით პირველ ან წინა ნებისმიერ პუნქტზე. ისევე როგორც ამერიკულ ფორმულაში; აქაც, გამოგონების ახალი ნიშან-თვისებები განმასხვავებელ ნაწილში კი არ გამოიყოფა, არამედ ცნობილებთან ერთად უფრო მოსახერხებელი მიმდევრობით ჩამოითვლება. საპატენტო ფორმულა მთავრდება პუნქტით, რომელიც განმარტავს დახასიათებულ ხასიათს ატარებს და არავითარ ახალ ნიშან-თვისებას არ შეიცავს. მაგალითად, „ნ. კალციუმის სულფატის მიღება 1—5 პუნქტებში აღწერილი ნებისმიერ ბერხით“. ეს პუნქტი იმისათვის არის შემოღებული, რომ გამოგონების მთლიანი

ფორმულა პატენტუნარიანობისა და დაცვის მოცულობის განსაზღვრისას აღქმული იქნეს, როგორც ერთიანი.

დიდი ბრიტანეთის საპატენტო უწყება მკაცრ მოთხოვნებს არ უყენებს გამოგონების ფორმულის გადმოცემის ხერხს. აღწერილი ხერხი წარმოადგენს უფრო გავრცელებულსა და უკეთესს. თუმცა დაშვებულია გერმანული სისტემით შედგენილი ფორმულაც, ოღონდ დაკონკრეტებული - სახით. ნებადართულია ფორმულაში ჩაირთოს რამდენიმე დამოკიდებული პუნქტი. ისე როგორც ეს მიღებულია ამერიკულში, თუ ისინი ერთ საერთო ახალ ნიშან-თვისებას შეიცავენ. მაგრამ ნებისმიერი სისტემის შემთხვევაში უკანასკნელი პუნქტი განმაზოგადებელი უნდა იყოს — ეს არის ინგლისური ფორმულის თავისებურება.

საპატენტო აღწერილობის ყველა ნაწილი (დასახელება, საკუთრივ აღწერილობა, ნახაზები, საპატენტო ფორმულა) მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს ერთიმეორეს.

ყველა ქვეყნის საპატენტო უწყება საპატენტო აღწერილობის შინაარსის მიმართ მოთხოვნებთან ერთად აღგენს ისეთ მოთხოვნებსაც რომლებიც ეხება განაცხადის გაფორმებას, კერძოდ, ესენია: აღწერილობის, ნახაზების, ფორმატების, ეგზემპლარების ოდენობა, ქალაქის ხარისხი, მინდვრის ზომა, გვერდზე სტროფების ოდენობა და ა. შ. ყველა ამ ფორმალური მოთხოვნის შესრულება წარმოადგენს პატენტის მიღებისათვის აუცილებელ პირობას. ევროპის კონვენციაში მონაწილე ქვეყნებში საპატენტო განაცხადების შეტანისას მისი წევრი ქვეყნებისათვის, ზემოთ აღნიშნული ფორმალური მოთხოვნების პირობები განაცხადის გაფორმების მიმართ თითქმის ერთნაირია.

გამოგონების ანოტაციაში მოცემული უნდა იყოს მისი მოკლე დახასიათება, გამოყენების სფერო, ტექნიკური ეფექტი. იგი ცალკე ფურცელზე იბეჭდება, რამდენიმე წინადადებიანია (50-დან 250 სიტყვამდე) და ერთი აბზაცისაგან უნდა შედგებოდეს. გამოგონების ანოტაციის სავალდებულო წარდგენის მოთხოვნა დაწესებულია განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, იაპონია, იტალია, კანადა, საფრანგეთი და სხვა). იგი განკუთვნილია საპატენტო ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებისათვის, დაინტერესებულ პირთა იმფორმირებისათვის, იმასთან დაკავშირებით, თუ დაახლოებით როგორია გაცემული პატენტების შინაარსი.

კონვენციური პრიორიტეტის დამადასტურებელ დოკუმენტებში

იგულისხმება ქვეყნის საპატენტო უწყების ცნობა იმის შესახებ, თუ სად იყო შეტანილი პირველი განაცხადი და პირველი განაცხადის გამოგონების აღწერილობის ასლი. ეს მასალები შეიძლება წარდგენილ იქნეს განაცხადის შეტანასთან ერთად და მის შემდეგაც დადგენილი ვადით; მაგალითად, ეს ვადა ავსტრიასა და ისრაელში შეადგენს 2 წელს, ესპანეთში იაპონიაში, ინგლისში და შვეიცარიაში — 3 წელს, საფრანგეთში — 4-ს, აშშ-სა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში — 6 თვეს, საქართველოში — 3 თვეს.

საგამოფენო პრიორიტეტის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოდგენს ოფიციალური ან ოფიციალურად მიჩნეული საერთაშორისო გამოფენა, სადაც ექსპონირებული იყო გამოგონების საგანი, ადმინისტრაციის ცნობა, რომელიც შეიძლება წარდგენილ იქნეს ან განაცხადის შეტანასთან ერთდროულად, ან კიდევ განაცხადის შეტანის შემდეგ დადგენილ ვადაში.

გადაცემის აქტი წარდგენა საჭიროა განაცხადის შეტანის საგამომგონებლო სისტემის მქონე ქვეყნებში იმ შემთხვევაში, როცა განაცხადი იმ პირს შეაქვს, რომელიც საგამომგონებელი არაა. გადაცემის აქტი ფორმდება იმ ქვეყნის მომქმედი წესების შესაბამისად, სადაც განხორციელებული იყო უფლებათა გადაცემა, და შეიძლება შეტანილ იქნეს საპატენტო უწყებაში, როგორც განაცხადთან ერთად, ისე შეტანის შემდეგ დადგენილი ვადის განმავლობაში.

მინდობილობა საპატენტო რწმუნებულისათვის საქმის წარმოებაზე, როგორც წესი, წარედგინება საპატენტო განაცხადის შეტანასთან ერთად, ზოგიერთ ქვეყანაში დაიშვება ერთი მინდობილობის წარდგენა, ერთი და იმავე განმცხადებლის რამდენიმე განაცხადის მიხედვით საქმის წარმოებაზე

არსებული წესის თანახმად, საპატენტო უწყებაში გამოგონებაზე შეტანილი განაცხადი რეგისტრირდება, იგი იღებს რიგით ნომერს, შემდეგ ფიქსირდება განაცხადის პრიორიტეტი და მას ენიჭება ქვეყანაში მრეხებული საპატენტო კლასიფიკაციის ინდექსი. ამის შემდეგ იგი გადაეცემა ექსპერტიზაზე, გამოგონების განმცხადებელს ეგზავნება პრიორიტეტის ცნობა — საბუთი, რომელშიც მითითებულია გამოგონებაზე განაცხადის რიგითი ნომერი და პრიორიტეტის თარიღი.

მსოფლიოს ქვეყნების ყველა საპატენტო უწყება ამოწმებს გამოგონებაზე შეტანილი განაცხადისათვის წაყენებულ ფორმალურ მოთხოვნებს — არის თუ არა თავმოყრილი საჭირო საბუთები და სწო-

რად არის თუ არა დაცული მათი შედგენის წესი. თუ ამ მიმართებით რაიმე შეცდომა იქნა დაშვებული, გამოგონების განმცხადებელს ეძლევა ვადა, რომლის განმავლობაშიც მას შეუძლია ეს შეცდომა გამოასწოროს. თუ გამოგონების განმცხადებელი ამას არ გააკეთებს, განაცხადი გამოგონებაზე უარყოფილი იქნება.

საპატენტო უწყების მიერ ჩატარებული გამოგონების ექსპერტიზის მოცულობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ქვეყნების ერთ ნაწილში გამოგონებაზე განაცხადში გადმოცემული მასალა არსებითად არ მოწმდება — ამას პატენტების გაცემის განცხადების, ანუ სარეგისტრაციო სისტემას უწოდებენ. ქვეყნების მეორე ნაწილში გამოგონებაზე განაცხადის შინაარსი საგულდაგულოდ მოწმდება. გამოიკვლევა გამოგონების პატენტუნარიანობა აღწერილობაში მისი გახსნის სისრულის თვალსაზრისით. ამ სისტემამ შემოწმებითის, ანუ კვლევითის სახელწოდება მიიღო.

გამოგონებათა დაპატენტების განცხადებითი სისტემა მოქმედებს აზიისა და აფრიკის უმეტეს ქვეყნებში, ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანასა და ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში, კერძოდ, ესპანეთში, იტალიაში, ლუქსემბურგში, საბერძნეთში, შვეიცარიაში. ყველა მითითებულ ქვეყანაში ხდება იმის შემოწმება: 1. შეესაბამება თუ არა გამოგონებაზე განაცხადი მის წინაშე წაყენებულ ფორმალურ მოთხოვნებს; 2. ხომ არ მიეკუთვნება განცხადებული ობიექტი საპატენტო სამართლის მოქმედების სფეროდან ამოღებულთა რიცხვს; 3. დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნები გამოგონების ერთიანობის შესახებ.

ცალკეულ ქვეყნებში, ძირითადად განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში, გამოგონებაზე განაცხადების ექსპერტიზა რამდენადმე ფართოდ ტარდება. მაგალითად, იტალიაში საპატენტო უწყება ამოწმებს, შეესატყვისება თუ არა გამოგონება სამრეწველო გამოყენებადობის მოთხოვნებს, სრულად არის თუ არა გამოგონების არსი გახსნილი გამოგონების აღწერილობაში, არსებობს თუ არა იდენტურობა განცხადებული გამოგონების სახელწოდებასა და შინაარსს შორის. შვეიცარიაში გამოგონებაზე ყველა განაცხადის მიმართ მოწმდება სამრეწველო გამოყენებადობის მოთხოვნათა შესრულება. მართალია, გამოგონების სიახლე სპეციალურად არ მოწმდება, მაგრამ თუ ექსპერტმა გამოავლინა, რომ განცხადებული გამოგონება სიახლე არ არის, იგი ამის შესახებ ატყობინებს განმცხადებელს, რომელსაც უფ-

ლება ეძლევა განცხადებული გამოგონების არსი შეცვალოს, გამოითხოვოს განაცხადი ან მიიღოს პატენტრ. საპატენტო უწყებას არ შეუძლია უარყოს განაცხადი სიახლის არარსებობის მოტივით. შვეიცარიაში, გამოგონებები, რომლებიც აქ განვითარებული წარმოების ისეთ დარგებს მიეკუთვნება, როგორცაა საათების წარმოება და საფეიქრო მრეწველობა, პატენტუნარიანობის დადგენაზე სრულ ექსპერტიზას გაივლიან, ე. ი. უფრო მეტად განვითარებულ დარგში შექმნილი სიახლე სრულ ექსპერტიზას ექვემდებარება.

გამოგონებათა განაცხადების შემოწმების განცხადებითი სისტემა ხასიათდება იმით, რომ პატენტუნარიანობის მთავარი კრიტერიუმი — სიახლე და საგამომგონებლო მოქმედების დონე, საპატენტო უწყების მიერ პატენტის გაცემამდე წინასწარ არ გამოიკვლევა. არ მოწმდება აგრეთვე აღწერილობის შედგენის სისწორე და განაცხადის მასალებში გამოგონების გახსნის სისრულე. განცხადებული წარმოდგენილი გადაწყვეტის შეუსაბამობა ამ კრიტერიუმებისადმი ან შეცდომები აღწერილობაში არ შეიძლება საფუძველი იყოს, საპატენტო უწყების მიერ გამოგონებაზე განაცხადის უარყოფისა და პატენტის გაცემაზე უარის თქმისათვის.

ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო სამართალი თავისებური განსაკუთრებულობით გამოირჩევა. მაგალითად, ბელგიის 1984 წლის საპატენტო კანონით არსებითად შეიცვალა მოთხოვნა გამოგონების სიახლისადმი. თუ ადრე ბელგიაში გაითვალისწინებოდა შედარებით მსოფლიო სიახლე, ახლა, საპატენტო კანონით შემოღებულია აბსოლუტური მსოფლიო სიახლის მოთხოვნა: „გამოგონება ითვლება ახლად, თუ იგი არ მიეკუთვნება ტექნიკის დონეს“. თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნულმა კანონმა დაადგინა განაცხადის დოკუმენტების ფორმალური შემოწმება და არ შემოიღო განაცხადის საგნის შემოწმება პატენტუნარიანობაზე. „პატენტი გაცივმა გამოგონების აღწერილობის სიზუსტის და მნიშვნელობის გარანტიის გარეშე, მისი მქონებლის პასუხისმგებლობით“. ანალოგიურ დებულებებს შეიცავს გამოგონებათა განაცხადების შემოწმების განცხადებითი სისტემის უმეტესი ქვეყნების საპატენტო კანონები. გამოგონების პატენტუნარიანობის სრული შემოწმება სასამართლოს პრაქტიკის კომპეტენციას შეადგენს და ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა პატენტის ნამდვილობა დავას იწვევს.

მაშასადამე, პატენტების გაცემის განცხადებითი სისტემის ქვეყ-

ნებში პატენტი შეიძლება გაიცეს სწორად გაფორმებული გამოგონების ყველა განაცხადზე. ასეთი პატენტების მნიშვნელობა თეორიულად დიდი არ არის. ისინი შეიძლება სასამართლო წესით სადავო გახადოს ნებისმიერმა პირმა. აღსანიშნავია, რომ უმეტესი გამოგონებები პატენტდება რამდენიმე ქვეყანაში. ე. წ. განვითარებად ქვეყნებში განაცხადების უმეტესობა მოდის სხვა ქვეყნების განმცხადებლებზე, რომლებსაც როგორც წესი, გამოგონებაზე განაცხადები შეაქვთ ჯერ თავის ქვეყანაში, ხოლო შემდეგ სხვაგან, იყენებენ რა კონვენციური პრიორიტეტის უფლებას. ამრიგად, განცხადებითი სისტემის მქონე ქვეყნებში ბევრი დაპატენტებული გამოგონება ერთდროულად დაცულია იმ ქვეყნებშიც, სადაც პატენტების გაცემას წინ უძღვის განცხადებული გამოგონების სრული შემოწმება პატენტუნარიანობაზე, მეორე მხრივ, ქვეყნების ბევრი ფირმა დაინტერესებულია მიიღოს „მყარი“ პატენტები, ამიტომ, როგორც წესი, ისინი თავიანთ საპატენტო ქვეგანყოფილებებში, დამოუკიდებლად ახორციელებენ გამოგონებათა შემოწმებას. უფრო პატარა ფირმები და ინდივიდუალური ავტორები სარგებლობენ კერძო ფირმების, აგრეთვე ჰააგის საერთაშორისო საპატენტო ინსტიტუტის მომსახურებით.

ამრიგად, პატენტების გაცემის განცხადებითი სისტემის მქონე ქვეყნებშიც გამოგონებათა პატენტების უმეტესობა გაიცემა ისეთ ტექნიკურ სიახლეებზე, რომელთა პატენტუნარიანობა უკვე შემოწმებულია. საპატენტო უწყებაში გამოგონებათა განაცხადების სრული შემოწმების უქონლობა განმცხადებელს ავალდებულებს დამოუკიდებლად მოახდინოს ამის ორგანიზება. ამასთან ერთად გამოგონების განმცხადებელი იძულებულია გულდასმით მოამზადოს და გადმოსცეს გამოგონების აღწერილობა, რადგან მასში დაშვებული ნებისმიერი შეცდომა შეიძლება პატენტის ძალადაკარგულად მიჩნევის მიზეზი გახდეს, ხოლო პატენტის გაცემის შემდეგ გამოგონებათა განცხადებითი სისტემის მქონე ქვეყნებში შესწორებათა შეტანა, როგორც წესი, არ დაიშვება. ისიც ფაქტია, რომ გამოგონებათა განაცხადების შემოწმების განცხადებითი სისტემის ქვეყნებში პატენტების გარკვეული ნაწილი არაპატენტუნარიან გამოგონებებზე გაიცემა და მეწარმეები ხშირად შეგნებულად იღებენ ასეთ პატენტებს იმისათვის, რომ კონკურენტი დააფრთხონ ან ხელი შეუშალონ მრეწველობის განვითარებას იმ ქვეყანაში, სადაც პატენტდება გამოგონება.

განცხადებითი სისტემის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში ცეცხობის

არაბთა რესპუბლიკა, ტუნისი, ურუგვაი) გამოგონების განაცხადის მასალები ქვეყნდება წინასწარ, პატენტის გაცემამდე, ამით დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ გარკვეული ვადის განმავლობაში (ჩვეულებრივ 2—3 თვე) წარმოადგინონ თავიანთი აზრი პატენტის გაცემის წინააღმდეგ. საპატენტო უწყებაში შესულ საწინააღმდეგო აზრს — შესაგებელს (პროტესტს) იხილავს კომპეტენტური ორგანო (ტუნისში — სასამართლო, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში — სპეციალური კომიტეტი, ურუგვაიში — მრეწველობისა და შრომის სამინისტრო), რომელსაც გამოაქვს დასკვნა. ამ დასკვნის საფუძველზე საპატენტო უწყება იღებს გადაწყვეტილებას გასცეს პატენტი ან უარყოს განაცხადი.

შემოწმების შეზღუდვის შედეგია ის, რომ პატენტი გაცემა განაცხადის შეტანიდან 1—12 თვის განმავლობაში. ზოგიერთ ქვეყანაში, ძირითადად ფრანგული საპატენტო სისტემის მქონე ქვეყნებში (აფრიკა-მალაგასის კავშირის ქვეყნები, მაროკო, საბერძნეთი, სირია) დაიშვება პატენტის გაცემის გადავადება 1 წლით.

გამოგონებათა დაპატენტების შემოწმებითი სისტემა მოქმედებს ძირითადად განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში და ბევრ განვითარებად ქვეყანაში. საპატენტო უწყებაში შესული განაცხადის გამოკვლევის მიზანია დადგინდეს: 1. შესატყვისობა ფორმალურ მოთხოვნებთან; 2. გამოგონების პატენტუნარიანობა; 3. აღწერილობაში გამოგონების არსის გახსნის სისრულე და სისწორე. საპატენტო უწყების მიერ ჩატარებული ექსპერტიზის ძირითადი დანიშნულებაა განსაზღვროს არის თუ არა განცხადებული გადაწყვეტა პატენტუნარიანი და შესაბამისად მისცეს მას გამოგონების სახით კვალიფიკაცია. პატენტი გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადებული გამოგონება აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ისეთ ორენოვან ქვეყანაში, როგორც არის შვეიცარია, წარმოდგენილია განაცხადების შემოწმების ზემოთ აღნიშნული ორივე სახე. შესამოწმებელი სისტემა, როგორც უკვე ითქვა გამოიყენება იმ გამოგონებების მიმართ, რომლებიც შექმნილია ორ ისეთ დარგში, როგორცაა საფეიქრო და საათების მრეწველობა; ყველა სხვა შემთხვევაში ტარდება მხოლოდ ე. წ. ფორმალური ექსპერტიზა. თუმცა უკანასკნელ წლებში ამ ქვეყანაში ტენ-

დენციაა ამ ე. წ. დაპატენტების შემოწმებითი სისტემის გავრცელებისა მრეწველობის სხვა დარგებზედაც.

მაგვისი წესი მოქმედებს საქართველოშიც, სადაც საპატენტო სამსახური სრულ ექსპერტიზას ატარებს მევენახეობა-მეღვინეობასთან, მეჩაიეობასთან, მეციტრუსეობასა და მეხილეობასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიურ და ტექნიკურ საშუალებებზე. აგრეთვე მანგანუმის მოპოვებისა და გადამუშავების ტექნოლოგიებზე და ტექნიკურ საშუალებებზე.

მთელი რიგი ქვეყნები, განსაკუთრებით ტექნოლოგიური თვალსაზრისით უფრო განვითარებულნი, რომლებიც გამოგონებათა შესამოწმებელ სისტემას იყენებენ, საპატენტო განაცხადისაგან მოითხოვენ უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ გამოგონების სიახლის დადგენა, რომელიც სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, — ცნობილი ტექნიკური დონის წარმატებით დადგენის ერთ-ერთი ვარიანტაგანია.

აშშ-ში ამ „წარმატებით ვარიანტში“ იჯულისხმება გამოგონების საგნის არასიაშქარავე, გერმანიაში — საგამომგონებლო შემოქმედების დონე (Erfindungshöhe). ამასთან გერმანიაში იმასაც მოითხოვენ, რომ გამოგონება წარმოადგენდეს პროგრესს ტექნიკაში. ე. ი. ფლობდეს „ტექნიკური პროგრესულობის“ (technischer Fortschritt) ნიშან-თვისებას.

სიახლეს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ. ქვეყნების ერთი ჯგუფი მოითხოვს აბსოლუტურ, ანუ მსოფლიო სიახლეს (ბელგია, ნიდერლანდი, რუსეთი, საფრანგეთი), მეორე ჯგუფი — შედარებით სიახლეს, ე. ი. გამოგონების სიახლეს, რომელიც შეზღუდულია იმ ქვეყნის ფარგლებით, რომელშიც გამოგონებაზე პატენტს მოითხოვენ. ქვეყნების ამ უკანასკნელ ჯგუფში გარკვეული მიზნით, განსხვავდება ინფორმაციის წყაროების სიახეები, რომლებიც გამოგონების სიახლეს (პირადი ცოდნა, ბეჭდური პუბლიკაცია, ღია გამოყენება და ა. შ.) აბათილებენ.

ზოგიერთ ქვეყანაში საპატენტო განაცხადის გამოკვლევის სხვადასხვა სტადიაზე გამოგონებათა სიახლის უკიდურესად სხვადასხვაგვარი კრიტერიუმი გამოიყენება. მაგალითად, გერმანიის საპატენტო უწყებაში სიახლეზე ექსპერტიზის ჩატარება შემოიფარგლება ბეჭდური პუბლიკაციებით, რომლებიც ყველა ქვეყანაში განაცხადის შეტანამდე უკანასკნელი 100 წლის მანძილზე იქნა გამოვლენილი. თუმცა, ნიუხედავად ამისა, როცა გამოგონების განმცხადებელსა და საპატენტ-

ტო უწყებას ან მესამე პირს შორის, სადავო საკითხები-წამოიჭრება, ზემოთ აღნიშნული ხელოვნური შეზღუდვები არ გამოიყენება. ცნობილია, რომ ედისონის ერთ-ერთი პატენტი გერმანიაში გაუქმებულად მიიჩნის, რადგანაც „რალაცა მსგავსი გამოიყენებოდა ეგვიპტეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2 000 წლის წინათ“.

საპატენტო განაცხადების ექსპერტიზის პროცედურა შეიძლება ორ სტადიად ან ორ ფაზად გავეყოთ:

1) გამოგონებასთან დაკავშირებული ტექნიკის აღრინდელი დონის გამოკვლევა; 2) აღრინდელი ტექნიკის დონის დაპირისპირება განცხადებულ გამოგონებასთან, ადმინისტრაციული გზით გამოგონების პატენტუნარიანობის განსაზღვრის ჩათვლით. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ფუნქციები გაყოფილია და თითოეული მათგანი სრულდება თანაწილობით. მშრომელთა სხვადასხვა შტატით.

გამოგონებათა შესამოწმებელი სისტემის ძირითადი უპირატესობა შემდეგია: 1) იგი პატენტებს აძლევს განსაზღვრულობას მათი ნამდვილობისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით; რაც, თავის მხრივ, დადებით გავლენას ახდენს პატენტით დაცული გამოგონების განხორციელებისათვის კაპიტალის ინვესტირებაზე (კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებაზე); 2. იგი გონივრული არჩევანის გაკეთების საშუალებას იძლევა — გაგრძელდეს თუ არა გამოგონების საიდუმლოდ შენახვა, თუ მიღებულ უფლებათა სანაცვლოდ, საიდუმლო მთელი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს. ეს, თავის მხრივ, გამოგონების საპატენტო დაცვის მიზნით, იდეის წარსადგენად განხილვისათვის გარკვეულ სტიმულს წარმოადგენს.

ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ლათინური ამერიკის უმეტესმა ქვეყნებმა ამჟომინეს სარეგისტრაციო სისტემა, ხოლო ჩრდილოეთის ყველა ქვეყანამ — შესამოწმებელი სისტემა.

სარეგისტრაციო სისტემას დასაბამი მიეცა საფრანგეთის იურისპრუდენციაში, რომელიც ეფუძნებოდა იმას, რომ სამომავლოდ „ადმინისტრაციულობის ბოროტად გამოყენება“ არ მომხდარიყო. ამის გამო საფრანგეთში გამოგონების პატენტუნარიანობის განსაზღვრას ადმინისტრაციო-საპატენტო უწყება კი არ ახდენს, არამედ სასამართლო. მისი განსაზღვრა მაშინ ხდება, როცა პატენტის მფლობელი თავის საპატენტო უფლებათა დარღვევის გამო სარჩელს სასამართლოში წარმოადგენს.

საფრანგეთში სარეგისტრაციო სისტემა რევოლუციის დროიდან

არსებობდა, რომელიც 1973 წლის 1 ივლისიდან ძალაში შესული კანონით შეიცვალა. შესამოწმებელი სისტემის შემოღებით საფრანგეთი საერთო ბაზრის პარტნიორ ქვეყნებს გერმანიასა და ნიდერლანდს დაუახლოვდა.

თავის მხრივ, გერმანიამ და ნიდერლანდმა, იმისათვის, რომ რითიმე გამკლავებოდნენ დიდი ოდენობის განაცხადებს და ამასთან ერთად დაეჩქარებინათ ტექნიკური ინფორმაციის გავრცელება, შეცვალეს საპატენტო განაცხადების წარმოების პროცედურა და შემოიღეს გადაჯვადებული ექსპერტიზა, ამ ქვეყნებში უკვე აღარ ტარდება განმცხადებლას მიერ შეტანილი თითოეული საპატენტო განაცხადის ავტომატურა ექსპერტიზა. უფრო მეტიც, განაცხადის შინაარსის ექსპერტიზა გადაიდება იმ დრომდე, ვიდრე არ შემოვა განაცხადება მისი ჩატარების შესახებ. ასეთი განაცხადება შეიძლება შეიტანოს თვით გამოგონებელმა, მისმა უფლებამონაცვლემ ან ქვეყნის ნებისმიერმა მოქალაქემ.

გერმანიაში განაცხადება ძიებისა და ექსპერტიზის ჩატარების შესახებ შეიძლება შეტანილი იქნეს ერთდროულად. ამასთან ეს ხდება შესაბამისი საპატენტო ბაზის გადახდის შემდეგ. ნიდერლანდში განაცხადება ძიების ჩატარების შესახებ წინ უნდა უსწრებდეს საპატენტო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ განაცხადებას. თუ საპატენტო უწყებაში ექსპერტიზის ჩატარებაზე არავითარი განაცხადება არ შევიდა, მაშინ პუბლიკაცია ხდება ავტომატურად, 18 თვის მანძილზე თავდაპირველი საპატენტო განაცხადის შეტანის მომენტიდან. ასეთ შემთხვევაში ძალას კარგავს ის უფლებები, რომლებიც აქვს გამოგონების აღწერილობას. პუბლიკაციისა და პატენტის გაცემის თარიღს შორის პერიოდში დამრღვევს — განაცხადებული გამოგონების გამოყენებელს არ შეიძლება აეკრძალოს გამოყენება. იგი ვალდებულია ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ის ზარალი, ანაზღაუროს, რომელიც განმცხადებელს კომპენსაციის თანხის ოდენობით მიაყენა. იმასთან დაკავშირებით, რომ პუბლიკაცია, როგორც წესი, პატენტის გაცემამდე ხდება, განმცხადებელი, რომელიც განაცხადის ექსპერტიზის შესახებ საპატენტო უწყებას დროულად არ მიმართავს თხოვნით, უარის შემთხვევაში პატენტის გაცემაზე რისკს ეწევა და შეიძლება თავისი გამოგონების საიდუმლო დაკარგოს. ამრიგად, გერმანიასა და ნიდერლანდში ვინც ითხოვს პატენტს, იძულებულია მონაწილეობა მიიღოს

თავისებურ თამაშში, რომლის პირობები ისეთივეა, როგორც პატენტის გაცემის სარეგისტრაციო სისტემის მქონე ქვეყნებში.

ურიგო არ იქნება ამ შემთხვევაში მოვიხსენიოთ სარეგისტრაციო სისტემის გამოყენების ორი მნიშვნელოვანი შედეგი: 1) დასაპატენტებელი გამოგონების აღწერილობის აღრეული პუბლიკაცია და 2) საპატენტო უწყების მიერ გაცემული დაპატენტებული გამოგონების პატენტში მკაფიოდ გამოკვედილი საზღვრების უქონლობა. კერძოდ, ძიების ჩატარებისათვის გამოყოფილი არაა სპეციალური დრო და ცნობილი ტექნიკის დონის შეფასებისათვის სარეგისტრაციო სისტემის მქონე ქვეყნებში საპატენტო განაცხადები, როგორც წესი, განიხილება და ქვეყნდება 1 წლის მანძილზე განაცხადის შეტანის მომენტიდან.

როგორც აღინიშნა, გამოგონების არსის ასეთ ნაადრევ გახსნას შეიძლება ძალზე არაკეთილსასურველი შედეგები მოჰყვეს: იმ პირობისათვის, რომელსაც განაცხადი პატენტზე სარეგისტრაციო სისტემის მქონე ჯერ თავის, ხოლო შემდეგ პატენტების გაცემის შესამოწმებელი სისტემის მქონე ქვეყანაში შეაქვს; მაგალითად, როცა შესამოწმებელი სისტემის მქონე ქვეყანაში საპატენტო განაცხადის ექსპერტიზის დროს მიჩნეული იქნება, რომ, თანახმად მისი ეროვნული სისტემისა, გამოგონების შინაარსი, რომელიც ცნობილია პუბლიკაციის გამო, ზელს უშლის პატენტის გაცემას.

მსოფლოს ბევრ ქვეყანაში ცდილობენ ისეთი საპატენტო სისტემა შექმნან, რომლის ფარგლებშიც პატენტები ნათლად ასახევენ გამოგონებლის ნამდვილ წვლილს ტექნიკის განვითარებაში; მაგრამ ზოგჯერ ეს შეუძლებელია, ზოგჯერ კი არც იმის სურვილი აქვთ, რომ ჰყავდეთ სპეციალურად მომხმარებელი პერსონალი აუცილებელი შემოწმების ან საპატენტო განაცხადების ექსპერტიზის ჩატარებისათვის. ზოგიერთ ქვეყანაში კი იმასაც ცდილობენ, რომ შეზღუდონ არსებული ექსპერტების პერსონალის საქმიანობა. ამ მიზნით გამოიყენება ორი ხერხი, რომლებიც ცვლიან ან ავსებენ ოფიციალურ ექსპერტიზას. ეს ხერხებია: 1) განაცხადისადმი მოთხოვნის წყაყენება, რათა განაცხადთან ერთად წარმოდგენილ იქნეს დაწვრილებითი მონაცემები ცნობილი ტექნიკის დონის შესახებ, რომლებზეც ოფიციალურად მიუთითებენ სხვა ქვეყნების საპატენტო უწყების ექსპერტები, ამავე გამოგონების შესახებ პარალელური განაცხადების განხილვის დროს (ასეთი საშუალება გამოიყენება კანადაში, სკანდინავიის ოთხი-

ვე ქვეყანაში, ახალ ზელანდიაში, ნიდერლანდში, ირლანდიაში, ისრაელში, ჩეხეთსა და სლოვაკეთში); 2) პროცედურის გამოყენება შესაგებლების გამო, რომელიც ეხება პატენტების გაუქმებას ანდა გამოგონებათა ბათილად ცნობას.

რა თქმა უნდა, პირველი ხერხი მხოლოდ ცდაა იმისა, რომ ექსპერტიზის ტვირთი გადატანილ იქნეს იმ ქვეყნებზე, რომლებსაც ექსპერტიზის ჩატარების ფართო შესაძლებლობა აქვთ. მეორე ხერხი გამოიყენება მსოფლიოს ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა გერმანია და დიდი ბრიტანეთი. ეს გაპირობებულია შემდეგი თავისებურებებით, 1) გათვალისწინებული პროცედურების დახმარებით შეიძლება ზუსტად დადგინდეს განაცხადის შეტანამდე გამოგონების გამოყენების ფაქტი, რომელიც, როგორც წესი, არ შეიძლება საპატენტო უწყებაში ჩვეულებრივი ძიების დროს მხარეთა მონაწილეობის გარეშე დადგინდეს; 2) გათვალისწინებული პროცედურები საშუალებას იძლევა განაცხადის განხილვაში მონაწილეობა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა პირმა. თუმცა ასეთ საშუალებას თან სდევს მნიშვნელოვანი ხარჯები და გამომგონებელს ეკისრება მძიმე ტვირთი, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება მარტოხელა გამომგონებელს. გამომგონებელი იძულებულია გაიღოს ხარჯები მესამე პირთა ხელყოფისაგან იმ უფლებათა დაცვისათვის, რომელიც ჯერ არც ჩამოყალიბებულა და არც ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

პატენტუნარიანობის დადგენის ექსპერტიზის მოცულობა და მოთხოვნები შემოწმებითი სისტემის მქონე ყველა ქვეყანაში ერთნაირი არ არის. აშშ-ში, გერმანიაში, იაპონიაში, ნიდერლანდში, სკანდინავიის ქვეყნებში საპატენტო განაცხადი საგულდაგულოდ გამოიკვლევა პატენტუნარიანობის დადგენილ კრიტერიუმებთან მისი შესატყვისობის თვალსაზრისით. ინგლისური უფლებრივი სისტემის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში საპატენტო უწყებები გამოგონების საგამომგონებლო შემოქმედების (არასიაშკარავის) არსებობას არ იკვლევენ. განაცხადებული გამოგონების კრიტერიუმისადმი შეუსაბამობის შესახებ საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს საპატენტო უწყების მიერ პატენტის გაცემის წინააღმდეგ პროტესტის შეტანის შემთხვევაში მესამე პირის მხრიდან.

ყოველთვის და ყველა ქვეყანაში გამოგონების სარგებლიანობისა და სამრეწველო გამოყენებადობის მხრივ სრული მოცულობით შემოწმება რა ტარდება.

არსებითი განსხვავებებია საპატენტო უწყებაში, განაცხადის შემოწმების პროცედურის მხრივაც. ასე მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში საპატენტო უწყება პატენტუნარიანობაზე გამოგონებათა ექსპერტიზას დამოუკიდებლად ახორციელებს. ასეთ შემთხვევაში განაცხადის მასალები დადებითი გადაწყვეტილების გამოტანამდე და გაცემული პატენტის პუბლიკაციამდე საიდუმლოდ ინახება, ესაა ე. წ. დახურული (ამერიკული) ექსპერტიზა. იგი ამჟამად მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს (არგენტინა, აშშ, კანადა). გამოგონებათა განაცხადების შემოწმების სისტემის მქონე უმეტესი ქვეყნების საპატენტო უწყებები გამოგონების პატენტუნარიანობის საკითხის გადაწყვეტას თვითონ არ კისრულობენ და ამისათვის ექსპერტიზაზე სამუშაოდ იწვევენ მესამე პირებს. ეს არის ე. წ. ღია (ევროპული) ექსპერტიზა.

ღია ექსპერტიზის შემთხვევაში საპატენტო უწყება პატენტუნარიანობაზე გამოგონების განაცხადის სრული შემოწმების ჩატარების შემდეგ და დადებითი გადაწყვეტილების (განაცხადის აქცეპტის) პირობების შემთხვევაში ახდენს ექსპერტიზის შედეგების — გამოგონების აღწერილობისა და საპატენტო ფორმულის, აგრეთვე ნახაზების — პუბლიკაციას იმ სახით, რომლითაც ისინი მოწოდებულია და მომზადებულია პატენტის გასაცემად. დადგენილი ვადის განმავლობაში, ჩვეულებრივ, 2-დან 4 თვემდე დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავისი საწინააღმდეგო აზრი პატენტის გაცემასთან დაკავშირებით. ამ საწინააღმდეგო აზრის საფუძველი შეიძლება იყოს სიახლის, საგამომგონებლო შემოქმედების დონის უქონლობა, სამრეწველო გამოყენებადობის მოთხოვნებთან, სარგებლიანობასთან შეუსაბამობა, განაცხადის მასალებში, კერძოდ, გამოგონების აღწერილობაში არსის გახსნის არასაკმარისობა და ა. შ. ე. ი. ყოველივე ის, რასაც ამოწმებს და რაზედაც ექსპერტიზას ატარებს საპატენტო უწყება, რაც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მიზეზი გამოგონებაზე განაცხადის უარყოფისა. საწინააღმდეგო აზრის შეტანის საფუძველია გამოგონების „არაკეთილსინდისიერად გადმოღება“.

თუ საწინააღმდეგო აზრი საპატენტო უწყებაში მითითებული ვადის განმავლობაში არ იქნა შეტანილი ექსპერტიზა დამთავრებულად ითვლება და განაცხადის მიხედვით გამოგონებაზე გაცემა პატენტი. საწინააღმდეგო აზრის შეტანის შემთხვევაში საპატენტო უწყება წამოყენებული საწინააღმდეგო აზრის საფუძველზე ატარებს გამოგო-

ნებაზე განაცხადის დამატებით გამოკვლევას. ამიტომ ამ ღია ექსპერტიზას ზოგჯერ ორსაფეხურიან ექსპერტიზას უწოდებენ. განმცხადებელს აცნობებენ, რომ შემოსულია საპროტესტო წინადადებები და მას საშუალება ეძლევა პასუხი გასცეს მათზე. თუ ეს საწინააღმდეგო მოსაზრებები დასაბუთებულად ჩაითვლება პატენტის გაცემაზე განმცხადებელს უარს ეტყვიან, თუკი დამატებითი ექსპერტიზის მსვლელობისას წარმოდგენილი საწინააღმდეგო მოსაზრებები დასაბუთებულ არგუმენტებს არ შეიცავენ, განაცხადის მიხედვით პატენტის გაცემა დაუბრკოლებლად ხდება.

ერთი სიტყვით, განაცხადის გამოკვლევაში მესამე პირთა მონაწილეობა საშუალებას იძლევა ექსპერტიზის ხარისხი გაუმჯობესდეს და ამით შემცირდეს კონფლიქტური სიტუაციები პატენტის გაცემის შემდეგ. ამასთან, მეწარმეები დაინტერესებული არიან, რომ მათმა კონკურენტებმა იურიდიულად მყარი პატენტები მიიღონ. ამიტომ ხშირად, კიდევაც რომ აღმოაჩინონ გამოქვეყნებულ განაცხადში სერიოზული ნაკლოვანებები; კონკურენტი ფირმა არ ჩქარობს საპატენტო უწყებაში შერტანოს საწინააღმდეგო აზრი (პროტესტი), თვის რა თავისთვის უფრო ხელსაყრელად სადავო გახადოს გაცემული პატენტი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთ-ერთი ცნობილი ინგლისელი პატენტმცოდნის რჩევა თავისი კლიენტებისადმი: „თუ თქვენ შეგაქვთ პროტესტი, ამით კონკურენტის უხეირო პატენტისაგან უკეთესს ქმნით. მოიცადეთ, ვიდრე იგი თქვენს წინააღმდეგ არ აღძრავს სარჩელს მისი საპატენტო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ჩვენ გამოვიყენებ ყველა შესაძლებლობას, რომელთა გამოყენება შეიძლება პროტესტის შემთხვევაში, და ჩვენ მოვიგებთ პროცესს“. ამის გამო პროტესტის ინსტიტუტი პრაქტიკაში იმ ეფექტს არ იძლევა, რისთვისაც იგი არის გამიზნული.

პატენტი, რომელიც შემოწმებითი სისტემის მქონე ქვეყანაშია გაცემული საკმაო მყარ მონოპოლიას უზრუნველყოფს. რასაკვირველია, ამ ქვეყნებშიც შეიძლება პატენტი სადავო გახდეს, მაგრამ მისი ძალადაკარგულად მიჩნევის შესაძლებლობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე განცხადებითი სისტემის შემთხვევაში. სახელდობრ, ამ გარემოებით აახსნება ის ფაქტი, რომ ამჟამად თითქმის ყველა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანა იყენებს შემოწმებითს სისტემას.

თუმცა შემოწმებით სისტემას აქვს არსებითი ნაკლოვანებებიც, ჯერძოდ, გამოგონების შესახებ განაცხადის ექსპერტიზა სიახლეზე წარმოადგენს რთულსა და ძვირადღირებულ პროცედურას, მიაქვს დიდი დრო და საპატენტო სამართლისა და ტექნიკის დარგში კვალიფიციურები ექსპერტების ყოლას მოითხოვს.

იმასთან დაკავშირებით, რომ 60-იან წლებში მთელ რიგ ქვეყნებში გამოგონებაზე განაცხადების რაოდენობა გაიზარდა, დაგროვდა განუხილავი გამოგონებები, განცხადების სისტემაზე გადასვლა, როგორც გამოსავალი, არ გამოდგებოდა, რადგან იგი პატენტის ინსტიტუტის გაუფასურებას გამოიწვევდა. ამ ე. წ. „საპატენტო სისტემის კრიზისის“ გადაწყვეტის ერთ-ერთ რადიკალურ გზას წარმოადგენდა მთელი რიგი ქვეყნების გადასვლა განაცხადების შემოწმების „გადავადებული ექსპერტიზის“ სისტემაზე.

როგორც უკვე ნაწილობრივ აღინიშნა, გადავადებული ექსპერტიზის პროცედურის არსი ასეთია: საპატენტო უწყებაში გამოგონების შესახებ შეტანილი განაცხადი ფორმალურ მოთხოვნებთან, მხოლოდ მისი შესატყვისობით მოწმდება. განაცხადის ექსპერტიზა შემოსვლის რიგითი ნომრის მიხედვით ავტომატურად არ ტარდება, როგორც ეს, ჩვეულებრივ, შემოწმებითი სისტემის მქონე ქვეყნების საპატენტო უწყებებში ხდება. იმისათვის, რომ ექსპერტიზა ჩატარდეს, განმცხადებელი იხდის ბაჟს და შეაქვს თხოვნა განაცხადის განხილვაზე გამოგონების პატენტუნარიანობის დადგენის მიზნით. თხოვნა ექსპერტიზის ჩატარებაზე შეიძლება შეტანილ იქნეს კანონით განსაზღვრული ვადის განმავლობაში, კერძოდ, გერმანიაში, იაპონიაში, ნიდერლანდში — 7 წელია; ავსტრალიაში — 5 წელი — განაცხადის შეტანის მომენტიდან; რუსეთში — 3 წელი განაცხადის შეტანის თარიღიდან; ბრაზილიაში 2 წელი — საყოველთაო განსახილველად განაცხადის მასალების გამოქვეყნების შემდეგ. თუ განმცხადებელი დარწმუნებულია, რომ თავისი გამოგონება მნიშვნელოვანია და სურს რაც შეიძლება მალე მიიღოს პატენტი, მას შეუძლია თხოვნა ამის შესახებ განაცხადის შეტანის დროს დაამთხოვოს.

გერმანიაში და ნიდერლანდში პატენტუნარიანობაზე ექსპერტიზა ორ ეტაპად ხდება. განმცხადებელს ჯერ თხოვნა შეაქვს საპატენტო უწყებაში გამოგონების განაცხადის მხოლოდ სიახლის განხილვაზე. ამგვარ თხოვნასთან დაკავშირებით ტარდება მასალების ძიება, რომლის შედეგებსაც განმცხადებელს აცნობებენ. ამ ეტაპზე არავითარი

დასკვნა განცხადებული გამოგონებო^ს; პატენტუნარიანობაზე არ გამოაქვთ. განმცხადებელმა, რომელსაც სურს სრული ექსპერტიზის ჩატარება, უნდა შეიტანოს მეორე თხოვნა. თუ გათვალისწინებული პერიოდის მანძილზე გამოგონების პატენტუნარიანობას განხილვაზე თხოვნა შეტანილი არ იქნება, განაცხადი უქმდება.¹

ამრიგად, გადავადებული ექსპერტიზა ნიშნავს იმას, რომ გამოგონების პატენტუნარიანობაზე გამოკვლევა გადაიდება ხოლმე გარკვეული ვადით, რომელიც განმცხადებელს გამოგონების ტექნიკური და კომერციული მნიშვნელობის დადგენისათვის ეძლევა. თუ გამოკვლევა იქედნებს არ ამართლებს, თხოვნა არ შეიტანება და განაცხადის განხილვა სრულ ექსპერტიზაზე არ შედგება, რითაც საპატენტო უწყება თავს დააღწევს ზედმეტ მუშაობას. ასეთ ვითარებაში განაცხადის მასალები გამოთხოვილი იქნება და განმცხადებელი უახლოეს დროში უფარს იტყვის პატენტის მიღებაზე.

იმისათვის, რომ გამოგონებაზე განაცხადის განხილვის პროცედურამ არ დაყოვნოს, გათვალისწინებულია გამოგონებაზე შეტანილი განაცხადის პუბლიკაცია საპატენტო უწყების ოფიციალურ ბიულეტენში ან პრიორიტეტის თარიღიდან 18 თვის გასვლის შემდეგ განაცხადის მასალების გამოფენა საპატენტო უწყებაში. მოცემულ შემთხვევაში განაცხადის შინაარსი ხდება ღია, საყოველთაო განხილვისათვის განკუთვნილი და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია საპატენტო უწყებაში შეიძინოს გამოგონებაზე განაცხადის მასალების ასლები. მასალების გამოფენა და პუბლიკაცია ხდება იმისაგან დამოუკიდებლად, შეტანილია თუ არა თხოვნა ექსპერტიზის ჩატარებაზე. გამოგონებაზე განაცხადის პუბლიკაციის შემდეგ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს განცხადებულ გამოგონებაზე პატენტის გაცემის პერსპექტივის გარკვევის მიზნით, განმცხადებლისაგან დამოუკიდებლად, შეუძლია შეიტანოს თხოვნა ექსპერტიზის ჩატარებაზე, რისთვისაც უნდა გადაიხადოს ბაჟი. ექსპერტიზის შედეგები ეგზავნება განმცხადებელს, რომელიც საპატენტო უწყებასთან მიმოწერას აწარმოებს და გარკვეული პირობების შემთხვევაში იღებს პატენტს.

საყოველთაო განხილვისათვის გამოფენილი გამოგონებები სარგებლობენ დროებითი დაცვით მესამე პირთა არაკეთილსინდისიერი ხელყოფისაგან, რაც შეიძლება გამოვლინდეს გამოგონების არსის გახსნის შემდეგ. მისი სრული საპატენტო დაცვის უზრუნველყოფამდე — შემოწმებული განაცხადის პუბლიკაციამდე ან პატენტის გაცემამდე.

უფლებრივი დაცვა გამოგონებას ენიჭება. გამოფენილი განაცხადის მიხედვით პატენტის გაცემის პირობის შემთხვევაშიც. იგი შეზღუდული ხასიათისაა, რამდენადაც განმცხადებელს არ შეუძლია კანონის დამრღვევს გამოგონების გამოყენება აუკრძალოს, მას უფლება აქვს მისი გამოყენებისათვის მოითხოვოს მხოლოდ ფულადი კომპენსაცია. თანხის ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ და, როგორც წესი, სალიცენზიო შეთანხმებით გაცემულ თანხებს არ აღემატება.

ავტრალიაში საყოველთაო განხილვისათვის გამოგონების განაცხადის გამოფენისას განმცხადებელს გარანტირებული აქვს გამოგონების ისეთივე სრული უფლებრივი დაცვა, როგორც ეს ხდება პატენტის გაცემის შემთხვევაში.

განაცხადების განხილვის ახალი პროცედურის შემოღებამ თავიდანვე დადებითი შედეგი გამოიღო. მისი გამოყენების პრაქტიკამ, მაგალითად, ნიდერლანდში ცხადყო, რომ შუამდგომლობა სრული ექსპერტიზის ჩატარებაზე საპატენტო უწყებაში შექჟონდა გამოგონების შესახებ განაცხადების შემტანთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 50%-ს. განაცხადების დანარჩენი, განმცხადებლის მხრივ გამოგონებისადმი ინტერესის დაკარგვის გამო საპატენტო უწყებაში 7 წლის განმავლობაში უმოძრაოდ რჩება ან გამოითხოვება მის მიერ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გადავადებული ექსპერტიზის შემთხვევაში დიდი ყურადღება ეთმობა მესამე პირთა მონაწილეობას განაცხადის განხილვის პროცესში, რაც როგორც უკვე აღინიშნა, ექსპერტიზის ხარისხს აუმჯობესებს და საშუალებას იძლევა შემცირდეს კონსულტიტური სიტუაციები. პრიორიტეტის თარიღიდან 18 თვის შემდეგ შექმნილი გამოგონების განაცხადის მასალათა პუბლიკაცია (გამოფენა) კვლევით ორგანიზაციებსა და სამარეწველო ფირმებს საშუალებას აძლევს გაეცნონ უახლეს მიღწევებს. გადავადებული ექსპერტიზის წარმატებით გამოყენება ნიდერლანდში, სადაც იგი 1964 წლიდან, მოქმედებს, ხელს უწყობს მის გავრცელებას სხვა ქვეყნებშიც. ეს ექსპერტიზა შემოღებულია გერმანიაში 1968 წელს, ავსტრალიაში — 1969 წელს, იაპონიაში — 1970 წელს, ბრაზილიაში — 1971 წელს, მექსიკაში — 1976 წელს.

სკანდინავიის ქვეყნებში გადავადების ექსპერტიზის წესი ვერ დამკვიდრდა, მაგრამ იქ მოქმედებს მისი ერთ-ერთი მთავარი ელემენტი — საპატენტო განაცხადების პუბლიკაცია ხდება პრიორიტეტის

თარღის შემდეგ 18 თვეში. გადავადებული ექსპერტიზის პროცედურა დაზღვეული არაა ზოგიერთი ნაკლისაგან, კერძოდ, ამ სისტემის მოქმედება დაკავშირებულია უდიდესი ოდენობის შეუმოწმებელი განაცხადების პუბლიკაციების აუცილებლობასთან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიცავს არაპატენტუნარიან გამოგონებებს; გარკვეული სიძნელეებია გამოგონებათა დაცვის განხორციელების საქმეშიც გამოგონებათა განაცხადების გამოფენის შემდეგ, რადგან ამ უფლებრივი დაცვის დროებითი და შეზღუდული ხასიათი არასაკმარისი სამედრობით უზრუნველყოფს განმცხადებლის უფლებებს.

მართალია, გადავადებული ექსპერტიზის შესახებ ზოგიერთი საკითხი ზოგადად გაშუქდა, მაგრამ ურიგო არ იქნება, კიდევ, უფრო დაწვრილებით შევეხოთ ამ სისტემას და მის ძირითად ნიშან-თვისებებს.

გადავადებული ექსპერტიზის სისტემა მოქმედებს მსოფლიოს დაახლოებით 20-მდე ქვეყანაში. პირობითად ეს სისტემა შეიძლება განვანწილოთ 3 სახედ: პირველი, ყველაზე გავრცელებული სახე მიღებული იყო გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში, ნიდერლანდში; აგრეთვე ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში, მეორე სახე, რომელიც თავისებური იყო თავისი არხით, გავრცელდა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში და მესამე, რომელიც ცნობილია ავსტრალიურის სახელწოდებით და განსხვავდება ევროპულისაგან.

გადავადებული ექსპერტიზის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი სხვადასხვა მოდიფიკირების შესაძლებლობა და არსებობა უფრო უკეთესად პასუხობს იმ ქვეყნის საგამომგონებლო და საპატენტო-უფლებრივი სისტემების თავისებურებებს, სადაც ის არის შემოღებული.

შედარებით რთულია გადავადებული ექსპერტიზის ის სისტემა, რომელიც გამოიყენება გერმანიაში, იაპონიასა და ნიდერლანდში. თუმცა დეტალებში მათშიც არ არის ერთგვაროვნება. ამ ქვეყნებში ძირითადად ემთხვევა ექსპერტიზის ჩატარებაზე შუამდგომლობის შეტანის ვადა და განისაზღვრება ის 7 წლით, ერთნაირია ასევე განაცხადის მიხედვით საკუთარი ექსპერტიზის მიზნით განცალკევებული ძიების ჩატარების შესაძლებლობა და, როგორც ყველა, ამ სისტემის გამოყენებულ ქვეყნებში, განაცხადების შეტანის დღიდან 18 თვის შემდეგ მათი გამოქვეყნების სავალდებულო წესი.

გადავადებული ექსპერტიზის ძირითადი ნიშან-თვისებები შემდეგია:

1. საპატენტო უწყებაში შეტანილი ყველა განაცხადი ექვემდებარება სავალდებულო წინასწარ ექსპერტიზას; 2. განაცხადის შეტანის (ან პრიორიტეტის) დღიდან 18 თვის შემდეგ ხდება ყველა შეტანილი განაცხადის, საპატენტო უწყებაში, გასაცნობად სავალდებულო გაწყობა და გამოქვეყნება. ეს ვადა დადგენილია ხანგრძლივი დებატების შემდეგ და ასახავდა პატენტის მფლობელთა მისწრაფებას, რაც შეიძლება დიდხანს შენახულიყო მათი გამოგონება საიდუმლოდ და ასევე კონკურენტების სურვილს მალე გაცნობოდნენ ტექნიკურ სიახლეებს;

2. გამოგონებაზე განაცხადის საიდუმლოდ შენახვის 18-თვიანი ვადის დადგენა წარმოადგენდა მეწარმეებისათვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ახალ შემოღებულ წესს. განაცხადის მასალების გაცნობის შესაძლებლობა დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს დროულად მიიღონ ინფორმაცია კონკურენტების საწარმოო გეგმებზე, საკუთარი საწარმოო და საინფორმაციო პროგრამების დამუშავებისას გაითვალისწინონ სხვათა სამრეწველო უფლებები;

3. განაცხადის გამრქვეყნების შემდეგ, განმცხადებლის უფლებების დაცვის ახალი ნაირსახეობის — „დროებითი შეზღუდული საპატენტო დაცვის“ შემოღება. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გამოგონების გამოყენებულ მესამე პირებს განაცხადის გამომზეურების მომენტიდან ექსპერტიზის დამთავრებამდე, გამოგონების გამოყენებისათვის შეიძლება მოეთხოვოს მხოლოდ ე. წ. თანაზომიერი ანაზღაურება და არ შეიძლება მათ წაეყენოს სარჩელი გამოგონების გამოყენების შეწყვეტაზე და არც ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც იარაღია პატენტის მფლობელის ხელში მისი განსაკუთრებული უფლების დაცვისათვის. საქმე იმაშია, რომ პატენტის მფლობელის ეს უფლებები სრული მოცულობით წარმოიქმნება მხოლოდ პატენტის გაცემის შემდეგ;

4. განაცხადის მიხედვით სრული ექსპერტიზისაგან განცალკევებული ძიების ჩატარების შესაძლებლობის დადგენა. ეს ღონისძიება განიხილება წვრილბ და საშუალო მრეწველებისათვის მიყენებული ზარალის კომპენსაციისათვის, რასაც იწვევს გადავადებული ექსპერტიზის სისტემით გამოწვეული ზოგიერთი შედეგი. გათვალისწინებულია საპატენტო უწყებაში მიმართვის შესაძლებლობა თხოვნით —

ჩატარდეს განაცხადის მიხედვით ძიება (დაპირისპირებული შერჩეული მასალების წარმოდგენით) ექსპერტიზის ჩატარების გარეშე. ასეთი ძიების შედეგები განმცხადებელს შესაძლებლობას აძლევს შეექმნას წარმოდგენა გამოგონების დაპატენტების პერსპექტივაზე და მცირე ხარჯი გაიღოს ამისათვის, რამდენადაც ამდაგვარი ძიების ჩატარება მცირე დანახარჯს მოითხოვს, ვიდრე სრული ექსპერტიზის ჩატარება. პრაქტიკაში გადავადებული ექსპერტიზის ამ ეტაპის განხორციელებისას დადასტურდა მისი მიზანშეწონილება და დაპირისპირებული მასალების განცალკევებული ძიება ევროპული საპატენტო კონვენციის ერთ-ერთი არსებითი ელემენტი გახდა;

5. განაცხადის შეტანის მომენტიდან ექსპერტიზის ჩატარებაზე 7 წლიანი ვადის მიცემა შუამდგომლობის შეტანაზე, რაც შესაძლებლობას იძლევა მოწესრიგდეს საპატენტო უწყების მუშაობა, ეკონომიკურად არაეფექტური განაცხადების გამოკვლევის უსარგებლო და შრომატევადი სამუშაოს შესრულების თავიდან აცილების გზით. ამასთან ერთად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ განცხადება ექსპერტიზის ჩატარებაზე შეიძლება შეტანილი იყოს განაცხადის შეტანასთან ერთდროულად. ამაში მდგომარეობს გადავადებული ექსპერტიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, რომ იმ განმცხადებლისათვის, ვინც დააწმუნებულია თავისი წინადადებების ეკონომიკურ ღირებულებაში, ფაქტიურად შენარჩუნებულია შესაძლებლობა მიმართონ გამოგონების ექსპერტიზის ჩვეულებრივ შესამოწმებელ სისტემას.

გადავადებული ექსპერტიზის სისტემის შემოღების ძირითადი მიზნები — საპატენტო უწყებათა განტვირთვა პატენტზე განაცხადების დიდი ნაკადისაგან და ტექნიკური სიახლეების შექმნის შესახებ სამრეწველო წრეების ინფორმირების დაჩქარების თაობაზე, როგორც უკვე აღინიშნა, მიღწეულია. მაგალითად, გერმანიაში გამოგონებაზე განაცხადების ოდენობამ, რომლებზეც შუამდგომლობა არ იყო შეტანილი ექსპერტიზის ჩატარებაზე, შეადგინა შეტანილი განაცხადების 40%. სამუშაოს მოცულობის ასეთმა კლებამ საშუალება მისცა გერმანიის საპატენტო უწყებას რამდენიმე წელში სრულად განტვირთულიყო განუხილავი განაცხადებისაგან, რომელიც გადავადებული ექსპერტიზის შემოღების მომენტისათვის ითვლიდა 270 ათას ცალზე მეტს.

გადავადებული ექსპერტიზის სისტემის მიხედვით გამოგონებაზე

ყველა განაცხადების გამოქვეყნება მათი შეტანის თარიღიდან 18 თვის შემდეგ გადავადებული ექსპერტიზის სისტემის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს. ეს წესი მოქმედებს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ისეთშიც, სადაც ეს სისტემა არაა შემოღებული, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში და ესპანეთში. თუმცა ამ უქანასკნელში 1986 წლის 26 ივნისის საპატენტო კანონმა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა პატენტების გაცემის პროცესში; რაც იმას ნიშნავს, რომ ესპანეთი განცხადებითი სისტემიდან თანდათანობით, ეტაპობრივად გადადის შესამოწმებელ სისტემაზე.

განაცხადების გამოქვეყნების ასეთივე რეგულირება დადგენილი ევროპის საპატენტო კონვენციით, თუმცა მათ მიერ გადავადებული ექსპერტიზის სისტემის შემოღებაზე შეიძლება მხოლოდ პირობითად ითქვას, რადგან შუამდგომლობის შეტანის ვადა ექსპერტიზის ჩატარების შესახებ აქ, შეადგენს მხოლოდ 6 თვეს ძიების ჩატარებაზე ანგარიშის შედეგის თარიღიდან. ამასთან დაკავშირებით თითქმის ყველა განაცხადებს, რომლებიც ევროპული პატენტის მისაღებად შედის, ახლავს შუამდგომლობა ევროპის საპატენტო უწყების მიერ ექსპერტიზის ჩატარებაზე.

ამჟამად მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაშია მიღებული შეტანის მომენტიდან 18 თვის შემდეგ გამოგონებაზე განაცხადის გამოქვეყნება.

რუსეთში 1992 წლის 14 ოქტომბრიდან ძალაში შესული საპატენტო კანონით ნავარაუდევია განაცხადის შეტანის თარიღიდან 18 თვის გასვლის შემდეგ ჩატარდეს ფორმალური ექსპერტიზა და დადებითი შედეგის შემთხვევაში საპატენტო უწყება აქვეყნებს ცნობებს განაცხადზე, იმ შემთხვევის გარდა, როცა განაცხადი გამოთხოვილია. ნებისმიერ პირს უფლება აქვს მასალების გამოქვეყნების შემდეგ გაეცნოს მათ.

განმცხადებლის შუამდგომლობით საპატენტო უწყებას შეუძლია გამოაქვეყნოს განაცხადზე ცნობები მითითებულ ვადაზე ადრე. გამოქვეყნებული ცნობების შემადგენლობას განსაზღვრავს საპატენტო უწყება.

გადავადებული ექსპერტიზის სისტემის მოქმედების თითქმის 30 წლიანმა პერიოდმა გამოავლინა მისი ნაკლოვანი მხარეებიც რაც ზოგადად ითქვა კიდევ. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, პატენტის მიღების მიზანშეწონილობის თვალსაზრისით თავისი გამოგონების

შეფასებისათვის, განმცხადებლისათვის მიცემული ხანგრძლივი პერიოდი. ამ სისტემის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანია, იაპონია, ნიდერლანდი), სადაც შუამდგომლობის შეტანის ვადა ექსპერტიზის ჩატარებაზე შეადგენს 7 წელს, იქმნება უფლების არამყარო ხანგრძლივობა საპატენტო უწყებაში განაცხადების შემტანი ფორმებისათვის, აგრეთვე კონკურენტი საწარმოებისათვის, რომლებმაც იციან განაცხადის შეტანის შესახებ და ელიან მის შემდგომ ბედს (განაცხადი და მასთან დაკავშირებული უფლებები ან 7 წლის ვადაში გაუქმდება, ან გამოგონების დროებითი და შეზღუდული დაცვა გარდაიქმნება ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ სრულყოფილ საპატენტო დაცვად). ამ მიმართებით საინტერესო ექსპერიმენტი ჩატარა იაპონიის საპატენტო უწყებამ, სადაც გადავადებული ექსპერტიზის არსებობის შემთხვევაში, განაცხადების ექსპერტიზის ვადებისა და დიდი ოდენობის განსახილველი განაცხადების განტვირთვის მიზნით 1986 წლიდან შემოღებულ იქნა განაცხადების დაჩქარებული ექსპერტიზის სისტემა. დაჩქარებულ ექსპერტიზაზე მიიღება განაცხადები გამოგონებაზე, რომლებიც გამოიყენება წარმოებაში ან უახლოეს 6 თვის მანძილზე უნდა იქნეს გამოყენებული იმ თარიღიდან, როცა მოხდება ასეთი თხოვნის წარდგენა იაპონიის საპატენტო უწყებაში. ამ დოკუმენტს ეწოდება „დაჩქარებული ექსპერტიზის გამოყენების დასაბუთება“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ღონისძიების გატარება გადავადებულ ექსპერტიზასთან შეთავსებაში საშუალებას იძლევა უფრო ოპერატიულად განაწილდეს საპატენტო უწყების ძალისხმევა განაცხადების განხილვის საქმეში, „მწვანე გზა გაეხსნას“ გამოგონებებს, რომლებიც ფაქტიურად უკვე რეალიზებულია წარმოებაში.

სხვა არსებითი ნაკლი, რომელიც ახასიათებს გადავადებულ ექსპერტიზას არის გადავადების პერიოდის ხანგრძლივობა და მდგომარეობა თვით ექსპერტიზის ჩატარების სიძნელეში. გადავადებული ექსპერტიზის წესებით პატენტუნარიანობის გამოკვლევისას განაცხადი ტექნიკის დონეს უპირისპირდება განცხადებული გამოგონების პრიორიტეტის თარიღისათვის. ექსპერტიზის ჩატარების დროს განაცხადის შეტანის 6 ან 7 წლის მერე ტექნიკის დონე მნიშვნელოვნად იცვლება, ვიდრე იყო განაცხადის შეტანის დროს. ნიშანდობლივია, რომ გამოგონების სიახლის ექსპერტიზაზე ამან არ შეიძლება მოახდინოს რაიმე გავლენა, რამდენადაც დაპირისპირება ხდება

კონკრეტული გამოქვეყნებული მასალებისა ან ღია გამოყენების ფაქტებისა, რომლებსაც მკაცრად განსაზღვრული თარიღი აქვთ, რაც საშუალებას იძლევა ჩატარდეს დაპირისპირება განაცხადის შეტანის თარიღთან. განაცხადის გამოკვლევის მიმართ საგამომგონებლო დონის არსებობაზე, როცა ექსპერტს თავისი წარმოდგენა აქვს ტექნიკის დონეზე, პატენტუნარიანობის ამ ნიშან-თვისებების დადგენა ძნელდება. ექსპერტმა ფიქრით უნდა წარმოადგინოს თავი სპეციალისტად, რომელსაც ცოდნა და გამოცდილება აქვს განაცხადის შეტანის თარიღის მდგომარეობით და „დაივიწყოს“ ყველა ის ცოდნა, რომელიც მან შეიძინა განაცხადის შეტანის დღიდან გასული დროის მანძილზე, ტექნიკის შემდგომი განვითარების საფუძველზე. ფსიქოლოგიურად ძალზე რთულია გამოთიშო თავი ტექნიკის თანამედროვე დონის ცოდნისაგან და გაჩერდა იმაზე, რაც იყო 5—7 წლის წინათ მიღწეული, ამიტომაც არ არის გამორიცხული სუბიექტურ მიდგომას ჰქონდეს ადგილი და საგამომგონებლო დონის შეფასებასთან დაკავშირებით მოხდეს შეცდომები.

გერმანიის საპატენტო უწყების 'გამოცდილებამ და სხვა ქვეყნების საპატენტო პრაქტიკამ, რომელიც პატენტის მიღების მიზანშეწონილობის ასეთ ხანგრძლივ ვადას გულისხმობს, თავისი გავლენა იქონია ევროპული საპატენტო უწყების შექმნისას ექსპერტიზის ჩატარების პრობლემის გადაწყვეტაზე. კერძოდ, შუამდგომლობა ექსპერტიზის ჩატარებაზე შეტანილი უნდა იყოს ევროპის საპატენტო უწყებაში არა უგვიანეს 6 თვისა ძიებაზე ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ. რაც არსებითად ევროპის საპატენტო უწყების ექსპერტს უმსუბუქებს ტექნიკის დონის შეფასებას, თუმცა განმცხადებელს არ აძლევს შესაძლებლობას ღრმად ჩასწვდეს და არსებითად შეაფასოს ექსპერტიზის ჩატარების მიზანშეწონილობა.

საჭიროა ითქვას აგრეთვე განაცხადების დიდ ოდენობაზე, რომლებიც არ იქცევა პატენტებად. ეს ე. წ. გაუქმებული განაცხადებია, რომლებიც გამოქვეყნდა და მათზე ექსპერტიზა არ ჩატარებულა. ისინი საერთო შეტანილი განაცხადების დაახლოებით 40%-ს შეადგენენ. ინფორმაციის ეს წყაროები, რომლებიც არ წარმოშობენ შესაბამის უფლებებს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საპატენტო დაცვის სფეროში სხვადასხვა სამუშაოთა ჩატარების დროს.

გადავადებული ექსპერტიზის სისტემა იწვევს ათეული და ასეული სპეციალისტების შრომის არამწარმოებლურ დანახარჯებს, რომ-

ლებიც დაკავშირებულია უსარგებლო აღწერილობათა ანალიზთან, მაშინ როცა კლასიკური შესამოწმებელი (არაგადავადებელი) ექსპერტიზის სისტემის დროს საპატენტო უწყების ერთი ექსპერტი ათეულობით ადამიანს ცვლის.

გამოგონებათა დაპატენტების ორიგინალური პროცედურაა მიღებული საფრანგეთში; მასში შეჯერებულია შემოწმებითი და განცხადებითი სისტემები, გარდა ამისა, იგი შეიცავს გადავადებული ექსპერტიზის ზოგიერთ ელემენტს. საფრანგეთში პატენტზე ყველა განაცხადი, ფორმისადმი მათი მოთხოვნის შესატყვისობის წარმატებით შემოწმების შემდეგ ავტომატურად, რიგითი წესის დაცვით ექსპერტიზას გადის პატენტუნარიანობაზე. ამ ექსპერტიზის შედეგად დგება დოკუმენტური დასკვნა, რომელიც ეგზავნება განმცხადებელს. დასკვნის საფუძველზე საკითხს გამოგონებისათვის პატენტის მიღების იურიდიული შესაძლებლობის შესახებ თვით განმცხადებელი წყვეტს. საპატენტო უწყებას არ შეუძლია პატენტის გაცემაზე უარის თქმა, თუ გამოგონებაზე განაცხადი აკმაყოფილებს მისი ფორმის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს და თუნდაც ექსპერტიზის პროცესში გამოვლენილი იქნება გამოგონების არაპატენტუნარიანობა. ამ საკითხის გადაწყვეტა შეადგენს სასამართლოს კომპეტენციას. საპატენტო უწყება განაცხადის მიხედვით არ ატარებს სრულ ექსპერტიზას, ახორციელებს მხოლოდ ძიებას სიახლეზე, სიახლის შეფასებაც შეზღუდულია: განცხადებულ გამოგონებაში სიახლის უქონლობა უნდა იყოს აშკარა. ამრიგად, დოკუმენტური დასკვნა ზემოქმედებას არ ახდენს საპატენტო უწყების მიერ პატენტის გაცემის საკითხის გადაწყვეტაზე, მას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ განმცხადებლისათვის პატენტის აღებაზე მის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და მესამე პირთათვის საპატენტო დავის წამოჭრის შემთხვევაში.

პროორიტეტის თარიღის 18 თვის შემდეგ საფრანგეთში ყველა განაცხადი გამოგონებაზე ქვეყნდება საპატენტო უწყების ოფიციალურ ბიულეტენში, რის შემდგომაც, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გამოქვეყნებული გამოგონების პატენტუნარიანობის თაობაზე, შეიტანოს შენიშვნები, რომლებიც განმცხადებელს ეცნობება. განმცხადებლის თხოვნით პუბლიკაცია შეიძლება განხორციელდეს 18 თვის გასვლამდეც.

განაცხადის შეტანისას განმცხადებელს შეუძლია ითხოვოს, რომ დოკუმენტური დასკვნის შედგენა გადაიდოს 2 წლამდე ვადით. თუ

საპატენტო უწყებაში განაცხადი მედიკამენტებზე შეიტანება, გადადება დაიშვება მხოლოდ 6 თვით. თუ დადგენილი ვადის გასვლამდე ექსპერტიზის ჩატარებაზე თხოვნა არ იქნება შეტანილი, ზემოთ აღნიშნული განაცხადები (გარდა მედიკამენტებზე განაცხადებისა) განიხილება როგორც განაცხადები სარგებლიანობის მოწმობის მისაღებად. განაცხადების ამგვარ ავტომატურ გარდაქმნას მოჰყვება ის, რომ მოწმობა სარგებლიანობაზე გაიცემა ისეთ განაცხადებზე, რომლებსაც ექსპერტიზა პატენტუნარიანობაზე ე. ი. განცხადებითი სისტემით არ გაუვლია.

თხოვნის შეტანა დოკუმენტური დასკვნის შედგენის შესახებ შეუძლიათ მესამე პირებსაც განაცხადის პუბლიკაციის შემდეგ, რაზედაც განმცხადებელს ეცნობება. ამ შემთხვევაში მას უფლება აქვს 2 თვის განმავლობაში ან გამოითხოვოს განაცხადი, ან გარდაქმნას ის მოწმობად სარგებლიანობაზე. თუ განმცხადებელი არავითარ ზომებს არ იღებს და უმოქმედოდ არის, 2 თვის შემდეგ საპატენტო უწყება ადგენს დოკუმენტურ დასკვნას ჩვეულებრივი წესით.

როგორც პრაქტიკა ადასტურებს გამოგონებაზე წარდგენილი განაცხადი იშვიათად აკმაყოფილებს ექსპერტს და პირველივე განხილვის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე. ჩვეულებრივ, წამოიჭრება ხოლმე პატენტის გაცემის საწინააღმდეგო აზრი, რომელზეც გამოგონების განმცხადებელმა უნდა უპასუხოს დადგენილი ვადის განმავლობაში. უარის მიზეზი შეიძლება იყოს განცხადებულის გადაწყვეტის სიახლისა და საგამომგონებლო შემოქმედების დონის უქონლობა, გამოგონების ფორმულის მოცულობის დაუცველობა, სავარაუდო გამოგონების აღწერილობის ნახაზებთან და ფორმულასთან შეუსაბამობა, ტექნიკური ტერმინოლოგიის არასწორი განიხილება და ა. შ. გამოგონების განმცხადებელს შეუძლია დაეთანხმოს ექსპერტიზის შენიშვნებს და შეიტანოს გამოგონებაზე წარდგენილ განაცხადში მოთხოვნილი საჭირო შესწორებები, მაგალითად, გადააკეთოს სავარაუდო გამოგონების ფორმულა (რითაც შეამცირობს საპატენტო მოთხოვნების მოცულობას), გასაგები გახადოს აღწერილობაში გამოყენებული გაუგებარი გამოთქმები, შეცვალოს გამოგონების დასახელება და ა. შ. ამგვარ შენიშვნებზე პასუხის მიღების შემდეგ ექსპერტს, ჩვეულებრივ, გამოაქვს დადებითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემის ან განაცხადის პუბლიკაციის შესახებ.

გამოგონების განმცხადებელს უფლება აქვს არ დაეთანხმოს ექს-

პერტის აზრს, მაგრამ ამ შემთხვევაში მან საფუძვლიანად უნდა დაასაბუთოს თავისი პოზიცია, შეეცადოს დაარწმუნოს ექსპერტი თავის სიმართლეში. თუ მან ეს ვერ მოახერხა, განაცხადი უარყოფილი იქნება.

განაცხადის მასალებში განმცხადებლის ინიციატივით ცვლილებების შეტანა შესაძლებელია გამოგონებათა განაცხადების შემოწმებითი სისტემის მქონე ქვეყნებშიც. თუ გამოგონებაზე განაცხადის შეტანის შემდეგ განმცხადებელი დამოუკიდებლად აღმოაჩენს შეცდომებს, მას შეუძლია საპატენტო უწყებაში გააგზავნოს თხოვნა აუცილებელი ცვლილებების შეტანის თაობაზე. ცვლილებების შეტანა ნებადართულია, როგორც წესი, განაცხადის მასალების განხილვის მთელი პროცესის განმავლობაში — აქცეპტის ან პატენტის გაცემის შემდეგ, მის პუბლიკაციამდე. პუბლიკაციის შემდეგ ნებადართულია ტექნიკური ხასიათის აშკარა შეცდომების გასწორება. ყველა ქვეყანაში დაუშვებელია ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც გამოგონების საგანს აფართოებენ და ისეთ ცნობებს შეიცავენ, რომლებიც თავდაპირველ აღწერილობაში შეტანილი არ იყო. აშშ-ში თუ ეს აუცილებელია გამოგონების განაცხადის მასალებში ახალი ნიშან-თვისებების ჩამატება შესაძლებელია გამოგონებაზე განაცხადის გარდაქმნით კერძო გაგრძელების განაცხადად, რომლისთვისაც დგინდება ახალი პრიორიტეტი.

გამოგონებაზე განაცხადის მასალების განხილვის პროცესში გამოიტანება, როგორც წესი, რამდენიმე გადაწყვეტილება, ექსპერტიზის ყველა შენიშვნაზე განმცხადებლები ვალდებული არიან საპატენტო უწყებაში დადგენილი წესით წარადგინონ ამომწურავი პასუხები. ექსპერტიზის გადაწყვეტილებათა ოდენობა დამოკიდებულია გამოგონების სირთულეზე, გამოგონების აღწერილობის, ფორმულის, საგანაცხადო მასალების გაფორმების სისწორეზე. აშშ-ში, გერმანიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ექსპერტიზის მეორე გადაწყვეტილება წარმოადგენს საბოლოოს. მის მიღებამდე განმცხადებელმა განაცხადის მასალებში უნდა შეიტანოს ექსპერტის მიერ მოთხოვნილი ყველა შესწორება და განაცხადის მასალები სათანადოდ მოაწესრიგოს და დებითი გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

ექსპერტიზის გადაწყვეტილებაზე პასუხის წარდგენისათვის განმცხადებელს ეძლევა ვადა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა — მერყეობს 1-დან 6 თვემდე. გამოგონების განმცხადებლის

მიერ პასუხის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა იწვევს განაცხადის გაუქმებას. ზოგიერთ ქვეყანაში ბაჟის გადახდის შემთხვევაში დაშვებულია ამ ვადის გაგრძელება, თუ განმცხადებელი დაამტკიცებს, რომ ვადის გადაცილება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდა (ავადმყოფობა, ხანგრძლივი მივილინება და ა. შ.).

დიდ ბრიტანეთში 1949 წლის კანონით ექსპერტიზის გადაწყვეტილებაზე განაცხადის განხილვის მთლიანი პროცედურისათვის საპატენტო კანონით დადგენილი იყო 2,5 წელი საპატენტო უწყებაში გამოგონების სრული აღწერილობის წარდგენის თარიღიდან. შეიძლებოდა ამ ვადის გაგრძელება 3 თვით. მასასადამე, 2 წლისა და 9 თვის მანძილზე განაცხადი სრულად უნდა განეხილათ და მასზე მიღებული უნდა ყოფილიყო საბოლოო გადაწყვეტილება. შემდგომი კანონით დიდ ბრიტანეთში შემოღებული იქნა გადავადებული ექსპერტიზის წესი, რომელიც გადავადების ექსპერტიზის შესახებ სხვა სახელმწიფოებში მიღებულ ძირითად დებულებებს იმეორებს.

ყველა ქვეყანაში შეიძლება ექსპერტიზის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნეს დადგენილ ვადაში — აშშ-ში, როგორც წესი, ეს ვადა 4 თვეა. თურქეთში, ინდოეთსა და ნიდერლანდში — 3; ავსტრიაში, ბრაზილიაში, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, ფინეთში — 2; გერმანიაში, კოლუმბიაში, პერუში 1 თვე. საფრანგეთში ეროვნულ განმცხადებლებს შეუძლიათ აპელაცია შეიტანონ 1 თვის განმავლობაში. უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს ამისათვის ეძლევათ 2 თვე, იაპონიაში ანალოგიური ვადები შეადგენს 1 და 3 თვეს.

დაპატენტების ე. წ. ლია სისტემის მქონე ქვეყნებში, სადაც გამოგონების განაცხადების განხილვაში ჩაბმული არიან მესამე პირები, მათ მიცემული აქვთ უფლება ექსპერტიზის გადაწყვეტილებაზე შეიტანონ საჩივარი და მონაწილეობა მიიღონ საპატენტო დავაში, თუ ექსპერტმა მათი პროტესტი უარყო.

პროტესტის შეტანის ყველაზე გავრცელებული საფუძველია საპატენტო უწყების მიერ პატენტის გაცემაზე, გამოგონების აღწერილობაში, ფორმულაში, ნახაზებში შესწორებების შეტანაზე უარის თქმა, ასეთივე საფუძველია პატენტის გაცემა გამოგონების ფორმულის იმგვარი შინაარსით, რომელიც განმცხადებლის პრეტენზიას მისი მოქმედების საზღვრებისა და მოცულობის მიმართ არ ემთხვევა. მესამე პირებს უფლება აქვთ განმცხადებელს შეუდგონ ავტორობაზე, არ დაეთანხმონ გამოგონების საგნის ფორმულირებას, ამტკიცონ გამო-

გონების სიახლის, საგამომგონებლო შემოქმედების დონის უქონლობა და ა. შ.

საპატენტო ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრება თითქმის ყველა ქვეყანაშია დაშვებული, უარის შემთხვევაში კი — ორ ინსტანციაში მაინც. ინდოეთში საპატენტო უწყების გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნეს მხოლოდ ქვეყნის უმაღლეს სასამართლოში, კოლუმბიაში ექსპერტიზის გადაწყვეტილებაზე ერთადერთ სააპელაციო ინსტანციას წარმოადგენს საპატენტო უწყების საჩივრების განყოფილება. ავსტრალიაში, აშშ-ში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მეორე სააპელაციო ინსტანციის არაკეთილსაშუალო გადაწყვეტილებისა და გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებულია ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ორგანოში მიმართვის შესაძლებლობა.

გამოგონებათა განაცხადების შემოწმებითი სისტემის მქონე ქვეყნებში თავდაპირველად საჩივარი შეიტანება საპატენტო უწყებაში. ექსპერტიზის გადაწყვეტილების გადასინჯვა ზოგიერთ ქვეყანაში ტარდება, განაცხადის გამომკვლევი ექსპერტის მონაწილეობით. უმეტესი ქვეყნების საპატენტო უწყებებში არსებობს ექსპერტიზის გადაწყვეტილებაზე საჩივრების განხილვის სპეციალური ორგანო. აშშ-ში ეს არის სააპელაციო საბჭო; ავსტრალიაში, დანიაში, კოლუმბიაში, ნიდერლანდში, პერუში, შვეციაში — საპატენტო უწყების საჩივრების განყოფილება; ავსტრიაში და გერმანიაში საჩივარი თავდაპირველად განიხილება საპატენტო უწყების დარგობრივი განყოფილების მიერ.

საჩივარი საპატენტო უწყების გადაწყვეტილებაზე ზოგიერთ ქვეყანაში შეიტანება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ზოგიერთში კი — სასამართლოში. განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში, სადაც გამოგონებებზე მრავალრიცხოვანი განაცხადები შეაქვთ და ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრება ძალზე გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს, მოქმედებენ სპეციალური საპატენტო სასამართლოები. ასე მაგალითად, აშშ-ში განმცხადებელს, რომელმაც სააპელაციო საბჭოსაგან უარი მიიღო, გასაჩივრებისათვის ორი გზა აქვს. ეს გზებია საბაჟო და საპატენტო საქმეთა სააპელაციო სასამართლო ან კოლუმბიის ოლქის საოლქო სასამართლო. სააპელაციო სასამართლოში საჩივარი განიხილება საპატენტო — სასამართლოში მხოლოდ ადრე წარმოდგენილი მასალების საფუძველზე. ამ სასა-

მართლოს გადაწყვეტილება აუცილებელ დოკუმენტს წარმოადგენს საპატენტო უწყებისათვის და იგი შეიძლება ძალზე იშვიათად იქნეს გასაჩივრებული აშშ-ის მხოლოდ უმაღლეს სასამართლოში. კოლუმბიის საოლქო სასამართლოს ჩვეულებრივ, სამოქალაქო სარჩელი წარედგინება, და საქმე განიხილება ყველა იმ მტკიცების საფუძველზე, რაც საერთოდ არის დაშვებული სამოქალაქო დავის გადაწყვეტის შემთხვევაში. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება იპყვე ოლქის სააპელაციო სასამართლოში იქნეს გასაჩივრებული და იშვიათად ხდება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება აშშ-ის უმაღლეს სასამართლოში.

გერმანიაში, თუ გამოგონების განმცხადებელი ექსპერტიზის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, მას უფლება აქვს 1 თვის ვადაში, მისი მიღების დადგენილი მომენტიდან, საპატენტო უწყებაში გააგზავნოს განცხადება, რომელშიც მოტივირებულია მისი განზრახვა გასაჩივროს ექსპერტიზის გადაწყვეტილება. ამას „ფორმალურ საჩივარს“ უწოდებენ.

დიდ ბრიტანეთში პატენტებზე 1977 წლის კანონის თანახმად საპატენტო უწყების გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნეს აპელაციურ ორგანოში — საპატენტო სასამართლოში. გარკვეული პირობების შემთხვევაში მისი გადაწყვეტილება შეიძლება გადასინჯულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საფრანგეთში საპატენტო უწყების გადაწყვეტილება განაცხადოს უარყოფის შესახებ განიხილება მხოლოდ ერთ სასამართლო ორგანოში — სააპელაციო სასამართლოში.

რუსეთში პატენტის გაცემაზე უარის შემთხვევაში განმცხადებელს შეუძლია შეიტანოს შესაგებელი საპატენტო უწყების სააპელაციო პალატაში, რომელიც განხილულ უნდა იქნეს 4 თვის განმავლობაში მისი შეტანის თარიღიდან. თუ განმცხადებელი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებას, მისი მიღებიდან 6 თვის განმავლობაში შეუძლია გასაჩივროს უმაღლეს საპატენტო პალატაში.

საქართველოს დებულებით „გამოგონების შესახებ“, „დავებს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებასთან პატენტის გაცემაზე უარის თქმის, იძულებითი ლიცენზიების გაცემის თაობაზე, აგრეთვე გაცემული პატენტის ნაწილობრივ ან მთლიანად ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და დავას საზღვარგარეთ დაპატენტებაზე ან საზღვარგარეთის ფიზიკურ და

იურიდიულ პირთათვის გამოგონების გამოყენებაზე უფლების გადაცემის უარის თაობაზე, განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან არსებული საპატენტო სასამართლო.

ყველა სხვა დავა განიხილება საერთო სასამართლო წესით“.

გამოგონებათა განაცხადების შემოწმების განცხადებითი სისტემის მქონე ქვეყნებში გამოგონებათა დაპატენტების პროცესში საპატენტო დავა ძალზე იშვიათად წარმოიქმნება და ისინი, როგორც წესი, განიხილება საპატენტო უწყებებისაგან დამოუკიდებელი სპეციალური ადმინისტრაციული ორგანოების მიერ. იტალიაში ეს არის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს საჩივრების კომისია, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში — საპატენტო უწყების სპეციალური კომისია, ერაყში — ეკონომიკის მინისტრი. პირველი საპელაციონისტანციის არაკეთილსასურველი გადაწყვეტილება შეიძლება განმცხადებელმა გაასაჩივროს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, კერძოდ, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, იტალიაში — სახელმწიფო საბჭოში, ერაყში ეკონომიკის მინისტრის გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს მინისტრთა საბჭოში.

საპატენტო უწყებაში განაცხადის განხილვის დამამთავრებელ სტადიას წარმოადგენს პატენტის გაცემა.

თუ განაცხადის განხილვა დადებითი გადაწყვეტილებით დამთავრდება განმცხადებელი ვალდებულია კანონით დადგენილ ვადაში გადაიხადოს ბაჟი პატენტის გაცემისათვის. არგანდის შემთხვევაში იგულისხმება, რომ განმცხადებელმა დაკარგა ინტერესი გამოგონების მიმართ და პატენტი არ გაიცემა. ზოგიერთ ქვეყანაში დაშვებულია ბაჟის გადახდის დადგენილი ვადის გაგრძელება, თუ განმცხადებელი დაამტკიცებს, რომ მან ბაჟის გადახდის ვადას საპატიო მიზეზით გადააცილა. მაგალითად, აშშ-ში კანონით დაწესებულია 3 თვის ვადა ბაჟის სრულად გადახდისათვის. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 3 თვით, თუ განმცხადებელი წარმოადგენს მტკიცებას, რომელიც ამართლებს ბაჟის არადროულად გადახდას. ბაჟის გადახდის შემდეგ პატენტს ენიჭება ნომერი, მისი გაცემის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საპატენტო უწყების ბიულეტენში და განმცხადებელს ეგზავნება საპატენტო სიგელი. ყველა გაცემული პატენტი შეაქვთ სპეციალურ რეესტრში.

საქართველოს დებულებით „გამოგონების შესახებ“ გამოგონების

პატენტზე ბაჟის გადაუხდელობის გამო პატენტის ძალის დაკარგვის თაობაზე შემდეგი წესია დადგენილი:

„პატენტმფლობელის მიერ წლიური ბაჟის გადაუხდელობა იწვევს პატენტის ძალის დაკარგვას. არასაპატიო მიზეზის შემთხვევაში, თუკი ბაჟი გადახდილია 6 თვის ვადის გადაცილებით, პატენტი ძალაში რჩება დადგენილი საურავის გადახდის შემდეგ.

თუ პატენტმფლობელმა წლიური ბაჟი საპატიო მიზეზით არ გადახადა, მას უფლება აქვს აღძრას შუამდგომლობა პატენტის აღდგენის თაობაზე.

შუამდგომლობა აღძვრება 6 თვის განმავლობაში დადგენილი საშეღავათო ვადის გასვლის შემდეგ და გადაწყვეტილება აღდგენის შესახებ საპატენტო რეესტრში შეიტანება.

თუ პატენტის აღდგენის შესახებ დადებითი გადაწყვეტილება მიღებული პატენტიდან გამომდინარე უფლება იურიდიულ ძალას იძენს პატენტის აღდგენის თარიღიდან 6 თვის ვადაში წლიური ბაჟის და საურავის გადახდის შემდეგ. ამასთან, საურავი გადაუხდელო ბაჟის ოდენობის ტოლია.

პატენტი ძალას კარგავს „საქპატენტში“ პატენტმფლობელის მიერ საკუთარ პატენტზე წერილობითი უარის განცხადების შემთხვევაში.

პატენტი ძალადაკარგულად ითვლება პატენტმფლობელის უარის ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნების თარიღიდან“.

ზემოთ აღნიშნული დებულების მიხედვით პატენტის ძალის დაკარგვა-გაუქმება გათვალისწინებულია სხვა შემთხვევებშიც, რომელთა ჩამონათვალი აღმოცენებულია 66-ე მუხლში.

ინგლისური საპატენტო სამართლის სისტემის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში პატენტის გაცემას ეწოდება „პატენტის ბეჭდით დამოწმება“. სრული აღწერილობის პუბლიკაციის დღიდან დადგენილი ვადის განმავლობაში განმცხადებელმა საპატენტო უწყებაში უნდა შეიტანოს სპეციალური შუამდგომლობა „პატენტის ბეჭდით დამოწმებაზე“. ეს ვადა შეიძლება 3-დან 6 თვემდე გაგრძელდეს. დადგენილ ვადაში ძირითებული შუამდგომლობის არშეტანის შემთხვევაში განაცხადი კარგავს ძალას. იგი შეიძლება აღდგენილ იქნეს 6 თვის მანძილზე. თუ განმცხადებელი დაამტკიცებს, რომ ვადა გადაცილებული იყო მისგან დამოუკიდებელ ვითარებათა გამო.

პატენტი წარმოადგენს სიგელს. საპატენტო სიგელი შეიცავს გამოგონებას დასახელებას, ან პატენტის მფლობელის ვინაობას, გა-

მომგონებლის ვინაობას, პატენტის გაცემის თაჩრის, საპატენტო უფლებათა მოქმედების ვადას, პატენტის მფლობელისათვის მინიჭებულ უფლებათა მოკლე შინაარსს, საპატენტო უწყების ხელმძღვანელისა და სხვა თანამდებობის პირთა ხელმოწერას, აგრეთვე ბეჭდით და მოწმებას. საპატენტო სიგელი გაიცემა ერთ ეგზემპლარად, მიუხედავად პატენტის მფლობელთა რიცხვისა. საპატენტო სიგელის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში იგი შეიძლება შეიცვალოს დუბლიკატით.

ბევრ ქვეყანაში დაშვებულია საპატენტო აღწერილობასა და საპატენტო სიგელში შესწორებების შეტანა. ნებადართულია, როგორც წესი, განმცხადებლის თხოვნით, გამოგონების ფორმულის შეზღუდვა, ფორმულის ზოგიერთ პუნქტზე უარის თქმა. მაგალითად, გერმანიის საპატენტო კანონი ადგენს, რომ პატენტის მფლობელის განცხადებით შეიძლება გამოგონების ფორმულა შეიზღუდოს, ამასთან, შეზღუდვა მოქმედებს პატენტის ძალაში შესვლის მომენტიდან. პატენტის შეზღუდვისათვის აუცილებელია განცხადების შეტანა და ბაჟის გადახდა. თითქმის ყველა ქვეყანაში საპატენტო უფლებათა მოცულობის შეზღუდვა დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილებით.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პატენტში ცვლილებების შეტანის საკითხს იმ სახელმწიფოებში, სადაც განაცხადის მასალები პატენტის გაცემამდე არ ქვეყნდება (აშშ, კანადა და სხვა). აქ, საპატენტო სიგელებში და აღწერილობებშიც შეცდომები შედარებით ხშირად არის ხოლმე. ამიტომ აღნიშნული ქვეყნების კანონები დაწვრილებით არეგულირებენ ცვლილებათა შეტანის წესს და ადგენენ ცვლილებებისათვის საფუძვლის ამომწურავ ნუსხას.

აშშ-შიც და კანადაშიც საპატენტო უწყების ან პატენტის მფლობელის მიწეზით აღწერილობის დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში გათვალისწინებულია პატენტის ხელმოწერდ გაცემა. ამასთან, ეს ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ გამოვლენილი შეცდომები წარმოადგენს უყურადღებობის, გაუგებრობის შედეგს და შემცველი პატენტი არ შეიცავს თავდაპირველ აღწერილობაში გაუხსნელ მასალებს. ტექნიკური შეცდომები, ავტორების არასწორი მითითება, მაგალითად, აშშ-ში სწორდება სპეციალური მოწმობას გაცემის გზით. კანადაში, მაგალითად, არ დაიშვება გამომგონებლის ვინაობაში რაიმე

ცვლილების შეტანა. გამოგონების ავტორის არასწორი მითითება პატენტს უმოქმედოს ხდის.

იმ ქვეყნებში, სადაც აქცეპტირებული საპატენტო განაცხადები პატენტის გაცემამდე ქვეყნდება, შესწორებები გამოგონების აღწერილობაში და სხვა ცვლილებები განაცხადში, ჩვეულებრივ, ჯერ კიდევ პატენტის გაცემამდე შეიტანება. განმცხადებელი იღებს გამოქვეყნებული განაცხადის ასლს და შეუძლია საპატენტო უწყებას მოსთხოვოს დასაშვები ცვლილებების შეტანა, რის გამოც პატენტებში შეცდომები გაცილებით იშვიათად შეიმჩნევა. მაგალითად, ინგლისსა და იაპონიაში ნებადართულია ცვლილებათა შეტანა გამოქვეყნებულ აღწერილობაში, რომლებიც აშკარა შეცდომების გასასწორებლად, საპატენტო ფორმულის დასახვეწად, მის შესასწორებლად ან დასახუსტებლად არის მიმართული. არ დაიშვება ისეთი დებულებების შემცველი ცვლილებების შეტანა, რომლებიც თავდაპირველად წარდგენილ მასალებში არ იყო.

ქვეყნებში, სადაც პატენტების გაცემის განცხადებითი სისტემა არსებობს, როგორც წესი, არ დაიშვება ცვლილებების შეტანა პატენტში მისი მფლობელის ინიციატივით. განაცხადის მასალების ძირეული შემოწმების ჩაუტარებლობა უმეტეს შემთხვევაში უზაროს ხდის შესწორების შეტანას უკვე გაცემულ პატენტში. ამავე დროს ამ ქვეყნებში შესაძლებელია გამოგონების ფორმულის შეზღუდვა სასამართლოს გადაწყვეტილებით.

საქართველოში იმ დარგებისათვის, რომლებშიც სრული ექსპერტიზა ტარდება დადგენილია, რომ „ექსპერტიზის მსვლელობაში ნებადართულია განაცხადში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც გამოგონების საგანს არ გააფართოებენ და მის არსს არ შეცვლიან.

„საპატენტი“ აქვეყნებს ინფორმაციას გამოგონების შესახებ „საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში“. ამავე ბიულეტენში ქვეყნდება მონაცემები პატენტში ცვლილებათა შეტანისა და პატენტის ბათილად ცნობის (გაუქმების) შესახებ, აგრეთვე ყველა სახის ლიცენზიის გაცემის შესახებ“.

IV. პატენტი როგორც გამოგონების დაცვის ფორმა:

პატენტის ცნება; პატენტის მოქმედება სივრცეში და დროში; პატენტის მფლობელის უფლებები; პატენტის მფლობელის უფლებათა შეზღუდვა; პატენტის მფლობელის მოვალეობანი; პატენტის დარღვევა და დაცვა; პატენტის მოქმედების შეწყვეტა; სასამართლო დავა; საპატენტო დაცვის სახეები; სასარგებლო მოდელის უფლებრივი დაცვა.

საპატენტო უწყების დადებითი დასკვნა გამოგონების პატენტუნარიანობაზე მთავრდება დამცველი დოკუმენტის — პატენტის გაცემით.

გამოგონებისათვის პატენტი — ეს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს (საპატენტო უწყების) მიერ გაცემული უფლებრივი დოკუმენტია, რომელიც მის მფლობელს გამოგონებაზე განსაკუთრებულ უფლებას ანიჭებს.

პატენტის მოქმედების სფერო შეზღუდულია. იმ ქვეყნის ტერიტორიით, სადაც დაპატენტებული არის გამოგონება. ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც გამოგონება დაპატენტებული არაა, იგი შეიძლება ნებისმიერი პირის მიერ თავისუფლად იქნეს გამოყენებული. გამოგონების უფლებრივი დაცვისათვის რამდენიმე ქვეყანაში აუცილებელია მათთან პატენტების მიღება. თეორიულად, ერთი და იმავე გამოგონებაზე შეიძლება გაიცეს იმდენი პატენტი, რამდენ სახელმწიფოშიც არსებობს საპატენტო კანონმდებლობა.

ერთი და იმავე გამოგონებაზე სხვადასხვა ქვეყანაში გაცემული პატენტები ერთი მეორეზე დამოკიდებული არაა, რასაც ითვალისწინებს კიდევ მთელი რიგი ქვეყნების ეროვნულ საპატენტო კანონებში ასახული და საპატენტო საკითხებზე საერთაშორისო შეთანხმების პარაზის კონვენციის ერთ-ერთ მუხლით გათვალისწინებული დებულება, რომლის თანახმად „პატენტები, აგრეთვე განაცხადები, სადაც შეტანილია კავშირის მოქალაქის მიერ კავშირის წევრ სხვადასხვა ქვეყა-

ნაში, დამოუკიდებელია კავშირის შემადგენლობაში შემავალ ან არ-
შემავალ სხვა ქვეყნებში იმავე გამოგონებებზე მიღებული პატენტე-
ბისაგან“. ერთი და იმავე გამოგონებაზე სხვადასხვა ქვეყანაში პატენ-
ტი შეიძლება გაიცეს სხვადასხვა პირზე. ერთი ქვეყნის საპატენტო
უწყების ან სასამართლოს გადაწყვეტილება გავლენას არ ახდენს სხვა
ქვეყნების საპატენტო უწყების ან სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.
პატენტის გაუქმება ერთ ქვეყანაში, მაგალითად, სიახლის უქონლო-
ბით, არ იწვევს ამავე გამოგონებაზე სხვა სახელმწიფოებში პატენტის
გაუქმებას.

ამ საერთო წესებიდან არსებობს ცალკეული გამონაკლისი. მაგა-
ლითად, ინდოეთის პატენტების მოქმედება ვრცელდება ბირმის ტე-
რიტორიაზე, შვეიცარიისა — ლიხტენშტაინის ტერიტორიაზე. რო-
გორც უკვე აღინიშნა, აფრიკა-მალაგასის კავშირის ქვეყნებში გაიცემა
ერთიანი პატენტი, რომელიც კავშირის ყველა წევრი ქვეყნის ტერი-
ტორიაზე მოქმედებს.

პატენტის მოქმედების სხვა შეზღუდვას წარმოადგენს მისი სასწრა-
ფო ხასიათი. ვადა, რომლის დროსაც სხვადასხვა ქვეყანაში პატენტი
გაიცემა, სხვადასხვაა და მერყეობს 3-დან 20 წლამდე. უფრო გავრცე-
ლებულია 15—20 წელი. მთელ რიგ ქვეყნებში პატენტი შეიძლება
გაიცეს სხვადასხვა ვადით. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, არგენ-
ტინაში პატენტი განმცხადებლის სურვილით შეიძლება გაცემულ
იქნეს 5, 10 ან 15 წლით, ვენესუელაში — 5 წლით ან 10 წლით,
ხოლო ეკვადორში — 3, 6, 9, 12 წლით. თუმცა უმეტეს ქვეყნებში
კანონი ითვალისწინებს პატენტის მოქმედების მხოლოდ ერთ ვადას.

საწყისი მომენტი, რომლითაც პატენტის მოქმედების ვადის ათვლა
იწყება, სხვადასხვა ქვეყანაში ერთნაირი არაა. უმეტეს ქვეყნებში პა-
ტენტი ძალაში შედის განაცხადის შეტანის დღიდან. ინდოეთში და
ინგლისური საპატენტო სამართლის მქონე სხვა ქვეყნებში — სრული
საპატენტო აღწერილობის შეტანის მომენტიდან; ავსტრიაში — აქცეპ-
ტირებული განაცხადის პუბლიკაციის მომენტიდან, აშშ-ში, კანადა-
ში, ესპანეთში და სხვა ქვეყნებში მისი გაცემის მომენტიდან, რუსე-
თის ფედერაცია და საქართველოში გამოგონებაზე სწორად გაფორ-
მებული განაცხადის შეტანის დღიდან და ა. შ.

გაცილებით ხელსაყრელ პირობებში იმყოფება იმ ქვეყნის პატენ-
ტის მფლობელი, სადაც პატენტის მოქმედების იმავე ვადის პირობებ-
ში იგი ძალაში შედის. მოგვიანებით, სახელდობრ, მისი გაცემის თა-

რილიდან, რამდენადაც გამოგონებათა დაპატენტების შემოწმებითი სისტემის შემთხვევაში განაცხადი საპატენტო უწყებაში განხილვის მიზნით, წლობით ყოვნდება ხოლმე, რაც მნიშვნელოვნად ამოკლებს პატენტის მოქმედების რეალურ ვადას, თუ იგი ძალაში შედის განაცხადის შეტანის თარიღიდან.

ინგლისური საპატენტო სისტემის მქონე მთელ რიგ ქვეყნებში დაიშვება პატენტის ვადის გაგრძელება. ამ ქვეყნების საპატენტო კანონებით დადგენილია ვადის გაგრძელების ორი ვარიანტი: 5 და 10 წელი. ვადის გაგრძელების საფუძველია გამოგონების გამოყენებით საკმარისი მოგების მიუღებლობა. პატენტის მოქმედების ვადის გაგრძელება უმეტესად ხდებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რადგან ამ პერიოდში გამოგონებათა გამოყენებას ხელი შეუშალა სამხედრო მოქმედებებმა. ამჟამად ვადის გაგრძელება უკვე იშვიათად ხდება, რადგანაც პატენტების დიდი ნაწილი დადგენილ ვადაზე ვერ ინარჩუნებს „სიცოცხლისუნარიანობას“, რაც გამოწვეულია მისი გამოგონების არსის მოძველებით.

პატენტი მის მფლობელს აძლევს დაპატენტებული ობიექტის გამოყენების მონოპოლიურ უფლებას. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ პატენტის მფლობელს შეუძლია დაამზადოს, გაყიდოს, რეკლამა გაუწიოს, საზღვარგარეთიდან შემოიტანოს და განახორციელოს გამოგონების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებანი. მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების საპატენტო კანონები, როგორც წესი, შეიცავენ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ პატენტის მფლობელთა უფლების შინაარსს. გერმანიის საპატენტო კანონში აღნიშნულია, რომ პატენტის მოქმედება განისაზღვრება იმით, რომ მხოლოდ პატენტის მფლობელს აქვს უფლება დაამზადოს სამრეწველო წესით გამოგონების საგანი, გაუშვას იგი ბრუნვაში, გაყიდოს ან გამოიყენოს. თუ პატენტი გაცემულია დამზადების ხერხზე, მაშინ მისი მოქმედება ვრცელდება ნაკეთობაზეც, რომელიც დამზადებულია უშუალოდ ამ ხერხით.

მთელ რიგ ქვეყნებში (საფრანგეთი, აშშ, კანადა, კოლუმბია და სხვა) პატენტის მფლობელის უფლება დგინდება მესამე პირთათვის კანონით განსაზღვრული მოქმედების აკრძალვის გზით. მაგალითად, საფრანგეთის საპატენტო კანონით დადგენილია, რომ პატენტით მოცემული განსაკუთრებული უფლება ნიშნავს ნებისმიერი მესამე პირისათვის დაპატენტებული გამოგონების გამოყენების აკრძალვას, იქვე

მითითებულია სახელდობრ, თუ რა ხასიათის მოქმედების უფლება არა აქვს მესამე პირს პატენტის მფლობელის თანხმობის გარეშე, ეს მოქმედებებია: დამზადება, გამოყენება, შემოტანა, დაპატენტებული ობიექტის გაყიდვის შეთავაზება ან ნებისმიერი სხვა ფორმით მისი სავაჭრო ბრუნვაში ჩართვა.

აღნიშნულ მოქმედებათა განსაზღვრის საშუალებისაგან დამოუკიდებლად, თითქმის ყველა ქვეყანაში პატენტის მფლობელის განსაკუთრებული უფლების შინაარსს წარმოადგენს, ერთი მხრივ, გამოგონების გამოყენების უფლება, მეორე მხრივ — ყველა დანარჩენი პირისათვის ასეთი ქმედების შესრულების აკრძალვის უფლება.

პატენტის მფლობელის უფლების განსაკუთრებული ხასიათი აახლოებს მას საკუთრების უფლებასთან.

პატენტის მფლობელს შეუძლია დამოუკიდებლად გამოიყენოს გამოგონება სამრეწველო წარმოებისა და პატენტით დაცული ნაკეთობის გაყიდვის გზით ან კიდევ დაუთმოს ეს უფლება სხვა დაინტერესებულ პირებს. უფლებათა დათმობა ხორციელდება ე. წ. სალიცენზიო შეთანხმების ან ლიცენზიის გზით.

სალიცენზიო შეთანხმებით პატენტის მფლობელი გამოდის გამყიდველის როლში, რომელსაც ეწოდება ლიცენზიარი. იგი მყიდველს, ლიცენზიატად წოდებულს, გარკვეული გასამრჩელოთი და შეთანხმებით დადგენილ ფარგლებში აძლევს გამოგონების გამოყენების უფლებას.

პატენტიდან გამომდინარე, მონოპოლიური უფლება მართალია განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნება, მაგრამ მას, ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობითა და საერთაშორისო კონვენციებით დადგენილი აქვს გარკვეული საზღვრები. მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებებისა და უპირველეს ყოვლისა პარიზის კონვენციის, აგრეთვე მსოფლიოს უმეტესი ქვეყნის საპატენტო კანონების თანახმად, პატენტის მფლობელის უფლებები შეიძლება იყოს შეზღუდული, მაშინ როცა შესაძლებელია: მესამე პირისათვის წინათსარგებლობის უფლების აღიარება; მესამე პირისათვის შემდგომსარგებლობის უფლების აღიარება; პატენტის მოქმედების ტერიტორიაზე დროებით არსებული დაპატენტებული ობიექტების გამოყენება, რომლებიც ტრანსპორტის საშუალებათა ნაწილს წარმოადგენენ; გამოგონების საგნის გამოყენება პირადი მიზნებისათვის ან მეცნიერული ექს-

პერამენტის ჩატარება; გამოგონების გამოყენება სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

წინათსარგებლობის უფლების არსია ის, რომ პატენტის მფლობელს მიერ განაცხადის შეტანამდე პირმა, რომელიც გამოგონებას იყენებდა იმ ტერიტორიაზე, სადაც გამოგონება პატენტდება ან ყველა აუცილებელი პირობა შეასრულა მისი მომზადებისათვის, შეუძლია გამოგონების ექსპლოატაცია გააგრძელოს სხვა პირისთვის პატენტის გაცემის შემდეგაც. მაგალითად, ავსტრიის საპატენტო კანონი აღგენს, რომ „პატენტი არ მოქმედებს იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც საპატენტო განაცხადის შეტანის დროს კეთილსინდისიერად იყენებდა გამოგონებას მოცემულ ქვეყანაში ან გადადგა აუცილებელი ნაბიჯები ასეთი გამოყენებისათვის“. მაშასადამე, წინათსარგებლობის უფლების ძალით — პირი, რომელმაც გამოგონების ფაქტობრივ გამოყენება განაცხადის შეტანამდე დაიწყო, უფლებრივად დაცულია და პატენტის მფლობელის უფლება მასზე არ ვრცელდება.

კანონები აუცილებელი პირობის სახით აღგენენ წინათსარგებლობის უფლების წარმოქმნას და პიროვნების კეთილსინდისიერებას გამოგონების გამოყენების საქმეში. მაგალითად, ნიდერლანდის საპატენტო კანონი ითვალისწინებს, რომ წინათსარგებლობის უფლება „მოქმედებს იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა პირმა ცნობები ისესხა იქიდან, რაც უკვე დამზადებული ან გამოყენებული იყო განმცხადებლის მიერ, ან განმცხადებლის აღწერილობიდან, ნახაზებიდან, მოდელებიდან“; საქართველოს დებულების „გამოგონების შესახებ“ თანახმად — „თუ რომელიმე პირი გამოგონებაზე განაცხადის შეტანის თარიღისათვის კეთილსინდისიერად სარგებლობდა ამ გამოგონებით ან განახორციელა სამზადისი მისი გამოყენებისათვის, მას უფლება აქვს ინდივიდუალურად გამოიყენოს გამოგონება პატენტის მოქმედების მიუხედავად (წინათსარგებლობის უფლება)“. წინათსარგებლობის უფლება ყველაზე ხშირად წარმოიქმნება ცალკეული ფირმების ან გამომგონებლების მიერ ერთი და იმავე პრობლემის პარალელური დამუშავების შემთხვევაში.

ნებისმიერ ფიზიკური ან იურიდიულ პირს, ვისაც წინათსარგებლობის უფლება აქვს, შეუძლია ექსპლოატაცია გაუწიოს გამოგონებას თავის საწარმოში და სხვა პირთა საწარმოებშიც, მაგრამ მხოლოდ საკუთარი საქმის მიზნებისათვის. წინათსარგებლობის უფლება შეიძლება გაყიდული ან გადაცემული იქნეს მემკვიდრეობით საწარმოს-

თან ერთად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს უფლება არ შეიძლება დამოუკიდებელი გარიგების ობიექტი იყოს (ლიცენზია ან გასხვისება).

კონვენციური განაცხადის შეტანის შემთხვევაში წინათსარგებლობის უფლება წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როცა გამოგონების გამოყენება დაწყებული იყო მესამე პირის მიერ თავდაპირველი განაცხადის შეტანამდე. გამოგონების გამოყენება პირველი განაცხადის შეტანის მომენტიდან კონვენციური განაცხადის შეტანამდე წინათსარგებლობის უფლების წარმოქმნისათვის საფუძველს არ წარმოადგენს. ეს დადგენილება შეტანილი იყო პარიზის კონვენციის ტექსტში ლონდონის კონფერენციაზე. ამრიგად, კონვენციური პრიორიტეტი ზღუდავს წინათსარგებლობის უფლებას. მთელ რიგ ქვეყნებში წინათსარგებლელ თავისი უფლების დასადასტურებლად იღებს მოწმობას, რომელიც მის სახელზე საპატენტო უწყების ან პატენტის მფლობელის მიერ გაცემა. იაპონიაში, შვეციასა და სხვა ქვეყნებში წინათსარგებლელს უფლება აქვს უბრალო უსასყიდლო ლიცენზიაზე.

წინა გამოყენება წარმოადგენს წინათსარგებლობის უფლების წარმოქმნის საფუძველს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სიახლეს აბათილებს და ხელს არ უშლის პატენტის გაცემას.

წინათსარგებლობის უფლება აღიარებულია მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც გამოგონების პრიორიტეტი საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანის თარიღიდან დგინდება, ამიტომ აღნიშნული ინსტიტუტი არა აქვთ აშშ-სა და კანადაში, სადაც გამოგონების პრიორიტეტზე შეიძლება დადგინდეს გამოგონების შექმნის თარიღით.

შემდგომსარგებლობის უფლება არსებობს იმ ქვეყნებში, სადაც შესაძლებელია პატენტის აღდგენა, ბაჟის გადაუხდელობის გამო მისი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ. ეს უფლება ეძლევა იმ პირს, რომელიც გამოგონების გამოყენებას პატენტის გაუქმების შემდეგ შეუდგა ან ამისათვის ჩაატარა არსებითი მოსამზადებელი სამუშაო. უმეტეს ქვეყნებში შემდგომ სარგებლობის უფლება რეგულირდება იმავე სახით, როგორც წინათსარგებლობის უფლება. ზოგჯერ მისი მოპოვება საყიდლიან საწყისებზე ხდება.

სატრანსპორტო საშუალებებზე გამოგონებათა გამოყენებამ ასახვა პოვა პარიზის კონვენციაში, რომლის დებულებებიც, თავის მხრივ, გავრცელდა კონვენციის მონაწილე ქვეყნების საპატენტო კანონებში. მისი ძალით ნებადართულია დაპატენტებული ობიექტების გამოყენ-

ნება საზღვაო, საჰაერო და მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებში თვით ტრანსპორტის ან მისი მოწყობილობის კონსტრუქციის ელემენტის სახით, როცა ეს საშუალებები დროებით ან შემთხვევით იმყოფებიან იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც ეს პატენტი მოქმედებს. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში დაპატენტებული ობიექტის გამოყენება სატრანსპორტო საშუალებებში კვალიფიცირებული იქნება, როგორც პატენტის დარღვევა.

გამოგონების გამოყენება პირადი მიზნების ან მეცნიერული ექსპერიმენტისათვის წარმოადგენს გამოგონების საგნის გამოყენებას არაკომერციული მიზნებისათვის, ე. ი. არა რეწვის სახით. მაგალითად, მექსიკაში კანონით მესამე პირების მიერ დაპატენტებული გამოგონების გამოყენება „სწავლების, მეცნიერული ან ტექნოლოგიური გამოკვლევების, ექსპერიმენტის ან გამოცდილების, ამ მიზნებისათვის ნაკეთობათა დამზადება, ხერხის ან ნივთიერების გამოყენება“ პატენტის დარღვევად არ ითვლება. საფრანგეთის საპატენტო სამართლით „პირადი ან ოჯახური საჭიროებისათვის ან ექსპერიმენტის მიზნით შესრულებულ აქტებს“ ასევე არ მოსდევს პატენტის დარღვევა. ანალოგიურ ნორმებს შეიცავს სხვა ქვეყნის საპატენტო კანონები.

საქართველოს დებულებით „გამოგონების შესახებ“, პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ ითვლება:

ა) კერძო წესით პირადი სარგებლობისათვის გამოგონების გამოყენება, როდესაც ამგვარი ქმედება ისახავს კომერციულ მიზნებს;

ბ) გამოგონების ექსპერიმენტში გამოყენება;

გ) გამოგონების რომელიმე ქვეყნის სატრანსპორტო საშუალებაზე გამოყენება, მათი საქართველოს ტერიტორიაზე შემთხვევით ან დროებით ყოფნის დროს, თუ იგივე შეღავათები საქართველოსთვისაც გარანტირებულია შესაბამისი სახელმწიფოს მიერ.

ამ დროს გამოგონება უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ამ საზღვაო ხომალდზე, საფრენ ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე და არა მეწარმეობისათვის;

დ) გამოგონების გამოყენება სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ეპიდემიისა და სხვაგვარი საგანგებო ვითარების დროს“.

სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით გამოგონების გამოყენების არსი ასეთია: თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს პატენტის მფლობელის უფლებათა შეზღუდვას სახელმწიფოს ინტერესებით. შეზღუდვა შეიძლება გამოიხატოს სხვადა-

სხვა ფორმით — პატენტის კონფისკაციიდან უბრალო იძულებით ლიცენზიამდე.

ჩვეულებრივ, სახელმწიფოს აქვს იძულებითი ლიცენზიის უფლება ქვეყანაში გაცემულ ნებისმიერ პატენტზე, ხოლო გარკვეული პირობების შემთხვევაში შეუძლია პატენტი ან საპატენტო განაცხადი გააუქმოს.

მაგალითად, გერმანიის საპატენტო კანონი ადგენს: პატენტს არავითარი ეფექტი არა აქვს; თუ ფედერალური მთავრობა აწესებს, რომ გამოგონება გამოყენებულ უნდა იქნეს საერთო კეთილდღეობის ინტერესებისათვის. ინგლისის საპატენტო კანონი სახელმწიფოს უფლებას აძლევს ნებისმიერი გამოგონება გამოიყენოს „გვირგვინის საჭიროებისათვის“, განმცხადებლებისათვის რაიმე გასამრჯელოს გაცემის გარეშე. ამასთან, ცნება „გვირგვინის საჭიროებისათვის“ განმარტებულია ძალზე ფართოდ. იგი შეიცავს გამოგონების გამოყენებას სამხედრო მიზნებისათვის, მის გამოყენებას სახელმწიფო საწარმოებში, სხვა ქვეყნისათვის მიყიდვას და ა. შ.

საქართველოს დებულებით „გამოგონების შესახებ“ — იმ შემთხვევაში, თუ დაპატენტებული გამოგონება არასაკმარისად არის გამოყენებული ან მას არ იყენებენ საქართველოს ტერიტორიაზე, „საპატენტს“ საპატენტო სიგელის გაცემის თარიღიდან 4 წლის შემდეგ უფლება აქვს გასცეს ლიცენზია ამ პირზე (იძულებითი ლიცენზია).

იძულებითი ლიცენზია გაიცემა მხოლოდ ფარდი ანაზღაურების პირობით.

იძულებითი ლიცენზია გაიცემა, თუ:

ა) მოთხოვნილება დაპატენტებული გამოგონების გამოყენებაზე არ კმაყოფილდება

ბ) გამოგონების გამოყენება ფერხდება და დამოკიდებულია ადრე გაცემული მოქმედი პატენტისაგან.

გ) პატენტმფლობელი ნებაყოფლობით არ იძლევა ლიცენზიას სამართლიანი პირობებით.

სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს უფლება აქვს მოახდინოს ნებისმიერი პატენტის იძულებითი ლიცენზირება“.

უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული იძულებითი ლიცენზირების რეჟიმზე არ ვრცელდება ოთხწლიანი ვადა; ამავე დებულების თანახმად საქართველოში „ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესები-

დან გამოდინარე, იმ პატენტების მიმართ, რომლებიც გაცემულია ფარმაცევტულ პრეპარატებზე, ამ პრეპარატების მიღების ხერხებზე, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ოფიციალური ლიცენზირების რეჟიმი, იმ შემთხვევაში, თუ ეს პრეპარატი მომხმარებელს მიეწოდება არასაკმარისად ან დაბალი ხარისხისა ან გაუმართლებლად ძვირი ღირს, ხოლო მკურნალობისა და დიაგნოსტიკის ხერხების, აგრეთვე საშუალებების გამოყენებლობა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას“.

სახელმწიფოს სასარგებლოდ იძულებითი ლიცენზირებას და კონფისკაციას, ჩვეულებრივ, ის გამოგონებები ექვემდებარება, რომელთა ნიშნით წარმოიქმნება ე. წ. საზოგადოებრივი ინტერესი.

როგორც წესი, უმეტეს ქვეყნებში ნებისმიერი გამოგონება შეიძლება იყოს ჩამორთმეული ან გამოყენებული აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ „საზოგადოებრივი ინტერესების“ მოტივით. ეს განსაკუთრებით ეხება სამხედრო მიზნით გამოყენებულ გამოგონებებს, ჯანმრთელობის დაცვის და კვების მრეწველობის სფეროს, აგრეთვე ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვან გამოგონებებს.

იმ გამოგონებების საიდუმლოდ შენახვას, რომლებიც შეიძლება სამხედრო მრეწველობაში იქნეს გამოყენებული, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ასეთ გამოგონებებს, ჩვეულებრივ, რეკვიზიციას უკეთებენ საპატენტო უწყებაში ჯერ კიდევ მათი განხილვის სტადიაში. კერძო პირების მიერ შეტანილი ყველა განაცხადი მოწმდება საპატენტო უწყების ექსპერტების მიერ ქვეყნის „უსაფრთხოების“ ინტერესების თვალსაზრისით: თუ აღმოჩნდება, რომ გამოგონებას სამხედრო მრეწველობისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს, პატენტის გაცემაზე ან საერთოდ უარს ამბობენ ან მისი გაცემა გადაიდება განუსაზღვრელი ვადით. მაგალითად, საფრანგეთში საპატენტო უწყებას უფლება აქვს თითოეული განაცხადი გაგზავნოს ეროვნული თავდაცვის სამინისტროში. თუ სამინისტრო მიიჩნევს, რომ საჭიროა გამოგონების საიდუმლოდ შენახვა, განმცხადებელს ფაქტობრივად ჩამოერთმევა უფლება მასზე და შეუძლია სანაცვლოდ მხოლოდ ე. წ. „გონივრული კომპენსაცია“ მოითხოვოს. თუ გამოგონება სამხედრო ტექნიკის სფეროს მიეკუთვნება და მაინც ქვეყანაში დაპატენტებული აღმოჩნდა, სახელმწიფო იღებს უფლებას მის გამოყენებაზე, აგრეთვე საზღვარგარეთ დაპატენტებაზე. ამავე მიზნებს ემსა-

ხურება ბევრ ქვეყანაში მოქმედი წესები, რომელთა თანახმად შეზღუდულია უფლება განაცხადის საზღვარგარეთ შეტანაზე. განმცხადებელს უფლება არა აქვს ქვეყანაში განაცხადოს შეტანის შემდეგ კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში იგი დაპატენტებისათვის საზღვარგარეთ გააგზავნოს.

ბევრ ქვეყანაში არსებობს პატენტების მფლობელთა უფლებების შეზღუდვა მედიკამენტებზე, ავადმყოფთა მკურნალობის ხერხებზე, საკვებ პროდუქტებზე და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან სხვა გამოგონებებზე. საფრანგეთში, სამრეწველო საკუთრების ეროვნული ინსტიტუტის დირექტორს შეუძლია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შუამდგომლობით იძულებითი ლიცენზია ფართო გამოყენებისათვის რეკომენდებულ მედიკამენტზე, როცა ისინი ბაზარზე არასაკმარისი ოდენობით ან მომატებული ფასებით შემოდის, გადასცეს მესამე მხარეს. ამგვარ ნორმებს შეიცავს მექსიკისა და სხვა ქვეყნების კანონებიც.

დაბოლოს, ნებისმიერ გამოგონებაზე უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები დაადგენენ, რომ პატენტის მფლობელს არ შეუძლია უზრუნველყოს გამოგონების საგანზე მოთხოვნა ან ბოროტად იყენებს თავის უფლებებს.

იძულებითი ლიცენზიის არსი სწორედ იმას გულისხმობს, რომ უმეტესი ქვეყნების საპატენტო კანონები პატენტის მფლობელს მოვალეობას აკისრებენ თავისი გამოგონება პატენტის გაცემის მომენტიდან გარკვეული ვადის განმავლობაში (ჩვეულებრივ, არანაკლებ 3 წელი) განახორციელოს. თუ პატენტის მფლობელი ამ მოვალეობას არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს, მაშინ კომპეტენტური ორგანო დანტერესებული პირების განცხადებით მათ, პატენტის მფლობელის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, ანიჭებს უფლებას დაპატენტებული გამოგონების გამოყენებაზე, რისთვისაც ამ პირებმა პატენტის მფლობელისათვის გარკვეული გასამრჯელო უნდა გადაიხადონ.

აღნიშნული წესი შემოღებული იყო სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის წევრი ქვეყნებისათვის საპატენტო სამართალში იმ მიზნით, რომ იგი, როგორც ხელშემწყობი ღონისძიება, მიემართათ დაპატენტებული ტექნიკური გადაწყვეტის გამოსაყენებლად. ხშირ შემთხვევაში პატენტის მფლობელი არ ცდილობს წარმოება იმ ქვეყანაში განახორციელოს, სადაც გაცემულია პატენტი. ამიტომ ის საქონელი, რომელშიც გამოყენებულია მის მიერვე და-

პატენტებული გამოგონება, შეაქვს სხვა ქვეყანაში და ყველა დანაზრუნის აკრძალული აქვს გამოუშვას პროდუქცია ამ დაპატენტებული გამოგონების გამოყენებით. ზოგჯერ პროდუქციის საჭიროება ფაქტობრივთან შედარებით მეტია. ზოგიერთ შემთხვევაში კი ყოველივე ეს ეწინააღმდეგება ადგილობრივი ფირმებისა და პირების ინტერესებს.

ჩვენი მხრივ, უნდა დავასყვანათ, რომ თითოეულ ცალკე შემთხვევაში იძულებითი ლიცენზიის ეს ობიექტურად გამოწვეული „იძულებითი წესი“ არ შეიძლება გამომგონებელთა ინტერესების წინააღმდეგ იქნეს მიმართული.

უმეტეს ქვეყნებში პატენტის მფლობელს ეკისრება ორი ძირითადი მოვალეობა — გადაიხადოს საპატენტო ბაჟები და პრაქტიკულად განახორციელოს დაპატენტებული გამოგონება. ამ მოვალეობათა შეუსრულებლობას პატენტის მფლობელისათვის მოაქვს უარყოფითი შედეგები, რომელთა შორის ყველაზე მძიმე პატენტის ძალის დაკარგვაა.

საპატენტო ბაჟის გადახდა ხდება დამცველი დოკუმენტის მოქმედების მთელი ვადის მანძილზე. სხვადასხვა ქვეყანაში დადგენილია ბაჟის გადახდის სხვადასხვა ოდენობა, ვადები და წესი.

უმეტეს სახელმწიფოებში საპატენტო ბაჟს ყოველწლიურად იხდიან და მისი ოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. ზოგჯერ პატენტის მოქმედებას ბოლო წელს გადახდილი ბაჟის ოდენობა ათჯერ აჭარბებს პირველი წლისათვის გადახდილს.

საპატენტო ბაჟის პროგრესული ხასიათი მიმართულია იქითკენ, რომ შემცირდეს ეკონომიკურად უმნიშვნელო პატენტების მოქმედებას ვადა. თუ დაპატენტებული გამოგონება არ გამოიყენება, პატენტის მფლობელისათვის ხელსაყრელი არ არის იხადოს დიდი ოდენობის ბაჟები და, ბუნებრივია, იგი უარს იტყვის პატენტზე. პატენტის დაცვას სრული მოქმედების მანძილზე მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ გამოგონების გამოყენებას სარგებლობა მოაქვს.

ბაჟის ოდენობა პატენტის ძალაში დატოვებისათვის ს სხვადასხვა ქვეყანაში ერთნაირი არ არის. მათი ოდენობის დადგენა ხშირად განპირობებულია სახელმწიფოს საშინაო საპატენტო პოლიტიკით, აგრეთვე უცხოურ ტექნოლოგიაზე ან ვალუტაზე მოთხოვნილებით და სხვა მიზეზებით.

ზოგიერთ ქვეყანაში ბაჟი გადაიხდება ყოველწლიურად ცრავი,

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, პორტუგალია, ფილიპინები, გვატემალა, ჰონდურასი, სალვადორი და სხვა). ქვეყნების შედარებით მცირე ნაწილში ბაჟის გადახდის ინტერვალს შეადგენს არა ერთი, არამედ 5 წელი (მაგალითად, ირანი, ისლანდია, ბოლივია); 4 წელია იორდანიაში; 3 — ახალ ზელანდიაში.

არსებობს ბაჟის გადახდის სხვა საშუალებები. მაგალითად, არგენტინაში პატენტის მოქმედების მთლიანი ვადის განმავლობაში გადასახდელი ბაჟის 50% შეიტანება განაცხადის შეტანის დროს, დარჩენილი თანხა გადაიხდება ყოველ წელს თანაბარ ნაწილებად. განცხადებელს შეუძლია გადაიხადოს მთლიანი ბაჟი განაცხადის შეტანის დროს, ამასთან ასეთ შემთხვევაში მას ეძლევა შეღავათი საერთო თანხის ნახევრის 6%-ის ოდენობით.

უმეტეს ქვეყნებში წლიური ბაჟები გადაიხდება პატენტის მოქმედების პირველივე წლიდან. თუმცა მთელ რიგ ქვეყნებში პირველი ბაჟი შეაქვთ მე-2, მე-3, მე-4 ან მე-5 წლიდანაც. მაგალითად, ფილიპინებში, პაკისტანში, ირლანდიაში, შრი-ლანკაში ბაჟი გადაიხდება პატენტის მოქმედების მე-5 წლიდან; სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ბრაზილიაში, გერმანიაში, ნორვეგიაში — მე-3 წლიდან, ავსტრიაში, საბერძნეთში, ვენესუელაში, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში — მე-2 წლიდან. იაპონიაში და ავსტრიაში ბაჟის გადახდის ვადა იწყება შემოწმებული განაცხადის პუბლიკაციის დღიდან, რადგან ამ მომენტიდან განისაზღვრება პატენტის ძალაში შესვლა. საკმაოდ ბევრ ქვეყანაში ბაჟი გადაიხდება წინასწარ.

წლიური ბაჟის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, როგორც წესი, ეს ვადა გრძელდება, გადავადების ხანგრძლივობა მერყეობს 2-დან (პორტუგალია, ერაყი) 12 თვემდე (ლუქსემბურგი, თურქეთი). უფრო გავრცელებულია 3-დან 6 თვით გადავადება. გადავადებისათვის, ჩვეულებრივ, გადასახდელია გარკვეული თანხა.

ზოგიერთ ქვეყანაში (არგენტინა, ვენესუელა, გვატემალა, სალვადორი და სხვა) გადავადება ნებადართული არაა და წლიური ბაჟის დადგენილ ვადაში გადაუხდელობა იწვევს პატენტის მოქმედების შეწყვეტას.

ცალკეულ სახელმწიფოებში წლიური საპატენტო ბაჟები შეიძლება გადავადებულ იქნეს განუსაზღვრელი ვადით ან კიდევ შემცირდეს ბაჟის ოდენობა, პატენტის მფლობელის რთული მატერიალური მდგომარეობის გამო. ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს გერმა-

ნის, იაპონიის, იტალიის, შვეციისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მიერ დადგენილი წესები. მაგალითად, იტალიის საპატენტო კანონით გამოგონებელს, რომელიც თავის რთულ მატერიალურ მდგომარეობას დაადასტურებს, შეუძლია მიიღოს გადავადება წლიური ბაჟის გადახდაზე პირველი ხუთი წლის პერიოდისათვის. 5 წლის გასვლის შემდეგ მან უნდა შეიტანოს ყველა გამოტოვებული ბაჟი და ბაჟი პატენტის მოქმედების მე-6 წლისათვის, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში პატენტი ძალას კარგავს.

ამავე დროს საკმაოდაა ისეთი ქვეყნები, სადაც ბაჟს პატენტის ძალაში დატოვებისათვის, საერთოდ, არ ახდევინებენ. პატენტის გაცემის შემთხვევაში გადაიხდება ე. წ. დამამთავრებელი ბაჟი და პატენტის მფლობელი დამცველი დოკუმენტის მოქმედების პერიოდში ყოველგვარი დაბეგვისაგან თავისუფლდება. ქვეყნების ამ ჯგუფში შედიან აშშ, კანადა, კოლუმბია, პარაგვაი, პანამა, ჰაიტი, ლომინიკელთა რესპუბლიკა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო.

ყველა ქვეყნის საპატენტო კანონი აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის გამოკლებით (არგენტინა, კოლუმბია და სხვა). პატენტის მფლობელს აკისრებს დაპატენტებული გამოგონების განხორციელების მოვალეობას. გამოგონების სავალდებულო განხორციელების მოვალეობათა ურთიერთდამოკიდებულების რეგულირების ნორმები სხვადასხვა ქვეყანაში ფრიად სხვადასხვაგვარია, მაგრამ არსებობს ზოგიერთი საერთო დებულებაც. გამოგონების განხორციელება გულისხმობს მოცემულ ქვეყანაში გამოგონების განუწყვეტელ გამოყენებას საგნის დამზადებისა და გაყიდვის გზით.

პატენტის მფლობელს შეუძლია თვითონ დაამზადოს გამოგონების საგანი, გამოიყენოს იგი თავის საწარმოებში და განახორციელოს მისი გაყიდვა. ამასთან ერთად მას შეუძლია სალიცენზიო შეთანხმების საფუძველზე გამოგონების წარმოებასა და გაყიდვაზე გასცეს საკუთარი უფლება. კანონის თვალსაზრისით სულერთია ვინ გამოიყენებს გამოგონებას; მნიშვნელოვანია ის, რომ მისი საგანი დამზადდეს იმ მოცულობით, რომელიც შეესატყვისება საშინაო ბაზრის მოთხოვნებს. ამასთან დაკავშირებით ბევრ ქვეყანაში განუხორციელებლობის ტოლფასია გამოგონების გამოყენება ისეთი მასშტაბით, რომელიც არ პასუხობს ქვეყნის მოთხოვნებს, ამასთან, დაუშვებელია გამოგონების საგნის გაყიდვა ძალზე ძვირად და პატენტით მინიჭებული სხვა განსაკუთრებული უფლებების ბოროტად გამოყენება. დაპატენტებული

გამოგონების საფუძველზე დამზადებული ნივთების იმპორტი მისი სათანადოდ განხორციელების სახედ არ განიხილება. თუმცა ზოგიერთი არასაკმარისი საშინაო ბაზრის მქონე ქვეყნის კანონები, ამას გამოგონების სათანადო განხორციელებად მიიჩნევენ. მაგალითად, ირლანდიის საპატენტო კანონის თანახმად, თუ ამ ქვეყანაში შექმნილი გამოგონება დაპატენტებულია ნიდერლანდში და არსებობს ნიდერლანდის მთავრობის განკარგულება მისი გამოყენებისათვის, იგი სათანადოდ განხორციელებულად ითვლება. შვეციის საპატენტო კანონით დადგენილი ნორმის თანახმად, ურთიერთცნობის საფუძველზე შეიძლება გაიცეს განკარგულება, რომლის ძალითაც გამოგონების გამოყენება რომელიმე ქვეყანაში ჩათვლილი იქნება მისი შვეციაში გამოყენებად. ანალოგიურ დადგენილებებს შეიცავს სკანდინავიის სხვა ქვეყნების საპატენტო კანონებიც. შვეიცარიაში გამოგონების სათანადოდ განხორციელებად ითვლება მისი გამოყენება გერმანიასა და აშშ-ის ტერიტორიაზე.

უმეტესი სახელმწიფოების საპატენტო კანონები განაწვევენ გამოგონების ფაქტობრივ და ნომინალურ განხორციელებას. ფაქტობრივი განხორციელება აღნიშნავს დაპატენტებული გამოგონების წარმოების ორგანიზაციას, მის გაყიდვას, დაპატენტებული ხერხის გამოყენებას და ა. შ. ნომინალური განხორციელება — ეს, გამოგონების გამოყენებაზე ლიცენზიის წარდგენისათვის მზადყოფნის საჯაროდ გამოხატვაა. იგი ქვეყნდება საპატენტო უწყების ოფიციალურ ბიულეტენში ან კომერციულ ყურნალ-გაზეთებში და პატენტის მფლობელს ათავისუფლებს გამოგონების რეალიზაციის ფაქტობრივი მოვალეობისაგან. გარდა ამისა, ასეთი შეტყობინებისა და საპატენტო უწყების ოფიციალურ ბიულეტენში პუბლიკაციის ფაქტი პატენტის მფლობელს ნაწილობრივ ათავისუფლებს ყოველგვარი საპატენტო ბაჟის გადახდისაგან. მაგალითად, ინდოეთში, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში ბაჟის ოდენობა თითქმის 50% -ით მცირდება.

ცალკეულ ქვეყნებში გამოგონების გამოყენება გულისხმობს დაპატენტებული ობიექტის გამოყენებზე, ბაზრობებზე და ა. შ. დემონსტრირებას. მაგალითად, იტალიაში გამოგონების განხორციელების ტოლფასია მისი საგნის პირველი ჩვენება ეროვნულ გამოფენაზე.

პატენტის მფლობელის მოვალეობა, რომ ფაქტობრივად ან ნომინალურად გამოიყენოს დაპატენტებული გამოგონება, იწყება კანონით

დადგენილი ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივ, ეს ვადა გამოითვლება პატენტის გაცემის მომენტიდან.

სხვადასხვა ქვეყანაში დადგენილია გამოგონების განხორციელების განსხვავებული ვადები. გვატემალაში, ჰონდურასში, ნიკარაგუაში პატენტის მფლობელი ვალდებულია გამოგონების გამოყენება დაიწყოს მისი მოქმედების პირველი წლის მანძილზე; არგენტინაში, ბოლივიაში, ერაყში, ლიბანში, პერუში, სირიაში, ეკვადორში — 2 წლის მანძილზე; დომინიკელთა რესპუბლიკაში და პაკისტანში — 4 წლის მანძილზე; ირანსა და ირლანდიაში ეს ვადა პატენტის გაცემის დღიდან 5 წელია. ყველაზე ფართოდაა გავრცელებული და უშეტეს ქვეყნებში მოქმედებს 3 წლიანი ვადა. პარიზის კონვენციის წევრი ქვეყნებისათვის დადგენილია ორი ვადა — 3 წელი პატენტის გაცემის დღიდან და 4 წელი განაცხადის შეტანის მომენტიდან, ამასთან, გამოყენება ვადა, რომელიც მოგვიანებით ვადის.

გამოგონების გამოყენება უწყვეტად უნდა ხორციელდებოდეს. სამრეწველო ან კომერციული ექსპლუატაციის შეჩერება კანონით დადგენილ ვადას არ უნდა აკარებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ პატენტის მფლობელი გამოგონების განხორციელების მოვალეობას არ ასრულებს.

გამოგონების გამოყენებისათვის დადგენილი წყვეტილობის ვადები, ჩვეულებრივ, ისეთივეა, როგორც გამოუყენებლობისათვის, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში საკმაოდ მცირეა.

ცალკეულ ქვეყნებში დაშვებულია გამოგონების განხორციელებისათვის გათვალისწინებული ვადის გაგრძელება, თუ პატენტის მფლობელი დაამტკიცებს, რომ გამოუყენებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზებით.

გამოგონების განუხორციელებლობა კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში იწვევს პატენტის მფლობელისათვის არასასურველ შედეგებს — დაინტერესებული პირებისათვის იძულებითი ლიცენზიის გაცემიდან პატენტის გაუქმებულად მიჩნევამდე, როგორც წესი, ამ ზომების გამოყენება განპრობებულია პატენტის მფლობელის ბრალეული ქცევით. თუ იგი დაამტკიცებს, რომ არ შეიძლო გამოგონების გამოყენების დაწყება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იძულებითი ლიცენზია არ გაიცემა და პატენტი არ შეიძლება გაუქმებულად იქნეს მიჩნეული. ასეთი მიზეზები შეიძლება იყოს: გამოგონების ხანგრძლივი ათვისების აუცილებლობა, მისი დანერგვისათ-

ვის დიდი კაპიტალის დაბანდება, პატენტის მფლობელის მძიმე მატერიალური მდგომარეობა და ა. შ.

უმეტეს ქვეყნებში დაპატენტებული გამოგონების განუხორციელებლობის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს შეუძლია კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს თხოვნით მიმართოს მის გამოყენებაზე — გამოგონების ექსპლუატაციაზე და ამ მესამე პირებისათვის გაცემული ნებართვა ხორციელდება იძულებითი ლიცენზიის სახით.

აშშ-ის, არგენტინის, სალვადორის და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო კანონები იძულებით ლიცენზიებზე დადგენილებებს არ შეიცავენ. მათი გაცემა მითითებულ ქვეყნებში ხორციელდება ტრესტების საწინააღმდეგო კანონმდებლობის საფუძველზე — დაპატენტებული გამოგონების შეგნებულ გამოუყენებლობა განიხილება, როგორც თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვა, რაც კანონით იკრძალება.

იძულებითი ლიცენზია შეიძლება მიეცეს პირს, რომელმაც, ჯერ ერთი, ვერ შეძლო პატენტის მფლობელისაგან ნებაყოფლობით მიეღო შესაბამისი ლიცენზია და, მეორეც, რომელსაც ძალუძს აითვისოს მოთხოვნილი ლიცენზიის საგანი. იძულებითი ლიცენზია, როგორც წესი, პატენტის დამრღვევ პირზე არ გაიცემა.

იძულებითი ლიცენზია შინაარსითა და მოცულობით უბრალო ლიცენზიის ანალოგიურია. იგი შეიძლება გადაცემულ იქნეს სუბლიცენზიის ფორმით, მაგრამ მის გამოყენებულ სამრეწველო ან სავაჭრო საწარმოსთან ერთობლივად.

იძულებითი ლიცენზია არ შეიძლება გაიცეს საპატენტო განაცხადის შეტანის მომენტიდან 4 წლის ან პატენტის გაცემის თარიღიდან 3 წლის ვადის გასვლამდე. მხედველობაში მიიღება ვადა, რომელიც მოგვიანებით ვადის. ეს დებულება მოქმედებს პარიზის კონვენციის მონაწილე ქვეყნებში, რომლებმაც ლისაბონისა და სტოკჰოლმის რედაქციების რატიფიცირება მოახდინეს.

ზოგიერთ ქვეყანაში (ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა, დანია, კოლუმბია, ნორვეგია, ურუგვაი, ფინეთი, შვეცია და სხვა) იძულებითი ლიცენზიის გაცემა წარმოადგენს ერთადერთ სანქციას, რომელსაც გამოგონების გამოყენების მოვალეობათა დარღვევისათვის პატენტის უდისკაპლინო მფლობელთა მიმართ იყენებენ. ბევრ სხვა ქვეყანაში კანონები ითვალისწინებენ სხვაგვარ სანქციებსაც, მაგალითად, პატენტის ძალადაკარგულად მიჩნევას. იგი გამოიყენება იმ შემთხვევებში,

როცა იძულებითი ლიცენზიების გაცემა მონოპოლიური უფლებების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისათვის საკმაოდ ეფექტურ საშუალებას არ წარმოადგენს. თუმცა პარიზის კონვენციის თანახმად, არავითარი მოქმედება უფლებათა ჩამორთმევის ან პატენტის ძალადაქარგულად მიჩნევის შესახებ, პირველი იძულებითი ლიცენზიის გაცემის მომენტიდან ორი წლის ვადის გასვლამდე ნებადართული არაა.

როგორც ნაწილობრივ უკვე აღინიშნა, არსებობს რამდენიმე ქვეყანა, სადაც იძულებით ლიცენზიები პატენტის გამოუყენებლობისათვის გათვალისწინებული არაა და ერთადერთ სანქციას პატენტის ძალადაქარგულად მიჩნევა წარმოადგენს, რაც მომავალში უმოქმედობას ნიშნავს.

ცალკეული სახელმწიფოების საპატენტო კანონმდებლობით უფრო მკაცრი ზომებია გათვალისწინებული. მაგალითად, ინდოეთში, მექსიკასა და პერუში გამოგონების კომერციული მიზნით გამოუყენებლობამ, ანუ უფლებების ბოროტად გამოყენებამ, შეიძლება პატენტის გაუქმება, ე. ი. მისი ძალადაქარგულად მიჩნევა გამოიწვიოს.

გამოგონების განხორციელების მოვალეობის შესახებ ნორმებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ისინი თავიდანვე მიმართული იყო ეროვნული მრეწველობის დასაცავად უცხოური ფირმებისაგან, რომლებიც გამოგონების დაპატენტებისა და გამოუყენებლობის გზით ხელს უშლიდნენ მის განვითარებას. სავალდებულო განხორციელების ინსტიტუტი ამჟამადაც ფართოდ გამოიყენება. ახლა, გამოგონებათა საპატენტო დაცვით უზრუნველყოფილია კომერციული და საწარმოო ოპერაციების ფართო წრე და თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, აშშ-ის, გერმანიისა და იაპონიის გამოკლებით, უცხოური პატენტის მფლობელთა წილად გაცემული პატენტების 50%-ზე მეტი მოდის. გამოგონებათა გამოყენებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც პატენტის უცხოელ მფლობელებს პატენტის 90%-ზე მეტი ეკუთვნით.

გამოგონებათა აუცილებელი განხორციელების ნორმები შეიძლება მიმართული იქნეს არა მარტო საპატენტო უფლებების ბოროტად გამოყენებელი უცხოელი ფირმების წინააღმდეგ, არამედ საკუთარი საწარმოების წინააღმდეგაც, რომელთა არაკეთილსინდისიერი საქმიანობაც, ზიანს აყენებს სახელმწიფოს ან კერძო მეწარმეთა ინტერესებს.

პრაქტიკაში საპატენტო უწყებებს იშვიათად უხდებათ მკაცრი

ზომების განხორციელება საპატენტო მონოპოლიების უფლებათა ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. უმეტესი ქვეყნების საპატენტო სამართალი პატენტის გაუქმებას განიხილავს, როგორც განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოყენებულ უკიდურეს ზომას. იგი თითქმის ყოველთვის შეიძლება ავიცილოთ თავიდან ლიცენზიის გაცემის ან გამოგონების ნომინალური განხორციელების გზით. იძულებით ლიცენზიები ფართოდ არაა გავრცელებული, რამდენადაც ისინი არა-ხელსაყრელია როგორც პატენტის მფლობელისათვის, ისე ლიცენზიის მყიდველისათვის. იგი პატენტის მფლობელისათვის იმიტომ არაა სასარგებლო, რომ მათი ღირებულება, ჩვეულებრივ, გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე ნებაყოვლობითი ლიცენზიის ღირებულება. ლიცენზიის მყიდველს კი წარმოების აწყობასთან დაკავშირებით არ შეუძლია პატენტის მფლობელის დახმარების იმედი იქონიოს.

მართალია, გამოგონების აუცილებელი განხორციელების ნორმები პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება, მაგრამ მათი მნიშვნელობა ამით არ მცირდება, რადგან იძულებითი ლიცენზიის გაცემის ან პატენტის გაუქმებულად მიჩნევის შიშით პატენტის მფლობელი ისწრაფვის ან პირადად გამოიყენოს გამოგონება, ან ლიცენზია გადასცეს მესამე პირს.

ზოგიერთ ქვეყანაში პატენტის მფლობელს ევალება აღნიშნა დაუხვას ყველა სახის, დაპატენტებულ, აგრეთვე გარკვეული ხერხით დამზადებულ დაპატენტებულ ნაკეთობებზე, რაც იმას მოწმობს, რომ ეს საგნები დაცულია პატენტით. თუ ნაკეთობის ხასიათის გამო მასზე აღნაშენის დატანა დაუშვებელია, მაშინ ნიშანი დატანილი უნდა იქნეს საფუთავზე. მარკირებისაგან თავისუფლდება მხოლოდ ის ნაკეთობა, რომელიც პირადი სარგებლობისათვისაა განკუთვნილი.

თუ დაპატენტებული საგნის ეტიკეტით აღჭურვა ან შეფუთვა შეუძლებელია, პატენტის მფლობელმა ყველა გამოქვეყნებულ პროსპექტში უნდა ჩართოს მითითება საპატენტო დაცვის შესახებ აღწერილობისა და განცხადების სახით. კანადის საპატენტო კანონი ადგენს, რომ პატენტის მფლობელი... მოვალეა გასაყიდი ან გაყიდვისათვის შემოთავაზებული საგანი აღჭურვოს დამლით ან ამოტვიფრული მითითებით, მაგალითად — „დაპატენტებულია 1995 წელს“.

ამ მოვალეობის შეუსრულებლობა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით. კანადაში ჯარიმის ოდენობა 100 დოლარამდეა, ხოლო მისი გადაუხდელობის შემთხვევაში იგი იცვლება თავისუფლე-

ბის აღკვეთით 2 თვემდე. ნიდერლანდში დაპატენტებული ნაკეთობის მარკის დასმის უქონლობისათვის პატენტის მფლობელი ისჯება ჭარბ-მით 300 გულდენამდე.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, აშშ-ში, იტალიაში, დასმული მარკის გარეშე დაპატენტებული საგნები ართულებენ პატენტის დარღვევის გამო დავაში მონაწილე მოსარჩლე პატენტის მფლობელთა პროცესუალურ მდგომარეობას. მოსარჩლეს არ შეუძლია ანაზღაურების მიღების იმედი იქონიოს მანამდე, სანამ არ დაამტკიცებს, რომ დამრღვევისათვის პატენტის არსებობა ცნობილი იყო. ჩადენილი დარღვევისათვის ზარალი შეიძლება მხოლოდ დამრღვევისათვის შეტყობინების შემდეგ იქნეს ანაზღაურებული.

გამოგონებაზე ზემოქმედების მომხდენ მონოპოლიის სარეალიზაციო ნაკეთობის მარკირება მესამე პირთა გაფრთხილების მიზნით ბევრი ქვეყნის პრაქტიკაშია მიღებული. უმთავრესად ეს ის ქვეყნებია, სადაც კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს მას, როგორც პატენტის მფლობელის მოვალეობას.

პატენტის დარღვევად ითვლება მესამე პირთა მიერ დაპატენტებული გამოგონების სამართალსაწინააღმდეგო, ე. ი. ნებადაურთველი გამოყენება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პატენტის დარღვევა არის გამოგონების საგნის გამოყენება პატენტის მფლობელის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, კერძოდ, ამა თუ იმ ფორმით — ღიად ან ფარულად გამოხატული.

საზღვარგარეთის სახელმწიფოების კანონმდებლობაში, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკაში შემუშავებულია მთელი რიგი წესები, რომელთა დახმარებით განისაზღვრება პატენტის დარღვევის ცნება. წესების მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში პატენტის დარღვევის ცნებაში თითქმის ერთნაირი შინაარსია ჩადებული. მაგალითად, აშშ-ის საპატენტო კანონი ადგენს — „რამდენადაც სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ განყოფილებით, უკელს, ვისაც არა აქვს ამის უფლებამოსილება და აშშ-ის ფარგლებში ამზადებს, იყენებს ან ყიდის პატენტის მოქმედების ვადის განმავლობაში დაპატენტებულ გამოგონებას, ამით არღვევს პატენტს“.

უფრო დაწვრილებით განისაზღვრება პატენტის მფლობელის უფლებათა დარღვევის არსი საფრანგეთის კანონით, რომელიც დარღვევად მიიჩნევს ისეთ მოქმედებებს როგორცაა: 1) ნაკეთობის დამზადება, რომელიც წარმოადგენს დაპატენტებული გამოგონების საგანს;

2) დაპატენტებული ნაკეთობის ან მისი გამოყენების ან გაყიდვის მიზნით, უშუალოდ დაპატენტებული ხერხით მიღებული ნაკეთობის გამოყენება, საფრანგეთის ტერიტორიაზე შეტანა, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, დაგროვება; 3) დაპატენტებული გამოგონების საგნის ან ხერხის გამოყენება, გაყიდვა ან გასაყიდად შეთავაზება; 4) წინადადების მიცემა იმ პირისათვის, რომელსაც არა აქვს ლიცენზია გამოგონების გამოყენებაზე, აგრეთვე საშუალებანი მისი გამოყენებისათვის.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, არგენტინაში, იტალიაში და სხვაგან საპატენტო კანონებში ვერ შეხედვით პატენტის დარღვევის ცნების განსაზღვრას, მაგრამ აღნიშნული ხარვეზის შევსება ხდება სასამართლო პრაქტიკით.

ასევე სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე არის შემუშავებული წესები, რომელთა დახმარებითაც განისაზღვრება ცნება „დაპატენტებული გამოგონების დამზადება, გამოყენება ან გაყიდვა (ყიდვა)“, რამდენადაც კანონები, ზოგიერთის გამოკლებით, ამ ცნების შინაარსს არ ხსნიან.

მაგალითად, „დამზადება“ გულისხმობს კომერციული მიზნებისათვის გამოგონების საგნების წარმოებას. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს გაიყიდა თუ არა ისინი სინამდღლეში. ნაკეთობა შეიძლება მზადდებოდეს და საწყობში ინახებოდეს მისი შემდგომში გაყიდვის მიზნით. მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად ხდება გაყიდვა — ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ. უმეტეს ქვეყნებში დაპატენტებული ნაკეთობის ცალკეული დეტალების დამზადება პატენტის დარღვევას არ ნიშნავს, თუ ისინი სრული კომპლექტით არ მზადდება, რაც გამოგონების აწყობისათვის აუცილებელია. მაგრამ იაპონიაში გამოგონების საგნების წარმოებისათვის გამოსაყენებელი ნებისმიერი ნაკეთობის დამზადება განიხილება როგორც პატენტის დარღვევა.

ქვეყნის უმეტეს ნაწილში გამოგონების „გამოყენების“ ცნება გულისხმობს კომერციული მიზნებისათვის მის მოხმარებას, ამასთან, მხოლოდ იმ სახით, რა სახითაც არის იგი დაპატენტებული. დაპატენტებული ნაკეთობების ფლობა (ტრანსპორტირება, შენახვა) ზოგიერთ ქვეყანაში დარღვევად არ განიხილება სხვებში კი ეს დარღვევას წარმოადგენს. მაგალითად, საფრანგეთის საპატენტო კანონი ადგენს, რომ გამოგონების საგნების დაგროვება მისი გაყიდვის ან გამოყენების მიზნით, პატენტის დარღვევას ნიშნავს. ინგლისში „გამოყენების“ ცნებად მიიჩნევა გამოგონების გამოყენება ნებისმიერი მიზნი-

სათვის, კერძოდ, ეს იქნება კომერციული, პირადი თუ გართობის მიზანი.

„ყიდვისა“ და „გაყიდვის“ ცნებები გულისხმობს დაპატენტებული ნაკეთობების ან ნივთიერებათა რეალიზაციისათვის კომერციულ საქმიანობას, ე. ი. ყიდვა-გაყიდვას მოგების მიღების მიზნით. პირადი მიზნებისათვის გამოგონების საგნის ყიდვა-გაყიდვა უმეტეს ქვეყნებში პატენტის დარღვევას არ წარმოადგენს.

პატენტის დარღვევად ითვლება „გაყიდვის წინადადება“, ე. ი. გამოგონების საგნის რეკლამა-ნაკეთობის დემონსტრირება საჯარო ვაჭრობის დარბაზში, მაღაზიის ვიტრინაში, და ა. შ. გამოგონებების შეხახვებ ცნობების პუბლიკაცია აფიშებში, კატალოგებში, პროსპექტებში წარმოადგენს პატენტის დარღვევას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა თვით გაყიდვა არ მოხდება. მხოლოდ რეკლამის ფაქტი ან საჯარო ჩვენება საპატენტო უფლების დარღვევის მიჩნევისათვის საკმარისია.

თუ გამოგონების ობიექტს ხერხი წარმოადგენს, პატენტის დარღვევად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც მის გამოყენებას გულისხმობს. თუ ხერხი შედგება რამდენიმე ოპერაციისაგან რომელსაც რამდენიმე სხვადასხვა პირი ასრულებს, პატენტს არღვევს ის, ვინც ბოლო ოპერაციის შემსრულებელია.

ამგვარი მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში ხერხებზე გაცემული პატენტები იცავენ ნივთიერებებს ან ნაკეთობებს, რომლებიც მიღებულია ამ ხერხებით. მაშასადამე, პროდუქციის დამზადება, გამოყენება და გაყიდვა უდავოდ პატენტის დარღვევას წარმოადგენს. მოპასუხე შეიძლება პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდეს, თუ დაამტკიცებს, რომ პროდუქტი დამზადებული იყო სხვაგვარი ხერხით.

პატენტის მფლობელის განსაკუთრებული უფლებების დარღვევა შეიძლება მოხდეს პირდაპირ ან არაპირდაპირ. პატენტის პირდაპირი დარღვევის შემთხვევაში მისი მფლობელის მონოპოლიური უფლებების ზღვარში შეჭრა ხორციელდება ერთი ან რამდენიმე პირის უშუალო მოქმედებით. მოცემულ შემთხვევაში უფლებების კონკრეტულ დარღვევთა დადგენა სიძნელეს არ წარმოადგენს.

პატენტის არაპირდაპირ დარღვევად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ უწყობს ხელს საპატენტო უფლებათა დარღვევას. მაგალითად, აშშ-ის საპატენტო კანონის თანახმად, დაპატენტებული

მოწყობილობის, ნაკეთობების ნაწილის გაყიდვა ან კონტრაფაქტული ნაკეთობების დამზადებისა და გამოყენებისათვის სპეციალურად განკუთვნილი მასალების, მოწყობილობების გაყიდვა, დარღვევაში თანამონაწილეობას წარმოადგენს, აღნიშნულ მოქმედებათა ჩამდენმა პირმა იცოდა, რომ იგი ხელს უწყობდა პატენტის დარღვევას.

არაპირდაპირ დარღვევად ითვლება ე. წ. ნეიტრალური მოწყობილობების, ნივთიერებების, მასალების, ე. ი. ტექნიკაში ფართოდ გამოყენებული ობიექტების მიწოდება. თუმცა ბევრი ქვეყნის სასაქარაო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პატენტის არაპირდაპირი დარღვევის დადგენისათვის მიწოდებული საგნები ინდივიდუალიზებულ უნდა იქნეს გამოგონებათა თვალსაზრისით, ე. ი. ამ საგნებს მისთვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

ყველა შემთხვევაში არაპირდაპირი დარღვევა შეიძლება მხოლოდ მაშინ მოხდეს, როცა დგინდება პატენტის პირდაპირ დარღვევის ფაქტი.

პატენტის მფლობელის განსაკუთრებული უფლებების სფეროში შეჭრა შეიძლება ხდებოდეს სხვადასხვა საშუალებით. გავრცელებულ და ამასთან ერთად პატენტის უხეშ დარღვევას წარმოადგენს დაპატენტებული გამოგონების საგნების კომერციული მიზნით წარმოება ან დაპატენტებული ხერხით ნაკეთობებისა და ნივთიერებების დამზადება. მესამე პირების ასეთ მოქმედებებს უწოდებენ კონტრაფაქციას, ხოლო პატენტის დამრღვევის უკანონოდ წარმოებულ ნაკეთობებსა და ნივთიერებებს — კონტრაფაქტულს.

შემეტს ქვეყნებში პატენტის დარღვევის ფაქტის განსაზღვრისას ძირითადად კრიტერიუმს წარმოადგენს ისეთ მოქმედებათა ჩადენის ფაქტი, როგორცაა დამზადება, გამოყენება ან გაყიდვა. თუ ამგვარი მოქმედებები მოგების მიღებისთვისაა გამიზნული, ეს იმას ნიშნავს, რომ ხდება პატენტის მფლობელის განსაკუთრებული უფლებების სფეროში შეჭრა. თუ გამოგონების საგანი პირადი მიზნებისათვის ან ექსპერიმენტის ჩატარებისათვის გამოიყენება, ასეთი მოქმედებანი პატენტის დარღვევას არ წარმოადგენს.

პატენტის დარღვევად მიიჩნევა ნაკეთობებზე დამრღვევის ვინაობისა და პატენტის ნომრის აღნიშვნა, თუ იგი სხვა პირის სახელზეა გაცემული.

მთელ რიგ ქვეყნებში საშარალდარღვევად ითვლება დაპატენტებული მანქანებისა და აპარატების რემონტი და რეკონსტრუქცია,

კერძოდ. აშშ-ში პატენტის დარღვევას ნიშნავს ისეთი მოქმედება, რომლის შედეგადაც ხდება მანქანებისა და აპარატების . სრული აღდგენა, რაც კვალიფიცირდება, როგორც ახალი დაპატენტებული ობიექტის არამართლზომიერი დამზადება. თავის მხრივ, დარღვევად არ ითვლება ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, მანქანის, აპარატის ცალკეული დაუპატენტებელი კვანძების შეცვლა, მაგალითად, ავტომობილის წინა სალონის გადასაკრავის შეცვლა ჩვეულებრივ რემონტად მიიჩნევა და არა რეკონსტრუქციად.

პატენტი დარღვეულად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ განხილული სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებანი იჭრება პატენტის მფლობელის განსაკუთრებული უფლებების სფეროში. ამიტომ კონტრაფაქტის არსებობის საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელია განისაზღვროს პატენტით მინიჭებული გამოგონების დაცვის მოცულობა.

პატენტის მფლობელთა უფლებების მოცულობა უმეტეს ქვეყნებში გამოგონების ფორმულით განისაზღვრება. ხშირად მთელ რიგ ქვეყნებში (აშშ, ბრაზილია, დიდი ბრიტანეთი და სხვა) აღწერილობასა და ნახაზებს მხოლოდ გამოგონების ფორმულის გარკვევისათვის ექცევა ყურადღება. გერმანიაში, ავსტრიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში პატენტის მოქმედების სფეროს განსაზღვრისათვის აღწერილობა ფორმულასთან ერთად გამოიყენება. აფრიკა-მაღაგასის კავშირის წევრ იმ ქვეყნებში, სადაც ფორმულის არსებობა აუცილებელი არ არის, დაცვის მოცულობა და დარღვევის ფაქტი პატენტის აღწერილობით განისაზღვრება.

კონტრაფაქტულად მიიჩნევა ისეთი მოქმედებანი, რომლებზეც გავლენას ახდენს გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი უფლებრივი მნიშვნელობის მქონე ერთ-ერთი პუნქტის მოქმედება. მაშასადამე, გერმანული ან ინგლისური სისტემით აგებული ფორმულის პირველი პუნქტის დარღვევა პატენტის უღავთ დარღვევად მიიჩნევა. მესამე პირთა მიერ კი, ნებისმიერ მომდევნო პუნქტში განცხადებული გამოგონების ნიშან-თვისებების გამოყენება, როგორც წესი, პატენტის დარღვევას არ იწვევს. თუ გამოგონების ფორმულა ამერიკული სისტემითაა შედგენილი, ნებისმიერ პუნქტში მითითებული ნიშან-თვისებების გამოყენება, პატენტის მფლობელის უფლებათა მოქმედების სფეროში შეჭრას წარმოადგენს.

პრაქტიკაში დამრღვევი იშვიათად იმეორებს ზუსტად გამოგონებას. ხშირად იგი ცდილობს თავის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა შენიღბვას, ცვლის, ამარტივებს, ართულებს და ზოგჯერ სრულყოფს კიდევ გამოგონებას.

უმეტეს ქვეყნებში პატენტის დარღვევის მიჩნევისათვის აუცილებელი არაა დაპატენტებული გამოგონების ნიშან-თვისებების შესატყვისი, გამოსაკვლევი ობიექტის სრული იდენტიურობა. თუ გამოსაკვლევ ობიექტში გამოტოვებულია გამოგონების ფორმულის არაასრულებითი ელემენტები ან ისინი გადაადგილებულია, ან მათ საექვო განსხვავებები აქვთ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი პატენტის დარღვევას ფაქტად იქნეს მიჩნეული.

მესამე პარტა მიერ შეტანილი ცვლილებების არსებითობა განისაზღვრება ეკვივალენტობის (ტოლფასობის) თეორიის საფუძველზე. ეკვივალენტობის თეორიის გამოყენება, როგორც ზემოთ ითქვა მნიშვნელოვანწილად აფართოებს პატენტის მფლობელების უფლებათა მოქმედების სფეროს, განსაკუთრებით კომბინაციური გამოგონების მიმართ, რამდენადაც მის საფუძველზე ხორციელდება გამოგონების აღწერილობისა და ფორმულის განვრცობითი ახსნა-განმარტება.

ამასთან ერთად გამოიყენება პატენტის მფლობელთა უფლებების ახსნა-განმარტებებისა და ამ უფლებათა სფეროში მესამე პირთა შეჭრის ხარისხის განსაზღვრის სხვა მეთოდები.

გერმანიაში პატენტით მინიჭებული უფლებათა დაცვის საზღვრები დგინდება ე. წ. „გამოგონების საერთო იდეის“ დადგენის საფუძველზე, რომელიც მოიცავს არა მარტო გამოგონების საკუთრივ ფორმულას, აღწერილობას, ნახაზებს, პირდაპირ ეკვივალენტებს, არამედ ყოველივე იმას, რაც ტექნიკისათვის მოცემული ამოცანის გადასაწყვეტად არის ცნობილი. საერთო იდეა, როგორც გერმანიის ერთ-ერთმა სასამართლომ დაადგინა, წარმოადგენს ამოცანის პრინციპულ გადაწყვეტას და არა მისი შესრულების კონკრეტულ საშუალებებსა და მათი შესრულების ხერხებს.

მაშასადამე, პატენტის მოქმედების სფეროში ექცევა ყველა საშუალება და ხერხი, რომელთა მეშვეობითაც საშუალო-საპეციალისტს შეუძლია მათი განსაზღვრა აღწერილობისა და ნახაზების შინაარსის ხედმიწევნით შესწავლის შემთხვევაში.

გერმანიის, საფრანგეთისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების საპატენტო სამართლის მიხედვით, პატენტის დარღვევის ფაქტის დად-

გენსათვის საკმარისია, რომ კონტრაფაქციული ობიექტი შეიცავდეს დაპატენტებული გამოგონების თუნდაც ერთ პრინციპულ ან ძირითად ნიშან-თვისებას. იაპონიაში პატენტის დარღვევად მიიჩნევენ იმ შემთხვევას, როცა საპატენტო ფორმულის ყველა ნიშან-თვისება გამოიყენება.

პატენტის მფლობელის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში მათი დაცვა ხორციელდება სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით. ადმინისტრაციულ იურისდიქციას (ცალკეულ ქვეყნებთან ერთად) შეზღუდული კომპეტენცია აქვს და პატენტის დაცვის სასამართლო წესი უპირატეს საშუალებას წარმოადგენს. კერძოდ, მექსიკაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წარმოიქმნება პატენტის უმნიშვნელო დარღვევის შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით კანონი ითვალისწინებს ფულად ჯარიმებს, თავისუფლების დროებით აღკვეთას 60 დღემდე ან ადმინისტრაციულ დაპატიმრებას 36 საათამდე. დანარჩენ შემთხვევაში პატენტის დაცვა ხორციელდება სასამართლოს დადგენილებით.

პატენტიდან გამომდინარე უფლებათა სასამართლო დაცვა ხორციელდება დარღვევაზე სარჩელის შეტანის საშუალებით. სარჩელის შეტანის უფლება აქვს პატენტის განსაკუთრებული ან სრული ლიცენზიის მფლობელს და მოგირავნეს. ზოგჯერ ლიცენზიატისა და მოგირავნის სარჩელზე უფლება ატარებს პატენტის მფლობელის უფლების დამატებით ხასიათს. საფრანგეთში განსაკუთრებული ან იძულებითი ლიცენზიის მფლობელს შეუძლია სარჩელი თვითონ აღძრას, თუ პატენტის მფლობელი უარს იტყვის სარჩელის შეტანაზე.

როგორც პატენტის მფლობელს (ლიცენზიატის მიერ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში), ისე ლიცენზიატს (პატენტის მფლობელის მიერ სარჩელის შეტანის შემთხვევაში) უფლება აქვს საკუთარი ზარალის ანაზღაურების მიღების მიზნით მონაწილეობა მიიღოს საქმის გარჩევაში.

უცხოელი განმცხადებლისათვის გაცემული პატენტის დარღვევის შემთხვევაში უფლებათა დაცვის ვალდებულება, ჩვეულებრივ, მოლაპარაკების, კანონის ან სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ეკისრება განსაკუთრებული ან სრული ლიცენზიის მფლობელს, რამდენადაც იგი უფრო კარგად იცნობს თავისი ქვეყნის სასამართლო პროცედურის თავისებურებებს და შეუძლია უკეთ გაუწიოს ორგანიზაცია დარღვეულ უფლებათა დაცვას.

სასამართლო განხილვის მსვლელობაში უფლებათა დარღვევის ბტკიცების ტვირთი აწევს მოსარჩლეს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს პატენტის დარღვევის დამამტკიცებელი მასალები. მოპასუხეს შეუძლია სარჩელის მართლზომიერება სადავოდ მიიჩნიოს მისი დაცვის ყველაზე უფრო გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს საპირისპირო სარჩელის წარდგენა პატენტის გაუქმებულად მიჩნევაზე. მოპასუხეს შეუძლია აგრეთვე მიუთითოს წინათსარგებლობის ან შემდგომსარგებლობის უფლებებზე.

სასამართლოს მიერ პატენტის დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში მოპასუხე შეიძლება სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს მოპასუხის მხრიდან პატენტის დარღვევის ფაქტით მიყენებული დანაშაული, ზარალი და დამრღვევის სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებასა და მიყენებულ ზარალს შორის კავშირის მიზეზი. ზარალის სახით იგულისხმება დადებითი ზარალი და ხელიდან გაშვებული სარგებელი.

დადებითი ზარალი — ესაა თანხა, რომლითაც შემცირდა მოსარჩლის ქონება მისი უფლების დარღვევის შედეგად, მაგალითად, დაპატენტებული ნაკეთობის სამრეწველო დამზადებისათვის გაღებული სახსრები, სატრანსპორტო ხარჯები, რომლებიც დამრღვევის კონკურენციის გამო აუნაზღაურებელი დარჩა, იმავე მიზეზით გაწეული ხარჯები, რაც ურეალიზაციოდ დარჩენილი. ნაკეთობის დამზადებას მოხმარდა და ა. შ.

ხელიდან გაშვებული სარგებლის სახით იგულისხმება პატენტის მფლობელის ან განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელის მიერ პატენტის დარღვევის შედეგად მიღებული მოგება. მისი განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება წარმოებისა და ნაკეთობათა გასაღების შემცირება, უკანონო კონკურენციის გამო საქონლის შედარებით მცირე ფასად გაყიდვა, სალიცენზიო გასამრჯელოს მიუღებლობა და ა. შ. ხელიდან გაშვებული სარგებლის გაანგარიშება პატენტის დარღვევის მოქმედებაში ხორციელდება სხვაობის განსაზღვრის გზით მოსარჩლის ქონების მდგომარეობასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც მას შეეძლო ჰქონოდა, თუ მისი უფლებები დარღვეული არ იქნებოდა.

ინდუსტრიულად განვითარებულ და განვითარებულ ბევრ ქვეყანაში დამრღვევის მოქმედებით გამოწვეულ ქონებრივ ზარალთან ერთად ანაზღაურებას ექვემდებარება ე. წ. „მორალური ზარალიც“,

რომელიც შეიძლება გამოიხატოს მოსარჩლის კომერციული რეპუტაციისათვის ზარალის მიყენებით, სასამართლო პროცესთან დაკავშირებული მისი განცხადებით და სხვა მორალური ზარალის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო.

პატენტის დამრღვევის მიერ ჩადენილი დანაშაულის არსი შეიძლება ამგვარად განისაზღვროს, ერთი მხრივ, დამრღვევს არა მარტო წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული მოხდინა სხვათა უფლებების ხელყოფა, არამედ ისწრაფოდა კიდევ ამისაყენ. აღნიშნული ქმედობის დროს მოპასუხემ გაუფრთხილებლობის გამო არ იცოდა (მაგრამ უნდა სცოდნოდა), რომ ასეთი ქმედობა არღვევს პატენტს. პატენტის დარღვევასთან დაკავშირებით ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრია, გერმანია, იაპონია, შვეცია) განასხვავებენ უხეშ გაუფრთხილებლობას, უბრალო გაუფრთხილებლობას და მსუბუქ გაუფრთხილებლობას.

დანაშაულის სიმძიმე, როგორც წესი, გავლენას ახდენს სამოქალაქო პასუხისმგებლობის სიმძიმეზე, მოსარჩლისათვის კონტრაფაქციის შედეგად მიყენებული ზარალი პრინციპში, მთლიანად უნდა ანიზღაურდეს, თუმცა ამ საერთო წესთან დაკავშირებით არსებობს გამოწვევები შემთხვევები და სასამართლოებს შეუძლიათ დამრღვევის დანაშაულის ხარისხის მიხედვით გაზარდონ ან შეამცირონ პასუხისმგებლობის სიმძიმე. მაგალითად, იაპონიაში სასამართლოს უფლება აქვს უხეშ გაუფრთხილებლობის ან წინასწარგანზრახვის შემთხვევაში, კონტრაფაქციისათვის გაადიდოს კომპენსაციის ოდენობა.

პატენტის არაპირდაპირი ან პირდაპირი დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, დამრღვევის დანაშაული, ჩვეულებრივ, პრეზუმფიცირდება, ე. ი. მოპასუხე ვარაუდზე დამყარებული მოსაზრებით დანაშაულდება. ეს წესი წარმოადგენს იმის შედეგს, რომ საპატენტო აღწერილობები ქვეყნდება, და ითვლება, რომ ყველა დაინტერესებული პირი იცნობს მათს შინაარსს. საიდუმლო პატენტებისა და მათი გამოქვეყნებამდე გამოყენება დანაშაულის სახის მოქმედებად არ განიხილება.

ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრია, ნორვეგია, ფინეთი, შვეცია და სხვა) პასუხისმგებაში მიეცემა პატენტების უნებლიე დამრღვევებიც, რომლებმაც არ იცოდნენ და არც უნდა სცოდნოდათ, რომ თავისი მოქმედებით შეიჭრნენ პატენტის მფლობელთა განსაკუთრებული უფლებების სფეროში (მაგალითად, პატენტების გამოყენება მათს პუბლიკაციამდე).

პატენტის მფლობელის წინაშე, პირდაპირი დამრღვევების გარდა, პასუხისმგებლები არიან დარღვევაში თანამონაწილენიც. აშშ-ის საპატენტო კანონი ადგენს, რომ „ის ვინც აქტიურად უწყობდა ხელს პატენტის დარღვევას, ამისათვის პასუხს აგებს როგორც დამრღვევი“. პატენტის პირდაპირი დამრღვევებისაგან განსხვავებით თანამონაწილე პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან იცოდა, რომ ქმედობა ხელს უწყობდა დარღვევას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამონაწილეობის ფაქტს მოეთხოვება წინასწარი განზრახვის არსებობა. საფრანგეთის საპატენტო კანონი ითვალისწინებს, რომ, თუ კონტრაფაქციული ნაკეთობები მზადდება ერთი პირის მიერ, ხოლო იყენებს, ყიდის, მიყიდვლებს სთავაზობს და ინახავს სხვა პირი, მაშინ ეს პირი პატენტის დამრღვევად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან იცოდა, რომ მისი მოქმედება კანონსაწინააღმდეგო იყო. თანამონაწილეობა შეიძლება დაფიქსირებული იყოს მხოლოდ მაშინ, როცა აშკარაა პატენტის პირდაპირი დარღვევა.

პატენტის დარღვევისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ძირითად ფორმას წარმოადგენს პატენტის ან განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელისათვის მიყენებული ზარალის ფულადი ანაზღაურება.

ზარალის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად, პატენტის ან განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს მოპასუხისაგან მისი უფლების დამრღვევი მოქმედების შეწყვეტა. მაგალითად, დამრღვევს შეიძლება მიეცეს განაწესი შეაჩეროს კონტრაფაქციული ნაკეთობის ან ტექნოლოგიის გამოყენება, შეწყვიტოს რეკლამა ამ საქონლის გაყიდვა და ა. შ. მან შეიძლება მოითხოვოს აგრეთვე კონტრაფაქციული საქონლის კონფისკაცია, განადგურება ან მისთვის შესანახად გადაცემა და მოპასუხესთან არსებული ნაკეთობებისა და წარმოების საშუალებების გადაცემა.

კონტრაფაქციის ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს დებულებით „გამოგონების შესახებ“ მოქმედებს შემდეგი წესი:

„კონტრაფაქტორი, რომელიც არასანქცირებულად ამზადებს დაპატენტებულ გამოგონებას, იყენებს და შემოაქვს იგი სამოქალაქო საქონელბრუნვაში ან სხვაგვარად სარგებლობს ამ გამოგონებით, პასუხს აგებს ფულადი ჯარიმით და ზარალის მიყენების ანაზღაურებით, დამრღვევი მოქმედებს აკრძალვით.

გამოგონების არსის განზრახ გამოვლენას „საქპატენტში“ გამოქვეყნებამდე, აგრეთვე ავტორობის მითვისების, თანაავტორობაზე

იძულების და აღნიშნული წესით მოქალაქის მიერ დარღვევათა განზრახ ჩადენას შეიძლება მოჰყვეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სასამართლოს უფლება აქვს დააკისროს კონტრაფაქტორს თავისი გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნება“.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული დებულებით „არაკეთილსინდისიერი მოპასუხის მიმართ სარჩელის წარდგენაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება“.

ზოგიერთ ქვეყანაში. (ავსტრია, ბელგია, გრფ, იაპონია, იტალია, საფრანგეთი და სხვა), დამატებითი სამოქალაქო პასუხისმგებლობის სახით, სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს მოპასუხე თავისი ხარჯით გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება განსახილველ საკითხზე. გერმანიაში, იაპონიაში და საფრანგეთში ეს ღონისძიება მიიღება მოსარჩლის მოთხოვნით. იტალიაში სასამართლო არ არის დაკავშირებული მოსარჩლის განცხადებასთან და შეუძლია იგი დამოუკიდებლად მიიღოს. პატენტის დარღვევაზე გადაწყვეტილების პუბლიკაცია განიხილება, როგორც პატენტის მფლობელის საქმიანი რეპუტაციის აღდგენის საშუალება და შესაძლო პატენტის დარღვევის შესახებ გაფრთხილებას წარმოადგენს.

მოპასუხის მხრივ ამგვარი განზრახვის შემთხვევაში, მოსარჩლეს შეუძლია მოითხოვოს მის განკარგულებაში არსებული დაცვის ყველა საშუალების ერთდროულად გამოყენება.

თუ დამრღვევი კეთილსინდისიერად მოქმედებდა, ე. ი. მან არ იცოდა და არ უნდა სცოდნოდა, რომ პატენტს არღვევდა, სამოქალაქო დაცვის ზოგიერთი საშუალება (ნაკეთობების კონფისკაცია, სასამართლოს გადაწყვეტილების პუბლიკაცია), საერთოდ, არ გამოიყენება. ზოგჯერ კეთილსინდისიერი დამრღვევი ზარალის ანაზღაურების ნაცვლად სასამართლო ვალდებულების თანახმად გამოგონების გამოყენებისათვის პატენტის მფლობელს უხდის გარკვეულ თანხას.

სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის შემდეგ, პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, სასამართლო უფლებამოსილია მოსარჩლის შუამდგომლობით მიიღოს გამაფრთხილებელი ზომები იმ მოქმედებათა შეჩერებისათვის, რომლებიც სავარაუდოა, რომ პატენტის დარღვევის ცდას წარმოადგენდეს. კერძოდ, ასეთი ზომებია ნაკეთობასა და საწარმოზე ყადაღის დადება. თუკი დარღვევის ფაქტი სასამართლოზე განხილ-

ვისას არ დამტკიცდება, გამაფრთხილებელი ღონისძიებების ხარჯები ეკისრება მოსარჩელეს, იგივე პირი ვალდებულია საქონლის ყადაღასთან დაკავშირებული ზარალის გამო კომპენსირება გაუწიოს მოპასუხეს.

პატენტის დარღვევის შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც ამზადებენ დაპატენტებულ ნაკეთობებს ან დაპატენტებულ ხერხს იყენებენ, კერძოდ, პასუხისმგებელი არიან დაპატენტებული საქონლით მოვაჭრენი სარეკლამო ფირმები, მათი აგენტები. ცალკეულ ქვეყნებში (ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი) სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მომხმარებელსაც, რომელიც ყოველთვის კეთილსინდისიერ დამრღვევად იგულისხმება და უფლება აქვს მის მიერ გაცემული თანხის კომპენსაცია მოსთხოვოს ფირმას, სადაც მან კონტრაფაქციული საქონელი შეიძინა.

თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობით სისხლის სამართლის პასუხისმგებაში დამრღვევი შეიძლება მხოლოდ მაშინ მიეცეს, როცა იგი წინასწარგანზრახულად მოქმედებს. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ფიზიკურ პირს. ხშირად ფირმა-მოპასუხეს უწესდება ზარალის კომპენსაცია, კონტრაფაქციული მოქმედებების შეწყვეტა. ე. ი. მიიღება სამოქალაქო ღონისძიებები, ხოლო ფირმის ხელმძღვანელებს, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით უშუალოდ მოახდინეს პატენტის დარღვევა, ეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, კერძოდ, მათ შეიძლება დაეკისროთ ჯარიმის გადახდა ან თავისუფლების აღკვეთა.

უმეტეს სახელმწიფოებში სისხლის სამართლის სანქციები მხოლოდ მოსარჩლის მოთხოვნით გამოიყენება. მათ მიეკუთვნება ჯარიმა და თავისუფლების აღკვეთა. ჯარიმისა და თავისუფლების აღკვეთის უკიდურესი ზომები, ჩვეულებრივ, მითითებულია კანონში. მაგალითად, ნიდერლანდში თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობამ არ შეიძლება 3 თვეს გადააჭარბოს, შვეციაში 6 თვეს, გერმანიაში — 1 წელს.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ავსტრიაში, იაპონიაში, მექსიკაში და სხვაგან დამრღვევს შეიძლება მიესაჯოს ჯარიმა, თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი სამუშაოები. სხვა ქვეყნებში (გერმანია, ნორვეგია, ფინეთი, შვეცია) შესაძლებელია ამ ზომებიდან მხოლოდ ერთის გამოყენება.

პატენტის ხელშეკრულად დარღვევის ან მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის შრომითი ურთიერთობების შემთხვევაში სისხლის სამართლის სანქციები ორმაგდება. მაგალითად, არგენტინისა და ნიდერლანდის საპატენტო კანონით, თუ პირი დარღვევას გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მომენტიდან 5 წლის მანძილზე იმეორებს ან პატენტის მფლობელთან შრომითს ურთიერთობაში იმყოფება, სასჯელის ზომა ორჯერ იზრდება, ხოლო საფრანგეთში პატენტის ხელშეკრულად დარღვევა 5 წლის მანძილზე იწვევს ჯარიმასთან ერთად თავისუფლების აღკვეთას 2-დან 6 თვემდე ვადით.

პატენტის მფლობელის დარღვეული უფლების სასამართლო დაცვა შეიძლება განხორციელდეს კანონით დადგენილ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებში, რომელთა გასვლის შემდეგ პატენტის მფლობელი შესაძლებლობას კარგავს იძულებითი წესით დაიცვას თავისი უფლება. სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებს სხვადასხვა ვადები, კერძოდ, აშშ-სა და ინგლისში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა პატენტის დარღვევის მომენტიდან 6 წელია, არგენტინაში — 2 წელი; გერმანიაში, საფრანგეთსა და იაპონიაში — 3 წელი. დარღვევის ფაქტის გამოვლენის მომენტიდან და ა. შ. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ამ ფაქტზე შეზღუდული არ არის.

როგორც პრაქტიკა ადასტურებს, პატენტის მფლობელები და ლიცენზიატები ხშირად არ ჩქარობენ ხოლმე წარადგინონ სარჩელი, არამედ იცდიან, ვიდრე დარღვევა არ მიიღებს ისეთ მნიშვნელოვან მასშტაბებს, როცა შესაძლებელი იქნება მეტი ანაზღაურების მოთხოვნა. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ანაზღაურების ოდენობა შეზღუდულია პატენტის დარღვევის ბოლო წლებით, კერძოდ, შვეიცარიაში ზარალი იფარება პატენტის დარღვევიდან მხოლოდ სარჩელის წარდგენის წინა 5 წლით და არავითარი კომპენსაციის მიღება უფრო აღრუული პერიოდისათვის ნებადართული არაა.

პატენტის დარღვევის გამო სარჩელი უმეტეს ქვეყნებში განიხილება მოპასუხის ადგილმდებარეობის ან პატენტის მფლობელის უფლებათა დარღვევის ადგილის მიხედვით.

პატენტების დარღვევის გამო დავას, ჩვეულებრივ, განიხილავს სასამართლო საერთო იურისდიქციის საფუძველზე. ზოგიერთ ქვეყანაში ამ მიზნისათვის გამოიყოფა ერთი ან რამდენიმე საერთო სამოქალაქო სასამართლო. ყველა ქვეყანაში პირველი ინსტანციის სასამართლოს

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნეს ჯერ სააპელაციო, შემდეგ კი ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ორგანოში.

პატენტი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გაიცემა კანონით დადგენილი ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ, პატენტით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებები წყდება და გამოგონება შეიძლება თავისუფლად იქნეს გამოყენებული ნებისმიერი პირის მიერ.

იმ ქვეყნებში, სადაც დაშვებულია პატენტის ვადის გაგრძელება, გამოგონების მონოპოლიის ობიექტის საყოველთაო თავისუფალი გამოყენების ობიექტად გადაქცევა გადაიდება შესაბამისი ვადით. უმეტესი პატენტების მოქმედების ციკლი მათთვის კანონით დადგენილ პერიოდს არ აღწევს და არსებობას გაცილებით ადრე, მისი ვადის გასვლამდე წყვეტს. პატენტის მოქმედების ვადაზე ადრე შეწყვეტის მთავარ საფუძვლებს უმეტეს ქვეყნებში წარმოადგენს: 1. პატენტის მფლობელის უარი თავის უფლებებზე; 2. პატენტის მფლობელის მიერ თავისი მოვალეობების დაუცველობა (ძალის დაკარგვა); 3. პატენტის უმოქმედება მისი არამართლზომიერი გაცემის (გაუქმების) გამო.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს პატენტის შეწყვეტის სხვა მიზეზებიც. მაგალითად, კანადაში პატენტის უმოქმედოდ მიჩნევის საფუძველი შეიძლება იყოს გამომგონებლის გვარის არასწორი მითითება.

პატენტის მფლობელის მიერ თავისი უფლებების უარყოფასთან, ბაჟის გადაუხდელობასთან, პრაქტიკულ განუხორციელებლობასთან დაკავშირებით პატენტის მოქმედების შეწყვეტა ხდება შემდგომი დროისათვის, ე. ი. პატენტი უმოქმედოდ ითვლება შესაბამი ფაქტის დადგომის მომენტიდან.

საქართველოს დებულებით „გამომგონების შესახებ“, პატენტი უქმდება, თუკი დადგინდა, რომ:

ა) პატენტმფლობელი არ აღმოჩნდა გამომგონებელი, არც მისი უფლებამონაცვლე და მას არ ჰქონდა პატენტის მიღების სხვაგვარი უფლება;

ბ) პატენტის საგანი არ არის პატენტუნარიანი;

გ) პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ გამოგონებას, რომელზეც თანახმად მოქმედი დებულებისა იმ კანონისა, პატენტი არ გაიცემა;

დ) პატენტი არ აღწერს გამოგონებას ისეთი სისრულით, რომ შეიძლება იყოს მისი განხორციელება;

ე) პატენტის საგანი სცილდება იმ განაცხადის შინაარსის ფარგლებს, რომლის მიხედვითაც დადგინდა პრიორიტეტი“.

გაუქმებას კი უკუძალა აქვს, ე. ი, პატენტი არარსებულად ითვლება დასაწყისიდანვე (მისი გაცემის მომენტიდან). ამიტომ შესაბამისი პატენტის საფუძველზე და მისი მოქმედების პერიოდში დადებული გარიგებები, ასევე ექვემდებარება გაუქმებას. თუ, მაგალითად, პატენტის მფლობელმა სალიცენზიო შეთანხმება დადო და შესაბამისი გასამრჩელო მიიღო, მაშინ პატენტის გაუქმების შემდეგ იგი შეიძლება აიძულონ დააბრუნოს მისთვის გაცემული თანხები, რადგანაც მათი მიღება განიხილება, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი.

ყველა ქვეყანაში პატენტის მფლობელი უფლებამოსილია უარი თქვას პატენტზე ნებისმიერ დროს, სრულად ან მის რომელიმე ნაწილზე და საპატენტო უწყებაში შესაბამისი განცხადების გაგზავნის გზით. უარი რეგისტრირდება უწყებაში და ოფიციალურ ძალას იძენს ბიულეტენში მასზე შეტყობინების პუბლიკაციის მომენტიდან.

პატენტის მფლობელის პატენტზე უარის თქმის უფლება, უმეტეს ქვეყნებში იზღუდება მესამე პირთა ინტერესებით. მაგალითად, საფრანგეთის საპატენტო კანონი ადგენს, რომ უარი დაიშვება მხოლოდ პატენტის ეროვნულ რეესტრში რეგისტრირებული ლიცენზიების მფლობელთა და მოგირავენთა მხრივ თანხმობის შემთხვევაში. თუ პატენტი ვალებისათვის ქონების აღწერილობის შედგენილობაში შედის ან სასამართლო პროცესი აღძრულია საპატენტო უფლებათა გადაცემის თაობაზე, სკანდინავიის ქვეყნების კანონებით პატენტის მფლობელის უარი არ შეიძლება მიღებული იქნეს, ვიდრე პატენტის ყადაღა მოქმედებს და სასამართლო პროცესი დამთავრებული არაა.

პატენტზე უარს ყველაზე ხშირად იმ შემთხვევაში ამბობენ, როცა პატენტი სხვა პატენტების უფლებების ინტერესებს ეხება და პატენტის პირველ მფლობელს არ სურს რა ჩართული იქნეს სასამართლო პროცესში, არჩევს, საერთოდ ჩამოერთვას პატენტი.

როგორც უკვე ზემოთაც აღინიშნა, პატენტის ძალაში დატოვებისათვის პატენტის მფლობელი ვალდებულია იხადოს ბაჟი. ბაჟის გადაუხდელობა კანონით დადგენილ ვადაში, ასევე იწვევს პატენტის მოქმედების შეწყვეტას.

ბაჟის გადაუხდელობა და ამასთან დაკავშირებული უფლების დაკარგვა რეგისტრირდება საპატენტო უწყების მიერ და ინფორმაცია ამის შესახებ ქვეყნდება საპატენტო ბიულეტენში. პატენტის მფლო-

ბელი იღებს შეტყობინებას გამოგონებაზე მისი უფლების შეწყვეტის შესახებ.

უმეტეს ქვეყნებში ბაჟის გადაუხდელობის გამო ძალადაკარგული პატენტი, შეიძლება აღდგეს გარკვეული ვადის განმავლობაში.

პატენტის აღდგენის ვადა ზოგიერთ ქვეყანაში (მექსიკა, ნორვეგია, საფრანგეთი, საქართველო, ფინეთი, შვეიცია) ჩვეულებრივ, დადგენილია 6 თვე, იმ ბოლო თარიღიდან, როცა გადახდილი უნდა ყოფილიყო ბაჟი; იგივე 6 თვეა დადგენილი, მაგალითად, იტალიაში, ოღონდ პატენტის შეწყვეტაზე შეტყობინების პუბლიკაციის შემდეგ. ცალკეულ სახელმწიფოებში პატენტის აღდგენის ვადა შეადგენს რამდენიმე წელს. კერძოდ, დიდ ბრიტანეთში პატენტი შეიძლება აღდგენილ იქნეს 1 წლის მანძილზე იმ დღიდან, როცა მან ძალა დაკარგა.

ყველა ქვეყანაში პატენტის აღდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პატენტის მფლობელი სარწმუნო მიზეზებს წარმოადგენს ამ ვადის გამოტოვებას განაძარტლებლად.

დამცველი დოკუმენტის აღდგენისათვის საპატენტო უწყებაში გამოგონებაზე შეტანილ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დადგენილი დროისათვის ბაჟის გადაუხდელობის მიზეზები, აგრეთვე შეიტანება პატენტის აღდგენისათვის განკუთვნილი შესაბამისი თანხა და ბაჟი. თუ განმცხადებელი შეძლებს საპატენტო უწყება დაარწმუნოს თავისი უფლებების აღდგენის უფლებამოსილებაში, განაცხადების შეტანის შესახებ ბიულეტენში ქვეყნდება ინფორმაცია. პუბლიკაციის მომენტიდან 2—3 თვის განმავლობაში ნებისმიერ შესამე პირს შეუძლია პატენტის აღდგენის წინააღმდეგ შეიტანოს შესაგებელი. თუ შესაგებელი შეტანილი არაა ან იგი უსაფუძვლოდ ჩათვალეს, აღადგენენ პატენტს, რის თაობაზეც შესაბამისი აღნიშვნა შეაქვთ რეგისტრში და იგი ქვეყნდება ბიულეტენში.

ვადა, რომლის განმავლობაშიც პატენტი არ მოქმედებდა, მისი აღდგენის შემდეგ პატენტის მოქმედების საერთო ვადაში ჩაითვლება.

თუ პატენტის აღდგენაზე განცხადება დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი ან განმცხადებელს უარი ეთქვა მისი უფლებების აღდგენაზე, პატენტი საბოლოოდ კარგავს ძალას. ინფორმაცია ამის შესახებ იბეჭდება საპატენტო უწყების ბიულეტენში.

ამჟამად პატენტის განუხორციელებლობის გამო მისი შეწყვეტა იშვიათად ხდება. პრაქტიკაში საკითხი პატენტის მოქმედების ვადაზე

ადრე შეწყვეტის შესახებ ყველაზედ ხშირად მის დარღვევასთან დაკავშირებით წარმოიქმნება. მოპასუხე სარჩელის მიხედვით პატენტის დარღვევის შესახებ, ჩვეულებრივ, დატულია საპირისპირო სარჩელით პატენტის ძალადაკარგულად მიჩნევის შესახებ. უფრო მეტიც, ცალკეულ ქვეყნებში (მაგალითად, აშშ-ში) სარჩელი პატენტის ძალადაკარგულობაზე შეიძლება განცხადებული იყოს მხოლოდ იმ პირთა საპირისპირო სარჩელის სახით, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით პატენტის მფლობელის მიერ მისი უფლებების დარღვევაში.

მოქმედი კანონები შეიცავენ პატენტის გაუქმების დაახლოებით ერთნაირ საფუძვლებს. მათგან მთავარია — დაპატენტებული გამოგონების შეუსაბამობა კანონით დადგენილ პატენტუნარიანობის მოთხოვნებთან. სიახლის, არასიაშკარავის ან სარგებლიანობის უქონლობის საფუძველი ყველაზე ხშირად გვხვდება იმ შემთხვევაში, როცა პატენტს ძალადაკარგულად მიიჩნევენ.

პატენტის ძალადაკარგულად მიჩნევის მეორე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს აღწერილობაში გამოგონების არსის არასრული ან ბუნდოვანი, გაუგებარი, უზუსტო გახსნა ან გამოგონების საგნის არამკაფიო ფორმულირება, გამოგონების ფორმულისა და აღწერილობის შეუსაბამობა და ა. შ.

მესამე მნიშვნელოვან საფუძველს პატენტის ძალადაკარგულად მიჩნევისა წარმოადგენს, მისი იმ პირისათვის გაცემა, ვინც მოცემული გამოგონების პატენტის მიღებაზე უფლებამოსილი არაა. ამ საფუძვლის გათვალისწინება ხდება პატენტის გაცემის საგამომგონებლო სისტემის მქონე ქვეყნების კანონმდებლობით, კერძოდ, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, იაპონიაში, კანადაში, სკანდინავიის ქვეყნებში.

ზოგიერთ ქვეყანაში გათვალისწინებულია პატენტის გაუქმების სხვა საფუძვლებიც. მაგალითად, აშშ-ის სამართლით, პატენტი შეიძლება ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული, თუ აღწერილობა ან ნახაზები შეიცავენ შეცდომას, იაპონიის სამართლით, — თუ იგი გაცემულია საერთაშორისო მოლაპარაკების დარღვევით.

ძალადაკარგულობა შეიძლება ეხებოდეს მთლიან პატენტს ან მხოლოდ მის ნაწილს. პატენტის ძალადაკარგულად ნაწილობრივი მიჩნევა ნიშნავს, რომ მოქმედებს აგრძელებს ის ნაწილი, რომელიც ძალაში დარჩა.

პატენტის ძალადაკარგულად მიჩნევაზე სარჩელები ზემოთ დასა-

ხელბული საფუძვლების მიხედვით, როგორც წესი, უმეტეს ქვეყნებში შეიძლება შეტანილ იქნეს ნებისმიერი პირის მიერ. თუმცა სარჩელზე უფლება ზოგიერთი საფუძვლის მიხედვით დაინტერესებული პირებისათვის შეზღუდულია. მაგალითად, გერმანიაში, თუ პატენტის ძალადაკარგულობაზე სარჩელის საფუძველს წარმოადგენს აღწერილობებიდან, ნახაზებიდან, ნაკეთობებიდან, მოწყობილობებიდან გამომდებელი, სხვა პირის კუთვნილი გამოგონების არსებული ელემენტები, უფლება სარჩელზე მხოლოდ მოცემულ პირს ექნება. ნიდერლანდსა და სკანდინავიის ქვეყნებში, თუ პატენტი უფრო აღრინდელი პატენტის მფლობელის ინტერესებს ეხება, სარჩელზე უფლება აქვს მხოლოდ ამ პირს. თუ სარჩელის საფუძველს პატენტის მფლობელის არაუფლებამოსილება წარმოადგენს, ასეთი სარჩელი შეიძლება პატენტზე პრეტენზიის მქონე პირის მიერ იქნეს შეტანილი.

აშშ-ში, ინგლისში, ფინეთში, შვეციასა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში პატენტის ძალადაკარგულობის სარჩელზე უფლება მხოლოდ დაინტერესებულ პირს აქვს. ბრაზილიის, ფინეთის, შვეციისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების კანონები ითვალისწინებენ პატენტზე ამოქალაქო ხელისუფალთა მიერ შედავების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს „საზოგადოების ინტერესები“. მაგრამ, ჩვეულებრივ, პატენტის ნამდვილობას სადავოს ხდიან ისინი, რომლებიც ამით არიან დაინტერესებული, კერძოდ: პატენტის მფლობელის კონკურენტი სამრწველო და სავაჭრო საწარმოები, პატენტის დარღვევის საქმეებზე მოპასუხეები, ლიცენზიების მყიდველები და სხვა დაინტერესებული პირები. პროკურატურის ორგანოები, როგორც საჯარო საქვეყნო ხელისუფალნი, ასეთი საქმეების მოსარჩლეები იშვიათად არიან. პატენტის ძალადაკარგულად მიჩნევაზე სარჩელი სახელმწიფოს სახელით, ჩვეულებრივ, მხოლოდ იმ შემთხვევაში წარედგინება, როცა დასაცავი ობიექტი „კეთილზნეობას“, „მორალს“ ან „საჯარო წესრიგს“ ეწინააღმდეგება.

პატენტის ნამდვილობაზე შედავების შემთხვევაში მის ძალადაკარგულობაზე მტკიცების ტვირთი აწევს იმ მხარეს, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთა.

კანონი, როგორც წესი, პატენტზე შედავებისათვის სარჩელის ხანდაზმულობის ვადებს არ ადგენს. სარჩელი შეიძლება წარედგინოს იქნეს პატენტის მთლიანი ვადის მოქმედების განმავლობაში. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც; მაგალითად, იაპონიის კანონი

ადგენს, რომ, თუ პატენტი უკვე ცნობილ ან ტექნიკური ამოცანის აშკარა გადაწყვეტაზეა გაცემული, სარჩელი შეიძლება პატენტის რეგისტრაციის მხოლოდ 5 წლის განმავლობაში იქნეს განცხადებული. სკანდინავიის ქვეყნებში, თუ პატენტი არაუფლებამოსილ პირზეა გაცემული, სარჩელი შეიძლება წარდგენილი იქნეს 1 წლის მანძილზე იმ მომენტიდან, როცა პატენტზე პრეტენზიის მქონე პირმა გაიგო, რომ იგი სხვის სახელზეა გაცემული. ამავე დროს, თუ პატენტის მფლობელი კეთილსინდისიერად მოქმედებდა სარჩელი არ შეიძლება განცხადებული იყოს პატენტის გაცემის შემდეგ 3 წლის გასვლამდე. როგორც უკვე ითქვა, საქართველოში არაკეთილსინდისიერი მოპასუხის მიმართ სარჩელის წარდგენაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება.

დავის დაქვემდებარება პატენტის ძალადაკარგულად მიჩნევაზე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ისინი განიხილება ან საერთო სამოქალაქო სასამართლოების, ან სპეციალური საპატენტო სასამართლოების მიერ, ან კიდევ მათი განხილვა როგორც საპატენტო უწყებების, ისე სასამართლოთა კომპეტენციაში შედის.

უმეტეს ქვეყნებში (არგენტინა, აშშ, იტალია, ნიდერლანდი, საფრანგეთი, შვეიცია და სხვა) სარჩელებს პატენტის ძალადაკარგულად მიჩნევის შესახებ საერთო სამოქალაქო სასამართლოები განიხილავენ.

მაგალითად, აშშ-ში დავა პატენტის ნამდვილობაზე, ისევე როგორც დავა პატენტის დარღვევაზე, განიხილება ფედერალური საოლქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ. ამ უკანასკნელთა გადაწყვეტილებები გარკვეულ ვითარებათა გამრ (კონსტიტუციურ უფლებათა დარღვევა, საკითხის პრინციპული გადაწყვეტის აუცილებლობა) შეიძლება ქვეყნის უმაღლეს სასამართლოში იქნეს გასაჩივრებული.

ინგლისის კანონით საკითხი პატენტის ნამდვილობის შესახებ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საპატენტო უწყების გადაწყვეტილება შეიძლება სადავო გახდეს თავდაპირველად საპატენტო, ხოლო შემდგომ — სააპელაციო სასამართლოში. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სარჩელი პატენტის ძალადაკარგულად მიჩნევის შესახებ შეიძლება საპატენტო კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი საფუძვლით იქნეს წარმოდგენილი. ასეთ სარჩელებს, ისევე როგორც პატენტის დარღვევაზე სარჩელებს, პირველი ინსტანციის მიხედვით განიხილავს საპატენტო სასამართლო, მეორე ინსტანციის

ნიხედვით — სააპელაციო სასამართლო, უმაღლესი ინსტანციის მიხედვით კი — ლორდთა პალატა.

პატენტის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება უმეტეს ქვეყნებში აბსოლუტურ ხასიათს ატარებს, ე. ი. მოქმედებს ყველა პირთა წინააღმდეგ.

პატენტების ძალადაკარგულად მიჩნევაზე გადაწყვეტილება, აგრეთვე ყველა სხვა ცნობა პატენტების მოქმედების შეწყვეტის შესახებ ქვეყნდება საპატენტო უწყების ოფიციალურ ბიულეტენებში. შესაბამისი თანხის გადახდით საპატენტო უწყებები აგზავნიან ცნობებს პატენტების მოქმედების შესახებ.

ზემოთ აღნიშნული ყველა წინა მსჯელობა ეხებოდა ე. წ. ძირითად პატენტს. ძირითადი პატენტის სახით იგულისხმება ტექნოკურად სრულყოფილი, იურიდიულად დამოუკიდებელი გამოგონებისათვის გააცემული დამცველი დოკუმენტი, რომელიც მოცემული ქვეყნის საპატენტო სამართლით დადგენილ პატენტუნარიანობის ყველა კრიტერიუმს პასუხობს. პატენტის ეს სახე გავრცელებულია საპატენტო კანონმდებლობის მქონე ყველა ქვეყანაში.

როგორც ინდუსტრიულად განვითარებულ, ისე ბევრ განვითარებად ქვეყანაში ძირითად პატენტთან ერთად მოქმედებს პატენტების რამდენიმე სპეციალური სახე, კერძოდ, დამატებითი, დამოკიდებული, შემოტანილი ან დადასტურებული, გამაფრთხილებელი (წინასწარი) და სხვა.

პატენტების სპეციალურ სახეებს უფლებრივი კავშირი აქვს ძირითად პატენტებთან და ძირითადისაგან დასაპატენტებელი გამოგონების წინაშე წაყენებულ მოთხოვნათა მოცულობით, დაპატენტების პროცედურით, პატენტიდან გამომდინარე უფლებათა და მოვალეობათა მოცულობით განსხვავება.

ყველაზე მეტად გავრცელებულია დამატებითი პატენტი. იგი გავალისწინებულია უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობით.

დამატებითი პატენტი გულისხმობს დამატებით გამოგონებაზე გააცემულ დამცველ დოკუმენტს (მოწმობას ან პატენტს), რომელიც ძირითადი პატენტით დაცულ და მასზე ტექნიკურად დამოკიდებული სხვა გამოგონების სრულყოფას ან მოდიფიკაციას წარმოადგენს. დამატებითი პატენტი გაიცემა აგრეთვე გამოგონებაზე, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს; რეალიზებულ იქნეს ძირითადი პატენტის საგანი. მაგალითად, იაპონიის საპატენტო კანონის თანახ-

მად, თუ დაპატენტებულია ნაკეთობა, დამატებითი პატენტი შეიძლება მიღებულ იქნეს მისი დამზადების ხერხზე ან მოცემული ნაკეთობის წარმოებისათვის განკუთვნილ მანქანაზე, მოწყობილობაზე; თუ თავდაპირველად დაპატენტებულია ხერხი, დამატებითი პატენტი შეიძლება მიღებულ იქნეს მანქანაზე, რომელიც მისი განხორციელებისათვის გამოიყენება.

დამატებითი პატენტები გაიცემა მხოლოდ ისეთ გამოგონებებზე, რომლებიც ტექნიკურად არის ერთიმეორესთან დაკავშირებული და ერთიმეორეზე დამოკიდებული; დამატებითი პატენტები ისეთ გამოგონებებზეც გაიცემა, რომლებზეც პატენტი უკვე გაცემულია ან წარდგენილია საპატენტო განაცხადი. ტექნიკური დამოკიდებულება გამოიხატება იმით, რომ დამატებითი გამოგონება არ შეიძლება იყოს გამოყენებული დამოუკიდებლად ძირითადი გამოგონების ან რომელიმე მისი ნაწილის გამოყენების გარეშე. მაგალითად, საფრანგეთის საპატენტო კანონი ადგენს, რომ დამატებითი გამოგონების საგანი შეიძლება მხოლოდ ისეთი გამოგონებები იყოს, რომლებიც უკიდურეს შემთხვევაში პატენტის ფორმულის თუნდაც ერთ მოთხოვნასთანაა „დაკავშირებული“. თუ დადგინდება, რომ დამატებითი პატენტის ობიექტი ძირითადი პატენტის ობიექტთან შიგა კავშირს არ ფლობს, დამატებითი პატენტი ძალადაკარგულად მიიჩნევა.

გამოგონებას — დამატებითი პატენტის ობიექტს — იგივე მოთხოვნები წარედგინება, რაც ძირითადი პატენტის ობიექტის შემადგენელ გამოგონებას; ერთი გამონაკლისით, რომელიც იმას გულისხმობს, რომ ძირითად გამოგონებასთან შედარებით, დამატებითი გამოგონება შეიძლება არ ფლობდეს საგამომგონებლო შემოქმედების დონეს (არასიაშკარავეს). მიაჩნიათ, რომ ტექნიკური ამოცანის დამატებითი გადაწყვეტა ძირითადი პატენტით დაცული გამოგონების ბუნებრივ განვითარებას წარმოადგენს. ორივე მათგანი რაღაცნაირად ერთ მთლიანს შეადგენს. ამის საფუძველზე ძირითადი გამოგონების პატენტის არასიაშკარავე დამატებით გამოგონებაზე ვრცელდება. ზოგიერთი სახელმწიფოს კანონები მოითხოვენ, რომ დამატებითი სახით განცხადებული გამოგონება ძირითადისაგან „არარსებთად“ უნდა განსხვავდებოდეს.

დამატებითი გამოგონების ტექნიკური დამოკიდებულება იწვევს დამატებითი პატენტის უფლებრივ დამოკიდებულებას ძირითადისაგან, რომელიც სხვადასხვა ასპექტით გამოიხატება. მაგალითად, დამატები-

თი პატენტი შეიძლება განცხადებული იქნეს მხოლოდ ძირითადი პატენტის მოქმედების — როგორც წესი, მთელი ვადის განმავლობაში. სკანდინავიის ქვეყნებში დამატებითი პატენტი გაიცემა მასზე განაცხადის შეტანის შემთხვევაში ძირითად პატენტზე მასალების განხილვამდე ე. წ. გაწყობამდე, ე. ი. არა უგვიანეს 18 ავისა პრიორიტეტის თარიღიდან.

დამატებითი გამოგონების მოქმედების ვადა გაცილებით შეზღუდულია და განისაზღვრება უკვე გაცემული ძირითადი პატენტის სამოქმედო ვადის დარჩენილი ვადით, რომლის გასვლის შემდეგ ძალას კარგავს დამატებითი გამოგონებაც. ცალკეულ ქვეყნებში (არგენტინა, თურქეთი, სალვადორი და სხვა) დამატებითი პატენტი კიდევ უფრო მოკლე ვადით მოქმედებს. მაგალითად, არგენტინაში დამატებითი პატენტი შეიძლება გაიცეს ძირითადი პატენტის დარჩენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 წლისა. თუკი დამატებითი პატენტი ძირითადი პატენტის მოქმედების ნახევარი ვადის გასვლის შემდეგაა მიღებული, მაშინ მისი ვადა საპატენტო უწყების მიერ დგინდება.

დამატებითი პატენტის მიღებაზე უფლება უმეტეს ქვეყნებში მხოლოდ ძირითადი პატენტის მფლობელს აქვს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დამატებითი და ძირითადი გამოგონების შემქმნელები არ შეიძლება სხვადასხვა პირები იყვნენ. ყურადსაღებია, რომ დამატებით პატენტზე განაცხადის წარმდგენი შეიძლება ძირითადი პატენტის მფლობელი იყოს. „თუ გამოგონება — ნათქვამია, მაგალითად, იტალიის საპატენტო კანონში, — პატენტით უკვე დაცული, სხვა გამოგონების სრულყოფას წარმოადგენს, რომელიც იმავე პირს ეკუთვნის, მაშინ მასზე შეიძლება გაიცეს დამატებითი პატენტი“.

ზოგიერთ ქვეყანაში (არგენტინა, ბელგია, ერაყი, თურქეთი, ნიკარაგუა, ტუნისი, ჰონდურასი და სხვა) დამატებითი პატენტები გაიცემა ნებისმიერ პირზე, მაგრამ მათი გამოყენება დაშვებულია მხოლოდ ძირითადი პატენტის მფლობელის ნებართვით. თავის მხრივ, ძირითადი პატენტის მფლობელს არ შეუძლია დამატებითი პატენტით დაცული გამოგონება მისი მფლობელის თანხმობის გარეშე გამოიყენოს. ზემოთ აღნიშნულ ზოგიერთ ქვეყანაში დამატებითი პატენტი გაიცემა მესამე პირზე მხოლოდ კანონით დადგენილი ძირითადი პატენტის გაცემის ვადის გასვლის შემდეგ, რაც ჩვეულებრივ, ერთ წელს უტოლდება და რომლის მანძილზეც დამატებითი პატენტი შეიძლება მხოლოდ ძირითადი პატენტის მფლობელის მიერ იქნეს გან-

ცხადებული. გვატემალაში მესამე პირს განაცხადი დამატებით გამოგონებაზე შეუძლია მხოლოდ ძირითადი პატენტის მფლობელის ნებართვით შეიტანოს. თუ ძირითადი პატენტი რამდენიმე პირს მიეკუთვნება, დამატებითი პატენტი შეიძლება მხოლოდ ასეთი პატენტის ყველა მფლობელის თანხმობით იქნეს მიღებული.

ერთი ძირითადი პატენტის საფუძველზე გაცემული დამატებითი პატენტების ოდენობა, როგორც წესი, არ იზღუდება. თუმცა, ესპანეთში, პორტუგალიასა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში ერთ ძირითად პატენტზე არ შეიძლება სამზე მეტი დამატებითი პატენტი იქნეს მიღებული. დასაშვებია დამატებითი პატენტის მიღება სხვა დამატებით პატენტზეც.

დამატებითი პატენტის ძალაში დატოვებისათვის უმეტეს ქვეყნებში ბაჟს არ იხდიან. ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრია, არგენტინა, ბელგია, ლიბანი და სხვა) ეს პირობა გათვალისწინებულია, მაგრამ მათი ოდენობა ძირითადი პატენტის ბაჟის ოდენობასთან შედარებით მცირეა. მაგალითად, არგენტინაში ბაჟი დამატებით პატენტზე ძირითადი პატენტის მფლობელისათვის უტოლდება 25%-ს, ხოლო მესამე პირისათვის იგი ძირითადი პატენტისათვის გადასახდელი თანხის 50%-ია.

თუ ძირითადი პატენტი ძალადაკარგულად მიიჩნევა ისეთი საფუძვლებით, რომლებიც დამატებითს არ ეხება, უკანასკნელი მისი მფლობელის სურვილით შეიძლება ძირითადად გარდაიქმნეს და მისი მოქმედების ვადა იანგარიშება ძირითადი პატენტის მოქმედების პირველი დღიდან, ხოლო ძალაში დატოვებისათვის გადაიხდება ჩვეულებრივი ბაჟი.

დამატებითი პატენტის მფლობელს გამოგონების განხორციელების მოვალეობა არ ეკისრება. ამასთან ერთად დამატებითი პატენტით დაცული გამოგონების განხორციელება ისეთივე უფლებრივ შედეგებს იწვევს, როგორსაც ძირითადი გამოგონების პატენტის განხორციელება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძირითადი პატენტის მფლობელის მოვალეობა გამოგონების განხორციელებასთან დაკავშირებით შეიძლება დამატებითი პატენტის საგნის მქონე გამოგონების განხორციელების გზით იქნეს შესრულებული. მაგალითად, ესპანეთის საპატენტო კანონი აღგენს, რომ „დამატებითი პატენტის განხორციელება ყოველმხრივ ცვლის ძირითადი პატენტის განხორციელების მოთხოვნებს“.

დამატებითი და ძირითადი პატენტის უფლებრივი კავშირი იმითაც

ვლინდება, რომ დამატებითი პატენტის დარღვევა აუცილებლად იწვევს ძირითადი პატენტის დარღვევასაც.

ამრიგად, დამატებითი პატენტი მთელ რიგ უპირატესობებს ანიჭებს ძირითადი პატენტის მფლობელს. საგამომგონებლო შემოქმედების დონის უქონლობა, მაშასადამე, განაცხადების შედარებით მართი პროცედურა, აგრეთვე ის, რომ პატენტის დაცვისათვის ბაჟის გადახდა აუცილებელი არაა, დამატებითი გამოგონებების უფლებრივ დაცვას აადვილებს.

დამატებით პატენტებს ძირითადი პატენტების მფლობელები წარმატებით იყენებენ ძირითად გამოგონებაზე პატენტით მინიჭებული მონოპოლიის გაფორმებისათვის. ამჟამად კარგი ტექნიკური სიახლე, როგორც წესი, დაცულია არა ერთი, არამედ ძირითადი და დამატებითი პატენტების მთელი სერიით, რაც უზრუნველყოფს მის ყოველმხრივ უფლებრივ დაცვას. დამატებითი პატენტების გარკვეული წილი, ყოველწლიურად გაცემული პატენტების საერთო რიცხვში ზოგიერთ ქვეყანაში შედარებით დიდია. საფრანგეთში იგი მაგალითად, შეადგენს 5—6%-ს, გერმანიაში — 10%-ს.

დამატებითი პატენტი გაუმჯობესებული დაპატენტებული გამოგონების ერთადერთი დაცვის ფორმა არ არის. ძირითადი პატენტის მფლობელს შეუძლია გამოგონების გაუმჯობესებისათვის მიიღოს სხვა ძირითადი პატენტიც. კერძოდ, ავსტრიის საპატენტო კანონი ადგენს, რომ „გაუმჯობესების ან შემდგომ მოდიფიკაციის მიმართ განმცხადებელი დამოუკიდებლად წყვეტს საკითხს იმასთან დაკავშირებით, მიიღოს თუ არა დამოუკიდებელი ან მთავარზე დამოკიდებული დამატებითი პატენტი. არჩევანის უფლება განმცხადებლისათვის იზღუდება მხოლოდ იმით, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, დამატებითი პატენტის საგანს ძირითადი გამოგონების მიმართ არაპაიპაკარავის მოთხოვნები არ წარედგინება. ამ ვითარებამ შეიძლება წინასწარ განსაზღვროს გაუმჯობესების დაცვის ფორმა.“

ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, ბრაზილია, მექსიკა, პარაგვაი და ფილიპინები) დამატებითი პატენტები არ არსებობს. დაპატენტებული გამოგონებების გაუმჯობესებისათვის ამ ქვეყნებში გაცივმა ძირითადი პატენტები.

მესამე პარტა მიერ დაპატენტებულ გამოგონებებზე, რომლებიც ტექნიკურად ერთიმეორეზეა დამოკიდებული, გაცივმა დამოკიდებული პატენტია.

გამოგონებათა გამოყენება, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, პატენტის მფლობელის განსაკუთრებულ მონოპოლიას წარმოადგენს. თუმცა ამ მონოპოლიის განხორციელება მესამე პირთა ინტერესებს და უპირველეს ყოვლისა სხვა პატენტების მფლობელებს არ უნდა შეეხოს. ამასთან ერთად პრაქტიკაში ხშირად იქმნება გამოგონებები, რომლებსაც აქვთ მოქმედი პატენტებით დაცული და მესამე პირთა კუთვნილი სხვა გამოგონებების არსებითი ნიშან-თვისებების მქონე ელემენტები. ასეთ გამოგონებათა გამოყენება პატენტის მფლობელთა ნებართვის გარეშე არ შეიძლება. მხოლოდ ამით გამოიხატება უფლებრივი კავშირი დამოკიდებული პატენტისა ე. წ. მთავარ პატენტთან. სხვა მხრივ იგი ძირითადი პატენტისაგან არ განსხვავდება, კერძოდ, მიეცემა ნებისმიერ პირს და მის მფლობელს ჩვეულებრივ პრივილეგიებს ანიჭებს; გამოგონებას წაეყენება პატენტუნაროანობის ჩვეულებრივი მოთხოვნები; მისი მოქმედებების ვადა ყველა ქვეყანაში ისეთივეა, როგორც ძირითადი პატენტისა და ა. შ. თუ ძირითად პატენტს ვადა გააღდის ან იგი ძალადაკარგულად მიიჩნევა, დამოკიდებული პატენტი ძალას ინარჩუნებს და დამოუკიდებელი ხდება.

პატენტის დამოკიდებულება ძირითად პატენტზე გამოგონებათა ექსპერტიზის დროს დგინდება საპატენტო უწყებაში ან დავისწამოქრისას სასამართლოში. თუ განმცხადებელმა იცის, რომ მისი გამოგონება სხვა გამოგონების რაიმე ნიშან-თვისებებს ემყარება ან მასში მოქმედი პატენტებით დაცული გადაწყვეტები გამოიყენება, იგი მოვალეა მიუთითოს ეს აღწერილობაში და დაასახლოს პატენტის ნომერი. პატენტის დამოკიდებულების დადგენა ექსპერტიზის დროს მეტად რთულ პროცესს წარმოადგენს. ამიტომაც ყველა ქვეყანაში, ავსტრიისა და ისლანდიის გარდა, პატენტები დამოკიდებულ გამოგონებებზე კანონით განსაკუთრებულ კატეგორიად არ გამოიყოფა და მათზე ფორმალურად გაიციმა ძირითადი პატენტები. შერამ უმეტეს ქვეყნებში სხვა პატენტებით დაცული ტექნიკურად დამოკიდებული გამოგონებების გამოყენება, შესაძლებელია მხოლოდ მათი მფლობელების ნებართვით. მაგალითად, საფრანგეთის საპატენტო კანონი ადგენს, რომ „უკვე დაპატენტებული გამოგონების გაუმჯობესებაზე გაცემული პატენტის მფლობელს მესამე პირის სასარგებლოდ არ შეუძლია გამოიყენოს თავისი გამოგონება უფრო ადრეული პატენტის მფლობელის ნებართვის გარეშე“.

თუ გამოგონების დამოკიდებულება ექსპერტიზის მსვლელობისას

დგინდება, აღწერილობაში და დამოკიდებული პატენტის საპატენტო სივლეში დაისმება ძირითადი, ე. ი. ადრე გაცემული პატენტის ნომერი. ეს კეთდება მესამე პირთა ინტერესების დაცვის მიზნით, რომლებმაც ასეთი მითითების არსებობის შემთხვევაში შეიძლება დამოკიდებულების არსებობა არ იცოდნენ და ძირითადი პატენტი დაარღვიონ. მაგალითად, ისლანდიის საპატენტო კანონი ადგენს, რომ „პატენტი გაიცემა... უკვე დაპატენტებულ გამოგონებებში შეტანილ ცვლილებებზე... ასეთი პატენტი დამოკიდებულად მიიჩნევა და ძირითად პატენტზე სპეციალურ მითითებას უნდა შეიცავდეს“. თუ ძირითად პატენტზე მითითება არ არსებობს, იგი შეიძლება მისი მფლობელის მოთხოვნით გაკეთდეს.

დამოკიდებული გამოგონების გამოყენება დაიშვება მხოლოდ ძირითადი პატენტის მფლობელის ნებართვით. ამგვარი სახით ძირითადი პატენტის მფლობელსაც არ შეუძლია გამოიყენოს დამოკიდებული პატენტით დაცული გამოგონება.

როგორც წესი, დამოკიდებული პატენტის მფლობელს შეუძლია მიიღოს იძულებითი ლიცენზია ძირითადი გამოგონების გამოყენებაზე, თუ მისი მფლობელი უარს აცხადებს თავისი ნებით მისცეს მას ამის უფლება. სხვა მხრივ, გარკვეულ ვითარებათა დროს ძირითადი პატენტის მფლობელსაც შეუძლია მიიღოს მის პატენტზე დამოკიდებული გამოგონების გამოყენების ნებართვა. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ჯვარედინი ლიცენზიის არსებობას.

ესპანეთსა და ლათინურ ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში (ვენესუელა, მექსიკა, ურუგვაი, ჰონდურასი) დაპატენტებული გამოგონების გაუმჯობესებისათვის გაიცემა დამცველი დოკუმენტები დასახელებით — „პატენტები გაუმჯობესებისათვის“. ეს პატენტები ჩვეულებრივი ძირითადი პატენტებისაგან არსებითად არ განსხვავდება. ისინი გაიცემა ნებისმიერ პირზე, მათი მოქმედების ვადა და დამცველი ბაჟების ოდენობა ისეთივეა, როგორც ძირითადისა. გაუმჯობესებისათვის გაცემული პატენტები არ შეიძლება განვიხილოთ დამატებითი პატენტების სახით, მათ გამოგონების საფუძველზე გაცემულ პატენტთან უფლებრივი კავშირი არა აქვთ. სხვა მხრივ, თუ პატენტი გაუმჯობესებისათვის გაცემულია მესამე პირზე, იგი შეიძლება პატენტის იმ მფლობელის გარეშე იქნეს გამოყენებული, ვის ინტერესებსაც ეხება ასეთი გამოყენება. მოცემულ შემთხვევაში გაუმჯობესებისათვის გაცემული პატენტი დამოკიდებულ პატენტს წარმოადგენს.

უმეტეს განვითარებად ქვეყნებში არსებობს შემოტანილი ან დადასტურებული პატენტები.

შემოტანილი ან დადასტურებული პატენტის ცნება გულისხმობს პატენტს, რომელიც მოქმედი უცხოური პატენტის ან მოწმობის საფუძველზე გაიცემა. აქედან წარმოდგება ამ სახის პატენტის დასახელება, რომელიც სხვა ქვეყანაში უკვე მოქმედი პატენტის დადასტურებას წარმოადგენს. ან დადასტურებს იპორტს, უცხოური პატენტის შემოტანას. სხვადასხვა ქვეყანაში მიღებულია ამ სახის პატენტის სხვადასხვა აღნიშვნა (შემოტანილი, დადასტურებული), მაგრამ სხვადასხვაობა მხოლოდ ტერმინოლოგიურ ხასიათს ატარებს და იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს. შემოტანილი პატენტები თითქმის ყველგან ნებისმიერი უცხოური გამოგონების დამცველი დოკუმენტის საფუძველზე (პატენტი, მოწმობა) გაიცემა. თუმცა ესპანეთში შემოტანილი პატენტი შეიძლება გაცემული იქნეს არა მარტო უცხოური პატენტის საფუძველზე, არამედ ნებისმიერ სხვა პუბლიკაციაზე (წიგნები, სტატიები და ა. შ.), რომლებიც ხსნიან გამოგონებას. ეკვადორში შეტანილი პატენტის მიღებას საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში მოქმედი პატენტები.

შემოტანილი პატენტის წარმოებულ ხასიათს განსაზღვრავს პატენტის მიმართ მისი უფლებრივი დამოკიდებულება, რომლის საფუძველზეც პატენტი იყო გაცემული. იგი ვლინდება შემოტანილი პატენტისათვის დადგენილი გაცემის, ვადების დადგენისა და მოქმედების პირობების წესით.

შემოტანილი პატენტის მიღებაზე უფლება, როგორც წესი, აქვს უცხოური პატენტის მფლობელს. ბელგიაში, ვენესუელაში, ესპანეთსა და ზოგიერთი სხვა ქვეყანაში შეტანილი პატენტი შეიძლება ნებისმიერი პირის სახელზე გაიცეს; თურქეთში — საზღვარგარეთ დაპატენტებული გამოგონების განმცხადებელზე.

შემოტანილი პატენტი შეიძლება უცხოური პატენტის მოქმედების ნებისმიერ მომენტში იქნეს მიღებული. გამონაკლისს წარმოადგენს ვენესუელა, სადაც განაცხადის წარდგენა დაშვებულია შემოტანილ პატენტზე მხოლოდ უცხოური პატენტის გაცემის შემდეგ სამი წლის განმავლობაში.

გამოგონებას, რომელიც შემოტანილი პატენტის საგანს წარმოადგენს, წარედგინება სიახლისადმი შეზღუდული მოთხოვნები. განაცხადის შეტანამდე, სიახლის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება გა-

მოგონების საგნის მხოლოდ ღია გამოყენება. გამოგონების არსის პუბლიკაცია შემოტანილი პატენტის ქვეყანაში და საზღვარგარეთ, ღია გამოყენება საზღვარგარეთ არ წარმოადგენს დაბრკოლებას შემოტანილი პატენტის მისაღებად. ეს წესი მოქმედებს იმ ქვეყნებშიც, სადაც გამოგონებას მსოფლიო სიახლის მოთხოვნები აქვს წაყენებული.

თუმცა ცალკეულ ქვეყნებში ადგილობრივი სიახლის მოთხოვნები წაყენება გამოგონების გახსნის სხვა საშუალებებსაც. კერძოდ, ესპანეთის საპატენტო კანონი ადგენს, რომ „შემოტანილი პატენტის ობიექტი შეიძლება იყოს გამოგონება, რომელიც გახმაურებული ან დაპატენტებული იყო საზღვარგარეთ, მაგრამ... არ იყო გახსნილი, გამოყენებული ან განხორციელებული ესპანეთში“.

შემოტანილი პატენტის გაცემის პროცედურა, ჩვეულებრივ, უფრო მარტივია, ვიდრე ძირითადისა. მისი მიღებისათვის აუცილებელია უცხოური პატენტის სწორად გაფორმებული ასლის წარდგენა, რომლის საფუძველზეც მოითხოვება იგი.

შემოტანილი პატენტები გაიცემა უცხოური პატენტის მოქმედების დარჩენილი ვადით, რომელმაც არ შეიძლება ძირითადი პატენტისათვის კანონით დადგენილ ვადას გადააჭარბოს. არგენტინასა და ესპანეთში შეტანილი პატენტები გაიცემა გაცილებით მოკლე ვადით (10 წელი). შემოტანილი პატენტის მფლობელებს ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც ძირითადი პატენტებისას, მაგრამ არსებობს ცალკეული გამონაკლისებიც. მაგალითად, ესპანეთში შეტანილი პატენტი უფლებას იძლევა ქვეყანაში წარმოებული იქნეს და გაიყიდოს გამოგონების საგანი, მაგრამ პატენტის მფლობელს ნებას არ აძლევს მესამე პირებს აუკრძალოს მისი საზღვარგარეთიდან შემოტანა. გამოგონებათა გამოყენება დაწყებული უნდა იქნეს ერთი წლის მანძილზე შემოტანილი პატენტის გაცემის დღიდან. არსებობს შემოტანილი პატენტებისათვის დადგენილი გამოგონების აუცილებელი განხორციელების განსხვავებული წესები, კერძოდ, შემოტანილი პატენტის განხორციელება მისი გაცემის შემდეგ, მესამე წლიდან დაწყებული, ყოველწლიურად უნდა განხორციელდეს. ფაქტობრივი განხორციელება არ შეიძლება ნომინალურით შეიცვალოს.

შემოტანილი პატენტების ძალაში დატოვებისათვის ისეთივე ბაჟის გადახდაა საჭირო, როგორც ძირითად პატენტზე.

შემოტანილი პატენტის უცხოურ პატენტთან დამოკიდებულება იმითაც გამოიხატება, რომ უცხოური პატენტის ძალადაკარგულად

მიჩნევა იწვევს შემოტანილი პატენტის ძალადაკარგულად მიჩნევისაც. თუკი უცხოური პატენტი ძალას დაკარგავს, მაგალითად, პატენტის მფლობელის მიერ თავის უფლებებზე უარის თქმასთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა საფუძვლებით, შემოტანილი პატენტი მოქმედებას აკრძალავს.

შემოტანილი ან დადასტურებული პატენტები ძირითადად განვი-თარებად ქვეყნებშია გავრცელებული. პატენტის ეს სახე ცნობილია ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნისათვის, ბრაზილიის, კოლუმბიისა და მექსიკის გამოკლებით, ასევე ფრანგული საპატენტო-უფლებრივი სისტემის მქონე, ზოგიერთი ქვეყნებისათვის — მათ შორის ესპანეთი-სათვის; რაც მოწმობს ამ ქვეყნის მრეწველობის საკმაო დამოკიდე-ბულებას უცხოურ კაპიტალზე და მისი საკუთარი ტექნიკური დონის ჩამორჩენას.

ბელგიაში 1984 წლამდე გამოგონებაზე გაიცემოდა რამდენიმე სა-ხის პატენტი, მათ შორის შემოტანილი პატენტიც. 1984 წლის 23 მარ-ტის კანონით დადგენილია მხოლოდ ერთი სახე — პატენტი გამო-გონებაზე.

შემოტანილი პატენტები პატენტის მფლობელებს უაღვილებენ გამოგონებათა დაცვას; ისინი გამოიყენება ინდუსტრიულად განვითა-რებული სახელმწიფოების მიერ განვითარებად ქვეყნებში კაპიტალი-სა და სამრეწველო საგნების ექსპორტის დაცვისათვის.

ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში, რომლებიც უკანასკნელ დრომდე პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოკიდებული იყვნენ დიდ ბრიტანეთზე, არსებობს ე. წ. რეგისტრირებული პატენტის კატეგორია. რეგისტრირებული პატენტი წარმოადგენს ბრიტანე-თის პატენტის რეგისტრაციაზე მოწმობას. შუამდგომლობა რე-გისტრაციაზე შეიძლება 3 წლის ვადის განმავლობაში იქნეს წარდგე-ნილი, დიდი ბრიტანეთის პატენტის გაცემის თარიღიდან. რეგისტრი-რებული პატენტის მიღების უფლება მხოლოდ დიდი ბრიტანეთის პატენტის მფლობელს აქვს. რეგისტრირებული პატენტი, შემოტანი-ლისაგან განსხვავებით, შესაბამის ქვეყანაში მოქმედებს არა მისი რე-გისტრაციის მომენტიდან, არამედ პატენტის მოქმედების დაწყებიდან დიდ ბრიტანეთში, ე. ი. მას უკუძალა აქვს.

რეგისტრირებული პატენტის საგანი უნდა აკმაყოფილებდეს გა-

შოგონების ადგილობრივი სიახლის მოთხოვნას, რომელიც დიდ ბრიტანეთში შესაბამისი განაცხადის შეტანის თარიღით ღვინდება.

რეგისტრირებულ პატენტზე, ისევე როგორც შემოტანილ პატენტზე, განაცხადის ექსპერტიზა არ ტარდება.

რეგისტრირებული პატენტის მოქმედებისათვის ბაჟს არ ახდენიან.

ძირითადად ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში (არგენტინა, ბოლივია, პერუ და სხვა) არსებობს გამაფრთხილებელი პატენტების კატეგორია.

გამაფრთხილებელ პატენტს, შეიძლება პირობითად ვუწოდოთ პატენტი, რამდენადაც იგი მის მფლობელს გამოგონების პრაქტიკული გამოყენების, მის შესახებ მოხსენებების, ლექციების და ა. შ. გარდა, რაიმე უფლებას არ ანიჭებს. მისი მიზანი ძირითადად ისაა, რომ პრიორიტეტი დაამკვიდროს გარკვეული ვადით. გამაფრთხილებელი პატენტის საგანს წარმოადგენს ტექნიკურად დაუმთავრებელი გამოგონება, რომლის ფორმულირება ავტორს ჯერ კიდევ გარკვეულად არ შეუძლია; რათა განაცხადი წარადგინოს ძირითად პატენტზე. იმისათვის, რომ გამაფრთხილებელმა პატენტმა ძალა არ დაკარგოს, მფლობელმა მისი მოქმედების პროცესში უნდა წარადგინოს განაცხადი ძირითად პატენტზე. ამ შემთხვევაში გამოგონების პრიორიტეტი გამაფრთხილებელ პატენტზე განაცხადის თარიღის მიხედვით იქნება დადგენილი.

ზოგიერთ ქვეყანაში (არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, სალვადორი, შრილანკა) გამაფრთხილებელი პატენტი მიეცემა ნებისმიერ გამოგონებელს, მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი კუთვნილებისა; ზოგიერთში — (ჩილი, გვატემალა) მხოლოდ ეროვნულ განმცხადებლებს; პერუში — ამ ქვეყნის მაცხოვრებელ ნებისმიერ პირს.

გამაფრთხილებელი პატენტების მოქმედების ვადები დიდი არ არის. არგენტინაში, ბოლივიაში, ბრაზილიაში, პერუში, სალვადორში, ჩილში მათი ვადა 1 წელია, გვატემალაში — 6 თვე. ზოგიერთ ქვეყანაში (გვატემალა, ჩილი) დაშვებულია ასეთივე ვადით ვადის ერთხელ გაგრძელება; არგენტინასა და სალვადორში ვადის გაგრძელებათა რიცხვი შეზღუდული არაა.

ჰონდურასში გამაფრთხილებელ პატენტს დროებით პატენტს უწოდებენ, ბრაზილიაში კი — „პრიორიტეტის გარანტიის“ პატენტს. კანადაში გამაფრთხილებელი პატენტის ფუნქციას ასრულებს წინასწარი

განაცხადი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში მოქმედებს და აწ
ვადში განმცხადებელს პრიორიტეტს უმკვიდრებს.

გამათრახილებელი პატენტები ძირითადად გამოიყენება ადგი-
ლობრივი გამომგონებლების უფლებათა დაცვისათვის.

ქვეყნების ერთ ჯგუფში არსებობს სამრეწველო საკუთრების გან-
საკუთრებული სახე — სასარგებლო მოდელი. სასარგებლო მოდე-
ლების დაცვა გათვალისწინებულია ან საპატენტო კანონმდებლობით
(ბრაზილია, ესპანეთი, პორტუგალია, საქართველო, ფილიპინები და
სხვა), ან სპეციალური აქტებით სასარგებლო მოდელებზე (გერმანია,
იაპონია, იტალია, ლიხტენშტაინი, სამხრეთ კორეა, სან-მარინო, სო-
მალი, ურუგვაი და სხვა).

სასარგებლო მოდელის სახით იგულისხმება ამოცანის ტექნიკური
გადაწყვეტა, რომელიც ძირითადად მოწყობილობას მიეკუთვნება. იგი
შეიძლება გამოიხატოს ობიექტის განსაკუთრებული ფორმით თავი-
სებური განლაგებით, მისი ცალკეული ნაწილების შერწყმით, ახალი
კვანძების დეტალების გამოყენებით და ა. შ. როგორც დადგენილია,
მაგალითად, ბრაზილიის სამრეწველო საკუთრების კოდექსში სასარ-
გებლო მოდელად მიიჩნევა პრაქტიკული გამოყენების მქონე, ნე-
ბისმიერი გაერთმობიანება, ცნობილი ობიექტების ახალი ფორმა.

სასარგებლო მოდელების რიცხვს, როგორც წესი, არ მიეკუთვნე-
ბა ხერხები, ნივთიერებები, განსაკუთრებით არამდგრადი ფორმის
(სითხეები, აირები), ცოცხალი ორგანიზმები. თუმცა გარკვეულ პირო-
ბებში ზოგიერთი ნივთიერება სასარგებლო მოდელად მიიჩნევა:
იაპონიაში, მაგალითად, სასარგებლო მოდელს წარმოადგენს „საკვები
და სამედიცინო პროდუქტები, თუ ისინი მოწყობილობის ან მოწყო-
ბილობათა კომბინაციის ფორმითაა დამზადებული“ (მაგალითად, სი-
გარეტი პერფორირებული ქაღალდით).

საქართველოს დებულებით გამომგონების შესახებ, „პატენტი გა-
იცემა სასარგებლო მოდელზე, რომელიც განეკუთვნება მოწყობი-
ლობების, ნივთიერებებისა და ხერხების გაუმჯობესებას და გამოყენე-
ბისას სიახლითა და სარგებლიანობით გამოირჩევა“.

მთელ რიგ ქვეყნებში ნებადართულია ქიმიური ნივთიერებების
სასარგებლო მოდელების სახით რეგისტრაცია, თუ სიახლისათვის
დამახასიათებელია მისი ატომების სივრცეში განლაგების სპეციფიკა.
ამასთან, გერმანიასა და იაპონიაში ნებადართულია სასარგებლო მო-
დელის ფორმულაში ქიმიური შედგენილობის მითითება.

მაშასადამე, სასარგებლო მოდელის სპეციფიკურ ნიშან-თვისებას წარმოადგენს ის, რომ ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებულია მატერიალური ობიექტების სივრცობრივ განხორციელებასთან. ამიტომ ცნება „სასარგებლო მოდელი“ მოიცავს ობიექტების უფრო ვიწრო წრეს, ვიდრე ცნება „გამოგონება“.

სასარგებლო მოდელების პატენტუნარიანობის კრიტერიუმები ძირითადად იგივეა, რაც გამოგონებებისა, კერძოდ, სიახლე, სამრეწველო გამოყენებადობა, სარგებლიანობა, საგამომგონებლო შემოქმედების დონე.

სასარგებლო მოდელების უფლებრივი დაცვის თავისებურებებს წარმოადგენს შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი მოთხოვნები, რომლებიც საგამომგონებლო შემოქმედების დონეს ეხება. იაპონიის კანონი ადგენს, რომ სასარგებლო მოდელი — ეს „ბუნების კანონების გამოყენებული ტექნიკური იდეაა“. ამასთან ერთად ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტა სასარგებლო მოდელად არ მიიჩნევა, თუ იგი „ძალზე ადვილად შეიძლება იქნეს შექმნილი საშუალო დონის მქონე სპეციალისტის მიერ. მოცემულ დარგში ცნობილი ცნობების ბაზაზე“. მაშასადამე, აუცილებელია, რომ ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტა, რომლის შედეგსაც სასარგებლო მოდელი წარმოადგენს საშუალო დონის მქონე სპეციალისტისათვის, გარკვეული ზომით არ იყოს აშკარა.

როგორც ცნობილია, ეს კრიტერიუმები სუბიექტურ ხასიათს ატარებს და ამიტომ ზღვარის დადგენა გამოგონებასა და სასარგებლო მოდელს შორის ძალზე რთულია. პრაქტიკაში ხშირად ერთი და იგივე ტექნიკური გადაწყვეტა ერთ ქვეყანაში დაცულია გამოგონებაზე, პატენტით, ხოლო მეორე ქვეყანაში რეგისტრირებულია როგორც სასარგებლო მოდელი. სასარგებლო მოდელის გამოგონებასთან მიანხლოების გამო სასარგებლო მოდელზე განაცხადი, თანახმად პარიზის კონვენციისა, შეიძლება იყოს საფუძველი გამოგონებაზე კონვენციური განაცხადის შეტანისათვის და პირიქით.

ზოგიერთ ქვეყანაში, სახელდობრ, ესპანეთსა და იაპონიაში, შეიძლება პატენტზე განაცხადი გარდაიქმნას სასარგებლო მოდელზე განაცხადად და განაცხადები სასარგებლო მოდელებზე განაცხადად პატენტზე. საქართველოს საპატენტო უწყება — „საქპატენტი“ ცალკეულ შემთხვევებში დაშვებულად მიიჩნევს სასარგებლო მოდელის გამოგონებად აღიარებას, თუკი ამას მოითხოვს განმცხადებელი. ამ-

გვარი მოთხოვნა დასაშვებია პატენტის გაცემაზე გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 2 წლისა“. მოქმედი წესით საქართველოში „გამოგონების პატენტის გაცემის დღიდან სამი წლის განმავლობაში დასაშვებია ამ გამოგონების სასარგებლო მოდელად გადაფორმება“.

იაპონიაში პატენტის გაცემაზე უარის შემთხვევაში — აუცილებელი საგამომგონებლო შემოქმედების დონის უქონლობის გამო საპატენტო განაცხადი შეიძლება სასარგებლო მოდელზე განაცხადად გარდაიქმნას საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ 4 თვის მანძილზე. ამასთან, ახალი განაცხადისათვის პრიორიტეტი დგინდება თავდაპირველი განაცხადის მიხედვით, რომელიც გარდაქმნის შემდეგ ავტომატურად უქმდება. გერმანიასა და იტალიაში გამოგონებაზე განაცხადის შეტანასთან ერთად შეიძლება შეტანილ იქნეს დამხმარე განაცხადი სასარგებლო მოდელზე, რომელზეც შეიძლება გაიცეს დამცველი დოკუმენტი გამოგონების შესახებ პატენტის გაცემაზე უარის შემთხვევაში.

დანარჩენი მოთხოვნები, რომლებსაც სასარგებლო მოდელები უნდა პასუხობდეს, გამოგონებებისადმი წარდგენილი მოთხოვნებისაგან არ განსხვავდება; პატენტუნარიანობის შესაბამისი კრიტერიუმების განსაზღვრის პირობები ანალოგიურად იმ წესებს ექვემდებარებიან რომლებიც გამოგონებებისათვის არის დადგენილი.

სასარგებლო მოდელზე დამცველი დოკუმენტი, ჩვეულებრივ, მოწმობის სახელწოდებას, ატარებს; იტალიასა და საქართველოს რესპუბლიკაში — მას პატენტი ეწოდება. ნშირად მას „მცირე პატენტსაც“ უწოდებენ.

სასარგებლო მოდელზე განაცხადის განხილვისა და მოწმობის გაცემის პროცედურა ძირითადად იგივეა, რაც გამოგონებათა დაპატენტებისას. საქართველოში, ისე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სასარგებლო მოდელზე განაცხადის წარდგენის წესი და ფორმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში გასაჩივრების წესი იგივეა, რაც გამოგონებისათვის. გამონაკლისს წარმოადგენს გერმანია, სადაც სასარგებლო მოდელები გამოგონებებისაგან განსხვავებით რეგისტრირდება ე. წ. განცხადებითი წესით. გარდა ამისა, დასაშვებია ფორმულის მხოლოდ ერთი პუნქტის შევსება.

სასარგებლო მოდელზე გაცემული მოწმობის უფლებათა მოცულობა გამოგონებაზე პატენტით დადგენილ უფლებათა მოცულობისა-

გან არ განსხვავდება. თუმცა სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლების ხანგრძლივობა უმეტეს ქვეყნებში გაცილებით უფრო ნაკლებია. კერძოდ, გერმანიაში იგი 3 წელია, კიდევ 3 წლით ჯაგრძელების შესაძლებლობით; იაპონიაში, იტალიაში — 10 წელი; პორტუგალიაში — 5 წელი, რეგისტრაციის არაერთხელ გაგრძელების შესაძლებლობით; საქართველოში სასარგებლო მოდელზე პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება განაცხადის შეტანის დღიდან 8 წლით.

სასარგებლო მოდელზე მოწმობის მფლობელს ისეთივე ანალოგიური მოვალეობანი აქვს, როგორც გამოგონებაზე პატენტის მფლობელს. ამ მოვალეობათა დაუცველობა იწვევს სასარგებლო მოდელზე დამცველი დოკუმენტის ძალის დაყარგვას.

იმ ქვეყნებში, სადაც სასარგებლო მოდელზე მოწმობები ან პატენტები გაიცემა, საგამომგონებლო შემოქმედების დაცვის მოცემული ფორმა ძალზე ფართოდ გამოიყენება, კერძოდ, ე. წ. „მცირე პატენტების“ რაოდენობა ამ ქვეყნებში ცალკეული წელბის მიხედვით გამოგონებაზე პატენტების რაოდენობას თითქმის უტოლდება.

V. გამოგონებათა დაპატენტების ორგანიზაცია საქართველოში:

სამრეწველო საკუთრების უფლებრივი დაცვა; პატენტუნარიანობა;
საპატენტო სიწმინდე; საპატენტო ლიცენზია; საპატენტო
დოკუმენტაცია; საპატენტო ძიების ჩატარება.

საქართველოში სამრეწველო საკუთრების ობიექტის უფლებრივი დაცვის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რაც წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების შემოღებამ განაპირობა. ეს პროცესი, თავის მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა გამოყენების უფლებრივ რეგულირებას მოითხოვს. საწარმო, კოლპერატივი, მეწარმე დაინტერესებული არიან გარკვეული დროით დაიმკვიდრონ უფლება სხვადასხვა სახის მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობების, ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებაზე.

საქართველოს დებულებით გამოგონების შესახებ — „პატენტი გაიცემა გამოგონებაზე, რომელსაც ახასიათებს სიახლე, სპეციალისტისათვის არ არის ცხადი ტექნიკის არსებული დონიდან და გამოყენებულია სამრეწველო წესებით.

საქართველოში გამოგონების ობიექტებად ითვლება მოწყობილობა, ხერხები, ნივთიერებანი, მიკროორგანიზმის შტამი, ცხოველთა და მცენარეთა უჯრედების კულტურები, აგრეთვე მოწყობილობების, ხერხების, ნივთიერებათა და მიკროორგანიზმების შტამის გამოყენება ახალი დანიშნულებით.

გამოგონების სიახლედ მიჩნეულია ის, რაც ტექნიკის არსებული დონისათვის ცნობილი არ არის. გამოგონებას სიახლეს მნიშვნელობას არ უკარგავს მისი არსის გახსნა, თუ ეს მოხდა განაცხადის შეტანამდე არა უგვიანეს 6 თვისა და გამოვლინდა როგორც პირდაპირი ან არაპირდაპირი შედეგი: ა) განმცხადებლის ან მისი წინამოსარგებლის მიმართ უფლების აშკარად ბოროტად გამოყენებისას; ბ) გამცხა-

დებლის ან მისი წინამოსარგებლის მიერ ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ გამოფენაზე გამოგონების წარდგენისას.

ტექნიკის არსებულ დონედ მიჩნეულია ყოველივე ის, რაც ფართო წრისათვის ცნობილი გახდა წერილობით ან ზეპირი აღწერის, ან საჯარო გამოქვეყნების, ან სხვა გზით, პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღამდე.

გამოგონების სამრეწველო გამოყენებადობა გულისხმობს მეურნეობრიობის წესების მიერ სფეროში მისი მრავალჯერადი დამზადების ან სარგებლობის შესაძლებლობას.

საქართველოში მცენარეთა და ცხოველთა ახალი სასელექციო ჯიშების სამართლებრივი დაცვა რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო აქტით“.

სხვადასხვა ქვეყანაში კანონმდებლობა სამრეწველო საკუთრების ერთ-ერთ სახეზე, კერძოდ, გამოგონებების დაცვაზე, მათი მეცნიერულ-ტექნიკური დონის მიხედვით იქმნებოდა. მსოფლიოს საპატენტო პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო „მკაცრდებოდა“ გამოგონების წინაშე წაყენებული მოთხოვნები, — რის გამოც სულ უფრო რთული ხდებოდა გამოგონება. გვიკონომიკური და კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს; თითქმის ყველა მათგანში იქმნება და იზრდება გამოგონებები. მაშასადამე, არსებობს გამოგონების შესახებ დოკუმენტების სწორი, რაციონალურად გამოყენების პრობლემაც.

საგამომგონებლო საქმიანობა ძირითადად დაფუძნებულია მეცნიერებისა და ტექნიკის წინათ არსებულ მიღწევებზე. მხოლოდ ეს იძლევა საშუალებას საბოლოო ჯამში შეიქმნას ახალი ხელსაწყოები, მექანიზმები, ტექნოლოგიური პროცესები, გამდიდრდეს და განვითარდეს საზოგადოების საწარმოო ძალები. მაგრამ სიახლის შექმნა შეიძლება გამართლებული იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი არსებულისაგან ძირითადად განსხვავდება, თუნდაც, მაგალითად, მანქანის კონსტრუქციის ცალკეული ელემენტებით.

საქართველოს დებულების „გამოგონების შესახებ“ ძალაში შესვლამდე ჩვენთან, ისე როგორც ყოფილი სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე, მოქმედებდა „დებულება აღმოჩენებზე. გამოგონებებზე და რაციონალიზატორულ წინადადებებზე“, აგრეთვე „დებულება

სამრეწველო ნიმუშებზე და სასაქონლო ნიშნებზე“. გამოგონების დაცვის ფორმა ძირითადად საავტორო მოწმობა იყო...

საქართველოში დადგენილი წესით ხორციელდება არა მარტო გამოგონებათა უფლებრივი დაცვა, არამედ სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნებისაც; რაც შეეხება სასარგებლო მოდელს, ძირითად მოთხოვნებს მის შესახებ, ისინი ჩამოყალიბებულია დებულებაში „გამოგონების შესახებ“.

როგორც ითქვა, ადრე — 1991 წლამდე საქართველოში მოქმედებდა ყოფილი სსრ კავშირის დებულება სამრეწველო ნიმუშების შესახებ; სამრეწველო ნიმუშებზე გაიცემოდა დადგენილი ფორმის საავტორო მოწმობა. ამჟამად სამრეწველო ნიმუშზე და სასარგებლო მოდელზე მოქმედი წესის თანახმად გაიცემა პატენტი.

სამრეწველო ნიმუშის არსს წარმოადგენს ნაკეთობის მხატვრული გადაწყვეტა. ეს გადაწყვეტა გულისხმობს ნაკეთობის გარეგნულ იერსახეს. ამასთან კონსტრუქციის ელემენტები, ნაკეთობის შინაგანი სახე „სამრეწველო ნიმუშის“ ცნებად არ მიიჩნევა. მაგალითად, ტელევიზორის გარეგნული იერ-სახე შედის ამ ცნებაში, ხოლო დეტალების განლაგება მის შიგნით — არა. ტელევიზორის ორიგინალური ელექტრული სქემა მიეკუთვნება გამოგონებათა კატეგორიას, ხოლო ცნება „მაცივრის გარეგნული სახე“ შეიცავს აგრეთვე მაცივრის სახეს გაღებული კარით. სამრეწველო ნიმუშების სახით შეიძლება რეგისტრირებული იქნეს ორიგინალური იერ-სახე ისეთი ნაკეთობებისა, როგორცაა ჩარხები, საათები, ელექტროსაპარსები, შანდლები, კარადები და ა. შ.

იმისათვის, რომ ნაკეთობა საქართველოში სამრეწველო ნიმუშად იქნეს მიჩნეული, მას უნდა ახასიათებდეს მხატვრული ღირებულება, რომელიც სხვადასხვა კაზმულობით და ფორმების ორიგინალურობით მიიღწევა. ყოველივე ეს სამრეწველო ნიმუშს არსებითად უნდა განასხვავებდეს უკვე ცნობილი ნიმუშებისაგან და მისი მხატვრული ღირსებები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოები. სამრეწველო ნიმუშზე პატენტი არ გაიცემა, თუ ის ეხება: ა) ობიექტებს, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ საზოგადოებრივ ინტერესებს ან მორალს; ბ) შენობათა ან სხვა უძრავ ნაგებობათა გარეგნულ სახეს, გარდა მცირე არქიტექტურული ფორმებისა; გ) არამდგრადი ფორმის მქონე ისეთ ობიექტებს, როგორცაა თხევადი, აირისებრი, ფხვიერი და სხვ.

„სამრეწველო საკუთრების“, როგორც განსაკუთრებული სახის სასარგებლო მოდელი ხასიათდება ორი ძირითადი ნიშან-თვისებით: სიახლით და ტექნიკური არსით. ორივე ეს ნიშან-თვისება განსაზღვრავს აგრეთვე გამოგონებას. თუმცა გამოგონებისაგან განსხვავებით, სასარგებლო მოდელს საგამომგონებლო შემოქმედების გარკვეული დონის შესახებ მოთხოვნები არ წარედგინება. თუ წინადადება გარკვეულ სიახლეს ფლობს, მაშინ ის შეიძლება იყოს ან დაპატენტებული, როგორც გამოგონება, ან რეგისტრირებული, როგორც სასარგებლო მოდელი. ზოგიერთ ქვეყანაში არსებითი სიახლის უქონლობის შემთხვევაში წინადადება შეიძლება მიჩნეული იქნეს, როგორც სასარგებლო მოდელი და არა გამოგონება.

საქართველოში პატენტი გაიცემა მოწყობილობის, ნივთიერებისა და ხერხების გაუმჯობესებისათვის განკუთვნილ ისეთ სასარგებლო მოდელზე, რომელსაც გამოყენებისას სიახლე და სარგებლიანობა ახასიათებს. სასარგებლო მოდელის უფლებრივი განმტკიცება და მისი დაცვა ჩვენთან თითქმის ისეთივეა, როგორც გამოგონებისა.

საქართველოში სასაქონლო ნიშნის შესახებ არსებობს მოქმედი დებულება რომლის თანახმადაც მასზე გაიცემა მოწმობა; სასაქონლო ნიშანი არის ორიგინალურად გაფორმებული განმასხვავებელი სიმბოლო, რომელიც ერთგვაროვანი საქონლისა და მისი მწარმოებლის ინდივიდუალიზაციისათვისაა განკუთვნილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ — ეს არის აღნიშვნები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ურთი იურიდიული პირის ან მოქალაქის ნაკეთობის (ნაწარმის) და მის მიერ გაწეული მომსახურების განსხვავება. სხვა იურიდიული პირისა და მოქალაქის მსგავსი ნაკეთობისა (ნაწარმის) და გაწეული მომსახურებისაგან.

სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს სიტყვიერი, გამოსახულებითი, მოცულობითი ან მათი კომბინაციისაგან შემდგარი. გარდა ამისა, სასაქონლო ნიშნად შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს ბგერითი ნიშანი. სასაქონლო ნიშნის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს საფირმო სახელწოდება. სასაქონლო ნიშნის მსგავსად შეიძლება დაცულ იქნეს მომსახურების ნიშანი.

სასაქონლო ნიშანზე (მომსახურების ნიშანზე, კოლექტიურ ნიშანზე, საფირმო სახელწოდებაზე) გაცემული მოწმობა ადასტურებს მისი სახელმწიფო რეგისტრაციის. ფაქტს, მისი მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას სასაქონლო ნიშანზე იმ საქონლის მიმართ, რომელიც

მითითებულია მოწმობაში და შეიცავს სასაქონლო ნიშნის გამოსახულებას.

ჩვენში არ დაიშვება სასაქონლო ნიშნის ისეთი სახით რეგისტრაცია, როგორც არის: ა) სიმბოლო, რომელიც საყოველთაოდ იხმარება, როგორც გარკვეული სახის ნაწარმის გვარეობით ცნება; ბ) ისეთი ტერმინები, რომლებიც მხოლოდ საქონლის ან ნაწარმის თვისებებზე, რაოდენობაზე, წარმოების ან გასაღების ადგილსა და დროზე მიუთითებენ; გ) ისეთი სახის მინიშნებებისაგან შემდგარი სიმბოლოები, რომლებსაც შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ მომხმარებელი; დ) სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სიმბოლოები, რომლებიც ეხება საყოველთაოდ აღიარებულ სასაქონლო ნიშნებს, გერბების გამოსახულებებს, სახელმწიფო დროშებს, ემბლემებსა და ჰიმნებს, საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების დასახელებას, ოფიციალურ საგარანტიო დამლებს; ე) ისეთი სიმბოლოები, რომლებიც ბლალავენ ეროვნულ ღირსებას, აღიზიანებენ რელიგიურ გრძნობებს, ეწინააღმდეგებიან ჰუმანისტური მორალის ნორმებს, საზოგადოების ზნეობას და ტრადიციებს; ვ) ცალკეული ფაქსიმილეები და პორტრეტები, მათი თანხმობის გარეშე.

საქართველოში გამოგონებაზე გაცემული პატენტი მოქმედებს გამოგონების პრიორიტეტის მინიჭების თარიღიდან 20 წლის მანძილზე, ხოლო დამატებითი პატენტი — ძირითადი პატენტის მოქმედების ვადის დარჩენილ პერიოდში.

სამრეწველო ნიმუშზე გაცემული პატენტის მოქმედების ვადა პრიორიტეტის მინიჭების თარიღიდან 10 წელი, მისი შემდგომი 5 წლით გაგრძელების უფლებით.

სასარგებლო მოდელზე პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება განაცხადის შეტანის დღიდან 8 წლით.

მოწმობა სასაქონლო ნიშანზე მოქმედებს ათი წლის განმავლობაში დღიდან მისი რეგისტრაციისა, მისი მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი ათი წლით გაგრძელების ჟერადობის მეუზღუდავად.

მოწმობის მოქმედების ვადის გაგრძელება უნდა მოხდეს წინა რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა. ბაჟის გადახდის პირობით. ჩანაწერი სასაქონლო ნიშნის ვადის გაგრძელების

შესახებ შეიტანება მოწმობაში. დადგენილ ვადაში ბაეის გადაუხდელობის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია წყდება.

სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში საპატენტო-უფლებრივი სისტემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია ტექნიკური შემოქმედების დარგში. მისი გვერდის ავლა უარყოფით ეკონომიკურ ანდა იურიდიულ შედეგს იძლევა. ამიტომ მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებს შემუშავებული აქვთ ისეთი სამართლებრივი მექანიზმი, რომლის დროსაც სამრეწველო პროდუქციის შექმნის ყველა სტადიაზე მუდმივ ზრუნვას მოითხოვს, ის ტექნიკური გადაწყვეტები, რომლებიც ახლად მუშავდება, და ყოველ წუთს შეიძლება საექსპერტო ობიექტებად იქცეს. საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობა მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისათვის ეკონომიკური სარგებლიანობის მნიშვნელოვანი საშუალებაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საკუთარი გამოგონებების საზღვარგარეთ გატანას დაპატენტების გზით. და გამოგონების ან საპატენტო ლიცენზიის გაყიდვას. აღნიშნული პროცესი უშუალოდ არის დაკავშირებული სამრეწველო პროდუქციის ექსპორტთან.

ნებისმიერი საექსპორტო ოპერაციის - მათ შორის სამრეწველო პროდუქციით ვაჭრობის წარმატების საწინდარია მთლიანად ობიექტის კონკურენტუნარიანობა და შესაბამისად მასში გამოყენებული კვანძების მეცნიერულ-ტექნიკური დონე — პატენტუნარიანობა.

საექსპორტო პატენტუნარიანი ობიექტის დროული დაცვა პატენტით საქართველოში და შემდგომ საზღვარგარეთის შესაბამის ქვეყნებში ხელსაყრელ პირობებს ქმნის საექსპორტო ოპერაციების განხორციელებისათვის, ე. ი. კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ გამომგონებლობა და საპატენტო სამუშაოთა ჩატარება სავალუტო შემოსავლის სარფიანი წყარო უნდა გახდეს.

საექსპორტო ოპერაციების წარმოებისა და წარმატებისათვის აუცილებელია საწარმოების, კოოპერაციების, ცალკეულ მეწარმეებისა და სხვათა საპატენტო ინტერესებისა და უფლებების გარანტირებული მექანიზმის შექმნა და მათი ყოველმხრივი დაცვა, უპირატესად პატენტუნარიანობისა და საპატენტო სიწმინდის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარიმართება სიახლეთა შექმნის პროცესი, საპატენტო დოკუმენტაციის შესწავლა, აგრეთვე, საერთოდ, საპატენტო კულტურის ამოღების საქმე.

პატენტუნარიანობა არის ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტის თვი-

სება, რომელიც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია გამოგონება ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში დაპატენტდეს.

პატენტუნარიანად მიიჩნევა ისეთი სახის ობიექტი, რომლის ძირითადი და მეორეხარისხოვანი კვანძები გამოგონების დონეზეა შესრულებული და ისინი შესაბამისად დაცულია დამცველი დოკუმენტებით. პატენტუნარიანი ობიექტების დროული დაცვა საზღვარგარეთის ქვეყნებში — იქ სადაც ექსპორტია მოსალოდნელი, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

საექსპორტო პროდუქციის საზღვარგარეთ გაყიდვის ან გატანისათვის საჭიროა შესრულდეს მისი მეორე მნიშვნელოვანი პირობა — მისი, როგორც საექსპორტო პროდუქციის, საპატენტო სიწმინდის გარანტირება.

საპატენტო სიწმინდე არის ნაკეთობის (მანქანის, იარაღის, ინსტრუმენტის ტექნოლოგიური პროცესის, მასალის და ა. შ.) იურიდიული თვისება, რაც შესაძლებელს ხდის მასში ჩართული ტექნიკური გადაწყვეტის ან გამოგონების რომელიმე ქვეყანაში გამოყენებას (ექსპორტის ექსპლუატაციის გზით) და არ არღვევს ამ ქვეყანაში გაცემული მოქმედი პატენტის უფლებებს. თუ საპატენტო სიწმინდის მოთხოვნას ნაკეთობის დამუშავების პროცესში დროულად არ გავითვალისწინებთ, შემდეგ მისი ექსპორტი დიდ სიძნელებებთან იქნება დაკავშირებული.

პატენტუნარიანობასა და საპატენტო სიწმინდეს ბევრი იურიდიული საერთო მხარე აქვს, რამდენადაც ეს საკითხები დაკავშირებულია არსებულ საპატენტო სისტემასთან, ე. ი. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში გამოგონებათა უფლებრივ დაცვასთან. მაშასადამე, მათზე გავრცელებულია საპატენტო უფლებრივი სისტემის ისეთი მნიშვნელოვანი თავისებურება, როგორცაა მისი ტერიტორიული ხასიათი. ნებისმიერი ობიექტის როგორც პატენტუნარიანობა, ისე საპატენტო სიწმინდე დაკავშირებულია ტექნიკურ გადაწყვეტასთან, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის საპატენტო კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება აღიარებულ იქნეს ან არ იქნეს, როგორც გამოგონება; ან კიდევ — ერთ ქვეყანაში მასზე გაიცეს დამცველი დოკუმენტი — პატენტი, ხოლო მეორეში ამასთან დაკავშირებით უარი ეთქვას. ამრიგად, ობიექტის პატენტუნარიანობაზე ან საპატენტო სიწმინდეზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყანასთან ან ქვეყნების ჯგუფთან შეფარდებით, რადგან ერთი და იგივე ობიექტი, როგორც

აღინიშნა, ერთ ქვეყანაში შეიძლება პატენტუნარიანი იყოს, მეორეში — არა. ეს იგივე ეხება საპატენტო სიწმინდესაც. პატენტუნარიანობასა და საპატენტო სიწმინდეზე არსებით გავლენას ახდენს დროის ფაქტორიც, თუმცა იგი მათზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს.

პატენტუნარიანობისა და საპატენტო სიწმინდის ცნებებიც ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება.

მოცემული ობიექტის საპატენტო სიწმინდის თვალსაზრისით პატენტის გაცემა მის რომელიმე კვანძზე არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი პატენტი გაცემულია იმ ქვეყანაში, რომელიც ჩვენ გვინტერესებს მოცემული ობიექტის საპატენტო სიწმინდის თვალსაზრისით. ობიექტი-ნაკეთობა შეიძლება პატენტუნარიანი არ იყოს, მაგრამ ამავე დროს შეიძლება ფლობდეს საპატენტო სიწმინდეს იმ ქვეყანაში, სადაც მასში გამოყენებული ტექნიკური გადაწყვეტის — კვანძის ანალოგიური გადაწყვეტა დაპატენტებული არ არის ან კიდევ დაპატენტებულია, მაგრამ მისი მოქმედების ვადა უკვე გასულია.

თუ გარკვეული დროის შემდეგ ობიექტის პატენტუნარიანობა ძალას კარგავს, დროთა განმავლობაში ობიექტი იძენს საპატენტო სიწმინდეს, რომელსაც ადრე არ ფლობდა. მაგალითად, რომელიმე უმნიშვნელო ორიგინალური მოწყობილობის პატენტუნარიანობამ შეიძლება სამუდამოდ დაკარგოს ძალა ნაადრევ პუბლიკაციასთან ან სხვაგვარ გამოვლინებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამავე მიზეზით იგი აღმოჩნდება საპატენტო სიწმინდის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში.

დიდი ხნის წინათ ცნობილი და ფართოდ გამოყენებული ნაკეთობები იმიტომ არაა პატენტუნარიანი, რომ ისინი ცნობილია, მაგრამ ამავე დროს თითქმის ყველა ქვეყანაში ფლობენ საპატენტო სიწმინდეს. მაგალითად, ჭანჭიკი ჭანჩით ჩვეულებრივი კონსტრუქციაა და მან დიდი ხანია დაკარგა პატენტუნარიანობა, მაგრამ ამასთან ერთად იგი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ფლობს საპატენტო სიწმინდეს.

ესეც ხდება, რომ პატენტუნარიან ნაკეთობაში ჩართულ უფლებრივად დაცულ გამოგონებებზე შეიძლება პატენტები გაიცეს სხვა ქვეყანაში ან ქვეყნებშიც, მაგრამ იგი — მთლიანად ნაკეთობა — არ ფლობს საპატენტო სიწმინდეს იმავე ქვეყანაში ან ქვეყნებში. ანალოგიური მდგომარეობა იქმნება მაშინ, როცა ახალი ორიგინალური გადაწყვეტა ნაკეთობას უმაღლებს ტექნიკურ დონეს, მტკიცდება დამკველი დოკუმენტით, მაგრამ ეს ნაკეთობა შეიცავს ზოგიერთ უკვე ცნობილ კვანძს, რომელიც შეიძლება რომელიმე პირის ან ფირ-

მის კუთვნილი მოქმედი პატენტი იყოს; ეს მდგომარეობა კი ხელს უშლის მთლიანად ნაკეთობის საპატენტო სიწმინდეს

ობიექტის საპატენტო სიწმინდის შესახებ დასკვნის გამოტანა შეიძლება, როგორც წესი, საპატენტო ექსპერტიზით. ექსპერტიზის მიზანია დეტალურად შეამოწმოს ობიექტის საპატენტო სიწმინდე იმ ქვეყანაში მოქმედი საპატენტო ფონდებით, სადაც განზრახულია ობიექტის საექსპორტოდ ან სხვა მიზნით გატანა.

როგორც ცნობილია, გამოგონებათა დაპატენტების ერთ-ერთ მიზანს გამოგონებაზე საპატენტო ლიცენზიის გაყიდვა წარმოადგენს.

მართალია, ჩვენს სინამდვილეში საქართველოს ამ მხრივ მდიდარი ტრადიციები არ გააჩნია, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა არა მარტო საჭიროა, არამედ აუცილებელიც. უნდა ველოდოთ, რომ ჩვენი სამრეწველო და სასოფლო წარმოება, თავს დაადწევს კრიზისს და ისეთივე გზით განვითარდება, როგორც ეს თანამედროვე პირობებში საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის განვითარებას ახასიათებს.

საგარეო ვაჭრობის პრაქტიკაში ცნობილია საპატენტო ლიცენზიები და ლიცენზიები სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებებზე („ნოუჰაუ“). დაუპატენტებელი ტექნოლოგიის გაყიდვაც შეიძლება, მაგრამ ყველა სხვა თანაბარ ვითარებაში ასეთი ლიცენზიის ღირებულება ერთობ მცირეა, მაშინ როცა დაპატენტებული ტექნოლოგიის მყიდველი იმის მონობოლიურ უფლებას იძენს, რომ ახალი ტექნოლოგიით მხოლოდ თვითონ ისარგებლოს. სწორედ ასეთი უპირატესობის გამო იხდის იგი ზედმეტ თანხას.

სალიცენზიო ვაჭრობის მასშტაბები არა მარტო იმით იზრდება, რომ მისი წყალობით მაღალ განვითარებული ქვეყნები დიდ მოგებას იღებენ, არამედ იმიტომაც, რომ პატენტებით ვაჭრობა ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა გაცვლა-გამოცვლას და მოგებას დროში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთ ქვეყანაში ეკონომიკურად მიზანშეწონილი არ არის და შეუძლებელიცაა ყველა დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ერთნაირი ინტენსივობით ჩატარდეს. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია საპატენტო ლიცენზიების ყიდვა ტექნიკის იმ უბნებისათვის, რომლებშიც მოცემული ქვეყანა სხვა უფრო განვითარებულ ქვეყნებს ჩამორჩება. ასეთივე თვალსაზრისით თითოეული ქვეყნისათვის ხელსაყრელია საერთაშორისო ბაზარს მიაწოდოს ყველაფერი საუკეთესო, რაც მის მიერ არის შექმნილი.

სალიცენზიო ვაჭრობის პრაქტიკაში გვხვდება სალიცენზიო შეთანხმების სამი ძირითადი სახე: ჩვეულებრივი, განსაკუთრებული და სრული ლიცენზიებისა.

ლიცენზიარი (გამყიდველი) ჩვეულებრივ ლიცენზიაზე მოლაპარაკებისათვის უფლებას აძლევს ლიცენზიატს (მყიდველს) გარკვეული პირობებით გამოიყენოს გამოგონება ან წარმოების საიდუმლოება, ამასთან, თვითონ, იტოვებს როგორც მათი დამოუკიდებლად გამოყენების უფლებას, ასევე ანალოგიური პირობებით ლიცენზია მისცეს ნებისმიერ სხვა დინტერესებულ პირს. პრაქტიკაში ჩვეულებრივ ლიცენზიაზე მოლაპარაკებისას ხელშეკრულების დადებას გავრცელება პპოვა ისეთ დარგებში, სადაც ლიცენზიის საგნები მიეკუთვნება მასობრივი წარმოებისა და ფართო მოხმარების სფეროს ისეთ პროდუქციას, რომელიც ზუსტ აღრიცხვას არ ექვემდებარება. გარდა ამისა, მაჰზე მუდმივი მოთხოვნილება იმდენად დიდია, რომ ერთი ქვეყნის ბაზარზე რამდენიმე ლიცენზიატის არსებობა ხელს შეუშლის ლიცენზიით გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციის ნორმალურ მიმდინარებას. ეს უმეტესწილად მედიკამენტების, საკვები პროდუქტების და სხვა წარმოების სფეროსათვის არის დამახასიათებელი.

განსაკუთრებულ ლიცენზიაზე მოლაპარაკებისას ლიცენზიარი შეთანხმების დათქმულ ფარგლებში ლიცენზიატს აძლევს გამოგონების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას, რის საფუძველზეც იგი უკვე არ შეიძლება წარმოადგენდეს ლიცენზიის პირობებით სხვა პირებთან (ფირმებთან, ორგანიზაციებთან) შეთანხმების ანალოგიური იყოს, თუმცა ეს არ აღკვეთს ლიცენზიარის უფლებას გაცემული გამოგონების (წარმოების საიდუმლოების) როგორც დამოუკიდებლად გამოყენებაზე, ასევე სხვა პირებზე (ფირმებზე, ორგანიზაციებზე) ლიცენზიის გადაცემაზე ისეთი პირობებით, რომლებიც პირველი შეთანხმების პირობებს არ ეწინააღმდეგება. ყველაზე ხშირად განსაკუთრებული ლიცენზიის გაცემის პირობების შეზღუდვა მიეკუთვნება ტერიტორიებს, რომელთა საზღვრებშიც ლიცენზიატს შეუძლია თავისი უფლებები გამოიყენოს სალიცენზიო მოლაპარაკებით. მაგალითად, თუ რაიმე მასალის ტექნოლოგიის ლიცენზიის გამოყენებაზე ნებართვა იაპონიის ფირმას მიეყიდა და შეთანხმებაში დათქმული იქნება, რომ იყიდება განსაკუთრებული ლიცენზია იაპონიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ლიცენზიის საგნის წარმოებისა და გასაღების უფლებაზე და ამ ქვეყნების რიცხვში მითითებული არ იქნება

იტალია; ამ შემთხვევაში ლიცენზიარს შეიძლება სალიცენზიო შეთანხმება ჰქონდეს იტალიის ამა თუ იმ ფირმასთან, რომლის მიხედვითაც ამ ფირმა-ლიცენზიატს ექნება იტალიის ტერიტორიაზე ამ ტექნოლოგიით მასალის წარმოებისა და გასაღების განსაკუთრებული უფლება — ეს ორი მოლაპარაკება თავისი პირობებით გადაცემული უფლებების განსაკუთრებულობის მხრივ ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგება.

სრული ლიცენზიის შეთანხმების არსს წარმოადგენს ის, რომ ლიცენზიარი გამოგონების (წარმოების საიდუმლოების) გამოყენებაზე ლიცენზიატს სრულად უთმობს ყველა უფლებას, შეთანხმების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში. ამასთან ერთად თვით ლიცენზიარს მთელი ამ ხნის მანძილზე ალკვეთილი აქვს გამოგონების (წარმოების საიდუმლოების) გამოყენების უფლება როგორც დამოუკიდებლად, ისე რომელიმე სახის ლიცენზიის გაცემის გზით. ამ სახით სრულ ლიცენზიაზე მოლაპარაკება გვაგონებს პატენტის მიხედვით (იმ შემთხვევაში, როცა ლიცენზიის საგანი დაპატენტებულია ან დაპატენტების სტადიაში იმყოფება) უფლებათა სრულ დათმობას (გაყიდვას). სინამდვილეში ეს ასე არ არის, რადგანაც სრულ ლიცენზიაზე მოლაპარაკება შეიძლება დაიდოს გარკვეული ვადით (5; 8, 10 წელი), როგორც ეს სალიცენზიო ვაჭრობის პრაქტიკაშია მიღებული და ამ ვადის გასვლის შემდეგ ლიცენზიარს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, გამოიყენოს ლიცენზიის საგანი (დამოუკიდებლად დადოს ახალი შეთანხმება იმავე ან სხვა ლიცენზიატთან და ა. შ.). დაბოლოს, სრულ ლიცენზიაზე მოლაპარაკება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს მოქმედებით, ე. ი. გაუქმდეს პირობებით, რომლებსაც შეიძლება თვით მოლაპარაკება შეიცავდეს. ამრიგად, სრულ ლიცენზიაზე მოლაპარაკება საჭიროა განვასხვავოთ ე. წ. პატენტის გაყიდვისაგან, როცა ლიცენზიარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამუდამოდ თმობს გამოგონებაზე ყველა უფლებას. ეს განსხვავება გათვალისწინებული უნდა იქნეს რამდენადაც პრესაში ამ თემაზე მსჯელობისას ზოგჯერ სპეციალისტები სრული ლიცენზიის მოლაპარაკებასა და ე. წ. „პატენტის გაყიდვას“ ერთ დონეზე აყენებენ. ისიც გავითვალისწინოთ საჭიროა, რომ სრულ ლიცენზიაზე შეთანხმებები, ჩვეულებრივ იმ შემთხვევაში დაიდება, როცა ლიცენზიარს არც საჭირო პირობები აქვს გამოგონების დამოუკიდებლად გამოყენებისათვის და არც რეალური შესაძლებლობები გამოგონების რე-

აღიზიანებისათვის კომერციულ სამუშაოთა ჩასატარებლად, როგორც თავისი ქვეყნის ბაზარზე, ასევე სხვა ქვეყნებისაზეც, და ამ შემთხვევაში იგი ამ უფლებას უთმობს იმ ლიცენზიატს, რომელსაც ამისათვის შესაფერისი პირობები აქვს.

მართალია, ჩვენს პირობებში ძნელია ჩამოითვალოს რომელ საწარმოს, კოოპერატივის, ფირმას ან მეწარმეს ექნება ასეთი პირობები, მაგრამ ის კი ცხადია, რომ გამომგონებელთა უმრავლესობა ეკონომიკურად ძლიერ-საწარმოო შესაძლებლობებს არ ფლობს და ისინი ყოველთვის ვერ შეძლებენ დროულად შეასხან ხორცი სიანლებს და მოახდინონ მათი რეალიზაცია; თუ ისინი ლიცენზიარის როლს დასჯერდებიან — ესეც სასარგებლო იქნება, რადგან ეს საქმე გარკვეულწილად სამრეწველო პროდუქციის გამოშვებას შეუწყობს ხელს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ლიცენზიებით საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში ფართოდ გავრცელდა განსაკუთრებული ლიცენზიების შეთანხმებები, ეს აიხსნება რამდენიმე სხვადასხვა ვითარებით, რასაც სარგებლობა მოაქვს როგორც გამყიდველისათვის, ასევე მყიდველისათვისაც.

ზვიადელი უპირველეს ყოვლისა, როგორც წესი, დაინტერესებულია იმით, რომ ლიცენზიის საგნის პრაქტიკულად გამოყენებისას ბაზარზე კონკურენციას არ წააწყდეს. ასეთი შესაძლებლობა უზრუნველყოფილია მიწვის განსაკუთრებული ლიცენზიით, უპირატესად იმ შემთხვევაში, როცა ლაპარაკია გამოგონებებზე, რომლებიც დაპატენტებული ჯერ კიდევ არაა. ამასთან ერთად გამყიდველი, ქმნის რა მყიდველისათვის ლიცენზიის საგნის რეალიზაციის ასეთ კეთილსაბურველ პირობებს, ამ გარემოებას ითვალისწინებს ლიცენზიის ღირებულების განსაზღვრისას, რაც ყველა სხვა ერთნაირი პირობების შემთხვევაში განსაკუთრებულ ლიცენზიაზე მოლაპარაკების დროს ყოველთვის მაღლა დგას.

პრაქტიკაში ხშირია ერთ მოლაპარაკებაში განსაკუთრებულ ლიცენზიაზე პირობებზე და ჩვეულებრივ ლიცენზიაზე პირობების შეხამების შემთხვევები. თუმცა სალიცენზიო შეთანხმების დადებისას სხვა ქვეყნების ფირმებთან და ორგანიზაციებთან საკმარისი არაა მითითება იმაზე, თუ როგორი სახის ლიცენზიაა გადაცემული (განსაკუთრებული თუ ჩვეულებრივი). შეთანხმების პირობებში ზუსტად უნდა განისაზღვროს გადაცემულ უფლებათა მოცულობა და ხასიათი.

ანეთი მიდგომა ეხება არა მარტო სხვა ქვეყნებთან სალიცენზიო შეთანხმების პირობებს, არამედ საქართველოს ფარგლებში სალიცენზიო შეთანხმების დადებასაც, თუმცა ამ შემთხვევაში, გაუგებრობის თავიდან აცილებისათვის ხელშეკრულების პირობებში კონკრეტულად, დაწვრილებით უნდა გადმოიციეს მხარეთა პირობები.

საქართველოს საპატენტო საქმის წარმმართველ რგოლს და, უპირველესად მის საპატენტო სამსახურს, უნდა შეექმნას თანამედროვე ტექნიკური ბაზა, რომლის საშუალებითაც ტექნიკისა და ტექნოლოგიის ობიექტების საარსებო ციკლის ყველა ეტაპზე შესაძლებელი გახდება სისტემატური, სრული, ღრმა საპატენტო და საკონიუნქტურო გამოკვლევების ჩატარება. თუ ეს პროცესი ამ ცნობილი და დადგენილი წესით არ წარიმართა, შეუძლებელი იქნება კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა და შესაბამისად კომერციული წარმატების უზრუნველყოფა, რომ არაფერი ითქვას შესაბამისი ორგანიზაციების საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

სპეციალისტთა მუდმივი ზრუნვის საგანია საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის თეორიისა და პრაქტიკის დარგში პატენტთმცოდნეთა ისეთი კადრების მომზადება, რომლებსაც შეეძლებათ მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე დონეზე შესრულებულ საუკეთესო ტექნიკური გადაწყვეტების შერჩევა, სხვადასხვა სახის საპატენტო და საკონიუნქტურო გამოკვლევების ჩატარება, ტექნიკური შემოქმედების მეთოდის პრაქტიკული გამოყენება, საპატენტო ლიცენზიების ყიდვა-გაყიდვის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა, სამრეწველო პროდუქციის პატენტებით დაცვის უზრუნველყოფა და სასარგებლო საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის ხელის შეწყობა. პატენტთმცოდნეები აქტიურად უნდა გამოვიყენოთ დამმუშავებელთა და მკვლევართა შემოქმედებით ჯგუფებსა და კოლექტივებში, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ქვეგანყოფილებებსა და სამარკეტინგო ოპერაციების განხორციელების საქმეში.

საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის წარმატებით თავის გართმევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ იქნება ჩვენში ორგანიზებული სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურით დაინტერესებული საწარმოებისა. თუ სპეციალისტების უზრუნველყოფა. ეს უპირველეს ყოველისა ეხება საპატენტო დოკუმენტაციას.

საპატენტო დოკუმენტაცია სპეციალური ტექნიკური ლიტერატურა-

არის ერთ-ერთი სახეა. მასში შედის გამოგონებათა აღწერილობები — საპატენტო აღწერილობები, პერიოდული საპატენტო საუწყებო ბიულეტენები, კრებულები, ჟურნალები, სხვადასხვა ქვეყნის გამოგონებათა კლასების საძიებლები, საპატენტო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ყოველგვარი რეფერატული, ანოტირებული და ბიბლიოგრაფიული გამოცემები და სხვა.

საქართველოში საპატენტო-საინფორმაციო საქმიანობის მთავარი მარგანიზებელი ორგანო არის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტისადმი დაქვემდებარებული საპატენტო სამსახური „საქპატენტი“, რომელიც საპატენტო საქმიანობის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას ემსახურება.

გარდა აღნიშნული სამსახურისა, საპატენტო-საინფორმაციო საქმიანობას საქართველოში ეწევა მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკა, რომელშიც თავმოყრილია სახელმწიფო საპატენტო ფონდი, აგრეთვე მთელი რიგი საცნობარო სამსახურები.

საპატენტო-საინფორმაციო მუშაობას ეწევიან აგრეთვე ორგანიზაციებისა და საწარმოების, კოოპერატივების საპატენტო სამსახურები და საინფორმაციო ორგანოები, რომლებიც ერთიან სახელმწიფო საინფორმაციო სისტემაში არ შედიან, მაგრამ ხელს უწყობენ დარგისა და კერძო პირთა საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის სწორად წარწართვას.

საქართველოში გაცემული პატენტის შესახებ ინფორმაცია (გამოგონების რეფერატი ნახაზებით) ქვეყნდება „საქპატენტის“ ოფიციალურ ბიულეტენში, ამავე ბიულეტენში ქვეყნდება აგრეთვე მონაცემები პატენტებში ცვლილებათა შეტანისა და მათი ბათილად ცნობის (გაუქმების) შესახებ, აგრეთვე ყველა სახის ლიცენზიების გაცემის შესახებ.

გამოგონების შესახებ გამოქვეყნებული ამ სახის ინფორმაციას სასიგნალო საპატენტო ინფორმაციას უწოდებენ. ეს არის რეგისტრირებულ პატენტებში აღწერილი ახალი. საგამომგონებლო წინადადებების საფუძველზე შედგენილი ოპერატიული და გეგმაზომიერი ინფორმაცია. სასიგნალო ინფორმაცია პატენტების შესახებ მხოლოდ მინიმალურ მონაცემებს შეიცავს და გამოგონების არსს დაწვრილებით არ ხსნის. მისი ამოცანაა დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს „სიგნალი“ და ყურადღება მიაპყროს ახალ გამოგონებას. გამოგონების

დაწერილებით გაცნობისათვის საჭიროა მიემართოთ სრულ საპატენტო აღწერილობას.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო უწყებების პერიოდული გამოცემები — სასიგნალო საპატენტო ბიულეტენები სხვადასხვა სახისაა. ზოგიერთ გამოცემაში მოცემულია გამოგონების აღწერილობის მხოლოდ ბიბლიოგრაფიული ელემენტები, ზოგიერთში ქვეყნდება ნახაზებით ილუსტრირებული გამოგონების ფორმულა ან პუბლიკაცია გამოგონების რეფერატის სახით.

საქართველოში შექმნილი გამოგონების, სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნების შესახებ ცნობები 1992 წლამდე ქვეყნდებოდა ყოფილი სსრ კავშირის საუწყებო საპატენტო ბიულეტენში — „აღმოჩენები, გამოგონებები“ და კრებულში „სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები“, რომელსაც საპატენტო ინფორმაციის ყოფილი საკავშირო ინსტიტუტი გამოსცემდა. ახლა ეს ინსტიტუტი რუსეთის ფედერაციას დაექვემდებარა. როგორც სხვა მეზობელი სახელმწიფოების ინფორმაციები გამოგონებების შესახებ, ჩვენთვის ეს ბიულეტენი მომავალშიც საინტერესო იქნება, რადგან რუსეთთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში, საჭიროა ვიცოდეთ ის, თუ რა სიახლეები ხდება სხვაგან და მათ შორის რუსეთშიც. მითუმეტეს მაშინ, რომ ენობრივი თვალსაზრისით იგი ჩვენთვის ხელმისაწვდომია. ზემოაღნიშნული ინსტიტუტი გამოსცემს მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნების საპატენტო ბიულეტენების, რეფერატული ჟურნალებისა და კრებულების თარგმანებს, რომლებშიც მოცემულია ცნობები გამოგონებებზე რომლებიც ამ ქვეყნებში იქმნება.

საქართველოში საპატენტო დოკუმენტაციის ცენტრალური საცავია გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკა, სადაც საკმაოდ რეტროსპექტულობითა და სისრულით არის დაცული სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო საუწყებო პერიოდული გამოცემები, აგრეთვე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საპატენტო აღწერილობები, რომელთა გამოყენების რეკომენდაცია შეიძლება მიეცეს ორგანიზაციებს, საწარმოებს, კოოპერატივებსა და ცალკეულ დაინტერესებულ სპეციალისტებს. ეს ფონდი ემსახურება „საქპატენტის“ საპატენტო სამსახურს სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის ჩატარებისათვის. მისი საშუალებით შესაძლებელია:

ა) შესწავლილ იქნეს მსოფლიოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღ-

წევები, განვითარების პერსპექტივები და ტენდენციები ტექნიკის სხვადასხვა სფეროში.

ბ) შემოწმდეს სიახლის პატენტუნარიანობა და გამოგონების (ობიექტის) საპატენტო სიწმინდე, მათი დამუშავების სხვადასხვა სტადიაზე;

გ) შემოწმდეს საზღვარგარეთისათვის ექსპონირებული მანქანების, იარაღების, ხელსაწყოების, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების საპატენტო სიწმინდე;

დ) გამოსაყენებლად შეირჩეს მნიშვნელოვანი გამოგონებები;

ე) საპატენტო ლიცენზიების შესყიდვა და გასაღების ეფექტიანი მუშაობა.

საპატენტო დოკუმენტაციის ძირითად სახეს წარმოადგენს საპატენტო აღწერილობა. მასში გამოგონების არსი საკმაოდ სრულადაა გახსნილი. კონსტრუქციული სახის აღწერილობას, ჩვეულებრივ, ერთვის ნახაზები, ყველა ქვეყნისათვის საპატენტო აღწერილობის შედგენის ერთიანი წესები არ არსებობს, თუმცა შეიმჩნევა უნიფიცირების ტენდენცია.

საპატენტო აღწერილობის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: ბიბლიოგრაფიული ნაწილი, საკუთრივ აღწერილობა; გამოგონების საგანი (ფორმულა), ნახაზები ან ნახატები და ე. წ. მიმთითებელი მონაცემები. ბიბლიოგრაფიული ნაწილი და საკუთრივ აღწერილობა აუცილებლად შედის ყველა ქვეყნის საპატენტო აღწერილობაში, სხვა ნაწილებს შეტანა სავალდებულო არაა ან მათგან შეიძლება რამდენიმე იყოს წარმოდგენილი.

საპატენტო აღწერილობის ბიბლიოგრაფიული ნაწილი შეიცავს ქვეყნის დასახელებას, რომელმაც გასცა პატენტი, საპატენტო უწყებებს დასახელებას, ნამდვილი გამომგონებლის გვარს, ცნობებს გამომგონებლის მოქალაქეობრივი კუთვნილების შესახებ და მის მისამართს, პატენტის იურიდიული მფლობელის ვინაობას, გამოგონების დასახელებას, პატენტის ნომერს, საკლასიფიკაციო ინდექსებს, სხვადასხვა თარიღს, რომლებიც დაკავშირებულია გამოგონებაზე განაცხადის შეტანის ფაქტთან და გამოგონების რეგისტრაციასთან. ზოგიერთი ეს ელემენტი ცალკეული ქვეყნების საპატენტო აღწერილობებში შეიძლება შეტანილი არც იყოს. შეიძლება სხვადასხვა იყოს აგრეთვე ბიბლიოგრაფიული ელემენტების განლაგება წესიც.

საპატენტო აღწერილობათა ნუმერაციის ორი სისტემა არსე-

ბობს — მიმდინარე, რომელიც წლიდან წლამდე გრძელდება და მეორე — წლიური სისტემა, რომელიც ყოველ წელს № 1-ით იწყება. ამჟამად მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები იყენებენ პატენტების ნუმერაციის მიმდინარე სისტემას.

თარიღების ოდენობა და მნიშვნელობა, რომელსაც საპატენტო აღწერილობების ბიბლიოგრაფიული ნაწილი შეიცავს, დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყანაში მიღებული საპატენტო სამართლის თავისებურებებზე მსოფლიოს ყველა ქვეყნის საპატენტო აღწერილობებში, როგორც წესი, აღინიშნება განცხადების თარიღი, რომელიც ადასტურებს გამოგონების პრიორიტეტს. ზოგჯერ იგი შეიძლება ემთხვეოდეს თარიღს, რომლიდანაც პატენტის მოქმედების ვადა აღირიცხება.

პარიზის კონვენციის მონაწილე ქვეყნების საპატენტო აღწერილობაზე, გარდა პატენტის გამცემი ქვეყნის თარიღისა, აღინიშნება აგრეთვე კონვენციური პრიორიტეტის თარიღიც. ზოგჯერ ქვეყანაში პატენტის გაცემის თარიღი ემთხვევა კონვენციური პრიორიტეტის თარიღს. მაგალითად, ყოფილი სსრ კავშირის საპატენტო უწყებაში შეტანილი განაცხადისა და კონვენციური პრიორიტეტის თარიღები საავტორო მოწმობისა და პატენტის აღწერილობაზე ერთი და იგივე იყო.

ზოგიერთ შემთხვევაში საპატენტო აღწერილობებზე აღინიშნება განაცხადის გამოქვეყნების თარიღი, პატენტის გაცემაზე საბოლოო გადაწყვეტილებისა და სრული აღწერილობის გამოქვეყნების თარიღები.

ამჟამად მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის გამოგონებათა აღწერილობების რიცხვი მილიონებს აღწევს, ამიტომ ეს დოკუმენტაცია ისეთი რიგითა და წესით დალაგებას მოითხოვს, რომლითაც შესაძლებელი იქნება ამა თუ იმ ქვეყნის ჩვენთვის საინტერესო საპატენტო აღწერილობის ადვილად მოძებნა.

საპატენტო კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებულ სისტემას მსოფლიოში წარმოადგენს გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია. ზოგიერთ ქვეყანას აქვს საპატენტო კლასიფიკაციის საკუთარი ეროვნული სისტემა. მაგალითად, ცნობილია გერმანული, ამერიკული, ინგლისური, იაპონური და სხვა სისტემები. 1971 წლიდან ყოფილ სსრ კავშირში გაცემული საავტორო მოწმობებისა და პატენტების აღწერილობებზე აღნიშნულია გამოგონებათა საერთაშორისო

კლასიფიკაციის ინდექსი, როგორც ძირითადი (ამ დრომდე — 1962 წლიდან აღინიშნებოდა, როგორც დამატებითი).

საქართველოს სახელმწიფო საპატენტო დოკუმენტაციის ფონდში ყოფილი სსრ კავშირის საპატენტო დოკუმენტაცია — საპატენტო აღწერილობები დამუშავებული და განლაგებულია გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემით. რაიმე თემის აღნიშნული კლასიფიკაციის დადგენისათვის უნდა ვისარგებლოთ გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის ანბანურ-საგნობრივი საძიებლებით და ე. წ. კლასიფიკატორებით, რომლებიც რუსულ ენაზეა შედგენილი.

“გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემას საფუძვლად უდევს ფუნქციონალურ-დარგობრივი პრინციპი. იგი მოიცავს მატერიალური წარმოების ყველა სფეროს, მათ ჰყოფს 8 ნაწილად, რომლებიც პირობით სახელწოდებებს ატარებენ და ლათინური ალფაბეტის მთავრული ასოებით აღინიშნებიან:

A — ადამიანის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; B — სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესი და ტრანსპორტი; C — ქიმია და მეტალურგია; D — ქსოვილი, ქალაღი; E — მშენებლობა; F — გამოყენებითი მექანიკა, განათება, გათბობა, ძრავები და სამუშაო მანქანები, იარაღი და საბრძოლო მასალა; G — ფიზიკა; H — ელექტროტექნიკა.

თითოეული ნაწილი იყოფა კლასებად და აღინიშნება ნაწილის ინდექსითა და ორი არაბული ციფრით. მაგალითად, A01, A02, A03 და ა. შ.

ამრიგად, ასეთი ინდექსაციით თითოეული კლასი ორი ციფრით გამოიხატება და შეიძლება შეიცავდეს 99 კლასს.

კლასები, თავის მხრივ, იყოფა ქვეკლასებად და აღინიშნება ლათინური ალფაბეტის თანხმომავანი ასოებით. მაგალითად, A01B, C23F, F16D და ა. შ.

ქვეკლასები იყოფა ჯგუფებად და ქვეჯგუფებად.

გამოგონების აღწერილობის სრული საკლასიფიკაციო ინდექსი ონია შეიცავდეს ნაწილის, კლასის, ქვეკლასის, ჯგუფისა და ქვეჯგუფის აღნიშვნას. ქვეჯგუფის ინდექსი ჯგუფის ინდექსისაგან გამოიყოფა წილადი ხაზით. მაგალითად, D03D 47/40; F16K 19/04 და ა. შ.

მსოფლიოს ქვეყნების უმეტეს ნაწილში პატენტების აღწერილობებზე გამოისახება ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემის აღნიშვნელი ციფრები, ესაა უნივერსალური ათწილადი კლასიფიკა-

ციის ინდექსები. ამ კლასიფიკაციის გამოყენების მიზანია ის, რომ საპატენტო დოკუმენტაცია გააერთიანოს სხვა სამეცნიერო-ტექნიკურ დოკუმენტაციასთან და ეს დოკუმენტები ერთად წარმოადგინოს საცნობარო-საინფორმაციო ფონდებში. ექვს არ იწვევს, რომ საერთო ტექნიკური, სარეკლამო-ტექნიკური და საპატენტო ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიღებულ მხოლოდ ერთობლივ ცნობებს შეუძლიათ უზრუნველყონ სრულფასოვანი საპატენტო გამოკვლევების ჩატარება და სიახლეთა შექმნისას საგარეო ბაზარზე უზრუნველყონ კონკურენციის უნარის მქონე სამუშაოთა მიმართულების განსაზღვის შესაძლებლობა.

ამ მიზანს ემსახურება საინფორმაციო გამოცემები, რომლებიც პირველადი დოკუმენტური ინფორმაციის (ყურნალები, წიგნები, კრებულები, ბროშურები, სტანდარტები, პატენტები, დისკრეციები, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ანგარიშები) ანალიზურ-სინთეზური გადაამუშავების შედეგად მიღებული გამოცემებია, რომლებსაც ახორციელებენ სპეციალიზებული ტექნიკური ინფორმაციის ორგანოები. გადაამუშავება ხორციელდება იმ მიზნით, რომ სპეციალისტები და დაინტერესებული პირები (ფირმები) გაეცნონ ამა თუ იმ ქვეყანაში მიღწეულ ახალ სამეცნიერო-ტექნიკურ ან საწარმოო სიახლეს.

საინფორმაციო გამოცემების ძირითადი სახეებია: ბიბლიოგრაფიული აღწერილობები, ანოტაციები, რეფერატები, მიმოხილვები.

ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ქვეშ იგულისხმება დოკუმენტის მახასიათებელი სიტყვებით გამოხატული, ზოგიერთი აუცილებელი ცნობის მინიმუმი, ზუსტად დადგენილი წესით. ბიბლიოგრაფიული აღწერილობა მოიცავს დოკუმენტის ისეთი ფორმალური ნიშნების ნაერთს, როგორიცაა ავტორების გვარები, ფირმის დასახელება, დოკუმენტის დასახელება, გვერდების რაოდენობა, ილუსტრაციების რაოდენობა, ბიბლიოგრაფიული მითითებანი, გამოცემის დასახელება, გამოცემის ადგილი და წელი, ტომის ნომერი და ა. შ. ე. ი. არაა მხოლოდ შინაარსი.

ბიბლიოგრაფიული აღწერილობა უნდა იყოს ერთგვაროვანი და ასახავდეს დოკუმენტის არსს.

ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საფუძველზე დგება საბიბლიოთეკო კატალოგები, ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები და საძიებლები.

ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას, როგორც განუყრელ ნაწილს, შეიცავს მეორადი საინფორმაციო დოკუმენტები.

ანოტაცია — პირველადი სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტის მოკლე დახასიათებაა. ანოტაციაში აღნიშნულია თუ რაზეა ლაპარაკი დოკუმენტში. ანოტაცია, როგორც წესი, შედგება 2—3 ფრაზისაგან. ანოტაციის შედგენისას უნდა გვესმოდეს დოკუმენტის შინაარსი ზოგადად. ანოტაციები დგება უმთავრესად სასწავლო, საცნობარო, ქრონიკული და სამეცნიერო-პოპულარული დოკუმენტაციის მასალებზე. ანოტირება ხდება პატენტის აღწერილობებისა და სხვა მასალების. თუ პირველადი დოკუმენტის დასახელება არ გვაძლევს წარმოდგენას დოკუმენტზე, ანოტაცია აშუქებს მას. მისი შედგენა შეიძლება თუ ვიცით ენა და გვაქვს წარმოდგენა ობიექტზე.

რეფერატი დოკუმენტში ჩაწვდომის შემდეგი საფეხურია. რეფერატში გადმოცემულია დოკუმენტის ძირითადი შინაარსი, მისი ზასიათის, საგნის და გამოკვლევის მეთოდის ან საწარმოო პროცესის ტექნოლოგიის, ძირითადი შედეგების, გამოკვლევის ჩატარების დროსა და ადგილის, სიახლის დამუშავებისა და გამოყენების აღნიშვნით. რეფერატი სრულ წარმოდგენას უქმნის მომხსენებელს დოკუმენტის ძირითად შინაარსზე და განსაზღვრავს პირველადი დოკუმენტის გაცნობის მიზანშეწონილობას.

რეფერატის მოცულობა მეტია, ვიდრე ანოტაციისა, როგორც წესი, ის არ უნდა აღარაბეზდეს 2 000 ბეჭდურ ნიშანს — დაახლოებით უტოლდება 30×20 სმ ფორმატის 1,5 გვერდზე ორი ინტერვალით ნაბეჭდს. ჩვეულებრივ რეფერატი არ შეიცავს კრიტიკულ შეფასებას, თუმცა ზოგჯერ გვხვდება რეფერენტის შენიშვნა შეფასებით.

მიმოხილვა დოკუმენტში ჩაწვდომის ყველაზე ღრმა საფეხურია. შედგება რამდენიმე დოკუმენტისაგან. მიმოხილვის შედგენა მოითხოვს სპეციალისტის შემოქმედების მნიშვნელოვან დონეს. მიმოხილვაში შეიძლება იყოს ინფორმაცია, რომელიც არ არის დოკუმენტში. მიმოხილვაში ინფორმაციის სინთეზია, მიმოხილვის ავტორი გაიაზრებს დოკუმენტის შინაარსს და აკეთებს გარკვეულ დასკვნებს.

როგორც უკვე ითქვა სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის სხვა სახეებთან ერთად სასიგნალო საპატენტო გამოცემები გვხვდება სხვადასხვა სახით, ზოგიერთ გამოცემაში მოცემულია გამოგონების აღწერილობის მხოლოდ ბიბლიოგრაფიული ელემენტები, ზოგიერთში კი ქვეყნდება ნახაზებით ილუსტრირებული გამოგონების ფორმუ-

ლა ან პუბლიკაციები გამოგონების დაწვრილებითი რეფერატის სახით.

ყველა სახის საინფორმაციო გამოცემები საცნობარო-საინფორმაციო ფონდებში წარმოდგენილია საერთაშორისო უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის სისტემის მიხედვით.

ამჟამად ზოგიერთი საინფორმაციო ორგანო და ბიბლიოთეკა იმ მიზნით, რომ მკითხველებს გაუადვილონ ინფორმაციის ძიება უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით, ამ პროცესს მექანიზმებულს ხდიან.

გ. მიქელადის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ტექნიკურ ბიბლიოთეკაში შექმნილი მთავარი საცნობარო კარტოთეკა შეიცავს ცენტრალიზებული გზით შერჩეულ რეფერირებულ ან ანოტირებულ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის წყაროებს. აღნიშნულ საცნობარო აპარატში წარმოდგენილია მსოფლიოში გაცემული მნიშვნელოვანი გამოგონებებაც.

კარტოთეკაში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ყველა სახე თავმოყრილია ერთად და განლაგებულია უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით.

აღნიშნული კარტოთეკა დიდ სამსახურს გაუწევს ორგანიზაციებსა და საწარმოებს კოოპერატივებსა და კერძო პირებს, როგორც საცნობარო-საინფორმაციო მომსახურებაში, ისე ადგილებზე მაპროფილებელი დარგის საცნობარო აპარატის შექმნაში.

უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით სისტემატიზებული საცნობარო-საინფორმაციო ფონდებში ორიენტირება რომ გაადვილდეს, აუცილებელია დაინტერესებული სპეციალისტი გაეცნოს უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის სტრუქტურას და გამოყენებს წესებს.

უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის სისტემას, როგორც სახელწოდება ადასტურებს, საფუძვლად უდევს დაყოფის კლასიფიკაციის ათწილადობის პრინციპი. ადამიანის ცოდნის ყველა დარგი აღებულია როგორც ერთი მთლიანი და დაყოფილია ათ ძირითად განყოფილებად, შემდეგ თითოეული განყოფილება თავის მხრივ, კიდევ იყოფა ათ ჯგუფად, თითოეული ჯგუფი — ათ ქვეჯგუფად და ა. შ. დაყოფა შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს.

ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილები შეიცავს თითოეული ინდექსის აზრობრივი მნიშვნელობის გაშიფვრას. ძირითადი განყოფილე-

ბები აღნიშნულია ერთნიშნა არაბული ციფრებით — დაწყებული C-დან და დამთავრებული 9-ით. ათი ძირითადი განყოფილება შემდეგია: 0. საერთო განყოფილება; 1. ფილოსოფია; 2. რელიგია; 3. საზოგადოებრივი მეცნიერებანი, სამართალი, მართვა; 4. ღრობით თავისუფალია; 5. მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; 6. გამოყენებითი მეცნიერებები, მედიცინა, ტექნიკა; 7. ხელოვნება, გამოყენებითი ხელოვნება, თამაშები, სპორტი; 8. ფილოლოგია, ენათმეცნიერება, მხატვრული ლიტერატურა; 9. მხარეთმცოდნეობა, გეოგრაფია, ბიოგრაფიები, ისტორია.

თითოეული განყოფილება, როგორც აღვნიშნეთ, ათ ქვეგანყოფილებად იყოფა. მაგალითად; 5. მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

• 51. მათემატიკა; 52. ასტრონომია, გეოდეზია; 53. ფიზიკა; 54. ქიმია, კრისტალოგრაფია, მინერალოგია; 55. გეოლოგია, გეოლოგიური და გეოფიზიკური მეცნიერებანი; 56. პალეონტოლოგია; 57. ბიოლოგიური მეცნიერებანი; 58. ბოტანიკა, 59. ბიოლოგია.

ამგვარი პრინციპი საშუალებას იძლევა ათწილად კლასიფიკაციაში ცნებები დაიყოს ზოგადიდან ვიწრო სპეციალობამდე, მაგალითად: 6. გამოყენებითი მეცნიერებები, მედიცინა, ტექნიკა; 62. საინჟინრო საქმე, ტექნიკა; 624. მიწისქვეშა მშენებლობა; 624.1. მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა, მიწის სამუშაოები, ფუძეებისა და საძირკვლების მოწყობა, გვირაბების მშენებლობა; 624.13. მიწის ნაგებობები; 624.131. გრუნტების მექანიკა, გრუნტმცოდნეობა, ტექნიკური და ეკონომიკური მოსამზადებელი სამუშაოები; 624.131.4. გრუნტების თვისებები; 624.131.43. გრუნტების ფიზიკური დ მექანიკური თვისებები; 624.131.439. გრუნტების მექანიკური მახასიათებლები; 624.131.439.4. სიმტკიცე კუმშვისას.

როგორც მაგალითიდან ჩანს, რაც უფრო ვიწროა ცნება, მით უფრო გრძელია მისი ინდექსი.

ათწილად კლასიფიკაციაში ყველა ცნება ძირითადად და დამხმარე ცნებებად იყოფა. ძირითადი ცნებები აღინიშნება ინდექსებით, რომლებიც ცხრილებში განლაგებულია სისტემატური რიგით. დამხმარე ცნებებს ეწოდება განმსაზღვრელები. ისინი გამოხატავენ ნიშან-თვისებებს, დამახასიათებელ თავისებურებებს, პარამეტრებს, ძირითადი საგნის ცალკეულ თვისებებს და აღინიშნებიან სპეციალური ნიშნებით, კერძოდ, არაბული ციფრებითა და გამოსაცნობი ნიშნებით (წერტილი, ფრჩხილები, ბრჭყალები, აპოსტროფი). განმსაზღვრელი ორი სა-

ხისაა — საერთო და სპეციალური. განმსაზღვრელს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს იგი გამოსაცნობი ნიშნების მიხედვით შედის ძირითად ინდექსში.

იხეთ პუბლიკაციებს, რომლებიც ძირითადი ინდექსით და განმსაზღვრელებითაა ინდექსირებული, შემდეგი სახე აქვს: მაგალითად, წიგნს „ავტომობილების რემონტი“ აქვს ინდექსი 629.113.004.67. აქ 629. 113. ძირითადი ინდექსია, აღნიშნავს ავტომობილს, ხოლო 004.67. რემონტის აღმნიშვნელი საერთო განმსაზღვრელია. წერტილი, ორი ნული თვალსაზრისის საერთო განმსაზღვრელს გამოსაცნობი ნიშანია.

ქრონოლოგიური განმსაზღვრელები ასევე საერთო - განმსაზღვრელების რიგს მიეკუთვნება. მათი საშუალებით შეიძლება გამოიხატოს წელი, რიცხვი, თვე, აწმყო, მომავალი, პროგნოზი და ა. შ.

მაგალითად, სტატია-მიმოხილვის „მომავლის ავეჯის“ ინდექსია 684.„313“, სადაც 684 ძირითადი ინდექსია, აღნიშნავს ავეჯის წარმოებას, „313“ ქრონოლოგიური ინდექსია და აღნიშნავს მომავალს. ქრონოლოგიური განმსაზღვრელების გამოსაცნობი ნიშანია სტრიქონზედა ბრჭყალები.

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის წყაროების ფორმებია წიგნები, საჟურნალო სტატიები, დისერტაციების ავტორეფერატები, საავტორო მოწმობებისა და პატენტების-აღწერილობები, ტექნიკური პირობები, სტანდარტები და ა. შ. სხვადასხვა სახის გამოცემების აღნიშვნისათვის ასევე გამოიყენება საერთო განმსაზღვრელები. მათი გამოსაცნობი ნიშანია ფრჩხილები, ნული. მაგალითად, საავტორო მოწმობები, გარდა ძირითადი ინდექსისა, აღნიშნება განმსაზღვრელით (088.8), რომელიც აღნიშნავს პატენტს, საავტორო მოწმობას.

ხშირად გამოიყენება საერთო გეოგრაფიული განმსაზღვრელები ან ადგილის განმსაზღვრელები სხვადასხვა ქვეყნის, ოლქების, ქალაქების, აგრეთვე ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებათა აღსანიშნავად. მაგალითად, სტატიას „ტრაქტორები მთიან პირობებში მუშაობისათვის“ ექნება ინდექსი 629.114.2(23). ციფრი ფრჩხილებში აღნიშნავს მთებს. იგი გეოგრაფიული მსაზღვრელების გამოსაცნობი ნიშანია.

საერთო განმსაზღვრელების გარდა, ათწილად კლასიფიკაციაში გამოიყენება სპეციალური მსაზღვრელები, რომლებიც გარკვეული მნიშვნელობით სპეციალურად მხოლოდ ერთ განყოფილებაში ან ქვე-განყოფილებაში იხმარება (სხვა განყოფილებაში მას სულ სხვა მნიშ-

ვნელობა ექნება). ისინი, ჩვეულებრივ, მოყვანილია ხოლმე იმ განყოფილებაში, რომელშიც გამოიყენება. სპეციალური განმსაზღვრელები გვხვდება ელექტროტექნიკის, სამთო მრეწველობის, მანქანათა მშენებლობისა და სხვა განყოფილებებში. ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილებში ისინი გამოყოფილია მარცხნიდან ვერტიკალური შავი ხაზით. სპეციალური განმსაზღვრელების გამოსაცნობი ნიშნებია დეფისი, წერტილი და ნული.

ცნებებს შორის სხვადასხვა აზრობრივი კავშირების განსაზღვრისათვის ათწილადი კლასიფიკაციაში გამოიყენება მათემატიკური ნიშნები: +, :, /; ყველაზე ხშირად გამოიყენება ათწილადი კლასიფიკაციის რამდენიმე ინდექსის ერთიმეორესთან შეერთების ნიშანი — მიმართების ნიშანი (:). იგი განსაკუთრებული მნიშვნელობის მსაზღვრელია და აკავშირებს ორ საგანს, მეცნიერების ორ დარგს ან ორ საკითხს; დაისმის ორ ინდექსს შორის. მიმართების განმსაზღვრელი იხმარება მაშინ, როდესაც ინფორმაციის წყაროში მოცემულია დამოკიდებულება ორ დისციპლინას ან ორ საკითხს შორის ან ერთი საგანი, ერთი საკითხი განხილულია მეორე დარგის თვალსაზრისით. მაგალითად, წიგნს „გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება სამთო მრეწველობაში“ აქვს ინდექსი 622:681.3. (სამთო მრეწველობა გამოთვლითი ტექნიკის მიმართულებაში).

ნიშანი + (იკითხება როგორც „და“) მიმატების მსაზღვრელია და გამოიყენება ორი და მეტი ინდექსის შესაერთებლად. იგი მიგვიბრუნებს, რომ დოკუმენტის წყაროს ძირითადი საგანი ორი, სამი ან მეტი საკითხია მაგალითად, წიგნი „თეორიული და გამოყენებითი ქიმია“ შიილებს ინდექსს 54+66, სადაც 54 თეორიული ქიმიაა, 66 — გამოყენებითი ქიმია.

გავრცელების ნიშანი / (წილადი) იკითხება როგორც „აქედან აქამდე“ და გამოიყენება მაშინ, როცა რამდენიმე ცნება აღნიშნება. ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილებში აღნიშნავენ მიმდევრობითი რიგის ინდექსებს; მაგალითად, 621.37/39 — რადიოელექტრონიკა, სადაც 621.37 განსაზღვრავს ელექტრული და ელექტრომაგნიტური რხევების ტექნიკას, რადიოტექნიკას, 621.38 — ელექტროტექნიკას, 621:39 — ელექტროკავშირის ტექნიკას, ტელემართვას.

აპოსტროფის ნიშანი (' — სტრიქონზედა ნიშანი გვიძმის სახით) ეწოდება სინთეზის, გაერთიანების ნიშანი; გამოიყენება, ათწილადი კლასიფიკაციის მხოლოდ ზოგიერთ განყოფილებაში სრულიად ახალი

ცნებების მისაღებად. მაგალითად, ცნება „კალიუმციანიდი“ აღინიშნება ინდექსით 546.32'267, სადაც 546.32 კალიუმია. 546.267 — ტიანი-ღური ლითონები.

ათწილადი კლასიფიკაციის აუცილებელ სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს ბოლოში მოთავსებული ანბანურ-საგნობრივი საძიებელი. ანბანურ-საგნობრივ საძიებელში ახსნილია ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილებში მოთავსებული ყველა ძირითადი ცნება. ანბანურ-საგნობრივი საძიებელი წარმოადგენს დამხმარე აპარატს — გასაღებს, რომელიც აადვილებს ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილებში საჭირო ინდექსის მოძებნას, აგრეთვე აადვილებს ინფორმაციის ძიებას. ბიბლიოთეკებსა და საინფორმაციო ორგანოებში კარტოთეკებისა და კატალოგების ანბანურ-საგნობრივი საძიებლები, ჩვეულებრივ, ბარათული სახისაა.

როგორ მოიძებნოს უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის პიხედვით ორგანიზებულ ფონდში აუცილებელი ინფორმაცია?

თავდაპირველად საძიებლის მიხედვით იძებნება საჭირო ცნება. მოძებნილ ბარათზე ნაჩვენებია მოცემული ცნების შესაბამისი უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის ინდექსი. შემდეგ კარტოთეკაში ან კატალოგში ამ ინდექსით იძებნება გამყოფი, გამყოფის მეშვეობით პოულობენ საჭირო ინფორმაციის წყაროებს. პირველად წყაროს პოვნა კი ფონდში იმავე უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის ინდექსით ან საინვენტარო ნომრით ხდება.

როგორც ნაწილობრივ ითქვა, გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკურ ბიბლიოთეკაში არსებული საპატენტო-ფონდი განლაგებულია ამა თუ იმ ქვეყანაში მიღებული საპატენტო კლასიფიკაციის შესაბამისი სისტემით.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საპატენტო ფონდში ყოფილი სსრ კავშირის საპატენტო დოკუმენტაცია საავტორო მოწმობათა და საპატენტო აღწერილობები წარმოდგენილია 1949 წლიდან.

რუსეთში რუსულ ენაზე პატენტების აღწერილობათა ფურცლოვანი გამოცემის პარალელურად საპატენტო ინფორმაციის ინსტიტუტი ყოველწლიურად აქვეყნებს ე. წ. „მოქმედ პატენტების კრებულს“, რომელიც პატენტების აღწერილობის სრულ ტექსტებს შეიცავს. კრებულს ბოლოში დართული აქვს სისტემატური და ნუმერაციული საძიებლები. პატენტები კრებულში განლაგებულია ნომრების მიხედვით.

ამ კრებულით შეიძლება ვიხელომდევანელოთ, როცა ჩვენი რესპუბლიკიდან რუსეთში გადის შესაბამისი ნაკეთობა ანდა „გაგავაქვს“ გამოგონება; საშუალება გვეძლევა დავადგინოთ ჩვენი ობიექტის ან გამოგონების საპატენტო სიწმინდე.

ზოგიერთი ქვეყნის პატენტები — აღწერილობები საქართველოს სახელმწიფო საპატენტო ფონდში წარმოდგენილია მიკროფოტოპირების სახით.

აშშ-ის პატენტების აღწერილობები აღნიშნულ ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 1935 წლიდან.

ამჟამად აშშ-ში ყოველწლიურად ქვეყნდება დაახლოებით 80 ათასი პატენტი, რომელთა უმეტესი ნაწილი მოდის ფირმებზე. კონკურენციით დაინტერესებული ფირმები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი რაოდენობის პატენტებს გაუწიონ ექსპლუატაცია ტექნიკის ამა თუ იმ დარგში. სხვადასხვა ქვეყნის ფირმების მფლობელები ცდილობენ დააპატენტონ გამოგონებები არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ აშშ-ში, ამრიგად, აშშ-ის საპატენტო დოკუმენტაცია მსოფლიოს ქვეყნების ტექნიკურ სიახლეთა თავისებურ ჯამს წარმოადგენს.

თუ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს იმასაც დაუმატებთ, რომ მოქმედი საპატენტო კანონმდებლობით აშშ ქვეყნების იმ კატეგორიას ეკუთვნის, სადაც გამოგონებისადმი მაღალი მოთხოვნებია წაყენებული, ცხადი გახდება მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის რაოდენ მნიშვნელოვანი წყაროა აშშ-ის საპატენტო დოკუმენტაცია.

სხვადასხვა სახის საპატენტო გამოკვლევების ჩატარებისას აუცილებელია გამოვიყენოთ რუსეთის საპატენტო ინფორმაციის ინატიტუტის გამოცემები, რომლებიც გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკურ ბიბლიოთეკაშია თავმოყრილი.

1963—1971 წლებში აღნიშნულმა ინსტიტუტმა გამოსცა აშშ-ის საპატენტო ბიულეტენის — „official Gazette“ („ოფიციალური გაზეთი“) თარგმანი რუსულ ენაზე (1963—1965 წლებში ეს გამოცემები ბარათების სახისა იყო, 1966—1969 წლებში გამოდიოდა კომპლექტების სახით და შედგებოდა სამი ნაწილისაგან: „საერთო საკითხები და მანქანათმშენებლობა“, „ქიმია“, „ელექტრონიკა და რადიოტექნიკა“, 1970—1971 წლებში დაიბეჭდა რვა გამოცემა საერთაშორისო კლასიფიკაციის რვა განყოფილების მიხედვით.

1972 წლიდან რუსულ ენაზე აშშ-ის საპატენტო ბიულეტენის მასალები ქვეყნდება გაერთიანებულ გამოცემაში — „გამოგონებები სა-

ზღვარგარეთ“, ხოლო 1978 წლიდან — დასახელებით გამოგონებები „სრ კავშირში და საზღვარგარეთ“, 1985 წლიდან კი — „მსოფლიოს ქვეყნების გამოგონებები“. გამოგონებებისადმი მიძღვნილი თითო-ჯული პუბლიკაცია შეიცავს ძირითად ბიბლიოგრაფიულ ცნობებს (საპატენტო ნომერს, გამოგონების დასახელებას, გამომგონებლის გვარსა და სახელს, მონაცემებს მისი საცხოვრებელი ადგილის შესახებ. პატენტის მფლობელის ვინაობას და მისამართს, განაცხადის თარიღს და ნომერს, გამოგონების ფორმულაში პუნქტების რაოდენობას, ეროვნული კლასიფიკაციისა და გამოგონებეთა საერთაშორისო კლასიფიკაციის ინდექსს, რეფერატსა და ძირითად ნახაზს). რამდენადაც მასალები გამოცემაში გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციითაა განლაგებული ბოლოში მოყვანილია გამოგონებათა ეროვნული კლასიფიკაციის სისტემური საძიებლები, რაც ამ გამოცემით მუშაობას აადვილებს.

აშშ-ის პატენტების რეფერირებას რუსულ ენაზე ახორციელებს აგრეთვე სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის რუსეთის ინსტიტუტი. აღნიშნული რეფერატები ქვეყნდება „რეფერატულ ჟურნალებში“, რომლებიც დაცულია გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკის პერიოდიკის განყოფილებაში.

აშშ-ის პატენტების ფონდისათვის გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკურ ბიბლიოთეკაში აქვთ ნუმერაციული წიგნები, რომელთა საშუალებითაც ტარდება ნუმერაციული ძიება. თუ ვიცით პატენტის ნომერი, ვადგენთ მის ეროვნულ საკლასიფიკაციო ინდექსს, რომლის მიხედვითაც განლაგებულია გამოგონებათა აღწერილობების ფონდი თავისი საცნობარო სისტემატური კარტოთეკით.

თემატური ძიება აღნიშნულ ფონდში უნდა დავიწყოთ ჩვენთვის საჭირო თემის შესატყვისი აუცილებელი კლასების განსაზღვრით. კლასების დადგენის შემდეგ წლიური სისტემატური საძიებლების საშუალებით ვადგენთ ჩვენთვის საინტერესო პატენტების ნომრებს, რის შემდეგაც ბიულეტენში — „official Gazette“ ვეცნობით გამოგონებათა აღწერილობების რეფერატებს ან ბიბლიოთეკის საპატენტო ფონდში არსებულ სრულ გამოგონებათა აღწერილობებს. ამ სახის ძიების ჩატარებისას აუცილებელია გამოვიყენოთ აგრეთვე ბიბლიოთეკაში არსებული აშშ-ის პატენტების შემაჯამებელი სისტემატური საძიებელი.

გვარისა და სახელის (საფირმო) ძიება ხდება აშშ-ის გამომგონ-

ბელთა და პატენტის მფლობელთა წლიური საძიებლებით. როცა მოიძებნება და დადგინდება გამოგონებლის გვარი ან ფირმის დასახელება და პატენტის ბიბლიოგრაფიული მონაცემები, შემდგომ ხდება გამოგონებათა აღწერილობების რეფერატების გაცნობა ბიულეტენში — „official Gazette“ ან გამოგონებათა აღწერილობის ფონდში.

თუ აშშ-ის პატენტები დაეცვლია გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკურ ბიბლიოთეკაში, რეფერატული გამოცემები თავმოყრილია როგორც რესპუბლიკის დიდ ბიბლიოთეკებში, ისე ქთელი რიგი ორგანიზაციებისა და საწარმოების საინფორმაციო ქვეგანყოფილებებში, საქმიანობის პროფილის მიხედვით, რომელსაც ემსახურება ორგანიზაციის, საწარმოს სამეცნიერო-ტექნიკური ან საპატენტო სამსახურის საინფორმაციო ორგანო.

გერმანიის საპატენტო აღწერილობანი გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკის საპატენტო ფონდში 1951 წლიდან ინახება.

პატენტის რეგულარული გაცემა გერმანიაში დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში. № 1 პატენტი დათარიღებულია 1877 წლით. შემდგომი 80 წლის მანძილზე, 1945 წლამდე გერმანიაში, შემდეგ ყოფილ გერმანიასა და გფრ-ში გამოქვეყნებული იყო ერთი მილიონი პატენტი.

გერმანიაში პატენტების გაცემა განახლდა 1950 წლიდან, მათი ნუმერაცია გაგრძელდა № 800001-დან; 1950 წლის მაისამდე საპატენტო უწყება არ არსებობდა, ამიტომ ამ პერიოდის გამოგონებათა დიდი ნაწილი გამოტოვებულია.

გერმანული საპატენტო დოკუმენტაცია განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს. გერმანიაში ყოველთვის იყენებდნენ პატენტის გაცემის შესამოწმებელ სისტემას, ამიტომ გერმანიის საპატენტო დოკუმენტაციაში ნაკლებად გვხვდება ისეთი გამოგონებები, რომლებსაც პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ.

გერმანიის საპატენტო დოკუმენტაციით მუშაობისათვის საპატენტო ინფორმაციის რუსეთის ინსტიტუტი 1964—1970 წლებში გამოცემდა ბიულეტენის „ამონაწერები გერმანიის საპატენტო განცხადებიდან“ — მასალების თარგმანს რუსულ ენაზე. მასში ქვეყნდება ცნობები ექსპერტიზა გავლილი განაცხადებზე.

1968—1970 წლებში გამოიცემოდა ბიულეტენის „Auszüge aus den offen“-ის („საყოველთაო, გაცნობისათვის გამოტანილი გფრ-ის

საპატენტო განაცხადების“) რუსული თარგმანი, რომელშიც ასახული იყო ცნობები უექსპერტიზო განაცხადებზე.

ორივე ეს გამოცემა 1971 წელს გაერთიანდა და საპატენტო ინფორმაციის რუსეთის ინსტიტუტმა დაიწყო ბიულეტენის — „გერმანიის საპატენტო განაცხადები“ — გამოშვება, რომელიც შედგებოდა ორი ნაწილისაგან. ბიულეტენის პირველ ნაწილში მოთავსებული იყო ცნობები განაცხადებებზე, რომლებიც გამოქვეყნდა ექსპერტიზის ჩატარებამდე („Auszüge aus den offen legungsschriften“-ის მასალების მიხედვით), მეორე ნაწილში — ცნობები განაცხადებზე, რომლებმაც ექსპერტიზა გაიარეს („Auszüge aus den offen legungsschriften“-ის მასალების მიხედვით). ბიულეტენი გამოდიოდა მხოლოდ 1971 წელს. 1972 წლის იანვრიდან ბიულეტენის — „Patentblatt“ მასალები მოთავსდა გაერთიანებულ გამოცემაში „გამოგონებები საზღვარგარეთ“.

თითოეული პუბლიკაცია გამოგონებათა შესახებ ამ გამოცემებში შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, გამოგონების ფორმულის პირველ პუნქტს და ძირითად ნახაზს.

სპეციალისტების უფრო სრული ინფორმირების მიზნით გერმანიაში ყველა შეტანილი განაცხადის შესახებ საპატენტო ინფორმაციის რუსეთის ინსტიტუტი 1972 წლიდან გამოსცემდა ბიბლიოგრაფიულ ბიულეტენს — „Auszüge aus den offen“-ის („საყოველთაოდ გასაცნობად გამოტანილი გერმანიის საპატენტო განაცხადები“) მასალების მიხედვით, რომელშიც მოთავსებულია განაცხადებზე ბიბლიოგრაფიული ცნობები და გამოგონებათა დასახელების თარგმანი. ეს ინსტიტუტი საერთო ტექნიკურ ინფორმაციასთან ერთად აქვეყნებდა გერმანიის პატენტების აღწერილობების რეფერატებს.

გარდა აღნიშნული მასალებისა, გ. მიქალაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკურ ბიბლიოთეკაში შეხვდებით გერმანიის გამოგონებათა აღწერილობების ფონდისათვის განკუთვნილ ნუმერაციულ წიგნებს, რომლებშიც მასალები ნომრების ზრდის მიხედვით არის განლაგებული და მოცემულია თითოეული მათგანის საკლასიფიკაციო ინდექსები.

გერმანიის განაცხადებისა და პატენტების გამოგონებათა აღწერილობების თემატური ძიების ჩატარებისას ჯერ განისაზღვრება აუცილებელი საკლასიფიკაციო ინდექსები, რისთვისაც უნდა გამოვიყუ-

ნოთ „გამოგონებათა კლასების საძიებელი“ და ამ საძიებლის ანბანურ-საგნობრივი საძიებელი.

აუცილებელ გამოგონებათა აღწერილობების შერჩევისათვის შეიძლება გამოვიყენოთ საყოველთაო განხილვისათვის გამოტანილი გამოქვეყნებული განაცხადებისა და გაცემული პატენტების ყოველწლიური საძიებელი („Jahresverzeichnis der Auslegeschriften und erteilten Patenten“), აგრეთვე შემაჯამებელი სისტემატური საძიებლები ზოგიერთი კლასისათვის, შემდეგ გადავიღივართ ბიულეტენის „Patentblatt“ და რეფერატული გამოცემების შესწავლაზე; ბოლოს კი ვეცნობით განაცხადებისა და პატენტების სრულ აღწერილობას. გამოგონებათა აღწერილობები, რომლებიც, როგორც აღინიშნა, თავმოყრილია ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო ფონდში.

გვარისა და სახელის ძიება ტარდება განმცხადებლებისა და პატენტის მფლობელთა გვარისა და სახელის კვარტალური საძიებლით („Vierteljährliches Nemenverzeichnis“) მასში განმცხადებლის ან პატენტის მფლობელთა დასახელების მიხედვით შეიძლება დადგინდეს ბიბლიოგრაფიული მონაცემები, რომლებიც აუცილებელია განაცხადების ან გამოგონებათა აღწერილობების საძიებლად.

ნუმერაციული ძიება ხდება გერმანიის გამოგონებათა ნუმერაციული წიგნების საშუალებით, რომლებიც დაცულია გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკურ ბიბლიოთეკაში.

მოვებნით რა ჩვენთვის საინტერესო განაცხადის ან პატენტის ნომერს, საკლასიფიკაციო ინდექსის განსაზღვრით, გამოგონების აღწერილობას ვეცნობით ბიულეტენში ან უშუალოდ გერმანიის გამოგონებათა აღწერილობის ფონდში.

ასევე აუცილებელია გამოვიყენოთ ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო ფონდში არსებული საცნობარო-საძიებო აპარატი, რომელსაც გამოსცემდა საპატენტო ინფორმაციის რუსეთის ინსტიტუტი გერმანიის საპატენტო დოკუმენტაციის ფონდისათვის: გვარისა და სახელის; სისტემატური და ნუმერაციული საძიებლები, აგრეთვე ბიულეტენი „მსოფლიოს ქვეყნების გამოგონებები“.

ღიდი ბრიტანეთის გამოგონებათა აღწერილობები გ. მიქელაძის სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკის საპატენტო ფონდში წარმოდგენილია 1951 წლიდან.

ინგლისის საპატენტო აღწერილობები გამოდის ცალკე ბროშურებად, რომლებიც პერიოდულად იკრიბება კრებულების სახით.

პირველად გამოცემულ კრებულში შესულია საპატენტო აღწერილობები, რომლებიც გაცემულია 1617 წლის 1 მარტიდან 1852 წლის 1 ოქტომბრამდე. ეს აღწერილობები ხელმეორედ გამოიცა 1953—1958 წლებში და შეადგინა 408 ტომი. მათი ნახაზები კი გამოცემულია ცალკე მრავალტომეული ატლასის სახით.

ტექნიკის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ძველი ინგლისური პატენტების კრებულები მეტად საინტერესოა. მათი გაცნობა შეიძლება პეტერბურგის სალტიკოვ-შიგდრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში.

1852—1915 წლების პატენტებისა და მაშინდელი ნომერაციის წესით, ნუმერაცია ყოველწლიურად იწყებოდა № 1-ით. 1916 წლიდან კი გადავიდნენ განმგრძობი თანმიმდევრობით ნუმერაციის წესზე. 1917 წელს გაცემულმა პირველმა პატენტმა მიიღო მე-100 000 ნომერი.

1852 წლიდან გაცემული პატენტების ნაწილი მოთავსებულია რუსეთის საპატენტო-ტექნიკურ ბიბლიოთეკაში, ხოლო ნაწილი პეტერბურგის სალტიკოვ-შიგდრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში.

ინგლისის გამოგონებათა აღწერილობები №№ 740.001—940.000 ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო ფონდში დამუშავებული და სისტემატიზებულია კლასიფიკაციის ძველი სისტემით, ხოლო № 940.001-დან ისინი ახალი ძირითადი სქემითაა ასახული.

ინგლისის საპატენტო ბიულეტენი. — „Abridgments of Specifications“ — „საპატენტო განაცხადების რეფერატები“, გამოდის ცალკე კომპლექსებად. იგი 1963 წლამდე 44 თემატურ ჯგუფად იყო გამოცემული, მას შემდეგ კი გამოდის 25 თემატურ ჯგუფად ცალკე რვეულების სახით. მასში მოცემულია რეფერატი და ნახაზი. მაგალითად, იღებენ 20.000-მდე გამოგონების აღწერილობას და მათ 25 თემად ყოფენ, თუ გამოგონება ერთ თემას ეკუთვნის, იგი ითვლება ერთ თემად, კლასად, თუ ორ თემას ეკუთვნის, იგი ითვლება ორ თემად, კლასად და ა. შ.

აღნიშნული ბიულეტენის თარგმანს რუსულ ენაზე 1965 წლიდან ახორციელებდა საპატენტო ინფორმაციის რუსეთის ინსტიტუტი. ბიულეტენში თითოეული რეფერატის წინ მოცემულია აქცეპტირებული განაცხადის სათაურის ორიგინალის რეპროდუქცია, ძირითადი ბიბლიოგრაფიული მონაცემებით. რეფერატები ისეა შედგენილი,

რომ იგი ითვალისწინებს თითოეული დარგის სპეციფიკას და მიკუთვნებულ შესაბამის განყოფილებას.

საპატენტო სამსახურის საქმიანობაში ამ ბიულეტენს გამოგონებებზე განაცხადის ხანმოკლე პუბლიკაციით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ინგლისური რეფერატული ჟურნალი საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ საპატენტო გამოკვლევებებს მთელი რიგი სახეები. მაგალითად, თუ ჩვენთვის ცნობილია კლასი, შესაძლებლობა გვაქვს მოვძებნოთ ყველა ის ნომერი, რომლებიც ამ თემასთან დაკავშირებით გვიანტერესებს.

1972 წლიდან ზემოთ აღნიშნული დიდ იბრიტანეთის საპატენტო ბიულეტენის მასალები თავსდება გაერთიანებულ გამოცემაში „მსოფლიოს ქვეყნების გამოგონებები“.

იაპონიის საპატენტო დოკუმენტაცია ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო ფონდში დაცულია 1951 წლიდან.

იაპონიის საპატენტო დოკუმენტაციაზე მუშაობისას უნდა გავთვალისწინოთ გ.-მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური ზიბლიოთეკის საპატენტო ფონდის ზოგიერთი თავისებურება, კერძოდ ის, რომ მასალები ერთიანი სისტემით არ არის განლაგებული, რაც გამოწვეულია გამოგონებათა კლასიფიკაციის ეროვნული სისტემის ცვლილებებით. გასათვალისწინებელია აგრეთვე თვით გამოცემათა სახეებისა და შინაარსის სხვადასხვაობა, რაც თავის მხრივ, კანონმდებლობაში ცვლილებებით არის გამოწვეული.

იაპონიაში სამრეწველო საკუთრების დაცვის რამდენიმე სახე არსებობს გარდა პატენტებისა, გამოგონებებზე რეგისტრირდება მცირე პატენტებიც, რომლებსაც „სასარგებლო მოდელები“, აგრეთვე სამრეწველო ნიშნულები და სასაქონლო ნიშნები ეწოდება.

ცნობები იაპონიის გამოგონებებზე (რეფერატების სახით) რუსულ ენაზე ქვეყნდებოდა საპატენტო ინფორმაციის რუსეთის ინსტიტუტის მიერ 1968 წლის იანვრიდან 1972 წლამდე ბიულეტენში „იაპონიის საპატენტო განაცხადები“, რომლებშიც წარმოდგენილი იყო გამოგონებებზე ყველა განაცხადი „ტოკიო-კოხოს“ კრებულის მონაცემებით. ორიგინალის ყველა ბიბლიოგრაფიული მონაცემის გარდა, მათში აღინიშნებოდა უნივერსალური ათწილადი და გამომგონებათა გერმანული კლასიფიკაციის სისტემის ინდექსები, აგრეთვე

გამოგონების დასახელებისა და საპატენტო ფორმულის პირველი პუნქტის თარგმანი ნახაზებით.

კრებულში ყოველწლიურად ქვეყნდებოდა 20 ათასამდე ცნობა იაპონურ გამოგონებებზე და 10 ათასამდე — უცხოურ გამოგონებებზე. ამ კრებულის პარალელურად ქვეყნდებოდა რამდენიმე სახის საძიებლები, ეს კრებული, პირველ რიგში საჭირო იყო იმ საპატენტო განყოფილებებისა და ქვეგანყოფილებებისათვის, რომლებიც ელექტროტექნიკურ, რადიოელექტრონიკის, ქიმიურ, გემთმშენებელ, მანქანათმშენებლობისა და სხვა სამრეწველო დარგებს ემსახურებიან. ეს იმით აიხსნება, რომ იაპონიის გამოგონებათა უმრავლესობა ეხებოდა ზემოთ ჩამოთვლილ დარგებს.

იაპონიის საპატენტო დოკუმენტაციით მუშაობას აძნელებს ენობრივი ბარიერი, ამიტომ, შესაძლებელია, რომ იაპონიის გამოგონებების გარშემო ზოგიერთი ცნობა ინგლისის ფირმების საინფორმაციო გამოცემებში მოიძებნოს.

1970 წელს საპატენტო ინფორმაციის რუსეთის ინსტიტუტმა გამოსცა იაპონიის გამოგონებათა კლასებისა და გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის საძიებლების ინდექსთა შესატყვისი ცხრილები, ხოლო 1971 წელს — გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციისა და იაპონიის გამოგონებათა კლასების საძიებლის ინდექსთა შესატყვისი ცხრილები.

თემატური ძიების ჩასატარებლად აუცილებელია განვსაზღვროთ ძიების ობიექტის შესატყვისი იაპონიის გამოგონებათა კლასიფიკაციის ინდექსები, რისთვისაც ვიყენებთ იაპონიის გამოგონებათა კლასების საძიებელს, რომელიც დატულია გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკურ ბიბლიოთეკაში; როგორც თარგმანის, ისე ორიგინალის სახით შეიძლება გამოვიყენოთ „გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის და იაპონიის გამოგონებათა კლასების საძიებლის შესატყვისი ცხრილები“.

სერიის ნომრის (ან სერიის განყოფილების) განსაზღვრისათვის ვიყენებთ კლასების ცხრილს, რომელიც გაყოფილია 7 სერიად (ან განყოფილებად).

1978 წლიდან გამოცემაში — „მსოფლიო ქვეყნების გამოგონებები“ შესულია „ტოკიო-კობოს“ კრებულის მასალები.

საფრანგეთის გამოგონებათა აღწერილობები გ. მიქელაძის სახე-

ლობის სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკის საპატენტო ფონდში დაკულია 1956 წლიდან.

საპატენტო ინფორმაციის რუსეთის ინსტიტუტი, რუსულ ენაზე 1970 წლიდან უშვებს საფრანგეთის საპატენტო უწყების „სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენს“. არსებობს ამ ბიულეტენის რვა გამოცემა, გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის რვა განყოფილების შესაბამისად.

1972 წლიდან საფრანგეთის სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის მასალები თავსდება კრებულში — „მსოფლიოს ქვეყნების გამოგონებები“.

გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკურ ბიბლიოთეკაში არსებულ საპატენტო ფონდში თავმოყრილი, სისტემატიზებული და დაკულია მსოფლიოს 40-მდე ქვეყნის 20 მილიონზე მეტი გამოგონების აღწერილობა და ინფორმაცია გამოგონებებზე. ეს მასალები წარმოდგენილია ორიგინალების, მიკროფოტოპირებისა და ბიბლიოგრაფიული საპატენტო კრებულების სახით, კერძოდ —

ორიგინალები:

ყოფილი საბჭოთა კავშირი	— 1949 წლიდან
ბულგარეთი	— 1965 „
ყოფილი გდრ	— 1956 „
პოლონეთი	— 1949 „
რუმინეთი	— 1965 „
უნგრეთი	— 1965 წლიდან
ჩეხოსლოვაკია	— 1957 „

მიკრო-ფოტოპირები:

ავსტრალია	— 1966 წლიდან
ავსტრია	— 1911 „
აშშ	— 1935 „
ბელგია	— 1966 „
გფრ	— 1950 „
დანია	— 1943 „
დიდი ბრიტანეთი	— 1955 „

ევგეპტის არაბთა რესპუბლიკა	— 1955 წლიდან
იაპონია	— 1951 წლიდან
ინდოეთი	— 1946
ირლანდია	--- 1967 "
იტალია	--- 1951 "
იუგოსლავია	— 1968 "
კანადა	--- 1966 "
ნიდერლანდი	-- 1947 "
ნორვეგია	--- 1929 "

პოლონეთი — 1924 წლიდან 1963 წლამდე

საფრანგეთი	— 1956 წლიდან
ფინეთი	— 1944 "
შვეიცარია	— 1898 "
შვეცია	— 1885 "

ჩეხოსლოვაკია — 1954 წლიდან 1963 წლამდე.

საპატენტო კრებულები:

- განა
- ერაყი
- თურქეთი
- ირანი
- კუბა
- მაროკო
- პაკისტანი
- სირია
- შრი-ლანკა და სხვ.

საპატენტო დოკუმენტაციის საშუალებით შეგვიძლია ჩავატაროთ სხვადასხვა სახის საპატენტო სამუშაოები, მათ შორის საპატენტო ძიება.

ძიება — ეს არის ტექნიკასა და საპატენტო დოკუმენტაციაში ამა თუ იმ საინტერესო საკითხზე არსებული ცნობების მიგნება და შესწავლა.

საპატენტო დოკუმენტაციის ძიება შეიძლება ტარდებოდეს გამოგონების სიახლეზე და საპატენტო სიწმინდეზე ექსპერტიზის დროს,

ტექნიკის განვითარების დონის განსაზღვრისას და საპატენტო ფონდის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის ჩატარებისას, აგრეთვე სხვა მიზნებისათვის.

თანახმად არსებული პრაქტიკისა, პატენტები გაიცემა ისეთ სავა-
რაუდო გამოგონებებზე, რომლებიც პატენტუნარიანია, ე. ი. აკმაყო-
ფილებს ამა თუ იმ ქვეყანაში კანონმდებლობით დადგენილ გამოგონების წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს. სიახლეზე ექსპერტიზა ტარდება გამოგონებაზე განაცხადში მოცემული წინადადებების უფრო ადრე, ცნობილი იმავე სახის ამოცანების გადაწყვეტებთან დაპირისპირების გზით. შემდგომი ანალიზის საშუალებით უნდა განისაზღვროს ამ ცნობილი გადაწყვეტილებიდან ერთი გადაწყვეტა, რომელიც მოცემულ ნავარაუდევ გამოგონებაზე წინადადებასთან ყველაზე უფრო ახლოს დგას. ამ ანალოგებიდან შერჩეულ ტექნიკურ გადაწყვეტას პროტოტიპი ეწოდება. პროტოტიპთან დაპირისპირება საშუალებას გვაძლევს გავაყეთოთ დასკვნა იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა ნავარაუდევ გამოგონებაზე წინადადება სიახლეს და; თუ შესაძლებელია დამცველი დოკუმენტის — პატენტის გაცემა. როგორც წესი, სავარაუდო გამოგონებაზე წინადადების სიახლეს აბათილებს მისი არსის ნებისმიერი პუბლიკაცია. განაცხადის დადგენილი წესით საპატენტო უწყებაში წარდგენამდე.

სიახლეზე ექსპერტიზის ჩამტარებელ პირს მოეთხოვება მოძებნოს ნავარაუდევ გამოგონების საკითხზე დადგენილი ვარკვეული ქვეყნების ყველა გამოგონების აღწერილობა და სხვა სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის წყაროები. ამიტომ ნავარაუდევ გამოგონებაზე წინადადების სიახლეზე ექსპერტიზის ძიების მიზნით ჩატარება, მსოფლიო საპატენტო პრაქტიკის თანახმად, ერთ-ერთ ყველაზე შრომატევადსა და მეტად რთულ სამუშაოს წარმოადგენს.

გამოგონების საპატენტო სიწმინდეზე ექსპერტიზის ძირითადი მიზანია ის, რომ განისაზღვროს ხვდება თუ არა გამოსაკვლევი ობიექტი მოქმედი პატენტების დაქვემდებარებაში და არღვევს თუ არა ამით პატენტის მფლობელთა უფლებებს. გამოგონების საპატენტო სიწმინდეზე ექსპერტიზის ჩატარების წარმატების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მოცემული ქვეყნის ან ქვეყნების საპატენტო კანონმდებლობის დეტალური გაცნობა. გამოგონების საპატენტო-სიწმინდეზე ექსპერტიზა ტარდება მოქმედი საპატენტო ფონდით, ე. ი.

იმ პატენტებით, რომლებსაც მოქმედების ვადა არ გასვლიათ ან ძალა დაკარგული არა აქვთ.

ობიექტის საპატენტო სიწმინდეზე დასკვნის გამოტანა შესაძლებელია იმ ქვეყნების საპატენტო ფონდებით შემოწმების შედეგად, რომელთა მიმართ დგინდება საპატენტო სიწმინდე და ხდება შერჩეული პატენტების ანალიზი.

საპატენტო სიწმინდეზე ძიების ჩატარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი საკითხები:

- ძიების ობიექტის შერჩევა;
- ძიების მიზნისა და ამოცანების გაცნობა;
- ობიექტის ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა;
- ობიექტის დადებითი და უარყოფითი მხარეების დადგენა;
- იმ ქვეყნის კანონმდებლობის გაცნობა, სადაც ობიექტი შეიტანება;

— ობიექტის შესასწავლად ინფორმაციის წყაროების შერჩევა და გაცნობა;

- ობიექტის დაყოფა ძირითად და დამხმარე ელემენტებად;
- ობიექტისა და მისი ძირითადი ელემენტების კლასების დადგენა;

— მოძებნილი პატენტების დოკუმენტაციის ურთიერთშედარება და ანალიზი.

ჩატარებული სამუშაოს შედეგად სხვადასხვა ქვეყნისათვის დადგენილი წესით დგება ანგარიში საპატენტო გამოკვლევის შესახებ.

უნდა გვახსოვდეს, რომ პატენტების მოქმედების ვადა სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება სხვადასხვა იყოს, საშუალოდ კი იგი 15—20 წელია, მაგრამ მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს. ამასთან, პატენტების მოქმედების ვადის დაწყებაც სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება სხვადასხვა დროიდან იწყებოდეს. ასე მაგალითად, აშშ-ში პატენტის მოქმედების ვადა არის 17 წელი პატენტის გაცემის დღიდან, ხოლო საქართველოში — 20 წელი სავარაუდო გამოგონებაზე სწორად გაფორმებული განაცხადის „საქპატენტში“. შეტანის დღიდან.

გამოგონების საპატენტო სიწმინდეზე ექსპერტიზა ძირითადად ტარდება იმ ქვეყნების საპატენტო მასალებით, რომლებშიც ნავარაუდევია ტექნიკის ობიექტის ექსპორტი, სადაც იგეგმება შესაბამისი წარმოების ორგანიზაცია, გამოყენების ორგანიზაცია და ა. შ.

ტექნიკის განვითარების დონის დასადგენად ძიება საპატენტო ძიების ერთ-ერთი ძირითადი სახეა. იგი ტარდება იმისათვის, რათა მას გაეცნონ სპეციალისტები, რომლებიც წყვეტენ ახალ საკვლევ და საპროექტო ამოცანებს და ქმნიან აუცილებელ საპატენტო დოკუმენტაციას. ძიების ეს სახე, როგორც წესი, წარმოადგენს იმ კომპლექსური ძიების შემადგენელ ნაწილს, რომელიც შეიცავს წიგნების, ბროშურების, სტატიების, ნორმატიული ცნობარების, ფირმების გამოცემებისა და სხვა სპეციალური ცნობარების ინფორმაციას. ასეთი სახის ძიების დროს საპატენტო დოკუმენტაციის წილად მოდის საშუალოდ 30%.

„ტექნიკის განვითარების დონე“ — უმთავრესად საპატენტო-სალიცენზიო საქმის სპეციფიკურ ცნებას წარმოადგენს. მაგალითად, პრაქტიკულად შეიძლება უცნობი იყოს გამოგონებაზე განაცხადის შინაარსი, რადგან იგი გამოქვეყნებული არ იყო. პრესაში და არც სხვა ხერხით ყოფილა საყოველთაოდ ცნობილი, ამიტომ უცნობია გამოგონებაზე განაცხადის შინაარსი სპეციალისტებისათვის და მაინც იგი საპატენტო უფლებრივი მნიშვნელობით, როგორც ცნობილი ახსიათებს ტექნიკის განვითარების დონეს, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რომელიმე გამოგონების სიახლის შეფასების დროს.

იმის მოთხოვნა, რომ დავადგინოთ ტექნიკის განვითარების დონის არსებული აბსოლუტური საზღვრები, კონკრეტულ გადაწყვეტასთან პრაქტიკულად ხორციელდება მსოფლიოს თითქმის ყველა საპატენტო სისტემაში და გამომდინარეობს საპატენტო სამართლის მნიშვნელობიდან, რომელიც აპირობებს პატენტის გაცემის შესაძლებლობას მხოლოდ ახალ გამოგონებებზე. მართალია, პრაქტიკაში ძიების ჩატარების დროს ტექნიკის განვითარების დონის დასადგენად ეს მოთხოვნა არ შეიძლება აბსოლუტური გაგებით იყოს დატული, რადგან ტექნიკის განვითარებით დონე აქ ისაზღვრება ფარდობითი გაგების ზომით, რომელიც კონკრეტულად გადასაწყვეტი ტექნიკის პრობლემაზე გამოქვეყნებული დოკუმენტების კომპლექსს გულისხმობს. ტექნიკური განვითარების დონის დადგენის ძიების დროს საპატენტო აღწერილობებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის წყაროს, ვიდრე როგორც საპატენტო-სამართლებრივ წყაროს.

ტექნიკის განვითარების დონის განსაზღვრას ემსახურება საგნობ-

რივი ძიება, რომლის შედეგები შეიძლება გამოვიყენოთ არა მარტო ტექნიკის განვითარების დონის განსაზღვრისათვის ამა თუ იმ დარგში, არამედ სხვა სახის საპატენტო სამუშაოთა ჩასატარებლადაც.

საგნობრივი ძიების წარმატებით ჩატარების საწინდარია ორგანიზაციებსა და საწარმოებში, კოოპერატივებში, ფირმებში კარგად ორგანიზებული საცნობარო-საინფორმაციო ფონდები.

საგნობრივი ძიება ტარდება მაშინ, როცა ვადგენთ ტექნიკური განვითარების პერსპექტიულ გეგმას და ვსაზღვრავთ წლიურ დავალებას, უშუალოდ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაწყების წინ, ახალი წარმოების მომზადების დროს, გამოშვებული ნაწარმის ახალი გაუმჯობესებისას. და სხვ.

საგნობრივი ძიების ჩატარების დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკური განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენისას, როცა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო არსებული ეკონომიკური და საწარმოო შესაძლებლობანი, არამედ მსოფლიო ტექნიკის განვითარების მიმართულებანი ამა თუ იმ დარგში.

ზოგჯერ საკვლევ სამუშაოთა დაწყების წინ უკვე ჩატარებული ძიება ცხადყოფს ხოლმე, რომ ტექნიკის განვითარებამ სხვა ქვეყნებში ისეთ დონეს მიაღწია, როცა დღის წესრიგში დგება ახალი პრობლემები, რომლებიც ადრე დასმულ ამოცანის გადაწყვეტაზე უარის თქმას და გამოკვლევის უფრო მაღალ დონეზე ჩატარებას მოითხოვენ.

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაწყების წინ აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვაზე, წყდებოდა თუ არა ადრე ჩვენს ქვეყანაში ან მსოფლიოში კონკრეტული ამოცანა და თუ ვინმემ გადაწყვიტა, რა ხერხით. თუ არა, მაშინ როგორი ცნობები შეიძლება დაეხმაროს მის გადაწყვეტას. საგნობრივი ძიება ინფორმაციას გვაძლევს მოცემული ტექნიკის დარგში მომუშავე სხვადასხვა ქვეყნის ფირმათა შესახებ, ახასიათებს ამ დარგის განვითარების პერსპექტივებს და ადრე დაცული ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ და ამით მიგვანიშნებს იმ გზებს, თუ როგორ წარემართოთ ჩვენი გამოკვლევები და გვერდი ავუაროთ მატერიალური და ფულადი რესურსების არარაციონალურ ხარჯვას.

საგნობრივი ძიება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ საპატენტო უფლებათა დარღვევის შესაძლებლობა სამრეწველო ნაწარმის ექსპორტის შემთხვევაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ნაწარმის

დამზადებისას, აგრეთვე გამოშვებულნი პროდუქციის შემდგომი გაუმჯობესებისას.

ძიების შედეგებით უპირველესად უნდა ისარგებლონ ხელმძღვანელმა და წამყვანმა მუშაკებმა, რომლებიც ტექნიკური განვითარების ან თემატური გეგმის შედგენის, მისი ხარისხისა და რეალური განხორციელებისათვის პასუხს აგებენ.

საგნობრივი საპატენტო ძიების ჩატარებისათვის საჭიროა ჯერ დადგინდეს, ანუ დაზუსტდეს, ძიების თემა. ეს სამუშაო სასურველია შესრულდეს დამკვეთთან — სპეციალისტთან ერთად, რადგან ძიების საგნის სიზუსტე არსებით ზემოქმედებას ახდენს ძიების ხარისხზე და ამცირებს მისი შესრულებისათვის აუცილებელ დროს. ძიების წამყვანმა სპეციალისტებმა ძიების საგნის კონკრეტულობისათვის არა მარტო უნდა გაითვალისწინოს საპატენტო კლასიფიკაციების სხვადასხვა საპატენტო კლასის საძიებელთა არსებობა, არამედ გამოიყენოს კიდევ ისინი, რადგან ამით საგრძნობლად გაადვილდება მომავალი სამუშაო.

საგნობრივი ძიების ჩასატარებლად ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნების შერჩევა; რომელთა მიხედვითაც უნდა ჩატარდეს ძიება. შეიძლება იყოს შემთხვევა, როცა ეკონომიკური მოსაზრებებით ზოგიერთი განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნის საპატენტო ფონდებში არ ჩატარდეს ძიება, რადგან ჩვენთვის საინტერესო დარგის ნესატყვისი საპატენტო დოკუმენტაცია ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში. შეიძლება სხვადასხვა იყო, ე. ი. ტექნიკის განვითარების მიმართულების დადგენას მოცემულ დარგში შევძლებთ ამ დარგის დიდად განვითარებული ქვეყნების პატენტებით.

საგნობრივი ძიების ჩატარებისას უნდა დადგინდეს ძიების პერიოდი. ცნობილია, რომ გამოგონება, რომელიც პატენტის საგანს შეადგენს, როგორც წესი, წინ უსწრებს წარმოების არსებულ დონეს და ხშირად გამოგონების განხორციელება და გასაღება მისი შექმნიდან რამდენიმე წლის შემდეგ ხდება. მაგალითად, ავტომობილების დისკოს მუხრატუები წარმოებაში მანამდე არ დაინერგა, სანამ ავტომობილების სიჩქარე და სიმძლავრე იმდენად არ გაიზარდა, რომ არსებული კონსტრუქციები უკვე უვარგისი გახდა. ეს დისკოს მუხრატუის გამოგონებიდან 10 წლის შემდეგ განხორციელდა. ტექნიკის ზოგიერთ დარგში, რომლებიც განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება, აუცილებელია ძიება და წყაროების შესწავლა დავიწყოთ შესაბამისი

დარგის წარმოქმნისთანავე და იშვიათ შემთხვევაში მსოფლიო ბაზარზე გატანილ ნაკეთობაზე გამოგონების განაცხადის შეტანის პერიოდინდან ან თუნდაც ამ ნაკეთობაზე საპატენტო უფლების წარმოქმნის პომენტიდან. რასაკვირველია, ზედმეტი არ იქნება უფრო აღრეული საპატენტო აღწერილობების გაცნობა, რადგან მათში ხშირად არის ხოლმე დაფარული ბევრი მნიშვნელოვანი ტექნიკური გადაწყვეტა, რომელთა რეალიზაცია შესაბამისი წინაპირობის უქონლობის გამო თავის დროზე არ მოხდა.

ძიების საგნის და პერიოდის განსაზღვრის შემდეგ უპირველეს ყოვლისა ვადგენთ გამოგონებათა კლასიფიკაციის იმ კლასებს, რომლებითაც შეიძლება ჩვენთვის საინტერესო იყოს საპატენტო აღწერილობები. ამისათვის საჭიროა გამოგონებათა კლასიფიკაციების ისეთი სისტემების ცოდნა, როგორცაა გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია და სხვადასხვა ქვეყნების კლასიფიკაციის ეროვნული სისტემები.

კლასის დადგენის შემდეგ უშუალოდ დეტალურად ვეცნობით ჩვენთვის საინტერესო დარგის გამოგონებათა აღწერილობებს ამ სამუშაოს და, საერთოდ, ყველა სახის საპატენტო ძიების ჩატარებისას უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის საპატენტო დოკუმენტაციის არსებობა. კერძოდ, უნდა გამოვიყენოთ გ. მიქალაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკის საპატენტო ფონდი. ამასთან ვასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ბიბლიოთეკის საპატენტო ფონდს დამუშავების, სისტემატიზაციისა და გამოყენების დადგენილი წესები აქვს. როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული აქ შექმნილია ზოგორც სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ყველა წყაროს მთავარი გენერალური კარტოთეკა, ისე ცალკე სისტემატური კარტოთეკები განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნების გამოგონებებზე და ნუმერაციული წიგნები ყველა ქვეყნის გამოგონებების შესახებ. ბიბლიოთეკის ფონდის დეტალური გაცნობა შეიძლება როგორც არსებული ბეჭდური მეგზურის დახმარებით, ისე უშუალოდ.

მიზანშეწონილია საგნობრივი ძიება დავიწყოთ ძველ საპატენტო აღწერილობათა გადათვალისწინებით, არჩეული დროის დიაპაზონში, ხოლო შემდეგ ვათვალისწინებთ უფრო ძველ აღწერილობებს. სამუშაოს ასეთი თანმიმდევრობა გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ჩვენი თემის შესატყვისი ტექნიკის დარგის განვითარებაზე. გამოგონებათა აღწერილობების გაცნობა და გადათვალისწინება არ უნდა იყოს ზერეულ,

მან უნდა შეგვიქმნას ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ რამდენად სწორად არის ჩვენ მიერ მიღებული გამოგონების კლასიფიკაციის ინდექსი და ამ კლასში ძიების მიზანშეწონილობა.

საპატენტო აღწერილობებისადმი ასეთი აქტიური მიდგომა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოგონებები, რომლებიც გადასათვალისწინებელ კლასს ეკუთვნის, ე. ი. გამოვავლინოთ ისეთი საპატენტო აღწერილობები, რომლებსაც სხვა პირობებში არავინ არ დაუწყებდა მოცემულ კლასში ძიებას. ამრიგად, ჩვენი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შეიძლება შევქმნათ გამოგონებათა კლასების კონკრეტული შეფასება. თუ მოცემულ საკითხზე ძალზე ბევრი საპატენტო აღწერილობები აღმოჩნდება, მიზანშეწონილია კიდევ ერთხელ მოვეთათბიროთ დამკვეთს და მისი თანხმობით დავაზუსტოთ ძიების თემა, თუ, რასაკვირველია, თემის ირგვლივ, მას უფრო საერთო ხასიათის მასალები არ სჭირდება.

ძიების ჩამტარებელი ორგანიზაციები და საწარმოები ფირმები, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტები მიღებული ფორმით ადგენენ ხოლმე სპეციალურ ანგარიშებს საპატენტო-საინფორმაციო გამოკვლევათა შედეგების შესახებ.

საპატენტო ფონდის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის ძიების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ტექნიკის განვითარების ძირითადი ტენდენციების პროგნოზირება, საზოგადოებრივ მეურნეობაში გამოგონებათა გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, საზღვარგარეთ დაპატენტება; საპატენტო ლიცენზიების ყიდვა-გაყიდვა და ა. შ.

საპატენტო ფონდის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის ჩატარება საშუალებას იძლევა შევისწავლოთ საგარეო ბაზრის მოთხოვნილებები, მსხიოლ ფირმებში საშუალოთა მიმდინარეობა და ა. შ. ეს არის ძირითადი საკითხები, რომელთა შესწავლის დროს საჭიროა ჩავატაროთ საპატენტო ფონდის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი.

გამოგონების აღწერილობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ნაგარაუდვეი გამოგონების არსი, მისი შინაარსი. თუმცა უფლებრივი მნიშვნელობის ძალით ამავე დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცნობებს გამოგონების ავტორის, პატენტის მფლობელის, განაცხადის შეტანის თარიღის, პატენტის გაცემის თარიღის შესახებ შეკრებილ ცნობებს და ა. შ. ამგვარი ინფორმაციის თითოეული ელემენტი შეიძლება დამოუკიდებელი ძიების ობიექტი გახდეს.

**VI. საქართველო სსკპ-ს საკანონმდებლო აქტივი და
სამრეწველო საქუთრების სახეების გაფორმებისა და
წარდგენის წესები:**

დებულება გამოგონების შესახებ; დებულება სამრეწველო ნიმუშების შესახებ; დებულება სასაქონლო ნიშნების შესახებ; გამოგონებაზე განაცხადის გაფორმების და წარდგენის წესი; სასარგებლო მოდელზე განაცხადის გაფორმებისა და წარდგენის წესი; სამრეწველო ნიმუშებზე განაცხადის გაფორმებისა და წარდგენის წესი; სასაქონლო ნიშანზე განაცხადის გაფორმებისა და წარდგენის წესი.

დებულება „გამოგონების შესახებ“

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველო იცავს უფლებას გამოგონებაზე და აღასტურებს მას პატენტით.

მუხლი 2. პატენტი გაიცემა გამოგონებაზე, რომელსაც ახასიათებს სიახლე, საგამომგონებლო დონე და სამრეწველო გამოყენებადობა.

მუხლი 3. გამოგონების სიახლედ ითვლება ის, რაც არ არის ცნობილი ტექნიკის არსებული დონისათვის.

მუხლი 4. გამოგონებას სიახლეს არ უკარგავს მისი არსის გახსნა განაცხადოს შეტანამდე არაუმეტეს ექვსი თვით ადრე, მათ შორის თუ იგი გამოვლინდა როგორც პირდაპირი ან არაპირდაპირი შედეგი:

ა) განმცხადებლის ან მისი წინამოსარგებლის მიმართ უფლების აშკარად ბოროტად გამოყენებისას.

ბ) განმცხადებლის ან მისი წინამოსარგებლის მიერ გამოგონების წარდგენისას ოფიციალურად მიჩნეულ გამოფენაზე.

მუხლი 5. ტექნიკის არსებული დონე გულისხმობს ყოველივე იმას,

რაც ცნობილი გახდა ფართო წრისათვის წერილობით ან ზეპირი აღწერის, ან საჯარო გამოყენების, ან სხვა გზით, პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღამდე.

გამოგონებას გააჩნია საგამომგონებლო დონე თუ იგი სპეციალისტისათვის ცხადად არ გამოზინდინარეობს ტექნიკის არსებულ დონიდან.

მუხლი 6. გამოგონების სამრეწველო გამოყენებადობა გულისხმობს მეურნეობრიობის ნებისმიერ სფეროში მისი მრავალჯერადი დამზადების ან სარგებლობის შესაძლებლობას.

მუხლი 7. გამოგონების ობიექტებია: მოწყობილობა, ხერხი, ნივთიერება, მიკროორგანიზმთა შტამი. ცხოველთა, მცენარეთა, ქსოვილთა კულტურა, აგრეთვე მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების ან მიკროორგანიზმთა შტამის ახალი დანიშნულებით გამოყენება.

მუხლი 8. მცენარეთა და ცხოველთა ახალი საშეღებელი ჯიშების სპარტლებრივი დაცვა რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო აქტით.

მუხლი 9. გამოგონებად არ ჩაითვლება:

- ა) აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია ან მათემატიკური მეთოდი;
- ბ) ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოები ან სხვა მხატვრული შემოქმედება კონსტრუირების შედეგი;
- გ) გამომთვლელი მანქანების ალგორითმი ან უშუალოდ პროგრამა;
- დ) მეურნეობრიობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდი;
- ე) აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა და ა. შ.
- ვ) ნაგებობათა, შენობათა, ტერიტორიათა დაგეგმარების პროექტი და სქემა;
- ზ) პირობითი ნიშანი, განრივი, წესი;
- თ) ინფორმაციის მიწოდების ხერხი.

მუხლი 10. პატენტი არ გაიცემა გამოგონებაზე, რომლის გამოქვეყნებამ ან გამოყენებამ შეიძლება არაპუმანური, ამორალური და ანტი-საზოგადოებრივი ქმედობა გამოიწვიოს ან წაახალისოს იგი.

თ ა ვ ი ი

პატენტი და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი

მუხლი 11. პატენტი ადასტურებს ავტორობას და პრიორიტეტს ანიჭებს პატენტის მფლობელს განსაკუთრებულ უფლებას გამოგო-

ნებაზე, რათა მისი გამოყენებით მიიღოს შემოსავალი ან მოგება, პატენტის მფლობელი განკარგავს გამოგონებას თავისი უზღვევლობისა და მუდმივობის მიზნით.

პატენტის მფლობელს შეუძლია გაყიდოს ან სხვა გზით გაასხვიოს პატენტი, დადგენილი წესით გასცეს გამოგონების გამოყენებაზე ლიცენზია. გასხვიების შეთანხმება დადგენილი წესით რეგისტრირდება „საპატენტო“ და მხოლოდ ამის შემდეგ იქნის იურიდიულ ძალას.

მუხლი 12. პატენტის უფლება ეკუთვნის გამოგონების ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს.

მუხლი 13. პატენტით დაცული გამოგონების გაუმჯობესებებს ან სრულყოფის შემთხვევაში ნებადართულია დამატებითი პატენტის მოთხოვნა.

მუხლი 14. გამოგონებას ავტორს შეუძლია პატენტის ვადის უფლება დაუთმოს სხვა პირს.

მუხლი 15. პატენტის მფლობელს უფლება აქვს გადასცეს პატენტი გამოგონებათა ეროვნულ ფონდს.

მუხლი 16. პატენტის მიღების უფლება, ისევე როგორც გაყენებული პატენტი, გადადის მემკვიდრეობით.

მუხლი 17. პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 20 წლით განაცხადის შეტანის დღიდან.

დამატებითი პატენტი მოქმედებს ძირითადი პატენტის მოქმედების ვადის დარჩენილ პერიოდში.

მუხლი 18. გამოგონების ავტორობა განუსხვიებელი უფლებაა. იგი უვადოდ არის დაცული.

მუხლი 19. სამსახურებრივ დავალების შესრულებასთან დაკავშირებით შექმნილ გამოგონებაზე პატენტი ეძლევა გამომგონებელს.

ამ შემთხვევაში იურიდიულ პირს აქვს:

ა) უფლება მართვით ლიცენზიაზე პრიორიტეტის დღიდან;

ბ) უპატენტის შესყიდვის უფლება პატენტის განსხვიებისას.

თუ პირი უშუალოდ საგამომგონებლო საქმიანობის შესასრულებლად იყო დაქირავებული, პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის იურიდიულ პირს. თავის მხრივ გამომგონებელს უფლება ეძლევა დამატებით მიიღოს გამოგონების გამოყენების ფარდის გასამრჯელო.

საპატენტო საქმიანობის ორგანოები

მუხლი 20. საქართველოში საპატენტო საქმიანობას ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშია საქართველოს საპატენტო სამსახური („საქპატენტი“).

მუხლი 21. საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტი და მის შემადგენლობაში არსებული „საქპატენტის“ სამსახური შემუშავებენ და ატარებენ საპატენტო საქმიანობის ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას.

მუხლი 22. „საქპატენტის“ უფლება-მოვალეობაში შედის:

— საპატენტო განაცხადის მიღება, ექსპერტიზის ჩატარება; პატენტის გაცემა, პატენტის მოქმედების შეწყვეტა, იძულებითი ლიცენზიების გაცემა, პატენტის ბათილად ცნობა, სახელმწიფო საპატენტო რეგისტრის წარმოება.

მუხლი 23. „საქპატენტის“ თანამშრომლად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე.

მუხლი 24. საქართველოს მოქალაქეთა საპატენტო უფლებათა და მის დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობას შეიძლება წარმართავდეს საპატენტო რწმუნებული.

მუხლი 25. საპატენტო რწმუნებულად შეიძლება აღიარებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე.

მუხლი 26. საპატენტო რწმუნებულის სტატუსის მინიჭება ხდება სათანადო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების შემდეგ.

მუხლი 27. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის აყალიბებს საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო.

მუხლი 28. საპატენტო რწმუნებულის სტატუსის აღიარება ხდება სათანადო დოკუმენტაციის გაცემით და რეგისტრაციაში გატარებით დადგენილი სარეგისტრაციო ბაჟის გადახდის შემდეგ.

მუხლი 29. „საქპატენტის“ თანამშრომლები — სპეციალისტები დებენ ფიქს, რომ ისინი კეთილსინდისიერად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას და საიდუმლოდ შეინახავენ იმ ინფორმაციას, რომელიც მათთვის „საქპატენტის“ სისტემაში მუშაობის პერიოდში გახდება ცნობილი.

მუხლი 30. „საქპატენტში“ მუშაობის პერიოდში და განთავისუფ-

ლებიდან ერთი წლის განმავლობაში მის თანამშრომლებს ეკრძალებათ გამოგონებაზე განაცხადის შეტანა როგორც პირადად ისე თანავეტორებთან ერთად.

მუხლი 31. განმცხადებლის, პატენტის მფლობელის ან სხვა პირს „საქპატენტთან“ დავის განსახილველად საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროში იქმნება სააპელაციო პალატა, რომელიც მუშაობს დადგენილი წესით დამტკიცებული დებულების თაჩანხმად.

სააპელაციო პალატის თავმჯდომარეა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარე.

მუხლი 32. საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტი ხელმძღვანელობს საპატენტო-საინფორმაციო საქმიანობას, საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებასთან ერთად მეთოდურ და სხვა დადგენილი სახის დახმარებას უწყვეს დადნტერესებულ პირებს საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობაში.

თ ა ვ ი V

გამოგონების გამოყენების წახალისება

მუხლი 33. იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის წარმოებაში გამოყენების შედეგად მიღებული მოგება ექვემდებარება შელავათიან დაბეგრას.

მუხლი 34. პირებს, რომლებსაც გამოგონების ან სასარგებლო მოდელის პატენტი აქვთ, უფლება ეძლევათ ამ გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ასათვისებლად საკირო რეკონსტრუქციის, ხელახალი აღჭურვის, მოდერნიზაციის ან ახალი საწარმოს (საწარმოო ერთეულის) ჩამოყალიბების მიზნით ისარგებლონ სახელმწიფო ბანკების შელავათიანი კრედიტით.

თ ა ვ ი V

საპატენტო უფლების გაფორმება

მუხლი 35. „საქპატენტში“ პატენტზე განაცხადის წარდგენა ხდება ქართულ ან ნებისმიერ სხვა ენაზე (ტექსტის შემდგომ ქართულად თარგმნის პირობით).

განმცხადებელი ვალდებულია თავისი ხარჯით შეასრულოს თარგმანი განაცხადის შეტანიდან ერთი თვის ვადაში და უზრუნველყოს განაცხადის ავთენტიკური ტექსტის მიწოდება.

მუხლი 38. განაცხადი პატენტის მიღებაზე „საქპატენტში“ შეაქვს ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს ან მის წარმომადგენელს (პატენტ-რწმუნებულს).

მუხლი 37. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი ან მოქალაქე, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია საქართველოს ტერიტორიაზე, ან მისი წარმომადგენელი „საქპატენტთან“ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქალაქე პატენტრწმუნებულის მეშვეობით.

მუხლი 38. საქართველოში მცხოვრებ პირს საზღვარგარეთ დაპატენტების უფლება ენიჭება საქართველოში პატენტის ასაღებად განაცხადის შეტანიდან არაუადრეს 2 თვის შემდეგ „საქპატენტის“ წერილობითი ნებართვის მიღების შემთხვევაში.

მუხლი 39. განაცხადი პატენტის მიღებაზე უნდა შეიცავდეს:

- ა) დადგენილი ფორმის საპატენტო განაცხადებას;
- ბ) გამოგონების აღწერილობას;
- გ) ერთი ან რამდენიმე მუხლიანი გამოგონების ფორმულას, რომელიც მთლიანად აღწერილობაზე იქნება დაფუძნებული;
- დ) ხანაზებს, თუკი ისინი აღწერილობისა და გამოგონების ფორმულის არსის ასახსნელად არის აუცილებელი;

ე) გამოგონების რეფერატს;

ვ) საგანაცხადო ბაჟის გადახდის დამადასტურებელ საბუთს.

ამ მუხლის „ე“ და „ვ“ პუნქტებში ჩამოთვლილი საბუთების წარდგენა შეიძლება განაცხადის „საქპატენტში“ შეტანის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში.

მუხლი 40. აღწერილობაში გამოგონება ისეთი სისრულით უნდა იყოს გაშუქებული, რომ მასზე დაყრდნობით სპეციალისტმა შეძლოს ამ გამოგონების განხორციელება.

მუხლი 41. გამოგონების განაცხადი მხოლოდ ერთ გამოგონებას უნდა ეხებოდეს. გამოგონების ერთიანობის დარღვევის შემთხვევაში დასაშვებია პირველი განაცხადის დაყოფა ორ ან მეტ დამოუკიდებელ განაცხადად.

დასაშვებია ერთ განაცხადში ორი ან მეტი დამოუკიდებელი გა-

მოგონებებს წარმოადგენა, თუკი მათ ერთი საგამომგონებლო, ანა-
აზრთიანობით და გამოგონების სხვადასხვა ობიექტებს წარმოადგენს.

მუხლი 42. გამოგონების საგანს განსაზღვრავს გამოგონებლის ფორ-
მულა, რომელიც ერთი ან რამდენიმე მუხლისაგან შედგება.

პრავალმუხლიანი გამოგონების ფორმულა უნდა შეიცავდეს ერთ
მთავარ და დამოუკიდებელ სხვა მუხლებს. თუ გამოგონების სხვადა-
სხვა ობიექტებია წარმოდგენილი, რომლებსაც ერთიანი საგამომგონ-
ებლო იდეა აერთიანებთ, მთავარი მუხლების ოდენობა ობიექტების
ოდენობის შესაბამისი უნდა იყოს.

მუხლი 43. თუ ერთი და იმავე გამოგონებაზე განაცხადები სხვა-
დასხვა დროს არის შესული, პატენტი პირველ განმცხადებელზე გა-
იცემა.

იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი განაცხადები ერთი და იმავე დღეს
არის შესული, პატენტი მხოლოდ განმცხადებელთა შეთანხმებრთ მი-
თითებულ პირებზე გაიცემა.

თუ შეთანხმების მიღწევა არ ხერხდება, გამოგონებაზე პატენტი
არ გაიცემა.

მუხლი 44. თუ გამოგონება ორი ან მეტი პირის ერთობლივი (თა-
ნაზიარო) შემოქმედებითი შრომის შედეგად არის შექმნილი ან თუ
ერთი და იგივე გამოგონების ავტორები ფაქტიურად ერთად და
ერთდროულად არ მუშაობდნენ, მათ შეაქვთ ერთობლივი საპატენტო
განაცხადი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და ეს ასე ხდება იმ
შემთხვევაშიც კი, როცა ყოველი მათგანის შემოქმედებითი წილი გა-
მოგონების შექმნაში განსხვავებულია.

თუ რომელიმე ავტორი უარს ამბობს ერთობლივი განაცხადის შე-
ტანაზე, განაცხადის წარდგენის უფლება დანაარჩენ ავტორებს ენი-
ჭებათ.

მუხლი 45. პრიორიტეტის უფლება განმცხადებელს ენიჭება დაი-
გენილი წესით სათანადოდ გაფორმებული განაცხადის შეტანის თარი-
ღისას.

პრიორიტეტის უფლება ნიშნავს იმას, რომ პირველ განმცხადე-
ბელს უპირატესობა აქვს მოგვიანებით განცხადებულ ნებისმიერ იდენ-
ტიურ, იგივეურად მსგავს გამოგონებაზე.

განმცხადებელმა, რომელსაც სურს ისარგებლოს კონვენციურ ან
საგამოფენო პრიორიტეტით, ამის შესახებ უნდა მიუთითოს „საქპა-
ტენტში“ განაცხადის შეტანისას. კონვენციური პრიორიტეტის დამ-

დასტურებული დოკუმენტები თან უნდა დაერთოს განაცხადს ან წარდგენილი იქნეს „საქპატენტში“ განაცხადის შეტანიდან სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 46. საკონვენციო პრიორიტეტის ფარგლებში ორი ან მეტი განაცხადის გაერთიანებისას დასაშვებია შენარჩუნებულ იქნეს ყოველი მათგანის ადრინდელი პრიორიტეტი. ასევე პირველი განაცხადის ორ ან მეტ ახალ განაცხადად დაყოფისას ყოველ მათგანს უნარჩუნდება პირვანდელი პრიორიტეტი.

მუხლი 47. განაცხადის თარიღად ის დღე ითვლება, როცა განმცხადებელმა იგი საქართველოს ფოსტას ჩააბარა ან უშუალოდ წარადგინა „საქპატენტში“

მუხლი 48. საიდუმლო გამოგონების პატენტის გაცემის წესს სპეციალური აქტი არეგულირებს

მუხლი 49. გამოგონებაზე პატენტის გაცემა ხდება პატენტუნარიანობაზე ექსპერტიზის ჩაუტარებლად.

ამასთან, „საქპატენტი“ ქართულ ენაზე შესრულებული განაცხადის შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში ამოწმებს: დაკულია თუ არა განაცხადის შეტანის დადგენილი ფორმა, ეხება თუ არა ის ერთ გამოგონებას და ხომ არ განეკუთვნება იგი ისეთ გამოგონებათა რიცხვს, რომელზეც პატენტი არ გაცემა.

ტექნიკის დონის განსაზღვრასათვის „საქპატენტი“ განაცხადის შეტანიდან ექვსი თვის ვადაში უზრუნველყოფს ძიების ჩატარებას, რის საფუძველზეც ადგენს დოკუმენტურ დასკვნას და მიანიშნებს ტექნიკის დონის იმ ელემენტებს, რომლებიც შეიძლება გაითვალისწინოს განმცხადებელმა გამოგონების პატენტუნარიანობის შესაფასებლად.

ამგვარი ძიების ჩასატარებლად განმცხადებელი იხდის დადგენილ ბაჟს.

მუხლი 50. დოკუმენტური დასკვნა დაუყოვნებლივ გადაეგზავნება განმცხადებელს და თუ „საქპატენტში“ ორი თვის ვადაში არ შემთვინდა მისი უარყო „საქპატენტს“ გამოაქვს გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე და აქვეყნებს მას ოფიციალურ ბიულეტენში.

მუხლი 51. გამოგონების რეფერატი (ნახაზებით) ქვეყნდება „საქპატენტის“ ოფიციალურ ბიულეტენში.

შედავება გამოგონების დაობაზე „საქპატენტში“ შეიძლება შევი-

დღეს რეფერატის ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 90 დღის განმავლობაში.

მუხლი 52. „საქპატენტი“ სრულ ექსპერტიზას ატარებს მევენახეობა-მელვინეობასთან, მეჩაიეობასთან, მეციტრუსეობასა და მეხილეობასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიურ და ტექნიკურ საშუალებებზე, აგრეთვე მანგანუმის მოპოვებისა და გადაამუშავების ტექნოლოგიებზე და ტექნიკურ საშუალებებზე.

მუხლი 53. განმცხადებელს უფლება აქვს „საქპატენტი“ დადგინილი წესით გაასაჩივროს ექსპერტიზის გადაწყვეტილება იმ საკითხთან დაკავშირებით, ექვემდებარება თუ არა მისი განაცხადი სრულ ექსპერტიზას.

მუხლი 54. ამ დადგენილების 52-ე მუხლში მითითებულ დარგებთან დაკავშირებულ გამოგონებაზე სრული ექსპერტიზა ტარდება განაცხადის შეტანის დღიდან 12 თვის განმავლობაში, ყველა იმ მოთხოვნის მიმართ, რომლებიც განპირობებენ გამოგონების პატენტუნარიანობას.

მუხლი 55. ექსპერტიზის მსვლელობაში ნებადართულია განაცხადში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც არ გააფართოებენ გამოგონების საგანს და არ შეცვლიან მის არსს.

მუხლი 56. გამოგონების აღიარება დასტურდება საპატენტო სიგელის გაცემით.

მუხლი 57. გაცემული საპატენტო სიგელი რეგისტრირდება სახელმწიფო საპატენტო რეესტრში.

საპატენტო რეესტრში შეიტანება შემდეგი აუცილებელი მონაცემები: პატენტის ნომერი, გამოგონების სახელწოდება, განაცხადის შეტანის თარიღი და მისი ნომერი, ავტორის და პატენტმფლობელის ვინაობა და მისამართი გამოგონებათა საერთაშორისო საკლასიფიკაციო ინდექსი.

ნებისმიერ პირს უფლება აქვს გაეცნოს საპატენტო რეესტრს და მოითხოვოს დამოწმებული ამონაწერი ამ რეესტრიდან.

მუხლი 58. „საქპატენტი“ აქვეყნებს ინფორმაციას გამოგონების შესახებ „საქართველოს სამრეწველო საქუთრების ოფიციალურ ბიულეტენში“. ამავ ბიულეტენში ქვეყნდება მონაცემები პატენტში ცვლილებების შეტანისა და პატენტის ბათილად ცნობის (გაუქმების) შესახებ, აგრეთვე ყველა სახის ლიცენზიის გაცემის შესახებ.

საპატენტო უფლებებით სარგებლობის ფარგლები

მუხლი 59. პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ ითვლება:

ა) კერძო წესით პირადი სარგებლობისათვის გამოგონების გამოყენება, როდესაც ამგვარი ქმედება არ ისახავს კომერციულ მიზნებს;

ბ) გამოგონების ექსპერიმენტში გამოყენება;

გ) გამოგონების რომელიმე ქვეყნის სატრანსპორტო საშუალებაზე გამოყენება, მათი საქართველოს ტერიტორიაზე შემთხვევით ან დროებითი ყოფნის დროს. თუ იგივე შეღავათები საქართველოსთვისაც გარანტირებულია შესაბამისი სახელმწიფოს მიერ.

ამ დროს გამოგონება უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ამ საზღვაო ხომალდზე, საფრენ ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე და არა მეწარმოებისათვის;

დ) გამოგონების გამოყენება სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ეპიდემიისა და სხვაგვარი საგანგებო ვითარების დროს.

მუხლი 60. თუ რომელიმე პირი გამოგონებაზე განაცხადის შეტანის თარიღისათვის კეთილსინდისიერად სარგებლობდა ამ გამოგონებით ან განახორციელა სამზადისი მისი გამოყენებისათვის, მას უფლება აქვს ინდივიდუალურად გამოიყენოს გამოგონება პატენტის მოქმედების მიუხედავად (წინათ სარგებლობის უფლება).

მუხლი 61. პატენტმფლობელის მიერ წლიური ბაჟის გადაუხდელობა იწვევს პატენტის ძალის დაკარგვას. არასაპატიო მიზეზის შემთხვევაში, თუკი ბაჟი გადახდილია 6 თვის ვადის გადაცილებით, პატენტი ძალაში რჩება დადგენილი საურავის გადახდის შემდეგ.

მუხლი 62. თუ პატენტმფლობელმა წლიური ბაჟი არ გადაიხადა საპატიო მიზეზით, მას უფლება აქვს აღძრას შუამდგომლობა პატენტის აღდგენის თაობაზე.

შუამდგომლობა აღიძვრება 6 თვის განმავლობაში დადგენილი საშეღავათო ვადის გასვლის შემდეგ და გადაწყვეტილება აღდგენის შესახებ საპატენტო რეესტრში შეიტანება.

მუხლი 63. თუ პატენტის აღდგენის შესახებ დადებითი გადაწყვეტილება გამოტანილი, პატენტიდან გამომდინარე უფლება იურიდიულ ძალას იძენს პატენტის აღდგენის თარიღიდან 6 თვის ვადაში

წლიური ბაჟისა და საურავის გადახდის შემდეგ. ამასთან, საურავი გადაუხდელი ბაჟის ოდენობის ტოლია.

მუხლი 64. ნებისმიერ პირს, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე პატენტის ძალის დაკარგვის თარიღისა და მისი აღდგენის თარიღის შუალედში კეთილსინდისიერად გამოიყენა ან განახორციელა სამზადისი იმ გამოგონების გამოყენებისათვის, რომელიც პატენტის საგანს შეადგენს, უფლება აქვს განაგრძოს მისი გამოყენება საკუთარი მეწარმეობისათვის. ამ უფლების გადაცემა დასაშვებია მხოლოდ იმ საწარმოსთან ერთად, რომელზეც იგი ვრცელდება (შემდგომ სარგებლობის უფლება).

მუხლი 65. პატენტი ძალას კარგავს „საქპატენტში“ პატენტმფლობელის მიერ საკუთარ პატენტზე წერილობით უარის განცხადების შემთხვევაში.

პატენტი ძალადაკარგულად ითვლება პატენტმფლობელის უარის ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნების თარიღიდან.

მუხლი 66. პატენტი უქმდება, თუკი დადგინდა, რომ:

ა) პატენტმფლობელი არ აღმოჩნდა გამოგონებელი, არც მისი უფლებამონაცვლე და მას არ ჰქონდა პატენტის მიღების სხვაგვარი უფლება;

ბ) პატენტის საგანი არ არის პატენტუნარიანი;

გ) პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ გამოგონებებს, რომლებზეც თანახმად ამ კანონისა, პატენტი არ გაიცემა;

დ) პატენტი არ აღწერს გამოგონებას ისეთი სისრულით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება;

ე) პატენტის საგანი სცდლდება იმ განაცხადის შინაარსის ფარგლებს, რომლის მიხედვითაც დადგინდა პრიორიტეტი.

მუხლი 67. პატენტის სრულ ან ნაწილობრივ ბათილებას უკუქცევითი ძალა აქვს პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღიდან.

მუხლი 68. პატენტმფლობელს უფლება აქვს გასცეს ლიცენზია სხვა პირზე, მათი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 69. ყოველი სალიცენზიო ხელშეკრულება „საქპატენტში“ რეგისტრირდება სათანადო ბაჟის გადახდის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში სალიცენზიო ხელშეკრულება დადებულად არ ითვლება.

მუხლი 70. იმ შემთხვევაში, თუ დაპატენტებული გამოგონება არასაკმარისად არის გამოყენებული ან არ იყენებენ საქართველოს ტერიტორიაზე, „საქპატენტს“ საპატენტო სიგელის გაცემის თარიღიდან

4 წლის შემდეგ უფლება აქვს ნებისმიერი პირის მოთხოვნით იძუ-
ლოს პატენტმფლობელი გასცეს ლიცენზია ამ პირზე (იძულებითი
ლიცენზია).

იძულებითი ლიცენზია გაიცემა მხოლოდ ფარდი ანაზღაურების
პირობით.

მუხლი 71. იძულებითი ლიცენზია გაიცემა თუ:

ა) მოთხოვნილება დაპატენტებული გამოგონების გამოყენებაზე
არ კმაყოფილდება;

ბ) გამოგონების გამოყენება ფერხდება და დამოკიდებულია ადრე
გაცემული მოქმედი პატენტისაგან;

გ) პატენტმფლობელი ნებაყოფლობით არ იძლევა ლიცენზიას სა-
მართლიანი პირობებით.

მუხლი 72. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გა-
მომდინარე. სახელმწიფოს უფლება აქვს მოახდინოს ნებისმიერი პა-
ტენტის იძულებითი ლიცენზირება.

მუხლი 78. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებიდან გა-
მომდინარე, იმ პატენტების მიმართ, რომლებიც გაცემულია ფარმა-
ცევტულ პრეპარატებზე, ამ პრეპარატების მიღების ხერხებზე, შე-
იძლება გამოყენებულ იქნეს ოფიციალური ლიცენზიების რეჟიმი. იმ
შემთხვევაში, თუ ეს პრეპარატი მომხმარებელს მიეწოდება არასაკმა-
რისად, ან დაბალი ხარისხისა ან გაუმართლებლად მაღალ ფასებში,
ხოლო მკურნალობის და დიაგნოსტიკის ხერხების, აგრეთვე საშუალე-
ბების გამოუყენებლობა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

ამ მუხლის პირველ ნაწილში და ამ დებულების 72-ე მუხლში აღ-
ნიშნული იძულებითი ლიცენზირების რეჟიმზე არ ვრცელდება ამავე
დებულების 70-ე მუხლში მითითებული ოთხწლიანი ვადა.

თ ა ვ ი VII

სასარგებლო მოდელი

მუხლი 74. პატენტი გაიცემა სასარგებლო მოდელზე, რომელიც
განეკუთვნება მოწყობილობათა, ნივთიერებათა და ხერხების გაუმჯო-
ბესებას და რომელსაც ახასიათებს სიახლე და სარგებლიანობა მისი
გამოყენებისას.

მუხლი 75. სასარგებლო მოდელზე განაცხადის წარდგენის წესი

და ფორმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში გასაჩივრების წესი იცვება, რაც გამოგონებისათვის.

მუხლი 76. პატენტის გაცემა სასარგებლო მოდელზე ხდება სიახლისა და პრაქტიკული სარგებლიანობის ექსპერტიზის ჩაუტარებლად.

მუხლი 77. სასარგებლო მოდელზე პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება განაცხადის შეტანის დღიდან 8 წლით.

მუხლი 78. „საქპატენტი“ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში უშვებს სასარგებლო მოდელის გამოგონებლად აღიარებას, თუ ამის მოთხოვნას განმცხადებელი. ამგვარი მოთხოვნა დასაშვებია პატენტის გაცემაზე გადაწყვეტილების გამოტანიდან არაუგვიანეს 2 წლისა.

მუხლი 79. იმ შემთხვევაში, თუ „საქპატენტი“ ჩათვლის, რომ სასარგებლო მოდელით განცხადებული ობიექტი განეკუთვნება სამრეწველო ნიმუშების ან გამოგონებათა ობიექტებს, განმცხადებელს ეძლევა განაცხადის გადაფორმების წინადადება. ამასთან პრიორიტეტი დგინდება პირველი ადრინდელი განაცხადის წარდგენის დღიდან.

მუხლი 80. გამოგონების პატენტის გაცემის დღიდან სამი წლის განმავლობაში დასაშვებია ამ გამოგონების სასარგებლო მოდელად გადაფორმება.

თავი VIII

საპატენტო დავები და სანქციები

მუხლი 81. დაეებს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებასთან პატენტის გაცემაზე უარის თქმის, იძულებითი ლიცენზიების გაცემის თაობაზე, აგრეთვე გაცემული პატენტის ნაწილობრივ ან მთლიანად ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და დაეებს საზღვარგარეთ დაპატენტებაზე ან საზღვარგარეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის გამოგონების გამოყენებაზე უფლების გადაცემის უარის თაობაზე, განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან არსებული საპატენტო სასამართლო.

ყველა სხვა დავა განიხილება საერთო სასამართლო წესით.

მუხლი 82. კონტრაფაქტორი, რომელიც არასანქცირებულად ამზადებს დაპატენტებულ გამოგონებას, იყენებს და შემოაქვს იგი სამოქალაქო ბრუნვაში ან სხვაგვარად სარგებლობს ამ გამოგონებით, პასუხს აძებს ფულადი ჯარიმით და ზიანის მიყენების ანაზღაურებით დამრღვევი მოქმედების აკრძალვით.

გამოგონების არსის განზრახ გამელაგნებას „საქპატენტში“ გამოქვეყნებამდე, აგრეთვე ავტორობის მითვისების, თანავტორობაზე იძულების და ამ მუხლის პირველ აღნიშნულ დარღვევათა მოქალაქის მიერ განზრახ ჩადენას შეიძლება მოყვეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მუხლი 83. არაკეთილსინდისიერი მოპასუხის მიმართ სარჩელის წარდგენაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება.

მუხლი 84. სასამართლოს უფლება აქვს დააკისროს კონტრაფაქტორს თავისი გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნება.

თ ა მ ი IX

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 85. უცხოელი მოქალაქენი, მოქალაქეობის არმქონე პირი და უცხოელი იურიდიული პირები სარგებლობენ ამ კანონით და საქართველოს მოქალაქეების და იურიდიული პირების თანაბრად, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამავე დებულებით და მოქმედო კანონმდებლობის სხვა აქტებით.

მუხლი 86. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით (შეთანხმებით) დადგენილია ამ დებულებისაგან განსხვავებული წესი, მაშინ მოქმედებს საერთაშორისო ხელშეკრულებით (შეთანხმებით) განსაზღვრული წესები.

დებულება სამრეწველო ნიმუშების შესახებ

მუხლი 1. საქართველო იცავს უფლებას სამრეწველო ნიმუშებზე და აღასტურებს მას პატენტით.

მუხლი 2. პატენტი სამრეწველო ნიმუშზე გაიცემა სამრეწველო წესით დამზადებული ნაკეთობის ახალ მხატვრულ-კონსტრუქციულ გარეგნულ სახეზე.

მუხლი 3. სამრეწველო ნიმუშს ახასიათებს სიახლე, თუ პატენტზე განაცხადის შეტანამდე ის არ იყო ცნობილი საქართველოს ან რომელიმე სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.

მუხლი 4. სამრეწველო ნიმუშის სიახლეს არ აბათილებს პატენტზე განაცხადის შეტანამდე 6 თვით ადრე მისი წარდგენა ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ გამოფენებზე, თუ მესამე პირის მიერ აშკა-

რად პოროტად იქნა გამოყენებული უფლება განმცხადებლის ან მის წინამოსარგებლის მიმართ.

მუხლი 5. სამრეწველო წესით დამზადება და გამოყენებადობა გულისხმობს ნიმუშის მრავალჯერად დამზადებასა და სარგებლობის შესაძლებლობას მეურნეობრიობის ნებისმიერ დარგში.

მუხლი 6. სამრეწველო ნიმუში უნდა ხასიათდებოდეს მხატვრული ღირსებით, რომელიც მიიღწევა სხვადასხვა კაზმულობით, ფორმების ორიგინალობით, წირების შეხამებით, ფერებში გადაწყვეტის თავისებურებებით. ყოველივე ეს არსებითად უნდა განასხვავებდეს სამრეწველო ნიმუშს უკვე ცნობილი ნიმუშისაგან და მისი მხატვრული ღირსებები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებები.

მუხლი 7. სამრეწველო ნიმუშზე პატენტი არ გაიცემა თუ ის ეხება:

ა) ობიექტებს, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ საზოგადოებრივ ინტერესს ან მორალს;

ბ) შენობათა ან სხვა უძრავ ნაგებობათა გარეგნულ სახეს. გარდა მცირე არქიტექტურული ფორმებისა;

გ) არამდგრად ფორმის მქონე ობიექტებს, როგორცაა თხევადი, აირისებრი, ფხვიერი და სხვა.

მუხლი 8. პატენტი ადასტურებს ავტორობას და პრიორიტეტს, ანიჭებს პატენტმფლობელს განსაკუთრებულ უფლებას გამოყენებაზე. მისი გამოყენებისაგან შემოსავლის ან მოგების მიღებაზე — პატენტის მფლობელი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს სამრეწველო ნიმუშს.

პატენტმფლობელს შეუძლია გაყიდოს ან სხვა გზით გაასხვისოს პატენტი. გასცეს ლიცენზია სამრეწველო ნიმუშის გამოყენებაზე დადგენილი წესით.

მუხლი 9. პატენტზე უფლება ეკუთვნის სამრეწველო ნიმუშის ავტორს (ავტორებს) ან მის უფლებამონაცვლეს.

მუხლი 10. სამრეწველო ნიმუში დაცულია პატენტით 10 წლის განმავლობაში დღიდან განაცხადის შეტანისა. დასაშვებია პატენტის თოქმედების ვადის გაგრძელება 5 წლით.

მუხლი 11. სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციაზე განაცხადი მიწოდება „საქპატენტს“.

ერთი განაცხადი სამრეწველო ნიმუშზე შეიძლება მოიცავდეს

ერთ ან მრავალ ნიმუშს იმ პირობით, რომ ერთდროულად განცხადებული ნიმუშები შეადგენს ნაკეთობების ერთგვაროვან სერიას და მიეკუთვნებიან სამრეწველო ნიმუშების ერთ კლასს საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით.

განაცხადი სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციაზე უნდა შეიცავდეს:

— ავტორის (ავტორების) ან მისი უფლებამონაცვლის სახელსა და გვარს. მისამართს. თუ განმცხადებელი წარმოდგენილია რწმუნებულთ, მასზე ნაჩვენები უნდა იქნეს იგივე მონაცემები;

— სამრეწველო ნიმუშების დასახელებას მისი განმასხვავებელი ნიშნების ჩვენებით;

— სამრეწველო წესით მიღებულ საკუთრივ ნიმუშს ან მის გამოსახულებას, რომელიც იძლევა გარეგანი სახის სრულ და დეტალურ წარმოდგენას.

— სამრეწველო ნიმუშის აღწერილობას, თუ ეს აუცილებელია ნიმუშის აღსაქმელად;

— ბაჟის გადახდის დამადასტურებელ საბუთს;

— შესაბამის მინდობილობას აუცილებლობის შემთხვევაში.

მუხლი 12. სამრეწველო ნიმუშზე პატენტი გაიცემა სრული ექსპერტიზის ჩატარების გარეშე.

განმცხადებელს „საქპატენტის“ მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე თავისი სურვილისამებრ შეუძლია ნებისმიერ დროს უკან გამოითხოვოს განაცხადი.

მუხლი 13. „საქპატენტი“ ამოწმებს განაცხადის ფორმალურ მოთხოვნებს და დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში ახდენს სამრეწველო ნიმუშის სახელმწიფო რეგისტრაციას. რეგისტრაციიდან სამი თვის შემდეგ ნიმუში ქვეყნდება „საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში“.

განმცხადებელის თხოვნით ბიულეტენში გამოქვეყნება შეიძლება გადაიდოს, მაგრამ არაუმეტეს 2 წლისა რეგისტრაციის დღიდან.

მუხლი 14. თუ სამრეწველო ნაკეთობის გარეგანი სახე ნაკარნახევია ობიექტის ფუნქციური აუცილებლობით და იგი უზრუნველყოფს სპეციალურ ეფექტიანობას ან გამოყენებაში მოხერხებულობას ან სხვა რაიმე სარგებლიანობას, მაშინ ის შეიძლება დაცულ იქნეს „გამოგონების შესახებ“ დებულების მიხედვით.

მუხლი 15. შესაძებ პირის მიერ სამრეწველო ნიმუშის გამოყენება

მასზე პატენტის, მფლობელის ან განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელის ნებართვის გარეშე ითვლება სამრეწველო ნიმუშზე უფლების დარღვევად.

მუხლი 16. კონტრაფაქტორი, რომელიც იყენებს ნიმუშს პატენტ-მფლობელის უფლების დარღვევით, ვალდებულია პატენტმფლობელის მოთხოვნით შეწყვიტოს სამრეწველო ნიმუშის გამოყენება და აანაზღაუროს ზარალი.

მუხლი 17. განაცხადის წარდგენის, საპატენტო უფლებების გაფორმების, პატენტიდან გამომდინარე უფლებების განსაზღვრისათვის და დავების განხილვისათვის გამოიყენება „გამოგონების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული ნორმები.

მუხლი 18. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით (შეთანხმებით) გათვალისწინებულია განსხვავებული წესები, ვიდრე ეს დადგენილია ამ დებულებით, მოქმედებს საერთაშორისო ხელშეკრულებით (შეთანხმებით) გათვალისწინებული წესები.

დეკლარაცია სასაქონლო ნიშნების შესახებ

თ ა ვ ი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სასაქონლო ნიშანი არის ორიგინალურად გაფორმებული განმასხვავებელი სიმბოლო, რომელიც განკუთვნილია ერთგვაროვანი საქონლის და მისი მწარმოებლის ინდივიდუალიზაციისათვის.

სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს სიტყვიერი, გამოსახულებითი, მოცულობითი ან მათი კომბინაციისაგან შემდგარი.

გარდა ამისა, სასაქონლო ნიშნად შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს ბგერითი ნიშანი.

სასაქონლო ნიშანში შეიძლება გამოყენებულ იქნეს საფირმო სახელწოდება.

სასაქონლო ნიშნის მსგავსად შეიძლება დაცულ იქნეს მომსახურების ნიშანი.

მუხლი 2. არ დაიშვება სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია:

ა) სიმბოლოსი, რომელიც შევიდა საყოველთაო ხმარებაში, როგორც გარკვეული სახის ნაწარმის გავრცობითი ცნება;

ბ) ისეთი ტერმინებისა, რომლებიც მიუთითებენ მხოლოდ საქონ-

ლის ან ნაწარმის თვისებებზე, რაოდენობაზე, წარმოების ან გასაღების ადგილსა და დროზე;

გ) სიმბოლოების, რომლებიც მოიცავენ ან შედგებიან ისეთი სახის მინიშნებებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ მომხმარებელი;

დ) სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის 6 და 6 მუხლებით დათქმული სიმბოლოებისა, რომლებიც ეხება საყოველთაოდ აღიარებულ სასაქონლო ნიშნებს ან ჰერალდიკურ გამოსახულებებს, სამრეწველო დროშებს, ემბლემებსა და ჰიმნებს, საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების დასახელებებს, ოფიციალურ საგარანტიო დამლებს.

ე) ისეთი სიმბოლოებისა, რომლებიც ბლალავენ ეროვნულ ღირსებას, აღიზიანებენ რელიგიურ გრძნობებს, ეწინააღმდეგებიან ჰუმანისტური მორალის ნორმებს, საზოგადოების ზნეობას და ტრადიციებს;

ვ) ცალკეულ პიროვნებათა სახელების, გვარების, ფსევდონიმების, ფაქსიმილებისა და პორტრეტების მათი თანხმობის გარეშე.

თ ა ვ ი II

სასაქონლო ნიშანზე უფლების გაფორმება

მუხლი 8. განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე შეიტანება „საქპატენტში“ იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ.

განაცხადი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

„საქპატენტთან“ საქმიანობა იურიდიულ პირს ან მოქალაქეს შეუძლია განახორციელოს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით:

მოქალაქე (უცხოელი იურიდიული პირი) — რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (ადგილსამყოფელი) საქართველოს ტერიტორიაზე. თავის საქმიანობას „საქპატენტთან“ წარმართავს საქართველოს მოქალაქე — პატენტრწმუნებულის მეშვეობით.

მუხლი 4. განაცხადი სასაქონლო ნიშანზე უნდა ეხებოდეს მხოლოდ ერთ სასაქონლო ნიშანს და უნდა შეიცავდეს:

ა) სასაქონლო ნიშნის აღწერილობას და ფოტოპირს;

ბ) დადგენილი ფორმის განაცხადს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე;

გ) კოლექტიური ნიშნის წესდებას, თუ განაცხადი შეტანილია კოლექტიურ ნიშანზე;

დ) საქონლის ან (და) მომსახურების ნუსხას, რომელთა ინდივიდუალიზაციისათვისაც სარეგისტრაციოდ წარდგენილია სასაქონლო ნიშანი, ამასთან, ის უნდა იყოს კლასიფიცირებული ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლის და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით;

ე) ბაჟის გადახდის დამადასტურებელ საბუთს;

ვ) წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, თუ განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის მიერ.

განაცხადის შეტანის თარიღად ითვლება ის დღე, როდესაც განმცხადებელმა იგი ჩააბარა საქართველოს ფოსტას ან უშუალოდ წარადგინა „საქპატენტში“.

მუხლი 5. პრიორიტეტი სასაქონლო ნიშანზე დგინდება „საქპატენტში“ განაცხადის შეტანის თარიღიდან.

თუ იდენტურ (ერთ) სასაქონლო ნიშანზე ერთსა და იმავე დღეს შევიდა რამდენიმე განაცხადი პრიორიტეტი დგინდება სასაქონლო ნიშნის ფაქტიური გამოყენების თარიღიდან.

მუხლი 6. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზაციები, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას. ვალდებული არიან სამოქალაქო ბრუნვაში შეიტანონ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქცია.

ახლადშექმნილ ორგანიზაციებს უფლება აქვთ შეიტანონ სამოქალაქო ბრუნვაში საქონელი სასაქონლო ნიშნის გარეშე ამ საქონლის გამოშვების დღიდან არაუმეტეს ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 7. სასაქონლო ნიშნის თაობაზე შეტანილ განაცხადზე „საქპატენტი“ ატარებს განაცხადის დადგენილი ფორმის შემოწმებას და ორიგინალობის ექსპერტიზას.

განაცხადის დადგენილი ფორმის შემოწმება ტარდება შეტანიდან ერთი თვის ვადაში და მის მსვლელობაში განიხილება დაცულია თუ არა განაცხადის შეტანის ფორმა, ეხება თუ არა ის ერთ სასაქონლო ნიშანს და ხომ არ განეკუთვნება განაცხადში წარმოდგენილ ისეთ სიმბოლოთა რიცხვს, რომელთა რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად დაუშვებელია.

მუხლი 8. განაცხადის წარდგენიდან ორი თვის განმავლობაში განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება განაცხადის განსახილველად

მიღებისა და პრიორიტეტის დადგენის შესახებ. ეს უკანასკნელი ეხება იმ შემთხვევას თუ განმცხადებელი არ ითხოვს კონვენციურ პრიორიტეტს.

- მუხლი 9. თუ გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშანზე შეტანილი განაცხადის თაობაზე დამოკიდებულია სხვა, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე განხილვის შედეგებზე, შედარებით გვიანდელი განაცხადის განხილვა შეიძლება შეჩერდეს უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანაზე.

მუხლი 10. ექსპერტიზა სასაქონლო ნიშნის ორიგინალობაზე ტარდება განაცხადის „საქპატენტი“ შეტანიდან 6 თვის ვადაში და მოწმდება სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშნის მსგავსება ან იდენტურობა უკვე მოქმედი ან საყოველთაოდ აღიარებული სასაქონლო ნიშნის მიმართ.

მუხლი 11. განმცხადებელს უფლება აქვს:

— მოითხოვოს საკუთარი განაცხადის განხილვის შეჩერება, მაგრამ არაუგვიანეს სამი თვით;

— ექსპერტიზის მსვლელობის პერიოდში გაეცნოს ექსპერტიზის ჩატარებისას გამოყენებულ მასალებს;

— განაცხადოს შეტანიდან არაუგვიანეს ორი თვისა, საკუთარი ინიციატივით შეასწოროს, შეავსოს ან დააზუსტოს განაცხადის მასალები, იმ პირობით, თუ აღნიშნული შესწორება არ შეიცვლის განაცხადის საგანს.

— ექსპერტიზის დამთავრებამდე გამოითხოვოს განაცხადი.

მუხლი 12. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ „საქპატენტი“ იღებს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 13. ექსპერტიზის გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო პალატაში აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანიდან ორი თვის განმავლობაში.

განმცხადებელს უფლება აქვს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა საჩივრის განხილვაში.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან არსებულ საპატენტო სასამართლოში. ერთი წლის განმავლობაში აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანიდან.

მუხლი 14. „საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას

აწარმოებს საქართველოს სასაქონლო ნიშნების და მომსახურების ნიშნების სახელმწიფო რეესტრში.

აღნიშნულ რეესტრში შეიტანება სასაქონლო ნიშანი, ცნობები მისი მფლობელის შესახებ. იმ საქონლისა და მომსახურების ნუსხა, რომელთათვისაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი, სხვა ინფორმაცია, რომელიც ეხება რეგისტრაციას.

რეესტრშივე შეიტანება ზემოთჩამოთვლილი ცნობების ყველა შემდგომი ცვლილება.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს დამოწმებული ამონაწერის გაცემა ამ რეესტრიდან.

მუხლი 15. სასაქონლო ნიშანზე გაიცემა მოწმობა, რომელიც ადასტურებს განაცხადში აღნიშნული სიმბოლოს რეგისტრაციას სასაქონლო ნიშნად, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტს, მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას აღნიშნულ სასაქონლო ნიშანზე და სამოქალაქო ბრუნვაში მარკირებული საქონლის ჩართვაზე.

სასაქონლო ნიშანი შეიძლება რეგისტრირებული იქნეს ერთი ან რამდენიმე პირის ან მათი გაერთიანების სახელზე.

მუხლი 16. მოწმობა სასაქონლო ნიშანზე მოქმედებს ათი წლის განმავლობაში დღიდან მისი რეგისტრაციისა. მისი მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი ათი წლის გაგრძელების ჭერადობის შეუზღუდავად.

მოწმობის მოქმედების ვადის გაგრძელება უნდა მოხდეს წინა რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა, ბაჟის გადახდის პირობით. ჩანაწერი სასაქონლო ნიშნის ვადის გაგრძელების შესახებ „საქპატენტის“ მიერ შეიტანება მოწმობაში.

დადგენილ ვადაში ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია წყდება.

მუხლი 17. სასაქონლო ნიშანი, რომლის რეგისტრაციის ვადა გაუვიდა, არ შეიძლება ხელმეორედ იქნეს რეგისტრირებული წინა რეგისტრაციის მოქმედების შეწყვეტის თარიღიდან სამი წლის გასვლამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მის რეგისტრაციას მოითხოვს ამ სასაქონლო ნიშნის ადრინდელი მფლობელი.

ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასაქონლო ნიშნის მფლობელმა უარი განაცხადა მასზე რეგისტრაციის ვადის გასვლამდე.

თუ ერთსა და იმავე სასაქონლო ნიშანზე შეტანილია რამდენიმე

განაცხადი სხვადასხვა პირის მიერ, რომელთაგან ერთ-ერთი ამ ნიშნის აღრიხნდელი მფლობელია, უპირატესი უფლება აღნიშნული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე ენიჭება ამ უკანასკნელს.

მუხლი 18. სასაქონლო ნიშნის რეგისტრში შეტანიდან არაუგვიანეს ცხრა თვეში „საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს „საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში“.

გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს სასაქონლო ნიშნის რეპროდუქციას, ცნობებს სასაქონლო ნიშნის მფლობელზე, იმ საქონლისა და იმ მომსახურების ნუსხას, რომლისთვისაც რეგისტრირებულია აღნიშნული ნიშანი.

ბიულეტენშივე ქვეყნდება: ცნობები რეგისტრაციის ვადის გაგრძელების, ნუსხის შევსების ან შემცირების, სასაქონლო ნიშნის ცალკეული ელემენტების არაარსებითი ცვლილების შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია სასაქონლო ნიშანთა დაკავშირებულ სხვა ცვლილებებზე.

ჩანაწერი აღნიშნულ ცვლილებათა შესახებ „საქპატენტის“ მიერ შეიტანება სიგელშიც.

მუხლი 10. განაცხადის შეტანის, ექსპერტიზის ჩატარების, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის, რეგისტრაციის ვადის გაგრძელების, აგრეთვე რეგისტრაციის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებულ სხვა იურიდიულად მნიშვნელოვანი მოქმედების ჩატარებისათვის გადახდილ უნდა იქნეს ბაჟი დადგენილი წესის მიხედვით.

ბაჟი უნდა გადაიხადოს განმცხადებელმა, სასაქონლო ნიშნის მფლობელმა ან ნებისმიერმა სხვა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა.

მუხლი 20. საქართველოში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს დადგენილი წესის დაცვით წარადგინოს რეგისტრაციაში გასატარებლად სასაქონლო ნიშანი სხვა სახელმწიფოში ან მოახდინოს მისი საერთაშორისო რეგისტრაცია.

მუხლი 21. საქართველოში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს სხვა ქვეყანაში გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი, თუნდაც რეგისტრირებულისაგან განსხვავებული, მაგრამ ისეთი ცალკეული ელემენტებით, რომლებიც ნიშნის განმასხვავებელ ორიგინალობას არ ცვლიან.

მუხლი 22. გაერთიანებას, რომელიც სარგებლობს იურიდიული პირის სტატუსით და აქვს კომერციული მიზანი, შეუძლია შეიტანოს განაცხადი კოლექტიურ ნიშანზე, რომელიც განკუთვნილია ამ გაერ-

თიანების წევრი საწარმოების საქონლის ან მომსახურების აღსანიშნავად. კოლექტიური ნიშანი შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს როგორც მთლიანად გაერთიანების, ისე ამ გაერთიანების წევრი, იურიდიული პირის სტატუსის მქონე ცალკეული საწარმოს სახელზე.

მუხლი 23. კოლექტიური ნიშნის წესდებაში მითითებული უნდა იქნეს გაერთიანების ან მისი უფლებამოსილი წევრის სახელწოდება, გაერთიანების მიზნები და ადგილმდებარეობა, იმ პირთა წრე, რომელთაც გააჩნიათ აღნიშნული კოლექტიური ნიშნით სარგებლობის უფლებამოსილება. მათი სამართლებრივი სტატუსის მითითებით. კოლექტიური ნიშნით აღსანიშნავი საქონლის ნუსხა და ერთიანი ხარისხობრივი მახასიათებლები, კოლექტიური ნიშნის გამოყენების, მის გამოყენებაზე კონტროლის პირობები, სანქციები კოლექტიური ნიშნის წესდების დარღვევისათვის.

მუხლი 24. გაერთიანების წევრ საწარმოებს უფლება აქვთ კოლექტიური ნიშანთან ერთად ისარგებლონ თავიანთი სასაქონლო ნიშნებითაც.

მუხლი 25. იმ შემთხვევაში თუ კოლექტიური ნიშანი გამოიყენება მისი წესდების დარღვევით, ნებისმიერ პირს ეძლევა უფლება შეიტანოს სააპელაციო პალატაში განცხადება კოლექტიური ნიშნის გაუქმების შესახებ.

სააპელაციო პალატა აღნიშნულ განცხადებას განიხილავს ორი თვის განმავლობაში.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება კოლექტიური ნიშნის გაუქმების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან არსებულ საპატენტო სასამართლოში.

თ ა ვ ი I I I

სასაქონლო ნიშნის გამოყენება

მუხლი 26. სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ითვლება მისი აღბეჭდვა იმ საქონელზე, რომელთა ინდივიდუალიზაციისთვისაც არის იგი რეგისტრირებული, მის შეფუთვაზე, აგრეთვე მისი ხმარება რეკლამაში, აბრეშზე, ბეჭდვით გამოცემებში, ექსპონატების დემონსტრირებისას გამოფენებსა და ბაზრობებზე, სასაქონლო ნიშნის გამოყენება ლიცენზიატის მიერ ლიცენზიის საფუძველზე.

მუხლი 27. სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს ნიშანთან

ერთად მოათავსოს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული გამაფრთხილებელი აღნიშვნა ან ორივე ერთად იმის შესახებ, რომ გამოყენებული სიმბოლო წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს.

თ ა ვ ი IV

სასაქონლო ნიშნის გაცემა

მუხლი 28. სასაქონლო ნიშანზე გაცემული მოწმობიდან გამომდინარე უფლებანი შეიძლება გადაეცეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ხელშეკრულების საფუძველზე.

სასაქონლო ნიშანი შეიძლება განსხვავდეს წარმოებისა და საწარმოს საიდუმლოების გადაცემის გარეშე.

სასაქონლო ნიშნის მფლობელი პირის გარდაცვალების შემთხვევაში სასაქონლო ნიშანი გადადის მემკვიდრეობით.

მუხლი 29. სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება მისი მფლობელის მიერ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს სალიცენზიო ხელშეკრულებით.

სალიცენზიო ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს პირობას იმის თაობაზე, რომ ლიცენზიატის საქონლის ხარისხი არ იქნება ლიცენზიარის საქონლის ხარისხზე ნაკლები. ამავე ხელშეკრულებაში შეიძლება აღნიშნულ იქნეს, რომ ლიცენზიარს ეძლევა უფლება განახორციელოს კონტრაქტი ზემოაღნიშნული პირობის შესრულებაზე.

ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნის დათმობის შესახებ, სალიცენზიო ხელშეკრულება ან დოკუმენტი სასაქონლო ნიშნის გადაცემის შესახებ, რეგისტრირდება „საქპატენტში“. აღნიშნული რეგისტრაციის გარეშე ხელშეკრულება ბათილია.

მუხლი 30. სასაქონლო ნიშნის მფლობელი საწარმოთა შერწყმის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნები გადაეცემა ახლად წარმოქმნილ იურიდიულ პირს.

მუხლი 31. სასაქონლო ნიშნის მფლობელი საწარმოს გაყოფის შემთხვევაში სასაქონლო ნიშანი გადაეცემა იმ იურიდიულ პირს, რომელსაც გადაეცემა სასაქონლო ნიშნით დატული საქონლის წარმოება.

იმ შემთხვევაში თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელმა შეინარჩუნა იმ საქონლის წარმოების ნაწილი, რომლისთვისაც რეგისტრირებულია

სასაქონლო ნიშანი, ორივე საწარმო-დამამზადებელი მათი შეთანხმებისამებრ შეიძლება ცნობილ იქნეს სასაქონლო ნიშნის თანამფლობელად.

მუხლი 82. სასაქონლო ნიშნის მფლობელი საწარმოს სხვა იურიდიულ პირთან შეერთების შემთხვევაში სასაქონლო ნიშანი გადადის ამ უკანასკნელზე.

მუხლი 83. არ დაიშვება კოლექტიური ნიშნისა და ამ ნიშანზე ლიცენზიის გადაცემა გარეშე პირზე.

თ ა ვ ი V

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება და ბათილად ცნობა

მუხლი 84. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად ან ნაწილობრივ თუ ეს მოხდა ამ კანონით დადგენილი წესების დარღვევით ან თუ პირს არ ჰქონდა სასაქონლო ნიშანზე განაცხადის შეტანის უფლება.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააპელაციო პალატაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე პროტესტის შეტანის უფლება აქვს ნებისმიერ პირს. აღნიშნული პროტესტი განხილულ უნდა იქნეს ექვსი თვის ვადაში. მხარეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ პროტესტის განხილვაში.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან არსებულ საპატენტო სასამართლოში.

მუხლი 85. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია წყდება ვადაზე ადრე:

— თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელმა შეიტანა შესაბამისი განცხადება „საქპატენტში“;

— თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელმა დროზე არ გადაიხადა დადგენილი ბაჟი;

— სასაქონლო ნიშნის მფლობელის საწარმოს ლიკვიდაციის ან მოქალაქის სიკვდილის შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშანი არ გადაეცა ახალ მფლობელს;

— თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ბათილად იქნა ცნობილი.

**არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, საპატენტო
დავები და სანქციები**

მუხლი 36. აკრძალულია რეგისტრაცია ან გამოყენება ისეთი სასაქონლო ნიშნისა, რომელიც ან რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ამიტაცია, მიბძვა ან განმეორება საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი ნიშნისა, და შეუძლია გამოიწვიოს აღრევა ამ ნიშანთან.

თუ აღნიშნული სასაქონლო ნიშანი უკვე რეგისტრირებულია, დაინტერესებულ პირს ან შესაბამის სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს მისი გაუქმება რეგისტრაციის თარიღიდან არაუგვიანეს სუთი წლისა.

მუხლი 37. აკრძალულია:

— სასაქონლო ნიშნის გამოყენება არაკეთილსინდისიერი კონკურენციისათვის, რომელსაც შეიძლება შედეგად მოყვეს კონკურენტის პროდუქციის, საწარმოს ან სამრეწველო და სავაჭრო საქმიანობის აღრევა.

მუხლი 38. არაკეთილსინდისიერი მოპასუხის მიმართ სარჩელის წარდგენაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება.

მუხლი 39. ნებისმიერ პროდუქციას, რომელზეც უკანონოდ არის გამოყენებული სასაქონლო ნიშანი ედება ყადაღა საქართველოში შემოტანის მცდელობის, მარკირების შემთხვევაში თუ ეს სასაქონლო ნიშანი დაცულია საქართველოს მიერ.

ყადაღის დადება შეიძლება მოითხოვოს პროკურორმა ან სხვა კომპეტენტურმა ორგანომ ან დაინტერესებულმა პირმა.

მუხლი 40. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებები რეგისტრაციაზე უარის თქმის, რეგისტრაციის შეწყვეტის, მისი ნაწილობრივ ან მთლიანად ბათილად ცნობის, აღდგენაზე უარის თქმის თაობაზე განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოსთან არსებულ საპატენტო სასამართლოში.

სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებული ყველა სხვა დავა განიხილება საერთო სასამართლო წესით.

მუხლი 41. სასაქონლო ნიშნის ან მისი მსგავსი აღნიშვნის გამოყენება ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, აგრეთვე სხვა სახის ქმედება სასაქონლო ნიშნის მიმართ, რომელიც ზიანს ან ზარალს აყენებს მის მფლობელს ან მომხმარებელს, იწვევს პასუხისმგებლობას სა-

მოქალაქო-სამართლებრივი ან სისხლის სამართლის წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 42. სასაქონლო ნიშნის მფლობელს, რომლის უფლებები დაირღვა შეუძლია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით წარუდგინოს სარჩელი მოპასუხეს და მოსთხოვოს:

— თავისი უფლებების დამრღვევი მოქმედების შეწყვეტა;

— მიყენებული ზარალის ანაზღაურება;

— ყველა იმ ეტიკეტის, ნახატის, ანაბეჭდის, პაკეტის, შეფუთვის და სარეკლამო განაცხადების განადგურება, რომელიც შეიცავს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს, ან მის ასლს, მიმსგავსებას, იმიტაციას და არღვევს სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებას.

სასაქონლო ნიშნის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს აგრეთვე ამ ნიშნის დასამზადებლად მომარჯვებელი პალატების, მატრიცების და, თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია, თვით ამ საქონლის განადგურებაც კი.

მუხლი 43. სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევის თაობაზე სასამართლოს შეუძლია დააკისროს დამრღვევ პირს საკუთარი ხარჯით სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნება.

მუხლი 44. პირი, რომელიც ამზადებს ყალბ სასაქონლო ნიშანს. უკანონოდ იყენებს, ითვისებს ან სარგებლობს სხვისი სასაქონლო ნიშნით, განზრახ შეაქვს სამოქალაქო ბრუნვაში კონტრაფაქტული ან მოტყუების გზით ნიშანდებული საქონელი, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის მიზნით ამზადებს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იმიტაციას ან იყენებს იმიტირებული ნიშანს, სასაქონლო ნიშნის გარეშე უშვებს საქონელს, აგრეთვე იყენებს თავის სასაქონლო ნიშანში ისეთ სიმბოლოებს, რომელთა სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია დაუშვებელია, ისჯება სასაქონლო ნიშნის და (ან) ნიშანდებული საქონლის კონფისკაციით, ჭარბით ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული გამასწორებელი სამუშაოებით ან თავისუფლების აღკვეთით.

თ ა ვ ი VII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 45. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირნი და უცხოელი იურიდიული პირები საქართველოს მოქალაქეების და იური-

დიული პირების თანაბრად სარგებლობენ ამ დებულებით და საქართველოს სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული უფლებებით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 46. ეს დებულება ვრცელდება ერთობლივ საწარმოებზე. საერთაშორისო გაერთიანებებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც შექმნილია საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს და უცხოეთის საწარმოების, ორგანიზაციების და ფირმების მონაწილეობით.

მუხლი 47. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ამ დებულების და საქართველოს სხვა, სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი, საკანონმდებლო აქტების დებულებისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესები.

გამოგონებაზე პატენტის გაცემის და წარღვევის წესი

1. ძირითადი ცნებები და დებულებები

1.1. გამოგონება, როგორც სამრეწველო საკუთრების ობიექტი.

გამოგონება სამრეწველო საკუთრების ობიექტია და საქართველოს „გამოგონების შესახებ“ დებულების თანახმად მასზე გაიცემა პატენტი.

გამოგონების ობიექტებია: მოწყობილობა (მანქანა-მექანიზმები, ინსტრუმენტები, ავტომატური და უწყვეტი ნაკადური ხაზები, ხელსაწყოები, იარაღები, ელ. სქემები და ა. შ.); ხერხი (ტექნოლოგიური პროცესები, ხერხები, ოპერაციები და ა. შ.); ნივთიერება (ნარეგები, ხსნარები, შენადნობები, ქიმიური ნაერთები და ა. შ.); მიკროორგანიზმის შტამი; მცენარეთა და ცხოველთა, ასოციაციები და ა. შ.; აგრეთვე ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, მიკროორგანიზმის შტამის ახალი დანიშნულებით გამოყენება.

საპატენტო დაცვა ვრცელდება ისეთ საჯარაუდო გამოგონებაზე, რომელიც პატენტუნარიანია, ე. ი. შესაძლებელია სიხალე, გააჩნდა საგამომგონებლო დონე და გამოყენებადობა.

გამოგონება ახალია თუ იგი არ არის ცნობილი ტექნიკის არსებული დონისათვის.

გამოგონებას აქვს საგამოგონებლო დონე, თუ ის სპეციალისტისათვის აშკარად არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან.

გამოგონება გამოყენებადია, თუ შესაძლებელია მისი გამოყენება ან სარგებლობა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში, აგრეთვე სახალხო მეურნეობაში ან საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა ნებისმიერ სფეროში.

ტექნიკის არსებული დონე განისაზღვრება ყველა სახის იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელითაც შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერმა პირმა გამოგონებაზე განაცხადის შეტანის თარიღამდე.

ინფორმაციის სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულად ათვლება, თუ ინფორმაციას შეიცავს ისეთი საინფორმაციო წყარო, რომელსაც თავისუფლად გაეცნობა ნებისმიერი დაინტერესებული პირი, ან თუ მოცემული პირისათვის ამ ინფორმაციის არსი შეიძლებოდა ეცნობებინათ კანონიერი გზით.

ასეთ საინფორმაციო წყაროებს განეკუთვნება კერძოდ:

— გამოქვეყნებული (გამოფენილი, აქცეპტირებული) გამოგონებაზე განაცხადის აღწერილობა — გამოქვეყნების თარიღიდან;

— გამოქვეყნებული გამოგონების აღწერილობა გამოქვეყნების თარიღიდან;

— სხვა გამოცემები: გამოქვეყნების თარიღიდან (თუ შეუძლებელია გამოცემის ზუსტი თარიღის დადგენა იმის გამო, რომ მითითებულია მხოლოდ გამოცემის თვე (ან წელი), გამოქვეყნების თარიღად ჩაითვლება თვის ბოლო დღე ან მითითებული წლის 31 დეკემბერი);

— სტატიების მონოგრაფიების და სხვა მასალების დეპონირებულ ხელნაწერები — მათი დეპონირების თარიღიდან;

— სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიშები, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განმარტებითი ჩანაწერების და სხვა საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური და საპროექტო დოკუმენტაცია სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოებში შესვლის თარიღიდან;

ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია (სახელმწიფო სტანდარტები, ტექნიკური პირობები და ა. შ.) შესაბამის უწყებაში მათი რეგისტრაციის თარიღიდან;

— დისერტაციის მასალები და ხელნაწერის უფლებით გამოცემუ-

ლი დისერტაციის ავტორეფერატები — ბიბლიოთეკებში შილების თა-
რილიდან:

საკონკურსოდ მიღებული სამუშაოები — მათი გასაცნობად გამო-
ტანის თარიღიდან, თუ ეს დადასტურებული ინფორმაციის წყარო-
ებია (პლაკატები, ნახატები, პროსპექტები, სქემები, ფოტოსურათები,
მედლები, ნაქეთობები და. ა. შ.) — მათი გასაცნობად გამოფენის თა-
რილიდან, თუ ეს დასტურდება ოფიციალური დოკუმენტით;

— ოფიციალურ გამოფენაზე მოთავსებული ექსპონატები გამოფე-
ნის დაწყების თარიღიდან;

— ზეპირი მოხსენებები, ლექციები, გამოსვლები — მოხსენების
გაკეთების, ლექციის წაკითხვის გამოსვლის თარიღიდან, თუ ეს და-
ფიქსირებულია ბგერების ჩამწერი აპარატით, სტენოგრაფიულად ამ
თარიღისათვის აღნიშნული ღონისძიების ჩასატარებლად მოქმედი წე-
სების შესაბამისად;

— რადიოს, ტელევიზიის, კინოს და სხვა მეშვეობით გადმოცემუ-
ლი ინფორმაცია — გადაცემის თარიღიდან, თუ ამ თარიღისათვის
მოქმედი წესების მიხედვით ეს დაფიქსირებულია შესაბამის ინფორ-
მაციის მატარებელზე;

— ინფორმაცია ტექნიკის ობიექტებზე, რომელიც გამოქვეყნდა
ამ ობიექტის ისეთი სამრეწველო პროცესში. გამოყენების შედეგად,
რაც დაკავშირებულია პროდუქციის დამზადებასა და ექსპლოატაციას-
თან, მათ შორის საექსპლოატაციოდ გაცემულ საცდელ ნიმუშში გა-
მოყენებასთან ან სამოქალაქო ბრუნვაში შემოტანასთან იმ თარიღი-
დან, რომელიც მითითებულია ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლო-
ბის დამადასტურებელ დოკუმენტში;

— „საქპატენტში“ შემოტანილი ყველა ის განაცხადი, რომლებსაც
მინიჭებული აქვთ პრიორიტეტი და საგანაცხადო რეგისტრაციის ნო-
მერი“.

1.2. გამოგონების ერთიანობის მოთხოვნა

განაცხადი უნდა ეხებოდეს ერთ გამოგონების ობიექტს ან ერთი-
ანი საგამომგონებლო იდეით გაერთიანებულ რამდენიმე გამოგონებე-
ბის ობიექტისაგან შემდგარ ჯგუფს.

გამოგონების ერთიანობის მოთხოვნა დაცულია, თუ:

განაცხადით მოითხოვება გამოგონების ერთი ობიექტის დაცვა,

ე. ი. ერთი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, მიკროორგანიზმის შტამის, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურების ან მათი ახალი დანიშნულებით გამოყენების დაცვა.

განაცხადში მოცემული გამოგონების ობიექტი წარმოადგენს ერთ ობიექტს, თუ იგი ხასიათდება სამართლებრივი დაცვის ფარგლების განმსაზღვრელი ყველა ისეთი აუცილებელი არსებითი ნიშნით, რომ ამ ობიექტის ყოველგვარი ცვლილება და დაზუსტება, რაც დაკავშირებულია განმცხადებლის მიერ გათვალისწინებულ კერძო შემთხვევების განხორციელებასთან ანდა გამოყენებასთან, ან მოითხოვს ერთ ან რამდენიმე ნიშნის შეცვლას, დამატებას ან ამოღებას.

განაცხადი შეიცავს გამოგონებათა ჩვენს, თუ:

— გამოგონების ობიექტებიდან ერთ-ერთი განკუთვნილია მეორის მიზალზე ან დასამზადებლად (მაგალითად, მოწყობილობა, ნივთიერება ან მიკროორგანიზმის შტამი და მათი მიღების (დამზადების) ხერხი;

— გამოგონების ობიექტებიდან ერთ-ერთი განკუთვნილია მეორის განხორციელებისათვის მაგალითად, ნივთიერება, მისი მიღების ხერხი და ხერხის განხორციელებისათვის საჭირო მოწყობილობა);

— გამოგონების ობიექტებიდან ერთ-ერთი განკუთვნილია მეორის (ან მეორეში) გამოსაყენებლად, (მაგალითად, ხერხი და ნივთიერება განკუთვნილი ხერხში გამოსაყენებლად);

— გამოგონების ობიექტები ერთი სახეობისაა, ერთნაირი დანიშნულებებისაა და ერთიდაიგივე გზით იძლევიან ტექნიკურ შედეგს.

1.8. გამოგონების პრიორიტეტი

1.3.1. გამოგონების პრიორიტეტის დადგენა

პრიორიტეტი გამოთვნილებაზე დგინდება „საქპატენტში“ სწორად გაფორმებული განაცხადის წარდგენის თარიღიდან. განაცხადის წარდგენის თარიღად ითვლება ის დღე, როცა განმცხადებელმა იგი საქართველოს ფოსტას ჩააბარა ან უშუალოდ წარადგინა „საქპატენტში“, თუ ამ განაცხადში იყო შემდეგი აუცილებელი დოკუმენტები: განცხადება პატენტის გაცემაზე, გამოგონების აღწერილობა, გამოგონების ფორმულა და აკრედიტული ნახაზები, სქემები და სხვა მასალები, როცა ეს აუცილებელია გამოგონების არსის ასახსნელად და მათზე არის მითითება აღწერილობაში.

1.3.2. გამოგონების კონვენციური პრიორიტეტი

გამოგონების კონვენციური პრიორიტეტი დგინდება პარიზის კონვენციის მონაწილე რომელიმე ქვეყანაში სწორად გაფორმებული პირველი განაცხადის წარდგენის თარიღიდან, თუ განაცხადი იმავე არსის მქონე გამოგონებაზე „საქპატენტში“ წარდგენილია ამ ქვეყნის შესაბამისი უწყების მიერ დადგენილი პრიორიტეტიდან 12 თვის განმავლობაში. განცხადება კონვენციური პრიორიტეტის უფლებებით სარგებლობის მოთხოვნით განმცხადებლის მიერ კეთდება განაცხადის წარდგენისთანავე ან განაცხადის წარდგენის თარიღიდან ორი თვის ვადაში.

კონვენციური განაცხადისა და პირველი განაცხადის (განაცხადების) იდენტურობის დასაბუთების მიზნით პირველი განაცხადის (განაცხადების) ასლი „საქპატენტს“ წარედგინება 3 თვის ვადაში კონვენციური განაცხადის განსახილველად მიღებიდან. ამასთან, ასლი სათანადო წესით უნდა იყოს დამოწმებული იმ უწყების მიერ, რომელშიც პირველად იყო წარდგენილი.

12-თვიანი ვადა ითვლება პირველი განაცხადის შეტანის დღის მომდევნო დღიდან. თუ ამ ვადის ბოლო დღე უქმეა, მაშინ ვადის ბოლო დღედ უახლოესი მომდევნო სამუშაო დღე ითვლება.

თუ აღნიშნულ ვადაში განმცხადებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (სტიქიური უბედურება და სხვა) კონვენციური განაცხადის შეტანა არ მოხერხდა, მაშინ შესაძლებელია ამ ვადის გაგრძელება მაგრამ არა უმეტეს 2 თვისა.

თუ იმ ვადის დასასრული, რომელიც თვეობით იანგარიშება, მოდის ისეთ თვეზე, რომელშიც პირველი განაცხადის შეტანის თარიღი არ არის, მაშინ ვადა იწურება ამ თვის ბოლო რიცხვში.

1.3.3. საგამოფენო პრიორიტეტი

თუ გამოგონების არსი გამჟღავნდა პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანაში მოწყობილ ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ გამოფენაზე ავტორის მიერ ექსპონატის წარდგენის შედეგად, - გამოგონების პრიორიტეტი დგინდება გამოფენის გახსნის - დღიდან. ამასთან განაცხადი „საქპატენტში“ შეტანილ უნდა იქნეს - გამოფენის - გახსნის დღიდან არაუგვიანეს 6 თვისა, ხოლო გამოფენის ადმინისტრაციის

ან ორგანიზატორების მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებს გამოფენაზე ექსპონირების თარიღს, წარედგინება განაცხადის შეტანიდან 3 თვის ვადაში.

1.3.4. გამოგონების პრიორიტეტი გამოცალკევებული განაცხადის მიხედვით

იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილ განაცხადში დარღვეულია გამოგონების ერთიანობის მოთხოვნა, დასაშვებია განმცხადებლის მიერ გამოცალკევებული განაცხადის წარდგენა.

მას შემდეგ, რაც დადგინდება და განმცხადებელს ეცნობება გამოგონების ერთიანობის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი, ადრინდელ განაცხადზე საქმის წარმოების გაგრძელების მიზნით განმცხადებელი ვალდებულია, მიუთითოს განაცხადში აღწერილ ობიექტებიდან რომელი დარჩეს განსახილველად და სურვილის შემთხვევაში გააფორმოს გამოცალკევებული განაცხადიც.

გამოცალკევებული განაცხადის წარდგენა ხდება იმ შემთხვევაშიც, როცა პირველი განაცხადის მასალებში - წარდგენილი გამოგონების გარდა აღწერილია სხვა სავარაუდო გამოგონებაც, რომელიც არ აისახა გამოგონების ფორმულაში და არ არის დარღვეული გამოგონების ერთიანობის მოთხოვნა.

თუ განაცხადი გამოცალკევებულია განმცხადებლის ინიციატივით, იგი უნდა იყოს წარდგენილი პირვანდელ განაცხადზე პატენტის გაცემამდე.

გამოცალკევებული განაცხადის მიხედვით გამოგონებაზე პრიორიტეტი დგინდება პირველი განაცხადის წარდგენის თარიღიდან, თუ გამოცალკევებულ განაცხადში წარმოდგენილი სავარაუდო გამოგონება მოცემულია პირველ განაცხადში აღწერილი მისი არსის შეუცვლელად.

1.3.5. გამოგონების პრიორიტეტის დადგენა განმცხადებლის ადრინდელი მისივე განაცხადის წარდგენის თარიღიდან

იმ შემთხვევაში, როცა ახალი განაცხადი იმეორებს იმავე ავტორის ადრინდელი განაცხადის ნაწილს, რომელშიც გადმოცემულია ახლად წარმოდგენილი გამოგონების არსი, ახალი განაცხადი უერთდება ადრინდელს და განიხილება ამ პირველი განაცხადის პრიორიტეტით,

თუ ახალი განაცხადი „საქპატენტში“ შემოვიდა პირველი განაცხადის შემოსვლის თარიღიდან არა უგვიანეს 12 თვისა. ამასთან აღრინდელი განაცხადი „საქპატენტიდან“ გატანილად ითვლება.

გამოგონების არსი გადმოცემულია აღრინდელ განაცხადში, თუ მასში (კერძოდ, გამოგონების ფორმულაში და ან აღწერილობაში, ნახაზებში ან აღწერილობის შესაბამის სხვა განმარტებით მასალებში) წარმოდგენილია გამოგონების ფორმულაში შესატანი ყველა ნიშანი. გამოგონების პრიორიტეტი შეიძლება დადგინდეს რამდენიმე აღრინდელ განაცხადზე დაყრდნობით ისე, რომ თითოეულისათვის დაცული იყოს აღნიშნული პირობები.

პრიორიტეტი განაცხადის შემოსვლის თარიღიდან არ შეიძლება დადგინდეს ისეთ გამოგონებაზე, რომელზეც უკვე მოითხოვებოდა აღრინდელი პრიორიტეტი (კონვენციური პრიორიტეტი, პრიორიტეტი აღრინდელი განაცხადის მიხედვით, პრიორიტეტი ადრე შემოსულ განაცხადზე დამატებითი მასალების შემოსვლის თარიღიდან).

1.3.6. გამოგონების პრიორიტეტი, რომელიც გაფორმებულია აღრინდელი განაცხადის დამატებითი მასალების საფუძველზე

იმ შემთხვევაში, როცა ახალი განაცხადი იმეორებს და ანვითარებს ავტორის მიერ ადრე წარდგენილ მისივე განაცხადის დამატებით მასალებს, რომლებიც ექსპერტიზის დროს არ იყო მიღებული მხედველობაში, ახალი განაცხადის პრიორიტეტი დგინდება აღრინდელ განაცხადზე ამ დამატებითი მასალების წარდგენის თარიღიდან, თუ დადასტურდა, რომ ისინი ცვლიან აღრინდელი განაცხადის არსს. ამასთან განაცხადი ასეთი პრიორიტეტის მოთხოვნით „საქპატენტს“ წარედგინება 3 თვის ვადაში იმ თარიღიდან, როცა განმცხადებელმა მიიღო შეტყობინება დამატებითი მასალების მხედველობაში მიღების შეუძლებლობის შესახებ.

1.3.7. გამოგონების პრიორიტეტის დადგენა სასარგებლო მოდელის მიხედვით

პრიორიტეტი გამოგონებაზე დგინდება იმავე ავტორის სასარგებლო მოდელის პრიორიტეტით, თუ ეს სავარაუდო გამოგონება წარდგენილ განაცხადში მოცემულია სასარგებლო მოდელის არსის აღ-

წერის შეუცვლელად. ამასთან, განაცხადი ასეთი მოთხოვნით „საქპატენტს“ წარედგინება სასარგებლო მოდელის პატენტი. დაცვაზე დადებითი გადაწყვეტილებიდან არაუგვიანეს 2 წლისა.

იმ შემთხვევაში, როცა გამოგონებაზე გადმოფორმებული განაცხადის წარდგენა ხდება „საქპატენტის“ მიერ ავტორისათვის შეთავაზებული წინადადების საფუძველზე, გამოგონების პრიორიტეტი დგინდება სასარგებლო მოდელზე განაცხადის წარდგენის დღიდან. ამასთან, გადმოფორმებული განაცხადი „საქპატენტს“ წარედგინება 12 თვის ვადაში სასარგებლო მოდელზე განაცხადის შემოტანის თარიღიდან.

1.4. ობიექტები, რომლებიც გამოგონებად არ ჩაითვლება

გამოგონებად არ ჩაითვლება:

- აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია ან მათემატიკური მეთოდი;
- ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოები ან სხვა მხატვრული შემოქმედება — კონსტრუირების შედეგი;
- ალგორითმული ან უშუალოდ პროგრამა გამოთვლით მანქანისათვის;
- აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა და ა. შ.;
- ნაგებობათა, შენობათა, ტერიტორიათა დაგეგმარების პროექტი და სქემა;
- პირობითი ნიშანი, განრიგი, წესი;
- ინფორმაციის წარმოდგენის ხერხი.
- სტრუქტურა, რომელიც ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს (მაგალითად, მანქანები, რომლებიც მუშაობენ ენერგოკვების გარეშე).

1.5. გამოგონება, რომელზედაც პატენტი არ ვაიცემა

პატენტი არ ვაიცემა გამოგონებაზე, რომლის გამოქვეყნებამ ან გამოყენებამ შეიძლება ამორალური ანტისაზოგადოებრივი ქმედობა გამოიწვიოს ან წაახალისოს იგი. მაგალითად, ისეთ გამოგონებაზე რომელიც ეხება ბირთვული გარდაქმნის შედეგად მიღებულ ნივთიერებებს, შეიარაღებებს, საზოგადოებრივ ჯანდაცვას და ა. შ.

2. გამოგონების ობიექტები და მათი დამახასიათებელი ნიშნები

2.1. მოწყობილობა

მოწყობილობა გამოგონების ისეთი ობიექტია, რომელიც წარმოადგენს ფუნქციურ და კონსტრუქციულ ერთიანობაში მყოფ კონსტრუქციულ ელემენტებს ან მათ ერთობლიობას.

მოწყობილობის დამახასიათებელი არსებითი ნიშნებია:

- ელემენტები, ე. ი. ნაწილები, კვანძები და სხვა;
- ელემენტებს შორის ურთიერთკავშირი;
- ელემენტების ურთიერთგანლაგება;
- ელემენტის (ელემენტების) მთლიანად მოწყობილობის ან მისი ნაწილის ფორმა, აგრეთვე ელემენტებს შორის კავშირის შესრულების ფორმა;
- ელემენტების ზომების თანაფარდობა;
- მასალა, რომლისაგანაც შესრულებულია ელემენტი, ელემენტების ჯგუფი ან და მთლიანად მოწყობილობა;
- გარემო, რომელიც ასრულებს ელემენტის (ელემენტების) ფუნქციას.

2.2. ხერხი

ხერხი, როგორც გამოგონების ობიექტი წარმოადგენს მატერიალურ ობიექტზე ურთიერთდაკავშირებულ მოქმედებათა შესრულების პროცესს (პროცესებს).

ხერხის დამახასიათებელი არსებითი ნიშნებია:

- ხერხები, ოპერაციები, პროცესები;
- ოპერაციების შესრულება, ე. ი. სხვადასხვა მიზანდასახული მოქმედება, რომელიც სრულდება განსაზღვრული მიზნისათვის;
- პროცესის, ხერხის, ოპერაციის შესრულების თანამიმდევრობა;
- პროცესის, ხერხის, ოპერაციის ჩატარების რეჟიმი ე. ი. კონკრეტული პარამეტრები, (ტემპერატურის, წნევის, კონცენტრაციის და ა. შ.);
- მასალების ურთიერთთანაფარდობა, რომელიც გამოიყენება ოპერაციის, ხერხის, პროცესის ჩატარების დროს;
- ელემენტების (აპარატების, მექანიზმების, მანქანების, საკონტროლო გამზომი ხელსაწყოების და სხვა) და მასალების (ნედლეულის,

ნახევარპროდუქტების და სხვა) გამოყენება პროცესის, ოპერაციის, ხერხის ჩატარების დროს.

2.8. ნ ი ვ თ ი ე რ ე ბ ა

ნივთიერება, როგორც გამოგონების ობიექტი, ახალი ხელოვნურად შექმნილი მატერიალური წარმონაქმნია, რომელიც წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ელემენტების, ინგრედიენტების კომპონენტების ერთობლიობას.

ნივთიერებებს, როგორც გამოგონების ობიექტებს განეკუთვნება ქიმიური ან არაქიმიური წესით მიღებული ნარევები, ხსნარები, შენადნობები, სხვაგვარი კომპოზიციები.

ნივთიერების დამახასიათებელი არსებითი ნიშნებია:

- ინგრედიენტები, კომპონენტები, ელემენტები;
- ინგრედიენტების, კომპონენტების, ელემენტების განლაგება;
- ცალკეული ინგრედიენტებისა და კომპონენტების ფორმები;
- ინგრედიენტებისა და კომპონენტების პროპორციული თანაფარდობა, მათ შორის ჩაოდენობრივი, სტრუქტურული, შემადგენლობითი;

— ინგრედიენტების, კომპონენტების თვისობრივი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები;

— ქიმიური სტრუქტურული ფორმულით გამოსახული ატომებს შორის კავშირი და მათი ურთიერთგანლაგება მოლეკულაში;

დაუდგენელი შემადგენლობის კომპოზიციების დასახასიათებლად გამოიყენება მათი ფიზიკურ-ქიმიური, ფიზიკური და უტილიტარული მახასიათებლები და ხერხის მისაღები განმახორციელებელი ნიშნები.

მაღალმოლეკულური შენაერთების ქიმიური შემადგენლობა და მაკრომოლეკულის ერთი რგოლის სტრუქტურა, მაკრომოლეკულის მთლიანობის სტრუქტურა (ხაზური, განშტოებული), რგოლების პერიოდულობა, მოლეკულური მასა, მოლეკულური მასის განაწილება, მოლეკულის გეომეტრია და სტერეომეტრია, მისი ბოლო გვერდითი ჯგუფები.

ბიოტექნოლოგიური ობიექტები, რომელთაც შეიქმნა

ვიხეივალ იანს გამოგონებად

1. დადგენილი სტრუქტურის მქონე ბიოტექნოლოგიური ნაერთები, საკვები არეები;

2. ტრადიციული მდკროორგანიზმები;

3. მცენარეთა და ცხოველთა კულტივირებული სომატური უჯრედები;

4. მაკროსკოპული სოკოების სომატური სტრუქტურები;

5. ბიოტექნოლოგიური ხერხები;

6. მაღალმოლეკულური ანტიბიოტიკები;

7. მოლეკულურ-გენეტიკური სტრუქტურები.

2.4. გამოგონების ობიექტი — მიკროორგანიზმის შტამი

ტერმინი — მიკროორგანიზმის შტამი წარმოადგენს უჯრედთა ერთობლიობას, რომელთაც აქვთ საერთო წარმოშობა და ხასიათდებიან ერთი და იგივე მდგრადი ნიშნებით.

მიკროორგანიზმთა შტამებს მიეკუთვნება მიკროორგანიზმთა ინდივიდუალური შტამები და მიკრო ორგანიზმთა კონსორციუმები.

ინდივიდუალურ შტამებს განეკუთვნება, ტრადიციულ მიკროორგანიზმთა შტამები (მიკროპლანზმები, ციანობაქტერიები, რიკეთსიები, ბაქტერიები, აქტინომიციტები, მიკროსკოპული სოკოები, საფუარები); ორგანიზმთა შტამები, რომლებიც ექვემდებარებიან მიკროორგანიზმების განმარტებას (უმარტივესნი, მიკროსკოპული წყალმცენარეები, მიკროსკოპული მღიერები, მიკროსკოპული უხერხემლო ცხოველები);

ადამიანის მიერ მიღებული მიკროორგანიზმთა შტამები (მაკროსკოპული წყალმცენარეების კულტივირებული სომატური უჯრედები, მაკროსკოპული სოკოების სომატური სტრუქტურები და ა. შ.);

ჰიბრიდულ მიკროორგანიზმთა შტამები;

რეკომბინანტული შტამები, რეკომბინანტული დეზოქსირიბონუკლეინმჟავა და რიბონუკლეინმჟავა დნმ (რნმ) მატარებლები;

უხერხემლო და ხერხემლიან ცხოველთა კულტივირებული სომატური უჯრედები (როგორც შტამები, ასევე ხაზები);

მიკროორგანიზმთა კონსორციუმებს მიეკუთვნებიან:

მიკროორგანიზმთა შერეული შტამები;

მიკროორგანიზმთა ასოციაციები.

მიკროორგანიზმთა ინდივიდუალური შტამების დამახასიათებელი ნიშნები: შტამის ნიშან-თვისებების აღწერა უნდა იძლეოდეს შტამის სახეობის დადგენის საშუალებას და აგრეთვე ახასიათებდეს მას, როგორც ახალ, ადრე უცნობ კულტურას. საჭიროა აღიწეროს:

კულტურულ-მორფოლოგიური დახასიათება კულტურის ასაკის და გამოზრდის ტემპერატურის მითითებით (ვეგეტატიური უჯრედების, მიკრომიცეტების და აქტინომიციტების ჰაეროვანი და სუბსტრატული მიცელიების დახასიათება);

ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური დახასიათება (თვისებითი მეტაბოლიტები, დამოკიდებულება ტემპერატურისადმი, ჟანგბადისადმი, PH, აზოტის და ნახშირბადის წყაროების გამოყენება);

კარიოლოგიური დახასიათება (მაკროწყალმცენარეების კულტივირებული უჯრედებისათვის), უჯრედების განაწილება ქრომოსომების რიცხვის მიხედვით;

მარკერული დახასიათება: გენეტიკური, იმუნოლოგიური, ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური;

ბიოტექნოლოგიური დახასიათება: სასარგებლო ნივთების დასახელება, რომელიც პროდუცირებულია შტამით ან შტამის სხვა დანიშნულება ხანგრძლივი კულტივირებისას სასარგებლო თვისების ჩვენებით;

პარტნიორ (მშობელთა) შტამთა დახასიათება, ჰიბრიდიზაციის პრინციპი (ჰიბრიდული მიკროორგანიზმთა შტამებისათვის).

კონტამინირების დახასიათებანი: (უმარტივესი სოკოები, საფუარები, ბაქტერიები, მიკროპლაზმები, ვირუსები).

მიკროორგანიზმთა კონსორციუმების დამახასიათებელი ნიშნები:

მიკროორგანიზმთა კონსორციუმების დასახასიათებლად დამატებით ინდივიდუალური შტამების ნიშნებად, გამოიყენება შემდეგი ნიშნები:

წარმოშობა, ადაპტაციის და სელექციის პირობები და ფაქტორი, ტაქსონომური შემადგენლობა, ინდივიდუალური კომპონენტების კულტურულ-მორფოლოგიური და ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური ნიშნები, კონსორციუმის ტიპი და ფიზიოლოგიური თავისებურებანი;

ტაქსონომიური შემადგენლობა, ახალი ინდივიდუალური შტამების დახასიათება.

გამოგონების ობიექტი — მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურები.

მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებს მიეკუთვნება მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურები და მათი კონსორციუმები.

მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების ინდივიდუალური კულტურები:

მცენარეთა და ცხოველთა კულტივირებული სომატური უჯრედები; რეკომბინატული დნმ (რნმ) მატარებლები მცენარეთა ან ცხოველთა რეკომბინატული კულტივირებული სომატური უჯრედები.

მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურების კონსორციუმებს მიეკუთვნებიან:

მცენარეთა ან ცხოველთა უჯრედების შერეული კულტურები;

მცენარეთა ან ცხოველთა უჯრედების კულტურების ასოციაციები.

მცენარეთა ან ცხოველთა უჯრედების კულტურების დაზიანებისათვის მიზეზები

მცენარეთა ან ცხოველთა უჯრედების ინდივიდუალური კულტურების დასახსიათებლად გამოიყენება შემდეგი ნიშნები:

კულტურათა საგვარეობო;

დათვისება რიცხვი პასპორტიზაციის მომენტისათვის;

გამოზრდის სტანდარტული პირობები;

კულტურული ნიშან-თვისებები;

ზრდის (კინეტიკური) დახასიათებები;

ციტოგენეტიკური დახასიათებები;

ციტოგენეტიკური (ქარდიოლოგიური) დახასიათებები.

მონაცემები სახეობების მიკუთვნების შესახებ (ცხოველთა უჯრედებისათვის):

მორფოგენეზის უნარი (მცენარეთა უჯრედების კულტურებისათვის);

ონკოგენურობა (ცხოველთა უჯრედების კულტურებისათვის) ჰიბრიდომების ჩათვლით.

მარკერული დახასიათებანი: ციტოგენეტიკური, ფიზიოლოგიური, იმუნოლოგიური ბიოქიმიური.

კონტამინირების დახასიათებანი (უმარტივესი სოკოები, საფუარები, ბაქტერიები, მიკროპლაზმები).

მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურების კონსორციუმების დასახსიათებლად დამატებით გამოიყენება შემდეგი ნიშნები:

წარმოება (გამოყოფის წყარო), აღამიანის და სელექციის ფაქტორები და პირობები, ტაქსონომიური შემადგენლობა, გაყოფადობა,

ჩიციხვი და მადომინირებული კომპონენტები, ინდივიდუალური კომპონენტების კულტურულ-მორფოლოგიური და ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური ნიშან-თვისებები, კონსორციუმის ტიპი და ფიზიოლოგიური თავისებურებანი ზოგადად.

ტაქსონომიური შემადგენლობა, შტამების ურთიერთშეფარდება და ურთიერთშემცველობა.

2.5. გამოყენება

ცნობილი ობიექტების ახალი დანიშნულებით გამოყენებას, როგორც გამოგონების ობიექტს განეკუთვნება ადრე ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, შტამის გამოყენება ახალი უჩვეულო დანიშნულებით, მისი აქამდე უცნობი ფუნქციის გამოვლენის საფუძველზე. ამასთან, ცნობილი ობიექტი არ უნდა განიცდიდეს რაიმე არსებით ცვლილებას.

ცნობილი ნივთიერება (ბუნებრივად ან ხელოვნურად მიღებული) პირველად გამოყენებული საზოგადოებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად უტოლდება ახალი დანიშნულებით გამოყენებას.

ადრე ცნობილი მოწყობილობის, ხერხის ნივთიერების, შტამის დასახასიათებლად გამოიყენება ამ ახალი დანიშნულების და უცნობი ფუნქციის აღწერა.

3. განაცხადი

3.1. განაცხადის წარდგენა

განაცხადი პატენტის მიღებაზე შეიტანება „საქპატენტში“:

— ავტორის მიერ, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი პატენტის მიღებისას უფლებას უთმობს გამოგონებათა ეროვნულ ფონდს;

— ავტორის უფლებამონაცვლის (მათ შორის იურიდიული პირის) მიერ, რომელსაც ავტორმა გადასცა განაცხადის წარდგენის უფლება.

განაცხადი ასევე შეიძლება წარდგენილი იქნეს საქართველოს პატენტრწმუნებულის ან წარმომადგენლის მეშვეობით.

საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს, ან მოქალაქეს, რო-

მელსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე არ გააჩნია, ან მათ წარმომადგენლებს „საქპატენტში“ განაცხადი შეაქვთ მხოლოდ პატენტრწმუნებულის მეშვეობით.

8.2. განაცხადის შედგენილობა

განაცხადი პატენტის მიღებაზე უნდა შეიცავდეს:

- განცხადებას დადგენილი ფორმით;
- გამოგონების აღწერილობას, რომელშიც ისეთი სისრულით არის გაუქებული გამოგონების ობიექტის არსი, რომ მასზე დაყრდნობით სპეციალისტმა შესძლოს ამ გამოგონების განხორციელება;
- გამოგონების ფორმულას, რომელიც მთლიანად აღწერილობაზე იქნება დაფუძნებული;
- — ნახაზებს და სხვა მასალებს, თუეი ისინი, აღწერილი გამოგონების არსის გასაგებად არის აუცილებელი;
- რეფერატს;

საგანაცხადო ბაჟის გადახდის დამადასტურებელ საბუთს (თუ განმცხადებელი პატენტის მიღების უფლებას უთმობს გამოგონებათა ეროვნულ ფონდს, ყველა სახის ბაჟი უნდა გადაიხადოს აღნიშნულმა ფონდმა).

თუ ბაჟი გადახდილია შეღავათების გამოყენებით, გადახდილი ბაჟის დამადასტურებელი საბუთის გარდა, განაცხადს დაერთვის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს შეღავათის საფუძველს.

8.3 დოკუმენტები, რომლებიც თან ერთვის განაცხადს

8.3.1. პატენტრწმუნებულის ან წარმომადგენლის წარდგენილი განაცხადი

განაცხადს, რომელსაც წარადგენს პატენტრწმუნებული, ან წარმომადგენელი თან ერთვის მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი უნდა იყოს გაფორმებული იმ ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, სადაც ხდება მისი შედგენა:

8.3.2. კონვენციური განაცხადი

კონვენციურ განაცხადს თან ერთვის პირველი განაცხადის კონვენციის წევრი ქვეყნის საპატენტო უწყების მიერ დამოწმებული ასლი.

3.3.3. მიკროორგანიზმის შტამზე, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებზე გამოგონების განაცხადი

მიკროორგანიზმის შტამზე გამოგონების განაცხადი

მიკროორგანიზმის შტამზე გამოგონების განაცხადს თან ერთვის შტამის დეპონირების დოკუმენტი. დეპონირება ხდება ოფიციალურ კოლექცია-დეპოზიტორიუმში. დეპონირების თარიღი წინ უსწრებს გამოგონების პრიორიტეტის თარიღს. დეპონირების მოწმობაში აღნიშნული უნდა იყოს:

- ა) კოლექციის დასახელება და მისამართი;
 - ბ) მადეპონირებელი ორგანიზაციის სახელწოდება და მისამართი;
 - გ) ამოსაცნობი ნიშანი, რომელიც ენიჭება შტამს დეპოზიტორის მიერ (ნომერი, სიმბოლო და ა. შ.);
 - დ) შტამის დეპონირების თარიღი;
 - ე) სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც ენიჭება კოლექციის დეპონირებულ შტამს;
 - ვ) ხელმოწერა იმ პირისა, რომელიც უფლებამოსილია წარადგინოს კოლექცია და გერბიანი ბეჭედი.
- მოწმობას თან ერთვის კოლექციის მიერ დამოწმებული, პასპორტის პირველი ეგზემპლარი, რომელიც ადასტურებს დეპოზიტორისაგან გადეპონირებულ კულტურასთან ერთად პასპორტის მიღებას.

3.4. განაცხადის ენა

საგანაცხადო დოკუმენტაციის გაფორმება და „საქპატენტში“ შეტანა ხდება ქართულ ან ნებისმიერ სხვა ენაზე. თუ საგანაცხადო დოკუმენტაცია სხვა ენაზეა წარმოდგენილი, ავტორის (განმცხადებლის) ან პატენტრწმუნებულის მიერ უნდა შესრულდეს მათი ქართული თარგმანი. ავტორი (განმცხადებელი) ან პატენტრწმუნებულს ვალდებულია უზრუნველყოს თარგმანის ავთენტიკურობა. მასთან განაცხადში შემავალი დადგენილი ფორმის განცხადების წარმოდგენა ხდება ქართულ ენაზე.

4. განაცხადის დოკუმენტაცია

4.1. ეგზემპლარების რაოდენობა

განცხადება პატენტის მიღებაზე, აღწერილობა, ფორმულა, რეჟერატი და ნახაზები „საქპატენტს“ წარუდგინება ორ ეგზემპლარად.

სხვა დამატებითი მასალები შეიტანება ერთ ეგზემპლარად.

4.2. განაცხადის თანდართული დოკუმენტაციის წარდგენის ვადები

საბუთი, რომელიც პატენტრწმუნებულის ან წარმომადგენლის უფლებამოსილებას ადასტურებს, უნდა იქნეს წარდგენილი განაცხადთან ერთად.

საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნისას პირველი განაცხადის ასლი შეიძლება წარდგენილ იქნეს სამი თვის ვადაში „საქპატენტში“ საკონვენციო განაცხადის შეტანის თარიღიდან.

საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნისას გამოფენის ადმინისტრაციის ან ორგანიზატორების მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებს სავარაუდო გამოგონების გამოფენაზე ექსპონირების თარიღს „საქპატენტს“ წარედგინება განაცხადის შეტანიდან 3 თვის ვადაში.

საგანაცხადო დოკუმენტაციის ქართული თარგმანი „საქპატენტში“ შეიტანება არაუგვიანეს ერთი თვისა იმავე გამოგონების პირველი (სხვა ენაზე შესრულებული) განაცხადის შემოსვლის თარიღიდან.

5. განცხადება პატენტის მიღებაზე

5.1. განცხადების შინაარსი

განცხადების წარდგენა პატენტის მიღებაზე ხდება ქართულად იმავე წესით (დანართში მოყვანილი ფორმით) და უნდა შეიცავდეს ყველა საჭირო მონაცემს.

განაცხადი განცხადების გარეშე განსახილველად არ მიიღება.

5.2. ხ ე ლ მ ო წ ე რ ა

განცხადებას ხელს აწერს ავტორი ან მისი უფლებამონაცვლე (ფიზიკური ან იურიდიული პირი), ან მათ მიერ უფლებამოსილი პირი.

თუ განცხადებას ხელს აწერს უფლებამოსილი პირი უნდა წარდგენილი იქნეს ამ უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი.

6. გამოგონების აღწერილობა

6.1. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა

გამოგონების აღწერილობა განკუთვნილია მისი განხორციელება-დობის საკმარისი სისრულით ასახსნელად. აღწერილობა ადასტურებს

გამოგნების სამართლებრივი დაცვის ფარგლებს, რომელიც ფორმულით არის განსაზღვრული.

6.2. აღწერილობის სტრუქტურა

აღწერილობა იწყება გამოგონების დასახელებით და მოქმედი საერთაშორისო კლასიფიკაციის საკლასიფიკაციო ინდექსის მითითებით, რომელსაც მიეკუთვნება სავარაუდო გამოგონება. აღწერილობა უნდა გაფორმდეს შემდეგი სტრუქტურული თანმიმდევრობით:

- ტექნიკის დარგი, რომელსაც მიეკუთვნება გამოგონება;
- ტექნიკის დონე;
- გამოგონების არსი;
- ნახაზების ფიგურების ნუსხა (თუ ისინი თან ერთვის განაცხადს);
- მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ გამოგონების განხორციელებადობას.

დაუშვებელია მთლიანად ან ნაწილობრივ გამოგონების აღწერილობის შეცვლა პირველწყაროზე მითითებით, რომელიც შეიცავს საჭირო მონაცემებს (ლიტერატურული პირველწყარო, სტანდარტი, გამოგონების აღწერილობა, სასარგებლო მოდელის აღწერილობა, მათ შორის ადრე წარდგენილი და ა. შ.).

6.3. გამოგონების დასახელება

გამოგონების დასახელება უნდა იყოს მისი დანიშნულების გამომხატველი შეესაბამებოდეს მის არსს და როგორც წესი, ეთანადებოდეს საერთაშორისო კლასიფიკაციის რუბრიკას. დასახელება გადმოიცემა არაუმეტეს 10 სიტყვისა.

განმცხადებლის განცხადების საფუძველზე დასაშვებია გამოგონების დასახელებას დაემატოს ავტორის სახელი ან სპეციალური სახელწოდება (რომელიც შეიძლება წარდგენილი იქნეს განაცხადის მსვლელობის ყველა ეტაპზე).

დასახელება მოიყვანება მხოლოდით რიცხვში.

გამონაკლისს წარმოადგენს:

- დასახელება, რომლებიც არ იხმარებიან მხოლოდით რიცხვში;
- იმ გამოგონების დასახელება, რომელიც მიეკუთვნება საერთო სტრუქტურული ფორმით მოცემულ ქიმიურ ნაერთებს.

ინდივიდუალური ნაერთის გამოგონების დასახელებაში შეაქვთ

მისი სახელწოდება ქიმიკში მიღებული ერთ-ერთი ნომენკლატურით — უმჯობესია ქიმიურ ნაერთთა საერთაშორისო ნომენკლატურა IUPAC, მისი კონკრეტული დანიშნულება, ხოლო ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებისათვის — ბიოლოგიური აქტივობის სახე.

მაღალმოლეკულური ნაერთების მიღების ხერხზე გამოგონების დასახელებაში უნდა იყოს ნაჩვენები სახელწოდება და დანიშნულება.

მითითებული ნივთიერების — ნარევის მიღების ხერხზე გამოგონების დასახელებაში უნდა იყოს ნაჩვენები სახელწოდება და დანიშნულება.

მითითებული ნივთიერების — ნარევის მიღების ხერხზე გამოგონების დასახელებაში მოყვანილი უნდა იყოს მისი დანიშნულება ან ამ ნივთიერების ბიოლოგიური თვისებები.

გამოგონების დასახელებაში, რომელიც განეკუთვნება მიკროორგანიზმთა შტამს, მიკროორგანიზმის გვარი, სახეობა, სახეობის ავტორის გვარი მოყვანილი უნდა იყოს ლათინურად. მითითებული უნდა იყოს აგრეთვე შტამის დანიშნულება. მიკროორგანიზმების სახელწოდება გადმოცემული უნდა იყოს საერთაშორისო ბაქტერიოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური ნომენკლატურათა შესაბამისად.

ახალი ორგანიზმთა დასახელება, წარმოდგენილი უნდა იყოს დაუსახელებელი სახეობის ფორმით — „Sp“ (Species) არარსებული დასახელების ჩვენებით ფრჩხილებში აღნიშვნით. მაგალითად, „ბაქტერიის შტამი“ *Bacillus Sp. (B. amulolyticum) „inv“* — ამილაზის პროდუცენტი.

გამოგონების დასახელება, რომელიც განეკუთვნება ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების „შტამის“ ახალი დანიშნულებით გამოყენებას, უნდა შედგეს იმავე წესით, რომელიც შესაბამის ობიექტის შემთხვევაში უნდა გამოხატავდეს ცნობილი ობიექტის ახალ დანიშნულებას.

დასახელება, რომელიც შეეხება „გამოგონებათა“ ჯგუფს და მისი ერთ-ერთი ობიექტი განკუთვნილია მეორის მისაღებად (დასამზადებლად), განსახორციელებლად ან მეორის გამოსაყენებლად, უნდა შეიცავდეს პირველი ობიექტის მთლიან და მეორის შემოკლებულ დასახელებას. იმ შემთხვევაში, თუ ერთი ობიექტი გამოყენებულია მეორეში, დასახელებაში მოყვანილი უნდა იყოს ჯგუფში შემავალი ობიექტების დასახელებანი. თუ განაცხადი შეეხება გამოგონების

ჯგუფს, რომელიც შეიცავს ერთი და იგივე ამოცანის გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტებს და გამოგონების დასახელებას;

6.4. აღწერილობის შინაარსის სტრუქტურა

6.4.1. ტექნიკის დარგი, რომელსაც განეკუთვნება გამოგონება

ამ ნაწილში მიუთითებენ იმ დარგს, რომელშიც შეიძლება გამოყენებული იქნეს გამოგონება, შემდგომი დაკონკრეტებით თუ ასეთი დარგი რამდენიმეა, მიუთითებენ იმ დარგს, რომელსაც ეძლევა უპირატესობა.

აღწერილობის ეს ნაწილი იწყება სიტყვებით „გამოგონება განეკუთვნება... დარგს და შეიძლება გამოყენებული იქნეს...“ (მაგალითად, გამოგონება განეკუთვნება სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის დარგს და შეიძლება გამოყენებული იქნეს ჩაის ყლორტების საკრეფად).

6.4.2. ტექნიკის დონე

გამოგონების აღწერილობის ამ ნაწილში უნდა იყოს მოყვანილი მონაცემები ანალოგებისა და პროტოტიპის შესახებ.

გამოგონების ანალოგია პრიორიტეტის თარიღამდე ცნობილი იგივე დანიშნულების ობიექტი, რომლის არსებითი ნიშნების ერთობლიობა მსგავსია სავარაუდო გამოგონების არსებითი ნიშნების ერთობლიობისა.

პროტოტიპი ეს სავარაუდო გამოგონების ისეთი ანალოგია, რომელიც ყველაზე უფრო ახლოა მასთან თავისი ნიშნების ერთობლიობით.

ანალოგების გამოვლენის მიზნით გამოიყენება ინფორმაციის ის საშუალებები, რომლებიც ჩამოთვლილია 1 ნაწილში „ძირითადი ცნებები და დებულებები“.

ანალოგებისა და პროტოტიპის მითითებისას მოჰყავთ თითოეული მათგანის საინფორმაციო წყაროების ბიბლიოგრაფიული მონაცემები.

აქვე უნდა იყოს მოყვანილი ანალოგების ნიშნები იმ ნიშანთა მითითებით, რომლებიც ემთხვევა გამოგონების ობიექტის არსებით ნიშნებს და იმ მიზეზთა ჩამონათვალი, რომელთა გამო შეუძლებელია სასურველი ტექნიკური შედეგის მიღწევა.

თუ ანალოგი რამდენიმეა, მაშინ პროტოტიპი აღიწერება ყველაზე ბოლოს.

თუ გამოგონება ეხება კონკრეტული დანიშნულების ან ბიოლოგიური აქტივობის თვისებების მქონე უცნობი შემადგენლობის ნარევის ნიღბის ხერხს, მაშინ პროტოტიპად უნდა შეიჩაჩეს იმავე დანიშნულების ან იგივე ბიოლოგიური აქტივობის თვისებების მქონე ნარევის მიღების ხერხი.

თუ გამოგონება ეხება ახალი ინდივიდუალური შენაერთის, მათ შორის მალაღმოდველურისა და გენური ინჟინერიის ობიექტის მიღების ხერხს, მაშინ უნდა აღიწეროს გამოგონების სტრუქტურული ანალოგის მიღების ცნობილი ხერხი.

თუ გამოგონება ეხება მიკროორგანიზმთა შტამს, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებს — ნივთიერებების პროდუცენტს, მაშინ პროტოტიპის დახასიათებისას დამატებით მოყვანილი უნდა იყოს ნივთიერების არეში გასვლის მონაცემები, აქტივობის დონე (პროდუქტიულობა) და მისი განსაზღვრის მეთოდი (ტესტირება).

თუ გამოგონება ეხება ადრე ცნობილი მოწყობილობის ხერხს, ნივთიერების შტამის ახალი უჩვეულო დანიშნულებით გამოყენებას, მაშინ მის ანალოგებს მიაკუთვნებენ იმავე დანიშნულებას მოწყობილობებს, ხერხებს, ნივთიერებებს და შტამებს.

თუ აღწერილობაში მოცემულია გამოგონების ჯგუფი, ანალოგები და პროტოტიპი თითოეული გამოგონებისათვის ცალ-ცალკე უნდა იყოს მოყვანილი.

ყოველი ანალოგის და მათ შორის პროტოტიპის აღწერის შემდეგ მოყვანილი უნდა იყოს მოსაზრებები, რომელთა გამოც შეუძლებელია სავარაუდო გამოგონებით ნაგულისხმევი ტექნიკური შედეგის მიღწევა.

6.4.3. გამოგონების არსი

6.4.3.1. გამოგონების არსი და არსებითი ნიშნები

გამოგონების არსი გამოსახება იმ არსებით ნიშანთა ერთობლიობით, რომელთაგან თითოეული მათგანი აუცილებელია, ხოლო ყველა ერთად — საკმარისი გამოგონების ტექნიკური შედეგის უზრუნველსაყოფად.

6.4.3.2. მონაცემები, რომლებიც ხსნის გამოგონების არსს

ნაწილში „გამოგონების არსი“ დაწვრილებით უნდა წარმოჩინდეს ამოცანა, რომლის გადასაჭრელადაც მიმართულია გამოგონება და

ის ტექნიკური შედეგი, რომელიც ამ გამოგონების განხორციელებით მიიღწევა.

ამ ნაწილში აღიწერება გამოგონების დამახასიათებელი ყველა არსებითი ნიშანი, იმ ნიშანთა გამოყოფით, რომლებიც განასხვავებენ გამოგონებას პროტოტიპისაგან. თავის მხრივ, განმასხვავებელი ნიშნები უნდა დაიყოს ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში ერთიანდება ნიშნები, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია ყველა შესაძლო შემთხვევაში გამოგონების ობიექტის საპატენტო დაცვის ფარგლების დასადგენად. მეორეში კი შედის ნიშნები, რომლებიც გამოგონებას ახასიათებს მხოლოდ კერძო შემთხვევებში, მისი შესრულების კონკრეტული ფორმების ან განსაკუთრებულ პირობებში მისი გამოყენების თვალსაზრისით.

ნაჩვენები უნდა იყოს გამოგონების არსებით ნიშანთა ერთობლიობასა და სავარაუდო ტექნიკურ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

გამოგონების არსის ახსნისას მიზანშეწონილია განმცხადებლისათვის ცნობილი იმ სხვა ტექნიკური შედეგების მითითებაც, რომელთა მიღწევა ამ გამოგონებითაა შესაძლებელი, მათ შორის კერძო შემთხვევებში კონკრეტულ ფორმებში მისი შესრულებისას ან განსაკუთრებულ პირობებში მისი გამოყენებისას.

ტექნიკურ შედეგად, კერძოდ, შეიძლება ჩაითვალოს: ხახუნის კოეფიციენტის გაზრდა ან შემცირება, ვიბრაციის შემცირება, კონსტრუქციის გამარტივება, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება, წარმადობის გაზრდა, ფუნქციური შესაძლებლობის გაფართოება, ტექნოლოგიური პროცესის გამარტივება ან გაუმჯობესება, სამკურნალო პრეპარატის მოქმედების ეფექტურობის გაზრდა, სიმსივნის ზრდის ინტენსივობის შემცირება და.ა. შ.

გამოგონებათა ჯგუფისათვის, ტექნიკური შედეგი მოყავთ თითოეული გამოგონებისათვის ცალ-ცალკე.

მიკროორგანიზმის შტამის, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურის აღწერისას დამატებით მიეთითება ნიშნები, რომლებითაც იგი განსხვავდება საწყისისაგან ან ახლომონათესავე შტამებისაგან.

თუ გამოგონება ეხება ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, შტამის ახალი დანიშნულებით გამოყენებას, მაშინ უნდა გადმოიყოს ცნობილი ობიექტის დახასიათება (იმ ინფორმაციის წყაროს

ბიბლიოგრაფიული მონაცემების მითითებით, რომელშიც აღწერილია იგი). აღწეროს მონაცემები, მისი ცნობილი და ახალი დანიშნულების შესახებ და ის თვისებები, რომლებიც განაპირობებენ ახალი დანიშნულებით მისი გამოყენების შესაძლებლობას.

0.4.4. ფიგურის ნახაზების ნუსხა

ამ ნაწილში, ფიგურების ნუსხის გარდა, მოყვანილი უნდა იყოს თითოეული მათგანის განმარტება.

0.4.5. გამოგონების განხორციელებადობის დამადასტურებელი მონაცემები

0.4.5.1. საერთო დებულება

აღწერილობის ამ ნაწილში უნდა იყოს ნაჩვენები ტექნიკური შედეგის მიღწევის შესაძლებლობა.

ისეთი გამოგონების განხორციელებადობა, რომლის არსიც ზოგად ცნებებში გამოხატული ნიშნებითაა მოცემული (კერძოდ ფუნქციური განზოგადების დონეზე), დასტურდება ან უშუალოდ განაცხადოს მასალებში, ასეთი ნიშნების განხორციელებისათვის საჭირო საშუალების ზოგად ცნებებში აღწერით, ან მითითებით იმაზე, რომ ასეთი საშუალებები და მეთოდები საყოველთაოდ არის ცნობილი.

თუ გამოგონების აღწერისას გამოყენებულია რაიმე სიდიდის მნიშვნელობათა ინტერვალით გამოსახული რაოდენობრივი მახასიათებლები, ტექნიკური შედეგის მიღწევის შესაძლებლობა უნდა იყოს ნაჩვენები ამ ინტერვალის ფარგლებში. ამასთან, ობიექტის სამართლებრივად დაცვის ფარგლების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით ინტერვალი უნდა შეიჩრეს ისე, რომ ამ სიდიდის ნებისმიერი ინტერვალის გარეთა მნიშვნელობებისათვის შეუძლებელი იყოს ტექნიკური შედეგის მიღწევა.

იმ გამოგონების განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც შეეხება მიკროორგანიზმთა შტამს, უჯრედთა კულტურებს ან ხერხებს, რომელშიც იგი გამოიყენება დასტურდება მითითებით იმაზე, როგორ ან სად შეიძლება იყოს მიღებული სათანადო შტამი. შტამის მიღების შესაძლებლობის დადასტურებას წარმოადგენს განაცხადზე დართული დებონირების დოკუმენტი. ამასთან დებონირების თარიღი წინ უნდა უსწრებდეს სავარაუდო გამოგონების პრიორიტეტის თარიღს.

6.4.5.2. მოწყობილობის განხორციელებადობის დადასტურება

ამ ნაწილში აღწერილი მონაცემები უნდა შეიცავდეს გამოგონების ობიექტის კონსტრუქციის აღწერის სტატიკურ მდგომარეობაში. მოწყობილობის კონსტრუქციული ელემენტებს აღწერისას უნდა იქნეს მოყვანილი მინიშნებანი ნახაზების ფიგურებზე. კონსტრუქციის ელემენტების ციფრული აღნიშვნები მოყვანილი უნდა იქნეს მათი მოხსენებისას მზარდი რიგითობის მიხედვით.

მოწყობილობის სტატიკურ მდგომარეობაში აღწერის შემდეგ აღინიშნება მისი მოქმედება (მუშაობა) ან მისი გამოყენების ხერხი იმ კონსტრუქციული ელემენტების ციფრულ აღნიშვნებზე დაყრდნობით, რომლებიც მოყვანილია ნახაზებზე, დიაგრამებზე, სქემებზე და ა. შ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოწყობილობა შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლის დახასიათებაც მოცემულია ფუნქციურ დონეზე და სავარაუდო გამოგონების განხორციელება გულისხმობს პროგრამირებადი, მრავალფუნქციური სხვა ობიექტის გამოყენებას, დადასტურებული უნდა იქნეს, რომ გამოყენებულ ცნობილი ობიექტი უზრუნველყოფს სავარაუდო გამოგონებაში მასზე გათვალისწინებული ფუნქციის შესრულებას. თუ ასეთი მონაცემების სახით მოყვანილია. ალგორითმი, კერძოდ გამოთვლითი, მისი წარმოდგენა უმჯობესია ბლოკ-სქემების სახით ან თუ ეს შესაძლებელია მათემატიკური გამოსახულების სახით.

6.4.5.3. ხერხის განხორციელებადობის დადასტურება

ამ ნაწილში აღწერილი მონაცემები უნდა ადასტურებდეს ხერხის განხორციელებადობას, შეიცავდეს მონაცემებს მატერიალურ ობიექტზე მოქმედებათა (ხერხების, ოპერაციების) თანამიმდევრობაზე. აგრეთვე ამ მოქმედებათა ჩატარების პირობებზე, კონკრეტულ რეჟიმებზე (ტემპერატურა, წნევა და ა. შ.) და როცა ეს აუცილებელია, მითითებებს გამოყენებულ მოწყობილობაზე, ნივთიერებაზე და შტამზე.

ასეთი ხერხის აღწერისას, როცა გამოყენებულია ცნობილი ობიექტი (მოწყობილობა, ნივთიერება, შტამი), მოყვანილი უნდა იყოს მონაცემები ამ ობიექტის შესახებ და მიეთითოს ბიბლიოგრაფიული მონაცემები, რომლებიც ადასტურებს მათ არსებობას სავარაუდო გა-

მოგონების პრიორიტეტამდე. უცნობი ობიექტის გამოყენების დროს კი მოყავთ მისი დახასიათება და აუცილებლობის შემთხვევაში გრაფიკული გამოხატულებაც.

თუ ხერხში გამოყენებულია ახალი ნივთიერება უნდა აღიწეროს ამ ნივთიერების მიღების ხერხიც.

თუ ხერხი ითვალისწინებს საერთო სტრუქტურული ფორმულით მოცემული ახალი ჯგუფის შენაერთების მიღებას, მოყვანილი უნდა იყოს ამ ხერხით, ჯგუფის რომელიმე კონკრეტული შენაერთების მიღების მაგალითები. ამასთან, 'უპირატესად უნდა' შეიჩჩეს განსხვავებული ქიმიური ბუნების რადიკალების მქონე შენაერთები, ხოლო ჰომოლოგიური რიგის შემთხვევაში შეიჩჩეს ამ რიგის კიდურა და შუა წარმომადგენლები. ჯგუფში შემავალი შენაერთებისათვის მოყვანილი უნდა იყოს ცნობილი მეთოდებით დადასტურებული სტრუქტურული ფორმულები და ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები.

თუ ხერხი ეხება უცნობი სტრუქტურების მქონე მაღალმოლეკულური შენაერთის მიღებას, მოყვანილ მაგალითებში უნდა აღინიშნოს მათი იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი მონაცემები, საწყისი მონაცემები მაღალმოლეკულური შენაერთის მისაღებად საჭირო რეაგენტების შესახებ, აგრეთვე ის თვისებები, რომლებიც განაპირობებენ შენაერთის დანიშნულებას და მონაცემები, რომელიც ამ დანიშნულებას ადასტურებს.

თუ ხერხი ეხება კონკრეტული დანიშნულების, მაგრამ უცნობი შემადგენლობისა და სტრუქტურის ან ბიოლოგიური აქტივობის მქონე ნარევის მიღებას, შერჩეულ მაგალითებში ხერხის განხორციელების პირობებთან ხერხების აღწერასთან და თვითონ ნარევის ცალსახად განსაზღვრისათვის საჭირო დახასიათებებთან ერთად მოყვანილი უნდა იყოს ნარევის თვისებების ისეთი მონაცემები, რომლებიც განაპირობებს ნარევის დანიშნულებას და მონაცემები, რომლებიც ამ დანიშნულებას ადასტურებს.

თუ ხერხი ეხება ნაკეთობის მიღებას, რომელიც ან რომლის ელემენტურ უცნობი შემადგენლობისა და სტრუქტურის მქონე მასალისაგანაა დამზადებული, მოყვანილი უნდა იყოს მონაცემები მასალისა და ელემენტების შესახებ ანდა მთლიანად ნაკეთობის საექსპლოატაციო მახასიათებლები.

6.4.5.4. წივთიერების განხორციელებადობის დადასტურება

დადგენილი სტრუქტურის მქონე ახალ ინდივიდუალურ ნაერთზე გამოგონებისათვის, მოყვანილი უნდა იქნეს მისი სტრუქტურული ფორმულა, ფიზიკურ-ქიმიური კონსტანტები და ახალი ნაერთის მიღების ხერხის აღწერა. წარმოდგენილი უნდა იქნეს აგრეთვე ამ ნაერთის განსაზღვრული დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობის დამადასტურებელი მონაცემები, ხოლო ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებისათვის — აქტიურობის და ტოქსიკურობის რაოდენობრივი მაჩვენებლების მაჩვენებლები.

თუ ახალ ნაერთს აქვს სამკურნალო დანიშნულება და ჩატარებულია მისი კლინიკური გამოცდა, მაშინ მოყვანილი უნდა იყოს ამ გამოცდის მონაცემები. ამასთან ნაჩვენები უნდა იყოს დოზისა და სამკურნალო საშუალების მიღების ხერხი, რეცეპტურის შედგენის ხერხის, მძაფრ ტოქსიკურობაზე გამოცდის შედეგები.

თუ ახალი ინდივიდუალური ნაერთი მიღებულია მიკროორგანიზმის შტამის მცენარეთა ან ცხოველთა უჯრედების კულტურის გამოყენებით, მითითებული უნდა იქნეს მონაცემები ბიოსინთეზის ხერხზე ამ შტამის მონაწილეობით, აგრეთვე თვითონ შტამზე და მის დეპონირებაზე.

თუ გამოგონება განეკუთვნება ახალ ინდივიდუალურ ნაერთთა ჯგუფს, რომელთაც აქვთ საერთო სტრუქტურული ფორმულა, მაშინ დასტურდება ყველა ამ ჯგუფის ნაერთის მიღების შესაძლებლობა, მიღების ხერხის საერთო სქემის ჩვენებით.

მიღებული ნაერთებისათვის წარმოდგენილია მათი სტრუქტურული ფორმულები, ფიზიკურ-ქიმიური კონსტანტები, აგრეთვე ზოგიერთი ნაერთის აღნიშნული დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობა.

თუ ახალი ნაერთი ბიოლოგიურად აქტიურია, მაშინ მოყვანილი უნდა იქნეს ამ ნაერთების აქტიურობის და ტოქსიკურობის მაჩვენებლები.

თუ გამოგონება განეკუთვნება შუალედურ ნაერთს, მაშინ ნაჩვენები უნდა იქნეს მისივე დამუშავების შესაძლებლობა ცნობილი საბოლოო პროდუქტად ან მისგან ახალი საბოლოო პროდუქტის მიღება, კონკრეტული დანიშნულებით ან ბიოლოგიურად აქტიური თვისებებით.

წივთიერება, წარმოდგენილი კომპოზიციის (ნარევის, ხსნარი, შე-

ნაღნობი და სხვა მაგალითების სახით) უნდა შეიცავდეს ინგრედიენტთა დასახელებას, დახასიათებას და მათ რაოდენობრივ თანაფარდობას.

ინგრედიენტების შემცველობა უნდა გამოისახებოდეს ისეთი კონკრეტული რაოდენობრივი ერთეულებით, რომლებიც შეესაბამება ფორმულაში მითითებულ სიდიდეთა ინტერვალს. როცა ეს რაოდენობრივი თანაფარდობები ფორმულაში გამოსახულია პროცენტებში (მასით ან მოცულობით) ყველა ინგრედიენტის ჯამური შემცველობა უნდა უტოლდებოდეს 100 %.

მ.4.5.5. მიკროორგანიზმის მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურების განხორციელებადობის დადასტურება

გამოგონებაში, რომელიც შტამს განეკუთვნება აღინიშნება შტამის წარმოშობის ნომენკლატურული მონაცემები და შტამის წარმოშობა. აგრეთვე მონაცემები საკვები არეების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შემადგენლობაზე (ფერმენტული, სათესი) კულტივირების პირობები (ტემპერატურა, O₂-ის კუთრი მასგამტარობა, განათებულობა და ა. შ.).

ფერმენტაციის დრო, ბიოსინთეზის დახასიათება სასარგებლო (მიზნობრივ) პროდუქტებში, პროდუქტის გადასვლა არეში, შტამის აქტივობის დონე (პროდუქტიულობის) და მისი განსაზღვრის ხერხი (ტესტირება), უნდა მიეთითოს აგრეთვე მიზნობრივი პროდუქტების გამოყოფისა და გაწმენდის ხერხი (ახალი მიზნობრივი პროდუქტების პროდუცენტებისათვის, მაგალითად, ანტიბიოტიკებისათვის; ფერმენტებისათვის, მონოკლონალური ანტისხეულებისათვის).

მიკროორგანიზმთა მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურების კონსორციუმებისათვის უნდა მიეთითოს შემდეგი მონაცემები: კომპონენტების არსებობის შემოწმების მეთოდი, გამოყოფის მეთოდი (სელექცია) და ნიშნები, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობდა სელექცია, კონსორციუმის სტაბილურობა ხანგრძლივი კულტივირებისას, მაგრამ, მიკრობებით დასნებოვნებისადმი.

მ.4.5.6. ახალი დანიშნულებით გამოყენებაზე გამოგონებას განხორციელებადობა

თუ გამოგონება ეხება მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, შტამის ახალი, უჩვეულო დანიშნულებით გამოყენებას, მაშინ უნდა

იქნეს მოყვანილი ამ დანიშნულებით მისი გამოყენების შესაძლებლობის დამადასტურებელი არგუმენტები.

0.5. ხ ე ლ მ ო წ ე რ ა

სავარაუდო გამოგონების აღწერილობას ხელს აწერს განმცხადებელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

7. გამოგონების ფორმულა

7.1. გამოგონების ფორმულის დანიშნულება

ფორმულაში უნდა იყოს მოყვანილი გამოგონების დახასიათება, რომელიც გამოხატავს მის არსს და ძირითადად ემსახურება გამოგონების ობიექტის საპატენტო დაცვის ფარგლების განსაზღვრას.

განაცხადში მოცემულ გამოგონების ფორმულას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საპატენტო ექსპერტიზის ჩატარების დროს. ობიექტის გამოგონებად ცნობის შემთხვევაში იგი იძენს სამართლებრივ დანიშნულებას. გამოგონების ფორმულის სამართლებრივი დანიშნულება გამოიხატება იმაში, რომ მხოლოდ იგი წარმოადგენს ერთადერთ კრიტერიუმს გამოგონების ფარგლების განსაზღვრისათვის და მხოლოდ მის საფუძველზე დგინდება გამოგონების გამოყენების ან არ გამოყენების ფაქტი.

7.2. გამოგონების ფორმულის სტრუქტურა

7.2.1. საერთო დებულება

ფორმულა შეიძლება იყოს ერთმუხლიანი (ერთ პუნქტიანი) და მრავალმუხლიანი (მრავალ პუნქტიანი) და შესაბამისად შეიცავდეს ერთ ან რამდენიმე მუხლს (პუნქტს).

7.2.2. გამოგონების ერთმუხლიანი ფორმულა

ერთმუხლიანი ფორმულა გამოიყენება არსებითი ნიშნების ერთობლიობით ისეთი გამოგონების დასახასიათებლად, როდესაც ობიექტის აღწერისას აუცილებელია იმ ნიშანთა მითითებაც, რომლებიც მოცემულ გამოგონებას ახასიათებს კერძო შემთხვევებში მისი შესრულების, გამოყენების, განვითარების და დაზუსტების თვალსაზრისით.

7.2.8. გამოგონების მრავალმუხლიანი ფორმულა

მრავალმუხლიანი ფორმულა გამოიყენება არსებითი ნიშნების ერთობლიობით ისეთი ერთი გამოგონების დასახასიათებლად, როდესაც ობიექტის აღწერისას აუცილებელია იმ ნიშანთა მითითებაც, რომლებიც მოცემულ გამოგონებას ახასიათებს კერძო შემთხვევებში მისი შესრულების გამოყენების განვითარების და დაზუსტების თვალსაზრისით.

მრავალმუხლიანი ფორმულა გამოიყენება გამოგონების ჯგუფის დასახასიათების შემთხვევაშიც.

მრავალმუხლიანი ფორმულა, რომელიც ახასიათებს ერთ გამოგონებას, შეიცავს ერთ დამოუკიდებელ მუხლს და მომდევნო მასზე დამოკიდებულ მუხლს (მუხლებს).

მრავალმუხლიანი ფორმულა, რომელიც ახასიათებს გამოგონებათა ჯგუფს, შეიცავს რამდენიმე დამოკიდებულ მუხლს, რომელთაგან თითოეული ახასიათებს შესაბამისად ამ ჯგუფის ერთ-ერთ გამოგონებას. ამასთან, ამ ჯგუფის ყველა გამოგონება შეიძლება დასახასიათდეს შესაბამისი დამოუკიდებელი მუხლისაგან გამომდინარე და მასზე დამოკიდებული მუხლებითაც.

გამოგონებათა ჯგუფის დამახასიათებელი ფორმულის ჩამოყალიბების დროს დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

დამოუკიდებელი მუხლები, რომლებიც ახასიათებენ ცალკეულ გამოგონებას, არ უნდა შეიცავდნენ მითითებას ფორმულაში შემავალ სხვა მუხლებზე;

დამოკიდებული მუხლები უნდა დაჯგუფდეს იმ შესაბამის დამოუკიდებელ მუხლთან, რომელსაც ისინი ექვემდებარება;

თუ ერთი გამოგონების ობიექტი განკუთვნილია მეორე გამოგონების ობიექტის მისაღებად, განსახორციელებლად ანდა გამოსაყენებლად, მაშინ პირველ დამოუკიდებელ მუხლში მოჰყავთ იმ ობიექტის დასახასიათება, რომლისათვისაც არის განკუთვნილი მეორე ობიექტი;

მრავალმუხლიანი ფორმულა გაცილებით ღრმად და გასაგებად განმარტავს გამოგონებას, მის საპატენტო დაცვის ფარგლებს, მაგრამ დამოუკიდებელი მუხლების დაუსაბუთებელი ზრდა მიზანშეუწონელი და დაუშვებელია.

7.2.4. გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი

დამოუკიდებელ მუხლში უნდა იყოს მოყვანილი ისეთი არსებითი ნიშანთა ერთობლიობა, რომელთაგან თითოეული მათგანი აუცილებელია, ხოლო ყველა ერთად საკმარისი გამოგონების ტექნიკური შედეგის უზრუნველსაყოფად. ეს მუხლი განსაზღვრავს გამოგონების დაცვის ფარგლებს.

ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი, როგორც წესი, უნდა შედგებოდეს შემომფარგვლელი და განმასხვავებელი ნაწილებისაგან.

შემომფარგვლელ ნაწილში უნდა იყოს მოყვანილი ისეთი არსებითი ნიშნები, რომელიც ემთხვევა პროტოტიპის ნიშნებს. გარდა ამისა, მითითებული უნდა იყოს გამოგონების დანიშნულების ამსახველი გვარეობითი ცნებაც.

განმასხვავებელ ნაწილში მოყვანილი უნდა იყოს ისეთი არსებითი ნიშნები, რომელიც განასხვავებს გამოგონებას პროტოტიპისაგან (ე. ი. გამოგონების ახალი ნიშნები). შემომფარგვლელი ნაწილი განმასხვავებელი ნაწილისაგან გამოიყოფა სიტყვებით: „განსხვავდება იმით, რომ...“

ფორმულა არ დაიყოფა შემომფარგვლელ და განმასხვავებელ ნაწილებად თუ იგი ახასიათებს:

- ინდივიდუალურ შენაერთს;
- მიკროროგანიზმების შტამს, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედის კულტურებს;
- ადრე ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, შტამის ახლებური, უჩვეულო დანიშნულებით გამოყენებას;
- გამოგონებას, რომელსაც არ გააჩნია ანალოგები.

7.2.5. გამოგონების ფორმულის დამოკიდებული მუხლი

ფორმულის დამოკიდებულ მუხლში მოყვანილი უნდა იყოს ნიშნები, რომლებიც გამოგონებას ახასიათებს კერძო შემთხვევაში, მისი შესრულების კონკრეტული ფორმების ან განსაკუთრებულ პირობებში მისი გამოყენების თვალსაზრისით.

ფორმულის დამოკიდებული მუხლი უნდა შეიცავდეს, გამოგონების დანიშნულების ამსახველი გვარეობითი ცნებას, როგორც წესი, შემოკლებულ ფორმულირებას, იმასთან შედარებით, რომელიც მოცემულია დამოუკიდებელ მუხლში. გარდა ამისა, იგი უნდა შეიცავდეს.

დეს მითითებებს იმ დამოუკიდებელ და დამოკიდებულ მუხლებზე, რომელსაც ექვემდებარება მოცემული დამოკიდებული მუხლი.

იმ შემთხვევაში, როცა დამოკიდებული მუხლი ექვემდებარება ფორმულის რამდენიმე მუხლს, მათზე მითითებისას უნდა მიეთითოს ალტერნატივაშიც.

დამოკიდებული მუხლი შეიძლება ექვემდებარებოდეს შესაბამის დამოუკიდებელ მუხლს უშუალოდ ან არაპირდაპირ, ე. ი. ერთი ან რამდენიმე მუხლის მეშვეობით.

დამოკიდებული მუხლი უშუალოდ ექვემდებარება დამოუკიდებელს, თუ გამოგონების კერძო შემთხვევაში შესრულების ან განხორციელების აღწერისას, ამ მუხლში მოცემულ ნიშნებთან ერთად აკმარისია მხოლოდ ფორმულის დამოუკიდებელ მუხლში მოცემული ნიშნები.

იმ შემთხვევაში, როცა დამოკიდებულ მუხლში ობიექტის აღწერისას აუცილებელია ფორმულის ერთ ან რამდენიმე დამოკიდებულ მუხლში მოცემული ნიშნების გამოყენება. დამოკიდებული. მუხლს არაპირდაპირ ექვემდებარება დამოუკიდებელს.

7.8. გამოგონების ფორმულის შედგენა

7.8.1. საერთო დებულება

ფორმულა გადმოცემული უნდა იყოს გამოგონების ლოგიკური განმარტების სახით, ყველა არსებითი ნიშნების ერთობლიობის მითითებით და როგორც წესი, უნდა იწყებოდეს გამოგონების დასახელებით, რომელიც მოყვანილია განცხადებაში და აღწერილობაში.

ფორმულა (ან მრავალმუხლიანი ფორმულის თითოეული მუხლი) გადმოცემული უნდა იყოს ერთი წინადადების სახით.

ფორმულაში გამოგონების ნიშნები უნდა გამოითქვას ისეთნაირად, რომ უზრუნველყოფდეს მათ ცალსახა აღქმას, იდენტიფიკაციას.

თუ გამოვლინდა ნიშნების რეალიზაციის რამდენიმე შესაძლებელი ფორმა, რომელთა სხვა არსებით ნიშნებთან ერთობლიობა უზრუნველყოფს, ერთიდაიგივე ტექნიკურ შედეგს, მიზანშეწონილია აღნიშნული ნიშნები გამოისახოს უფრო ზოგადი, ყველა ამ ფორმის გამაერთიანებელი ცნებით.

თუ ისეთი ცნება არ მოიძებნა ან განზოგადება არამართლზომიერი, ნიშანი შეიძლება გამოიხატოს ალტერნატიული ცნებების სახით.

7.3.2. მოწყობილობაზე გამოგონების ფორმულის შედგენის თავისებურება

ფორმულაში მოწყობილობა ხასიათდება სტატიკურ მდგომარეობაში მისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნებით. ცალკეული ნიშნების დახასიათებისას დასაშვებია გამოყენებული იქნეს მითითება მათი მოქმედების შესაძლებლობაზე ან ფუნქციურ დანიშნულებაზე (მაგალითად, შეუძლია გადაადგილება ურთიერთმართებული მიმართულებით, შესრულებულია) განლაგებულია (მოძრავი ბრუნვის საშუალებით და სხვა).

ხერხზე გამოგონების ფორმულის შედგენის თავისებურება:

ხერხზე ფორმულაში მოქმედება გადმოიცემა ზმნის საწყისი ფორმით (ინფინიტივი) მაგალითად, ცხელდება, ტენიანდება, იწნება და ა. შ.).

ნივთიერებაზე გამოგონების ფორმულის თავისებურებანი:

ნებისმიერი წარმოშობის ინდივიდუალური ნაერთის ფორმულა უნდა შეიცავდეს ნაერთის დასახელებას ან ქიმიურ ფორმულას, მის დანიშნულებას ან ბიოლოგიური აქტივობის სახეს. ამის გარდა მოყვანილი უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

ანტიბიოტიკებისა და სხვა დაბალმოლეკულური ნივთიერებების შემთხვევაში გამოყოფის წყარო (მიკროორგანიზმის შტამი ან უჯრედების კულტურა); მოლეკულის შედგენილობა, მოლეკულური მასა, ნივთიერების ოპტიკური აქტივობა, სპექტრული ანალიზის შედეგები, ნივთიერების ფერი და აგრეგატული მდგომარეობა, ხსნადობა, ფერადი რეაქციები და ა. შ.

ნეგატიურ ფერმენტთა შემთხვევაში გამოყოფის წყარო (მიკროორგანიზმის შტამი ან უჯრედების კულტურა). სუბსტრატული სპეციფიკურობა, მოლეკულური მასა, PH — ოპტიმუმი, თერმო და PH — სტაბილურობა, იზოელექტრული წერტილი მიხაელისის კონსტანტა, ფერმენტის ინჰიბიტორი.

მონოკლონალური ანტისხეულების შემთხვევაში, მიღების წყარო (მიკროორგანიზმის შტამი ან უჯრედების კულტურა), იმუნოგლობულინის კლასი (ქვეკლასი) და მსუბუქი ჯაჭვების ტიპი, სპეციფიკურობა, ანტიგენი-სამიზნეს დახასიათება, შემაკავშირებელი მულმივა, იზოელექტრული წერტილი. აგრეთვე, ანტიგენის ბუნებიდან გამოზიდინარე უნდა მიეთითოს შემაკავშირებელ, მანიეტრალეზელ ან

მაგლექტინემელი კომპლემენტი ან მისი მაპრეციპიტირებელ აქტიურობაზე და ციტოტოქსიურობაზე (რაოდენობრივი მახასიათებლების ჩვენებით).

პროექტიული ანტიგენების შემთხვევაში, შტამი — გამოყოფის წყარო, შტამების სტრუქტურაში, ანტიგენის ლოკალიზაცია და ბუნება, გამოყოფის მეთოდი, ბიოქიმიური შედგენილობა (პოლისაქარიდული ბუნების ანტიგენებისათვის — მონოსაქარიდების შედგენილობა, ცილოვანი ბუნების ანტიგენებისათვის ამინომჟავური შედგენილობა და ა. შ.) მოლეკულური მასა, იზოელექტრული წერტილი ან იზოელექტრული გადაადგილება.

გენური ინჟინერიის ობიექტების (პლაზმიდების, ვექტორები, რეკომბინანტური მოლეკულები და ნუკლეინმჟავები, ნმ, ფრაგმენტების შემთხვევაში წარმოშობა (შემადგენელი ნაწილები) ფიზიკური რუქა გენეტიკური მარკერებისა და რეგულაციური უბნის ჩვენებით, კონიუგირება (პლაზმიდებისათვის) ვექტორების მოცულობა, ნუკლეინმჟავების თანამიმდევრობა ნუკლეინმჟავის ფრაგმენტში სტრუქტურული გენის) მაკორდირებული ნივთიერების დასახელება (ნუკლეინმჟავათა რეკომბინანტული მოლეკულებისათვის და ნუკლეინმჟავათა ფრაგმენტებისათვის)

თუ კომპოზიციის დამახასიათებელი ფორმულა შეიცავს ნიშნებს, რომელიც მიეკუთვნება ინგრედიენტების რაოდენობრივ შემცველობას, მაშინ ის გამოისახება ნებისმიერ ცალსახა ერთეულებში, როგორც წესი ორი (ქვედა და ზედა).

დასაშვებია კომპოზიციის ერთ-ერთი ინგრედიენტის რაოდენობის მიცემა რაიმე ერთი ნიშნით, ხოლო დანარჩენი ინგრედიენტებისა შერჩეული ინგრედიენტის ნიშნის მიმართ, ფარდობითი ერთეულების ინტერვალის სახით. (მაგალითად, ინგრედიენტების შემცველობა მოყვანილია კომპოზიციის ძირითადი ინგრედიენტის 100 მას. ნაწილზე ან ხსნარის ერთ ლიტრაზე).

თუ კომპოზიცია შეიცავს ანტიბიოტიკებს, ფერმენტებს, ანატოქსინებს და ა. შ. დასაშვებია ანტიბიოტიკების რაოდენობრივი შემცველობის მოცემა დანარჩენი კომპონენტებისათვის გამოყენებული ერთეულებიდან განსხვავებულ ერთეულებში.

კომპოზიციისათვის, რომელთა დანიშნულება განისაზღვრება მხოლოდ ახალი აქტიური საწყისით, ხოლო სხვა კომპონენტები არიან ნეიტრალური მატარებლები, დასაშვებია ფორმულაში მხოლოდ ამ

აქტიური საწყისის და კომპოზიციაში მისი რაოდენობრივი შემცველობის ჩვენება.

თუ გამოგონების ნიშნით გამოსახული ცნობილი რთული ნივთიერება, დასაშვებია მისი სპეციალური დასახელების გამოყენება ამ ნივთიერების ფუნქციის ზუსტი ჩვენებით. ამ შემთხვევაში ფორმულაში მოტანილი უნდა იქნეს მთლიანი შედგენილობა, ხოლო თუ საჭიროა ამ ნივთიერების მიღების ხერხი.

კომპოზიციაზე გამოგონების ფორმულის განმასხვავებელი ნაწილში ინგრედიენტის შესახებ მონაცემების შესატანად, თუ ეს საჭიროა, ხმარობენ ზმნას „შეიცავს“ განმარტებით „დამატებით“.

7.3.3. მიკროორგანიზმის შტამზე, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებზე გამოგონების ფორმულის თავისებურებანი

მიკროორგანიზმის შტამზე, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებზე გამოგონების ფორმულა წარმოადგენს გარკვეული წესებით შედგენილი შტამისა და მისი თვისებების მოკლე აღწერილობას. იგი მოიცავს შტამის გვარის და სახეობის ლათინურ დასახელებას, მის ძირითად მორფოლოგოკულტურულ თვისებებს, დანიშნულებას, ოფიციალურ კოლექცია-დეპონსიტორიის აბრევიატურას, სარეგისტრაციო ნომერს, რომელიც ენიჭება კოლექცია დეპონირებულ ობიექტს.

7.3.4. გამოგონების ფორმულა ობიექტის ახალი დანიშნულების გამოყენებაზე

იმ შემთხვევაში, როცა გამოგონების ობიექტი განეკუთვნება ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, შტამის ახალი უჩვეულო დანიშნულებით გამოყენებას, გამოიყენება ფორმულის შემდეგი სტრუქტურა: „გამოგონება (მოყავთ დასახელება ანდა დახასიათება ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, ან შტამის) გამოიყენება როგორც (მოყავთ მოცემული მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების ან შტამის ახალი დანიშნულება):“

7.3.5. დამატებითი გამოგონების ფორმულის თავისებურება

დამატებითი გამოგონების ფორმულის შედგენის დროს გამოიყენება შემდეგი სტრუქტურა:

— დამატებითი გამოგონების დასახელება აიღება ძირითადი გამოგონების ფორმულიდან;

— შემომფარგვლელ ნაწილში მიუთითებენ ძირითადი გამოგონების საავტორო მოწმობის ან პატენტის ნომერს.

7.3.6. ხ ე ლ მ ო წ ე რ ა

გამოგონების ფორმულას ხელს აწერს ავტორი (განმცხადებელი) ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

7.4. ნახაზების და მასალების წარდგენის აუცილებლობა

ნახაზები და სხვა მასალები წარედგინება იმ შემთხვევაში, თუ ისინი აუცილებელია გამოგონების აღწერილობაში გადმოცემული არსის გასაგებად.

წარდგენილი ნახაზები და სხვა მასალები უნდა შეესაბამებოდეს აღწერილობაში მოყვანილ ტექსტს.

7.4.1. წარდგენის ფორმა

ნახაზები ან სხვა განმარტებითი მასალები შეიძლება წარდგენილი იყოს: გრაფიკული მასალების (კერძოდ, ნახაზების, სქემების, გრაფიკების, ეპიურების, ნახატების, ოსცილოგრამების და ა. შ.) ფოტოსურათების, ცხრილების, დიაგრამების სახით.

ნახატები შეიძლება წარედგინოს იმ შემთხვევაში თუ გამოგონების აღწერა შეუძლებელია მხოლოდ ნახაზებისა და სქემების საშუალებით. ფოტოსურათები წარედგინება, როგორც სხვა გრაფიკული მასალების დამატებანი.

გამონაკლის შემთხვევაში ფოტოსურათები შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც განმარტებითი მასალების ძირითადი სახეობა, მაგალითად, ქირურგიული ოპერაციის ეტაპების საილუსტრაციოდ და სხვა.

7.4.2. რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი

გრაფიკული მასალების ყველა ფურცლის ზედა მარჯვენა კუთხეში მიუთითებენ გამოგონების ავტორის (ავტორების) გვარსა და ინიციალებს.

7.4.8. რ ე ფ ე რ ა ტ ი

რეფერატი გამოგონების აღწერილობის მოკლე შინაარსია. ის შეიცავს გამოგონების დასახელებას, ტექნიკის დარგის დახასიათებას, რომელსაც გამოგონება განეკუთვნება, ან მათი გამოყენების სფეროს არსის დახასიათებას მისალწვევი ტექნიკური შედეგის ჩვენებით.

გამოგონების არსი რეფერატში ხასიათდება ფორმულის ისეთი თავისუფალი გადმოცემით, სადაც დაკულია ყველა არსებითი ნიშანი.

საპიროების შემთხვევაში რეფერატში შეაქვთ ნახაზი ან ქიმიური ფორმულა.

რეფერატი დანატებით მონაცემებსაც შეიძლება შეიცავდეს, კერძოდ, მითითებას გრაფიკულ გამოსახულებაზე, ცხრილებზე და ა. შ.

რეფერატის ტექსტი სასურველია არ აღემატებოდეს 1000 ნაბეჭდ ნიშანს.

რეფერატი უნდა მთავრდებოდეს მონაცემებით გამოგონების ფორმულის მუხლების, აღწერილობაში გამოყენებული ნახაზებისა და ცხრილების რაოდენობის შესახებ. ეს რაოდენობრივი მონაცემები იბეჭდება რეფერატის ტექსტის შემდეგ მარცხენა ქვედა კუთხეში.

7.5. განაცხადის საბუთების გაფორმება, ტექნოლოგია და პირობითი აღნიშვნები

აღწერილობაში და მის განმარტებით მასალებში გამოიყენება სტანდარტიზებული ტერმინები და შემოკლებები, ხოლო მათი არ არსებობის შემთხვევაში სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურაში საყოველთაოდ მიღებული.

ტერმინები და აღნიშვნები, რომლებსაც ლიტერატურაში ფართო გამოყენება არა აქვს, ტექსტში პირველი ხმარებისთანავე განიმარტება.

ყველა პირობითი აღნიშვნა იშიფრება.

გამოგონების აღწერილობაში და ფორმულაში დაკული უნდა იყოს ტერმინოლოგიის ერთიანობა, ანუ აღწერილობის ტექსტში და ფორმულაში ერთი და იგივე ნიშნები ერთნაირად უნდა იწოდებოდნენ. ტერმინოლოგიის ერთიანობის მოთხოვნები ეხებათ ფიზიკურ ერთეულებს და პირობით აღნიშვნებსაც.

ფიზიკური სიდიდეების ერთეულები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ერთეულთა საერთაშორისო სისტემის ერთეულებს.

7.5.1. გამოთქმები, რომლებიც არ იხმარებოან

აღწერილობის ტექსტი არ უნდა შეიცავდეს გამოთქმებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ წესრიგს და მორალს, აგრეთვე სხვა პიროვნებათა გამოგონებების მიმართ უპატივცემულო გამონათქვამებს.

7.5.2. საბუთების ტექსტი

გამოგონების განაცხადის ყველა საბუთი ფორმდება ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი ხანგრძლივი დროით შენახვა და განუსაზღვრელი რაოდენობის ასლების უშუალოდ რეპროდუქცირება.

თითოეული ფურცელი გამოიყენება მხოლოდ ერთი მხრიდან. პწკარები ფურცლის მცირე გვერდით პარალელურად უნდა განლაგდნენ.

განაცხადის ყოველი საბუთის გაფორმება იწყება ცალკე ფურცლიდან.

განაცხადის თითოეული საბუთი სრულდება თეთრ ფორმატზე ზომით 21×297 მმ.

ქაღალდზე მინდვრის დატოვების ზომები:

მარცხენა, ზედა და ქვედა — 20 მმ.

მარჯვენა — 10 სმ.

განაცხადის თითოეულ საბუთში მეორე და მომდევნო ფურცლები ინომრება არაბული ციფრებით გამჭოლი ნუმერაციით, დაწყებული პირველი გვერდიდან.

საბუთები შავი ფერის შრიფტით იბეჭდება.

გამოგონების აღწერილობის, ფორმულის და რეფერატის ტექსტები იბეჭდება 2 ინტერვალით.

გრაფიკული სიმბოლოები, ლათინური დასახელებები, ლათინური და ბერძნული ასოები, მათემატიკური და ქიმიური ფორმულები შეიძლება ჩაიწეროს შავი ფერის მელნით, პასტით ან ტუშით. დაუშვებელია ფორმულების შერეულად საბეჭდი მანქანითა და ხელით ჩაწერა.

7.5.3. ქიმიური ფორმულები

გამოგონების აღწერილობაში და გამოგონების ფორმულაში შეიძლება გამოყენებული იქნეს ქიმიური ფორმულები.

ქიმიური შენაერთების სტრუქტურული ფორმულა (გრაფიკული

მასალების მსგავსად), როგორც წესი წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკე ფურცელზე. ამასთან თითოეული მათგანი უნდა მოინომროს ტექსტში გამოყენებული შესაბამისი ნუმერაციით (მაგალითად, „ფორმულა 1“).

ქიმიური ფორმულის ჩაწერისას გამოყენებული უნდა იქნეს ელემენტების საერთოდ მიღებული სიმბოლოები და ზუსტად მიეთითოს ელემენტებისა და რადიკალებს შორის კავშირები.

7.5.4. მათემატიკური ფორმულები

გამოგონების აღწერილობაში და გამოგონების ფორმულაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მათემატიკური გამოსახულებები (ფორმულები) და სიმბოლოები.

მათემატიკური გამოსახულების ჩაწერის ფორმა არაა შეზღუდული.

მათემატიკურ ფორმულაში შემავალი ყველა ასოითი აღნიშვნა განიმარტება. განმარტება უნდა დაიწეროს სვეტის სახით და ყოველი ასოით აღნიშვნის განმარტების შემდეგ დაისვას წერტილ-მძიმე. ამასთან ასოით აღნიშვნათა განმარტება მოიცემა ფორმულაში მათი გამოყენების რიგის მიხედვით.

მათემატიკური აღნიშვნები: $>$, $<$, $=$ და სხვა გამოყენება მხოლოდ მათემატიკურ ფორმულაში, ტექსტში საჭიროა მათი შესაბამისი სიტყვების ხმარება (მეტი, ნაკლები, უდრის და სხვა).

დადებით სიდიდეებს შორის ინტერვალის აღსანიშნავად შეიძლება „—“ (დან, მდე) ნიშნის გამოყენება. სხვა შემთხვევაში უნდა დაიწეროს სიტყვებით (მაგალითად, -15° -დან -5° -მდე).

სიდიდის პროცენტულად გამოსახვისას პროცენტის ნიშანი (%) იწერება რიცხვის შემდეგ (მაგალითად, 5%, 30% და ა. შ.). თუ ასეთი სიდიდე რამდენიმეა, მაშინ პროცენტის ნიშანი იწერება ამ სიდიდეთა ჩამონათვალის წინ და მისგან ორი წერტილით გამოიყოფა (მაგალითად, %, 2, 7, 35, 44).

მათემატიკური ფორმულის გადატანა დაშვებულია მხოლოდ მოქმედების ნიშნის მიხედვით.

7.5.5. გრაფიკული მასალები

გრაფიკული მასალების გამოსახულებები სრულდება მკვრივ, თეთრ და სწორ ქაღალდზე შავი მკაფიო ხაზებით და შტრიხებით, რომლებიც არ უნდა იშლებოდეს. დაუშვებელია მასალების რეტუშირება და გაფერადება.

გამოსახულებათა მასშტაბი და მკაფიობა ისე უნდა შეირჩეს, რომ რეპროდუცირების დროს ხაზოვანი ზომების $\frac{2}{3}$ -მდე შემცირებისას შესაძლებელი უნდა იყოს დეტალების ერთმანეთისაგან გარჩევა.

დაუშვებელია ციფრების და ასოების ფრჩხილებში, რგოლებში და ბრჭყალებში მოთავსება. მათი სიმაღლე 3,2 მმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ნახაზები სრულდება რაიმე წარწერების გარეშე. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი სიტყვები, როგორცაა „წყალი“, „ორთქლი“, „გაღებულა“, „დაკეტილი“, „ჭრილი ა-დან ბ-მდე“.

უმჯობესია ნახაზზე სწორკუთხოვან (ორთოგონალურ გეგმილთა გამოყენება (სხვადასხვა ხედებში, კრილებში და კვეთებში); დასაშვებია აქსონომეტრიული გეგმილების გამოყენებაც.

დაუშვებელია ნახაზზე ზომების ჩვენება. საჭიროების შემთხვევაში ზომები მოიყვანება აღწერილობაში.

თითოეული ელემენტი ნახაზზე სრულდება ყველა დანარჩენი ელემენტის პროპორციულად იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ელემენტის გამოსახულების მკაფიობისათვის მიზანშეწონილია განსხვავებული პროპორციის გამოყენება.

ერთ ფურცელზე შეიძლება ნახაზის რამდენიმე ფიგურის განაღდება. ამასთან მკაფიოდ და ერთმანეთისაგან განცალკევებულად.

თუ ფიგურის ნაწილები განლაგებულია ორ ან მეტ ფურცელზე, მათი განლაგება უნდა მოხდეს ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ამ ფიგურის აწყობა სხვადასხვა ფურცლებზე გამოსახული რომელიმე ფიგურის გამოუკლებლად. ცალკეული ფიგურები ფურცელზე ან ფურცლებზე ისე უნდა განლაგდეს, რომ ფურცლები მაქსიმალურად იყოს შევსებული და ნახაზების წაკითხვა შესაძლებელი იყოს ფურცლის გრძელი გვერდების ვერტიკალურ მდგომარეობაში.

გრაფიკული გამოსახულებების ელემენტები აღინიშნებიან არაბული ციფრებით გამოვონების აღწერილობის შესაბამისად.

ერთი და იგივე ელემენტები, რომლებიც რამდენიმე ფიგურაზეა წარმოდგენილი ერთი და იგივე ციფრით აღინიშნება.

თუ გამოვონების აღწერილობაში არ არის გამოყენებული აღნიშვნები, ისინი ნახაზებზე არ დაიტანება და პირიქით.

თუ გრაფიკული გამოსახულება სქემის სახით არის წარმოდგენილი, მათი შესრულების დროს გამოიყენება სტანდარტიზებული პირობითი გრაფიკული აღნიშვნები.

დასაშვებია ერთი სახის სქემებზე სხვა სახის სქემების ცალკეული ელემენტები გამოისახოს (მაგალითად, ელექტრულ სქემაზე გამოისახოს კინემატიკური ან ჰიდრაულიკური სქემის ელემენტები).

თუ სქემა ელემენტების გრაფიკული აღნიშვნებისათვის სწორკუთხედის ფორმითაა წარმოდგენილი, მაშინ ციფრობრივი აღნიშვნის გარდა სწორკუთხედში ჩაიწერება უშუალოდ ელემენტის დასახელებაც. თუკი ელემენტის გრაფიკული გამოსახულების ზომები ამის საშუალებას არ იძლევა, ელემენტის დასახელება დასაშვებია გამოსატან ხაზზე (საჭიროების შემთხვევაში სქემის მინდორში განთავსებული ნახატსქვეშა წარწერის სახით).

ფოტოსურათის ფორმატი არ უნდა აღემატებოდეს განაცხადის საბუთების ფურცლების დადგენილ ზომებს. მეორე ფორმატის ფოტოსურათები კი ქალაღზე უნდა იქნეს დაწებებული. ამასთან დაცული უნდა იყოს ქალაღის ხარისხის და ფორმატის მიმართ დადგენილი მოთხოვნები.

თითოეული გრაფიკული გამოსახულება ინომრება არაბული ციფრებით. (ფიგ. 1, ფიგ. 2 და ა. შ.). აღწერილობის ტექსტში მათზე მითითების რიგითობის შესაბამისად, მოცემული განმარტებითი მასალის სახეობისა (ნახაზი, სქემა, გრაფიკი, ნახატი და სხვა) და ფურცლების ნუმერაციისაგან დამოუკიდებლად. თუ აღწერილობაში ერთი ფიგურაა, ის არ ინომრება.

7.6. ბიბლიოგრაფიული მონაცემები

განაცხადს საბუთებში ინფორმაციის წყაროების მონაცემები ისე უნდა იყოს მითითებული, რომ შესაძლებელი იყოს ინფორმაციის წყაროს მოძებნა.

7.7. ხ ე ლ მ ო წ ე რ ა

ამ წესის შესაბამისად განაცხადის საბუთებზე ხელმოწერები, უნდა ჯაიფიშროს ხელმომწერი პირის გვარის და ინიციალების მითითებით.

თუ საბუთს თანამდებობის პირი აწერს ხელს უნდა მიეთითოს ხელმოწერის თანამდებობა, ხელმოწერა კი დადასტურდეს ბეჭდით. უცხოური სახელები და ფირმების დასახელებები მიეთითება ქართული ტრანსლიტერაციითაც.

საწარმოთა დასახელებები მიეთითება სრული ოფიციალური დასახელებებით, რომელიც დასაშვებია ღია მიწერ-მოწერისათვის.

ობიექტი — მოწყობილობა

გამოგონების საერთა- B25i 15/02

შორისო კლასიფიკაციის ინდექსი (გსკი)

გამოგონების დასახელება

ტექნიკის დარგი

სატაცი მოწყობილობა

სავარაუდო გამოგონება განკუთვნილია სახალხო მეურნეობის ნებისმიერ სფეროში გამოყენებისათვის, უპირატესად იგი გამოიყენება არასწორ გეომეტრიული ფორმის მქონე და მსხვრევადი საგნების გადატანისას, მაგალითად კვების მრეწველობაში, მედიცინაში და ა. შ.

ტექნიკის დარგი

გამოგონების ანლოგების დახასიათება

ცნობილია რობოტის სატაცი (1), რომელიც შეიცავს კორპუსს, მომჭერ ტუჩებს, უკუქცევით-წინსვლით გადაადგილების ამძრავს. აღნიშნული მოწყობილობა არ იძლევა მსხვრევადი და არასწორი გეომეტრიული ფორმის მქონე ობიექტების წატაცების საშუალებას, ვინაიდან იწვევს მათი ფორმის დარღვევას.

პროტოტიპის დახასიათება

სავარაუდო გამოგონების პროტოტიპად შერჩეულია (2) რომელიც შეიცავს კორპუსს მომჭერ ტუჩებს, უკუქცევით-წინსვლით გადაადგილების ამძრავს, დრეკად მოქნილ ელემენტს (ლენტს).

პროტოტიპის კრიტიკა

ამ მოწყობილობაში ლენტი ასრულებს ორ დანიშნულებას — ტუჩებისა და უშუალოდ სატაციის ორგანოს. ასეთი შეთანხმება ობიექტის წატაცებისას იწვევს ტუჩების ასრიალებას და მოხახუნე ზედაპირების (ტუჩე-

გამოგონების არსი და მისგან გამომდინარე ახალი ტექნიკური შედეგი

აღწერა სტატიაში

ბის, ობიექტის) ცვეთას. ამდენად არსებული მოწყობილობა არ უზრუნველყოფს მსხვრევადი და არასწორი გეომეტრიული ფორმის მქონე ობიექტების წატაცებას.

სავარაუდო გამოგონებაში, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ნაკლოვანებების აცილებას, დრეკადი ელემენტი გადაწყვეტილია დაფეხზე განლაგებული სხეულების სახით. სხეულები მოთავსებულია დაფზე მის ირგვლივ თავისუფალი ბრუნვის საშუალებით, რაც შესაძლებელს ხდის სატაციო ობიექტების მოქერას ასრიალების გარეშე.

გამოგონების ტექნიკური შედეგი გამოიხატება მსხვრევადი და არასწორი გეომეტრიული ფორმის მქონე ობიექტების, მათი ფორმის დარღვევის გარეშე, წატაცების შესაძლებლობით.

სატაციო მოწყობილობა წარმოდგენილია 3 ფიგურით. ფიგურა 1 — მოწყობილობა საწყის მდგომარეობაში, ფიგურა 2 — მოწყობილობა მუშა მდგომარეობაში, ფიგურა 3 — მოწყობილობის ზედხედი მუშა მდგომარეობაში.

სატაციო მოწყობილობა შედგება კორპუსისაგან — 1, მასზე ტელესკოპურად დამაგრებული ამძრავი ელემენტებისაგან — 2, კორპუსზე დამაგრებული და ამძრავი ელემენტში გატარებული დაფებისაგან — 3, რომლებზეც აკინძულია სხეულები — 4, გამკოლი ნახვრეტები და ნაზოლით.

სატაციო მუშაობს შემდეგნაირად:

სატაცი, გადამტანი შექანიზმის მეშვეობით (ნახაზე არ არის მოყვანილი) შეიყვანება გადასატან ობიექტში, ამძრავი ელემენტის 2 გადაადგილებით ხდება დაფების 3 დაქიმვა და გალუნვა. დაფების გალუნვის შე-

აღწერა დინამიკაში

დევად ხდება ობიექტის ჩაჭერა. ამის შემდეგ ობიექტი გადამტანი მექანიზმის მეშვეობით გადაიტანება საჭირო პოზიციაზე.

ამძრავი ელემენტის 2 საწინააღმდეგო მოძრაობისას ხდება ობიექტის გათავისუფლება.

გამოგონების გამოყენებით მიღებული ხარ-
გებლიანობა შემოთავაზებული მოწყობილობის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია მსხვერველი და არასწორი გეომეტრიული ფორმის ობიექტების გადატანისას.

ხელმოწერა

განმცხადებელი,
საპატენტო რწმუნებული
ან წარმომადგენელი

გამოგონების ფორმულა

1. სატაცი მოწყობილობა, რომელიც შეიცავს კორპუსს, უკუქცევით გადაადგილების ამძრავს, დრეკად მოქნილ მომჭერ ელემენტებს რომელთა ერთი ბოლო დამაგრებულია ამძრავის ბოლო რგოლზე მეორე კი კორპუსზე, განსხვავდება იმით, რომ დრეკადი მოქნილი მომჭერი ელემენტები შესრულებულია ძაფების სახით, ძაფებზე კი განლაგებული სხეულები.

2. გამოგონება 1 მ განსხვავდება იმით, რომ სხეულები სფეროული ფორმისაა.

3. გამოგონება 1,2 მ განსხვავდება იმით, რომ სხეულები შესრულებულია ნახვრეტებით.

4. გამოგონება 1, 2, 3 მ განსხვავდება იმით, რომ სხეულების ნახვრეტების ბოლოები შესრულებული ნაზოლით.

საინფორმაციო
წყაროები

1. სსრკ საავტორო მოწმობა № 423623
B25i 15/02

2. სსრკ საავტორო მოწმობა № 531369
B25i 15/02

ხელმოწერა

განმცხადებელი,
საპატენტო რწმუნებული
ან წარმომადგენელი

რ ე ფ ე რ ა ტ ი


სატაცი მოწყობილობა

გამოგონება განკუთვნილია საზოგადოებრივი შეურნეობის ნების-
მიერ სფეროში გამოყენებისათვის, უპირატესად იგი გამოიყენება არა-
სწორ გეომეტრიული ფორმის მქონე ანდა მსხვრევადი საგნების
გადატანისას, მაგალითად, კვების მრეწველობაში, მედიცინაში და ა. შ.


მოწყობილობის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია მსხვრე-
ვადი და არასწორი გეომეტრიული ფორმის ობიექტების გადატანისას.

სატაცი მოწყობილობა შედგება: კორპუსისაგან, მასზე ტელესკო-
პურად დამაგრებულ ამძრავ ელემენტისაგან, კორპუსზე დამაგრე-
ბულს და ამძრავ ელემენტში გატარებულ ძაფებისაგან, რომლებზეც
აქინძულია სხეულები, გამჭოლი ნახვრეტებით და ნაწოლით.


საბათი მოწყობილობა



ფიგ. 1



ფიგ. 2



ფიგ. 3

განმცხადებელი, საპატენტო რწმუნებული ან წარმომადგენელი

ობიექტი — შოწყობილობა

G01K 7/22.

გამოგონებათა ხაერ-
თაშორისო კლასიფიკა-
ციის ინდექსი (გსკ)

გამოგონების დახაზე-
ლება

ტემპერატურის საზომი.

ტექნიკის დარგი

შემოთავაზებული გამოგონება განეკუთ-
ვნება ტემპერატურის საზომ ხელსაწყოებს
და გათვალისწინებულია ტემპერატურის დის-
ტანციური გაზომვისათვის.

გამოგონების ანალო-
გების დახასიათება

ცნობილია ტემპერატურის საზომები (1)
რომლებიც შეიცავენ მგრძობიარე ელემენტს
თერმისტორის სახით, მკვებავი ძაბვის წყა-
როს და გამზომ ხელსაწყოს. თერმისტორის
ჩართვა ხიდურ გამზომ სქემაში წარმოებს
დამაკავშირებელი ხაზის მეშვეობით. ასეთი
ტემპერატურის საზომების გამოყენება ვერ
უზრუნველყოფს გაზომვის მაღალ სიზუს-
ტეს.

პროტოტიპის დახა-
სიათება

სავარაუდო გამოგონების პროტოტიპად
შერჩეულია ტემპერატურის საზომით (2).
იგი შეიცავს მიმდევრობით შეერთებულ
თერმისტორს, გამმართველს, რომლებიც მი-
ერთებულია იმ დამაკავშირებელ ხაზის შე-
სასვლელთან, რომლის გამოსავალთან მიერ-
თებულია ეტალონური რეზისტორი და ერთ-
მანეთთან მიმდევრობით შეერთებული ცვლა-
დი ძაბვის წყარო და მარეგისტრირებული
ხელსაწყო. ეტალონური რეზისტორის ერთი
გამომყვანი გამმართველის გავლით მიერ-
თებულია ხაზის მეორე გამომყვანთან.

ტექნიკის დარგი

პროტოტიპის კრიტიკა

გამოგონების არსი და
მისგან გამომდინარე
ახალი ტექნიკური
შედეგი

ტემპერატურის ამ საზომშიც არ მიიღწევა გაზომვის სიზუსტე, რაც განპირობებულია დამაკავშირებელი ხაზის წინააღობისა და ელექტროდაბრკოლებების ძლიერი უარყოფითი გავლენით.

შემოთავაზებული სავარაუდო გამოგონება უზრუნველყოფს ტემპერატურის გაზომვის სიზუსტის გაზრდას. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოწყობილობა შეიცავს დამაკავშირებელი ხაზის შესავალზე ჩართულ ერთმანეთთან მიმდევრობით შეერთებულ თერმისტორსა და გამმართველს, რომლის გამოსავალზე პარალელურად ჩართულია ორი ხაზი. პირველი მათგანი შედგება მიმდევრობით შეერთებული მარეგისტრირებელი ხელსაწყოთაგან და ცვლადი ძაბვის წყაროთაგან, ხოლო მეორე — მიმდევრობით შეერთებულ გამმართველისა და ორრეზისტორიანი ძაბვის გამყოფისაგან. ამასთან ერთად, ცვლადი ძაბვის წყარო შეერთებულია სტაბილიზატორის გამოყვანთან, რომლის სამართავი შესავალი დამატებითი რეზისტორის გავლით ჩართულია ძაბვის გამყოფის შუა წერტილთან და ეტალონური რეზისტორის მეორე გამოყვანთან, რომლის პირველი გამოყვანილი გამმართველის გავლით არის შეერთებული დამაკავშირებელ ხაზთან.

სავარაუდო გამოგონება განსხვავდება იმით, რომ შეიცავს სტაბილიზატორს, ორრეზისტორიან გამყოფს და გამმართველს და აგრეთვე ელემენტთა შორის ახალ კავშირებს. ყოველივე ამან შესძინა მოწყობილობას ახალი თვისებები, რომლებიც იძლევა სავარაუდო ტექნიკური შედეგის მიღწევის საშუალებას.

აღწერა სტატიაში

ნახაზზე მოყვანილია აღწერილი ტემპერატურის საზომი, რომელიც შეიცავს თერმისტორს 1, გამმართველს, მაგალითად, ნახევარგამტარული დიოდის სახით 2, დამაკავშირებელი ხაზის 3 გამოსავალთან მიერთებულ ცვლადი დენის წყაროს 4, მუდმივი დენის მარეგისტრირებელ ხელსაწყოს 5, გამმართველს (დიოდს) 6, ეტალონურ რეზისტორს 7, გამმართველს (დიოდს) 8, ორრეზისტორიან გამყოფს 9, 10, დამატებით რეზისტორს 11, დენის სტაბილიზატორს 12.

აღწერა დინამიკაში

ტემპერატურის საზომი მუშაობს შემდეგნაირად. ცვლადი ძაბვის მკვებავით 4 გამო-მუშავებული ძაბვის ერთ ნახევარპერიოდში დენი მიედინება თერმისტორის 1, დიოდის 2, დამაკავშირებელი ხაზის 3 და მარეგისტრირებელი ხელსაწყოს 5 გავლით. აგრეთვე დიოდის 8, გამაწრფივებელი რეზისტორის 9 და რეზისტორის 10 შემცველ უბანში. მკვებავი ძაბვის მეორე ნახევარპერიოდში დენი მიედინება იმ წრედში, რომელიც შეიცავს დიოდს 6, ეტალონურ რეზისტორს 7 და რეზისტორებს 11, 10. სტაბილიზატორი 12 ახდენს კვების წყაროს 4 სტაბილიზაციას და ამცირებს დენის ცვალებადობით გამოწვეულ გაზომვის ცდომილებას, რაც მიიღწევა იმით, რომ სტაბილიზატორის სამართავ შესავალზე ერთი ნახევარპერიოდის განმავლობაში შეიწოდება სიგნალი ეტალონური რეზისტორის ზედა რეზისტორების 11, 10 წრედიდან. ამასთან ერთად სტაბილიზატორის სამართავი წრედის დადგენილი დროითი მუდმივა უნდა აღემატებოდეს მკვებავი ძაბვის ერთ პერიოდს.

ტემპერატურის საზომის გამოსავლის მახასიათებელის იმ არაწრფივობის თავიდან

აცილებს მიზნით, რომელიც განპირობებულია თერმისტორის არაწრფივობით, დენის სტაბილიზატორის 12 სამართავ წრედს მიეწოდება რეზისტორზე 10 იმ ძაბვის ვარდნის ნაწილი საპირისპირო ფაზაში, რომელიც გამაწრფივებელ რეზისტორში 9 გამავალი დენის ძალის პროპორციულია იმის გამო, რომ თერმისტორში 1 და რეზისტორში 9 გამავალი ჯამური დენი სტაბილიზირებულია, თერმისტორის ტემპერატურის გაზრდას რეზისტორში 9 გამავალი დენი ეცემა, ამით მიიღწევა გაწრფივების ეფექტი. რეზისტორში 11 არეგულირებს შემავალ დენს.

ტემპერატურის გაზომვის პროცესში მარეგისტრირებელი ხელსაწყო სულთვანი ჩვენების მიხედვით ადგენენ თერმისტორის წინალობისა და ეტალონური რეზისტორის წინალობის ტოლობას. თერმისტორის წინალობის განსაზღვრულ მნიშვნელობას კი შესაბამება განსაზღვრული ტემპერატურა, რომლის დადგენა ხდება წინასწარ აგებული კალიბრული გრაფიკით.

გამაწრფივებელი რეზისტორის მოთავსება სქემაში დამაკავშირებელი ხაზის მიმართ თერმისტორის მოთავსება სქემაში დამაკავშირებელი ხაზის მიმართ თერმისტორის გადაწოდების საპირისპირო მხარეზე ამარტივებს კომუტაციას, რომელიც აუცილებელია ტემპერატურის გაზომვის წრფივი ქვედაპაზონების ცვლილებებისა და უზრუნველყოფს დამაკავშირებელი ხაზის წინალობის ცვლილების და ელექტროდაბრკოლებების გავლენის შემცირებას.

განმცხადებელი,
საპატენტო რწმუნებული
ან წარმომადგენელი

გამოგონების გამოყენებით მიღებული სარგებლიანობა

ხელმოწერა

გამოგონების ფორმულა

ტემპერატურის საზომი, რომელიც შეიცავს დამაკავშირებელი ხაზის შესავალზე ჩართულ, ერთმანეთთან მიმდევრობით შეერთებულ თერმისტორსა და გამმართველს, ხოლო ამ ხაზის გამოსავალზე ჩართულ ეტალონურ რეზისტორს, რომელიც ერთი გამოყვანით გამმართველის გავლითაა მიერთებული მასთან და ერთმანეთთან მიმდევრობით შეერთებული ცვლადი ძაბვის წყაროსა და მარეგისტრირებულ ხელსაწყოს, განსხვავდება იმით, რომ მასში შეტანილია დამაკავშირებელი ხაზის შესავალთან ერთმანეთთან მიმდევრობით შეერთებული გამმართველი და ორრეზისტორიანი ძაბვის გამყოფი და დენის სტაბილიზატორი, ხოლო სამმართავი შესავალი ეტალონური რეზისტორის მეორე გამოყვანთან და დამატებითი რეზისტორის გავლით ძაბვის გამყოფის შუა წერტილთან.

ინფორმაციის
წყაროები

ინფორმაციის წყაროები:

1. А. М. Туричин. Электрические измерения неэлектрических величин, М. Л., «Энергия», 1966, стр. 135.
2. სსრკ საავტორო მოწმობა № 470764; გსკი G01K 27/02, 1973 (პროტოტიპი).

ხელმოწერა

განმცხადებელი,
საპატენტო რწმუნებული
ან წარმომადგენელი

რ ე ფ ე რ ა ტ ი

ტემპერატურის საზომი

შემოთავაზებული გამოგონება განეკუთვნება ტემპერატურის საზომ ხელსაწყოებს და უზრუნველყოფს ტემპერატურის გაზომვის გაზრდას.

ტემპერატურის საზომი შეიცავს დამაკავშირებელი ხაზის 3 შესასვლელზე ჩართულ ერთმანეთთან მიმდევრობით შეერთებულ თერმისტორსა და გამმართველს 2, რომლის გამოსასვლელზე პარალელურად ჩართულია ორი ხაზი. პირველი მათგანი შედგება მიმდევრობით შეერთებული მარეგისტრირებელი ხელსაწყოებისაგან 5 და ცვლადი ძაბვის წყაროსაგან 4, ხოლო მეორე — მიმდევრობით შეერთებულ გამმართველისა 8 და ორრეზისტორიანი ძაბვის გამყოფისაგან 9, 10. ამასთან ერთად ცვლადი ძაბვის წყარო შეერთებულია სტაბილიზატორის 12 გამოყვანთან, რომლის სამთავი შესაეალი დამატებითი რეზისტორის 11 გავლით ჩართულია ძაბვის გამყოფის შუა წერტილთან და ეტალონური რეზისტორის 7 მეორე გამოყვანთან, რომლის პირველი გამოყვანი გამმართველის 6 გავლით არის შეერთებული დამაკავშირებელ ხაზთან.

ობიექტი — ხერხი

C12G 1/06.

გამოგონებათა ხერხთა შორისო კლასიფიკაციის ინდექსი (გსკი) გამოგონების დასახელება

ტექნიკის დარგი

გამოგონების ანალოგების დახახიათება

მყარი ნახშირორქანით ღვინის დაგაზიანების ხერხი.

გამოგონება განეკუთვნება ყურძნისა და ხილ-კენკროვანი ღვინოების დაგაზიანების ტექნოლოგიას და შეიძლება გამოყენებულ იქნეს შუშხუნა (გაზიანი) ღვინოების წარმოებისას.

ცნობილია ყურძნისა და ხილ-კენკროვანი სასმელებისა და ღვინოების დაგაზიანების ხერხი, რომელიც ითვალისწინებს ხილ-კენკროვანი სასმელებისა და ღვინოების გაცივებას მისი გაყინვის წერტილთან მოახლოებულ ტემპერატურამდე, ხოლო შემდეგ მის დაგაზიანებას თხევადი ნახშირორქანით (1).

აღნიშნული ხერხის გამოყენება იწვევს ღვინის დიდ დანაკარგებს მისი ბოთლებში ჩამოსხმისას, რაც ძირითადად დაკავშირებულია CO₂-ით გადაჭერებასთან და ნაწილობრივ ღვინის წინასწარი გაცივების ოპერაციასთან. ღვინის დანაკარგები შეადგენს 1%-ს — CO₂-ის დანაკარგები 2%-ს. გარდა ამისა ამ ხერხში გათვალისწინებულია ღვინისა და CO₂-ის ერთმანეთში შემრევი სპეციალური ხელსაწყო სატურატორი და იზობარულ-იზოთერმული ჩამომსხმელი მანქანები. უკანასკნელი ღვინის წინასწარი გაცივების აუცილებლობითაა გამოწვეული.

ტექნიკის დარგი

**პროტოტიპის
დახასიათება**

პროტოტიპად შერჩეულია ხერხი, რომელიც ითვალისწინებს ღვინის წინასწარ გაცივებას, მის ბოთლებში ჩამოსხმას, მყარი ნახშირორჟანგით დაგაზიანებას, ბოთლების დაცობას, მიუზღეს გაკეთებას და ნჯღრევას (2).

**პროტოტიპის
კრიტიკა**

მაგრამ ეს ხერხიც ვერ გამორიცხავს წინასწარ გაცივებას, ღვინისა და ნახშირორჟანგის დანაკარგებს. ღვინის დანაკარგები შეადგენს 0,3%-ს. CO₂-ის 0,7%-ს.

**გამოგონების არსი და
მისგან გამომდინარე
ტექნიკური შედეგი**

შემოთავაზებული მყარი ნახშირორჟანგით ღვინის დაგაზიანების ხერხის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ღვინის ჩამოსხმასა, ღრუ საცობით ბოთლის დაცობასა და შენჯღრევასთან ერთად ითვალისწინებს დაცობის წინ მყარი ნახშირორჟანგის ძელაქის დამაგრებას საცობის ღრუში რგოლის მეშვეობით. ამასთან ყოველ 0,8 ლიტრ ღვინოზე აიღება 3,5—4 გრამი მყარი ნახშირორჟანგი.

გარდა ამისა, 15—20 წუთის განმავლობაში ხდება ბოთლების ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ნჯღრევა.

შემოთავაზებული გამოგონება უზრუნველყოფს ღვინისა და ნახშირორჟანგის დანაკარგების შემცირებას (ღვინის დანაკარგებია 0,05%, CO₂-ის 0,2%) ღვინის წინასწარი გაცივებისა და სპეციალური ხელსაწყოების გამოყენების თავიდან აცილების მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და მეტი სტაბილურობის მიღწევას.

გამოგონების განხორციელებადობის კონკრეტული მაგალითები

ყოველივე ამის გამო შესაძლებელი ხდება სავარაუდო ტექნიკური შედეგის მიღწევა. ხერხი განხორციელდება შემდეგნაირად: თეთრი ღვინო (შაქრიანობით 3%, სიმამრე 10,2%) „ჩუმი ხერხით“ ჩამოსხმება შამპა-

ნურის ბოთლში. შემდეგ 3,5—4,5 გრამიანი ცილინდრული ძელაკის სახის მქონე მყარი პოლიეთილენის რგოლის მეშვეობით, რომლის სისქეა 3 მმ და ნახვრეტის დიამეტრი 2 მმ, მაგრდება პოლიეთილენის საექსპედიციო შამპანურის საცობში. რგოლის ნახვრეტის დიამეტრი მყარი ნახშირორჟანგის ძელაკის ზომაზე ნაკლები უნდა იყოს.

პოლიეთილენის საექსპედიციო შამპანურის საცობი მასში ჩამაგრებულ მყარ ნახშირორჟანგთან ერთად ეცობა ღვინიან ბოთლს, რის შემდეგ უკეთდება მიუზლე და ინჯღრევა 15—20 წუთის განმავლობაში ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

ყოველ 0,8 ლიტრ ღვინოზე გამოსაყენებელი მყარი ნახშირორჟანგის რაოდენობა შეიძლება იცვლებოდეს 3,5 გრამიდან 4,5 გრამამდე, ხოლო ნჯღრევის დრო კი შესაბამისად 15 წუთიდან 20 წუთამდე.

მყარი ნახშირორჟანგით ღვინის დაგაზიანების ხერხში მყარი ნახშირორჟანგის 3,5 გრამზე ნაკლები რაოდენობით გამოყენება იწვევს ღვინის არასაკმარის დაგაზიანებას, რაც უარყოფითად მოქმედებს. მზა პროდუქციის ხარისხზე 4,5 გრამზე მეტი რაოდენობის გამოყენებისას ხდება ღვინის ჭარბი დაგაზიანება, რაც ასევე აქვეითებს მზა პროდუქციის ხარისხს. გარდა ამისა წარმოიქმნება წნევა, რომელიც აღემატება სტანდარტით დაშვებულ მნიშვნელობას.

მაგალითი 1.

სუფრის თეთრი ღვინო შაქრიანობით 3%, სიმაგრე 10,2%, „ჩუმი ხერხით“ ჩამოსხმება შამპანურის ბოთლში შემდეგ 3,5 გრადუსიანი ცილინდრული ძელაკის საქის მქონე მყარი CO₂ პოლიეთილენის რგოლის მეშვე-

ობით, რომლის სისქეა 3 მმ და ნახვრეტის დიამეტრი 2 მმ, მაგრამ პოლიეთილენის საექსპლოატაციო შამპანურის საცობში რგოლის ნახვრეტის დიამეტრი მყარი ნახშირორქანგის ძელაკის ზომაზე ნაკლები უნდა იყოს:

პოლიეთილენის საექსპლოატაციო შამპანურის საცობი მასში ჩამაგრებულ მყარ ნახშირორქანგთან ერთად დაეცობა ღვინიან ბოთლს, რის შემდეგ კეთდება მიუზღე და ხდება ნჯღრევა 15 წუთის განმავლობაში ჰორზონტალურ მდგომარეობაში.

გამოგონების გამოყენებით მიღებული სარგებლიანობა

შემოთავაზებული მყარი CO₂-ით ღვინის დაგაზიანების ხერხი უშუაშუნა ღვინოების წარმოებისას გამოიციხავს სატურატორების და სპეციალური იზობარულ-იზოთერმიული ჩამომსხმელი მანქანების გამოყენებას.

გამოიციხულია აგრეთვე ღვინის დაგაზიანების წინ მისი წინასწარი გაციეება და გაციეების ოპერაციასთან დაკავშირებული ღვინისა და ნახშირორქანგის დანაკარგები (ღვინის დანაკარგებია 0,05%, CO₂-ის 0,2%) ბოთლების ჩამოსხმისას ღვინის დანაკარგები მაქსიმალურად მცირდება. დაგაზიანების უფრო რბილი ჟანგბადიანი რეჟიმის ხარჯზე უმჯობესდება ღვინის ხარისხი და სტაბილურობა. მალდება ღვინის ნახშირორქანგით გაჯერების ხარისხი: ამ ხერხის გამოყენება მნიშვნელოვნად ამოკლებს მზა პროდუქციის მიღების ხანგრძლივობას, 8 საათიდან 3 საათამდე.

ხელმოწერა

განმცხადებელი,
საპატენტო რწმუნებული
ან წარმომადგენელი

გამოგონების ფორმულა

1. მყარი ნახშირორჟანგის ღვინის დავაზიანების ხერხი, რომელიც ითვალისწინებს ღვინის ჩამოსხმას, ღრუ საცობით ბოთლის დაცობას, მიუზღეს გაკეთებას, შენჯღრევას, განსხვავდება იმით რომ დაცობის წინ მყარი ნახშირორჟანგის ძელაკი მაგრდება საცობის ღრუში.
 2. ხერხი 1 მ მიხედვით განსხვავდება იმით, რომ ყოველ 0,8 ლიტრ ღვინოზე აიღება 3,5—4,5 გრამი ნახშირორჟანგი.
 3. ხერხი 1 მ მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ მყარი ნახშირორჟანგის ძელაკი რგოლის მეშვეობით მაგრდება საცობის ღრუში.
 4. ხერხი 1 მ მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ ბოთლების შენჯღრევა ხდება 15—20 წუთის განმავლობაში ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.
1. Сербезов Д. И., Фурнаджеев М. К., Производство безалкогольных напитков, М., «Пищевая промышленность», 1974, стр. 116.
 2. ამერიკის შეერთებული შტატების პატენტი № 3607303 ნკ 99—79, 1971.
განმცხადებელი,

ინფორმაციის
წყაროები:

ხელის მოწერა

საპატენტო რწმუნებული
ან წარმომადგენელი

რ ე ფ ე რ ა ტ ი

მყარი ნახშირორჟანგის ღვინის დაგაზიანების ხერხი გამოგონება განეკუთვნება ყურძნისა და ხილ-კენკროვანი ღვინოების დაგაზიანების ტექნოლოგიას.

წარმოდგენილი ხერხი უზრუნველყოფს ღვინისა და ნახშირორჟანგის დანაკარგების შემცირებას, ღვინის წინასწარი გაცივებისა და სპეციალური ხელსაწყოების გამოყენების თავიდან აცილებას, მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და მისი მიღების ხანგრძლივობის შემცირებას.

გამოგონების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ღვინის ჩამოსხმასა, ღრუ საცობით ბოთლის დაცობასა და შენჯღრევასთან ერთად ითვალისწინებს დაცობის წინ მყარი ნახშირორჟანგის ძელაქის დამაგრებას საცობის ღრუში რგოლის მეშვეობით, ამასთან ყოველ 0,8 ლიტრ ღვინოზე აიღება 3,5—4,5 გრამი მყარი ნახშირორჟანგი.

გარდა ამისა, 15—20 წუთის განმავლობაში ხდება ბოთლების ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ნჯღრევა.

ობიექტი — ნივთიერება

გამოგონების საერთა- A23G 3/30.

შორისო კლასიფიკაციის ინდექსი (გსკი)

გამოგონების დასახელება — სალეჭი რეზინა.

ტექნიკის დარგი

გამოგონების ანალოგების დახასიათება

გამოგონება განეკუთვნება კვების მრეწველობის დარგს და შეიძლება გამოყენებული იქნეს ადამიანის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

პროტოტიპის დახასიათება

ცნობილია სალეჭი რეზინა, რომელიც შეიცავს 20—25 მას. % ვინილაცეტატის პოლიმერს, 0,5—1 მას. % გემოვან დანამატს და დანარჩენს შაქარს (1). ამ სალეჭ რეზინას ახასიათებს დაბალი პლასტიკურობა (0,32 მმ 37°C-ზე), რაც ხდის სალეჭ რეზინას ძნელად დასალეჭს.

პროტოტიპის დახასიათება

სავარაუდო გამოგონების პროტოტიპად, თავისი არსისა და ტექნიკური შედეგის თვალსაზრისით, შერჩეულია სალეჭი რეზინა რომელიც შეიცავს 22—40 მას. % ვინილაცეტატის პოლიმერს, 1—3 მას. % კალციუმის კარბონატს, 0,5—1,0 მას. % გემოვან დანამატს, მაგალითად, მენტოლის ზეთს და დანარჩენს შაქარს (2).

პროტოტიპის კრიტიკა

ამ სალეჭ რეზინას ახასიათებს დაბალი პლასტიკურობა (0,95 მმ 37°C ტემპერატურაზე) და მაღალი ხსნადობა (13,5 გ/ლ 10 წუთში). სალეჭი რეზინა შეესაბამება რეზინის მოთხოვნილებებს, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს მაღალ პლასტიკურობას და ხსნადობის შემცირებას.

ტექნიკის დარგი

**გამოგონების არსი და
მისგან გამომდინარე
ახალი ტექნიკური
შედეგი**

სავარაუდო გამოგონებაში საღებუ რეზინის პლასტიკურობის გაზრდას და ხსნადობის შემცირებას აღწევენ იმით, რომ საღებუ რეზინში, რომელიც შეიცავს ვინილაცეტატის პოლიმერს, კალციუმის კარბონატს, გემოვან დანამატს და შაქარს, დამატებით შეტანილია ლიმონის მჟავა და წყალი კომპონენტების შემდეგი თანაფარდობით, მას. %:

ვინილაცეტატის პოლიმერი	28,0—40
ლიმონის მჟავა	1,0—2,0
წყალი	2,0—4,5
კალციუმის კარბონატი	1,0—3,0
გემოვანი დანამატი	0,1—1,0
შაქარი	60—65

საღებუ რეზინაში ლიმონის მჟავას და წყლის შეტანა აღნიშნულ თანაფარდობით იძლევა საშუალებას გაიზარდოს რეზინის პლასტიკურობა.

(12,56—15,4 მმ-მდე 37°C-ზე), შემცირდეს ხსნადობა (0,4—0,2 გ/ლ. 10 წუთში), გაუმჯობესდეს ორგანოლუპტიკური მაჩვენებლები.

კომპონენტების მოცემული შემადგენლობა უზრუნველყოფს საღებუ რეზინის ახალ სასურველ თვისებებს.

საღებუ რეზინის მიღება ხდება შემდეგნაირად:

იღებენ 28—40 კგ ვინილაცეტატის პოლიმერს, 1,0—2,0 კგ ლიმონის მჟავას, 2,0—4,5 კგ წყალს, 1—3,0 კგ კალციუმის კარბონატს, 0,1—1,0 კგ. გემოვან დანამატს, დანარჩენს შაქარს. ყველაფერს ათავსებენ ქურჭელში და ერთმანეთში ურევენ. მიღებული საღებუ რეზინის პლასტიკურობა უდრის 15,40 მმ, ხსნადობა 0,4 გ ლ 10 წუთში

(პლასტიკურობა და წყალში ხსნადობა განსაზღვრულია 37°C-ზე).

ვინილაცეტატის პოლიმერს 28 მას. % ნაკლები რაოდენობით შეტანა იწვევს საღებუკი რეზინის დარბილებას 40 მას. % მეტი რაოდენობა კი ხდის საღებუ რეზინას ძნელად დასაღებეს.

ლიმონის მჟავას 1,0 მას. % ნაკლები რაოდენობით შეტანა იწვევს საღებუ რეზინის პლასტიკურობის დაწევას, 2,0 მას. 9-ზე მეტი რაოდენობით კი საღებუ რეზინის გამაგრებას.

წყლის შეტანა 2,0 მას. % ნაკლები რაოდენობით იწვევს წყალში ხსნადობის აწევას, 4,5 მას. % ზევით საღებუკი რეზინის დარბილებას.

კალციუმის კარბონატის 1,0 მას. % ნაკლები რაოდენობით შეტანა ადაბლებს საღებუ რეზინის ანტიადგეზურ თვისებებს, 3,0 მას. % ზევით კი არ ცვლის რეზინის თვისებებს, მაგრამ იწვევს ზედმეტ ხარჯებს.

გემოს მისაცემ დანამატს 0,1 მას. % ნაკლები რაოდენობით შეტანა არ აძლევს საღებუ რეზინას სასიამოვნო გემოს, 1,0 მას. % ზემოთ აღებული დანამატი კი იწვევს რეზინის გამწარებას.

გამოგონების განხორციელებადობის კონკრეტული მაგალითი

მაგალითი 1. იღებენ 28 კგ ვინილაცეტატის პოლიმერს, 1 კგ კიმონის მჟავას, 2,0 კგ წყალს, 1 კგ ანტიადგეზიურ დანამატს კალციუმის კარბონატის სახით, 0,1 კგ გემოვან დანამატს მენტოლის ან ფორთოხლის ზეთის სახით, 67,0 კგ შაქარს, ათავსებენ ჰურჭელში და ერთმანეთში ურევენ. მიღებული საღებუკი რეზინის პლასტიკურობა 12,55 მმ ტოლია, ხსნადობა 0,2 გ/ლ. 10 წუთში.

მაგალითი 2. იღებენ 32 კგ ვინილაცეტატის პოლიმერს, 1,5 კგ ლიმონის მჟავას, 3,0 კგ წყალს, 2 კგ კალციუმის კარბონატს, 0,5 კგ მენტოლის ან ფორთოხლის ზეთს, 61 კგ შაქარს, ათავსებენ ჭურჭელში და ერთმანეთში ურევენ.

მიღებული სადექი რეზინის პლასტიკურობა 10,51 მმ ტოლია, ხსნადობა 0,3 გ/ლ 10 წუთში.

მაგალითი 3. იღებენ 40 კგ ვინილაცეტატის პოლიმერს, 2,0 კგ კალციუმის დანამატს, 1,0 კგ მენტოლის ან ფორთოხლის ზეთს, 49 კგ შაქარს, ათავსებენ ჭურჭელში და ერთმანეთში ურევენ.

მიღებული სადექი რეზინის პლასტიკურობა 15,40 ტოლია, ხსნადობა 0,4 გ/ლ 10 წუთში.

გამოგონების გამოყენებით მიღებული სარგებლიანობა

სავარაუდო გამოგონება იძლევა პლასტიკურობის გაზრდის საშუალებას 12,5°—15,40 მმ-მდე, ხსნადობის დაწევას 0,4—0,2 გ/ო-მდე და ორგანოლექტიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

განმცხადებელი,

ხელის მოწერა

საპატენტო რწმუნებული
ან წარმომადგენელი

გამოგონების ფორმულა

საღეჭი რეზინა, რომელიც შეიცავს ვინილაცეტატის პოლიმერს, კალციუმის კარბონატს, გემოვან დანამატს და შაქარს, განსხვავდება იმით, რომ მის შემადგენლობაში შეტანილია დამატებით ლიმონის მჟავა და წყალი კომპონენტების შემდეგი თანაფარდობით, მას %:

ვინილაცეტატის პოლიმერი	28,0—40
ლიმონის მჟავა	1,0—2,0
წყალი	2,0—4,5
კალციუმის კარბონატი	1,0—3,0
გემოვანი დანამატი	0,1—1,0
შაქარი	60,0—65,0

საინფორმაციო წყაროებია:

1. საფრანგეთის განაცხადი № 2100023, ვსკი A23G 3/30, გამოქვეყნებულია 23.03.65 წ.
2. ამერიკის შეერთებული შტატების პატენტი № 45007350, გეკ 115—90 ვსკი A23G 3/30, გამოქვეყნებულია 12.12.67 წ.

ხელის მოწერა:

განმცხადებელი,
საპატენტო რწმუნებული
ან წარმომადგენელი

რ ე ფ ე რ ა ტ ი

საღეჭი რეზინი

გამოგონება განეკუთვნება კვების მრეწველობის დარგს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ტექნიკური შედეგი — საღეჭი რეზინის კლასიკურობის გაზრდა და ხსნადობის შემცირება.

საღეჭი რეზინი შეიცავს კომპონენტებს შემდეგი თანაფარდობით მას. %.

ვინილაცეტატის პოლიმერი	— 28,0—0,40
ლიმონის მჟავა	— 1,0—2,0
წყალი	— 2,0—4,5
კალციუმის კარბონატი	— 1,0—3,0
გემოვანი დანამატი	— 0,1—1,0
შაქარი	— 60,0—65,0

ობიექტი — მიკროორგანიზმის შტამი

გამოგონების საერთა- C 12N 15/00.
შორისო კლასიფიკა- საფუარის შტამი Candida Krusei
ციის ინდექსი (გსკი) VEH-11 ცილის პროცენტი.

გამოგონების დასა-
ხელება
ტექნიკის დარგი

გამოგონება განეკუთვნება მიკრობიოლო-
გიის დარგს და წარმოადგენს საფუარის
ახალ შტამს, რომელიც გამოიყენება ცილის
მისაღებად.

გამოგონების ანალო- ცნობილია საფუარის შტამი Candida
გის დახასიათება guelliermondii H-249 — ბიომასის პროდუ-
ცენტი მინერალურ არეებზე, რომელიც ნახ-
შირბადის წყაროდ შეიცავს კაპროლაქტამის
წარმოების გაუფისოებულ ჩამონათვალს. (1).

სავარაუდო გამოგონების პროტოტიპად,
თავისი არსისა და ტექნიკური შედეგის
თვალსაზრისით შერჩეულია საფუარის შტა-
მი Candida Krusci — ცილის პროდუცენ-
ტი, რომლის ბიომასა შეიცავს 38% ცილას,
მიღებულ ცილაში განსაზღვრულია შეუც-
ვლელი ამინომჟავები (2).

პროტოტიპის დახა-
სიათება

საფუარის შტამი გამოიყენება როგორც
ცილის პროდუცენტი, მორფოლოგო-ფიზიო-
ლოგიური თვისებებით იგი აკმაყოფილებს
წყენებულ მოთხოვნებს, მაგრამ ბიომასაში
ცილის პროცენტული რაოდენობა შედა-
რებით დაბალია.

გამოგონების არსი და საავარაუდო გამოგონებაში ცილის მისა-
მისგან გამომდინარე ღებ ნედლეულის ბაზის გაფართოება მიიღ-
ახალი ტექნიკური წევა საფუარის შტამის Candida Krusci
შედეგი VEN-11-ის გამოყენებით.

შტამი გამოიყოფა 2—3 დღიანი ფიჭვის
წიწოვანი ექსტრაქტიდან, არაპათოგენურია,
უჯრედები. განლაგებულია სათითაოდ და

ტექნიკის დარგი

პროტოტიპის კრიტიკა

მცირე გროვებად მათი ფორმა ოვალურია ან ოვალურ-წაგრძელებული, ზომები (2,6—3,9) × (5,9—13,0) მკ. საფუარები მრავლდებიან დაკვირვებით, წარმოქმნიან ფსევდოპიცელიუმს.

შტრიხი ტკბილი აგარზე — ზრდა უხვი, თეთრი ფერის, ზედაპირი ოდნავ და-ოდნავ დანაოქებულია. აგარიზებული წიწვანი ექსტრაქტი, კოლონიები რუხი ფერის, მრგვალი — ცენტრი გვერდებთან შედარებით ამოზნექილია.

შტრიხები ტკბილი აგარზე — ზრდა უხვი, თეთრი ფერის, ზედაპირი ოდნავ და-ბტალღულია პროფილი ამოზნექილია, თხევადი ლუდის ტკბილზე წარმოქმნის თხელ აპკს, რომელიც ზემოთ ამოდის სინჯარის კედლებზე.

ფიზიოლოგიური ნიშნების წიწვანი ხეების ფიტონციდების მიმართ გამძლეა. შაქრებიდან ასიმილირებს გლუკოზას, საქაროზას სუსტად იწვევს გლუკოზის დუღილს. სპირტებთან დამოკიდებულება — ითვისებს გლიცერინს და ეთილის სპირტს. ორგანულ მეთვებთან დამოკიდებულება — ითვისებს ქარვის, რძის და ძმარმეავენს. ნიტრატებს არ ითვისებს. ეელატინს არ ითხიერებს.

გამოგონების განხორ-
ციელებადობის კონ-
კრეტული მაგალითი

საწყის მასალას (წიწვი) 100 გრ. ოდენობით აქუცმაცებენ და ახდენენ მის ექსტრაქციას. 18—20°C-ზე 15—20 წუთის განმავლობაში ამიაკის ხსნარით. PH დაპყავთ 5-მდე და შეაქვთ აზოტის წყარო $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ —0,5 გრ. სახით ექსტრაქტს ასხამენ მცირე რაოდენობის საფუარს. ფერმენტაციას ატარებენ უწყვეტი მეთოდით. მიღებულ ბიომასას გამოყოფენ ფილტრაციით. ბიომასა შეიცავს 49% ცილას. მიღებულ

გამოგონების გამოყენებით მიღებული სარგებლიანობა

ხელის მოწერა

ცილაში განსაზღვრულია 18 ამინომჟავა, მათ შორის შეუცვლელი ამინომჟავები. გამოსავალი შეადგენს 18,6% აბსოლუტურად მშრალი ნივთიერების მასალიდან.

სავარაუდო გამოგონება იძლევა ცილის მისაღებ ნედლეულის ბაზის გაფართოებას. ბიომასა შეიცავს 49% ცილას, მიღებულ ცილაში განსაზღვრულია 18 ამინომჟავა. მათ შორის შეუცვლელი ამინომჟავები.

განმცხადებელი,
საპატენტო-რწმუნებული
ან წარმომადგენელი

გამოგონების ფორმულა

საფუარის შტამი *Candida Krusei* VEH-11 ცილის პროდუცენტი, ინახება სიბირსკის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კოლექციაში.

მორფოლოგიური
ნიშნები

უჯრედთა ზომა (5,9—13,0) × (2,6—3) მკფორმა ოვალური ან ოვალური წაგრძელებულია: საფუარები მრავლდება დაკვირვებით, წარმოქმნიან ჩანასახოვან ფსევდომიცელიუმს.

აგარის ტუბილზე კოლონიები მრგვალია, თეთრი, დაკლაკნილი, ოდნავ დანაოჭებული შუაგულით.

აგარიზეებული წიწოვან ექსტრაქტზე კოლონიები რუხია მრგვალი — ცენტრი გვერდებთან შედარებით წამოწეულია, შტრიხი აგარის ტუბილზე. ზრდა უხვი, თეთრი ფერის, პროფილი წამოზნექილი. თხევადი ტუბილი. თხელი აკვი, სინჯარის კედლებზე ამოსული.

ფიზიოლოგიური და
ბიოქიმიური

წიწოვანი ხეების ფიტონციდების მიმართ გამძლეა, ნახშირბადთან დამოკიდებულება — ასიმბიოტირებს გლუკოზას, სუსტად საქაროზას. იწვევს გლუკოზის დუღილს.

სპირტებთან დამოკიდებულება — ითვისებს გლიცერინის ეთანოლს.

ორგანულ მჟავებთან დამოკიდებულება — ითვისებს ძმარმჟავას. რძისა და ქარვა მჟავებს. ნიტრატებს აზოტს არ ითვისებს უელატინს არ ათხიერებს.

შტამის კულტივირებისას წიწვის წყლოვან ექსტრაქტებზე ბიომასის გამოსავლიანობა შეადგენს 18,6%.

ექსტრაქტის მშრალი ნივთიერებებიდან ცილის შემცველობა ბიომასაში შეადგენს

49%-ს ცილების შედგენილობაში შედის ყველა შეუცვლელი ამინომჟევა. შტამი არა-პათოგენურია.

საინფორმაციო წყაროები:

1. საავტორო მოწმობა № 244272 გსკი C12K 3/00 1969 წ.
2. ამერიკის შეერთებული შტატების პატენტი № 46745003.

ხელის მოწერა

განმცხადებელი,
საპატენტო რწმუნებული
ან წარმომადგენელი

სასარგებლო მოდელზე განაცხადის გაფორმების
და წარდგენის წესი

1. ძირითადი ცნებები და დებულებები

1.1. სასარგებლო მოდელი, როგორც სამრეწველო საკუთრების ობიექტი.

სასარგებლო მოდელი სამრეწველო საკუთრების ობიექტია და გამოგონების შესახებ დებულების VII თავის მიხედვით მასზე პატენტი გაიცემა.

სასარგებლო მოდელად მიიჩნევა მოწყობილობა (მანქანა-მექანიზმის, დანადგარის, ხელსაწყო, იარაღის, ელექტრო საჭკის და ა. შ. (ხერხის) ტექნოლოგიური პროცესის, საშუალების, ოპერაციის და ა. შ.), ნივთიერების (ნარევის, ხსნარის, შენადნობის, ქიმიური ნაერთის და ა. შ.) გაუმჯობესება.

სასარგებლო მოდელი თავის არსითა და მნიშვნელობით მცირე გამოგონებას წარმოადგენს, თუმცა იგი არ არის მიმართული ტექნიკის დონის ასამაღლებლად. სასარგებლო მოდელს უნდა ახასიათებდეს სიახლე და სარგებლიანობა.

სასარგებლო მოდელის სიახლის განსაზღვრისათვის გამოიყენება შესაბამისი დარგის არსებული ტექნიკის დონე. სასარგებლო მოდელის შესაბამისი დარგის ტექნიკის დონე გულისხმობს განაცხადის წარდგენის თარიღისათვის მსოფლიოში დაგროვილ ზეპირ, ან პრაქტიკულად გამოყენებულ ცოდნას სასარგებლო მოდელის შესატყვის დარგში.

ტექნიკის არსებული დონის დასადგენად გამოიყენება შემდეგი საინფორმაციო წყაროები:

- გამოგონებათა სრული აღწერილობები;
- საპატენტო-საინფორმაციო გამოცემები;
- დარგობრივი საინფორმაციო გამოცემები;
- წიგნები, სახელმძღვანელოები და ა. შ.;
- კატალოგები, საფირმო პროსპექტები და ა. შ.;
- სტანდარტები;

— სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ანგარიშები;

— დემონირებულნი ნაშრომები,

— დისერტაციები, ავტორეფერატები;

— გამოფენის ექსპონატები;

— ზეპირი მოხსენებები, ლექციები და ა. შ.;

სასარგებლო მოდელი სარგებლიანია, თუ მისი გამოყენება შეიძლება ბრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში, სახალხო მეურნეობაში ან საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა დარგში.

1.2. ობიექტები, რომელიც სასარგებლო მოდელეზად არ მიიჩნევა. სასარგებლო მოდელად არ მიიჩნევა:

— აღმოჩენა მეცნიერული, გეოგრაფიული და ა. შ. (სამეცნიერო თეორია ან მათემატიკური მოდელი;

— ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოები ან სხვა მხატვრული შემოქმედება — კონსტრუირების შედეგი (მაგალითად დიზაინი);

— ალგორითმი და უშუალოდ პროგრამა გამოთვლითი მანქანისათვის;

— მეურნეობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდი;

— აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა და ა. შ.;

— ნაგებობის, შენობის, ტერიტორიის დაგეგმარების პროექტი და სქემა;

— პირობითი ნიშანი, განრიგი, წესი;

— ინფორმაციის მიწოდების ხერხი, (მაგალითად, ცხრილი და ფორმულარი);

— სტრუქტურა, რომელიც ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს (მაგალითად, მანქანები, რომლებიც მუშაობენ ენერგოკვების გარეშე);

— მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები;

— მიკროორგანიზმთა შტამები, მცენარეთა და ცხოველთა ქსოვილთა კულტურები;

— ქიმიური ხერხით მიღებული ნივთიერებანი;

— ბიოტექნოლოგიისა და ჯენური ინჟინერიის ობიექტები.

1.3. ობიექტები, რომლებზეც პატენტი არ გაიცემა.

პატენტი არ გაიცემა სასარგებლო მოდელზე, რომელიც ეწინააღმდეგება ჰუმანურობის და მორალის პრინციპებს, ან რომლის გა-

მოყენებამ შეიძლება შელახოს საზოგადოებრივი ინტერესები და ადამიანური ღირსება, წაახალისოს ანტისაზოგადოებრივი ქმედობა.

1.4. სასარგებლო მოდელის პრიორიტეტი.

სასარგებლო მოდელს პრიორიტეტი ენიჭება „საქპატენტში“ განაცხადის წარდგენის თარიღიდან.

თუ საქპატენტში შესული განაცხადი მისი არსის გასახსნელად დამატებითი მასალების წარდგენას ითხოვს, მას პრიორიტეტი იმ შემთხვევაში უნარჩუნდება თუ დამატებითი მასალები „საქპატენტში“ აღნიშნული განაცხადის შეტანიდან 1 თვის ვადაში მიეწოდება.

სასარგებლო მოდელს საკონვენციო პრიორიტეტი ენიჭება პარიზის კონვენციის წევრ სახელმწიფოში პირველი სწორად გაფორმებული განაცხადის წარდგენის თარიღიდან, თუ განაცხადი ამ სასარგებლო მოდელზე „საქპატენტში“ აღნიშნული თარიღიდან 12 თვის განმავლობაში შევიდა. განაცხადის წარმდგენელმა, რომელსაც საკონვენციო პრიორიტეტის უფლებით სარგებლობა სურს, მოთხოვნაზე უნდა მიუთითოს განაცხადის წარდგენისას ან წარდგენის თარიღიდან 2 თვის განმავლობაში. პირველი განაცხადის ასლი, დამოწამებული მისი მიმღები საპატენტო უწყების მიერ, „საქპატენტს“ წარედგინება საკონვენციო განაცხადის მიღების თარიღიდან არაუგვიანეს 3 თვისა. ამასთან, საკონვენციო განაცხადის შინაარსი უნდა შესაბამებოდეს პირველი განაცხადის შინაარსს.

ზემოთ მითითებულ 12 თვიან ვადაში არ შედის პირველი განაცხადის წარდგენის დღე. თუ ამ ვადის ბოლო დღე უქმეა, ბოლო დღედ აღნიშნული უქმე დღის მოძღვევნა უახლოესი სამუშაო დღე ითვლება.

თუ ვადის დასასრული ისეთ თვეზე მოდის, რომელშიც არ არის პირველი განაცხადის წარდგენის თარიღი შესაბამისი რიცხვის, მაშინ ვადა იმ თვის ბოლო დღეს ამოიწურება.

თუ განმცხადებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზით (სტიქიურა უბედურება და სხვა) საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნით განაცხადის წარდგენა აღნიშნულ ვადაში ვერ მოხერხდა, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არა უმეტეს 2 თვისა.

2. სასარგებლო მოდელის ობიექტები

2.1. სასარგებლო მოდელის ობიექტი — მოწყობილობა

მოწყობილობას, როგორც სასარგებლო მოდელის ობიექტს, განეკუთვნება გაუმჯობესებული კონსტრუქციები და ნაკეთობები (მან-

ქანა-მექანიზმები, დანადგარები, ხელსაწყოები, იარაღები, ელექტროსქემები, მცირე არქიტექტურული ფორმები და მათი ელემენტები და სხვა).

2.1.1. მოწყობილობის დამახასიათებელი ნიშნები

მოწყობილობის დასახასიათებლად გამოიყენება ნიშნები, რომელთა მეშვეობით უმჯობესდება:

- თვით მოწყობილობა (კვანძები);
- კონსტრუქციული ელემენტი (ელემენტები);
- ელემენტების ურთიერთგანლაგება;
- ელემენტის (ელემენტების) ან მთლიანად მოწყობილობის შესრულების ფორმა, კერძოდ, გეომეტრიული ფორმა და ა. შ.;
- ელემენტის (ელემენტების) პარამეტრები ან სხვა დამახასიათებლები ან მათი ურთიერთკავშირი;
- მასალა, რომლისგანაც შესრულებულია ელემენტი (ელემენტები).

მოწყობილობის დასახასიათებლად გამოიყენება ელემენტის (ელემენტების) ზომათა ურთიერთშეფარდება.

2.2. სასარგებლო მოდელის ობიექტი — ხერხი.

ხერხს, როგორც სასარგებლო მოდელის ობიექტს, განეკუთვნება მატერიალურ ობიექტზე (ობიექტებზე) ურთიერთდაკავშირებულ მოქმედებათა შესრულების გაუმჯობესებული პროცესები.

— საშუალებების, ოპერაციების, პროცესების შესრულების რეჟიმები და კონკრეტული ტექნოლოგიური პარამეტრები (წნევა, ტემპერატურა და ა. შ.);

— მოწყობილობათა, მასალათა გამოყენების სხვადასხვა პირობები;

— საშუალებებში, ოპერაციებში, პროცესებში გამოყენებული ელემენტები, მასალები.

— ამასთან, ხერხი ხასიათდება:

— საშუალებების, ოპერაციების, პროცესების თანმიმდევრობის შეცვლით (ერთდროულად, სხვადასხვა სახის შეთავსებით და ა. შ.);

— საშუალებებში, ოპერაციებში, პროცესებში გამოყენებულ მასალათა თანაფარდობათა ცვლილებებით (მაგალითად, რაოდენობრივი, პარამეტრული და ა. შ.).

2.3. სასარგებლო მოდელის ობიექტი — ნივთიერება

ნივთიერებას, როგორც სასარგებლო მოდელის ობიექტს განეკუთვნება

ნება გაუმჯობესებული ნარევები, ხსნარები, შენადნობები და სხვა-
გვარი კომპოზიციები.

2.3.1. ნივთიერების დამახასიათებელი ნიშნები

ნივთიერების დამახასიათებლად გამოიყენება:

- ინგრედიენტები, კომპონენტები;
- ინგრედიენტების, კომპონენტების ურთიერთგანლაგება;
- ინგრედიენტების და კომპონენტების თანაფარდობა, მათ შო-
რის რაოდენობრივი, სტრუქტურული, შემადგენლობითი;
- ინგრედიენტების, კომპონენტების თვისებრივი ფიზიკურ-ქი-
მიური მახასიათებლები.

8. განაცხადი

8.1. განაცხადის წარდგენა

განაცხადი პატენტის მიღებაზე „საქპატენტში“ შეაქვს:

— ავტორს მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი პატენტის
ნიღების უფლებას უთმობს გამოგონებათა ეროვნულ ფონდს;

— ავტორის უფლებამონაცვლეს (მათ შორის იურიდიულ პირს),
რომელსაც ავტორმა გადასცა განაცხადის წარდგენის უფლება.

განაცხადი ასევე შეიძლება წარადგინოს საქართველოს საპატენ-
ტო რწმუნებულმა.

საქართველოს მოქალაქეობის არამქონე პირს, ან მოქალაქეს რო-
მელსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტო-
რიაზე არ გააჩნია ან მათ წარმომადგენლებს „საქპატენტში“ განაცხა-
დი შეაქვთ მხოლოდ საქართველოს საპატენტო რწმუნებულის მეშვე-
ობით.

8.2. განაცხადის შედგენილობა

დებულების თანახმად განაცხადი პატენტის მიღებაზე უნდა შეი-
ცავდეს:

- განცხადებას დადგენილი ფორმით;
- სასარგებლო მოდელის აღწერას, რომელზეც ისეთი სისრუ-
ლით არის გაშუქებული სასარგებლო მოდელის ობიექტის არსი, რომ
მასზე დაყრდნობით სპეციალისტმა ამ მოდელის განხორციელება შეი-
ძლოს;

— სასარგებლო მოდელის ერთმუხლიან ფორმულას; რომელიც მთლიანად აღწერაზე იქნება დაფუძნებული;

— ნახაზებს, თუ ეს აღწერილი მოდელის არსის გასაგებად არის აუცილებელი;

— რეფერატს;

— საგანაცხადო ბაჟის გადახდის დამადასტურებელ საბუთს (თუ განმცხადებელი პატენტის მიღების უფლებას უთმობს გამოგონებათა ეროვნულ ფონდს, ყველა სახის ბაჟი უნდა გადაიხადოს აღნიშნულმა ფონდმა).

3.3. განაცხადის დანართი დოკუმენტები

3.3.1. განაცხადის წარდგენა საპატენტო რწმუნებულის მეშვეობით
განაცხადს, რომელსაც საპატენტო რწმუნებული წარადგენს, თან ერთვის მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი.

საპატენტო რწმუნებულის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი უნდა გაფორმდეს იმ ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, სადაც იგი შედგა.

3.3.2. კონვენციური განაცხადი

კონვენციურ განაცხადს თან ერთვის პირველი განაცხადის კონვენციის წევრი ქვეყნის საპატენტო უწყების მიერ დამოწმებული ასლი.

3.4 განაცხადის ენა

საგანაცხადო დოკუმენტაცია გაფორმდება და „საქპატენტში“ შეიტანება ქართულ ან ნებისმიერ სხვა ენაზე. თუ საგანაცხადო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე არ არის შედგენილი უნდა ითარგმნოს ქართულად. ავტორი (განმცხადებელი) ვალდებულია უზრუნველყოს თარგმანის ავთენტიკურობა. ამასთან განაცხადში შემავალი დადგენილი ფორმის განცხადების წარდგენა ხდება ქართულ ენაზე.

3.5 განაცხადის დოკუმენტაციის წარდგენა

3.5.1. ეგზემპლარების რაოდენობა

განცხადება პატენტის მიღებაზე, აღწერილობა, ფორმულა, რეფერატი და ნახაზები წარადგენილ უნდა იქნეს ორ ეგზემპლარად, დამატებითი მასალები ერთ ეგზემპლარად.

8.5.2. განაცხადის დანართი დოკუმენტების წარდგენის ვადები

საბუთი, რომელიც საპატენტო რწმუნებულის უფლებამოსილებას ადასტურებს, განაცხადთან ერთად უნდა იქნეს წარდგენილი.

საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნისას პირველი განაცხადის ასლის წარდგენა შეიძლება „საქპატენტში“ საკონვენციო განაცხადის შეტანის თარიღიდან სამი თვის ვადაში.

საგანაცხადო დოკუმენტაციის ქართული თარგმანი „საქპატენტში“ შეიტანება არა უგვიანეს ერთი თვისა იმავე სასარგებლო მოდელზე პირველი (სხვა ენაზე შესრულებული) განაცხადის შემოსავლის თარიღიდან.

8.6. განცხადება პატენტის მიღებაზე

8.6.1. განაცხადების შინაარსი

პატენტის მიღებაზე განცხადება გამოგონების პატენტზე განცხადების მსგავსად წარედგინება ქართულად (დანართი მოყვანილი ფორმით) და უნდა შეიცავდეს ყველა საჭირო მონაცემებს.

განაცხადი განცხადების გარეშე განსახილველად არ მიიღება.

8.6.2. ხელმოწერა

განცხადებას ხელს აწერს ავტორი ან მისი უფლებამონაცვლე (ფიზიკური ან იურიდიული პირი), ან მათი უფლებამოსილი პირი.

თუ განცხადებას ხელს აწერს უფლებამოსილი პირი საჭიროა ამ უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთის წარდგენა.

8.7. სასარგებლო მოდელის აღწერილობა

8.7.1. დანიშნულება

სასარგებლო მოდელის აღწერილობა საჭიროა მისი განხორციელებადობის საკმარისი სისრულის ასახსნელად. აღწერილობა ადასტურებს სამართლებრივი დაცვის სასარგებლო მოდელის ფორმულით განსაზღვრულ ფარგლებს.

8.7.2. აღწერილობის ხტრუქტურა

აღწერილობა იწყება სასარგებლო მოდელის დასახელებით და მოქმედი საერთაშორისო კლასიფიკაციის საკლასიფიკაციო ინდექს-

სის მითითებით, რომელსაც სავარაუდო სასარგებლო მოდელი მიეკუთვნება, აღწერილობა უნდა შეიცავდეს შემდეგ სტრუქტურულ თანამიმდევრობას:

— ტექნიკის დარგი, რომელსაც მიეკუთვნება სასარგებლო მოდელი);

— სასარგებლო მოდელის არსი;

— ნახაზების ფიგურების ნუსხა (თუ ისინი თან ერთვის განაცხადს);

— მონაცემები, რომლებიც აღსტურებენ სასარგებლო მოდელის განხორციელებადობას.

დაუშვებელია მოდელის მთლიანი ან ნაწილობრივი აღწერილობის შეცვლა საჭირო მონაცემების შემცველი პირველწყაროს მითითებით (ლიტერატურული პირველწყარო სტანდარტი, გამოგონების აღწერილობა, სასარგებლო მოდელის აღწერილობა, მათ შორის ადრე წარმოდგენილის და სხვა).

8.8. სასარგებლო მოდელის დასახელება

სასარგებლო მოდელის დასახელებაში უნდა გამოხატული იყოს მისი დანიშნულება, არსი და როგორც წესი, შეესაბამებოდეს საერთაშორის კლასიფიკაციის რუბრიკას, შედგებოდეს არაუმეტეს 10 სიტყვისაგან.

განმცხადებლის განცხადების საფუძველზე დასაშვებია, სასარგებლო მოდელის დასახელებას ავტორის სახელი ან სპეციალური სახელწოდება დაემატოს.

დასახელება უნდა იყოს მხოლოდით რიცხვში.

გამონაკლისს წარმოადგენს:

— დასახელება, რომელიც არ იხმარება მხოლოდით რიცხვში;

— იმ სასარგებლო მოდელის დასახელება, რომელიც ქიმიურ ნაერთს მიეკუთვნება და რომელიც საერთო სტრუქტურულ ფორმულას მოიცავს.

8.9. აღწერილობის სტრუქტურის შინაარსი

8.9.1. ტექნიკის დარგი, რომელსაც მიეკუთვნება სასარგებლო მოდელი

ამ ნაწილში მიეთითება დარგი, რომელშიც შეიძლება სასარგებლო მოდელის გამოყენება, შემდგომი დაკონკრეტებით, თუ ასეთი

დარგი რამდენიმეა, მიეთითება დარგი, რომელსაც ეძლევა უპირატესობა.

აღწერილობის ეს ნაწილი იწყება სიტყვებით, სასარგებლო მოდელი განეკუთვნება... დარგს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს...“

(მაგალითად, სასარგებლო მოდელი განეკუთვნება სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის დარგს და შეიძლება გამოყენებული იქნეს ჩაის ბუჩქების სასხლავად).

8.9.2. ტექნიკის დონე

აღწერილობის ამ ნაწილში მითითებული უნდა იყოს ანალოგებისა და პროტოტიპის მონაცემები.

ანალოგებისა და პროტოტიპის აღწერისას უნდა აღინიშნოს თითოეული მათგანის საინფორმაციო წყაროების ბიბლიოგრაფიული მონაცემები, ანალოგების ისეთი ნიშნები, რომელიც ემთხვევა სასარგებლო მოდელის არსებით ნიშნებს, აქვე მოცემული უნდა იყოს ანალოგების კრიტიკა სასარგებლო მოდელთან მიმართებაში ტექნიკური შედეგის მიღწევის თვალსაზრისით.

თუ ანალოგი რამდენიმეა, მშპ-ის პროტოტიპი ყველაზე ბოლოს უნდა იყოს აღწერილი.

8.10. სასარგებლო მოდელის არსი

სასარგებლო მოდელის არსი გამოიხატება იმ არსებითი ნიშნების ერთობლიობაში, რომელიც სასარგებლო მოდელის ტექნიკური შედეგის მიღების უზრუნველსაყოფად არის საკმარისი.

ნიშნები არსებითად ჩაითვლება თუ ისინი უშუალო გავლენას ახდენენ ტექნიკური შედეგის მიღწევაზე, ე. ი. მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იმყოფებიან მითითებულ შედეგთან.

8.10.2. სასარგებლო მოდელის არსის ამხსნელი მონაცემები

აღწერილობის ამ ნაწილში დაწვრილებით უნდა წარმოჩინდეს ამოცანა, რომლის გადასაწყვეტადაც მიმართულია წარდგენილი სასარგებლო მოდელი.

აქვე მიეთითება მისი გამოყენების შედეგად მიღებული ტექნიკური შედეგი.

ამ ნაწილში სასარგებლო მოდელის ყველა არსებითი ნიშანი აღიწერება, ამასთან გამოიყოფა ის ნიშნები, რომლებიც სავარაუდო ტექ-

ნიკური შედეგის მისაღწევად არის საკმარისი და მოთხოვნილი ობიექტის სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს.

საჭიროა მიეთითოს წარდგენილი სასარგებლო მოდელის არსებითი ნიშნების ერთობლიობასა და მიღწეულ ტექნიკურ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.

სასარგებლო მოდელის არსის გახსნისას მიზანშეწონილია განმცხადებლისათვის ცნობილი იმ ტექნიკური შედეგის მითითება, რომლის მიღებას უზრუნველყოფს მოცემული სასარგებლო მოდელი, მათ შორის, მისი შესრულების კონკრეტულ ფორმებს ან გამოყენების განსაკუთრებულ პირობებს.

ტექნიკური შედეგი შეიძლება გამოისახოს შემდეგი სახით:

სამკურნალო პრეპარატის მოქმედების ეფექტიანობის გაზრდა, კონსტრუქციის გამარტივება, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ფუნქციური შესაძლებლობების გაფართოება, მწარმოებლობის გაზრდა და ა. შ.

3.11. ნახაზების ფიგურების ნუსხა

ეს ნაწილი ფიგურების ნუსხის გარდა, უნდა შეიცავდეს თითოეული მათგანის განმარტებას.

3.1.2. სასარგებლო მოდელის განხორციელებადობის

დამადასტურებელი მონაცემები

3.12.1. ზოგადი დებულება

აღწერილობის ამ ნაწილში ნაჩვენებია უნდა იყოს ტექნიკური შედეგის მიწევის შესაძლებლობა.

ზოგად ცნებებში მოცემული სასარგებლო მოდელის განხორციელებადობა (კერძოდ ფუნქციური განზოგადების დონეზე), დასტურდება უშუალოდ განაცხადის მასალებში მოცემული ნიშნის განხორციელებადობის საშუალების ზოგადი ცნების აღწერით ან ამ საშუალებისათვის მისაღები ცნობილი მეთოდის მითითებით.

თუ სასარგებლო მოდელის აღწერისას გამოყენებულია რაიმე სიდიდის მნიშვნელობათა ინტერვალით გამოსახული რაოდენობრივი მახასიათებლები, ტექნიკური შედეგის მიღწევის შესაძლებლობა ნაჩვენებია უნდა იყოს ამ ინტერვალის ფარგლებში. ამასთან, ობიექტის სამართლებრივი დაცვის ფარგლების მაქსიმალურად გაზრდის მიზე-

ნით ინტერვალი ისე უნდა შეიარჩეს, რომ ამ სიდიდის ნებისმიერი ინტერვალის გარეშე მნიშვნელობებისათვის შეუძლებელი იყოს ტექნიკური შედეგის მიღწევა.

8.12.2. სასარგებლო მოდელის-მოწყობილობის განხორციელების დამადასტურებელი მონაცემები

ეს მონაცემები შეიცავენ ამ მოწყობილობის კონსტრუქციის აღწერას სტატიკურ მდგომარეობაში. მოწყობილობის კონსტრუქციული ელემენტების აღწერისას უნდა მიენიშნოს ნახაზების ფიგურები კონსტრუქციული ელემენტების ციფრული აღნიშვნები ზოგადი რიგითობის მიხედვით.

მოწყობილობის სტატიკური მდგომარეობის შემდეგ აღიწერება მისი მოქმედების (მუშაობა) ან მისი გამოყენების ხერხი იმ კონსტრუქციული ელემენტების ციფრულ აღნიშვნებზე დაყრდნობით, რომელიც ნაჩვენებია ნახაზებზე, ეპიურებზე, დიაგრამებზე, სქემებზე და ა. შ.

8. 12.3. სასარგებლო მოდელის-ხერხის განხორციელებადობის დამადასტურებელი მონაცემები

სასარგებლო მოდელის — ხერხის განხორციელებადობის დამადასტურებელი მონაცემები შეიცავს მატერიალურ ობიექტზე მოქმედების (საშუალებების, ოპერაციების) თანმიმდევრობის, აგრეთვე მათი ჩატარების პირობებზე, კონკრეტულ რეჟიმებზე მითითებას (ტემპერატურა, წნევა და ა. შ.).

8.12.4. სასარგებლო მოდელის-ნივთიერების განხორციელებადობის დამადასტურებელი მონაცემები

ნივთიერება, წარმოდგენილი კომპოზიციის (ნარევი, ხსნარი, შენადნობი და სხვა) მაგალითების სახით, უნდა შეიცავდეს ინგრედიენტთა დასახელებას, დახასიათებას და მათ რაოდენობრივ თანაფარდობას.

ინგრედიენტების შემცველობა უნდა გამოისახებოდეს ისეთ კონკრეტული რაოდენობრივი ერთეულებით, რომლებიც ფორმულაში მითითებული სიდიდითა ინტერვალს შეესაბამება. როცა ეს რაოდენობრივი თანაფარდობები ფორმულაში გამოსახულია პროცენტებ-

ში (მასით ან მოცულობით) ყველა ინგრედიენტის ჯამური შემცველობა 100%-ს უნდა უტოლდებოდეს.

8.13. სასარგებლო მოდელის ფორმულა

ფორმულაში მოცემული უნდა იყოს სასარგებლო მოდელის მოკლე დახასიათება, რომელიც გამოხატავს მის არსს და ემსახურება ობიექტის საპატენტო დაცვის ფარგლების დადგენას.

8.12.1. სასარგებლო მოდელის ფორმულის სტრუქტურა

სასარგებლო მოდელის ფორმულა უნდა იყოს ერთმუხლიანი, ფორმულაში მოცემული უნდა იყოს სავარაუდო ტექნიკური შედეგის მისაღწევად საკმარისი არსებითი ნიშნების ერთობლიობა.

ფორმულა უნდა იწყებოდეს სასარგებლო მოდელის აღწერილობაში მოცემული დასახელებით. სასარგებლო მოდელის ფორმულა გამოგონების ფორმულის მსგავსად შედგება შემომფარგლელი და განმასხვავებელი ნაწილებისაგან.

შემომფარგლელი ნაწილი განმასხვავებელი ნაწილისაგან გამოიყოფა სიტყვებით „განსხვავდება იმით, რომ...“

8.14. სასარგებლო მოდელის ფორმულის შედგენის წესი

8.14.1. ზოგადი დებულება

ფორმულა განსაზღვრავს სასარგებლო მოდელის ობიექტს მისი ყველა არსებითი მიზნების ერთობლიობის ჩვენებით. ფორმულა ერთი წინადადებით ყალიბდება, თუ გამოვლინდა ნიშნების რეალიზაციის რამდენიმე შესაძლებელი ფორმა, რომელიც სხვა არსებით ნიშნებთან ერთობლიობა უზრუნველყოფს ერთიდაიგივე ტექნიკურ შედეგს, მიზანშეწონილია აღნიშნული ნიშნები უფრო ზოგადი, ყველა ამ ფორმის გამაერთიანებელი ცნებით გამოისახოს.

თუ ასეთი ცნება არ მოიძებნება ან განზოგადდება არამართლზომიერა, მაშინ მიზანი შეიძლება გამოიხატოს ალტერნატიული ცნების სახით.

8.14.2 მოწყობილობაზე სასარგებლო მოდელის ფორმულის შედგენის თავისებურება

ფორმულაში მოწყობილობა ხასიათდება სტატიკურ მდგომარეობაში მისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნებით. ცალკეული

ნიშნების დახასიათებისას დასაშვებია მათი მოქმედების შესაძლებლობაზე ან ფუნქციურ დანიშნულებაზე მითითება (მაგალითად, შეუძლია გადაადგილება ურთიერთმართობული მიმართულებით, შესრულებულია (განლაგებულია) მოძრავად ბრუნის საშუალებით და სხვა).

3.14.3. ხერზე სასარგებლო მოდელის ფორმულის შედგენის თავისებურება

ხერხის ფორმულაში მოქმედება გადმოიცემა ზმნის საწყისი ფორმით (ინფინიტივი) (მაგალითად, ცხელდება, ტენიანდება, იწინებება და ა. შ.).

3.14.4. ნივთიერებაზე სასარგებლო მოდელის ფორმულის შედგენის თავისებურება

თუ კომპოზიციის დამახასიათებელი ფორმულა შეიცავს ნიშნებს, რომელიც ინგრედიენტების რაოდენობრივი შემცველობას მიეკუთვნება, მაშინ ის გამოისახება ნებისმიერ ცალსახა ერთეულებში, როგორც წესი ორი ზღვრული მიჩვენებით (ქვედა და ზედა) ან ინტერვალის მითითების გარეშე.

დასაშვებია კომპოზიციის ერთ-ერთი ინგრედიენტის რაოდენობის მოცემა რაიმე ერთ ნიშნით, ხოლო დანარჩენი ინგრედიენტებისა — შერჩეული ინგრედიენტის ნიშნის მიმართ ფარდობითი ერთეულების ინტერვალის სახით.

კომპოზიციისათვის, რომლის დანიშნულება მხოლოდ ახალი აქტიური საწყისით განისაზღვრება, ხოლო სხვა კომპონენტები არიან ნეიტრალური მატარებლები, დასაშვებია ფორმულაში მხოლოდ ამ აქტიური საწყისისა და კომპოზიციის მიხედვით მისი რაოდენობრივი შემცველობის ჩვენება.

3.15. ხელმოწერა

სასარგებლო მოდელის ფორმულას ხელს აწერს ავტორი (განმცხადებელი) ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

3.16. განაცხადის საბუთების გაფორმება

3.16.1. ტერმინოლოგია და პირობითი აღნიშვნები

აღწერილობაში და მის განმარტებით მასალებში გამოიყენება სტანდარტიზებული ტერმინები და შემოკლებები, ხოლო მათი არ არ-

სებობის შემთხვევაში, საყოველთაოდ მიღებული სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურაში.

ტერმინები და აღნიშვნები, რომლებიც ლიტერატურაში საყოველთაოდ ცნობილი არ არის ტექსტში პირველი ხმარებისას განიმარტება.

ყველა პირობითი აღნიშვნა იშიფრება.

სასარგებლო მოდელის აღწერილობანი და ფორმულაში დაცული უნდა იყოს ერთიანი ტერმინოლოგია, ანუ აღწერილობის ტექსტში და ფორმულაში ერთი და იგივე ნიშნები ერთნაირად უნდა იწოდებოდეს. ტერმინოლოგიის ერთიანობის მოთხოვნები ეხება ფიზიკურ ერთეულებსა და პირობით აღნიშვნებსაც.

ფიზიკური სიდიდეების ერთეულები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ერთეულთა საერთაშორისო სისტემის ერთეულებს.

8.16.2. გამოთქმები, რომლებიც არ იხმარება

აღწერილობის ტექსტი არ უნდა შეიცავდეს გამოთქმებს, რომლებიც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგსა და მორალს, აგრეთვე უპატივცემულო გამონათქვამებს სხვა პიროვნებათა გამოგონებების ან სასარგებლო მოდელების მიმართ.

8.16.8. საბუთების ტექსტი

სასარგებლო მოდელზე განაცხადის ყველა საბუთი ისე ფორმდება, რომ შესაძლებელი იყოს მათი ხანგრძლივი დროით შენახვა და განუსაზღვრელი რაოდენობის ასლების უშუალოდ რეპროდუქცირება.

თითოეული ფურცელი გამოიყენება მხოლოდ ერთი მხრიდან. პუქარები ფურცლის მეორე გვერდის პარალელურად უნდა განლაგდეს.

განაცხადის ყოველი საბუთის გაფორმება იწყება ცალკე ფურცლიდან.

განაცხადის თითოეული საბუთი ფორმდება თეთრი ფერის ფორმატზე ზომით 210×297 მმ.

ქალაღზე მინდვრის ზომები:

მარცხენა, ზედა და ქვედა 20 მმ.

მარჯვენა 10 მმ.

განაცხადის თითოეულ საბუთში მეორე და მომდევნო ფურცელი ინომრება არაბული ციფრებით.

საბუთები შავი ფერის შრიფტით იბეჭდება.

სასარგებლო მოდელის აღწერილობის, ფორმულის და რეფერატის ტექსტები იბეჭდება 2 ინტერვალით.

გრაფიკული სიმბოლოები, ლათინური დასახელებები, ლათინური და ბერძნული ასოები, მათემატიკური და ქიმიური ფორმულები შეიძლება ჩაიწეროს შავი მელნით, პასტით ან ტუშით. დაუშვებელია ფორმულების შერეულად საბეჭდი მანქანითა და ხელით ჩაწერა.

8.16.4. გრაფიკული მასალები

გრაფიკული მასალების გამოსახულებები სრულდება მკვრივ, თეთრ და სწორ ქაღალდზე შავი მკაფიო ხაზებით და შტრიხებით, რომლებიც არ უნდა იშლებოდეს. დაუშვებელია მასალების რეტუშირება და გაფერადება.

გამოსახულებათა მასშტაბი და მკაფიობა ისე უნდა შეირჩეს, რომ მათი რეპროდუქციების დროს ხაზოვანი ზომების $\frac{2}{3}$ -მდე შემცირებისას შესაძლებელი უნდა იყოს დეტალების ერთმანეთისაგან გარჩევა.

დაუშვებელია ციფრებისა და ასოების ფრჩხილებში, რგოლებში და ბრჭყალებში მოთავსება. მათი სიმაღლე 3,2 მმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ნახაზები სრულდება რაიმე წარწერების გარეშე. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი სიტყვები, როგორიცაა „წყალი“, „ორთქლი“, „გაღებულია“, „დაკეტილია“, „ჭრალი-ა-დან გ-მდე“.

უმჯობესია ნახაზზე სწორკუთხოვანი (ორთოგონალურ) გეგმილთა გამოყენება (სხვადასხვა ხელეწმის, კრილებში და კვეთებში), დასაშვებია აქსონომეტრიული გეგმილების გამოყენებაც.

დაუშვებელია ნახაზზე ზომების ჩვენება.

საჭიროების შემთხვევაში ზომები მიეთითება აღწერილობაში.

თითოეული ელემენტი ნახაზზე სრულდება ყველა დანარჩენი ელემენტის პროპორციულად იმ შემთხვევების გარდა, რომელსაც ელემენტის გამოსახულების მკაფიობისათვის მიზანშეწონილია განსხვავებული პროპორციის გამოყენება.

ერთ ფურცელზე შეიძლება ნახაზის რამდენიმე ფიგურის განლაგება, ამასთან მკაფიოდ ერთმანეთისაგან განცალკევებულად.

თუ ფიგურის ნაწილები განლაგებულია ორ ან მეტ ფურცელზე, მათი განლაგება უნდა მოხდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს ამ ფი-

გურის აწყობა სხვადასხვა ფურცელზე გამოსახული რომელიმე ფიგურის გამოუყლებლად. ცალკეული ფიგურები ფურცელზე ან ფურცლებზე ისე უნდა განლაგდეს, რომ ფურცლები მაქსიმალურად იყოს შევსებული და ნახაზის წაკითხვა შესაძლებელი იყოს ფურცლის გრძელი გვერდების ვერტიკალურ მდგომარეობაში.

გრაფიკული გამოსახულების ელემენტები აღინიშნება არაბული ციფრებით სასარგებლო მოდელის აღწერილობის შესაბამისად.

ერთი და იგივე ელემენტი, წარმოდგენილი რამდენიმე ფიგურაზე ერთი და იგივე ციფრით აღინიშნება.

თუ სასარგებლო მოდელის აღწერილობაში არ არის ნახსენები აღნიშვნები, ისინი არც ნახაზებზე გადაიტანება და პირიქით.

თუ გრაფიკული გამოსახულება სქემის სახით არის წარმოდგენილი, გამოიყენება სტანდარტული პირობითი გრაფიკული აღნიშვნები.

დასაშვებია ერთი სახის სქემებზე სხვა სახის სქემების ცალკეული ელემენტები გამოისახოს (მაგალითად, ელექტრულ სქემაზე გამოისახოს კინემატიკური ან ჰიდრავლიკური სქემის ელემენტები).

თუ სქემა ელემენტების გრაფიკული აღნიშვნებისათვის სწორკუთხედის ფორმითაა წარმოდგენილი, მაშინ ციფრობრივი აღნიშვნის გარდა სწორკუთხედში ჩაიწერება უშუალოდ ელემენტის დასახელებაც. თუ კი ელემენტის გრაფიკული გამოსახულების ზომები ამის საშუალებას არ იძლევა, ელემენტის დასახელება დასაშვებია გამოსატან ხაზზე (საჭიროების შემთხვევაში სქემის მიწოდებაში განთავსებული ნახატის წარწერის სახით).

ფოტოსურათის ფორმატი არ უნდა აღემატებოდეს განაცხადის საბუთების ფურცლების დადგენილ ზომებს. მკირე ფორმატის ფოტოსურათები კი ქალაქებზე უნდა იქნეს დაწებებული, ამასთან დაცული უნდა იყოს ქალაქის ხარისხისა და ფორმატის მიმართ დადგენილი მოთხოვნები.

თითოეული გრაფიკული გამოსახულება ინომრება არაბული ციფრებით (ფიგ. 1, ფიგ. 2 და ა. შ.) აღწერილობის ტექსტში მათზე მიითქმის რიგითობის შესაბამისად მოცემული განმარტებითი მასალის სახეობისა (ნახაზი, სქემა, გრაფიკი, ნახატი და სხვა) და ფურცლების ნუმერაციისაგან დამოუკიდებლად. თუ აღწერილობაში ერთი ფიგურაა, ის არ ინომრება.

8.16.5. ბიბლიოგრაფიული მონაცემები

განაცხადის საბუთებში ინფორმაციის წყაროების მონაცემები უნდა აადვილებდეს ინფორმაციის წყაროს მოძებნას.

8.16.6. ხელმოწერა

ამ წესის შესაბამისად განაცხადის საბუთებზე ხელმოწერა უნდა გაიშიფროს ხელმომწერი პირის გვარისა და ინიციალების მითითებით.

თანამდებობის პირის მიერ საბუთების ხელმოწერისას მიეთითება ხელმომწერის თანამდებობა, ხელმოწერა მოწმდება ბეჭდით. უცხოური სახელები, ფირმების დასახელებები მიეთითება ტრანსლიტერაციითაც.

საწარმოს აღსანიშნავად მიეთითება ღია მიწერ-მოწერისათვის დასაშვებია მისი სრული დასახელება.

8.17. რეფერატი

რეფერატი სასარგებლო მოდელის აღწერილობის მოკლე შინაარსია. ის შეიცავს სასარგებლო მოდელის დასახელებას, სასარგებლო მოდელის შესაბამისი ტექნიკის დარგის ან მისი გამოყენების სფეროს და არსის დახასიათების შესაძლოა ტექნიკური შედეგის ჩვენებით.

სასარგებლო მოდელის არსი რეფერატში ხასიათდება ფორმულის თავისუფალი გადმოცემით, სადაც დაცულია ყველა არსებითი ნიშანი.

საპირობების შემთხვევაში რეფერატში შეაქვთ ნახაზი ან ქიმიური ფორმულა.

რეფერატი დამატებით მონაცემებსაც შეიძლება შეიცავდეს, კერძოდ, მითითებული გრაფიკულ გამოსახულებაზე, ცხრილებზე და ა. შ.

რეფერატის ტექსტი სასურველია არ აღემატებოდეს 1000 ნაბეჭდ ნიშანს.

**სამრეწველო ნიმუშაზე განაცხადის
გაფორმების და წარდგენის
წესი**

1. ზოგადი ცნებები და დებულებები

1.1 სამრეწველო ნიმუშზე პატენტის გაცემაზე განაცხადის (შემდგომში განაცხადი) გაფორმების და წარდგენის წესი (შემდგომში წესი) დამუშავებულია შესაბამისად დადგენილებით დამტკიცებული სამრეწველო ნიმუშების შესახებ დებულების (შემდგომში დებულება) შესაბამისად.

1.2. სამრეწველო ნიმუშად მიიჩნევა სამრეწველო წესით დამზადებული ნაკეთობის გარეგანი სახის ახალი მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა. მაგალითად, ჩარხის, ავტომატის, ავეჯის, ნოხის, ტანსაცმლის ქსოვილის და ა. შ. მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა.

1.3. მხატვრულ-კონსტრუქციულ გადაწყვეტას ახასიათებს სიახლე, თუ პატენტზე განაცხადის შეტანამდე ის არ იყო ცნობილი საქართველოს ან რომელიმე სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.

სამრეწველო ნიმუშის სიახლეს არ აბათილებს პატენტზე განაცხადის შეტანამდე 6 თვით ადრე მისი წარდგენა ოფიციალურ (ე. ი. სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ) ან სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად მიჩნეულ გამოფენაზე.

1.4. სამრეწველო წესით დამზადება და გამოყენებადობა გულისხმობს ნიმუშის წარმოებაში მრავალჯერადი დამზადებისა და სარგებლობის შესაძლებლობას მეურნეობრიობის ნებისმიერ სფეროში.

1.5. ნიმუში უნდა ხასიათდებოდეს მხატვრული ღირსებით, რომელიც მიიღწევა სხვადასხვა კაზმულობებით, ფორმების ორიგინალობით, წირების შეხამებით, ფერებში გადაწყვეტის თავისებურებებით. ყოველივე ეს არსებითად უნდა განასხვავებდეს ნიმუშს უკვე ცნობილი ნიმუშებისაგან, ამასთან მისი მხატვრული ღირსებები არ უნდა განიხილებოდეს როგორც მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოები.

1.6. სამრეწველო ნიმუშები შეიძლება იყოს მოცულობითი, ბრტყელი და კომბინირებული.

მოცულობითი სამრეწველო ნიმუში ხასიათდება ისეთი კომპოზიციით, რომელსაც საფუძვლად უდევს სივრცულად განვითარებული სტრუქტურა. მაგალითად, ჩარხის, მაგიდის, ჭალის და ა. შ. გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა.

ბრტყელი სამრეწველო ნიმუშების დამახასიათებელ კომპოზიციას საფუძვლად უდევს გრაფიკულ-წირითი ელემენტების ისეთი შეჩება, რომელიც მის მოცულობით აღქმას გამოაჩინებს. მაგალითად, ნოხის, თავსაფრის, ქსოვილის სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა.

კომბინირებულ სამრეწველო ნიმუშებს უნდა გააჩნდეთ როგორც მოცულობითი ასევე ბრტყელი სამრეწველო ნიმუშებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები. მაგალითად, საინფორმაციო ტაბლოს, ასაწყობი კონსტრუქციის (კომპოზიციის) და ა. შ. გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა.

1.7. განაცხადი უნდა ეხებოდეს ერთ სამრეწველო ნიმუშს, დასაშვებია ამავე განაცხადში ნაკეთობის გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის ვარიანტების შეტანა. ვარიანტებად ითვლება ერთი ფუნქციონალური ჯგუფის, საერთაშორისო კლასიფიკაციის ერთი კლასის, ერთი სერიის ნაკეთობების, მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტები, რომელთაც არსებითი ნიშან-თვისებები ერთნაირი აქვთ, ხოლო არარსებით ნიშან-თვისებებში აქვთ მხოლოდ ვიზუალური განსხვავება. მაგალითად, ორი ან რამდენიმე ჭალის გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ნათურების რაოდენობით; ორი ან რამდენიმე ავტომობილის გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ კაზმულობის ელემენტების, კარის სახელურების, ფარების და სხვათა ფორმებით.

სამრეწველო ნიმუშის ვარიანტად არ ჩაითვლება ნაკეთობის გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა, რომელიც ძირითადი ნიმუშისაგან განსხვავდება ისეთი არარსებითი ნიშან-თვისებებით, როგორცაა ფერი, ხელსაწყოების ტაბლოზე აღნიშვნების შეცვლა და სხვა, ე. ი. მათ არ გააჩნიათ ნაკეთობის მხატვრული სახის შემოქმედებითი გააზრების ელემენტები.

1.8. ნაკეთობის გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის ვარიანტები შეიძლება შემოტანილი იქნეს ავტორის მიერ ერთ განაცხადში ან შემდგომ განაცხადებში, „საქპატენტში“ სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციის დღიდან 10 წლის განმავლობაში.

1.9. განაცხადი, შეიძლება ეხებოდეს ნაკეთობების კომპლექტის (ნაკრების გარეგანი სახის, მხატვრულ-კონსტრუქციულ გადაწყვეტას. ეს უქანასკნელი მიიჩნევა სამრეწველო ნიმუშად, თუ კომპლექტში ნაკრებში) შემავალი ელემენტები, რომელთაც გააჩნიათ ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუნქციები, ემსახურებიან ერთ მიზანს და ახასიათებთ, ერთნაირი კომპოზიციური და სტილისტური გადაწყვეტა. კომპლექტს მიეკუთვნება მაგალითად, ჩაის ან სადილის სერვიზი, ავეჯის გარნიტური, ინსტრუმენტების ნაკრები და სხვა.

1.10. სამრეწველო ნიმუშად არ მიიჩნევა შემდეგი ობიექტების გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტები:

— ნაკეთობის, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს საზოგადოებრივ ინტერესებს ან მორალს;

— შენობის ან სხვა უძრავი ნაგებობის, მაგალითად, ქარხნის, დამბის, ხიდის და ა. შ. გარდა მცირე არქიტექტურული ფორმებისა (სხვადასხვა დანიშნულების ჭიხურები, ფარდულები, კიოსკები და ა. შ.);

— არამდგრადი ფორმის მქონე ნაწარმის, როგორცაა თხევადი, აირისებრი, ფხვიერი და სხვა;

— ნაკეთობების, რომლებიც არ ასრულებენ სასარგებლო ფუნქციებს, მაგალითად, საიუველირო და სხვა მოსართავი დანიშნულების ნაკეთობები, ქანდაკებები, სამშვენისები და ფერწერული ტილოების და ა. შ.:

— ნაკეთობების, რომლებიც უხილავი რჩებიან გამოყენების პროცესში, მაგალითად, პლატები, მიკროსქემები, საათის მექანიზმები და ა. შ.:

— ნაკეთობების, რომელთა გარეგანი სახე განპირობებულია მხოლოდ მათი ფუნქციური დანიშნულებით, მაგალითად, ქანქიკი, ქანჩი, ხრახნი (დეკორატიულების გარდა), ბურდი და ა. შ.

სამრეწველო ნიმუშებად არ შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ობიექტების მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტები;

— ნაკეთობების რომლებიც მიღებულია და შეფასებულია საავ-

ტორთ უფლების ნორმებით, როგორც დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები;

— ნაკეთობის, რომელსაც აქვს უმარტივესი გეომეტრიული ფორმა;

— სათამაშოს, როგორც რეალური ობიექტის ასლი; სათამაშოს გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა უნდა წარმოადგენდეს საგნობრივი სამყაროს რეალური ობიექტების ფორმის აზრობრივი დატვირთვის შემოქმედებით ცვლილებას, ამიტომ ის უნდა იყოს საყოველთაოდ ცნობილი ობიექტის არა მარტო ასლი, არამედ მისი მხატვრული გარდასახვა.

— ნაკეთობების, რომლებშიც პროტოტიპთან შედარებით შეცვლილია მხოლოდ ზომები, პროპორციები და ელემენტების რაოდენობა;

— ნაკეთობების, რომლებიც ხელოვნურად ინარჩუნებენ განსაზღვრული დანიშნულების მქონე ნაკეთობების ფორმას, მაგრამ დაზოგადებული არიან სხვა მასალისაგან (მაგალითად, პლასტმასის კასრი, რომელიც წარმოადგენს ხის კასრის იმიტაციას).

— ნაკეთობების, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ იმეორებენ ცნობილი ობიექტების ფორმებს, შემოქმედებით გადაამუშავების გარეშე.

1.11. სამრეწველო ნიმუშის პრიორიტეტი დგინდება „საქპატენტში“ სამრეწველო ნიმუშზე განაცხადის შეტანის თარიღიდან ან საქართველოს ფოსტაში სწორად გაფორმებული განაცხადის ჩაბარების დღიდან.

1.12. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ, მათ შორის საერთაშორისო გამოფენაზე წარდგენილ ექსპონატში სამრეწველო ნიმუშის გამოყენების შემთხვევაში, პრიორიტეტი (საგამოფენო პრიორიტეტი) დგინდება ექსპონატის ღია ჩვენების დაწყების თარიღიდან, თუ განაცხადი შემოტანილია „საქპატენტში“ ამ თარიღიდან 6 თვის ვადაში.

1.13. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, უცხოელი განმცხადებლის მოთხოვნით სამრეწველო ნიმუშის პრიორიტეტი (კონვენციური პრიორიტეტი) დგინდება მონაწილე ქვეყანაში პირველი განაცხადის შეტანის თარიღით, თუ

განაცხადი „საქპატენტში“ შემოტანილია ამ თარიღიდან 6 თვის ვადაში.

2. განაცხადის შეტანის წესი

2.1. განაცხადი განმცხადებელს შეაქვს უშუალოდ „საქპატენტში“ ან გზავნის საქართველოს ფოსტის საშუალებით.

2.2. განაცხადის შეტანის უფლება აქვს ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს.

2.3. უცხოელი მოქალაქე, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე, თავის საქმიანობას „საქპატენტთან“ წარმართავს საპატენტო რწმუნებულის მეშვეობით.

საპატენტო რწმუნებულს უნდა ჰქონდეს სათანადო საბუთი და იყოს რეგისტრირებული „საქპატენტში“.

2.4. განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით, ქართულ ენაზე, დასაშვებია განაცხადის წარდგენა უცხო ენაზე, მაგრამ განმცხადებელი ვალდებულია წარადგინოს განაცხადის ავთენტიკური თარგმანი ქართულ ენაზე არა უგვიანეს 1 თვისა. ამასთან დადგენილი ფორმის განაცხადება ივსება მხოლოდ ქართულად.

3. განაცხადის მასალები და გაფორმება

3.1. განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ საბუთებს:

— განცხადებას პატენტის გაცემაზე ორ ეგზემპლარად;

— ნაკეთობის ან მაკეტის ფოტოსურათების კომპლექტს, რომელიც იძლევა ნაკეთობის გარეგან სახეზე სრულ და დეტალურ წარმოდგენას;

ფოტოსურათები წარედგინება შემდეგი რაოდენობით:

საერთო ხედი-განმცხადებლების რიცხვს დამატებული 6 ეგზემპლარი;

დანარჩენი ხედები — ორ-ორი ეგზემპლარი;

პროტოტიპის ფოტოსურათი — ორი ეგზემპლარი;

— სამრეწველო ნიმუშის აღწერილობას — 2 ეგზემპლარს;

— საერთო ხედის ნახაზს ან ნაკეთობის გაერთმობლიანების პრინციპულ სქემას — ორ ეგზემპლარს.

ბრტყელ კომპოზიციან ნაკეთობებზე (ნახები, თავსაფრები, ქსოვილები და ა. შ.) წარმოდგენილ განაცხადს ნახაზები და სქემები არ ერთვის.

— თარგის ნახაზებს (მრულ თარგებს), თუ ნაკეთობა მიეკუთვნება ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის ნაწარმს — ორ ეგზემპლარს;

— ნაკეთობის ნახატის განმეორებად ფრაგმენტს (რაპორტს), რომელიც იძლევა წარმოდგენას ნაკეთობის სტრუქტურაზე, ფაქტურაზე და ფერების შეხამებაზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკეთობა განეკუთვნება დეკორატიულ მასალებს, ქსოვილებს, ნახებებს და ა. შ.) რაპორტის ზომებში, მაგრამ არა უმეტეს 40 სმ X 50 სმ — ერთი ეგზემპლარი;

— საკონფექციო რუკას, ე. ი. ქსოვილების ტრიკოტაჟის, ტყავის, ფურნიტურის და ა. შ. ნიმუშებს, რომელთა გამოყენებაც ნავარაუდევია ნაკეთობის დასამზადებლად, თუ განაცხადი ეკუთვნის მსუბუქი მრეწველობის ნაწარმს — ერთ ეგზემპლარად.

— უფლებამონაცვლობის დამადასტურებელ საბუთს, თუ განაცხადი შეტანილია უფლებამონაცვლის მიერ;

— რწმუნებულობას, თუ განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის მიერ;

— პირველი განაცხადის დამოწმებულ ასლს და მის თარგმანს, თუ მოითხოვება კონვენციური პრიორიტეტი;

— გამოფენის აღმინისტრაციის ან ორგკომიტეტის მიერ გაცემულ ცნობას, თუ მოითხოვება საგამოფენო პრიორიტეტი.

— საგანაცხადო საფასურის გადახდის დამადასტურებელ საბუთს;

— შეღავათის დამადასტურებელ საბუთს, თუ გადახდილია შეღავათიანი საფასური.

3.2. განაცხადის ტექსტში გამოყენებული ტერმინოლოგია უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაოდ მიღებულს. პირობითი აღნიშვნების (სიმბოლოების) თავდაპირველ გამოყენებას თან უნდა ახლდეს მათი განმარტება;

განზომილების ერთეულები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სახელმწიფო სტანდარტებს.

არ უნდა იყოს გამოყენებული შემოკლებები, გარდა საყოველთაოდ მიღებულისა, ტექსტი არ უნდა შეიცავდეს დაუსაბუთებელ მინიშნებებს, ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის ან მისი წარმოების უპირატესობაზე ან ნაკლზე.

3.3. განაცხადის მასალების ტექსტი იბეჭდება სტანდარტული ფორმატის (210X297) თეთრი ქაღალდზე ცალი მხრიდან, ყველა ეგ-

ზემპლარი იბეჭდება რეპროდუქციისათვის ვარგისი შავი ფერის მკაფიო შრიფტით.

მინდვრის მინიმალური ზომები უნდა შეესაბამებოდეს: ფურცლის ზედა, მარცხენა და ქვედა გვერდი — 20 მმ, მარჯვენა გვერდი — 10 მმ.

3.4. განაცხადის ყოველი საბუთი უნდა იწყებოდეს ახალი ფურცლით; განაცხადის მასალების ყველა ფურცელი ინომრება არაბული ციფრებით გამჭოლი დანომვრით.

3.5. ტექსტი არ უნდა შეიცავდეს შესწორებებს, ჩანაწერებს, წარწერებს ან მოშლებს.

ფურცლებს არ უნდა ჰქონდეს რაიმე მექანიკური დაზიანება.

4. განაცხადების გაფორმება

4.1. განცხადება უნდა იყოს შესრულებული დადგენილი ფორმით (ფორმა 1-სნ) და შეიცავდეს მასში მითითებულ ყველა საჭირო მონაცემებს.

4.2. განცხადება დასტურდება გაშიფრული ხელის მოწერით, თუ განაცხადი შემოტანილია იურიდიული პირის მიერ, ხელის მოწერა მოწმდება ბეჭდით.

4.3. თუ განცხადება ეხება აღრე რეგისტრირებულ სამრეწველო ნიმუშის ვარიანტს, მასში დამატებით მითითებული უნდა იყოს პირველი პატენტის ან განაცხადის ნომერი, ხოლო სტრიქონში „სამრეწველო ნიმუშის დასახელება“ ჩაიწერება № პატენტის ვარიანტი (ები)“

5. ფოტოსურათები

5.1. ფოტოსურათი არის საბუთი, რომელიც შეიცავს ძირითად ინფორმაციას ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციულ გადაწყვეტაზე და რომელიც იძლევა განმცხადებლის (პატენტმფლობელის) უფლებების დაცვის ფარგლების განსაზღვრის შესაძლებლობას.

5.2. ფოტოსურათები უნდა იძლეოდნენ ნაკეთობის გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციულ გადაწყვეტაზე სრულ და დეტალურ წარმოდგენას და პროტოტიპისაგან მისი განმასხვავებელი ნიშნების გამოვლენის შესაძლებლობას.

გამოსახულება ფოტოსურათზე უნდა იყოს მკაფიო და ნათელი.

ნაკეთობის ან მაკეტის ყველა ცალკეული დეტალი გარკვეულად უნდა ჩანდეს მთელ ფოტოსურათზე.

ყველა სახის ფოტოსურათები შესრულებული უნდა იყოს ერთ-გვაროვან (თხელ კრიალა) ქაღალდზე და არ უნდა იყოს რეტუშირებული.

5.3. ნაკეთობა (მაკეტი) უნდა იქნეს გადაღებული მთლიანობაში, ნეიტრალურ ფონზე, თანაბარი განათების ქვეშ.

არ მიიღება ფოტოსურათები, რომლებზეც გამოსახულია თეთრი ფერის ესკიზები, ნახატები ან მაკეტები, თუ ისინი არ იძლევა წარმოდგენას ნაკეთობის ფერების შესამებაზე და ფაქტურაზე.

ფოტოსურათზე გამოსახულ ნაკეთობაზე ან მაკეტზე შესაძლებელია მხოლოდ სტანდარტებით დაშვებული ან უკვე სასაქონლო ნიმუშად დაცული სიტყვიერი ან გრაფიკული გამოსახულების მოთავსება. გამონაკლისს შეადგენს შემთხვევა, როცა განაცხადი კეთდება ერთდროულად როგორც სამრეწველო ნიმუშზე, ასევე სასაქონლო ნიმუშზე. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია განცხადებებში ამ ფაქტის აღნიშვნა.

5.4. განაცხადს თან ერთვის ნაკეთობის ან მაკეტის საერთო ხედის შეფეთარი ფოტოსურათი გადაღებული $\frac{3}{4}$ რაიუსში წინამხრიდან, ხედები მარცხნიდან, მარჯვნიდან, უკნიდან, აუცილებლობის შემთხვევაში ქვემოდან და ზემოდან.

5.6. ტანსაცმლის მხატვრულ-კონსტრუქციული მოდელები გადაღებული უნდა იქნეს მანეკენზე (საერთო ხედის ფოტო, წინხედი, უკანხედი); ფეხსაცმელების, თავსამკაულების, ტყავ გალანტერიის ნაწარმი წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაკეთობების ნიმუშების ცალკეული ფოტოსურათების სახით (საერთო ხედის სურათი, წინხედი, ხედები, გვერდიდან, უკნიდან, ზოგიერთი სახის ნაკეთობებისათვის. მაგალითად, ფეხსაცმელისათვის — დამატებით ხედები ზემოდან და ქვემოდან). დამატებით ფოტოსურათებზე ფეხსაცმლის და ტანსაცმლის მხატვრულ-კონსტრუქციული მოდელები წარმოდგენილი იყოს დემონსტრატორზე, რომლის ასაკი და ანტროპომეტრული მონაცემები (ზომა, სიმაღლე, სისრულე) შეესაბამება ავტორის მიერ ნაკეთობის შქმნის პროცესში ნაგულისხმევს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ან ტყავ-გალანტერიის ნაწარმი შესრულებულია ძალიან მუქი ან ჭრელი დაჩითული მასალისაგან, რაც არ იძლევა თარგის კონსტრუქციის ხა-

ზის, მოსართავი ელემენტების ნახატის თავისებურებების. გამომ-
ყლავენების შესაძლებლობას, საჭიროა ერთფეროვანი ან ნეიტრალური
ფერის მასალისაგან შესრულებული ნაკეთობის ფოტოსურათის
წარდგენა; იმ შემთხვევაში კი, როდესაც ფოტოსურათის წარდგენა
შეუძლებელია, წარდგენილი უნდა იყოს ესკიზ-ჩანახატი იმ ფერში,
რომელიც იძლევა ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვე-
ტის თავისებურებების გამომჟღავნების შესაძლებლობას.

ისეთი ნაწარმის, როგორიცაა ქვედა საცვალი, მხატვრულ-კონს-
ტრუქციული გადაწყვეტა, შეიძლება გადაღებული იქნეს სივრცულ
კარკასზე. ხელთათმანების, წინდების და მსგავსი ნაწარმის მხატვ-
რულ-კონსტრუქციული გადაწყვეტები გადაღებული უნდა იქნეს
ბრტყელ ზედაპირზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტურის და ქსოვის სახეობის გამო-
აშკარაება საჭირო, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაწარმის ქსოვი-
ლის ფრაგმენტის ფოტოსურათი.

მსუბუქი მრეწველობის ბრტყელ კომპოზიციური (სუფრები, პირ-
სახოცები, თავსაფრები, თეთრეული და ა. შ.) ნაკეთობების მხატვ-
რულ-კონსტრუქციული გადაწყვეტები უნდა იქნეს გადაღებული
გაშლილ მდგომარეობაში და იძლეოდეს კომპოზიციის მთლიანობაში
წარმოდგენის საშუალებას. ფოტოსურათი უნდა ამჟღავნებდეს ქსოვი-
ლის ფაქტურას და სტრუქტურას და რაც შეიძლება სრულად ხსნი-
დეს ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის არსსა და
თავისებურებას.

5.6. ნაკეთობათა კომპლექტის (ნაკრების) მხატვრულ-კონსტრუქ-
ციული გადაწყვეტა საერთო ხედის ფოტოსურათზე წარმოდგენილი
უნდა იყოს მთლიანად, ე. ი. კომპლექტში შემავალი ყველა ნაკეთო-
ბა ერთად. ამისგარდა, კომპლექტში შემავალი ნაკეთობები წარმოდგე-
ნილი უნდა იყოს დამატებით ცალ-ცალკე ფოტოსურათებზე.

5.7. ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის ყო-
ველ ვარიანტზე წარდგენილი უნდა იყოს ფოტოსურათების ცალკე
კომპლექტი.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამრეწველო ნიმუში წარმოადგენს
ადრე რეგისტრირებული გადაწყვეტის ვარიანტს, განაცხადს თან
უნდა დაერთოს ადრე რეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშის 2
ფოტოსურათი, გადაღებული იმავე რაკურსში და მასშტაბში, რო-
გორც ნაკეთობის ახალი ვარიანტის შემთხვევაში.

5.8. დასაკეცი, დასახური ნაკეთობების ან მაკეტებისათვის მაგალითად, მაცივრების, ჯიხურების, მტვერსასრუტების და ა. შ). საჭიროა დამატებით ისეთი ფოტოსურათების წარდგენა, რომლებზედაც ნაკეთობა ან მაკეტი გადაღებულია გახსნილ, აწყობილ და სხვა მდგომარეობაში.

ტრანსფორმირებადი ნაკეთობებისათვის, მაგალითად, სამზარეულო კომბაინების, სათამაშო კონსტრუქციისათვის და ა. შ. საჭიროა დამატებით წარმოდგენილი იყოს რამდენიმე აწყობილი ხელსაწყოს ან სათამაშოს ფოტოსურათი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკეთობის ან მაკეტის ფერს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, საერთო ხედის ერთი ფოტოსურათი ფერებში უნდა იყოს შესრულებული.

ჩამოთვლილი ფოტოსურათების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს წესის 3.1 პუნქტში მითითებულ რაოდენობას. როგორც წესი, ყველა ფოტოსურათის ზომა უნდა იყოს 18 სმ×24 სმ. პატარა ზომის ნაკეთობების ან მაკეტების (მაგალითად, მაჯის ან ჯიბის საათის, მიკროკალკულატორის, ჯიბის სანთებელას და ა. შ.) ფოტოსურათების ზომა შეიძლება იყოს 12 სმ×18 სმ ან 9 სმ×12 სმ.

5.9. საერთო ხედის ფოტოსურათის ყველა ეგზემპლარის უკანა გვერდზე ზემოდან ქვემოთ ჩამოწერილი უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

- ფოტოსურათის ნომერი;
- სამრეწველო ნიმუშის დასახელება;
- განმცხადებლის ხელმოწერა.

5.10. დანარჩენი ხედების ფოტოსურათების ყველა ეგზემპლარის უკანა გვერდზე ზემოდან ქვემოთ ჩამოწერილი უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

- ფოტოსურათის ნომერი;
- სამრეწველო ნიმუშის დასახელება;
- განმარტება: „წინხედი“, „ხედი მარცხენა გვერდიდან“ და ა. შ.

5.11. პროტოტიპის ფოტოსურათის უკანა გვერდზე მითითებული უნდა იქნეს:

- ფოტოსურათის ნომერი;
- ნაკეთობის დასახელება;
- განმარტება — „პროტოტიპი“.

5.12. ფოტოსურათების დანომვრა ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- საერთო ხედი;
- დანარჩენი ხედები;
- ფერადი ფოტოსურათი;
- პროტოტიპი;
- ერთი ხედის ფოტოსურათებს ენიჭება ერთი ნომერი.

6. აღწერილობა

6.1. აღწერილობა უნდა შედგეს შემდეგი სტრუქტურული თანმიმდევრობით:

- სამრეწველო ნიმუშის დასახელება;
- კლასი, სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით;
- სამრეწველო ნიმუშის დანიშნულება და გამოყენების სფერო;
- ანალოგების და პროტოტიპის დახასიათება;
- ფოტოსურათების, ნახაზების და სქემების სია;
- ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის არსი და პროტოტიპისაგან მისი განმასხვავებელი ნიშნები.
- სამრეწველო ნიმუშის სამრეწველო წესით განხორციელებალობის დასაბუთება;
- განმცხადებლის ხელის მოწერა.

6.2. სამრეწველო ნიმუშის დასახელება უნდა იყოს მოკლე და ზუსტი, შეესაბამებოდეს სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის გარკვეულ რუბრიკას.

ნაკლებად ცნობილი ან ახალი დანიშნულებების სამრეწველო ნიმუშის დასახელებაში მითითებული უნდა იყოს გამოყენების სფერო.

6.3. ნაწილში „სამრეწველო ნიმუშის დანიშნულება და გამოყენების სფერო“ უნდა მითითდეს მრეწველობის რა დარგში ან აღმართის საქმიანობის რომელ სფეროში გამოიყენება განცხადებული ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა, აღინიშნოს იყოს ობიექტი, რომლებთან ერთად (რომლებში) გამოიყენება განცხადებული ნიმუშის შემთხვევაში ამ ნაწილში მითითებული უნდა იყოს ობიექტი, რომლებთან ერთად (რომლებში) გამოიყენება განცხადებული ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა.

6.4. ნაწილი „ანალოგების და პროტოტიპის დახასიათება“ შეიცავს: განცხადებული მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის

ანალოგების და პროტოტიპის დახასიათებას. ანალოგს წარმოადგენს იმავე ფუნქციური დანიშნულების, მაგრამ გარეგანი სახის განსხვავებული მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის მქონე ნაწარმი.

— პროტოტიპი ის ანალოგია, რომელიც ხასიათდება განცხადებული ობიექტის არსებითი ნიშნების მსგავსი მაქსიმალური რაოდენობით.

არსებით ნიშნებს განეკუთვნება ობიექტის იმ ნიშანთა ერთობლიობა, რომელთაგან თითოეული აუცილებელია, ხოლო ყველა ერთად-საკმარისი. ნაკეთობის კონკრეტული ვიზუალური სახის შესაქმნელად. მხატვრული ღირსების აღსაქმელად.

6.6. ნაწილში „ფოტოსურათების, ნახაზების და სქემების სია“ ჩამოთვლილი უნდა იყოს განაცხადზე თანდაართული ფოტოსურათები, ნახაზები და სქემები, მათი ნუმერაციის მიხედვით.

6.7. ნაწილი „ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის არსი და პროტოტიპისაგან განმასხვავებელი ნიშნები“ შეიცავს:

— არსებითი ნიშნების აღწერას;

— ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტების ვარიანტების აღწერას, განმასხვავებელი ნიშნების მითითებით;

— ზონაცემებს ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტების ერაგონომიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;

დანადგარების, ჩარხების, ხელსაწყოების მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტების აღწერაში მოყვანილი უნდა იყოს კონსტრუქციის მუშაობის მოკლე აღწერა. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კომპოზიციური და ფუნქციური ელემენტების, კვანძების (დეტალების ურთიერთშეთანხმება. საფეიქრო მრეწველობის ნაკეთობების (ქსოვილები. ნახები და ა. შ.) აღწერაში მოყვანილი უნდა იყოს ნაკეთობების მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტები, მათი არტიკულების და ნახატების ნორმების მითითებით.

6.8. ნაწილი „სამრეწველო ნიმუშის სამრეწველო წესით განხორციელებადობა“ უნდა შეიცავდეს მონაცემებს ნაკეთობის მრეწველობის პირობებში დამზადების ტექნოლოგიის შესახებ.

6.9. იმ შემთხვევაში, როდესაც სამრეწველო ნიმუშში გამოყენებულია გამოგონება, აღწერილობის ტექსტში უნდა იქნეს მოყვანილი სათანადო დოკუმენტის ნომერი.

6.10. აღწერილობის ბოლოს მოყვანილი უნდა იყოს ბიბლიოგრა-

ფიული მონაცემები ანალოგების და პროტოტიპის ინფორმაციული წყაროების შესახებ.

- 6.11. აღწერილობას ხელს აწერს (ენ);
- განმცხადებელი ან უფლებამოსილი პირი;
- უფლებამონაცვლე.

7. ნახაზები

7.1. საერთო ხედის ნახაზები ან გაერთმთლიანების პრინციპული სქემა; რომლებიც ნაკეთობის გარეგან სახეს განსაზღვრავს, უნდა ზუსტად შეესაბამებოდეს აღწერილობის ტექსტს და იძლეოდეს ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციულ გადაწყვეტაზე მკაფიო წარმოდგენას (გაბარიტები, შემადგენელი ელემენტები და მათ შორის კავშირი) ნახაზი ან სქემა ინომრეება: ფიგ. 1, ფიგ.2 და ა. შ. აღწერილობის შესაბამისად.

7.2. ნახაზის ან სქემის ფორმატის ზომა უნდა უდრიდეს 210 მმ X 297 მმ.

7.3. ნახაზი ან სქემა შესრულებული უნდა იყოს შავი ტუშით თეთრ ქაღალდზე ან ლივზე.

ნახაზების ან სქემების მეორე ეგზემპლარების წარდგენა შესაძლებელია ღია დონეზე შესრულებული იმავე ფორმატის ასლებით.

7.4. ნახაზზე ან სქემაზე ნაჩვენები უნდა იყოს ნაკეთობის და მისი ძირითადი კომპოზიციური და ფუნქციური ელემენტების და კვანძების ზომები.

7.5. ტანსაცმლის ნაკეთობის თარგვის ნახაზი (კონსტრუქციის მრუდთარგი) როგორც წესი, შესრულებული უნდა იყოს 1:5 მასშტაბში (ფუნსაცმლის 1:2 მასშტაბში) და უნდა შეესაბამებოდეს ფოტოსურათზე წარმოდგენილი მოდელის ტიპობრივ ზომას.

7.6. ნახაზი ან სქემა არ უნდა შეიცავდეს ზედმეტ წარწერებს საპირო განმარტების გარდა, მაგალითად „ღია“, „გაშლილი“ და ა. შ.

7.7. ნახაზზე ან სქემაზე უნდა იყოს განმცხადებლის გაშიფრული ხელის მოწერა.

**სასაქონლო ნიშანზე განაცხადის
გაფორმებისა და წარდგენის
წესი**

1. ძირითადი ცნებები და აღებულებები

სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება სასაქონლო ნიშნის დებულებების შესაბამისად.

სასაქონლო ნიშანი არის ორიგინალურად გაფორმებული სიმბოლო, რომლის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია განასხვავოს ერთგვაროვანი საქონელი და მათი მწარმოებლები, მოახდინოს მათი ინიციტიდუალიზაცია.

სასაქონლო ნიშნის ანალოგიურად შეიძლება მომსახურების ნიშნის რეგისტრაცია საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომელთა საქმიანობა მომსახურების სფეროსთან არის დაკავშირებული (მაგალითად — სახმელეთო, საჰაერო და სხვა სახის სატრანსპორტო კომპანიები, სარეკლამო ფირმები, სისტემროები, რესტორნები და ა. შ.).

სასაქონლო ნიშანში დასაშვებია საფირმო დასახელების ან მისი ფრაგმენტის გამოყენება. საწარმოს შეუძლია სასაქონლო ნიშნად გამოიყენოს საკუთარი საფირმო დასახელება.

სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს: — სიტყვიერი, გამოსახულებითი, მოცულობითი, ბგერითი, კომბინირებული.

სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი არის აზრობრივი დატვირთვის მქონე, მათ შორის ასოებითა და ასოთა კომბინაციებით ხელოვნურად შექმნილი სიტყვები, მაგალითად: სამტრესტი — საქართველოს მეღვინეობის ტრესტი.

ხელოვნურად შექმნილი სიტყვები ხშირად გამოიყენება ახალი ნივთიერებების, პრეპარატების, ხელსაწყოების, წასაღების აღნიშვნისათვის.

გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს:

— კონკრეტული გამოსახულება — ადამიანის, ცხოველის, ფრინველის, ნებისმიერი საგნის სტილიზებული გამოსახულება;

— აბსტრაქტული გამოსახულება წრფე, წირი, მათი კომბინაციები, სხვადასხვა ფიგურები;

— სიმბოლო, მაგალითად, მზის სიმბოლო — წრე, მთის სიმბოლო — სამკუთხედი და სხვ.;

— ორნამენტის ელემენტებისაგან შემდგარი კომპოზიციები;

— სტილიზებული შრიფტი — მხატვრულად გამოსახული ასოები და ციფრები (სტანდარტული შრიფტების ერთეულები სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება);

მოცულობითი სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სამგანსომილე-ბიან სხეულს.

სასაქონლო ნიშნად შეიძლება ნაწარმის ფორმის გამოყენებაც, მაგალითად, საპნის ფორმა, შოკოლადისაგან დამზადებული ფიგურები და სხვა. აგრეთვე შეფუთვის ან ტარის, მაგალითად კოლოფის, ბოთლის, ფლაკონის ორიგინალური ფორმა და სხვა.

სასაქონლო ნიშნად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნაკეთობის ფორმა, რომელიც არ განისაზღვრება მხოლოდ ფუნქციური დანიშნულებით და მისი ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას იძლევა.

გარდა ამისა, სასაქონლო ნიშნად გამოყენებული ფორმა არ უნდა ხასიათდებოდეს ისეთი მხატვრულ-ესთეტიკური თვისებით, რამაც იგი შეიძლება სამრეწველო ნიშნად ან საავტორო უფლებით დაცვის ობიექტად აქციოს.

ბგერითი სასაქონლო ნიშანი — წარმოადგენს რადიო და სატელევიზიო მხატვრულ-შემეცნებითი, გასართობი და სხვა სახის პროგრამების ამოსაცნობ სიგნალებს, მოძრავ საშუალებათა ხმოვან სიგნალებსა და ა. შ.

კომბინირებული სასაქონლო ნიშანი შედგება სიტყვიერი, გამოსახულებითი, მოცულობითი და სხვა ნიშნების კომბინაციებისაგან. კომბინაცია შეიძლება იყოს, გამოსახულებით-სიტყვიერი, მოცულობით-სიტყვიერი, მოცულობით-გამოსახულებით-ბგერითი და სხვა.

სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება:

— სიმბოლო, რომელსაც არ გააჩნია განმასხვავებელუნარიანობა;

— სიმბოლო, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია რაიმე ნაწარ-

მის გვარეობით ცნებად (მაგალითად, ჩაი, ასპირინი, ცელოფანი, ნეილონი, ვაზელინი, სულგუნი, ჩურჩხელა და ა. შ.).

— ტერმინი, რომელიც მიუთითებს მხოლოდ საქონლის თვისებებზე, რაოდენობაზე, შემადგენლობაზე, დანიშნულებაზე, წარმოების ან გასაღების ადგილსა და ღრობზე;

— ნიშანი, რომელსაც შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი, მაგალითად, საქონლის გამოშვების ადგილის შესახებ;

— ნიშანი, რომელიც შეიცავს საქონლის შესახებ სიტყვებს და გამიზნულია იმისათვის, რომ დაარწმუნოს მომხმარებელი ნაწარმის ხარისხის უპირატესობაში, მაგალითად: „საუკეთესო“, „შესანიშნავი“, „ერთადერთი“ და ა. შ. აგრეთვე დაუშვებელია შემდეგი სახის სიტყვების გამოყენება: „მიხედვით“, „მსგავსად“, რაც არაკეთილშინდისიერი კონკურენციის გაწევის მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს.

— ნიშანი, რომელიც, ან რომლის შემადგენელი ნაწილი არის საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის იმიტაცია, მიბაძვა ან განმეორება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი ან ნიშანთან აღრევა;

— ნიშანი, რომელიც სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის 6 bis მუხლით ეხება საყოველთაოდ აღიარებულ სასაქონლო ნიშანს, მაგალითად, Coca-cola; Ford და ა. შ.

— ცალკეულ პიროვნებათა სახელი (სრული სახელი) გვარი, ფსევდონიმი, პორტრეტი, ფაქსიმილე — მათი თანხმობის გარეშე, გარდაცვლილი პიროვნების სახელი (სრული სახელი), გვარი, ფსევდონიმი, პორტრეტი, ფაქსიმილე, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც მათ რეგისტრაციას ითხოვს აღნიშნული პირის მემკვიდრე იმ საქონლისათვის, რომლის წარმოება ოჯახური ტრადიციითა და რომლის ინდივიდუალიზაციისათვის ტრადიციულად გამოიყენებოდა სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი;

— სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციის დროშები, ნიშნები, ჰერალდიკური გამოსახულებები, საგარანტიო და საკონტროლო ოფიციალური ნიშნები, დამლები და სხვა სიმბოლოები, რომლებიც მითითებულია სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის 6 bis მუხლში;

— სიმბოლო, რომელიც ბლავს ან აღიზიანებს ეროვნულ, რელიგიურ, ღირსებებს, ეწინააღმდეგება ჰუმანიზმის, მორალის ნორმებს, საზოგადოების ზნეობასა და ტრადიციებს.

11. განაცხადის გაფორმება და წარდგენა

განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე შეაქვს „საქპატენტში“ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, ამასთან, ამ პირს შეუძლია „საქპატენტთან“ ურთიერთობა დაამყაროს საკუთარი წარმომადგენლის მეშვეობით.

მოქალაქე (იურიდიული პირი) რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე, თავის საქმიანობას წარმართავს პატენტარწმუნებულის მეშვეობით, ამ უკანასკნელს უნდა ჰქონდეს სათანადო საბუთი და იყოს რეგისტრირებული „საქპატენტში“.

განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს დადგენილი ფორმის ბლანკზე ერთ ეგზემპლარად, ნაბეჭდი სახით, ქართულ ენაზე (ფორმა 1 ს). განაცხადის ბლანკი შედგება 8 პუნქტისაგან და შეივსება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. პირველ პუნქტი — იურიდიული პირის (დაწესებულება, საწარმო, გაერთიანება, კოოპერატივი, უცხოური ფირმა, ერთობლივი საწარმოო და ა. შ.); სრული დასახელება, სრული საფოსტო მისამართი ინდექსის მითითებებით, ტელეფონის ნომერი, ტელექსი ან ფაქსი.

დასახელება უნდა შეესაბამებოდეს იმ სახელწოდებას, რომელიც დამტკიცებულია ამ დაწესებულებების რეგისტრირებულ წესდებაში.

2. მეორე პუნქტში — ფიზიკური პირის (საქართველოს ან საზღვარგარეთის მოქალაქე) გვარი; სახელი, მამის სახელი, სრული საფოსტო მისამართი, ქვეყანა, ტელეფონის ნომერი.

3. სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშნის ფოტოპირი (ეტიკეტი) ჩაეწერება განაცხადში სპეციალურად მითითებულ ადგილზე.

სასაქონლო ნიშნის ფოტოპირები უნდა იყოს კარგი ხარისხის, მკაფიო, კონტრასტული და შეესაბამებოდეს დადგენილ ზომას 5 სმX5 სმ (გამონაკლისის სახით დასაშვებია 5 სმX10 სმ);

ეტიკეტი წარედგინება ნატურალური ზომით. ესკიზის ან ნახაზის სახით. წარდგენილი ეტიკეტი დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ორგანიზაციის მიერ

თუ ეტიკეტი არ ეტყვა მინიშნებულ ადგილზე, მისი წარდგენა სდება ცალკე ფურცელზე დაწებებით. ბგერითი სასაქონლო ნიშნის

წარდგენისას უნდა იყოს მითითებული, რომ ნიშანი ბგერითია და იქნეს მოყვანილი მისი სანოტო ნიშნებით ჩანაწერი.

4. სასაქონლო ნიშნის აღწერილობაში ახსნილი უნდა იყოს მისი არსი, თითოეული ელემენტის — სიტყვის, ნახატის, ასოს აზრობრივი დატვირთვა.

თუ ნიშანი შეიცავს სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს არაქართულ ენაზე მოცემული უნდა იყოს ტრანსლიტერაცია ქართული ასოებით და შესაბამისი ქართული თარგმანით, ძნელად საკითხავი და სტილიზებული ფორმები — უნდა გაიშიფროს.

თუ წარდგენილი ბგერითი ნიშანი არის რომელიმე მუსიკალური ნაწარმოების ნაწილი, მითითებული უნდა იყოს ამ ნაწარმოების ავტორი და დასახელება.

5. ფერი ან ფერთა გამა მიეთითება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება ფერებში. მითითებული ფერები უნდა შეესაბამებოდეს წარდგენილ ფოტოპირს.

თუ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია ფერებში, რგი მხოლოდ დატულ ფერებში უნდა იხმარებოდეს.

შავ-თეთრ ფერებში დატული სასაქონლო ნიშნის ხმარება დაიშვება ნებისმიერ ფერებში.

6. მეექვსე პუნქტში მოცემულია საქონლის ან (და) მომსახურების ჩამონათვალი. საქონლის ჩამონათვალი დაჯგუფებული უნდა იყოს ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით. ჩამონათვალში გამოიყენება აღნიშნული კლასიფიკაციის ტერმინები.

მაგალითად, კლასი 1 — ჰიქური კერამიკული ნაქეთობისათვის.

კლასი 21 — საყოფაცხოვრებო კერამიკული ნაწარმი.

7. პუნქტში „დამატებითი ცნობები“ შეიტანება განაცხადის განხილვისათვის საჭირო სხვა მნიშვნელოვანი ცნობები, მაგალითად, ადრე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო ნომერი და გაცემის თარიღი, გამოფენების ჩატარების ადგილი და თარიღი (თუ მოითხოვება საგამოფენო პრიორიტეტი და ა. შ.).

იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი განმცხადებელი ითხოვს კონვენციური პრიორიტეტის შენარჩუნებას საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით, უნდა მიეთითოს პრიორიტეტის თარიღი და ქვეყანა, სადაც პირველად იქნა შეტანილი განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე.

აქვე უნდა მიეთითოს აღნიშვნები, რომელზეც არ ვრცელდება დაცვა.

8. მეორე პუნქტში უნდა მიეთითოს პატენტრწმუნებულის ან სხვა წარმომადგენლის სახელი, გვარი, მამის სახელი, სრული საფოსტო მისამართი, ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო ნომერი, ფირმის დასახელება.

III. განაცხადის 'თანმხლები' მასალები განაცხადს ერთვის:

— ფოტოპირის ან ეტიკეტის ათი ეგზემპლარი;

მოკულობითი სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში, საერთო ხედი ესე უნდა შეირჩეს, რომ სასაქონლო ნიშნის ფოტოსურათმა მაქსიმალურად სრულყოფილი წარმოდგენა მოგვცეს მასზე.

— საწარმოს წესდების ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული ამონაწერი, იმის დასაბუთებლად, რომ საწარმო იურიდიული პირია;

— საგანაცხადო საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი (საფასურის ოდენობა განისაზღვრება სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო საფასურის შესახებ დებულებით);

— შეღავათის დამადასტურებელი საბუთი; თუ გადახდილია შეღავათიანი საფასური;

— წარმომადგენლის (პატენტრწმუნებულის) უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის მიერ;

— განმცხადებლის მიერ წარმომადგენლის სახელზე გაცემული რწმუნებულობა, გაფორმებული დადგენილი წესით;

— კონვენციური პრიორიტეტით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, პირველი განაცხადის ასლი დამოწმებულია შესაბამისი ქვეყნის საპატენტო უწყების მიერ;

— დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით სარგებლობის უფლებას, თუ ეს უკანასკნელი გამოყენებულია სასაქონლო ნიშანში;

— ოფიციალური (ანუ სახელმწიფოს, ან სახელმწიფო ორგანოს მიერ ორგანიზებული) და ოფიციალურად (ანუ სახელმწიფოს, ან სახელმწიფო ორგანოს მიერ აღიარებული) მიჩნეული გამოფენის ადმინისტრაციის ან საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაცემული ცნობა, თუ მოითხოვება საგამოფენო პრიორიტეტი;

— ბეჭდით დამოწმებული კოლექტიური ნიშნის წესდება, თუ განაცხადი შეტანილია კოლექტიურ ნიშანზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გაერთიანების ან მისი უფლებამოსილი წევრების სახელწოდება გაერთიანების მიზნები, ადგილმდებარეობა, იმ პირთა წრე, რომელთაც კოლექტიური ნიშნითა და მათი სამართლებრივი სტატუსით სარგებლობის უფლება აქვთ. მოცემული უნდა იყოს კოლექტიური ნიშნით აღსანიშნავი საქონლის ნუსხა და ერთიანი ხარისხობრივი მახასიათებლები, აგრეთვე კოლექტიური ნიშნის გამოყენების და გამოყენებაზე კონტროლის პირობები, აგრეთვე სანქციები კოლექტიური ნიშნის წესდების დარღვევისათვის.

თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილია ბგერითი ნიშანი, უნდა იყოს თანდართული მისი ფონოგრამა.

განაცხადს ხელს აწერს განმცხადებელი (წარმომადგენელი).

თუ განმცხადებელი იურიდიული პირია, ხელმძღვანელის ხელმოწერა მოწმდება ბეჭდით.

განმარტებული ლიტერატურა

1. ო. კეკელაშვილი. გამოგონებათა დაპატენტება საზღვარგარეთ. — „მეცნიერება და ტექნიკა“, 1979, № 11.
2. ო. კეკელაშვილი. გამოგონებათა ექსპერტიზა. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1986, № 11.
3. ო. კეკელაშვილი. გამოკვლევათა და დამუშავებათა ეფექტიანობისათვის — მეცნიერება და ტექნიკა“, 1985, № 9.
4. ო. კეკელაშვილი. განაცხადი გამოგონებაზე. — „მეცნიერება და ტექნიკა“, 1986, № 1.
5. ო. კეკელაშვილი. განაცხადი გამოგონებაზე. — „მეცნიერება და ტექნიკა“, 1977, № 2.
6. ო. კეკელაშვილი. ეროვნული ინტერესების სამსახურში. — „ეკონომიკა“, 1991, № 6.
7. ო. კეკელაშვილი. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ახალ პირობებში. — „მეცნიერება და ტექნიკა“, 1991, № 6.
8. ო. კეკელაშვილი. საექსპორტო ოპერაციების წარმატების საწინდარი. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1972, № 8.
9. ო. კეკელაშვილი. სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის კლასიფიკაცია. — „მეცნიერება და ტექნიკა“, 1974, № 4.
10. ო. კეკელაშვილი. სამრეწველო ნიმუში. — „მეცნიერება და ტექნიკა“, 1980, № 1.
11. ო. კეკელაშვილი. საპატენტო გამოკვლევა გამოგონებაზე. — „მეცნიერება და ტექნიკა“, 1977, № 5.
12. ო. კეკელაშვილი. საპატენტო დოკუმენტაცია. — „მეცნიერება და ტექნიკა“, 1978, № 9.
13. ო. კეკელაშვილი. საპატენტო საქმის ორგანიზაცია აშშ-ში. — „ეკონომიკა“, 1992, № 7.
14. ო. კეკელაშვილი. საპატენტო სისტემის ისტორიიდან. — „მეცნიერება და ტექნიკა“, 1976, № 3.
15. ო. კეკელაშვილი. საპატენტო ძიების ჩატარება. — „მეცნიერება და ტექნიკა“, 1989, № 4.
16. ო. კეკელაშვილი. სასაქონლო ნიშანი. — „მეცნიერება და ტექნიკა“, 1980, № 3.
17. ო. კეკელაშვილი. ტექნიკური შემოკმედებისა და საპატენტო საქმის განვითარებისათვის. — „ეკონომიკა“, 1989, № 7.
18. Питер Розенберг. Основы патентного права США. М., Прогресс, 1979.

19. Международная охрана промышленной собственности (парижская конвенция) М., ЦНИИПИ, 1967.
20. Патентный закон Бельгии. М., ВНИИПИ, 1987.
21. Патентный закон Великобритании. М., ВНИИПИ, 1983.
22. Патентный закон Италии. М., ВНИИПИ, 1982.
23. Патентный закон Скандинавских стран. М., ВНИИПИ, 1987.
24. Патентный закон Карибского бассейна. М., ВНИИПИ, 1989. ✓
25. Патентный закон США. М., ВНИИПИ, 1986.
26. Патентный закон Франции. М., ВНИИПИ, 1983.
27. Патентный закон ФРГ. М., ВНИИПИ, 1984.
28. Патентный закон Японии. М., ЦНИИПИ, 1975.
29. Патентное законодательство стран мира в 2-х томах. М., Мысль, 1983.

ს ა რ ჩ ი მ ი

წინასიტყვაობა	3
I. გამოგონებათა დაპატენტების სისტემის დასაბამი და არსი	9
II. გამოგონება, როგორც უფლებრივი დაცვის ობიექტი	41
III. გამოგონებათა დაპატენტების გაფორმება	96
IV. პატენტი, როგორც გამოგონების დაცვის ფორმა	155
V. გამოგონებათა დაპატენტების ორგანიზაცია საქართველოში	207
VI. საქართველოს <u>საპატენტო-საკანონმდებლო აქტები</u> და სამრეწველო საკუთრების სახეების გაფორმებისა და წარღვევის წესები	249
გამოყენებული ლიტერატურა	382

ტირაჟი 2 500. შეკვეთა № 199.
ფასი სახელშეკრულებო.

სააქციო საზოგადოება „ბექდეთი სიტყვის კომბინატი“,
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ქნობები გამოგონებების გამოქვეყნების შესახებ

გამოქვეყნება დსაშეხობა

გამოქვეყნება დაუშვებელია, სახელმწიფო ანტირუსებიდან გამოშლინარე

საერთაშორისო ძიება

ორგანიზაცია (საერთაშორისო საძიებო სტატუსის მქონე ორგანო), რომელმაც ჩაატარა (ატარებს) ძიება (ს) _____ ძიების შედეგის თარიღი (თუ ძიება მიმდინარეობს) _____

განცხადებას ერთვის:

	ფურც. რა- ოდენობა	ვებ. რა- ოდენობა
<input type="checkbox"/> აღწერილობა		
<input type="checkbox"/> ფორმულა		
<input type="checkbox"/> რეზიუმე		
<input type="checkbox"/> ნახაზები		

- სხვა დამატებითი მასალები
- ზაგის უდაბნდის დამადსტრუქტურულ საბუთი
- განაცხადის თარქმანი
- პირველი განაცხადის (ების) ასლი
- უფლებამონაცვლეობის დამადსტრუქტურული საბუთი
- პატენტრქმნებელის უფლებამონაცვლეობის დამადსტრუქტურული საბუთი (რქმნებულობა)

72	ავტორი (ები)	97	ბონის მისამართი	ზელის მოქერა

ბ.ა.
(იერიდიული პირი ხელმოქერა, თარიღი)

საქონლი აღინიშნოს ნიშნით

საქონლის აღიარების მიზანშეწონილი შეფასების მიზნით განიხილეთ განმარტების მიხედვით. წარმოადგინოთ შეფასების განმარტების მიხედვით

შეიტანეთ
საქონლების მიერ

22	შეშისულის თარიღი	შემოსულის რეგისტრის №	21	განაცხადის №	
	პროორიგენტი	51 საერთაშორისო კლასი			
<p>გ ა ნ ა ც ხ ა ლ ე ბ ა</p> <p>სასარგებლო მოდელზე პატენტის გაყვამზე</p> <p>საპატენტო ინსტიტუტის რეგისტრაციის განყოფილება საქონლის რეგისტრაციის განყოფილება საქონლის რეგისტრაციის განყოფილება</p>					
განმცხადებლის (ების) გვარი, სახელი ან იურიდიული პირის სრული დასახელება					
ცხოვრების ადგილი (მისამართი) სახელზე საპატენტო სიგელი და პროორიგენტი დააღწიეთ					
<input type="checkbox"/> "საქპატენტში" განაცხადის შეტანის თარიღით <input type="checkbox"/> პირის კონვენციის წევრ ქვეყანაში პირველი განაცხადის შეტანის თარიღით <input type="checkbox"/> პირველ განაცხადზე დამატებითი მასალების შემოტანის თარიღით <input type="checkbox"/> გამოგონებამზე განაცხადის შეტანის თარიღით					
31	პირველი განაცხადის №	32	განაცხადის შეტანის თარიღი	33	ქვეყნის კოდი
54	სასარგებლო მოდელის დასახელება				
71	განმცხადებლის (ების) მისამართი (ები)				
	გვარი სახელი, მამის სახელი, იურიდიული პირის სრული დასახელება და მისამართი				
98	მისამართი მიმოწერისათვის				
	სრული საფოსტო მისამართი, ადრესატის უნარი ან დასახელება				
	ბელუფონი:	ბელუქსი:	ფაქსი:		
74	პატენტდამცემი				
	გვარი სახელი, მამის სახელი, ფირმის დასახელება და მისამართი				
	ბელუფონი:	ბელუქსი:	ფაქსი:		

შეესება საქართვების შიერ

საქართვების შიერ შეესება საქართვების შიერ ნიშნით

22	შემოსელის თარიღი	შემოსელის რიგითი №	21	განაცხადის №	
	პრიორიტეტი	51 საერთაშორისო კლასი			
<p>გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა</p> <p>სამრეწველო ნიმუშე პატენტის გაყემაზე</p> <p>საპატენტო ექსპერტიზის ცენტრი 380023, 1. თბილისი, 8. კოსტავას ქ. 41</p>					
განმუხადებლის (ების) გვარი, სახელი ან იურიდიული პირის სრული დასახელება					
ვთხოვთ გასკუთ რეშს (ნუგს) სახელზე საქატენტო სიტელი და პრიორიტეტი დაადგინოთ					
<input type="checkbox"/> "საქატენტო" განაცხადის შეგანის თარიღით <input type="checkbox"/> პარიზის კონვენციის წერ ქუეყანაში პირელი განაცხადის შეგანის თარიღით <input type="checkbox"/> გამოუწანაზე ექსპონატის წარდგენის თარიღით <input type="checkbox"/> "საქატენტო პირელი განაცხადის შეგანის თარიღით (შეთითება აღრე რეგისტრირებული სიმუშის ეარიანტის წარდგენის შემთხვევაში)					
31	პირელი განაცხადის №	32	განაცხადის შეგანის თარიღი	33	ქუეყნის კოდი
54	სამრეწველო ნიმუშის დასახელება				
71	განმუხადებლის (ების) მისამართი (ები)				
	გვარი სახელი, შამის სახელი, იურიდიული პირის სრული დასახელება და მისამართი				
98	მისამართი მიმოწერისათვის				
	სრული საფოსტო მისამართი, ადრესატის უნისობა ან დასახელება				
	ბელეონი:	ბელეუსი:	უაქსი:		
74	პატენტრწმუნებული				
	გვარი სახელი, შამის სახელი, ფირმისა დასახელება და მისამართი				
	ბელეონი:	ბელეუსი:	უაქსი:		

ცნობები სასარგებლო მიღწეის გამოქვეყნების შესახებ

გამოქვეყნება დასაშვებია

გამოქვეყნება დაუშვებელია, სახელმწიფო ინტერესებთან გამომდინარე

საერთაშორისო ძიება

ორგანიზაცია (საერთაშორისო სამეცნიერო სტატუსის მქონე ორგანო), რომელმაც

ა ჩაატარა (ატარებს) ძიება (ს) _____

ძიების შედეგის თარიღი (თუ ძიება მამდინარეობს) _____

განცხადებას ეროვნება:

	ურყ. რა- ოდენობა	ვერ. რა- ოდენობა
<input type="checkbox"/> აღწერილობა		
<input type="checkbox"/> ფორმულა		
<input type="checkbox"/> რეზიუმე		
<input type="checkbox"/> ნახაზები		

სხვა დამატებითი შასალები

ბაჟის გადახდის დამადასტურებელი საბუთი

განაცხადის თარიღი

პირველი განაცხადის (ების) ისლი

უკლებამონაცვლობის დამადასტურებელი საბუთი

პატენტრწმუნებულის უკლებამონაცვლობის დამადასტურებელი საბუთი (რწმუნებულება)

72

ავტორი (ები)

97

ბინის მსაზმართი

ხელის მოწერა

ბ.ა.

(იურიდიული პირი ხელმოწერა, თარიღი)

ცნობები გამოცონების გამოქვეყნების შესახებ

გამოქვეყნება დახაიუვია

გამოქვეყნება დაუშვებელია, სახელმწიფო ინტერესებიდან გამოსვლინარე

ვანცხადებას ერთვის:

	ურაყ რა- ოდენობა	უგმ რა- ოდენობა
<input type="checkbox"/> ფოტოსურათების კომპლექტი		
<input type="checkbox"/> სამრეწველო წესით მი- ღებული ნიმუში ან მისი მოღეულ		
<input type="checkbox"/> სამრეწველო ნიმუშის იდწერალობა		

სხვა დამატებითი მასალები

ბავის გადახდის დამადასტურებელი
საბუთი

ვანაცხადის თარეკმანი

პირველი ვანაცხადის (უბის) ასლი

უღლებამონაღეღეობის დამადასტურებელი
საბუთი

პატენტრწმუნებულის უღლებამონაღეღეობის
დამადასტურებელი საბუთი
(რწმუნებულობა)

72

აქტორის (უბი)

97

ბინის მისამართი

ბუღლის მოწერა

ბა.

(ღურიღიღელი პირი ბუღმოწერა, თარიღი)

22	შემოსულის თარიღი	შემოსულის რეგატი №	21	განაცხადის №
	პროორიგეტი	51	საერთაშორისო კლასი	

*** ბ ა ნ ა ს ხ ა ლ ი**
სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე

საქართველოს რესპუბლიკის
ეკონომიკისა და მდგრადი
სამშენობლო
“საქპატენტო”
სააგენტო, ექსპერტიზის ცენტრი
380023, 1. თბილისი,
2. კოსტავას ქ. 41

1. თარიღი და პირი _____
დასახელება _____
მისამართი, ტელეფონი _____
2. მოქალაქე _____
გვარი, სახელი, მამის სახელი _____
მისამართი ტელეფონი _____

გიგანტით საგანაყხადო დოკუმენტაციას და გთხოვთ მასში წარმოდგენილი სიმბოლოს რეგისტრაციას სასაქონლო (მომსახურების) ნიშნად, ამ ნიშნზე უღლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემათ.

3. სასაქონლო ნიშნის გამოცხადება
4. სასაქონლო ნიშნის აღწერილობა

5. ფერი ან ფერთა გამა (იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოახსოვება ფერად შესრულებაში)

6. საქონლის ან მომსახურების ჩამონათული საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით

7. ღამაგებითი ცნობები

8. პატენტრწმუნებულო _____
ან _____
ვარი, სახელი, მამის სახელი, ფირმის დასახელება
წარმომადგენელი

და მისი მართა

ტელეფონი:

ტელექსი:

უქი:

განაცხადს თან ერთვის

- სასაქონლო ნიშნის გამოსახულების ფოტოკოპირები - 10 ეგზ;
- ამონაწერი იურიდიული პირის წესდებიდან;
- ბაგის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- კოლექტიური ნიშნის წესდება;
- შინდობილობა, ტყეშელი განმცხადებლის მიერ წარმომადგენლის სახელზე;
- პირველი განაცხადის ასლი;
- პატენტრწმუნებულის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი (რწმუნებულობა);
- დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქონლის ადეიდწარმოშობის მინიშნების უფლებას, და ეს უკანასკნელი გამოყენებულა სასაქონლო ნიშანში.

ხელის მოწერა

გვარი, სახელი, მამის სახელი

ბ. ა.